

**რთარ ჟანელიძე**

  
ეროვნული  
ბიზნორობო



**ნარკვევები  
საქართველო-რუსეთის  
ურთიერთობების  
ისტორიიდან**

**2014**

ოთარ ჯანელიძე



ნარკვევები საქართველო-  
რუსეთის ურთიერთობის  
ისტორიიდან

თბილისი  
2013



წიგნში გაშუქებულია საქართველო-რუსეთის ურთიერთობის კარდინალური საკითხები, რომელთა ქრონოლოგია ძირითადად მე-18 საუკუნის ბოლოდან იწყება და 2010 წლამდე მოდის.

ნაშრომი დახმარებას გაუწევს სტუდენტებს, მაგისტრანტებს, დოქტორანტებს, ისტორიის პედაგოგებსა და საკითხით დაინტერესებულ მკითხველ საზოგადოებას.

**რედაქტორი** ელდარ მამისთვალიშვილი  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

**რეცენზენტები:** ალექსანდრე დაუშვილი  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

პაატა სურგულაძე  
ისტორიის დოქტორი, პროფესორი

55565527



საპარტიზოს აკრედიტაციის  
ეროვნული ავტორიზაცია



გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი



გამომცემლობა „საარი“

ISBN 978-9941-427-76-3

წინათქმა .....	4
ქართველთა ერთობის საკითხი ქართულ-რუსული ურთიერთობის კონტექსტში .....	6
ორი რუსეთი: მითი თუ რეალობა? .....	23
საქართველო და რუსის ჯარი .....	37
ივანე ჯავახიშვილი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დამდეგს .....	56
დაპყრობა თუ ნებაცოფლობითი შეერთება? .....	70
რუსული კოლონიალიზმის არსი .....	108
რა ხდებოდა მოლაპარაკებების კულისებში .....	195
რუსეთის წითელი არმიის ნაწილების თავდასხმა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე 1920 წლის გაზაფხულზე და ქართული პოლიტიკური სპექტრი .....	204
1921 წლის ბოლშევიკური აგრესია და რუსეთის საელჩო საქართველოში .....	225
რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომი და საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობა .....	247
ბათუმის საკითხი რუსეთ-თურქეთის 1921 წლის მოლაპარაკებებსა და 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულებაში .....	276
რუსეთის სამხრეთკავკასიური ინტერესები .....	304
რუსეთის მესამედ მობრუნების მცდელობა საქართველოში .....	321
რუსეთის აგრესია საქართველოში 2008 წლის აგვისტოში .....	342
ომს თუ ომი არ ვუნოდეთ .....	349
რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი და ჩრდილოეთ ატლანტიკური ალიანსი .....	355
ისტორიის აქტუალიზაცია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პოსტსაბჭოთა პერიოდში .....	370

საქართველოსა და რუსეთს შორის 2008 წლის აგვისტოს შემდგომ დიპლომატიური ურთიერთობა განყვეტილია. კონტაქტები მნიშვნელოვნად შესუსტდა ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა სფეროებშიც. ყოველივეს მიუხედავად, ქართულ-რუსული ურთიერთობების ისტორია ისევ აქტუალურ თემად რჩება. ისტორიკოსების გარდა მასზე ინტენსიურად მსჯელობენ პოლიტოლოგები, ჟურნალისტები, ექსპერტები თუ პოლიტიკოსები.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა წარსულზე ბევრი თქმულა და ბევრიც დანერილა. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა და იწვევს ორი ხალხის თანაცხოვრების ისტორია XIX-XX საუკუნეების განმავლობაში, რომლის შესწავლა დღემდე არ შეწყვეტილია. ალექსანდრე ცაგარელის, ივანე ჯავახიშვილის, ზურაბ ავალიშვილის, მიხეილ ხელთუფლიშვილის, ნიკო ბერძენიშვილის, ალექსანდრე მანველიშვილის, მამია დუმბაძის, აკაკი სურგულაძის, ალექსანდრე ბენდიანიშვილისა და სხვათა გამოკვლევებში, რუსი ისტორიკოსების: ნ. დუბროვინის, ო. პოტოს, პ. ბუტკოვის, ა. ბერჟეს, ა. ფადეევის, ო. მარკოვას ნაშრომებში ამ ურთიერთობის მრავალი საყურადღებო ასპექტია გაშუქებული. ბოლო დროს გამოქვეყნებულ კოლექტიურ მონოგრაფიაში სახელწოდებით - "რუსული კოლონიალიზმი საქართველოში" (ავტორები ა. ბენდიანიშვილი, ა. დაუშვილი, მ. სამსონაძე, დ. ჭუმბურიძე, ხ. ქოქრაშვილი, ო. ჯანელიძე) განზოგადებულია საქართველოში რუსეთის ბატონობის 200-წლიანი პერიოდი, ნაჩვენებია რუსეთის იმპერიაში საქართველოს ინკორპორირების შუქ-ჩრდილები, გამოკვეთილია მისი, როგორც უარყოფითი, ისე ობიექტურად დადებითი შედეგები.

კარგა ხანია დაშლილი საბჭოთა კავშირის ნანგრევებზე ახალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოები წარმოიშვნენ. მაგრამ საბჭოეთის სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკა მათთან მიმართებაში კვლავ იმპერიული ამბიციებითაა შეპყრობილი, ცდილობს



პოსტსაბჭოთა სივრცე ისევ კრემლის კონტროლსა და გავლენას დაუქვემდებაროს. ამ მისწრაფების გამოხატულებაა რუსეთის სამხედრო აგრესია საქართველოში 2008 წლის ზაფხულში და რუსეთ-საქართველოს უთანასწორო ომის მიძიმე შედეგები.

წინამდებარე წიგნის თემატიკა სწორედ ხსენებული პრობლემატიკითაა შემოსაზღვრული. ამ საკითხებს ავტორის სამეცნიერო ინტერესთა სფეროში საგულისხმო ადგილი უკავია. მათი კვლევა გასული საუკუნის 90-იან წლებში, ქართული სახელმწიფოებრიობის განახლების დროიდან დაიწყო და დღემდე ვაგრძელებ. შესაბამისი პუბლიკაციებიც, რომელთა ოდენობა ორ ათეულამდე აღწევს, სხვადასხვა წელს გამოცემულ მრავალ სამეცნიერო ჟურნალსა და კრებულშია გაფანტული. რამდენიმე სტატია 2008 წლის აგვისტოს ომსაც ეძღვნება, რომელიც საქართველოში რუსეთის მესამედ მობრუნების მცდელობადაა გააზრებული. როცა ამ ნაწერებს თვალი მთლიანობაში გადავახედო, მათი ერთ წიგნად შეკვრისა და ცალკე გამოცემის იდეა დამებადა. იდეა რეალობად გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში იქცა.

ეს გარემოება სრულიადაც არ არის შემთხვევითი. ქალაქ გორისა და მისი უნივერსიტეტისათვის საქართველო-რუსეთის ურთიერთობა, განსაკუთრებით კი 2008 წლის აგვისტოს ტრაგიკული დღეები, მხოლოდ უემოციო ისტორია როდია. იგი აქ ტკივილიან განცდას, მძაფრ, ჯერაც გაუხუნარ მოგონებებს, დალუპულთა ხსოვნის პატივისცემასა და სამომავლო ფიქრს ერწყმის. წიგნიც, რომლის გაცნობის შესაძლებლობა დაინტერესებულ მკითხველს ხსენებული უნივერსიტეტის მესვეურთა ხელშეწყობით ეძლევა, ამ სულისკვეთებითაა გამსჭვალული.

ავტორი ნაშრომის გამოცემაში თანადგომისათვის მადლობას უხდის გორის უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ გიორგი სოსიაშვილს, ასევე უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრსა და მის ხელმძღვანელს პროფესორ ელდარ მამისთვალიშვილს.

## ქართველთა ერთობის საკითხი ქართულ-რუსული ურთიერთობის კონტექსტში

ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქია მანამდე დაიშალა, ვიდრე მის მინა-წყალს ორი მეზობელი იმპერია – ირანი და ოსმალეთი 1555 წელს ერთმანეთში გაიყოფდნენ. დაშლილ-დანაწევრებული ქვეყნის პოლიტიკურ გაერთიანებას წინ მრავალი დაბრკოლება ელოებოდა. არსებობდა საქართველოს ერთ სხეულად შეკვრის ხელისშემშლელი როგორც შიდა, ისე საგარეო ფაქტორები. მაგრამ ისიც აუცილებელია აღინიშნოს, რომ ეროვნული ერთობის პათოსი არასოდეს ჩამცხრალა და ასწლელეებს გადასწვდა. საქართველოს განუყოფლობისა და მთლიანობის სულისკვეთებას ქართულ სამეფო-სამთავროთა საერთო ენა, ერთიანი კულტურა და სარწმუნოება, საერთო სამშობლოს განცდა ასაზრდოებდა (სამშობლო და სახელმწიფო იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო თანმხვედრი ცნებები).

კავკასიის რეგიონში რუსეთის სახით მესამე ძალის აქტიურმა გამოჩენამ ქართველი ერის გაერთიანების გზაზე ახალი იმედები წარმოშვა. ცნობილია, რომ რუსეთისაკენ მზერა პირველმა მაჰმადიანური აგრესიისაგან შევიწროებულმა კახეთის სამეფომ მიაპყრო და ერთმორწმუნე ჩრდილოელი მეზობელი მხსნელად და მოკავშირედ დაიგულა.

ქართველთა ცნობიერებაში რუსეთი იმ დროს ძლევამოსილ მართლმადიდებელ ქვეყნად აღიქმებოდა, რომელსაც ძალუძდა მუსლიმთა ძალმომრეობით სასომიხ-დილი ქრისტიანი თანამოქმედებისათვის მფარველობის ხელი გაწვდინა. ცოტა მოგვიანებით მასვე დაუკავშირდა საქართველოს ტერიტორიული გამთლიანების პერსპექტივაც, ისე, რომ არავის უფიქრია საფრთხეზე, რაც რუსეთის კავკასიურ ორბიტაზე დამკვიდრებას შეიძლე-ბოდა მოჰყოლოდა.

\* პირველად დაიბეჭდა კრებულში „ივერიელთა ერთობის ტრაქტატი: წარსული და თანამედროვეობა. სამეცნიერო კონფერენციის მასალები“, თბ., 2009.



ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური ელიტა ნაკლებად იყო გარკვეული რუსეთის ქვეშარიტ მიზნებსა და ამოცანებში. სჯეროდა, რომ ამ ქვეყნის მესვეურთა დამოკიდებულებას გარე სამყაროსთან დიდწილად სარწმუნოებრივი მოტივი განსაზღვრავდა და ცოტა რამ თუ სმენოდა "მოსკოვის" გეოსტრატეგიულ ინტერესებზე. ვერც ის წარმოედგინა, რომ თავიანთი სამფლობელოების გაფართოების მიზნით რუსეთის ხელისუფალნი, სამხედრო ექსპანსიის პარალელურად, ფართოდ მიმართავდნენ მანტაჟის, გადაბირების, მოტყუების, დაშინებისა და სხვა „დიპლომატიურ“ ხერხებს, რომლებიც ჯერ კიდევ უცხო იყო ქართული სინამდვილისათვის. საქართველოში დარწმუნებულები იყვნენ, რომ "რუსეთი ერთადერთი ქრისტიანული სახელმწიფოა, რომელსაც ამიერკავკასიაში უშუალო პოლიტიკური ინტერესები მოეპოვება, და რომ ეს ინტერესები საქართველოს პოლიტიკურ მისწრაფებას არ ეწინააღმდეგება".<sup>1</sup>

საქართველოს ერთობის იდეა განსაკუთრებით აქტუალური გახდა XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, რაც განაპირობა ქვეყნის ცალკეული ნაწილების მეტნაკლებმა თავისუფლებამ და დამპყრობლებზე დამოკიდებულების შესუსტებამ. ჯერ კიდევ 1740-იანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც თეიმურაზ მეორე ქართლის ტახტზე ქრისტიანული წესით ავიდა, ხოლო კახეთის მეფედ მისი შვილი ერეკლე მეორე დამტკიცდა, აღმოსავლეთ საქართველოს ირანზე დამოკიდებულება სულ უფრო ფორმალურ ხასიათას იძენდა. ნადირ შაჰი იძულებული იყო ახალ რეალობას შეგუებოდა. იგი დათმობების ხარჯზე თავისი ვასლების გაერთოვლებას ცდილობდა, რათა ქართველ პოლიტიკოსთა ქრისტიანულ რუსეთთან შემდგომი დაკავშირების გეგმები ჩაეშალა. ნადირმა საქართველოს დაუბრუნა ყაზახი - ლორე, ბორჩალო და ბაიდარი, რომელიც შაჰ-აბას I-ს ჯერ კიდევ XVII საუკუნის დასაწყისიდან ჰქონდა მიტაცებული.

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წგნ. II, თბ., 1965, გვ. 198.



მამა-შვილის თითქმის ერთდროული გამეფება ქართლსა და კახეთში ამ პოლიტიკურ ერთეულთა დამოუკიდებლობისა და გაერთიანებისათვის ბრძოლაში ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა. სწორად გათვლილი და გონივრული პოლიტიკით თეიმურაზ მეორემ შეძლო, რომ ქართლში გამოგზავნილი შაჰის "ვექილები" და აქ მდგომი ირანული ჯარები თავის განკარგულებაში მოექცია. ერეკლე მეორემ კი ყიზილბაშთა ლაშქარს "ხმალი დაჰკრა"<sup>2</sup> და 1748 წელს საერთოდ განდევნა თბილისიდან. ამ წელს ქართლ-კახეთმა უკანასკნელად გადაუხადა ხარკი ირანელ დამპყრობლებს და ფაქტობრივად სუვერენული უფლებები აღიდგინა.<sup>3</sup> თეიმურაზმა და ერეკლემ "ფაქტობრივი დამოუკიდებლობა მოიპოვეს, გააერთიანეს აღმოსავლეთ საქართველო და გადააქციეს ამიერკავკასიის ჰეგემონად, დაიცვეს ქვეყანა, დაამყარეს მტკიცე წესრიგი".<sup>4</sup> ქართლ-კახეთის იმდროინდელი რეალობა კარგადაა ასახული თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის ერთობლივ წერილში რუსეთის მთავრობისადმი, რომელიც 1752 წელს მოსკოვში ქართულმა ელჩობამ ჩაიტანა. ქართველი მეფეები აცნობებდნენ იმპერატორ ელისაბედ პეტრეს ასულს, რომ იმ დროს მათზე არც ერთი მაჰმადიანი ხელმწიფე არ ბატონობდა და სავსებით ხელსაყრელი ვითარება იყო შექმნილი საქართველოს მთლიანად განთავისუფლებისათვის. "ვინათგან ან მყოფთა ამ ყამსა არლარავინ არს უსჯულოთა მეფეთაგანი უფალი ჩვენზედა ... ან არს ყამი გამოსხნისა ჩვენისა და დღე აღდგომისა ჩვენისა".<sup>5</sup> ცნობილია, რომ საქართველოს "გამოსხნისა" და "აღდგომის" დიდ გეგმაში "აღდგომა" ცალკეულ სამეფო-სამთავროთა გაუქმებას, საქართველოს

<sup>2</sup> პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, გვ. 154.

<sup>3</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 611.

<sup>4</sup> ლ. ტუხაშვილი, რუსეთი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1983, გვ. 28.

<sup>5</sup> ი. ცინცაძე, ათანასე თბილელისა და სიმონ მაყაშვილის ელჩობა რუსეთში (1752-1754), "საისტორიო მოამბე", ტ. 6, 1952, გვ. 140.



ტერიტორიულ აღდგენას, მის გაერთიანებასა და პოლიტიკურ გაძლიერებას ნიშნავდა”.<sup>6</sup>


1758 წელს გორში სოლომონ I-მა, ერეკლე II-მ და თეიმურაზ II-მ მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება დადეს. ეს ხელშეკრულება უპირველეს ყოვლისა სამხედრო ხასიათისა იყო, მაგრამ იმაზეც აშკარად მიანიშნებდა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ქრისტიანი მეფეები კურსს დასავლეთ საქართველოსთან პოლიტიკურ დაახლოებაზეც იღებდნენ, რასაც შედეგი სამომავლოდ უნდა გამოეღო. ამ მოვლენიდან ხუთიოდე წლის შემდეგ რუსეთს მყოფი თეიმურაზ II გარდაიცვალა. ერეკლემ ქართლ-კახეთი ერთ სამეფოდ გააერთიანა. 1762 წელს “თიბათვეს ერეკლემ შეაერთა ქართლ-კახეთის სამეფოები და ერთმეფედ იქნა დიდის დღესასწაუ-ლობით”.<sup>7</sup> საგულისხმოა, რომ ორსაუკუნენახევარზე მეტი ხნის წინ გაყოფილი ქვეყნის ერთ პოლიტიკურ ერთეულად გათლიანების გზაზე გადადგმულმა ამ წარმატებულმა ნაბიჯმა საერთაშორისო გამოძახილი ჰპოვა. ირანის შაჰი შეურიგდა ურჩი ვასლის კადნიერებას, ერეკლე II ქართლის მეფედაც აღიარა და ცნო საქართველოს უპირატესობა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში.<sup>8</sup>

ერეკლე მეორის ავტორიტეტის შთამბეჭდავი ზრდა მხედველობიდან არ გამოპარვიათ არც რუსეთში. ნიშანდობლივია, რომ თუ “პატარა კახს” მანამდე მოსკოვსა და პეტერბურგში ოფიციალურად მხოლოდ პრინცად მოიხსენიებდნენ, ახლა მის მიმართ დამოკიდებულება შეიცვალა. ერეკლე რუსეთშიც გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფედ ცნეს. იმპერიის კანცლერი მ. ვორონცოვი მას უკვე მიმართავდა როგორც “Светлейшему царю грузинскому и кахетинскому Ираклию”.

<sup>6</sup> გ. პაიჭაძე, გეორგიევსკის ტრაქტატი და მისი მნიშვნელობა, თბ., 1980, გვ. 11.

<sup>7</sup> პ. კარბელაშვილი (ცხვილოელი), დემეტრე ამილახვარი და მეფე ერეკლე, ჟურნ. “მოამბე,” 1896, № 1, განყ. II, გვ. 96.

<sup>8</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, გვ. 208.



ქვეყნის გამთლიანების სკითხში პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური ფაქტორების გარდა, თავისი როლი უნდა შეესრულებინა პოლიტიკური მინაარსით გაჯერებულ ქორწინებებს, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა დამოყვრება-დანათესავებასაც. 1760 წელს ერეკლე მეორის ქალიშვილი ელენე ცოლად გაჰყვა სოლომონ I-ის ძმას არჩილ ბატონიშვილს, ხოლო 1764 წელს სამეგრელოს მთავარი კაცია დადიანი ერეკლე მეორის დაზე - ელისაბედ ბაგრატიონზე დაქორწინდა. თავის მხრივ, კაცია დადიანის და მარიამი იმერეთის მეფის სოლომონ I-ის მეუღლე იყო. ცხადია; ერეკლე მეორე ამ გზითაც იმერეთსა და ოდიშზე თავის გავლენის გაძლიერებას ცდილობდა. მაგრამ უფრო არსებითი მისი სამხედრო მიღწევები იყო.

ერეკლე II-ის სამხედრო წარმატებებს იმდენად დიდი რეზონანსი ჰქონდა ამ წლებში, რომ მან აღმოსავლეთის ხალხებს (სომხები, ასირიელები, იეზიდები, ბერძნები და ა. შ.) საქართველოსთან დაახლოების სურვილი გაუჩინა. ქართველი მეფე კავკასიისა და წინა აზიის ქრისტიანი მოსახლეობის განმათავისუფლებლის როლში გამოდიოდა. "სომხეთში ახალი შინაარსი მიეცა პროქართულ ორიენტაციას. ერეკლე მეორესთან ქართულ-სომხური ერთიანი სახელმწიფოს პროექტით ჩამოვიდა ინდოეთის სომხური ბურჟუაზიის წარმომადგენელი იოსებ ემინი. გაიზარდა ქართლ-კახეთის პოლიტიკური წონა ერაყელ და ეგვიპტელ მამლუქებში, ისტორიულ მესხეთში, აჭარასა და ლაზეთში".<sup>9</sup> ქართლ-კახეთის ამგვარმა წარმატებამ დიდი ფსიქოლოგიური ეფექტი მოახდინა ადგილობრივი ფეოდალების მსოფლმხედველობაზეც.

გაერთიანებულ ქართლ-კახეთში აღორძინდა კულტურული და საგანმანათლებლო საქმიანობა. 1763 წელს სამშობლოში დაბრუნდა და კვლავ საქართველოს ეკლესიის მესაჭე გახდა ანტონ I. აღდგა სტამბა, განახლდა წიგნის ბეჭდვა, განახლდა სწავლება თბილისის სემინარიასა და

<sup>9</sup> ლ. ტუხაშვილი, რუსეთი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში, გვ. 80.



თელავის სასულიერო სასწავლებელში, დაარსდა ახალი სამონასტრო სკოლები და სხვ. ყოველივე ამას არ შეიძლებოდა არ მიეზიდა დასავლეთ საქართველოს მეფეთა და მთავართა ყურადღებაც.

თავის მხრივ, ერეკლე უფრო აქტიურად ერეოდა იმერეთის როგორც საშინაო ისე საგარეო პრობლემებში. "50-60-იან წლებში ერეკლეს პოლიტიკური გავლენა დასავლეთ საქართველოზე უცილობელი იყო", შენიშნავდა ცნობილი ქართველი ისტორიკოსი მამია დუმბაძე.<sup>10</sup> აღნიშნულის საილუსტრაციოდ ერთ მაგალითს მოვიშველიებთ: როდესაც 1767 წელს რუსეთმა უარი თქვა დახმარებოდა იმერეთს და თავი შეიკავა იმაზეც, რომ გამოსულიყო მედიატორად იმერეთ-ოსმალეთს შორის, ეს როლი ქართლ-კახეთის მეფემ იკისრა და წარმატებითაც შეასრულა. ერეკლე II-ის შუამავლობით გაფორმებული ხელშეკრულება იმერეთს ოსმალეთის არა ვასალურ, არამედ მფარველობაში მყოფ ქვეყნად ცნობდა. რეალურად კი ეს მფარველობაც უკვე ფორმალურ ხასიათს იძენდა და სოლომონ I მთელი დასავლეთ საქართველოს განთავისუფლება-გამთლიანების გეგმებს სახავდა. აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის სიტყვით, თუ სოლომონი "ქართველობისათვის ბრძოლის მეთაურად გამოდიოდა",<sup>11</sup> "ზემო და ქვემო ივერიის" გამაერთიანებელი დროშა ხელთ მეფე ერეკლეს უნდა სჭეროდა.

ნიშანდობლივია, რომ ერეკლე მეორე არაერთ იმდროინდელ საეკლესიო საბუთში მოხსენიებულია სრულიად საქართველოს მეფედ. კერძოდ, 1764 წელს გამოცემული "კურთხევანის" პირველ გვერდზე დაბეჭდილ ანტონ კათოლიკოსის აკროსტიხში იკითხება: "ბეჭდისა ამის (იგულისხმება სტამბა, - ო. ჯ.) მეორედ განმაახლებელი მეფე სრულიად საქართველოისა ირაკლი". ასეთივე ტიტულით იხსენიება ერეკლე მეორე 1784 წელს დასტამბულ

<sup>10</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 721.

<sup>11</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, გვ. 214



“კურთხევანში” ჩართულ სამების ხატის წარწერაშიც და სხვ.<sup>12</sup>

ქართულ ისტორიოგრაფიაში უკვე აღნიშნულია, რომ XVIII საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევარში საქართველოს შინაპოლიტიკური კრიზისის შენელებაში, მცირე ხნით, თავისი როლი შეასრულა რუსეთის იმპერიამ. რომ იგი თავიდან გაემიჯნა ქართლის ტახტის მადიებელ უფლისწულებს და ასეთი პოლიტიკით ობიექტურად ხელი შეუწყო თეიმურაზისა და ერეკლეს პროგრესული მმართველობის სტაბილიზაციას. მკვლევარ ლოვარდ ტუხაშვილის სიტყვით, საქართველოს მდგომარეობის სტაბილიზაცია თავისთავად აძლიერებდა რუსეთის გავლენას სამხრეთის მიმართულებით. გარკვეული დროით, ეს რუსეთს ხელს აძლევდა, რადგან საიმპერიო კარზე მიიჩნევდნენ, რომ ქართლის აშლილობით შეიძლებოდა ესარგებლა ირანს და თურქეთს და ეს მხარე კიდევ ერთხელ დაემორჩილებინა.<sup>13</sup> მსგავსი თვალსაზრისი გამოთქმული აქვს პროფესორ ვალერიან მაჭარაძესაც. იგი წერდა: “XVIII საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთი საქართველოში ... შინაპოლიტიკური ბრძოლების ჩაქრობისათვის იბრძოდა, რომ თურქეთსა და ირანს ჩარევის საბაზი არ მისცემოდათ.”<sup>14</sup>

მართლაც, სამშობლოდან გახიზნული და რუსეთს მყოფი ვახტანგ VI-ის შთამომავალნი, რომლებიც ქართლის ტახტის ლეგიტიმურ პრეტენდენტებად მიიჩნეოდნენ, რუსეთისთვის დამატებითი კოზირი იყო საქართველოს საქმეებში ჩასარევად. იმპერიის უმაღლეს საჭეთმპყრობლებს შეეძლოთ ეს კოზირი როდესაც სურდათ და საჭიროდ ჩათვლიდნენ, მაშინ აემოქმედებინათ და თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ.

სწორედ იმ ხანებში სამშობლოში დაბრუნებასა და ქართლის ტახტის კანონიერად დაკავებას დაჟინებით

<sup>12</sup> აპ. როგავა, სახალხო განათლება ერეკლე მეორის ხანის ქართლ-კახეთში, თბ., 1950, გვ. 133-134.  
<sup>13</sup> ლ. ტუხაშვილი, რუსეთი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში, გვ. 28.  
<sup>14</sup> გეორგიევსკის ტრაქტატი, გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა, თბ., 1983, გვ. 14-15.



მოითხოვდა ალექსანდრე ბაქარისძე. იგი რუს ხელისუფალთა არწმუნებდა, რომ გააერთიანებდა მთელ საქართველოს დაიმორჩილებდა კავკასიას და დაიპყრობდა ირანის იმპერიას. ეკატერინე მეორის მთავრობა ირონიით მოეკიდა ქართველი უფლისწულის ამ ოპტიმიზმს, ხოლო პაატა ბატონიშვილის შეთქმულების მარცხის შემდეგ საერთოდაც გაემიჯნა მას და არჩევანი ერეკლე მეორეზე გააკეთა.

საქართველოს ამბებით დაინტერესება ამ დროისათვის რუსეთში უცხო აღარ იყო. არსებობდა ინფორმაციის მოპოვების არერთი წყარო, მათ შორის უცხოეთში შეკრებილი და მოძიებულიც. ცნობები ერეკლე მეორისა და სოლომონ I-ის წარმატებულ პოლიტიკაზე, მათ ბრძოლებზე თავისუფლებისათვის და სხვ. ფართოდ ქვეყნდებოდა ევროპული პრესის ფურცლებზე. რუსეთის შესაბამისი სამსახურები ამ ინფორმაციას თვალს ყურადღებით ადევნებდნენ, მაგრამ ეს მასალა არ იყო საკმარისი რეგიონში არსებული ვითარების სრულად აღსაქმელად. ამით უნდა აიხსნას, რომ ჯერ კიდევ 1754 წელს მოსკოვიდან სამშობლოში დაბრუნებულ ქართლ-კახეთის მეფეთა ელჩობას თან გამოაყოლეს ქართველ ჰუსართა პოლკის კაპიტანი ოთარ თუმანოვი (თუმანიშვილი). ამ უკანასკნელს საგანგებოდ დაევალა, რომ შეესწავლა საქართველოს შიდა და გარე პოლიტიკური სიტუაცია, თვალყური ედევნებინა ირანისა და ოსმალეთის პოლიტიკისათვის, გამოერკვია საქართველოს პოზიცია მათ მიმართ და ყოველი შესაძლო ცვლილების შემთხვევაში უმალ საქმის კურსში ჩაეყენებინა რუსეთის სამეფო კარი.<sup>15</sup> თუ აქამდე არა, ამ თარიღიდან მოყოლებული მაინც, საქართველოს აღარ მოკლებია ჩრდილოეთიდან მსგავსი დავალებით მოვლინებული და ადგილზე შერჩეული რუსეთის მსტოვარ-აგენტები.

1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომში სოლომონ I და ერეკლე II ეკატერინე II-ის წინადადებით რუსეთის მოკავშირედ გამოვიდნენ, მაგრამ საკუთარ მიზნებსაც ისახავდნენ. ქართლ-კახეთის მეფე ახალციხის საფაშოდ

<sup>15</sup> ი. ცინცაძე, ათანასე თბილელისა და სიმონ მაყაშვილის ელჩობა რუსეთში, გვ. 160-161.



ქცეული ისტორიული მესხეთის შემოერთებას ესწრაფვოდა და საამისოდ რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების დაპირებაც გააჩნდა.<sup>16</sup> ერეკლე ითხოვდა, რომ გარეთ არ დარჩენილიყო “ქვეყანა ახალციხისა, ვინაიდან საქართველოსა შინა არის და ქართული ენა აქუსთ და მრავალნი ქრისტიანენი არიან მათში და სხვანიც ახალი გადაქცეულნი არიან მაჰმადიანობაზედ”.

✓

რუსეთის უმაღლესმა ხელისუფლებამ სიტყვა გატეხა და დაპირება არ შეასრულა. საქართველოში შემოსული რუსთა ჯარის მეთაური გენერალი ტოტლებენი ქართლ-კახეთს არათუ ახალციხის საფაშოს შემოერთებაში დაეხმარა, არამედ ერეკლეს მასთან ხელშეკრულებით დაკავშირებული იმერეთის მეფეც კი ნაჰკიდა. ამ ფაქტის გამო სოლომონ I ეკატერინე მეორეს წერდა: ტოტლებენმა “უნესოთა მიმოსვლითა მეფე ირაკლი და ჩვენ ძმობისა და ერთსულ ფრიად განგვყო და განგვაშორა და რამდენიმე მიზეზნი და სავენებელიცა სიტყვანი დასთესა შორსა ჩვენსა”.<sup>17</sup> ცხადია, ეს შემთხვევითი არ ყოფილა. რუსეთ-თურქეთის ხსენებული ომის დაწყებიდან ორიოდ წლის შემდეგ ცხადი გახდა, რომ “რუსეთი საქართველოს აღდგენისა და გაძლიერების საქმისადმი გულგრილობას იჩენდა”, ხოლო 1772 წლის მაისში ეკატერინე მეორემ საქართველოდან თავისი ჯარი საერთოდ უკან გაიწვია.<sup>18</sup>

რუსმა სარდალმა ერეკლე და სოლომონი ურთიერთს ვერ გადაამტერა. ქართველ მეფეთა “განშორება” დროებითი აღმოჩნდა, 1773 წელს ისინი ერთმანეთს უშუალოდ შეხვდნენ, რის შედეგადაც ქართლ-კახეთსა და იმერეთს შორის სამხედრო კავშირი განახლდა. ხელშეკრულების ტექსტის ასლი ქართველმა მეფეებმა რუსეთის მთავრობას

<sup>16</sup> საქართველოს ისტორია, II (XIII-XVIII საუკუნეები), ნ. ასათიანისა და გ. ჯამბურის რედაქციით, თბ., 2008, გვ. 324.

<sup>17</sup> А. Цагарели, Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся до Грузии, т. I, СПб., 1891, გვ. 87.

<sup>18</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, გვ. 220.



გაუგზავნეს.<sup>19</sup> მალე ახალციხეზე ერთობლივი ლაშქრობაც მოეწყო, თუმცა უშედეგოდ.

1777-1778 წლებში ერეკლე მეორე ახერხებს ოსმალეთის სულთანთან საერთო ენის გამონახვას და ხელშეკრულების გაფორმებას. ეხება რა ერეკლესა და ოსმალეთის დაახლოებას, მკვლევარი მიხეილ სამსონაძე მიიჩნევს, რომ ქართლ-კახეთის პოლიტიკოსთა მხრივ დათმობების სამაგიეროდ სულთნის კარი ერეკლეს დასავლეთ საქართველოზე გაბატონების სანქციას აძლევდა. "ამგვარი მსხვერპლი პორტას შეეძლო უმტკივნეულოდ გაეღო, რადგან ლიხთიმერეთი მისი გავლენიდან გამოსული იყო და მასზე უფლებების ფაქტობრივი აღდგენის პერსპექტივა თითქმის არ ჩანდა". "ქართულ-ოსმალური პროექტი" დამყარებული იყო ირანის სისუსტეზე, საქართველოს საქმეებისადმი რუსეთის გულგრილობაზე, იმერეთში ოპოზიციური განწყობილებების არსებობასა და გაერთიანებისაკენ მისწრაფებაზე.<sup>20</sup>

ოსმალეთის პროტექტორატით საქართველოს პოლიტიკური გამთლიანება, რომელიც სამხრეთ კავკასიაში მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ ცვლილებებს გამოიწვევდა, ნაკლებად ემთხვეოდა რუსეთის ინტერესებს. იგი მიუღებელი უნდა ყოფილიყო რომანოვთა იმპერიისათვის, რადგან გაერთიანებულ საქართველოზე თურქეთის გავლენას გააძლიერებდა.

მოსალოდნელი გეოპოლიტიკური კონფიგურაციით უკმაყოფილო დარჩა სოლომონ I-იც, რომელმაც ერეკლეს ამ პოლიტიკაში იმერეთისათვის საფრთხე დაინახა. რუსეთის ჩარევითა და სოლომონ I-ის აქტიურობით საქართველოს გაერთიანების ხსენებული გეგმა ჩაიშალა.<sup>21</sup>

ერეკლე მეორეს საქართველოს გაერთიანებაზე ზრუნვა არც გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმების შემდეგ შეუნწყვეტია, ოღონდ ამ საშვილიშვილო საქმის

<sup>19</sup> გ. პაიჭაძე, გეორგიევსკის ტრაქტატი და მისი მნიშვნელობა, გვ. 30.  
<sup>20</sup> მ. სამსონაძე, საქართველოს გაერთიანების პრობლემა და საგარეო ორიენტაცია XVIII საუკუნეში, თბ., 1988, გვ. 209, 212.  
<sup>21</sup> მ. სამსონაძე, დასახ. წიგნი, გვ. 214.



განხორციელებაში იგი ახლა რუსეთის მხარდაჭერას იმედოვნებდა. ქართველი მეფის ოპტიმიზმს ის ვარაუდობდა, რომ ტრაქტატის შესაბამისად, ერეკლეს სამფლობელოთა მთლიანობის დაცვას რუსეთის მხარე კისრულობდა, რუსეთს ხელსაყრელ სიტუაციაში იმაზეც უნდა ეზრუნა, რომ საქართველოსთვის ის კუთვნილი ტერიტორიებიც დაებრუნებინა, რომელიც სხვადასხვა დროს მტრებს ჰქონდათ მიტაცებული. ასე, რომ "რუსეთის მთავრობა საქართველოს ისტორიულ საზღვრებში აღდგენის იმედს იძლეოდა".<sup>22</sup>

ივანე ჯავახიშვილი შენიშნავდა, რომ ქართველი მეფის ეს მოლოდინი პოლიტიკური გულუბრყვილობა იყო, რომ 1783 წლის ხელშეკრულებას საქართველოსთვის სარგებლობა არა მოუტანია რა, ზიანი კი აუარებელი. ამ ხელშეკრულების წყალობით საქართველო გარეშე საფრთხისაგან დაცვის მაგიერ სამის მხრით მტრებით გარშემორტყმული გახდა და თავის მეზობლებთანაც განუწყვეტილვ საომარ განწყობილებაში ჩავარდა.<sup>23</sup>

XVIII საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ერეკლემ მდგომარეობის ერთგვარი სტაბილიზება მოახერხა, მეტიც, 1789 წელს, საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისათვის რამდენადმე უკეთესი შანსიც გაჩნდა. თუ აქამდე ქვეყნის ერთ სხეულად შეკავშირებას საგარეო ფაქტორებთან ერთად დასავლეთ საქართველოში ცალკე სამეფო ტახტის არსებობაც ხელს უშლიდა, ახლა ქართლ-კახეთთან შეერთებისათვის ფართო მოძრაობა სწორედ იმერეთის სამეფოში დაიწყო. აქაური საერო არისტოკრატიის თვალსაჩინო წარმომადგენლები და მღვდელმთავრები ერეკლე მეორეს ეახლნენ და ითხოვეს, რათა მან „ინებოს და შეიერთოს თვისდა სამეფოდ იმერეთი, ვითარცა იყო ერთი მთავრობისა დროთა." დესპანები არწმუნებდნენ მეფეს, რომ „ყოველი სამეფო იმერეთისა მოელის სიქადულით და მხიარულებით საქმისა ამის

<sup>22</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 690.  
<sup>23</sup> ი. ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII საუკუნეში, ისტორიული რარიტეტები, თბ., 1989, გვ. 109-110.



დასასრულსა; თვით მთავართა გურიისას და თდიშისას სურთ და სწყურიათ ესე. მცხოვრებთა გლახთა ცაიციონ ესე და უხარისთ ბატონობა თქვენი იმერეთსა, მტერთაგან ჯარისა გაოხრებულსა".<sup>24</sup>

ერეკლე II-მ საკითხი დარბაზის სხდომაზე გაიტანა. აზრი გაიყო, თუმცა გაერთიანების მომხრენი სჭარბობდნენ მოწინააღმდეგეებს. ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ მეფემ დარბაზის რჩევა უარყო და განაცხადა, რომ „დავსვამ იმერეთისა ტახტზედ შვილისშვილისა ჩემსა და ესრეთისა კავშირითა თვით თვისით იქმნება ერთობა იმერეთისა ქართლისა თანა".<sup>25</sup>

ერეკლე II-ის ამ გადაწყვეტილებას მკვლევარნი დღემდე სხვადასხვაგვარად აფასებენ. თუ ერთნი სრულად ამართლებენ ქართლ-კახეთის მეფის ფრთხილ პოლიტიკას, მეორენი მას გაუბედაობისა და შანსის ხელიდან გაშვებისათვის აკრიტიკებენ.

ძნელი მისახვედრი როდია, რომ დასავლეთ საქართველოს შემოერთებაზე მეტად ერეკლე მეორეს მისი დაცვა და შენარჩუნება გაუძნელდებოდა. ამ ნიადაგზე, საფიქრებელია, საქართველოს ოსმალეთის შემოტევის მოგერიებაც დასჭირდებოდა და სხვ. მაგრამ ქვეყნის შინაგანი სიმტკიცითა და ერთობით შეუძლებელი არც ეს უნდა ყოფილიყო. იმდროინდელი რუსი დიპლომატი პ. ლევაშოვის სიტყვით: "ქართველებს საშინაო თანხმობა რომ ჰქონოდათ, მაშინ ვერავითარი საგარეო-მტრული ძალა უმცირეს ზიანსაც კი ვერ მიაყენებდა".<sup>26</sup>

პრობლემის სიღრმისეული ანალიზი სცდება წინამდებარე სტატიის მიზანდასახულობას, რის გამოც მას ამჯერად თავს ავარიდებთ და კითხვას სხვა კუთხით დასვამთ: კერძოდ, ერეკლეს რომ დასავლეთ საქართველო შემოეერთებინა, როგორ შეხვდებოდა რუსეთი ამ ფაქტს? მოიწონებდა თუ არა იგი ქართველთა ამ ნაბიჯს?

<sup>24</sup> პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ, 1978, გვ 15.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 18.

<sup>26</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 16





ძნელია ვივარაუდოთ, დაუჭერდა მხარს ეკატერინე მეორე საქართველოს გაერთიანებას და დაეხმარებოდა თუ არა იგი სამხედრო ძალით თავის "მოკავშირე" ერეკლეს თურქთა აგრესიის შემთხვევაში, მაგრამ იმჟამად ოსმალეთთან ომში მყოფი რუსეთისათვის მონინააღმდევის ძალების დაქსასვა (ომის თეატრის სამხრეთ კავკასიის ასპარეზზეც გადატანა) რომ ხელსაყრელი იქნებოდა, ეჭვს არ იწვევს.

ასეა თუ ისე, ფაქტი ერთია: საქართველოს გაერთიანება ვერ მოხერხდა, მაგრამ "ამ ცდისაგან კარგად ჩანდა, რომ ამერეთ-იმერეთის გაერთიანების იდეა მნიფდებოდა".<sup>27</sup>

ერეკლე მეორემ თავის შვილიშვილს დავით არჩილის ძეს ქართლ-კახეთის ლაშქარი მიაშველა და იგი იმერეთში გაამეფა სოლომონ მეორის სახელით. ამით ქვეყნის ერთიანობას მყარი ბალავარი ეყრებოდა.

1790 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს ვიცე-კანცლერის სოლომონ ლიონიძის ინიციატივითა და ძალისხმევით გაფორმდა "ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა, აღწერილი სამეფოსა ქალაქსა თბილისს".<sup>28</sup>

ტრაქტატი, რომელიც პროფესორ ვალერიან მაჭარაძის აზრით, "საქართველოს საშინაო ვითარების ერთგვარ მონესრიგებას ისახავდა მიზნად და ალა-მაჰმად-ხანის მოსალოდნელი თავდასხმის შემთხვევაში ერეკლესათვის დახმარებას გულისხმობდა",<sup>29</sup> ქვეყნის ცალკეულ კუთხეთა შეკავშირების გზაზე გადადგმული საგულისხმო ნაბიჯიც იყო. ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, "ამ კავშირს ერთი უზენაესი თავი ჰყავდა, რომელიც უაღრესი ხელმწიფებით იყო მოსილი. საქართველოს სამეფო-სამთავროთა კავშირის ასეთ თავად ქართლ-კახეთის მეფე იყო ცნობილი".<sup>30</sup>

<sup>27</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, გვ. 235.  
<sup>28</sup> А. Цагарели, Грамоты и другіе историческіе документы XVIII столетія, относящіеся до Грузии, т. II, вып. I, СПб., 1902, გვ. 183-185.  
<sup>29</sup> ვ. მაჭარაძე, ივერიელ მეფეთა შეთანხმება, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, ტ. II, თბ., 1999, გვ. 140  
<sup>30</sup> ი. ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII საუკუნეში, გვ. 97.



ხსენებული დოკუმენტიდან ჩანს, რომ იმერეთის მეფე, გურიისა და ოდიშის მთავრები ერეკლე II-ს "ზემო და ქვემო ივერიის" "საზოგადო მამად" აღიარებენ და ცნობენ მის სუვერენულ უფლებას გაერთიანებულ საქართველოზე, - ივერიაზე.<sup>31</sup> გრიგოლ ვეშაპელი პარალელს ავლებდა "ივერიელთა ტრაქტატსა" და 1815-1866 წლებში გერმანიის კავშირს შორის და დასძენდა, რომ "ქართლ-კახეთს არ დასცალდა ქართულ პრუსიის როლის აღსრულება".

1790 წლის ივერიელთა ერთობის ტრაქტატი, რომელიც გაფორმებისთანავე გაეგზავნა რუსეთის საიმპერატორო კარს, პეტერბურგში შენიშვნის გარეშე მიიღეს ცნობად, როგორც ფაქტი და მის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება არ გამოუხატავთ. ის გარემოება, რომ რუსეთის სამეფო კარს მომხდარის გამო პროტესტი არ განუცხადებია, მოწმობს შემდეგს: რუსეთი დასავლეთ საქართველოს ქართლ-კახეთისთვის არ აღიქვამს უცხო ქვეყნად და მასთან ურთიერთობას არ მიიჩნევს ერეკლე II-ის საგარეო პოლიტიკად, რომლის წარმოება ქართველ მეფეს გეორგიევსკის ხელშეკრულების თანახმად (მეოთხე არტიკული), შეზღუდული ჰქონდა. მართალია, რუსეთი ტრაქტატის პირობებს თვითონ არ იცავდა, მაგრამ ქართლ-კახეთისაგან მათ შესრულებას ზედმინვნით მოითხოვდა. "ერეკლეს მეთაურობით საერთო მტრის წინააღმდეგ სამხედრო კავშირის პირობა", როგორც ივერიელთა ერთობის ხსენებულ დოკუმენტს ნიკო ბერძენიშვილი უწოდებდა, რუსეთში არ მიუჩნევიანთ გეორგიევსკის ტრაქტატის დარღვევად, თუმცა მას არც აღფრთოვანებით შეხვედრიან.

რუსეთის სტრატეგიული მიზანი არა საქართველოს გაერთიანება, არამედ კავკასიის დაპყრობა იყო, ამიტომ საქართველოსთან დამოკიდებულებას მეფის მთავრობა ძირითადად ამ კონტექსტში განიხილავდა. საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ხასიათსა და ტაქტიკას სწორედ აღნიშნული მიზანი განსაზღვრავდა ამით აიხსნება, რომ რუსეთის მთავრობა ქართლ-კახეთს ჯერ ცნობილი

<sup>31</sup> გ. ვეშაპელი, საქართველო და რუსეთი, თბ., 1918, გვ. 4; 16.



“საბერძნეთის პროექტის” ფარგლებში ტერიტორიულ გაფართოებასა და გაძლიერებას ჰპირდებოდა. “მოიხმარეთ რუსეთის ძლევამოსილება თქვენ სამეფოთა და ხალხთა დიდებისათვის, შეაერთეთ და განამტკიცეთ თქვენი სამეფო ხელმწიფება და განავრცელეთ თქვენი მფლობელობა ვიდრე არეზამდის და ოსმალეთის, ხონთქრის კარამდისო”.<sup>32</sup> ცოტა მოგვიანებით რუსეთმა თავის მფარველობაში მყოფი ქვეყნიდან მის დასაცავად აქ შემოყვანილი ჯარიც კი უკანვე გაიწვია და “მოკავშირე” ქართლ-კახეთი მტრების წინაშე მარტოდ დატოვა.

გრძელვადიან პერსპექტივაში რუსეთს ხელს არ აძლევდა საქართველოს გამთლიანება და გაძლიერება, რადგან ასეთ რეალობაში რუსეთის ფაქტორი, როგორც დამხმარე ძალისა, სუსტდებოდა და შესაძლოა საქართველოს მისი პროტექტორატი აღარც დასჭირვებოდა.

ამიტომაც იყო, რომ რუსეთის იმპერიამ შემდგომში ქართლ-კახეთის გაძლიერებისა და საქართველოს გაერთიანებისათვის კი არ იღვანა, რასაც გეორგიევსკის ტრაქტატით კისრულობდა, არამედ პირიქით, საქართველოს დასუსტებისთვის იმუშავა.<sup>33</sup> XIX საუკუნის დამდეგს რუსეთმა ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრიობა საერთოდ გააუქმა და აღმოსავლეთ საქართველო თავის გუბერნიად გამოაცხადა. ოდნავ მოგვიანებით მეფის მთავრობამ დასავლეთ საქართველოც დაიპყრო, ჯერ იმერეთის სამეფო მოშალა, მერე კი აქაური სამთავროების არსებობასაც ბოლო მოუღო და მთელი საქართველო საკუთარი იმპერიის განაპირა, სრულიად უუფლებო და კოლონიურ მხარედ აქცია.

რუსეთს (როგორც ცარისტულს, ისე ბოლშევიკურს თუ პოსტსაბჭოურს) შეეძლო და როდესაც საჭიროდ მიიჩნევდა, არღვევდა და არღვევს კიდევ საქართველოს ერთიანობასა და ტერიტორიულ მთლიანობას თავისი ინტერესების

<sup>32</sup> გ. ვეშაპელი, დასახ. ნიგნი, გვ. 8.

<sup>33</sup> ა. ბენდიანიშვილი, ა. დაუშვილი, მ. სამსონაძე, დ. ჭუმბურიძე, ხ. ქოქრაშვილი, ო. ჯანელიძე, რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბ., 2008, გვ. 20.



შესაბამისად. მაგალითად, მეფის მთავრობამ 1904 წელს სოხუმის ოკრუგს (აფხაზეთი) მისი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი (გაგრის რაიონი სოჭითურთ) ჩამოაცილა და შავი ზღვის გუბერნიას შეუერთა.

1918 წლის 3 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის ზავით, საბჭოთა რუსეთმა გერმანიის მოკავშირე ოსმალეთს საქართველოს კუთვნილი ბათუმისა და არტაანის ოლქები დაუთმო. 1921 წლის 16 მარტს მოსკოვში დაიდო რუსეთ-თურქეთის „ძმობისა და მეგობრობის ხელშეკრულება“, რომლის თანახმად, ართვინი და არტაანი თურქეთა მფლობელობაში გადადიოდა და სხვ. საქართველოს დაშლ-დანაწევრების კურსის გაგრძელებაა რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება 2008 წლის აგვისტოში მათი ფაქტობრივი ოკუპაციის პირობებში.

თანამედროვე რუსი გეოპოლიტიკოსები თუ პოლიტიკოსები ხშირად აცხადებენ: „საქართველო XIX საუკუნეში რუსეთს ნაწილ-ნაწილ შეუერთდა“, რომ იგი არასოდეს ყოფილა ერთიანი და ახლაც პეტერბურგსა თუ მოსკოვში მისი დაქუცმაცების გეგმებსა და პროექტებს ადგენენ.

რუსეთი დღემდე გვამადლის, რომ საქართველოს გაერთიანება მხოლოდ რომანოვთა იმპერიის ძალისხმევით გახდა შესაძლებელი. ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს და ეს ქართულ ისტორიოგრაფიაში, მათ შორის ბოლო პერიოდის ნაშრომებშიც<sup>34</sup> ხაზგასმულია, რომ ოსმალეთის მიერ მიტაცებული ქართული მიწა-წყლის განთავისუფლება და დედა სამშობლოსთან დაბრუნება მართლაც რუსეთის იმპერიის ფარგლებში განხორციელდა. ამას ისეთი ქართველი ნაციონალისტებიც კი აღიარებდნენ, როგორებიც იყვნენ გრიგოლ ვეშაპელი და გრიგოლ რობაქიძე. მაგრამ არ უნდა დაგვავინყდეს და აუცილებელია ითქვას, რომ ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თვითონ ქართველობამ – ქართულმა სახალხო ლაშქარმა, მილიციამ,

<sup>34</sup> ა. ბენდიანიშვილი, ა. დაუშვილი და სხვ., რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, გვ. 531.



მთლიანად ხალხის შემართებამ და თავდადებად. საქართველოს სხვადასხვა კუთხის ტერიტორიული შეერთება და პოლიტიკური გამთლიანება სულაც არ ყოფილა ცარიზმის კეთილშობილური მიზანი. და თუ ეს ობიექტურ შედეგად მოჰყვა რუსეთის ომებს ირან-თურქეთის წინააღმდეგ, ამ ომებს მეფის მთავრობა იმპერიის სამფლობელოთა გაფართოებისა და რეგიონში გავლენის გასაძლიერებლად აწარმოებდა და არა ქართველთა საუკუნოვანი ოცნების ხორცშესასხმელად.

## ორი რუსეთი (მითი თუ რეალობა?)\*

იშვიათია თემა, რომელსაც იმდენი პუბლიკაცია ეძღვნებოდა ამ ბოლო დროს, რამდენიც საქართველო-რუსეთის ურთიერთობის პრობლემას. ინტერესი განპირობებულია როგორც ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის სიტუაციის უკიდურესი გამწვავებით, ისე წარსულის ობიექტური გააზრებისა და მისი უკეთ შეცნობის აუცილებლობითაც. ამ კუთხით აქტუალურია მსჯელობა ე.წ. ორი რუსეთის შესახებ, გარკვევა იმისა, შესაძლებელია თუ არა, რომ ერთი და იგივე ქვეყანა ერთდროულად იყოს დემოკრატიულიც და რეაქციულიც, სხვა ქვეყნის, მაგალითად, საქართველოს მოამაგეც და დამპყრობ-დამმონებელიც.

ვინც მეტ-ნაკლებად იცნობს რუსეთისა და საქართველოს ისტორიას გასულ საუკუნეებში, დამეთანხმება, რომ ეს თემა ახალი არ არის. საუბარი დრომოჭმულ, კონსერვატორულსა და ახალ, პროგრესულ რუსეთზე დეკაბრისტებმა ჯერ კიდევ XIX საუკუნის 20-იან წლებში წამოიწყეს. ახლადწარმოშობილი და თითქოს ერთმანეთთან დაპირისპირებული ეს ორი ბანაკი დახატა ა. გრიბოედოვმა თავის პოემაში “ვაი ჭკუისაგან.” სკალოზუბების, მოლჩალინების და ფამუსოვების ხავსმოკიდებულ და რეაქციულ რუსეთს მან ჩაცკის სახით დაუპირისპირა ახალგაზრდა და თავისუფლებისმოყვარე რუსეთი. თუმცა ისიც სათქმელია, რომ ჩაცკისნაირები მთელს რუსეთში თითზე ჩამოსათვლელნი თუ იყვნენ. თავად გრიბოედოვი წერდა: “ჩემს კომედიაში 25 სულელი მოდის ერთ სალად მოაზროვნე ადამიანზეო.”

ბ. ბელინსკის სიტყვით, “ვაი ჭკუისაგან” რუსული სინამდვილის პოეტურ გამოსახვას წარმოადგენდა. მაგრამ ნამდვილი, ანუ ოფიციალური რუსეთი სხვა იყო და იმპერიაში მოქცეულ არარუს ხალხებთან

\* პირველად დაიბეჭდა კრებულში „საქართველოში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ისტორიის ნარკვევები, წგნ. I, თბ., 2008.



დამოკიდებულებაში, რაც ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, - ამ სახელმწიფოს მეთაურსა და თუ რაღაც კვებვერდომთა აბსოლუტურ უმრავლესობას ერთი თვალსაზრისი გააჩნდა.

ლიტერატურულ კრიტიკაში აღიარებულია, რომ ჩაცკი დეკაბრისტებისა და თვით ავტორის შეხედულებებს ამჟღავნებს. ეს შეხედულებანი კი დიდად როდი განსხვავდებოდა იმ ოფიციალური პოლიტიკისაგან, რომელსაც ცარიზმი ახორციელებდა. მაგალითად, დეკაბრისტთა აღიარებული ლიდერიპ. პესტელი თავის საპროგრამო დოკუმენტში - "რუსკაია პრავდა", პირდაპირ მიუთითებდა, რომ რუსეთის იმპერიაში შემავალი არარუსი მოსახლეობა საბოლოოდ უნდა შეერწყას რუს ხალხსო. ეხებოდა რა კავკასიის საკითხს, პესტელი წერდა: "გაიყოს კავკასიის ხალხები ორ თანრიგად - მშვიდობიან და მშფოთვარედ. მათგან პირველნი დატოვებულ იქნას საცხოვრებელ ადგილზე. მიეცეს მათ რუსული კანონ-სამართალი. ჩასახლებულ იქნას კავკასიაში რუსი კოლონისტები, რომელთაც გადაეცეს მშფოთვარე მოსახლეობისათვის ჩამორთმეული მიწები. ამით უზრუნველყოფილი იქნება კავკასიის დამშვიდება და ეს მხარე გადაიქცევა მშვიდ და კეთილმოწყობილ რუსულ ოლქად".<sup>1</sup>

კავკასიის, მათ შორის საქართველოს კოლონიზაციის პროცესი მეფის მთავრობას ამ დროს უკვე კარგა ხნის დაწყებული ჰქონდა. უცხოტომელთა საქართველოში ჩამოსახლება ჯერ კიდევ ციციანოვმა წამოიწყო, როცა მეზობელი სახანოებიდან ქართლ-კახეთში რამდენიმე ათასი სომეხი გადმოიყვანა. 1817-1819 წლებში თბილისში, ბოლნისში, სართიჭალასა და სხვ. ადგილებში რუსეთიდან გერმანელი კოლონისტები ჩამოსახლეს და საუკეთესო ნაკვეთები გამოუყვეს. ამას მოჰყვა სამსახურიდან გასულ რუს ჯარისკაცთა თუ ოფიცერთა კომპაქტური დასახლებების - სამხედრო დაბების შექმნა და სხვ. არაქართველთა ხელოვნური მიგრაცია, საქართველოს კუთხეთა ეთნოგრაფიული აჭრელება, რაც ქართველი ხალხის

<sup>1</sup> პ. სურგულაძე, რუსეთის იმპერია XIX საუკუნეში, თბ., 1973, გვ. 139-140.



ეროვნული გადაგვარებისა და გაქრობის ამოცანას ემსახურებოდა, ცარიზმის დამხობამდე ფაქტობრივად არ შეწყვეტილა.

დეკაბრისტები, რომლებიც თავად განასახიერებდნენ ახალგაზრდა, პროგრესულ რუსეთს და მზად იყვნენ თავი გაენიროთ ქვეყნის განახლებისა თუ უკეთესი მომავლისათვის, საქართველოსთან მიმართებაში ბევრად როდი განირჩეოდნენ თვითმპყრობელური მეფის რუსეთისაგან. მათაც ნაკლებ ანუხებდათ იმ ხალხთა ეროვნული თავისუფლების ბედი, რომლებიც რუსეთის "ხალხთა საპყრობილეში" ძალმომრეობით იტანჯებოდნენ.

ა. პუშკინიც ხომ მიესალმებოდა რუსეთის არმიის მიერ კავკასიის დაპყრობას, როცა წერდა: "ქედი მოიხარე, კავკასიავ, ერმოლოვი მოდის!"

ავილთ ჩერნიშევსკი, - ყველაზე დიდი დემოკრატი და რევოლუციონერი ლენინამდელ რუსეთში. ცოტა ძალისხმევა მოახმარა ნიკო ნიკოლაძემ დასჯილი ჩერნიშევსკის გადასახლებიდან განთავისუფლებას? იგივე ნიკო ნიკოლაძე არ იყო ჩერნიშევსკის ნაშრომთა გამოცემის მოამაგე და რედაქტორი? თუნდაც მაღლიერების ნიშნად ხომ მაინც უნდა დასცდენოდა ჩერნიშევსკის მცირე სიტყვა საქართველოს სასარგებლოდ. არ უთქვამს! ამაოდ დაუნყებთ ძებნას ამგვარ რამეს მის ნაწერებში. ჩვენი ეროვნული საწუხარი და გულისტკივილი დემოკრატ ჩერნიშევსკისთვისაც ისეთივე უცხო იყო და შორეული, როგორც კონსერვატორ თუ რეაქციონერ რუს მოხელე-ჩინოვნიკთათვის.

მაშ, როდის და საიდან გაჩნდა თვალსაზრისი ორი რუსეთის შესახებ?

ერთმორწმუნე ჩრდილოელი მეზობელი მაჰმადიანური აგრესიისაგან მხსნელად და მფარველად ქართველმა მეფეებმა ჯერ კიდევ XV საუკუნეში მიიჩნიეს და მზერა მისკენ მიაპყრეს.

მას შემდეგ, რაც რუსეთსა და კახეთს შორის ელჩების მიმოსვლა დაიწყო, რუსთა ქვეყნის შესახებ საქართველოში ზოგადად დადებითი შეხედულება ჩამოყალიბდა. ქართველთა ცნობიერებაში რუსეთი ძლევამოსილ



მართლმადიდებელ სახელმწიფოდ აღიქმებოდა, რომელსაც შეეძლო მფარველობის ხელი გაეწვდინა მუსლიმთა ურდოებით შევიწროებული ქრისტიანი თანამოქმედებისათვის. მაშინ არავის მოსვლია აზრად, ეფიქრა საფრთხეზეც, რაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა რუსეთის კავკასიურ ორბიტაზე გამოჩენას.

ფეოდალური საქართველოს გვიანდელი მესვეურებიც ნაკლებად აცნობიერებდნენ, რომ რუსეთი იმპერია იყო და იგი თავის გავლენას სხვა ხალხებსა თუ ქვეყნებზე ძალადობრივი გზით ავრცელებდა; რომ იმპერიული სამფლობელოების გაფართოების მიზნით, რუსეთის ხელისუფალნი, სამხედრო ექსპანსიის გარდა, ფართოდ მიმართავდნენ თავიანთ დიპლომატიურ არსენალში დამკვიდრებულ შანტაჟის, გადაბირების, მოტყუების, დაშინებისა და სხვა ხერხებს, რომლებიც ჯერ კიდევ უცხო იყო ქართული სინამდვილისათვის.

ჩვენს მეფეებსა და დიდებულებს ჯერაც ვერ გაეაზრებინათ, რომ რუსეთის პოლიტიკას სხვა ხალხებთან მიმართებაში სარწმუნოებრივი ერთობა და ქრისტიანული კაცთმოყვარეობა კი არ განსაზღვრავდა, არამედ საკუთარი იმპერიის მიზნები და გეოსტრატეგიული ინტერესები.

XVIII საუკუნის ბოლოს თბილისში მყოფი პატრი ნიკოლა ამოდ ცდილობდა თვალი აეხილა ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII-სათვის. გულუბრყვილო და ორთოდოქს ქრისტიან გიორგის არ სჯეროდა პატრის სიტყვები, რომ რუსნი, "უცხო ნათესავნი, პატრონად ქვეყანისა მოყვანილი, შეექმნება ერსა მტერად, ... მდევნელად და მანუხებლად"; რომ "რუსნი შემოიტანენ პირველადვე მძიმესა უღელსა და დასდებენ ქვეყანისა კისერსა; მოითხოვენ დიდთა ხარკთა" და სხვ.<sup>2</sup>

გიორგი XII-ს სიკვდილამდე მიაჩნდა, რომ საქართველოში ქრისტიანობის შენარჩუნება ურუხეთოდ შეუძლებელი იყო. "თუ არა მკლავი რუსთა ხელმწიფისა, ვერ ვინ დაიცავს საქრისტიანოსა. ... სხვა პატრონი არა გვყავს ჩვენ გარდა რუსთა ხელმწიფეთა," - აცხადებდა იგი<sup>3</sup>.

<sup>2</sup> პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ., 1978, გვ. 152.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 152-153.



1799 წლის ნოემბერში, გეორგიევსკის ტრაქტატის თანახმად, თბილისში რუსეთის სამხედრო პოლკი შემოვიდა. საინტორიო წყარო მოგვითხრობს: "გონიერთა ქართველთა უხაროდათ რუსთა ჯარისა შემოსვლა, ვითარცა ერთმორწმუნისა ერისაგან ელოდნენ ქვეყნის დაცვასა".<sup>4</sup>

ამ ადამიანებს გულწრფელად სწამდათ, რომ მართლმადიდებელი ძლიერი მეზობელი შეიფარებდა ჩვენს ქვეყანას, მისცემდა მას მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობას და სხვ. მათ არ დაუნყიათ რუსეთში "სხვა რუსეთის" ძებნა, რადგან სჯეროდათ სახელმწიფოსი, რომელიც ტრაქტატით შეეკრა ერეკლე II-ს და მისი სამეფოს დაცვა ოფიციალურად იკისრა.

ქართველი მწერალი და ფილოსოფოსი იონა ხელაშვილი საქართველოში რუსთა დამკვიდრების გამო XIX საუკუნის დამდეგს აღფრთოვანებული აღნიშნავდა: "დღეთა ამათ წინაპარნი ინატრიდნენ, რათამცა თვით ეხილათ ოქროვანი საუკუნე ესე... აჰა, აღმოგიბრწყინა სიბრძნისა მზეი ნაზარეველმან ჩრდილოეთისაგან. აჰა, ოქროვანი საუკუნე გაქვს".<sup>5</sup>

დიდი ფეოდალი ივანე აფხაზი ნატრობდა: "ლმერთო, ნუ მიიყვან რუსთა ესრეთსა განწირულებასა შინა, რომელ იძულებულ იყვნენ დატევებად საქართველოსა, რომელიცა მისვე შეიქმნების მსხვერპლად უწესობისა, შინაგანისა განხეთქილებისა და ზედადასხმისა დაუძინებელ მტერთაგან".<sup>6</sup>


მაგრამ მალე გაირკვა, რომ ეს "მფარველი" "მოყვარე მტერია," - მოშალა ბაგრატიონთა ტახტი, გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, შემოიღო უცხო მართვა-გამგებლობა და სასტიკი რეჟიმი გააბატონა.

ქართველობა მიხვდა, რომ მოატყუეს. რუსეთმა გატეხა იმპერატორის სიტყვა, დაარღვია ტრაქტატით ნაკისრი პირობა და საქართველო კი არ დაიცვა და დაიფარა, არამედ დაიპყრო და თავის იმპერიას მიუერთა. "არავინ ველოდით

<sup>4</sup> იქვე, გვ. 140.

<sup>5</sup> მ. გაფრინდაშვილი, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ნარკვევები, III, თბ., 1988, გვ. 300.

<sup>6</sup> გრიგოლ ორბელიანი, თბ., 1989, გვ. 235.



რუსთაგან ამასო”,<sup>7</sup> გაიოცეს სახტად დარჩენილმა ქართველებმა, მაგრამ გვიანლა იყო. სწორედ ამ დროიდან შეიქმნა საჭირო “მეორე რუსეთის” ძიება.

“ახალ”, “სხვა” რუსეთად დასახული იქნა ცარიზმთან დაპირისპირებული ლიბერალური, დემოკრატიული თუ რევოლუციური ძალები, რომლებიც იმპერიის სახელმწიფოებრივი წყობილების შეცვლის მიზანს ისახავდნენ, მისი განახლები-სათვის იღვწოდნენ.

ცნობილია, რომ ამგვარ ძალებთან თანამშრომლობაზე გარკვეულ იმედს ამყარებდა აკაკი წერეთელიც. 1913 წელს პოეტს მოსკოვის ქართულმა სათვისტომომ შეხვედრა მოუწყო. ლიტერატურული სალამოს შემდეგ გაიმართა ტრადიციული ნადიმი. სუფრას რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ქართველი და კავკასიიდან არჩეული ზოგიერთი სხვა დეპუტატიც ესწრებოდა. ამ უკანასკნელთაგან სტუმარს გულთბილად მიესალმა მ. სკობელევი. საპასუხო სიტყვაში აკაკი წერეთელმა აღნიშნა: “ჩვენ... დიდად ვაფასებთ ძმობას, ერთობას და მეგობრობას რუსეთის ერებთან. მართალია, რუსის ხალხში ბევრია ისეთები, რომლებსაც არ სურთ და ეჯავრებათ ჩვენი ასეთი ძმური კავშირი, მაგრამ არის სამაგიეროდ ახალგაზრდა რუსეთი, რომელთანაც ჩვენ გვსურს ხელიხელჩაკიდებით სიარული არა მარტო ეროვნული, არამედ საკაცობრიო იდეალების განსახორციელებლად, იმ იდეალებისა, რომელსაც ეწოდება ძმობა, ერთობა, თანასწორობა”.<sup>8</sup>

ქართულ საზოგადოებრივ ცნობიერებაში ორი რუსეთის იდეის დამკვიდრება ა. გრიბოედოვთან მხატვრულად ასახულ და აკაკი წერეთლის სადღეგრძელოში წარმოჩენილ ახალგაზრდა რუსეთს ნაკლებად უკავშირდება. ამ მხრივ მთავარი როლი საბჭოთა პროპაგანდამ შეასრულა, რომელიც ლენინის შეხედულებას ეყრდნობოდა და გამუდმებით ხაზს უსვამდა ძველი - მეფის რუსეთისა და ახალი - ბოლშევიკურ-კომუნისტური რუსეთის სხვადასხვაობას არა მხოლოდ კულტურის, არამედ

<sup>7</sup> პ. იოსელიანი, დასახ. წიგნი, გვ. 180.

<sup>8</sup> ჟურნ. “კლდე” 1913, #6.




სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ნიშნით, წარმოაჩენდა ურთაპირველს ხავსმოკიდებულ, რეაქციულ გამოვლენებად, ხოლო მეორეს უაღრესად დემოკრატიულ, პროგრესულ ფენომენად. ანგარიში არ ეწეოდა იმ გარემოებას, რომ არ შეიძლებოდა ყოფილიყო და არც ყოფილა არასოდეს ორი რუსეთი ოფიციალური თვალსაზრისით. სახელმწიფოებრივი პოლიტიკა რუსეთისა მუდამ ერთი - იმპერიულ-დერჟავული იყო მეფის დროსაც, საბჭოთა ხანაშიც და ასეთივეა ახლაც.

ამ თემაზე დღეს ბევრი იწერება რუსეთშიც. პოსტსაბჭოური რუსული ისტორიოგრაფია, განსაკუთრებით პუბლიცისტიკა აღარ მალავს რუსეთის იმპერიულ ბუნებას არამარტო თვითმპყრობელობის, არამედ კომუნისტურ ეპოქაშიც. თანამედროვე რუს მკვლევართა მრავალ პუბლიკაციაში წარმოჩენილია რუსეთის იმპერიის კოლონიური ხასიათიც.

აღსანიშნავია, რომ ათწლეულების განმავლობაში ჩვენშიც ჩამოყალიბდა სტერეოტიპი რუსეთ-საქართველოს განუყრელი მეგობრობის, პოლიტიკური ორიენტაციის საკითხში ქართველი ხალხისთვის თითქოსდა რუსეთის გარდა ალტერნატივის არარსებობის შესახებ და სხვა, რის რეციდივებს, სამწუხაროდ, დღემდე ვაწყდებით.

როცა საქართველოს რუსეთთან დაკავშირების საკითხზე ვსაუბრობთ, აუცილებელია ითქვას, რომ ჩვენ წინაპრებს ამ მხრივ ფართო არჩევანის შესაძლებლობა მართლაც არ ჰქონიათ. მათ არაერთხელ მოსინჯეს დასავლეთის სახელმწიფოებთან დაახლოების გზა, მაგრამ, გეოგრაფიული სიშორის გამო, საქართველოს ხმა ევროპას ნაკლებად წვდებოდა. ქართველი ხალხის ტრაგიკული ბედი ევროპაში მორალურ თანაგრძნობას იწვევდა, ხოლო ამას იქით საქმე აღარ მიდიოდა. საქართველო ვერ მოხვდა დასავლეთის ქვეყნების სერიოზულ ინტერესთა სფეროში. ამიტომაც იქცა ერთმორწმუნე რუსეთი ბოლო იმედად. მაგრამ რუსეთზე ორიენტაცია საქართველოსთვის ცუდსა და უარესს შორის არჩევანი იყო. უარესს, ცხადია, ირან-ოსმალეთის მაჰმადიანური გარემოცვა წარმოადგენდა, ცუდს - რუსეთი.

აქვე, არ იქნება ინტერესმოკლებული ითქვას, რომ რუსეთის როლის შესახებ განაპირა ხალხების ცხოვრებაში მცდარი თვალსაზრისი იყო გაბატონებული ბევრ ე. წ. მოკავშირე



რესპუბლიკაშიც. ახლა ამ ქვეყნების თანამედროვე ისტორიულ ლიტერატურაში ვითარება სულ სხვაგვარადაა ასახული. ამ კუთხით საყურადღებო მასალას იძლევა ერთ-ერთი ინტერნეტპროექტი სახელწოდებით: “რუსეთი პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების ისტორიის სახელმძღვანელოებში.” იგი ნაუმანის ფონდის დაკვეთით მომზადდა და განხორციელდა 2004 წელს.

თვალსაჩინოებისთვის დავიმონმოთ რამდენიმე ნიმუში: მაგალითად, სომხურ სასკოლო და სტუდენტთათვის განკუთვნილ ისტორიის სახელმძღვანელოებში დღეს ვეღარ ამოიკითხავთ, რომ რუსეთი სომხეთისათვის განმათავისუფლებელი და კეთილისმყოფელი სახელმწიფო იყო. იგი წარმოჩენილია, როგორც ძლიერი იმპერია, რომელიც მოქმედებდა საკუთარი მიზნებისა და ინტერესების მისაღწევად: “თესდა რა იმედს ამიერკავკასიის დამონებულ ხალხებში, რუსეთი ამით თავის სამხედრო-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტას იადვილებდაო,” - დაასკვნიან სომეხი ისტორიკოსები.<sup>9</sup>

აზერბაიჯანულ სახელმძღვანელოებში რუსეთი კავკასიის დამპყრობ, კოლონიზატორ ქვეყნადაა სახელდებული.<sup>10</sup> უკრაინულ ისტორიის სახელმძღვანელოებში აქცენტი მახვილდება რუსეთის მტრული სახის ჩვენებაზე, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ეწეოდა უკრაინის დაუნდობელ ექსპლუატაციას, მიმართავდა რუსიფიკაციას, ახშობდა მის ეროვნულ კულტურას, დევნიდა ადგილობრივ ენას და სხვ.<sup>11</sup> ბოლო დროს ქართველი ავტორებიც ასევე ცდილობენ მიუყერძობებლად წარმოაჩინონ საქართველოში რუსეთის მფლობელობის როგორც უარყოფითი, ისე ობიექტურად დადებითი შედეგები.

ცარიზმის ხსენებულ კურსს ანხორციელებდა ბოლშევიკური რუსეთიც. 1922 წელს, სსრ კავშირის შექმნისას, ცარიზმის იმპერიისაგან განთავისუფლებული არარუსი ერების ახალ, საბჭოთა იმპერიაში თავსმოხვეული

<sup>9</sup> <http://www.historia.ru/2004/01/bagdasarjian.htm>

<sup>10</sup> <http://www.historia.ru/2004/01/mamedova.htm>

<sup>11</sup> <http://www.contrtv.ru/print/1838>



გაერთიანება რომ შეენიღბათ, ლენინმა მოითხოვა: რუს ხალხთან შემდგომი დაახლოების ინიციატივა ქვემოდან - წინააღმდეგობა ჩაგრული ხალხებისაგან წამოსულიყო, რაც განხორციელდა კიდევ.

იგივე პოლიტიკა გრძელდება დღესაც. ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მესვეურთა და აფხაზ სეპარატისტთა რუსეთისაკენ სწრაფვა მის შემადგენლობაში შესვლის მიზნით, ინიციატივის ქვემოდან წამოსვლის ცარისტულ-ლენინური გეგმის მოდერნიზებული ვარიანტია, თორემ, ეჭვგარეშეა, ამ სწრაფვასაც რუსეთი ახალისებს.

ისტორიულად რუსეთის სახელმწიფო მუდამ მოქმედებდა პრინციპით - "ძლიერი იმორჩილებს სუსტს." განსხვავება ის იყო, რომ თუ მეფის რუსეთი ამას აშკარადაც აკეთებდა, საბჭოთა რუსეთი შეგნებულად ინიღბებოდა, რათა მსოფლიო საზოგადოებისათვის თვალი აეხვია და პასუხისმგებლობა ჩადენილის გამო თავიდან აეცილებინა. ასევე იქცევა თანამედროვე რუსეთიც.

რუსეთისთვის დამახასიათებელია ოფიციალური კურსის იმგვარი შენიღბვა, ვითომც უმაღლესმა ხელისუფლებამ არ იცის, რას ჩადიან მისი ხელქვეითები, იქნებიან ისინი სამხედროები, თუ პოლიტიკური თანამდებობის პირები. მოვიხმოთ რამდენიმე მაგალითი.

ცნობილია ასეთი ფაქტი: 1920 წლის აპრილში, მას შემდეგ, რაც რუსეთის სამხედრო შენაერთებმა უმტკივნეულოდ დაიკავეს ბაქო და აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა, სერგო ორჯონიკიძემ წითელი არმიის ნაწილები საქართველოს საზღვრებისაკენ დაძრა, ხოლო მოსკოვში დეპუტა აფრინა, - რამდენიმე დღეში თბილისში ვიქნები, "ყველაფერი ბრწყინვალედ გამოვაო." ქართულმა ჯარმა გენერალ გიორგი კვინიტაძის სარდლობით მტერს საკადრისი პასუხი გასცა და რუსები უკანვე - აზერბაიჯანისკენ გააბრუნა. მაგრამ ამჯერად ეს არ არის მთავარი. ჩვენ აქ უფრო სხვა დეტალი გვაინტერესებს.

საბჭოთა ისტორიოგრაფია ს. ორჯონიკიძის ამ ნაბიჯს ქართველი ბოლშევიკის ინიციატივად ნათლავდა და მის მოქმედებას კრემლის მესვეურთაგან მიჯნავდა. იმონმებდნენ ლენინისა და სტალინის სახელით ორჯონიკიძისათვის



გაგზავნილ დეპეშას, რომელშიც ნათქვამი იყო: "ცენტრალური კომიტეტი გავალებთ გამოცხადებით ნაწილები საქართველოს ფარგლებიდან საზღვარზე და თავი შეიკავოთ საქართველოზე შეტევისაგან".<sup>12</sup> ამით სურდათ მიეჩქმალათ კრემლის აგრესია და მთავარი მოქმედი გმირი - ლენინი საქართველოსთან დამოკიდებულებაში მხოლოდ მშვიდობიანი და კეთილმეზობლური ურთიერთობის მომხრედ გამოეყვანათ.

სინამდვილეში საქმე სხვაგვარად იყო. საქართველოს გასაბჭოების მიზნით მოსკოვში იმ ხანად ორი პროექტი შეიმუშავეს: პირველი ამ ამოცანის მიღწევას მშვიდობიანი საშუალებით ითვალისწინებდა, მეორე კი - სამხედრო ჩარევით. მეორე პროექტით მოქმედება ს. ორჯონიკიძეს ეკისრებოდა. მას კარტ-ბლანში მიცემული ჰქონდა, მაგრამ ვითარება მოულოდნელად შეიცვალა. ეს ის დროა, როდესაც პოლონეთიდან პილსუდსკიმ შემოუტია და კიევი აიღო, ხოლო ყირიმში ვრანგელი გააქტიურდა და დესანტი ყუბანში გადასხა. დამატებით კიდევ ერთ ფრონტზე ბრძოლას საბჭოთა რუსეთი ველარ შეძლებდა, რის გამოც საქართველოს საკითხის გადაწყვეტაში უპირატესობა დროებით მშვიდობიან გზას მიანიჭეს. მით უფრო, რომ მოსკოვთან მოლაპარაკების მისწრაფება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფალთაც გააჩნდათ და ამ მიზნით რუსეთში ნარგზავნილი გრიგოლ ურატაძეც უკვე გზაში იმყოფებოდა. ამიტომაც მოთხოვეს ორჯონიკიძეს, შეეჩერებინა საბრძოლო ოპერაციები და ხელი აელო შეტევაზე.

საქართველოს საზღვრებში ნითელი ჯარით შემოჭრა რომ სერგო ორჯონიკიძის თვითნებობა ყოფილიყო და არა ცენტრის ცოტა ადრინდელი ნებართვით მოწყობილი აქცია, ცხადია, ორჯონიკიძეს დარწმუნებას არ დაუნყებდნენ, - ვითარების შეცვლის გამო წამოწყებული შეტევა შეაჩერე, ცენტრალური კომიტეტის ახლანდელ ხაზს

<sup>12</sup> ა. ირემაძე, განთიადის სათავეებთან, თბ., 1984, გვ. 233.

ენინაალმდეგებაო, - მას რევოლუციის  
შესატყვისად, უბრალოდ, დახვრეტდნენ.<sup>13</sup>

გავიხსენოთ 1989 წლის 9 აპრილი. დღემდე დოკუმენ-  
ტურად პასუხი არ გაცემულა კითხვაზე: ვინ მისცა ბრძანება  
საბჭოთა არმიის მეომრებს თბილისში მანიფესტაციის  
დასარბევად, რომელიც მსხვერპლით დამთავრდა. ხომ  
ფაქტია, რომ ხელს აფარებენ მ. გორბაჩოვს, თორემ, სად,  
როდის, რომელ ქვეყანაში მოქმედებს რეგულარული არმია  
მთავრობისა თუ სახელმწიფოს მეთაურის დაუკითხავად?

მოსკოვი დიდხანს უარყოფდა აფხაზეთის ტრაგედიაში  
რუსი გენერლებისა და ოფიცრების მონაწილეობას, თუმცა  
შემდგომში ელცინმა აღიარა დანაშაულში რუსეთის პასუხის-  
მგებლობაც.


კრემლის საიდუმლო უკვე გაშიფრულია. მიგნებულია  
ფორმულა, რომელიც ნათელს ჰფენს ამ თავსატეხ საკითხს.  
ეს გახლავთ დღემდე უცვლელად მოქმედი, ჯერ კიდევ 1920  
წელს გაცემული ლენინური დირექტივა, რომელშიც ხაზგას-  
მულია: "ჯარების შეყვანა უნდა მოხდეს ფრონტის ან არმიის  
განკარგულებით და ან ფრონტის ან არმიის სახელით, მაგ-  
რამ არა მთავრობის სახელით."

სამწუხაროდ, ქართველი პოლიტიკოსები ყოველთვის  
დროზე როდი გამოიცნობდნენ რუსეთის ნამდვილ მიზან-  
სწრაფვას.

ცდებოდა ერეკლე მეორე, როდესაც ქართლ-კახეთის  
"დასახმარებლად" გამოგზავნილ რუსეთის თითქოსდა ურჩ  
გენერალს ეკატერინე მეორესთან დაასმენდა. ქართველ  
მეფეს არ სჯეროდა, თორემ ტოტლებენი ზუსტად ისე  
იქცეოდა, როგორაც საიმპერატორო კარზე იყო  
დარიგებული. არსებითად, ეკატერინე II-ცა და მისი  
გენერლებიც ერთ - დიდმპყრობელურ და იმპერიულ რუსულ  
პოლიტიკას ახორციელებდნენ: ცნობილია, რომ  
ტოტლებენის შემცვლელ გენერალ სუხოტინსაც იგივე  
ინსტრუქცია მიეცა, რაც მისი წინამორბედს<sup>14</sup>.

<sup>13</sup> ო. ჯანელიძე, დახვრეტილი თავისუფლება, თბ., 2000, გვ. 33

<sup>14</sup> ი. ცინცაძე, ორი საბუთი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის  
ისტორიიდან 1768-1774 წ.წ. რუსეთ-თურქეთის ომში, ენიმკის მოამბე,



ცდებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სათავეში მყოფი ნოე ჟორდანია, დარწმუნებული იმად, რომ საქართველოსთან მიმართებაში რუსეთს ორი ტენდენცია გააჩნდა: "ერთი - პოლიტიკური, მეორე იმპერიალისტური. ამ უკანასკნელს მეთაურობდნენ ტროცკი, სამხედრო მინისტრი და სტალინი, ეროვნებათა მინისტრი (კომისარი), პირველს კი ლენინი".<sup>15</sup>

1917 წლის ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ რუსეთში მართლაც გამოიკვეთა ორი პოლიტიკური ძალა, - ერთის მხრივ, ხელისუფლებას დაპატრონებული ბოლშევიკებისა და მეორეს მხრივ, ძველი რეჟიმის ერთგული თეთრგვარდიული მოძრაობის სახით. ამ სრულიად განსხვავებული მსოფლმხედველობის მქონე დაჯგუფებებს ანუ "წითელ" და "თეთრ" რუსეთს, რომლებიც ერთმანეთს ძალაუფლებისათვის ბრძოლაში სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდნენ, ერთი საერთო მახასათიებელი ჰქონდათ. არც ერთი მათგანი არ ურიგდებოდა ყოფილი იმპერიის დანაწევრებას, არ ცნობდა რუსეთისაგან გამოყოფილი განაპირა ქვეყნების დამოუკიდებლობას და ესწრაფოდა მათ ხელახლა დამორჩილებას. მართებულად შენიშნავდა გაზეთი "საქართველო": "რანაირი შინაარსიც არ უნდა მიიღონ ფერებმა რუსეთში (წითელი, თეთრი თუ მწვანე), ცხადია ერთი რამ: რუსეთი არ შეიცვლის თავის იმპერიულ დამოკიდებულებას საქართველოსადმი".<sup>16</sup>

თუ საერთოდ შეიძლება ლაპარაკი ორ რუსეთზე და ისიც პირობითად, ეს ყველაზე უფრო 1918-1920 წლების ისტორიის მონაკვეთს შეეხება, როცა რუსეთი გახვეული იყო სამოქალაქო ომის ხანძარში და არავინ იცოდა, ვინ ვის ძლევა, - გაიმარჯვებდა საბჭოთა ხელისუფლება (ბოლშევიზმი) თუ მისი მოწინააღმდეგე თეთრგვარდიელი გენერლების ბანაკი. ამ პერიოდში საქართველოს პრაქტიკულად "ორივე რუსეთთან" მოუხდა შეხება, უფრო სწორად, თავის დაცვა, როგორც ერთის, ისე მეორის

1940, №5-6, გვ. 351.

<sup>15</sup> ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, თბ., 1990, გვ. 117.

<sup>16</sup> გაზ. "საქართველო," 1920 წ., 16 თებერვალი.



შემოტევისაგან და დარწმუნდა მათ დამპყრობლურმა მისწრაფებაში.

საქართველოსთან დამოკიდებულებაში რუსეთის პოლიტიკა, როგორც ვნახეთ, არასოდეს ყოფილა კეთილმეზობლური, იგი მუდამ იმპერიული და აგრესიული იყო. მეფე ერეკლე ვერ მოესწრო, ეხილა რუსეთის ჭეშმარიტი სახე, ნოე ჟორდანიას კი არა მხოლოდ თვითმხილველი, არამედ მსხვერპლიც გახდა რუსეთის ძალმომრეობისა.

კიდევ ერთი რუსული თვისების გამო. შემჩნეულია: საკუთარ მთავრობასთან ოპოზიციაში მყოფი დემოკრატი რუსები, თუ ბედის წყალობით ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდნენ, სხვა ხალხთან დამოკიდებულებაში აუცილებლად აგრესიულნი ხდებიან და დემოკრატიობას ივინწყებენ. თვალსაჩინო მაგალითია ა. კერენსკი და ბ. ელცინი.

ცარიზმთან დაპირისპირებული კერენსკი დროებითი მთავრობის მეთაურის პოსტზე თვითმპყრობელობაზე ნაკლები გულმოდგინეობით როდი იცავდა სახელმწიფოს მთლიანობისა და საქართველოს რუსეთის შემადგენლობაში დარჩენის იდეას. ა. კერენსკი წინ აღუდგა საქართველოსთვის არა მხოლოდ პოლიტიკური ავტონომიის მინიჭებას, არამედ ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენასაც კი. თანაპარტიულ და სხვა ქართველებთან შეხვედრისას მას ურცხვად განუცხადებია: "ჩვენ შორის დიდი გაუგებრობაა, ჩვენ ერთმანეთისა ვერა გაგვიგია-რაო".<sup>17</sup> დავით კლდიაშვილიც იგონებდა, როგორი საყვედურით მიუმართავს ქუთაისში ჩამოსული კერენსკისათვის გიორგი ზდანოვიჩს: "ალექსანდრ ფიოდოროვიჩ, თუ თქვენ ამგვარი შეხედულებისა ხართ საქართველოზე, უმჯობესი იყო აქ ფეხი არ დაგედგათო!"<sup>18</sup>

1989 წლის 9 აპრილის ამბებთან დაკავშირებით, რუსეთში ხელისუფლებისათვის მებრძოლი ელცინი თბილისს ესტუმრა და ქართველ ხალხს თანადგომა აღუთქვა. როცა კრემლს დაეპატრონა და ქვეყნის პრეზიდენტი გახდა, ელცინს

<sup>17</sup> ვასილ წერეთელი, თბ., 1998, გვ. 214.

<sup>18</sup> დ. კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათუმი, 1984, გვ. 186.



საქართველოს სატყევეთმშენებელი ალარ გახსენებია. მეტიც, რუსეთი მისი მმართველობის დროსაც ისევე ცდილობდა შეენარჩუნებინა საქართველოზე პოლიტიკური თუ ეკონომიკური გავლენა, როგორც გორბაჩოვის ხანაში. მოსკოვი აშკარად თუ ფარულად აქეზებდა სეპარატისტულ მოძრაობას საქართველოში და სხვ.

კონსტანტინე გამსახურდიას ეკუთვნის სიტყვები: "დემოკრატიულ რუსეთთან ჩვენ თარჯიმანი არ დაგვჭირდებაო". მართლაც, დემოკრატიის ენა ყველასათვის გასაგები უნდა იყოს. თვალუწვდენელ რუსეთში გაკრთება ხოლმე დემოკრატიის აჩრდილი. რა თქმა უნდა, ამას უნდა მივესალმოთ. არც მასთან კავშირზე შეიძლება უარის თქმა. მაგრამ ახალი შეცდომა აღარ უნდა მოგვივიდეს, - ეს არ არის მეორე რუსეთი, რადგან ორი რუსეთი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისით არც არსებულა და არც არსებობს, იგი მხოლოდ მითია, ფანტაზიის ნაყოფია და არაფერი აქვს საერთო რეალობასთან.

*ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ რუსის  
ჯარს ის მინა-წყალი დაეტოვებინოს,  
რომელზედაც ფეხი დადგა.*

*პავლე ციციანოვი*

რუსეთის იმპერიული მზერა კავკასიონის მაღალ ქედს ჯერ კიდევ XV საუკუნის ბოლო მეოთხედში გადმონვდა. მაგრამ არცთუ დიდი ხნის წინ მონღოლთა ხანგრძლივ ბატონობას თავდაღწეულ ქვეყანას, რომელიც მოსკოვის გარშემო რუსული მიწების შემოკრებით იყო დაკავებული, სამხრეთ კავკასიაში აქტიური პოლიტიკის წარმოება არ შეეძლო. ამ დროისათვის რუსეთს კავკასიის მიმართ პოლიტიკური ან სტრატეგიული ინტერესი მკაფიოდ გამოკვეთილი არ ჰქონია. რუსეთის სამეფო კარზე კარგად იცოდნენ, რომ სამხრეთ კავკასიაში შეღწევა არაერთ სირთულესთან იყო დაკავშირებული. რეგიონში რუსეთის გამოჩენა აუცილებლად დაძაბავდა რუსეთ-ოსმალეთის და რუსეთ-ირანის ურთიერთობას, რაც უომრად არ დამთავრდებოდა. მოსკოვი საქმის ამგვარ გამწვავებას იმხანად არ გეგმავდა. რუსთხელმწიფეს პოზიციები ჯერ ჩრდილოეთ კავკასიის ბარში (მთისწინეთში) უნდა განემტკიცებინა, ამ გზაზე კი მთავარ დაბრკოლებას ყირიმის სახანო ჰქმნიდა. სამხრეთისაკენ წარმატებულ წინსვლას რუსეთი ვერც იმ შემთხვევაში მოახერხებდა, თუ შავი ზღვის ჩრდილოეთ და აზოვის ზღვის სანაპიროებზე ფეხს მტკიცედ არ მოიკიდებდა. რუსეთის საგარეო პოლიტიკაში პრიორიტეტი არა სამხრეთის, არამედ ჩრდილო დასავლეთისა (ბალტიისპირეთი) და დასავლეთის (პოლონეთი) მიმართულებებს მიენიჭა. ამიტომ ივანე მესამის ხანაში (1462-1505 წ.წ.) რუსეთ-საქართველოს (რუსეთ-კახეთის) ურთიერთობა ელჩობათა დონეზე დაზვერვის სტადიას არ გასცდენია.

უფრო „საქმიანი“ ხასიათი ამ ურთიერთობამ XVI საუკუნის 60-იანი წლებისათვის შეიძინა, მას შემდეგ, რაც ივანე IV-

\* პირველად დაიბეჭდა კრებულში „საქართველოში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ისტორიის ნარკვევები, წგნ. II, თბ., 2008.



მ ყაზანისა და ვოლგისპირეთის დაპყრობით რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს საზღვრები სამხრეთის მიმართულელებითაც განავრცო, ხოლო 1557 წელს ყაზარდოს დაეუფლა და კავკასიის ასპარეზზე აქტიურად გამოვიდა. ამიერიდან მოსკოვი აღარც მალავს, რომ დაინტერესებულია რეგიონში "ხელდებულ-მოკავშირეების" მოპოვებით.

ნიკო ბერძენიშვილის სიტყვით, ისტორიულმა ვითარებამ "სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ წამოსული მოსკოვის რუსეთისა და მტრული გარემოცვით შევიწროებული კახეთის რეალური საგარეო პოლიტიკური ინტერესები ერთი-მეორეს შეუთანხმა".<sup>1</sup> ლევან კახთა მეფის თხოვნით, ივანე მრისხანემ 1564 წელს 500 კაციანი მეციხოვნე რაზმი კავკასიონის გადმოსასვლელით კახეთში გამოგზავნა, ცოტა ხანში კი (1567 წ.) რუსეთმა მდინარე სუნჯის თერგთან შესართავის ახლოს ციხე-სიმაგრეც ააგო.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ ყოფილა ქართულ მიწა-წყალზე რუსეთის სამხედრო შენაერთთა პირველი გამოჩენა. უძველესი ცნობა "რუსის ჯარის" საქართველოში ყოფნის შესახებ ბაგრატ IV-ის მეფობის (1027-1072 წ.წ.) ხანას უკავშირდება. "მატიანე ქართლისაი" კონკრეტული თარიღის მიუთითებლად გადმოგვცემს: "და მოვიდეს ვარანგნი სამი ათასი კაცი".<sup>2</sup>

ქართული წყაროს ეს "ვარანგნი" (ძველბერძნულად "ვარანგოი"), ნორმანული წარმოშობის ტომები არიან. ვარიანგებს თავდაპირველად საზღვაო და სამდინარო იმ სამხედრო ლაშქრობათა მონაწილეებს უწოდებდნენ, რომლებიც მოსულნი იყვნენ ბალტიის (ვარიანგთა ზღვის) რეგიონიდან. თავიანთი შეუბრალებელი ძარცვა-რბევებით ვარიანგებს იმ პერიოდისათვის აკლებული ჰყავდათ მეზობელი თუ შორეული სახელმწიფოები. სიმამაცით განთქმული ვარიანგთა შეიარაღებული ფორმირებები ნადავლის დასაუფლებლად ხშირ ლაშქრობებს აწყობდნენ და მსხვერპლად გამიზნული ქვეყნის მოსახლეობას თავს ღვთის რისხვად ატყდებოდნენ.

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, V, თბ., 1971, გვ. 236.

<sup>2</sup> "ქართლის ცხოვრება", თბ., 1996, გვ. 232



“ღმერთო, დაგვიფარე ნორმანთა თავდასხმებისაგანო”<sup>3</sup> უფალს თხოვდნენ შველას ამ ჩრდილოელი ტომების სისასტიკით თავმოებზრებული და სასონარკვეთილი ევროპის ხალხები.

ვარიანთა დაქირავებული რაზმები ბევრჯერ მდგარან ბიზანტიის იმპერიის სამსახურში. არცთუ იშვიათად ჩანან ისინი რუსეთშიც. ნორმანთა შეიარაღებულ ძალას სამხედრო მოქმედებებში ინტენსიურად იყენებდნენ რუსი მთავრებიც. რუსეთში მყოფ ვარიანთა ერთი ნაწილი კიდევაც გასლავებულია. ყოველ შემთხვევაში, ძველი რუსული მატთანები საუბრობენ “რუს-ვარიანებზე”. “მატიანე ქართლისაიში” მოხსენიებულ ვარიანებს “რუს-ვარიანებს” უწოდებს ქართველი მეცნიერი იასე ცინცაძეც.<sup>3</sup>

ხსენებული ვარიანები საქართველოში უშუალოდ რუსეთიდან მოსულად არ ჩანან. ისინი აქ უფრო ბიზანტიიდან უნდა შემოეყვანათ. მაგრამ, ასეც რომ იყოს, სავსებით დასაშვებია, რომ მათ შორის სლავი ვარიანების ყოფნაც ვივარაუდოთ.

მკვლევართ დღემდე ვერ დაუდგენიათ, ვის შემწედ “მოვიდა” ვარიანთა სამიათასიანი ჯარი საქართველოში, - მეფე ბაგრატის თუ მისი ურჩი ფეოდალის - ლიპარიტ ბაღვაშის. ამ თავისთავად საყურადღებო დეტალის გარკვევას ახლა ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ვისი ბანაკიც არ უნდა გაეძლიერებინათ დაქირავებულ ვარიანებს, - ხელმწიფისა თუ თავნება ფეოდალის, - ორივე შემთხვევაში ქართველებს მათთან შეხება მოუხდებოდათ და პირველი შთაბეჭდილება ამ უცხოელ მეომართა საბრძოლო თვისებებზე, შეიარაღებასა და სხვ. მაშინ ჩამოუყალიბდებოდათ. სამწუხაროდ, წყაროებში ამის თაობაზე არაფერია ნათქვამი და ჩვენც მოკლებულნი ვართ საშუალებას, საკითხზე ვრცლად ვიმსჯელოთ.

<sup>3</sup> ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVI სს.), თბ., 1966, გვ. 97.



“მატიანე ქართლისაის” თანახმად, ვარანგებს სასიკრფეთის  
 ჭალაში გამართულ შერკინებაში მხნედ უომიათი ვერძარა  
 უძღეს ბრძოლად ვარანგთაო,” შენიშნავს მემატიანე<sup>4</sup>

აღსანიშნავია, რომ ვარანგებზე, როგორც სამხედრო ძა-  
 ლაზე და მასთან რაიმე სახის ურთიერთობაზე მომდევნო პე-  
 რიოდის საისტორიო წყაროები დუმან. უნდა ვიფიქროთ, რომ  
 XI საუკუნის შემდეგ ვარიაგებს ქართულ სამყაროსთან კავ-  
 შირი აღარ ჰქონიათ. ისე, არსებობს ერთი საინტერესო ცნო-  
 ბა, რომელიც გვაუწყებს: 1175 წელს, საქართველოს ვასალუ-  
 რი ქვეყნის, შირვანის შაჰ აღსართანს, ქართულ ჯართან ერ-  
 თად, ბაქოს მიდამოებში გამარჯვება მოუპოვებია რუსეთის  
 ფლოტზე. 70 ხომალდისაგან შემდგარი რუსთა ეს დაქირავე-  
 ბული შენაერთი დარუბანდის ამირას მოკავშირეობდა<sup>5</sup> გა-  
 მორიცხული არ არის, რუსეთის ფლოტის შემადგენლობაში  
 ვარიაგი მეზღვაურებიც ყოფილიყვნენ, მაგრამ ჩვენ ისევე  
 უფრო გვიანდელ რუსთა რაზმის კახეთში შემოსვლას დავუბ-  
 რუნდეთ.

ვახუშტი ბაგრატიონი მოგვითხრობს: “ოდეს დაიპყრა  
 რუსთა მეფემან იოანე ყაზანი და აშტრახანი და თერგნი და  
 დასხნა ყაზახნი თერგს და თარლუს მცველნი თვისნი, ამან  
 ლევან წარუვლინა და ითხოვა სპა მისი მცველად ციხეთა კა-  
 ხეთისათა. მან მოუვლინა და დაადგინა რუსნი”<sup>6</sup>

რუსი ისტორიკოსის ს. ბელოკუროვის ცნობით, კახეთში  
 გამოგზავნილი ჯარი კაზაკთა შეიარაღებული რაზმია, რაც  
 სარწმუნო უნდა იყოს. მართალია, ამ დროისათვის რუსეთს  
 უკვე ჰყავს მეთოფეთა (“სტრელცების”) მუდმივი ჯარიც,  
 მაგრამ არც ისეთი მრავალრიცხოვანი, რომ მისი ნაწილი  
 რუსთხელმწიფემ ხანგრძლივი ვადით უცხო ქვეყანას დაუთ-  
 მოს. ჯარის მოსკოვიდან გამოგზავნაც გაცილებით რთული  
 და ხარჯიანი იქნებოდა, რასაც თავისთავად მოერიდებოდ-  
 ნენ. რაც შეეხება რუსეთის სამხრეთ განაპირა ტერიტორიებ-  
 ზე მოსახლე კაზაკებს, რომლებიც გასამხედროებულ თემე-

<sup>4</sup> “ქართლის ცხოვრება”, თბ., 1996, გვ. 232  
<sup>5</sup> ნ. ასათიანი, გზა გამოსხნა-აღდგომისაკენ, თბ., 1983, გვ. 22.  
<sup>6</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, “ქართლის ცხოვრება”, IV,  
 თბ., 1973, გვ. 573.




ბად და ორგანიზაციებად ცხოვრობდნენ, კახეთის დასახმარებლად მათი გამოყენება უფრო იოლი და გონივრული იქნებოდა.

კაზაკები XV-XVI საუკუნეებში რუსეთისა და პოლონეთ-ლიტვის სახელმწიფოებიდან ფეოდალური ჩაგვრის სიმძიმეს გამოქცეული გლეხები იყვნენ. გაურბოდნენ რა მეზობლეთა ძალმომრეობას, ისინი საცხოვრისად სამხრეთის აუთვისებელ მიწებს ირჩევდნენ და თავისუფალ დასახლებებს ჰქმნიდნენ. ეს ხალხი უფრო სოციალურ და სარწმუნოებრივ (მართლმადიდებლურ) ნიადაგზე ერთიანდებოდა, ვიდრე ეთნიკური ნიშნით. კაზაკთა ნაწილი მიწათმოქმედებას მისდევდა, მაგრამ მათი შემოსავლის მთავარი წყარო მაინც სხვა იყო, კერძოდ - სამხედრო ნადავლი და რუსეთის ხელისუფლების ჯამაგირი. მოსკოვის სახელმწიფოში კაზაკები საყარაულო და სტანიცების დაცვის სამსახურს ეწეოდნენ, ასევე ევალეობდათ რუსეთის საზღვრების დაცვა მეზობელი ყირიმელი თუ ნოღაელი თათრების შემოსევებისაგან. სხვათა ქონების ხელში ჩასაგდებად, კაზაკები ხშირად დამოუკიდებლად მიეშურებოდნენ ყირიმის სახანოსა თუ ოსმალეთის სამფლობელოებში, მაგრამ მათ სამხედრო რაზმებს ძირითადად რუსეთის სამეფო კარი იყენებდა თავისი საზღვრების გაფართოებისა და ახალი მიწების დაპყრობა-ათვისების მიზნით (ერმაკი, ე. ხაბაროვი და სხვ.).

კაზაკთა თემები (ზაპოროჟიეს სეჩი, დონის სტანიცები და სხვ.) პოლიეთნიკურ დასახლებებს წარმოადგენდნენ. რუსებთან ერთად მათ შორის მძიმე სოციალურ ხვედრს თავდაღწეული სხვა ეროვნების ღარიბობაც მრავლად ერია, მაგრამ მეზობელ ხალხებში ყველა ისინი რუსებად აღიქმებოდნენ. ყოველ შემთხვევაში, კახეთში შემოსული კაზაკთა საბრძოლო რაზმი, ქართველთა წარმოდგენაში, რუსის ჯართან ასოცირდებოდა, თუნდაც იმიტომ, რომ იგი აქ რუსეთის ხელმწიფემ გამოაგზავნა.

ქართველთა დასახმარებლად მოსული კაზაკების შეიარაღების, სამხედრო წვრთნისა თუ საბრძოლო მოქმედებების შესახებ წყაროები არაფერს გვამცნობენ. ინფორმაცია უფრო ამ პერიოდის რუსეთის მეთოფეთა ჯარის ირგვლივ მოიპოვება. "სტრელცების" სამხედრო სამსახური ცხოვრების ბოლომდე, მემკვიდრეობით გრძელდებოდა. კარგი შეიარა-



ლება, მათ შორის, ხმლითა და სიათათი, მუდმივი სამხედრო სწავლება, ვარჯიში, ასეულებად, ხუთასეულებად თუ ათასეულებად დაყოფა და მკაფიო ორგანიზაცია მეთოფეთა მაღალ საბრძოლო ხარისხს უზრუნველყოფდა. თანამედროვეთა ცნობით, რუსეთის არტილერია იმ ხანად ორიათასამდე სხვადასხვა კალიბრის ზარბაზანს მოითვლიდა. სამხედრო საქმეში მნიშვნელოვანი სიახლე იყო "საველე ნარიადის" - არტილერიის გამოყოფა, რომელიც თან მიჰყვებოდა ლაშქრობაში მიმავალ ჯარს<sup>7</sup> ჰქონდა თუ არა შეიარაღებაში ზარბაზნები საქართველოში გამოგზავნილ კაზაკთა კავალერულ რაზმს, უცნობია.

რუსეთის სამხედრო ძალა კახეთის სამსახურში 1564 წლიდან 6-7 წლის განმავლობაში იმყოფებოდა. შესაძლოა კაზაკები საქართველოში უფრო ხანგრძლივადაც დარჩენილიყვნენ, მაგრამ ოსმალეთის სულთნისა და ყირიმის ხანის მოთხოვნით, ივანე IV იძულებული გახდა ისინი უკან დაებრუნებინა. 1571 წელს რუსეთმა თერგზე ციხეც მოშალა. "მოსკოვის ეს პირველი პოლიტიკური სვლა შორეულ კავკასიაში ნაადრევი აღმოჩნდაო," შენიშნავდა ნიკო ბერძენიშვილი<sup>8</sup>

რუსეთის სახელმწიფო ხელისუფლების თანხმობით კაზაკთა შენაერთები საქართველოში კიდევ ერთხელ 1586-1589 წლებში იმყოფებოდნენ. ამჯერად ისინი ქართლის მეფის, სიმონ I-ის მხარეზე ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობდნენ.

1588 წელს რუსეთმა მდინარე თერგზე ახალი ციხე ააგო და იქ საკმაო მეციხოვნე ჯარი განაწესა. ამიერიდან თერგის ციხე კავკასიაში მოსკოვის პოლიტიკური ექსპანსიის დასაყრდენად იქცა.

როგორი ურთიერთობა სუფევდა კახეთისა თუ ქართლის ადგილობრივ მკვიდრთა და რუს-კაზაკთა შორის ხსენებული რაზმების საქართველოში ყოფნის პერიოდში, ზუსტად ცნობილი არ არის. თუ მხედველობაში მივიღებთ 1627 წელს რომის პაპისადმი წარდგენილ პიეტრო დელა-ვალეს მოხსენები-

<sup>7</sup> [http://ru.wikipedia.org/wiki/ стрельцы](http://ru.wikipedia.org/wiki/стрельцы).

<sup>8</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, თბ., 1967, გვ. 28.



თი ბარათის ცნობას, რომ “ქართველები და კაზაკები ერთმანეთს” და იმასაც გავითვალისწინებთ, რომ XVII საუკუნის პირველ ნახევარში კაზაკთა და დასავლეთ საქართველოს მცხოვრებთა შორის კეთილგანწყობილი ურთიერთობა არსებობდა,<sup>9</sup> უნდა ვივარაუდოთ, რომ რუსის ჯარს საქართველოში იმ დროს ცუდი სახელი არ უნდა დაეტოვებინა.

1587-1589 წლებში რუსეთსა და კახეთს შორის პოლიტიკური კავშირი გაფორმდა. კახეთის სამეფო რუსეთის მფარველობაში შევიდა. კახეთის მეფე ალექსანდრე II-მ (1574-1605 წ.წ.) ხელი მოაწერა ცნობილ “ფიცის წიგნს” და რუსთხელმწიფისგან “წყალობის სიგელი” მიიღო. ამ უკანასკნელ დოკუმენტში აღნიშნული იყო, რომ რუსეთი კახეთს მტრებისაგან საიმედოდ დაიცავდა: მიუხედავად დაპირებისა, კახეთის სამეფოს რუსეთისაგან რეალური სამხედრო და პოლიტიკური მხარდაჭერა არ მიუღია.<sup>10</sup>

მოსკოვის სამეფო კარზე კახეთიდან წარგზავნილი არაერთი ელჩობა ამაოდ ითხოვდა ჯარის ნაწილებით დახმარებას. რუსეთს საქართველოში სამხედრო ძალა აღარ გამოუგზავნია. არადა, რუსის ჯარის თანადგომას აქაურ ხელისუფალთათვის სამხედრო დანიშნულების გარდა დიდი ფსიქოლოგიური მნიშვნელობაც ჰქონდა. მაგალითად, 1604 წელს, კახეთში მყოფმა რუსმა ელჩებმა ბატონიშვილ გიორგი ალექსანდრეს-ძეს 40 კაციანი მცველთა რაზმი მიაშველეს. რუსთა ამ მცირერიცხოვან შენაერთს კახელები თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ, რადგან რუს ჯარიკაცთა ეს ოცეულები “მოკავშირის” გვერდში დგომის ეფექტს ქმნიდა და ადგილობრივთა საბრძოლო შემართებასაც მნიშვნელოვნად ამალღებდა. ქართველებმა ძეგამს მოახლოებული ოსმალო ფაშები სასტიკად დაამარცხეს.<sup>11</sup>

კახეთისა და ქართლის მეფეებს იმედის თვალი შემდეგშიც ისევ რუსეთის ერთმორწმუნე სახელმწიფოსაკენ

<sup>9</sup> ა. სონლულაშვილი, კაზაკები საქართველოში, თბ., 2007, გვ. 40.

<sup>10</sup> მ. ვაჩნაძე, ვ. გურული, რუსეთთან ერთად და ურუსეთოდ, თბ., 2007, გვ. 13.

<sup>11</sup> ნ. ასათიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 61.



ჰქონდათ მიჰყრობილი. მოსკოვიდან კი დაპირების მეტი არაფერი ისმოდა. აქეთ დახმარების მაგივრად, ქართლის მეფე ვახტანგ VI 1722 წელს 20 ათასიანი ჯარით თვითონ ამოუდგა მხარში კასპიისპირეთისაკენ სალაშქროდ დაძრულ პეტრე I-ს. რუსეთის იმპერატორმა ქართლთან შეთანხმებული სამხედრო კავშირის პირობა დაარღვია, ლაშქრობა მოულოდნელად შეწყვიტა და ქართული მხედრობა მოწინააღმდეგეს პირისპირ შეატოვა. პეტრე I-მა ფაქტობრივად განირა თავისი მოკავშირე, რაც ქართლის მეფეს არა მარტო ტახტის დაკარგვის, სამშობლოდან გადახვეწის ფასადაც დაუჯდა. საკუთრივ ქართლში ჯერ ოსმალობა, შემდეგ კი ყიზილბაშობა დამყარდა.

ამ ამბებიდან ოთხ ათეულზე მეტი წლის შემდეგ რუსეთმა ოსმალეთის წინააღმდეგ ომი წამოიწყო. პეტერბურგის საიმპერიო კარი შავი ზღვის სანაპიროს დაპყრობასა და ზღვაზე თავისუფალი ნაოსნობის უფლების მოპოვებას ესწრაფოდა, მაგრამ ომის წამდვილ მიზანს მალავდა, აცხადებდა, პორტას "ქრისტეს სარწმუნოებისათვის" ვებრძვიო და ბალკანეთისა და კავკასიის ხალხებს სულთანზე ამხედრებდა.

ოსმალეთთან ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორესა და იმერეთის ტახტის მფლობელ სოლომონ პირველსაც თავთავიანთი ანგარიშები გააჩნდათ და ომში ჩაბმაზე თანხმობა გამოთქვეს. ოღონდ წინაპირობად ორივე მათგანმა საქართველოში რუსეთის სამხედრო შენაერთების გამოგზავნა მოითხოვა.

რუსეთის ხელისუფლებამ გადაწყვეტილება მიიღო და საქართველოსაკენ ჯარის ნაწილების ეტაპობრივად გამოგზავნას შეუდგა. 1769 წლის აგვისტოში ყიზლარ-მოზდოკის გზით ჯერ 480 კაციანი სამხედრო რაზმი შემოვიდა, ხოლო მცირე ხანში ასკაციანი ავანგარდით დარიალიდან გენერალმა ტოტლებენმა შემოაღწია. მომდევნო წლის გაზაფხულისათვის საქართველოში მყოფი რუსეთის სამხედრო შენაერთები უკვე 3800 მებრძოლს მოითვლიდა.

1770 წლის აპრილში ერეკლე II-მ და გენერალმა ტოტლებენმა გაერთიანებული ძალებით გეზი ახალციხისაკენ აიღეს და აწყურის ციხეს მიადგნენ. ტოტლებენი ლაშქრობას ისედაც აჭიანურებდა, აწყურთან კი შემდგომ წინსვლაზე უარი



განაცხადა და ბრძოლის ველს საერთოდ გაეცალა. მემატიანე  
 ნე ომან ხერხეულიძე მოგვითხრობს:

“წარმოუვლინა იმპერატრიცა ეკატერინა მეორემ რუსეთის უძლეველი მხედრობა მხედართმთავრობასა ქვეშე ღენერალ-მაიორის გრაფ ტოტლებენისა, შეითქვენენ და წარვიდნენ ახალციხეზედ... ჩააგდეს შური ბოროტთა კაცთა და უზიდევდნენ გრაფ ტოტლებენსა ავსა სიტყვასა და ამის ძალით შემოსწყრა გრაფ ტოტლებენი მეფესა.


ხოლო სხვანი იტყვიან - აგრძელებს მეისტორიე - არა თუ ენის ზიდვა იქმნა ესე, არამედ დაფარულისა ძალით, რომელიცა აქვნდა განზრახვა გრაფ ტოტლებენსა გულსა შორის თვისისა... მიატოვა მეფე, რომელიც თუ დამარცხდებოდა, ტოტლებენი აღასრულებდა მაშინ საქართველოსა ზედა რეცა წადილსა გულისა თვისისასა”<sup>12</sup>

მარტოდ დარჩენილი ერეკლე, რომელმაც ასპინძის ბრძოლაში მაინც წარმატებით სძლია მონინაალმდეგეს, რუსის ჯარის მდგომარეობაზე წუხდა და გაიძახოდა: “უმჯობესი არს აქა სიკვდილი ჩემი, ვიდრემდის ამათგან (ოსმალთაგან, - ო. ჯ.) რუსეთის მხედრობას ევნოს რამეო”<sup>13</sup> რუსები უვნებლად გავიდნენ სამშვიდობოს.

ჯავახეთიდან ქართლში დაბრუნებულმა ტოტლებენმა ერეკლე II-ის საწინააღმდეგო კამპანია გააჩაღა, დაიკავა რამდენიმე ციხე-ქალაქი და მოსახლეობას რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე ძალით აფიცებდა. რუსეთის ჯარი ქართლ-კახეთს ამჯერად არაფერში გამოდგომია. ტოტლებენს აღმოსავლეთ ქართველთა მხარდამხარ არც ერთ ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია. ერეკლე II იძულებული გახდა რუსეთის ხელისუფლებისათვის ტოტლებენის საქართველოდან განწევა ეთხოვა.

სანამ პეტერბურგში დარწმუნდებოდნენ, რომ თავიანთი სარდალი საქართველოში “რუსეთს უფრო სირცხვილს უხვეჭდდა, ვიდრე სახელს”<sup>14</sup> და აქედან გაიწვევდნენ, ტოტლებენმა მცირე შევსება მიიღო და მთელი ჯარით (4 ათასი კაცი)

<sup>12</sup> ომან ხერხეულიძე, მეფობა ერეკლე მეორისა, თბ., 1989, გვ. 79.  
<sup>13</sup> ომან ხერხეულიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 80.  
<sup>14</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973, გვ. 656.



1770 წლის ივნისში იმერეთში გადავიდა. სოლომონ I-მა რუსეთს მისვლამდე ცუცხვათისა და შორაპნის ციხეები თურქ დამპყრობთაგან საკუთარი ძალებით გაათავისუფლა და ქუთაისსაც ალყა შემოარტყა.

რუსები იმერეთის მეფეს ბაღდათის ციხის ალბაში დაემარნენ. ოსმალურმა გარნიზონმა იარაღი დიდი ბრძოლის გარეშე დაყარა. რუს-ქართველთა გაერთიანებულმა მხედრობამ ქუთაისს შეუტია. მტერი აქაც რამდენიმე დღეში დანებდა, მაგრამ ტოტლებენმა თურქი მეციხოვნენი ქალაქიდან გააპარა. გენერალი იმერეთშიც თვითნებობდა, მეფეს ანგარიშს აღარ უწევდა, საერთო ენა მის მოწინააღმდეგე მთავრებთან გამონახა და ისინი სოლომონ პირველს ნაჰკიდა.<sup>15</sup>

გენერალმა ტოტლებენმა რუსულ იარაღს სახელი დიდად ვერც დასავლეთ საქართველოში გაუთქვა. მან წარმატებით ვერც რუსეთის საიმპერიო კარის საიდუმლო დავალება შეასრულა, რომელიც გადატრიალების გზით ერეკლე მეორის ტახტიდან ჩამოშორებას და ქართლ-კახეთის მცხოვრებთა რუსეთის ერთგულებაზე დაფიცებას ითვალისწინებდა.<sup>16</sup> 1771 წლის დამდეგს ტოტლებენი, რომელსაც ომან ხერხეულიძის სიტყვით, "ცუდად დაუჯდა ტლინკვა თავისი და უსარგებლოდ საქართველოსა შინა",<sup>17</sup> რუსეთში დააბრუნეს. სინამდვილეში ტოტლებენი არავის დაუსჯია და განუული სამსახურიც საკმაოდ დაუფასდა. ეკატერინე მეორემ მას მკერდზე საკუთარი ხელით მიაბნია ალექსანდრე ნეველის ორდენი და გენერალ-პორუჩიკის წოდებაც უბოძა.<sup>18</sup>

ტოტლებენის შემცვლელად საქართველოში გენერალი სუხოტინი გამოიგზავნა. დავალების არსი იგივე დარჩა. ახალ სარდალს უფრო ფრთხილად უნდა ემოქმედა, რომ რუსეთის საიდუმლო გეგმა ბოლომდე არ გამჟღავნებულყო.

სუხოტინმა არ გაითვალისწინა ერეკლე მეორის რჩევა და ახალციხეზე შეტევის ნაცვლად, 1771 წლის ზაფხულში ფო-

<sup>15</sup> Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся до Грузии. Под ред. А. Цагарели, т. I, М. 1891, с. 176.

<sup>16</sup> ვ. გურული, ერთმორწმუნე რუსეთი, თბ., 2008 გვ. 78-80.

<sup>17</sup> ომან ხერხეულიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 86.

<sup>18</sup> [http://syw-cwg.narod.ru/bgr\\_Totl.html](http://syw-cwg.narod.ru/bgr_Totl.html).



თის ალყა წამოიწყო. ოპერაცია წარუმატებელი გამოდგა. თაკარა სიცხეში კოლხეთის ჭაობიან დაბლობზე ჯარსაც და სარდალსაც ციებ-ციხელება შეეყარათ. ოქტომბერში გენერალმა ფოთს ალყა მოხსნა. ორიოდე თვეში ეკატერინე II-მ რუსეთის ჯარის საქართველოდან გაყვანის გადაწყვეტილება მიიღო. 1771 წლის ივნისში რუსთა უკანასკნელმა სამხედრო შენაერთმა საქართველოს საზღვრები დატოვა. რუსეთ-ოსმალეთის ომი ამის შემდეგ კიდევ სამ წელიწადს გრძელდებოდა. რუსეთისაგან პროვოცირებული და შემდეგ მიტოვებული ქართველი მეფეები თავიანთი ქვეყნებითურთ მწვავე განსაცდელის წინაშე აღმოჩნდნენ. თურქებმა ქობულეთის მხარე (ქვემო გურია) მიიტაცეს. გართულდა ქართლ-კახეთის საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობაც, რომელმაც ოსმალეთიც გადაიმტერა და ირანის ნდობაც დაკარგა.

1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატით რუსეთმა კიდევ ერთხელ ივალდებულა საქართველოში ჯარის გამოგზავნა. ტრაქტატის მეორე სეპარატული მუხლის შესაბამისად, რუსეთის ქვეითი ჯარის 2 ბატალიონი 4 ზარბაზნით იმავე წლის ნოემბერში ქართლ-კახეთში შემოვიდა (ეს ზარბაზნები პირველად 1784 წლის იანვარში ტრაქტატის რატიფიკაციის აღსანიშნავად გამოიყენეს და 200-ჯერ დააქუხეს).

ახალ რუსულ შენაერთებს ერეკლე მეორის კარზე რუსეთის ოფიციალურ წარმომადგენლად დანიშნული პოლკოვნიკი ს. ბურნაშოვი მეთაურობდა. ერეკლესა და ბურნაშოვს შორის ნორმალური ურთიერთობა ჩამოყალიბდა. რუსი რეზიდენტი, რომელმაც თავისი თანადროული ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობის სურათი აღწერა, დიდად აფასებდა მეფე ერეკლეს ნიჭსა და სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას. ერეკლეც, ტოტლებენისაგან განსხვავებით, ბურნაშოვს არ ემდურებოდა.

ერეკლე II-ის რუსეთზე ორიენტაციამ და ჩრდილოელი მეზობლის მფარველობაში შესვლამ ქართლ-კახეთის პრობლემები კიდევ უფრო გაამძაფრა. გეორგიევსკის ტრაქტატმა ირან-ოსმალეთის გარდა სამხრეთ კავკასიის სახანოების აღშფოთებაც გამოიწვია. ოსმალეთი საქართველოს მისადგომებთან ჯარების შეგროვებას შეუდგა. სულთნის დავალებით, ახალციხის ფაშამ ქართლზე თავდასხმები გაახშირა.



უფრო გააქტიურდნენ მოთარეშე ლეკები. ერეკლეს მისი ყმადნაფიცო მაჰმადიანი მმართველებიც ეურჩებოდნენ.

ქართველი მეფე ეფექტურად იყენებდა რუსულ პოლკებს. 1784 წელს რუს-ქართველთა ჯარებმა ჭარ-ბელაქანს შეუტოეს და ლეკებზე გამარჯვება მოიპოვეს. ერეკლემ განჯის სახანოზეც ძველი ბატონობა აღიდგინა. 1785 წელს ქართველებმა და რუსებმა ახალციხის საფაშოდან შემოჭრილ ლეკებს სურამის მახლობლად გზა შეუკრეს და სასტიკად დაამარცხეს. ამ ოპერაციას მაიორი სენენბერგი ხელმძღვანელობდა, რომელმაც "ოთხი საათის ბრძოლასა შინა ამოწყვიტა და დაახრჩო მდინარესა შინა ათას ხუთასამდინ" მოწინააღმდეგე<sup>19</sup> და სხვ. მაგრამ წარმატებები ეპიზოდური იყო. საქართველოში მყოფი რუსთა მცირერიცხოვანი სამხედრო ძალა ქვეყნის უსაფრთხოებისათვის არ კმაროდა. მაგალითად, ერეკლემ ვერ შეძლო გამკლავებოდა ავარიელ ომარ-ხანს, რომელმაც 1785 წელს თითქმის მთელი მისი სამეფო მოითარეშა, ახტალის საწარმო გაძარცვა და დაარბია, ხელთ დიდი სიმდიდრე იგდო და 800-ზე მეტი ტყვეც წაიყვანა.

ერეკლე რუსეთისაგან დამატებით ჯარს ითხოვდა, მაგრამ უშედეგოდ. "მფარველი" მხოლოდ იმედებით კვებავდა ხელდებულს. 1787 წელს, ოსმალეთთან მოახლოებული ომის წინ, ეკატერინე მეორემ საქართველოდან თავისი ორი ბატალიონიც გაიყვანა. რუსის ჯარმა ერეკლე მეორე ამჯერადაც ბრძოლის ველზე მიატოვა. ბურნაშოვს ბრძანება სამშობლოში დაბრუნების შესახებ განჯა-ყარაბაღზე ქართველ მეფესთან ერთად ლაშქრობის დროს მოუვიდა, ისიც სასწრაფოდ აიყარა და რუსეთს მიაშურა. "ყოველთა მტერთა ჩვენთა საცინელ ვიქმენითო," - ამაოდ შესჩიოდა ერეკლე გრიგოლ პოტიომკინს.

ერთმორწმუნე მოკავშირის თანადგომა ქართლ-კახეთისათვის განსაკუთრებით საჭირო და აუცილებელი გახდა XVIII საუკუნის 90-იანი წლების დამდეგიდან, მეტადრე მას შემდეგ, რაც ალა-მაჰმად-ხან ყაჯარმა ირანის ტახტზე პოზიციები განიმტკიცა, თითქმის მთელი აზერბაიჯანი დაიმორჩილა და მიზანში აღმოსავლეთ საქართველო ამოიღო.

<sup>19</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973, გვ. 702.



ერეკლე მეორემ რუსეთის მთავრობას შექმნილი კრიტიკული ვითარება აცნობა და დროული დახმარება ითხოვა. რუსეთი მხოლოდ დიპლომატიური ნაბიჯებით შემოიფარგლა და ხელდებულ ქვეყანას სამხედრო ძალა არ მიაშველა.

ქართლ-კახეთზე თავდასხმის წინ ირანისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო იმის გაგება, გამოგზავნიდა თუ არა რუსეთი ჯარს საქართველოში. შაჰმა მისთვის ესოდენ საგულლისხმო ინფორმაცია კავკასიაში განლაგებული რუსეთის არმიის სარდლობისაგან მოიპოვა და გულდამშვიდებული, რომ ჩრდილოელი მეტოქე ამჯერად მას ხელს არ შეუშლიდა, თბილისისაკენ დაიძრა. რამდენი გადაუხადეს ირანელებმა გენერალ გუდოვიჩს, ცნობილი არ არის, მაგრამ საჩუქრების გარეშე რომ ამ საქმეს არ ჩაუვლია, ფაქტია<sup>20</sup>

რუსეთის მოიმედე ერეკლე დიდი ბრძოლისათვის მოუშვადებელი აღმოჩნდა, მცირერიცხოვანი ძალებით კი მტრის მოგერიება ვერ მოხერხდა. 1795 წლის სექტემბერში ირანელებმა თბილისი აიღეს, გაძარცვეს და მოაოხრეს. რუსთა ორი ბატალიონი გენერალ პ. ზუბოვის წინამძღოლობით საქართველოში მხოლოდ ამ ამბების შემდეგ, 1795 წლის დეკემბერში გამოჩნდა. მომდევნო წლის გაზაფხულზე რუსეთმა ქართველებისა და სამხრეთ კავკასიის სხვა ხალხების ერთი ნაწილის მხარდაჭერით ირანზე იერიში წამოიწყო, ჩრდილოეთ აზერბაიჯანის რამდენიმე ქალაქიც დაიკავა, მაგრამ ეკატერინე II-ის გარდაცვალებამ იმპერიის გეგმებში არსებითი კორექტივები შეიტანა. ახალმა იმპერატორმა პავლემ ირანში დანყებული ლაშქრობა მოშალა. მისივე ნებით, მალე რუსეთის სამხედრო ნაწილებმა ქართლ-კახეთიც დატოვეს.

პავლე პირველი საქართველოს საკითხის მოგვარებას თავიდან დიპლომატიური მეთოდებით შეუდგა, მაგრამ პარალელურად სამხედრო თადარიგიც დაიჭირა და 1799 წლის ნოემბერში საქართველოში ჯარის შენაერთები კიდევ ერთხელ გამოგზავნა. ამჯერად რუსეთის ეგერთა 46-ე პოლკს წინ გენერალი ლაზარევი მოუძღოდა.

თვითმხილველის სიტყვით, მაშინ ათასობით კაცი "მიისწრაფოდა ქალაქს გარეთ, რომ რუსთა რაზმების შემოსვლა

<sup>20</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973, გვ. 759.



ენახა. ...ზარბაზნების სროლა და ზარების რეკა ყველა ეკლესიაში ატყობინებდა ქართველ ხალხს დაწყებული ზვიმის შესახებ. ხალხის მოძრაობა, მისი აღმაფრენი შეძახილები ავსებდნენ ძმური მიღების ამალელებელ სურათს და ამჟღავნებდნენ რუსეთისადმი გულწრფელ ერთგულებას”<sup>21</sup>

აღნიშნულის შესახებ შთამბეჭტავად მოგვითხრობს ილია ჭავჭავაძეც. იგი წერდა: “მეფის კარიდამ დაწყებული უკანასკნელ ქოხამდე სიხარულმა გაშალა თავისი სანატრელი ფრთა, სიხარულმა ხსნისამ და ნუგეშისამ. დიდი ხანია საქართველოს ამისთანა ბრწყინვალე დღე აღარ ენახა”<sup>22</sup>

ეს თეატრალიზებული დახვედრა უფრო საგანგებოდ მოწყობილი ღონისძიების შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ გასაკვირი არც იმაში იქნებოდა რამე, თუ ხალხი მფარველი და ერთმორწმუნე ქვეყნის მხედრობისადმი თავის განწყობას მართლაც სიხარულით გამოხატავდა. რუსეთის ჯარი აქ ხომ ქართლ-კახეთის სამეფო ხელისუფლების მოწვევით, მისი თხოვნით შემოდოდა. გეორგიევსკის ტრაქტატის საფუძველზე თბილისში გამოგზავნილ რუსულ შენაერთებს ქართლ-კახეთის გარეშე მტრისაგან დაცვა ევალებოდა. რუსეთის ნამდვილი მიზნები საქართველოში მაშინ ჯერაც არავინ იცოდა, ამიტომაც დამხვედურთა ზემოაღწერილი სიხარული და აღტაცება გასაგებია.

ქართველი ხალხის იმედი და მოლოდინი კიდევ უფრო განამტკიცა ომარ-ხანის მრავალათასიან ლაშქარზე გამარჯვებამ, რომელსაც ქართველებმა რუს მებრძოლებთან ერთად 1800 წლის ნოემბერში სოფელ კაკაბეთთან მაილწიეს.

რუსთა ჯარმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გიორგი XII-ზე. მეფე მიბრძანდა საბურთალოზე დაბანაკებულ ჯარის ნაწილში და, მემატიაანის სიტყვით, “ისიამოვნა დიდად ხილვა სალდათთა, თავისუფლად, კარგად ჩაცმულთა და მომღერალთა.” გიორგი თავის აზრს ასე უზიარებდა სარდალ იოანე ორბელიანს: “გმირული მღერაა რუსთა სიმღერაო, ...მხნენი უნდა იყვნენო. ახლა ვხედავ და მრწამს, რომ ადვილად შეგვიძინებს

<sup>21</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973, გვ. 805.

<sup>22</sup> ი. ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. IV, თბ., 1987, გვ. 186.



და მოერევიან ჩემთა მტერთაო. ამათ ვერ დაუდგება ვერცა ლეკი, ვერცა სპარსი და თურქიო... განსვენებით ვიქნებით ამიერიდგანო”<sup>23</sup>

გიორგი XII თავს ევლებოდა რუსის ჯარს. უფროსილდე-ბოდა, რომ მას რაიმე ვნება და ზიანი არ მისდგომოდა. ამბობდა: “მაგათის დიდებულების საფარველი რომ მოაკლდეს საქართველოსა, საქართველოდგან ქრისტიანობის ნათელი განქარდებაო.” მეფე ურმობით უგზავნიდა ჯარს დოსს, ზურგიელს, ღვინოს და სხვ. გიორგიმ აღარ იცოდა რითი ეცა პატივი რუსი ოფიცრებისა თუ მხედრობისათვის. გენერალ გულიაკოვს, ნიახურის ბრძოლაში ომარ-ხანზე რუს-ქართველთა გამარჯვების აღსანიშნავად, საუკეთესო ყაბარდოული ცხენი აჩუქა ძვირფასი უნაგირით. ლაზარევსა და მის ახალგაზრდა მეუღლეს მეფე და დედოფალი ხშირად უგზავნიდნენ მოსაკითხებს. 1799 წლის ნოემბერში ლაზარევის ცოლი და ახალშობილი ჩვილი გარდაიცვალნენ. მეფის გადანყვეტილებით, ისინი სიონის ტაძარში განსაკუთრებული პატივით დაკრძალეს.

გიორგი XII-ს ებრალებოდა რუსი ჯარისკაცები. ერთხელ თბილისიდან ახალციხისაკენ გაქცეული 4 სალდათი, რომლებსაც მკაცრი სასჯელი მოელოდათ, მისი ნებით, საპყრობილეს გადაურჩნენ. “მეტად ფიცხლად ეკიდებიან, ეგ კურთხეულნი სალდათთაო,” - ეუბნებოდა მეფე სარდალ გიორგი ციციშვილს ცნობილია, რომ მეფემ ერთ-ერთი რუსი ჯარისკაცი თავის ადიუტანტად აიყვანა და სხვ.

მას შემდეგ, რაც პავლე I-მა 1800 წლის 18 დეკემბერს ხელი მოაწერა მანიფესტს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და რუსეთთან შეერთების შესახებ, ხოლო ალექსანდრე I-მა ახალი მანიფესტით (1801 წ. 17 სექტემბერი) აღმოსავლეთ საქართველო თავის რიგით გუბერნიად გადააქცია, საქართველოში განლაგებული თუ დამატებით შემოყვანილი რუსული შენაერთების სტატუსი არსებითად შეიცვალა. ქართველთა წარმოდგენით, აქამდე რუსის ჯარი მტერთაგან თავდასაცავად საქართველოსათვის ერთმორწმუნე და მფარველი ქვეყნისაგან მოშველებული, მოკავშირე არმია

<sup>23</sup> პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ., 1978, გვ. 181.



იყო. ამიერიდან კი იგი დამპყრობელი იმპერიის იმ სამხედრო ძალად გარდაიქმნებოდა, რომელიც საქართველოში კოლონიურ რეჟიმს ამყარებდა და განამტკიცებდა.

ადრე რუს ჯარისკაცებს თავიანთი მეთაურები შთააგონებდნენ, რომ ისინი კავკასიონის ქედის გადაღმა ერთმორწმუნე ხალხის, ქართველების დასახმარებლად, მაჰმადიან აგრესორთაგან მათ გასანთავისუფლებლად და დასაცავად მიჰყავდათ. ამიტომ ადგილობრივ მოსახლეობასთან სალდათს დაპირისპირება კი არ უნდა ჰქონოდა, პირიქით, მას, როგორც მოყვასს, მხარში უნდა ამოსდგომოდა, მისი ღზინი და ჭირი გაეზიარებინა.

XIX საუკუნის დასაწყისიდან რუსი ჯარისკაცი საქართველოში უკვე სხვა მისწრაფებით, სხვა ინტერესითა და მოტივაციით მოემართებოდა. მას ეს ქვეყანა უნდა დაეპყრო და დაემორჩილებინა. მიზანი და ამოცანა განაპირობებდა სამხედროთა ქცევასაც. თვით გენერალ ლაზარევის განცხადებით: "საღდათები პირად შეურაცხყოფას აყენებენ მცხოვრებლებს, სტაცებენ საქონელს, ფრინველს და ხილს, ანადგურებენ ბოსტან-ბაღჩებს, ვენახებს; ღვინოს რომ დაღვევენ და გაილეშებიან, ქვევრებს მიწით ავსებენ, იქამდე მიდის მათი უგუნურობა, ავზნიანობა"<sup>24</sup> ქართველი ხალხის დამოკიდებულებაზეც ამ, ან უკვე ოკუპანტი და დამპყრობელი, ჯარისადმი უნდა შეცვლილიყო და შეიცვალა კიდევ.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მკვიდრთა ისტორიულ მეხსიერებას რუსულ სამხედრო ნაწილთან მისი ერთ-ერთი პირველი შეხების ამგვარი სურათი შემორჩა: "პირველად რუსის ჯარი რომ გადმოვიდა საქართველოში, კავკასიის ქედზე შეჩერდა სოფელში მოსასვენებლად. სოფლები დიდის ამბით დაუხვდნენ, გაუმასპინძლდნენ, დაუცალეს სახლები მოსასვენებლად. დაუტოვეს ხორაგი ორი დღისა და თავად კი სოფლის გარეთ კარვებში დადგნენ. ჯარმა მოისვენა, აიყარა და გასწია თბილისისაკენ. შემოვიდნენ სოფლები თავიანთ სახლებში და რა ნახეს! ნაგვით გაუვ-

<sup>24</sup> მ. სამსონაძე, საქართველოში კოლონიური მმართველობის დასაწყისი, წიგნში - საქართველოში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ისტორიის ნარკვევები, თბ., 2007, გვ. 23.



სიათ. ჭურებისათვის თავები დაეხადათ, რაც დაელიათ დღეებში  
 ნო ხომ კარგი, დანარჩენი კი წაებღნათ, ნაგვით აეცხათ.


იმ სოფელში ფეიქარი ვინმე ცხოვრობდა, რა შეხედა აობ-  
 რებულ სახლს, თურმე სთქვა: "ვაი შენ ჩემო საფეიქრო, მას-  
 რაფო და მასრამაქო, და მე მისი..., ვინც პირველად რუსი  
 აქო"<sup>25</sup>

რუსული ოფიციალური ისტორიოგრაფია ამტკიცებდა და  
 რუსი პოლიტიკოსები დღესაც იმეორებენ, თითქოს რუსეთის  
 საქართველოში შემოსვლას ჩვენი ქვეყნისათვის მშვიდობა  
 და მოსვენება მოეტანოს. ვნახოთ, რამდენად მართებული და  
 სარწმუნოა ეს თვალსაზრისი.

XIX საუკუნეში რუსეთს 6 ომი ჰქონდა ახლო აღმოსავ-  
 ლეთში, მათგან 2 ირანისა და 4 ოსმალეთის წინააღმდეგ. 30  
 წლის განმავლობაში ცარიზმი განუწყვეტლივ იბრძოდა  
 ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთის დასაპყრობად. ყველა ამ  
 ომსა და ბრძოლაში, ლაშქრის, სახალხო მილიციისა თუ სხვა  
 სახით, აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს მოსახლეო-  
 ბა, რომ არაფერი ვთქვათ თავადაზნაურობაზე, - მათი წრი-  
 დან გამოსულ ასეულობით ოფიცერსა და გენერალზე. დავუ-  
 მატოთ ამას რუსეთის კოლონიური ბატონობისაგან თავდა-  
 საღწევად დასავლეთ თუ აღმოსავლეთ საქართველოში მონ-  
 ყობილი მრავალი აჯანყება, რომელთაც სისხლში ახშობდა  
 მეფის მთავრობა და დავინახავთ, რომ ხსენებულ ომებში, ამ-  
 ბოხებებსა და მათ მომდევნო რეპრესიებში არანაკლები ქარ-  
 თველი დაიღუპა და დასახიჩრდა, ვიდრე მაჰმადიანთა შემო-  
 სევების უამს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ რუსეთ-  
 ოსმალეთის სისხლიან შეტაკებათა ერთ-ერთი მნიშვნელოვან-  
 ი ასპარეზი საქართველოს ტერიტორიაზე იყო, ნათელი გახ-  
 დება, როგორი მშვიდობიანობა და სტაბილიზაცია დაუმყარ-  
 ებია რუსეთს საქართველოში.

ცარიზმის საოკუპაციო რეჟიმი, რომლის მთავარ საყ-  
 რდენად საქართველოში რუსის ჯარი მოგვევლინა, განსა-  
 კუთრებული სისასტიკითა და განუკითხაობით გამოირჩეო-  
 და. მცხოვრებთა სამართლიან უკმაყოფილებასა და აღშფო-  
 თებას რუსეთის იმპერატორის ღალატად ნათლავდნენ, რის-

<sup>25</sup> გაზ. "ჩვენი რესპუბლიკა," 1917 წ., 12 ნოემბერი.



თვისაც ადამიანებს უმოწყალოდ სჯიდნენ. დამკვიდრდა მათრახი, როზგი, გაციმბირება და სახრჩობელა. უმნიშვნელო პროტესტისთვისაც კი სოფლებსა თუ დაბა-ქალაქებს დამსჯელი ექსპედიციებითა და ეგზეკუციებით უმასპინძლებოდნენ.

ადგილობრივ მკვიდრთა აბუჩად აგდება, ფიზიკური შეურაცხყოფა, მათი ნაოფლარის მიტაცება ჩვეულებრივი მოვლენა ხდებოდა. ამ საქმეში ჯარისკაცებსა და ოფიცრებს არ ჩამორჩებოდნენ რუსი მოხელენი, რომელთა უმეტესობა მექრთამე, მძარცველი, ლოთი და მრუში იყო. ჩინოვნიკთა უსამართლობა "ოსმალთა-ყიზილბაშობის" შესაფერისი იყო, მიუთითებდა ნიკო ბერძენიშვილი.

ვინ მოთვლის, რამდენი დასახლებული პუნქტი გადაწვა და გადაბუგა რუსის ჯარმა საქართველოში, რა საშინელება დაატრიალა, რაოდენი უბედურება დაატეხა თავს საქართველოს მოსახლეობას მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველობა არ ეგუებოდა დამპყრობლის დიქტატს და თავისუფალი და სუვერენული ცხოვრებისაკენ მიისწრაფოდა. თვითმპყრობელობის კოლონიური უღლის სიმძიმე, რუსის ჯარის თვითნებობა, უგულობა და სისასტიკე მკაფიოდაა წარმოჩენილი ქართულ საისტორიო თუ სიტყვაკაზმულ მწერლობაში და მასზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ. დავსძენ მხოლოდ, რომ ქართველი ხალხის დაპირისპირება იმპერიულ რეჟიმთან, მისი ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის არასოდეს გადაზრდილა რუსოფობიაში, - საკუთრივ რუსეთისა თუ რუსი ერის მტრობასა და სიძულვილში.

ამასთან, ობიექტურობა მოითხოვს, ითქვას ისიც, რომ რუსეთის მფლობელობაში მოქცევას, რაშიც გადამწყვეტი როლი რუსის ჯარმა შეასრულა, ჩვენი ქვეყნისთვის ზოგიერთი პოზიტიური მომენტიც ახლდა. მაგალითად: ოსმალეთთან წარმოებული ომებით, რუს-ქართველთა ერთობლივი ძალისხმევითა და გამარჯვებებით, საუკუნეთა წინ თურქთაგან მიტაცებული ქართული მიწა-წყლის დიდი ნაწილი კვლავ დედა სამშობლოს შემოუერთდა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის. მაგრამ არც ისაა დასამალი, რომ ცარიზმის მიზანს სრულიადაც არ შეადგენდა სა-



ქართველოს ტერიტორიული გამთლიანება და ეროვნული კონსოლიდაცია. იგი ამ ომების მეშვეობით რეგიონში მეტოქე ძალებს - ირან-ოსმალეთს სჯაბნიდა და თავის იმპერიის საზღვრებს აფართოებდა. თუ რუსეთის ამ წარმატებებმა ქართველთა სასურველი და სასარგებლო ნაყოფიც გამოიღო, ეს, რა თქმა უნდა, მოვლენათა განვითარების ობიექტურ შედეგად უნდა აღვიქვათ და არა თვითმპყრობელობის კეთილი ნების გამოვლინებად.



## საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XIX საუკუნეებში საუკუნეთა მიჯნაზე და ივანე ჯავახიშვილი

ივანე ჯავახიშვილმა არა მარტო სათავე დაუდო საქართველოს ისტორიის მეცნიერულ შესწავლას, არამედ ამ სფეროში მთელი ეპოქა შექმნა. მანვე ქართული უნივერსიტეტის დაფუძნებითა და ქართული საისტორიო სკოლის ჩამოყალიბებით ჩვენი ქვეყნის წარსულის სიღრმისეულ კვლევასაც მკვიდრი ბალავარი ჩაუყარა.

გიორგი ჩიტაიას სიტყვით: ივანე ჯავახიშვილმა "ისტორიოგრაფიული ხასიათის კლასიკური ნაშრომები შექმნა, რომელთაგან ზოგიერთი იმდენად და იმ სახითაა გაკეთებული, რომ ამ საკითხზე წერა ივ. ჯავახიშვილის შემდეგ ნიშნავს, როგორც იტყვიან ხოლმე, ილიადის წერას ჰომეროსის შემდეგ".<sup>1</sup>

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ივანე ჯავახიშვილი იკვლევდა საქართველოს ისტორიის ძველ და შუა საუკუნეების პერიოდებს. მან კომპლექსურად შეისწავლა ქართველი ერის თავგადასავალი უძველესი დროიდან დაწყებული XVIII საუკუნის ჩათვლით, მაგრამ მეცნიერის კალამს ახალ და თანამედროვე ისტორიაშიც ეკუთვნის რამდენიმე საყურადღებო ნაშრომი. მათგან ჩვენ ორ გამოკვლევას დავეყრდნობით. პირველის სახელწოდებაა "პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა XIX საუკუნის საქართველოში", ხოლო მეორისა - "დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში".

პირველი ნარკვევი ივანე ჯავახიშვილმა რუსულად დაწერა და 1906 წელს 5 ათასი ტირაჟით პეტერბურგში ცალკე წიგნად გამოაქვეყნა. როცა მეცნიერმა ამ წიგნის ქართულ ენაზე გამოცემა განიზრახა, ცენზურამ უარი უთხრა. საქმეს ვერ წაადგა იმ ფაქტის მოშველიება, რომ ნაშრომი უკვე გამოცემული იყო რუსულ ენაზე. მეტიც,

\* ნაკითხულია მოხსენებად სამეცნიერო კონფერენციაზე 2010 წელს. იბეჭდება პირველად.

<sup>1</sup> ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალების წლისთავისათვის, ენიშკის მოამბე, 1943, № XIII, გვ. 282.



კავკასიის რუსული ადმინისტრაცია არათუ ახალ გამოცემზე დათანხმდა, არამედ უკვე დაბეჭდილიც აკრძალა. ამასთან, ტირაჟის ჯერ კიდევ გაუზრცელებელი ნაწილი გამომცემლობას ჩამოართვეს და გაანადგურეს. თვით ავტორი კი "არსებული ხელისუფლებისადმი მტრული განწყობილების გამომწვევი და ხელისუფლების შეცვლისაკენ მიმართული ნაშრომისათვის" პასუხისგებაში მისცეს. ივანე ჯავახიშვილს სამი წლით პეტერბურგიდან გასვლა აუკრძალეს.<sup>2</sup> ეს ნაშრომი ვერ მოხვდა საბჭოთა პერიოდში გამოცემულ ივანე ჯავახიშვილის "ქართველი ერის ისტორიის" ტომებშიც, მაგრამ 1986 წელს გამოქვეყნდა კრებულში "ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში".<sup>3</sup>

რაც შეეხება მეორე ნაშრომს, იგი 1919 წლის თებერვალ-მარტში სტამბოლშია დანერილი. ამ დროს ივანე ჯავახიშვილი პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე მიმავალი საქართველოს სამთავრობო დელეგაციის შემადგენლობაში იყო. როგორც ცნობილია, ევროპის ვიზის მოლოდინში ქართული დელეგაცია ორ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ოსმალეთის დედაქალაქში შეაყოვნეს და პარიზში ჩასვლის უფლება მხოლოდ კარლო ჩხეიძესა და ირაკლი წერეთელს მისცეს. დელეგაციის სხვა წევრები სტამბოლიდან სამშობლოში დაბრუნდნენ. სწორედ ამ პერიოდში მოამზადა ივანე ჯავახიშვილმა ბროშურა, რომელიც იმავე 1919 წელს თბილისში გამოიცა.

ივანე ჯავახიშვილის, როგორც მიუდგომელი მკვლევრისთვის, ამოსავალი პრინციპი იყო: "მეცნიერ-ისტორიკოსს უნდა ახსოვდეს ის ზნეობრივი პასუხისმგებლობა, რომელიც მას აწევს და რომელიც მას ავალებს თავისი დაუსაბუთებელი ჰიპოთეზები ისტორიის სინამდვილედ არ წარმოადგინოს". და რომ, "საჭიროა ხალხმა იცოდეს თავისი წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების

<sup>2</sup> ს. ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., 1984, გვ. 96-97.

<sup>3</sup> ი. ჯავახიშვილი, პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა XIX საუკუნის საქართველოში, კრებულში - ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1986, № 2-3.



ისტორია. ... უნდა იცოდეს, რასაკვირველია, უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, უცალბო მამ პრინციპისათვის მეცნიერს არასოდეს უღალატია. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მიერ დასახელებულ ნაშრომებში ნაკლებად გვხვდება მათი ავტორისათვის დამახასიათებელი პირველწყაროთა შეპირისპირება, გამოყენებული მასალის უზვი დამონება და სხვა, ამასთან, დანიშნულებიდან გამომდინარე, ეს ნარკვევები ივანე ჯავახიშვილის დანარჩენი თხზულებებისაგან სტილითაც განსხვავდება (ჭარბობს განზოგადება და პუბლიცისტური სტილი), მათი უგულვებელყოფა სრულიად გაუმართლებელია. მიმაჩნია რომ, ამ ნაშრომებს დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვთ და მათ ღირსეული ადგილი უნდა ჰპოვონ მეცნიერის მემკვიდრეობაში.

ვიდრე რუსეთსა და საქართველოს შორის დამოკიდებულების შესახებ ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი გამოქვეყნდებოდა, ქართულ ენაზე ამ პრობლემის ამსახველი სპეციალური გამოკვლევა არ არსებობდა. ქართველი ავტორების ზურაბ ავალიშვილისა<sup>4</sup> და მიხეილ ხელთუფლიშვილის<sup>5</sup> მონოგრაფიები რუსულად იყო დაბეჭდილი. თვალსაჩინო მეცნიერების ალექსანდრე ცაგარლის "Грамоты"<sup>6</sup> და მარი ბროსეს "Переписка"-ც<sup>7</sup> მხოლოდ რუსულ ენაზე იყო გამოცემული. რუსულად სხვა არაერთი სქელტანიანი ნიგნიც მოიპოვებოდა პ. ბუტკოვის,<sup>8</sup> ნ. დუბროვინის,<sup>9</sup> ო. პოტტოს,<sup>10</sup> ა. ივანენკოს,<sup>11</sup> ა. ბერჟესა<sup>12</sup>

<sup>4</sup> З. Авалов, Присоединение Грузии к России. СПб., 1901.  
<sup>5</sup> М. Хелтушлишвили, Вступление Грузии в состав Российской империи, Кутаиси, 1901.  
<sup>6</sup> А. Цагарели, Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, т. I, т. II, СПб, 1891; 1898.  
<sup>7</sup> М. Броссе, Переписка на иностранных языках Грузинских царей с Российскими государями от 1659 г. по 1770 г. , СПб, 1861.  
<sup>8</sup> П. Бутков, Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год, т. II, часть I; II, СПб, 1869.  
<sup>9</sup> Н. Дубровин, Георгии XII, последний царь Грузии и присоединение ее к России, СПб, 1897. მისივე, История войны и владычества русских на Кавказе, т. 1-6, СПб, 1871-1888.



და სხვ. სახით, დასრულებული იყო კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტების<sup>13</sup> ბეჭდვაც, მაგრამ ქართველ მკითხველს შესაძლებლობა არ ჰქონდა საკითხს მშობლიურ ენაზე გაცნობოდა. ამასთან, ივანე ჯავახიშვილის სიტყვით თუ ვიტყვით, მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ "ყველა აქამდის გამოცემულ თხზულებებში რუსეთში არსებული საცენზურო პირობების სიმკაცრის წყალობით ავტორებს ისტორიული სიმართლის სრული სინამდვილით და გულახდილობით გამოთქმა არ შეეძლოთ".<sup>14</sup>

საქმე გამოსწორებას ითხოვდა და ივანე ჯავახიშვილმაც უმთავრეს მიზნად სწორედ ამ ნაკლის შევსება დაისახა.

თავის მონოგრაფიას სწავლული ისტორიკოსი შესავლით იწყებს, რომელშიც დახასიათებულია აღმოსავლეთ საქართველოს მდგომარეობა XVIII საუკუნის დამდეგს. ძირითადი თავები ვახტანგ VI-ის, თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის რუსეთთან ურთიერთობის არსებით საკითხთა გადმოცემას, გეორგიევსკის ტრაქტატსა და საქართველოსთვის მისი შედეგების ანალიზს, რუსეთ-საქართველოს ურთიერთდამოკიდებულების საფუძვლისა და მისწრაფებათა შეურიგებლობის წარმოჩენას, რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის გაუქმების ისტორიის გაშუქებას ეძღვნება.

ეხება რა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში არსებულ რეალობას ივანე ჯავახიშვილი მიუთითებდა: თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ "ფრთხილი, შორსგამჭვრეტელი პოლიტიკისა და დაუცხრომელი

<sup>10</sup> В. Потто, Кавказская война в отдельных очерках, эпизодах, легендах и биографиях, т. 1, СПб, 1885.

<sup>11</sup> А. Иваненко, Гражданское управление закавказьем от присоединения Грузии до наместничества великого князя Михаила Николаевича, Тифлис, 1901.

<sup>12</sup> А. Берже, Присоединение Грузии к России, 1799 - 1831 г., "Русская Старина", 1880 г., т. XXVIII.

<sup>13</sup> Акты, собранные Кавказской Археографической комиссией, под редакцией А. П. Берже, т. I-XII, СПб, 1866-1900 гг.

<sup>14</sup> ი. ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში, თბ., 2006, გვ. 4.



თანდათანობითი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის წყალობით" აღმოსავლეთ საქართველო იმის საშინველ განსაცდელს გადაარჩინეს, რომელშიაც "იგი პეტრე I-ის გადამკიდვე ჩავარდნილი იყო".<sup>15</sup>

სახელოვანმა ისტორიკოსმა კარგად იცოდა, რომ მიუხედავად ქართლ-კახეთის გაერთიანებისა, მიუხედავად იმისა, რომ ერეკლეს დამორჩილებული ჰყავდა განჯის, ყარაბაღისა და ერევნის სახანოები და რეგიონში ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა, ქვეყანის წინაშე, ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორებით განპირობებული მრავალი პრობლემა იდგა. მათ შორის მეცნიერი ყურადღებას ამახვილებს იმ შინაურ უთანხმოებასა და ქიშპზე, რომელიც ძირს უთხრიდა დაუსრულებელ ომებისა და მტრების შემოსევისაგან დასუსტებულ ქართლ-კახეთის სამეფოს. ამ საკითხის გაშუქებისას, ივანე ჯავახიშვილი, ჩემის აზრით, ერთ საგულისხმო დეტალზეც მიაწინებს. კერძოდ, აღნიშნავს, რომ ამ უთანხმოებას მნიშვნელოვანწილად რუსეთის პოლიტიკა, მისი საქართველოსადმი დამოკიდებულებაც განაპირობებდა. მეცნიერის სიტყვით: "რუსეთის უპირობა და საქართველოს უმწეოდ მიტოვება მტრებთან ბრძოლის დროს ჩვენს ქვეყანას მარტო საერთაშორისო დამოკიდებულებას კი არ უფუჭებდა, მარტო მის გარეშე მტრებს კი არ ათამამებდა, არამედ შინაურ ცხოვრებაშიც არევ-დარევასა და სხვადასხვა პოლიტიკურ დასთა შორის ბრძოლას ამწვავებდა, მეფის და მთავრობის პატივისცემისა და უფლების გაქარწყლებას ხალხის თვალში ხელს უწყობდა".<sup>16</sup>

აქვე მინდა დავძინო: ივანე ჯავახიშვილი არ აღწერს ჩვენი განსახილველი პერიოდის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის კონკრეტულ ფაქტებსა და ეპიზოდებს, მაგრამ იძლევა ამ ურთიერთობის უმნიშვნელოვანეს მოვლენათა განზოგადებულ ანალიზს, მკაფიო შეფასებებსა

<sup>15</sup> იქვე, გვ. 13.

<sup>16</sup> ი. ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში, თბ., 2006, გვ. 42.


და დასკვნებს, რაც, ცხადია, მის მიერ საკითხის ფართოდ  
შესწავლიდან გამომდინარეობენ.

ივანე ჯავახიშვილი ითვალისწინებდა რუსეთის  
დამოკიდებულების ხასიათს საქართველოსადმი წინა  
საუკუნეებშიც, რომლისაგანაც დიდად არც პეტრე I-ის,  
ეკატერინე II-ისა და პავლე I-ის პოლიტიკა განსხვავდებოდა  
და შენიშნავდა: "რა წამს რუსეთს თავისი პირადი მიზანი  
მიუღწევლად მიაჩნდა, ან ომის გაგრძელებას თავისთვის  
ხელსაყრელად აღარა სთვლდა, ის საქართველოს  
უყოყმანოდ მიატოვებდა ხოლმე და მაშინ მას ყველაფერი  
ავიწყდებოდა, ქართველთა ქრისტიანობაც და გაჭირვებაც.  
ასეთს შემთხვევებში ის იმაზეც-კი აღარ ფიქრობდა, რომ  
საქართველოს სწორედ მის წყალობითა და მის მოქმედებით  
წინანდელზე უფრო უარესსა და უმეწო მდგომარეობაში  
ვარდებოდა ხოლმე". ... ყოველთვის ისე იყო, რომ რუსეთის  
"დახმარებას" დასაწყისში გარეგნულად საქვეყნოდ დიდი  
სახელი და რიხი ჰქონდა, შემდეგ-კი მუდამ საშინელი და  
დამღუპველი იყო ჩვენი პატარა, მტრებით შემორტყმულის  
ქვეყნისა და ერისათვის.<sup>17</sup>

ივანე ჯავახიშვილი პირდაპირ სვამს კითხვას: "რა მიზეზი  
იყო, რომ დიდი რუსეთის მთავრობა ასე ექცეოდა პატარა  
საქართველოს ან როგორ ახერხებდა რუსეთი საქართველოს  
ისე მოჯადოებას, რომ იგი რამდენიმე მწარე გამოცდილების  
შემდგომაც მაინც "ქრისტესმოყვარე" რუსეთის  
მფარველობის გულწრფელი მოიმედე იყო?"<sup>18</sup>

ეს მართლაც საინტერესო კითხვა შეიძლება ორ ნაწილად  
გავყოთ. ქართველი მეცნიერის პასუხი მათზე ასეთია: მისი  
სიტყვით: საისტორიო წყაროებიდან და თვით რუსეთის  
მოქმედებიდან სრული სიცხადით ირკვევა, რომ "რუსეთის  
მთელი პოლიტიკა და მოქმედება საქართველოს მიმართ  
წამდვილად რუსულ პოლიტიკურ ინტერესებით იყო

<sup>17</sup> ი. ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის  
XVIII საუკუნეში, თბ., 2006, გვ. 40-42.  
<sup>18</sup> იქვე, გვ. 38.



ნაკარნახევი და მხოლოდ ნილაბჩამოფარებული, მაგრამ ტლანქი ეროვნული ეგოიზმის განხორციელება იყო. რაც შეეხება კითხვის მეორე ნაწილს, ივანე ჯავახიშვილის აზრით, ამის უმთავრესი მიზეზი ქართული პოლიტიკის გულუბრყვილობა, საქართველოს პოლიტიკური და დიპლომატიური წრეებისთვის დამახასიათებელი პოლიტიკური მიამიტობა, ქართველ მეფე-მთავრებში ერთმორწმუნე რუსეთის მხრიდან უანგარო დახმარების გადაჭარბებული მოლოდინი იყო. და ეს მაშინ, როდესაც "რუსეთის მთავრობის გულის სიღმეს არ მოჰხვედრია ქართველი ერის მისწრაფება, მისი დანიინაურებული, განათლებული ყოფა-ცხოვრების დაუშრეტელი წყურვილი და მუდმივი ლტოლვა თავისუფლებისადმი. არა, რუსეთის საქართველოს ისე უყურებდა, როგორც კარგს იარაღს, რომელიც საჭიროებისამებრ შეიძლებოდა მშვენიერად გამოეყენებინა თავის სასარგებლოდ".<sup>20</sup> უნდა ითქვას, რომ ამგვარი რამ სახელმწიფოთა ურთიერთობაში არც არის მოსალოდნელი, მაგრამ რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკა ჰუმანისტური იდეალებისაგან რომ შორს იდგა და დგას, ეს ფაქტია.

1768-1774 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის პერიოდში, როცა ეკატერინე II ერეკლეს სამხრეთ საქართველოს შემოერთებას ჰპირდებოდა, ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, "რუსეთს სრულიადაც აზრად არ ჰქონდა საქართველო გაეძლიერებინა, არამედ უნდოდა იგი სრულიად დაუძღურებულიყო, რომ შემდეგ ადვილი მოსასპობი ყოფილიყო".

ივანე ჯავახიშვილი განიხილავს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისეთ კარდინალურ საკითხს, როგორიცაა 1783 წელს გეორგიევსკის ციხე-სიმაგრეში გაფორმებული ტრაქტატი ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის, ძირითად შტრიხებში გადმოსცემს დოკუმენტის შინაარსს და არკვევს ტრაქტატით

<sup>19</sup> იქვე.

<sup>20</sup> ი. ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში, თბ., 2006, გვ. 38.



დამყარებულ უფლებრივ დამოკიდებულებას ორ ქვეყანას შორის.

ბატონი ივანე იმონიშვილი საერთაშორისო უფლების მცოდნე თვალსაჩინო უცხოელი იურისტების, ბრიუსელის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის პროფესორის ერნესტ ნისისა და ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორის ფრანც ფონ ლისტის თვალსაზრისს, ასევე ზურაბ ავალიშვილისა და მიხეილ ხელთუფლიშვილის შეხედულებებს ამ პრობლემის ირგვლივ და გეორგიევსკის ტრაქტატს მოკავშირეობის, "მფარველობისა და კავშირის" ხელშეკრულებას უწოდებდა.<sup>21</sup>

დამატებით არგუმენტად ივანე ჯავახიშვილი იშველიებდა 1790 წელს შექმნილ "ივერიელთა ერთობის ტრაქტატს", რომელშიც ერეკლე II იმერეთის მეფეს, გურიისა და ოდიშის მთავრებს აღუთქვამდა, რომ "შუამდგობითა ჩემით მოგიპოვოთ მფარველობა და კავშირი უზენაესი საიმპერატორო მთავრობისა". თავის მხრივ, დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები ერეკლეს მიმართავდნენ: "უზენაესი საიმპერატორო მთავრობის მფარველობა და კავშირი თქვენის უმაღლესობით ჩვენდა სასარგებლოდ მოპოვებული მოვალე ვარ მივილო"-ო. ამავე საკითხზე საუბრისას თავის ერთ-ერთ საჯარო ლექციაში მეცნიერი ხაზს უსვამდა იმ გარეობასაც, რომ გეორგიევსკის ტრაქტატი, რომელიც დაწერილია, "არა ირაკლის თხოვნით, არამედ პოტიომკინის კარნახით", "სრულებითაც არ გულისხმობს საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობას".<sup>22</sup>

ივანე ჯავახიშვილს უყურადღებოდ არ დაუტოვია თუ რა განსაცდელი დაატყდა თავს ჩვენს ქვეყანას რუსეთზე ორიენტაციისა და ამ ტრაქტატის დადების გამო: "1783 წლის ხელშეკრულების წყალობით საქართველო გაძლიერების და გარეშე მტრებისაგან უზრუნველყოფის მაგიერ სამის მხრით მტრებით გარშემორტყმული გახდა და განუწყვეტილ

<sup>21</sup> ი. ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში, თბ., 2006, გვ. 23-26.  
<sup>22</sup> გაზ. "საქართველო", 1919 წ., 4 მაისი.



საომარ განწყობილებაში ჩავარდა იმერეთის მეზობლებთანაც, რომელნიც წინათ მისი მოკავშირენი იყვნენ”. მეცნიერის სიტყვით, 1795 წლის 12 სექტემბერს სპარსეთის შაჰმა ალა-მაჰმად-ხანმა თბილისზე სწორედ რუსეთთან დადებული ტრაქტატის გამო იძია შური.<sup>23</sup> რუსეთმა კი, მიუხედავად საზეიმო დაპირებებისა და იმპერატორის ხელმწიფური სიტყვისა, საქართველო ბედის ანაბარად მიატოვა.

1799 წლის ნოემბერში, როდესაც რუსეთის ჯარის ნაწილი ორი ბატალიონის სახით გენერალ ლაზარევის სარდლობით თბილისში შემოვიდა, როგორც ივანე ჯავახიშვილი შენიშნავდა: რუსეთს ამ შემთხვევაშიც საქართველოსთვის კი არ შეუწუხებია თავი, არამედ “მხოლოდ პირადი სარგებლობით ხელმძღვანელობდა ... და თავის საიდუმლო გეგმის განხორციელებაზე ზრუნავდა”.<sup>24</sup>

“რუსეთის მთავრობის საქციელი შემადრწუნებელი უპირობა, ფიცისა და აღთქმის დარღვევა და ძალმომრეობა იყო და სხვა არაფერი” - დასაძენს ივანე ჯავახიშვილი.<sup>25</sup>

როგორც ვხედავთ, ივანე ჯავახიშვილი გვაძლევს პირდაპირ მზა ფორულებს, რომლებიც სრულად წარმოაჩენს ჩრდილოელი მეზობლის მიმართებას პატარა და სუსტი საქართველოსადმი არა მხოლოდ ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის ხანაში, არამედ მოყოლებული კახეთის სამეფოს რუსეთთან დაკავშირების პერიოდიდან და რომელიც არსებითად უცვლელია დღემდე.

მოგვიანებით ივანე ჯავახიშვილმა თავისი არაერთი შეხედულება თვითონვე გადასინჯა, საისტორიო მეცნიერების განვითარების კვლადაკვალ რევიზია განიცადა მისმა ზოგიერთმა დებულებამაც, მაგრამ, რაც შეეხება რუსეთ-საქართველოს ურთიერდამოკიდებულების შეფასებას, მეცნიერს მის შესახებ აზრი არ შეუცვლია.

<sup>23</sup> ი. ჯავახიშვილი, პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა XIX საუკუნის საქართველოში, კრებულში - ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1986, № 2-3, გვ. 146.

<sup>24</sup> ი. ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში, თბ., 2006, გვ. 43.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 47.



შეფასება საბჭოთა პერიოდში მხოლოდ სტალინის უმუშალო ჩარევით, მექანიკურად შეიცვალა. ამით აიხსნება, რომ კომუნისტური რეჟიმის წლებში გამოქვეყნებულ "საქართველოს ისტორიის" საკოლო სახელმძღვანელოში, რომელშიც ივანე ჯავახიშვილის თანაავტორები ნიკო ბერძენიშვილი და სიმონ ჯანაშია არიან, რუსეთთან დაკავშირებით ჯავახიშვილის მკვეთრი შეფასებები აღარ გვხვდება.<sup>26</sup>

საქართველოს რუსეთის იმპერიაში ინკორპორაცია რუსულმა ოფიციალურმა ისტორიოგრაფიამ ჯერ კიდევ XIX საუკუნეში "ნებაყოფლობით შეერთებად" მონათლა და დაამკვიდრა ფორმულა "იმპერიის შემადგენლობაში საკუთარი ნებით შესული". ქართლ-კახეთის სამეფოს ლიკვიდაციის აქტი რუსეთის იმპერიასთან საქართველოს ნებაყოფლობით შეერთებადაა სახელდებული ისეთი რუსი ისტორიკოსების მიერ, როგორებიცაა: პ. ბუტკოვი, ნ. დუბროვინი, ო. პოტტო, ა. ბერჟე და სხვ. ივანე ჯავახიშვილი გაემიჯნა რუსულ იმპერიულ ისტორიოგრაფიას და რუსეთის საქართველოში შემოღწევას თავისი ნამდვილი სახელი - "ძალმომრეობითი დაპყრობა" უწოდა.<sup>27</sup>

ივანე ჯავახიშვილმა სცადა გამოესწორებინა ისტორიოგრაფიის კიდევ ერთი შეუსაბამობა, რომლის თანახმადაც, ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე გიორგი XII სამშობლოს მოღალატედ, საკუთარი ქვეყნის რუსეთისათვის გადაცემის თაოსნად მიიჩნეოდა.

ცნობილია, რომ 1812 წელს იმპერატორ ალექსანდრე I-ის განკარგულებით გიორგი XII-ის საფლავზე საქართველოს მთავარმართებელმა გრაფმა პაულიჩიმ დააგმევინა სპილენძის ფილა შემდეგი წარწერით: "მეფე გიორგიმ ... თავის ქვეშევრდომთა სიკეთისათვის, სურდა რა სამუდამო კეთილდღეობა მიენიჭებინა მათთვის, 1799 წელს

<sup>26</sup> ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია. უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე, სახელმძღვანელო საშუალო სკოლის უფროსი კლასებისათვის, თბ., 1943.

<sup>27</sup> ი. ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში, თბ., 2006, გვ. 48.



საქართველო რუსეთის იმპერატორს დაუთმო". ეს წარწერა დიდმა რუსმა პოეტმა ი. ლერმონტოვმა თავის "პოემაში "მწირი" ასე გადაიტანა: "Такой то царь в такой-то год, вручал России свой народ".

ამგვარ შეხედულებას თავის დროზე ისე ღრმად გაუდგამს ფესვი, რომ იგი ქართულ ზეპირსიტყვიერებაშიც კი ასახულა. ერთ ხალხურ ლექსში ნათქვამია: "ქალაქ სიონის საყდარი ბაგრატიონთ ააგესა, მათ რომ ქართლი რუსებს მისცეს, ვაი, რა რა ჭკუა წააგესა". ან კიდევ: "ღვდელი საყდარში შევიდა, შევიდა და დაიფიცა, წმინდა გიორგი გაუნყრეს, ვინც რომ ქართლი რუსებს მისცა".<sup>28</sup>

ქართველი მეფის უდანაშაულობა ამ ბრალდებაში ივანე ჯავახიშვილისათვის ეჭვგარეშე იყო. მეცნიერი მიიჩნევდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფო კარის მნიშვნელოვანი დათმობები რუსეთის საიმპერიო ხელისუფლებისადმი განპირობებული იყო კონკრეტული გარემოებით. გიორგი XII ფიქრობდა, რომ "დაპირება მტრისაგან საქართველოს დაცვისა მხოლოდ მაშინ გახდებოდა რეალური, თუკი იგი თავის მრავალ უფლებაზე უარს იტყოდა და თავის სურვილებს მინიმუმამდე დაიყვანდა".<sup>29</sup> გიორგი XII-ს რომ მეფის უფლებაზე ხელის აღების განზრახვა არ ჰქონია, ამის დასტურად ივანე ჯავახიშვილი თვით რუსული წყაროების გარდა, ერთ საგულისხმო არგუმენტსაც იშველიებს. წერს, რომ გიორგის მეფობაში ქართლ-კახეთში ინყებოდა საფუძვლიანი მუშაობა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ასაღორძინებლად და დასავლურ ყაიდაზე გარდასაქმნელად. ცხადია, ეს წამოწყება სრულიად უაზრო და გაუმართლებელი იქნებოდა მეფეს რომ საკუთარი ქვეყნის რუსეთისათვის გადაცემა ნდომებოდა. "საქართველოში რომ არც ხალხი და არც თვით გიორგი მეფე თავის სახელმწიფოს

<sup>28</sup> О. Джанелидзе, Завоевание или добровольное присоединение? წიგნში – Некоторые вопросы грузино-русских взаимоотношений в современной историографии, Тб., 2011, გვ. 170.

<sup>29</sup> ი. ჯავახიშვილი, პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა XIX საუკუნის საქართველოში, კრებულში - ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1986, # 2-3, გვ. 146.



დამოუკიდებელ არსებობის მოსპობაზე სრულებითაც არაფერი ფიქრობდა, ამას, ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, გარემოებაც ნათლად ამტკიცებს, რომ მაშინ ჩვენს სამშობლოში მოწინავე წრეებში ინტენსიური კულტურული მუშაობა სწარმოებდა და მტკიცე სამზადისი იყო როგორც სახელმწიფო წესწყობილების გასაუმჯობესებლად და ევროპიულის მსგავსად გარდასაქმნელად, ისევე ევროპიული მეცნიერების, ფილოსოფიისა და მწერლობის საქართველოში გადმოსანერგავად. ... იოანე ბატონიშვილმა ვრცელი მოხსენება წარუდგინა გიორგი მეფეს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეცვლილიყო საქართველოს სახელმწიფო წესწყობილება. ... მეფე გიორგიმ 1799 წელს დაამტკიცა ეს პროექტი და მისი განხორციელება უნდა დაენყოთ”.<sup>30</sup> ივანე ჯავახიშვილის დასკვნა ამ საკითხზე ერთმნიშვნელოვანი იყო: “არც მეფე გიორგის, არც მით უმეტეს ქართველ ხალხს ეს (საქართველოს სამუდამო შეერთება რუსეთთან - ო. ჯ.) არც სდომებია და არც უთხოვია”.<sup>31</sup>

ამ საკითხზე მსჯელობის ერთგვარ გაგრძელებად შეიძლება მივიჩნიოთ ივანე ჯავახიშვილის უფრო ადრე გამოთქმული თვალსაზრისი, რომელიც XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე რუსეთის იმპერიისადმი ქართველი ხალხის დამოკიდებულებას წარმოაჩენს. მეცნიერი წერს, რომ ამ დროს ქართლ-კახეთში არსებობდა მცირერიცხოვანი პრორუსული დაჯგუფება. ჯგუფის წევრები “საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობასა და რუსეთთან მის სრულ შეერთებას ესწრაფვოდნენ”.<sup>32</sup> რუსეთის ერთგულებით გამორჩეული ეს ძალა დიდად გავლენიანი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ, ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, ხალხის მნიშვნელოვან ნაწილშიც ამ დროს რუსეთის სახელმწიფო და მთავრობა ჯერ კიდევ “მიმზიდველად გამოიყურებოდა”. მოსახლეობის ამგვარ განწყობას გიორგი XII-ის კარის

<sup>30</sup> ი. ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში, თბ., 2006, გვ. 46.

<sup>31</sup> იქვე, გვ. 45.

<sup>32</sup> ი. ჯავახიშვილი, პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა XIX საუკუნის საქართველოში, კრებულში - ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1986, № 2-3, გვ. 148.



მოძღვრის ეგნატე იოსელიანის სიტყვებიც ემონძობს, რომელიც თავის ნაშრომში მოყვანილი აქვს ისტორიკოს პლატონ იოსელიანს. როცა თბილისში ოფიციალურად შეიტყვეს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთის გუბერნიად გამოცხადების შესახებ, თურმე ბევრი გაკვირვებული დარჩა: "არვინ ველოდით რუსთაგან ამასო".<sup>33</sup>

ივანე ჯავახიშვილი დაუფარავად მიანიშნებს, რომ ქართული არისტოკრატია დროზე ვერ გაერკვა მომხდარი ფაქტის არსში: "გავლენიან პირთაგან ჯერ კიდევ მრავალი ფიქრობდა - სამეფო მხოლოდ იმიტომ გააუქმეს, რომ იმპერატორს არასწორად ეუწყა ხალხის ნება-სურვილიო; ამიტომაც მათი აზრით, საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად მხოლოდ საკითხის აღძვრა იქნებოდა საკმარისი, რომ საქმე თავისთავად მოგვარებულიყო", არადა, "საყოველთაო, ერთობლივ პროტესტს, შესაძლოა, ნაყოფიც გამოელოო", დასძენდა მეცნიერი.<sup>34</sup>

ალექსანდრე I-ის მანიფესტის გამოცემიდან მოკლე ხანში რუსეთის დამპყრობლური ბუნება სრულად გამომჟღავნდა და იმპერიის ქეშმარიტი მისწრაფებაც საყოველთაოდ გახდა ცნობილი. ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, "ქართველი ხალხის სისხლხორცეული ინტერესების ფეხქვეშ გათელვამ მეფის მთავრობის მხრიდან ეს უკანასკნელი სრულ მორალურ ბანკროტობამდე, ყველანაირი ნდობისა და პრესტიჟის დაკარგვამდე მიიყვანა!... ხოლო "იგივე პირები, მადლს რომ სწირავდნენ განგებას საქართველოს ტერიტორიაზე რუსების მოვლინებისათვის, უკვე თავ-ბედს იწყევლიდნენ".<sup>35</sup>

ლამის ერთი საუკუნის წინ გამოთქმულ ივანე ჯავახიშვილის შეხედულებებსა და დასკვნებს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ არ დაუკარგავთ

<sup>33</sup> პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ., 1978, გვ. 201.

<sup>34</sup> ი. ჯავახიშვილი, პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა XIX საუკუნის საქართველოში, კრებულში - ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1986, № 2-3, გვ. 148.

<sup>35</sup> ი. ჯავახიშვილი, პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა XIX საუკუნის საქართველოში, კრებულში - ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1986, № 2-3, გვ. 148. გვ. 150.



თავისი ცხოველმყოფლობა. მათი აქტუალიზება თანამედროვე რეალობაში სრულიადაც არ არის საფუძველს მოკლებული, რადგანაც რუსეთის ჩვენ ქვეყანასთან დამოკიდებულების საკითხი დღესაც პრობლემატურია და განსაკუთრებული სიმწვავეთ გამოირჩევა. ასევე აქტუალური და გასათვალისწინებელია დიდი ქართველი ისტორიკოსის აზრიც, რომ "ანინდელმა ქართველმა პოლიტიკოსმა ამ ჩვენს წარსულშიაც შეიძლება თანამედროვე მდგომარეობისთვისაც ბევრი რამე საგულისხმო და გამაფრთხილებელი ამოიკითხოს".

## დაპყრობა თუ ნებაყოფლობითი შეერთება?\*



XIX საუკუნის დამდეგი აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ინკორპორაციით აღინიშნა. ბოლო მოელო ქართლ-კახეთის სამეფოს და შეწყდა ბაგრატიონთა დინასტიის მმართველობა.

რა ფაქტორებმა განაპირობეს ქართული სახელმწიფოებრიობის ლიკვიდაცია და როგორ აისახა იგი თანადრულ თუ შემდგომი ხანის ისტორიოგრაფიაში?

დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა თვალი გადავავლოთ ამ ტრაგიკული მოვლენის წინაისტორიასაც, რომელიც ამგვარად წარმოსდგება:

რუსეთი, როგორც მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალა, სამხრეთ კაკასიის რეგიონში XV საუკუნის II ნახევარში იმ დროს გამოჩნდა, როდესაც ერთიანი საქართველოს ფეოდალური მონარქია ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად და სამცხის საათაბაგოდ დანაწევრებულიყო. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, საერთო საგარეო პოლიტიკა ველარ ინარმოებოდა. ცალკეულ ქართულ სამეფოსა თუ სამთავროს საკუთარი საგარეო კურსი დამოუკიდებლად უნდა გამოემუშავებინა. ირანისა და ოსმალეთის გახშირებულ თავდასხმებისაგან შევიწროებულმა კახეთის სამეფომ მზერა ჩრდილოელი მეზობლისაკენ მიაპყრო და ერთმორწმუნე რუსეთი მხსნელად და მოკავშირედ დაიგულა.

ქართველთა ცნობიერებაში დიდი ხნის განმავლობაში რუსეთი ძლევამოსილ მართლმადიდებელ სახელმწიფოდ აღიქმებოდა, რომელსაც ძალუძდა მუსლიმთა ურდოებით შევიწროებული ქრისტიანი თანამოძმეებისათვის მფარველობის ხელი გაეწვდინა. "ქართველები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ რუსეთისა და საქართველოს ინტერესები ამიერკავკასიაში ერთიმეორეს ეთანხმებოდა, რომ მაშასადამე, რუსეთის მიერ საქართველოს მფარველობა საიმედო და სანდო იქნებოდა. საქართველოს ბედის რუსეთთან დაკავშირებით ერეკლე ირან-ოსმალეთის

\* პირველად დაიბეჭდა ჟურნალში „ანალები“, თბ., 2012, № 8.



მოდლადეებისაგან თავისი ქვეყნის სამუდამოდ გამოხსნას და მის აღდგენას ლამობდა," შენიშნავდა აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი.<sup>1</sup> მაშინ არავის უფიქრია საფრთხეზე, რაც რუსეთის კავკასიურ სივრცეში შემოღწევას შეიძლებოდა მოჰყოლოდა.

რუსეთის გამოჩენა სამხრეთ კავკასიურ ასპარეზზე საფრთხეს უქმნიდა და არღვევდა აქ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩამოყალიბებულ გეოპოლიტიკურ წონასწორობას. მართალია, რეგიონში ერთპიროვნული გაბატონებისათვის ირანსა და ოსმალეთს შორის გაჩაღებული მეტოქეობა არასოდეს შეწყვეტილა, მაგრამ 1555 წელს ქალაქ ამასიაში დადებული ზავის შედეგები, რომლის თანახმადაც აღმოსავლეთ საქართველო ირანს, ხოლო დასავლეთ საქართველო ოსმალეთს ერგო, ძალაში რჩებოდა. "არც სპარსეთს უნდოდა, რომ საქართველოს დაჭერით ვინმე სხვა სახელმწიფო ახლო მოსვლოდა, არც ოსმალეთს, რადგანაც საქართველო ამ ორსავე სახელმწიფოს საზღვრად და გზად იდგა. ... სპარსეთს უნდოდა მარტოს სჭეროდა საქართველო, ჯერ ვითარცა კარი რუსეთიდან აზიაში შემოსევისათვის დასაკეტი და მერმე ვითარცა გზა ოსმალეთის შესალახველი. ამასვე ჰლამობდა ოსმალეთი და სპარსეთს არ ანებებდა საქართველოს დაჭერას, თვით სწყუროდა ეს კარი და გზა თითონ ჰქონებიყო და სპარსეთისათვის მუქარად ხელთა სჭეროდა".<sup>2</sup> ორ დამპყრობელს შორის ამასიის შემდგომ პერიოდშიც არსებული ურთიერთდაპირისპირება და ომები სტატუს-კვოს დიდად არ ცვლიდა. თავის მხრივ, საქართველოც იბრძოდა, ასე თუ ისე, "ბაბრსაც" და "ფოცხვერსაც" იგერიებდა და ბოლომდე არც ერთს ნებდებოდა.

ამასთან, ისიც აღსანიშნავია, რომ საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის არჩევანი ქართველი მეფეებისათვის იმ დროს ფართო არ ყოფილა. მათ არაერთხელ მოსინჯეს დასავლეთის

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს შეერთება რუსეთთან, საქართველოს ისტორიის საკითხები, წგნ. II, თბ., 1965, გვ. 229.

<sup>2</sup> ი. ჭავჭავაძე, ასი წლის წინათ (პირველად შემოსვლა რუსის ჯარისა ტფილისში), რჩ. ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. IV, თბ., 1987, გვ. 179.

სახელმწიფოებთან დაახლოების გზა, მაგრამ, გეოგრაფიული სიშორის გამო, საქართველოს ხმა ევროპას ნაკლებად ნვდებოდა. ქართველი ხალხის ტრაგიკული ბედი ევროპაში მორალურ თანაგრძნობას იწვევდა, ხოლო ამას იქით საქმე აღარ მიდიოდა. საქართველო ვერ მოხვდა დასავლეთის ქვეყნების სერიოზულ ინტერესთა სფეროში. ამიტომაც იქცა ერთმორწმუნე რუსეთი ბოლო იმედად. მაგრამ რუსეთზე ორიენტაცია საქართველოსთვის ცუდსა და უარესს შორის არჩევანი იყო. უარესს, ცხადია, ირან-ოსმალეთის მაჰმადიანური გარემოცვა წარმოადგენდა, ცუდს - რუსეთი.

XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე ევროპის დიდ სახელმწიფოთა ურთიერთდაპირისპირებამ რუსეთის იმპერიას შესაძლებლობა მისცა გაეაქტიურებინა ექსპანსია სამხრეთის მიმართულებით. ჩრდილოეთიდან მომავალი ახალი აგრესიული ძალა სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა სამხრეთ კავკასიას, რომელიც მისთვის აღმოსავლეთის ქვეყნების გასაღებს წარმოადგენდა. სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას დიდწილად ევროპისა და აზიის სახელმწიფოებთან მისი საზღვაო და სახმელეთო კომუნიკაციების სისტემა, დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელი სავაჭრო-სატრანზიტო ფუნქცია განსაზღვრავდა. ეს, ტერიტორიის თვალსაზრისით, არც თუ დიდი რეგიონი, ყოველ ისტორიულ ეპოქაში ხელსაყრელ სტრატეგიულ პლაცდარმს წარმოადგენდა, რომლის დასაუფლებლად თავგამეტებით იბრძოდნენ მეზობელი თუ შორეული დამპყრობლები.

რუსეთის მისწრაფება სამხრეთ კავკასიისაკენ თავდაპირველად ძირითადად პოლიტიკური, სამხედრო და სტრატეგიული ამოცანებით შემოიფარგლებოდა. პეტრე I-ის შემდგომი რუსეთის იმპერია მოკლებული იყო თავისი საზღვრების დასავლეთით დიდად გაფართოების შესაძლებლობას. ჩრდილოეთით წასასვლელი არსაით იყო. რჩებოდა ორი - აღმოსავლეთისა და სამხრეთის მიმართულება, საითკენაც წინსვლა შედარებით იოლი ჩანდა. XIX საუკუნეში, როდესაც რუსეთს კოლონიების დაპყრობის უფრო მეტი შესაძლებლობები გაუჩნდა, ევროპის ქვეყნებს უკვე ათვისებული ჰქონდათ ამერიკის, აზიისა თუ აფრიკის



კონტინენტთა დიდი ნაწილი და ამ სივრცეში რუსეთისათვის ადგილი აღარ რჩებოდა. რუსეთი კვლავაც ახლომდებარე ტერიტორიებისა და ხალხების შემოერთებას უნდა დასჯერებოდა.

აღმოსავლეთ საქართველოში დამკვიდრების შემდგომ რუსეთმა ირანისა და ოსმალეთის არაერთგზის დამარცხება შესძლო, ორივე მათგანს რეგიონიდან ფეხი ამოუკვეთა და ამ მხარის სრული ბატონ-პატრონი შეიქმნა. საქართველოში შემოღწეული მან კავკასიური სახელმწიფოს სტატუსი მოიხვეჭა. ამასთან, იმპერია, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში ზღვა საერთოდ არ გააჩნდა, შავი ზღვის რეგიონის სახელმწიფო ხდებოდა და საჭირო პოზიციებაც ეუფლებოდა მახლობელ აღმოსავლეთში გასაჭრელად. შავ ზღვაზე გასასვლელის მოპოვება ანუ "სამხრეთის ფანჯრის" გაჭრა ევროპასა და აღმოსავლეთში<sup>3</sup> - რუსეთის ხელისუფალთა აღმოსავლური პოლიტიკის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე და მისი მიღწევა უმნიშვნელოვანესი იყო იმპერიის ფარგლების საოცნებო ინდოეთამდე განვრცობის გზაზე.

ცხადია, ყოველი ახალი სამფლობელო ამ თუ იმ იმპერიის პოლიტიკურ წონასა და გავლენას ამაღლებდა, ეპოქის საერთაშორისო ურთიერთობებსა და ძალთა განლაგებაში მის ავტორიტეტს განამტკიცებდა, მაგრამ მეტროპოლიებისთვის დაპყრობილი ტერიტორიების არც ეკონომიკური მნიშვნელობა ყოფილა მეორეხარისხოვანი. შემოერთებული მიწა-წყლის ბუნებრივ სიმდიდრეთა ექსპლუატაცია, კოლონიების გადაქცევა იაფი ნედლეულისა და სამუშაო ძალის წყაროდ, ასევე კაპიტალის მომგებიანი დაბანდების ობიექტებად ტიპური იყო ახალი დროის ყველა იმპერიისათვის და მათ შორის არც რუსეთი ყოფილა გამონაკლისი.

როცა კავკასიონის ქედი გადმოლახა, აღმოსავლეთ საქართველო დაიპყრო, ხოლო შემდეგ ირანსა და ოსმალეთს სამხრეთ კავკასიის ადრე მიტაცებული ტერიტორიები

<sup>3</sup> О. Маркова, Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке, М., 1966, გვ. 3.



დაათმობინა, რუსეთის იმპერია ამით, უპირველეს ყოვლისა, თავის სამხედრო და სტრატეგიულ ამოცანებს წყვეტდა, რეგიონში მეტოქე მაჰმადიანურ სახელმწიფოებს ავინროებდა და აზიაში შესაღწევად საიმედო პლაცდარმს იქმნიდა. ამის პარალელურად, აღსანიშნავია ისიც რომ, მას შემდეგ, რაც საქართველოში სპეციალური მისიით წარმოგზავნილმა გრაფმა მუსინ-პუშკინმა საიმპერატორო კარს აქაური ნიაღისეული სიმდიდრეები აღუწერა, "თვალწინ გადაუშალა ჩვენი ქვეყნის მთელი საუნჯე, ბუნების მშვენიერება და "სამოთხის მსგავსი ჰავა",<sup>4</sup> პეტერბურგსა და მოსკოვში მხარის სამეურნეო-ეკონომიკური და კოლონიური ათვისების პროექტთა შეთხზვას და პრაქტიკაში მათი ეტაპობრივად დანერგვის სამუშაოებსაც შეუდგნენ.

რომანოვთა იმპერიის ორბიტაში საქართველოს მოქცევა რუსეთის ეკონომიკურ ინტერესებს იმ მხრივაც პასუხობდა, რომ პეტერბურგს ამით ირანთან და ინდოეთთან ვაჭრობის ფართო ასპარეზი ეხსნებოდა.<sup>5</sup> ასე რომ, საქართველოში შემოსვლა და დამკვიდრება, არსებითად, მეფის ხელისუფლების იმპერიული მიზნების ერთობლიობამ (სამხედრო, სტრატეგიული, პოლიტიკური, ეკონომიკური, კოლონიური) განაპირობა.

ქართლ-კახეთის სამეფოს ლიკვიდაციას რუსეთისათვის ხელსაყრელ საერთაშორისო ვითარებასთან ერთად ხელი შეუწყო თვით აღმოსავლეთ საქართველოში შექმნილმა რთულმა შინამდგომარეობამ. ერეკლე II-ის მიერ ტახტის მემკვიდრეობის წესის შეცვლამ ბატონიშვილები სამკვდრო-სასიცოცხლოდ წაჰკიდა ერთმანეთს და ისედაც ერთიანობასა და პოლიტიკურ სიმტკიცეს მოკლებული სამეფო კიდევ უფრო დაასუსტა.

ქართველ პოლიტიკოსთა მიერ მაჰმადიანური აგრესიისაგან ფარად ჩაფიქრებული გეორგიევსკის ტრაქტატი ქვეყანას ვერაფერში გამოადგა, რუსეთმა კი ამ

<sup>4</sup> ივ. ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-18 საუკუნეში, თბ., 2006, გვ. 44.

<sup>5</sup> П. Бутков. Материалы для новой истории Кавказа сь 1722 по 1803 годъ, кн. II. СПб., 1869, გვ. 463-464.



ხელშეკრულებით გზა გაიკაფა სამხრეთისაკენ, ისარგებლეს მფარველისა თუ მოკავშირის სტატუსით და აღმოსავლეთ საქართველოში ჯარის ნაწილები უპრობლემოდ შემოიყვანა, რაც სხვა შემთხვევაში მხოლოდ ბრძოლით იქნებოდა შესაძლებელი.

საერთაშორისო ასპარეზზე წინააღმდეგობას მოკლებულმა რუსეთის სახელმწიფომ ძლიერის უფლებით მიიტაცა პატარა და სუსტი ქვეყნის ოკუპირებული მიწა-წყალი, მოშალა ოდინდელი სუვერენული სამეფო და ქართლ-კახეთი საკუთარი იმპერიის ნაწილად - გუბერნიად აქცია. რუსეთის საიმპერიო ხელისუფლება საქართველოს იმთავითვე დაპყრობილ, კოლონიურ სამფლობელოდ მიიჩნევდა, მაგრამ ამ ტერმინის ოფიციალური დამკვიდრებისაგან თავს იკავებდა. უფრო რესპექტაბელურად გამოიყურებოდა ფორმულა "იმპერიის შემადგენლობაში საკუთარი ნებით შესული", რომლის მიზანდასახულობა სავსებით ნათელია: თუკი საკუთარი ხანგრძლივი სახელმწიფოებრივი ტრადიციის მქონე ქართლ-კახეთის სამეფო თავისით წყვეტდა არსებობას და ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ძლევამოსილ იმპერიას ეკედლებოდა, რათა ამ გზით მშვიდობა და სტაბილურობა მოეპოვებინა, რატომ არ უნდა ყოფილიყო ეს მიმზიდველი მაგალითი რეგიონის სვა ხალხებისათვის, რომელთაგან ნაწილს საერთოდაც არ გააჩნდა სახელმწიფოებრივი ცხოვრების გამოცდილება, ზოგი კი სუვერენულ პოლიტიკურ ცხოვრებას კარგა ხანია მოკლებული იყო? (მაგალითად, რეგიონის მაჰმადიანური სახანოები, ჩრდილოეთ კავკასიის მცხოვრებნი და სხვ.). ამასთან, რუსეთის საიმპერატორო კარი საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის წინაშეც პირნათელი გამოიყურებოდა. ამ დებულების თანახმად, იგი არ გამოდიოდა ლეგიტიმიზმის პრინციპების დამრღვევად, ვინაიდან საქმე ისე წარმოჩნდებოდა, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი და საისტორიო ტრადიციით, ღვთივკურთხეული ბაგრატიონთა სამეფო დინასტია თავის ლეგიტიმურ უფლებებზე ხელს საკუთარი ნებით იღებდა და ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას რუსეთს უერთებდა.

სწორედ ამიტომ იყო, რომ რუსულმა ოფიციალურმა




ისტორიოგრაფიამ შემოიღო ტერმინი “ნებაყოფლობითი შეერთება”. ქართლ-კახეთის სამეფოს ლიკვიდაციის რუსეთის იმპერიასთან აღმოსავლეთ საქართველოს “ნებაყოფლობით შეერთებადაა” სახელდებული პ. ბუტკოვის, ნ. დუბროვინის, ო. პოტტოს, პ. ბერუესა და სხვა მათ თანამედროვე რუს ავტორთა ნაშრომებში.

მაინც საიდან იღებს სათავეს და რა საფუძველს ემყარება ეს შეხედულება? ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის 1799-1800 წლების მიმართეები რუსეთის იმპერატორ პავლე I-სადმი, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში გიორგი XII-ის “სათხოვარი პუნქტების” სახელწოდებითაა ცნობილი. ხსენებულ ავტორთა ინტერპრეტაციებიც სწორედ ამ დოკუმენტიდან მომდინარეობს.

რამ განაპირობა “სათხოვარ პუნქტებში” გამოხატული გიორგი XII-ის განზრახვა, რომ გეორგიევსკის ტრაქტატით განსაზღვრული “მფარველობით” ურთიერთობის ნაცვლად იგი მზადაა ქართლ-კახეთის რუსეთზე “ვასალური” დამოკიდებულება აღიაროს? რა აიძულებდა მეფეს, რომ კიდევ უფრო შეეზღუდა თავისი სუვერენული უფლებები და დაედო “სამეფო ქართლოსიანთა საიმპერიოდ რუსეთისად”?

რუსეთზე შეუქცევადმა ორიენტაციამ და განსაკუთრებით 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატმა, როგორც აღნიშნული იყო, საქართველოს დიდი განსაცდელი მოუვლინა. ირანი, ოსმალეთი თუ მათი ნაქეზებით გათამამებული მეზობელი მაჰმადიანური სახანოები ახლა ქართლ-კახეთის წინააღმდეგ თითქმის უნისონში ამოქმედდნენ. მათი თავდასხმების მოგერიება, რომელიც ქართული სოფლებისა თუ ქალაქების აოხრებით, ძარცვითა და დიდძალი მსხვერპლით მთავრდებოდა, ქვეყანას უფრო და უფრო უძნელდებოდა. მოკავშირე რუსეთი სიტყვას ტეხდა და ტრაქტატით ნაკისრ ვალდებულებებს არ ასრულებდა. გაჩანაგების პირას მისული სამეფოს სასიცოცხლო ენერგია უნუგეშოდ ინრიტებოდა. XVIII საუკუნის 80-იანი წლებიდან სულ რაღაც ორი ათეული წლის განმავლობაში ქართლ-კახეთის მოსახლეობა თითქმის



განახვერდა და 350 ათასიდან 200 ათასამდე შემცირდა.<sup>6</sup> ერთმორწმუნე ქრისტიანული ქვეყნის ამ უბედურებაში დიდი წილი ედო რუსეთის იმპერიას, რომელიც ფორმალურად არ უარყოფდა ტრაქტატს, მაგრამ არსებითად ერეკლე II-სა თუ გიორგი XII-ს მხოლოდ დაპირებებით კვებავდა და მათ დასახმარებლად არაფერს აკეთებდა.

რუსეთის სახელმწიფო საბჭომ, 1801 წლის 8 აგვისტოს, იხილავდა რა საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხს, ფაქტობრივად აღიარა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს დაცემის ერთ-ერთი მიზეზი რუსეთის მიერ 1783 წლის ხელშეკრულების შეუსრულებლობა იყო. "Простая протекция, - აღნიშნულია ამ საბჭოს სხდომის ოქმში, - какую с 1783 г. давала Россия Грузии, вовлекла сию несчастную землю в бездну зол, которыми она приведена в совершенное изнеможение, и продолжение оной на тех же основаниях немедленно ввергнет её в совершенную погибель".<sup>7</sup>

ასეთ ვითარებაშიც კი გიორგი XII ხსნის იმედს მაინც რუსეთს უკავშირებდა, მიაჩნდა, რომ ურუსეთოდ საქართველოში ქრისტიანობა გაქრებოდა. "თუ არ მკლავი რუსთა ხელმწიფისა, ვერვინ დაიცავს საქრისტიანოსა. ... სხვა პატრონი არა გვყავს ჩვენ გარდა რუსთა ხელმწიფეთა." გიორგი დარწმუნებული იყო, რომ მისი "პირობები რუსეთის მეფესთან, - საკეთილონი არიან ქვეყნისათვის".<sup>8</sup> მეფის კარზე მყოფი მისიონერი, პატრი ნიკოლა ამაოდ უხსნიდა გიორგი XII-ს, რომ: "სხვათაგან დამოკიდებული ქვეყანა იქმნება დაცინებული და საკიცხველი. დამონებული სხვათაგან მეფობა არის უბედური და მარადის სამწუხარო." "უცხო ნათესავი, პატონად ქვეყნისა მოყვანილი, შეექმნება ერსა მტერად და მდევნელად, და მანუხებლად," რომ "წესდება მათი და ჩვეულება იქმნება სამძიმო." "რუსნი შემოიჭანენ პირველადვე მძიმესა უღელსა და დასდებენ ქვეყანისა კისერსა. მოითხოვენ დიდთა ხარკთა, რომელთაცა თქვენ ვერ შესძლებთ. მაშინ თქვენი მამულნი და ყმანი გაისყიდებიან

<sup>6</sup> АКАК, т. I, გვ. 426.

<sup>7</sup> Архив Государственного Совета, т. 3. СПб., 1878, გვ. 1197.

<sup>8</sup> პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ., 1978, გვ. 152.



ბარაბანითა და მკვდარნი თქვენნი დაიმარხებიან მუხიკეთა<sup>9</sup>  
 ამ და სხვა გაფრთხილების მიუხედავად, გიორგი XII-ს  
 რუსეთის "პატრონობა" იმის სანიდრად ესახებოდა, რომ  
 შეინარჩუნებდა ტახტს, მოიგერიებდა გარეშე მტრებს და  
 ქვეყანაში წესრიგსა და სტაბილურობას აღადგენდა.<sup>10</sup> ივანე  
 ჯავახიშვილის სიტყვით, გიორგი ფიქრობდა, რომ "დაპირება  
 მტრისაგან საქართველოს დაცვისა მხოლოდ მაშინ  
 გახდებოდა რეალური, თუკი იგი თავის მრავალ უფლებაზე  
 უარს იტყოდა და თავის სურვილებს მინიმუმამდე  
 დაიყვანდა".<sup>11</sup>

რას ითვალისწინებდა კონკრეტულად "სათხოვარი  
 პუნქტები" ან ნიშნავდა თუ არა იგი გიორგი XII-ის უარს  
 სამეფო ტახტზე და ქვეყნის რუსეთისათვის დათმობას? ამ  
 კითხვაზე პირდაპირ პასუხს სცემს ცნობილი ქართველი  
 ისტორიკოსი მამია დუმბაძე. ჯერ კიდევ 1963 წელს  
 გამოქვეყნებულ სტატიაში იგი წერს: "ჩვენ განკარგულებაში  
 არსებული მასალის კრიტიკული შესწავლა, განსაკუთებით კი  
 გიორგის მიერ თავისი ელჩებისთვის პეტერბურგში  
 გაგზავნილი "სათხოვართა პუნქტები" 1799-1800 წლებში  
 რუსეთის იმპერატორისათვის წარსადგენად, არ იძლევა  
 საკმარის საფუძველს იმისათვის, რომ მეფე საკუთარი ქვეყნის  
 ინტერესების ღალატში დავადანაშაულოთ".<sup>12</sup>

არადა, ეს ბრალდება, რომელიც სათავეს გენერალ  
 ლაზარევიდან უნდა იღებდეს, ხოლო შემდეგში რუსულ  
 ისტორიოგრაფიასა და ლიტერატურაშიც აისახა, გიორგი XII-  
 ს მთლად მოხსნილი არა აქვს. გენერალ ლაზარევისაგან  
 მომდინარეობს ინფორმაცია, რომ ქართლ-კახეთის  
 უკანასკნელი მეფის განზრახვა სუვერენულ უფლებათა

<sup>9</sup> პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ., 1978, გვ. 153.

<sup>10</sup> О. Джанелидзе, Грузинский вопрос в Петербурге. Литературная Грузия, № 1-3, 2003, გვ. 49-50.

<sup>11</sup> ი. ჯავახიშვილი, პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა XIX საუკუნის საქართველოში, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1986, # 2-3, გვ. 146.

<sup>12</sup> М. Думбадзе, Из истории борьбы грузинского народа против колониальной политики царизма, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, №5, 1963, გვ. 72.



უკიდურესი შეზღუდვის შესახებ ცნობილი ყოფილა გიორგი XII-ის მრჩეველთა მხოლოდ ვინრო წრისათვის და ამის თაობაზე თვით მემკვიდრე დავითიც კი საქმის კურსში არ ყოფილა. იგი მამის სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე გასცნობია რუსეთის იმპერატორისადმი გიორგის მიერ გაგზავნილ ერთ საიდუმლო წერილს, რომელშიც მეფე რუსთ ხელმწიფეს წლიურ ჯამაგირსა და რუსეთში სოფლების გამოყოფას სთხოვდა. დავითს სასწრაფოდ სამეფო მდივანი თუმანიშვილი დაუბარებია და უკითხავს: "Известен ли он сей бумаге, но как при написании оной царь привел Туманова к присяге, что б никому не объявлять, то сей отвечал, что он не знает; он (Давид, - о. ж.) на сие сказал батюшка нас зарезал!"<sup>13</sup>

რუსეთის იმპერიაში მოქცეული ქართლ-კახეთის ხვედრით შეწუხებული და უკმაყოფილო იმერეთის მეფე სოლომონ II-ც "სამეფო სახლის დამხობას" გიორგი XII-საგან ქვეყნის "დაფარვით განცემას" უკავშირებდა. "Георгий забыл духовное завешание отца и принебрег кровью предков своих, пролитую за царство, которое предал без ведома братьев и детей своих и всего народа".<sup>14</sup> 1812 წელს იმპერატორ ალექსანდრე I-ის განკარგულებით გიორგი XII-ის საფლავზე საქართველოს მთავარმართებელმა გრაფმა პაულიჩიმ დაადგმევინა სპილენძის ფილა, რომლის წარწერაშიც აღნიშნულია: "მეფე გიორგიმ... თავის ქვეშევრდომთა სიკეთისათვის, სურდა რა სამუდამო კეთილდღეობა მიენიჭებინა მათთვის, 1799 წ. საქართველო რუსეთის იმპერატორს დაუთმო". ეს წარწერა დიდმა რუსმა პოეტმა ი. ლერმონტოვმა თავის პოემაში "მწირი" ასე გადაიტანა: "Такой то царь в такой- то год, вручал России свой народ".<sup>15</sup>

აღსანიშნავია, რომ აზრი მეფე გიორგი XII-ის მიერ ქვეყნის რუსეთისათვის დათმობის შესახებ შემორჩენილია ქართულ ზეპირსიტყვიერებაშიც. მაგალითად ერთ ხალხურ ლექსში ნათქვამია: "ქალაქ სიონის საყდარი ბაგრატიონთ ააგესა, მათ

<sup>13</sup> АКАК, т. I, გვ. 189.

<sup>14</sup> АКАК, т. I, გვ. 559.

<sup>15</sup> М. Лермонтов. Соч. т. I. М., 1988, გვ. 594.



რომ ქართლი რუსებს მისცეს ვაი, რა ჭკუა ნააგესა<sup>16</sup> და ვიდრე: “ღვდელი საყდარში შევიდა, შევიდა და დაიფიცა; წმინდა გიორგი გაუნყრეს, ვინც რომ ქართლი რუსებს მისცა”.<sup>16</sup>

ვნახოთ, რამდენად შეესაბამება ყოველივე ეს სინამდვილეს.

ცნობილია, რომ 1799 წლის 7 სექტემბერს გიორგი XII-მ პეტერბურგში წარგზავნილ თავის ელჩებს გარსევან ჭავჭავაძეს, ელიაზარ ფალავანდიშვილსა და გიორგი ავალიშვილს ასეთი “წერილობითი დარიგება” და “გარდანყვეტილებითი ჰაზრი” მისწერა: “უმსხვერპლეთ ყოველი სამეფო და სამფლობელო ჩემი უზაკველითა და ქრისტიანებრითა ქვეშარიტებითა მსხვერპლებითა და დაუდევით არა თუ მფარველობასა ქვეშე უდიდებულესსა დიდსა რუსეთისა საიმპერატორო ტახტსა, არამედ დაანებეთ სრულსა ნებასა და მზრუნველობასა მათსა, რათა ამიერიტგან დაიდვას სამეფო ქართლოსიანთა საიმპერიოდ რუსეთისად წესითა მით, ვითარცა სხვანი იგი რუსეთსა შინა პყრობილნი პროვინციანი სარგებლობენ”.<sup>17</sup> მეფის მიერ თავის დესპანთათვის მიცემულ ამ სახელმძღვანელო მითითებებს რუსულადაც დავიმონწმებთ: “Предоставьте имъ все мое царство и мое владеніе, какъ жертву чистосердечную и христіански праведную, и предложите его не только подъ покровительство высочайшаго великаго Русскаго Императорскаго престола, но предоставьте вполне ихъ власти и попеченію, чтобы съ этихъ поръ царство Картлосіанов считалось принадлежащимъ Державе Россійской съ теми правами, которыми пользуются находящіяся въ Россіи другія области”.<sup>18</sup>

გიორგი XII-ის დავალებით, ქართველ ელჩებს იმპერატორისაგან უნდა მოეთხოვათ წერილობითი დასტური, რომ “სახლსა შინა ჩემსა არა აღაყენოს მეფენი, გარნა ოდენ

<sup>16</sup> ქართული ლიტერატურის მუზეუმი, შ. ამირეჯიბის ფონდი, საქ. № 26960/27, გვ. 43-44.

<sup>17</sup> პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ., 1978, გვ. 91.

<sup>18</sup> А. Цагарели, Грамоты и другіе историческіе документы XVIII столетія, относящіяся до Грузіи, т. II, вып. СПб., 1902, гв. 287.



სამეფოს მემკვიდრითი მემკვიდრე ვითარცა ნინაბარნი ჩემნი". ამ ფრაზას, რომელსაც რუსულ ენაზე შემდეგი ფორმულირება მიუღია: "не прекращать в доме моемъ царскаго званія, а допустить царствовать наследственно как это было при предкахъ моихъ", გიორგი XII-ის ცხოვრების აღმწერი პლატონ იოსელიანი ასე განმარტავს: "რათა არა გაუქმდეს მეფობა ანუ მოადგილეობა ხელმწიფე იმპერატორისა მეფეთა გვარში. - ესე უნებდა იმა წესითა ვითარცა ძველადცა ინოდებოდა საქართველო ვალისტანად სპარსთა ყაენებისა და თვით მეფესა საქართველოსას უნოდებდნენ ყაენნი - ვალი გურჯისტანისა".<sup>19</sup> საყურადღებოა ისიც, რომ ხსენებულ "დარიგებაში" გიორგი XII დასძენდა: თუ ჩემი ეს თხოვნა გათვალისწინებული არ იქნა, "მაშინ ყოველი დამოკიდებულება ჩვენი იქმების დახსნილი თვინიერ ურთიერთისადმი მეზობლური ქცევისა".<sup>20</sup> აქ გიორგი არათუ ტახტის დათმობას არ აპირებს, არამედ, მზად არის საერთოდ განყვიტოს რუსეთთან გეორგიევსკის ტრაქტატიც კი და მასთან მხოლოდ მეზობლური ურთიერთობით შემოიფარგლოს. სხვათა შორის, მეფობის შენარჩუნებას თავისთვის და მემკვიდრე დავითისათვის გიორგი XII იმპერატორისადმი სხვა წარდგინებაშიც ითხოვდა: "თქვენის იმპ. დიდ-მი განპყრობილი ხელი ჩემი თქვენი დიდებულებისაგან არ უგულებელ იქმნას ... და რაგვარადცა თქვენგან მე ვიყო დაუტყვევებელ, ეგრეთვე მემკვიდრე ჩემი დავით".<sup>21</sup> ამასთან, გიორგი XII-ის ნოტაში პაველე I-სადმი, რომელიც დათარიღებულია 1798 წლის 30 ივნისით, 1783 წლის ხელშეკრულების განყვეტასა და პეტერბურგიდან ქართლ-კახეთის ელჩის გამოწვევის განზრახვაზეცაა საუბარია თუ რუსეთი კვლავაც უგულებელყოფს მეფის თხოვნას და გააჭიანურებს საქართველოს დახმარებას.<sup>22</sup>

<sup>19</sup> პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ., 1978, გვ. 91.

<sup>20</sup> ზ. ცუციტიშვილი, გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, თბ., 1982, გვ. 150.

<sup>21</sup> იქვე.

<sup>22</sup> Н. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе, т. 3. СПб, 1886, гв. 239.



“სათხოვარი პუნქტები” რომ მეფის უფლებებზე ხელის ალებას და არც რუსეთის იმპერიასთან უპირობო შეერთებას არ გულისხმობდა, კარგადა აქვს შემჩნეული რუს ისტორიკოსს ნ. დუბროვინს. მისი სიტყვით, გიორგი XII ცდილობდა რუსეთის ჯარითა და ფინანსებით ესარგებლა და არც მეფობის უპირატესობა დაეკარგა. “Не трудно видеть, что царь надеялся выхлопотать себе все преимущества царя и вместе с тем пользоваться русским войскомъ и русскими денгами”.<sup>23</sup>

საყურადღებოა ალექსანდრე ბატონიშვილის ერთი ცნობაც, რომელსაც დავიმონმებთ 1803 წლის 1 ივლისით დათარიღებული მისი წერილიდან იმპერატორ ალექსანდრე I-ისადმი. ბატონიშვილი აღნიშნავს: გიორგიმ, “მსასოებელმან ქრისტიანესაგან ხელმწიფისა შევედრა თუსი სახლი, რათამცა დაიცვას მშვიდობასა შინა და არა განსრულიყო მეფობა სახლით ჩვენით”<sup>24</sup> (ხაზი ჩემია, - ო. ჯ.).

ბოლო დროს ქართველი მეცნიერის ე. ხოშტარია-ბროესეს მიერ მიკვლეულ საარქივო დოკუმენტში, რომელიც “სათხოვარი პუნქტების” ერთ-ერთ ვარიანტადაა მიჩნეული, ასევე აღნიშნულია: გიორგი XII “ქვეშევრდომებრივ ითხოვს მიღებასა თანა მისისა სამეფოისასა იყოს იგი დატყვევებულ და შემდგომად მისა მემკვიდრენიცა მის მისნი მეფედ ტახტსა ზედა ხრისხითა მეფობისათა”.<sup>25</sup>

ქართლ-კახეთის მეფის “სათხოვარი პუნქტების” მთავარი დებულება იყო რუსეთს საქართველო სამუდამო მფარველობაში მიეღო, ხოლო საქართველოს ტახტი, აგრეთვე სამუდამოდ, გიორგის ჩამომავლობის ხელში დარჩენილიყო<sup>26</sup> - შენიშნავდა შალვა ამირეჯიბი.

მკვლევარი რ. ლომინაძე მიიჩნევს, რომ “გიორგი XII რუსეთს “მფარველობითი ტრაქტატის” ნაცვლად

<sup>23</sup> М. Хелтушлишвили, Вступление Грузии в состав Российской империи.

Кутаиси, 1901, გვ. 35.

<sup>24</sup> АКАК, т. II, გვ. 156.

<sup>25</sup> ე. ხოშტარია-ბროსე, რუსეთი და საქართველო “ტრაქტატიდან” შეერთებამდე, კრებულში - ქართული დიპლომატია. წელიწდეული 6, თბ., 1999, გვ. 33.

<sup>26</sup> შ. ამირეჯიბი, ადამიანები და საქმენი, ჟურნ. “კავკასიონი”, პარიზი, 1930, წგნ. მეოთხე, გვ. 51.



“ქვეშევრდომობის ნოტას” სთავაზობდა, რაც ქართლში კახეთის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შეზღუდული ავტონომიური სახელმწიფოებრივი ერთეულის სახით შესვლას გულისხმობდა”.<sup>27</sup>

ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ მართებულად მიგვაჩნია ზურაბ ავალიშვილის შეხედულება, რომლის თანახმად, საქართველო ესწრაფვოდა რუსეთთან გეორგიევსკის ტრაქტატზე უფრო “მჭიდრო დაახლოებას” (“тесного единения”), რათა ამ გზით მაინც დაეყოლიებინა რუსეთი ქართლ-კახეთის დაცვის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.<sup>28</sup> სავსებით ბუნებრივად ჩნდება ეჭვი, რომ ქართველი ელჩების მიერ პეტერბურგში “სიტყვიერად წარდგენილი”<sup>29</sup> გიორგი XII-ის “სათხოვარი პუნქტების” სახელით ცნობილი ქართლ-კახეთის მეფის ნოტა გადამუშავებული და რედაქტირებულია საიმპერატორო კარის მაღალ რუს მოხელეთა მონაწილეობით. ამას გვაფიქრებინებს იმპერატორ პავლე I-ის ფრაზა გენერალ კნორინგისადმი საიდუმლო რესკრიპტიდან “Дело сие трактуется здесь”<sup>30</sup> და ისიც, რომ პავლემ 1800 წლის 15 ნოემბერს ზუსტად იცის, რა ეწერება ორი დღის შემდგომ - 1800 წლის 17 ნოემბერს მისთვის ოფიციალურად წარსადგენ გიორგი XII-ის ნოტაში.<sup>31</sup>

ქართველი მეფე-მთავრები და მათი “საგარეო ურთიერთობათა სამსახურები” XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე ნაკლებად იყვნენ ჩახედულნი ახალი დროის დიპლომატიურ ლაბირინთებში, აკლდათ სათანადო ცოდნა და გამოცდილება. რაფიელ ინგილოს სიტყვით, “მეფე გიორგიცა და მის ახლო მდგომნიც კმასაყოფელად ვერა ყოფილან დახელოვნებულნი საერთაშორისო უფლების ნომენკლატურაში”<sup>32</sup>. არადა,

<sup>27</sup> რ. ლომინაძე, რუსეთის ბატონობის დამყარება საქართველოში, თბ., 2000, გვ. 110.

<sup>28</sup> З. Авалов, Присоединение Грузии к России. СПб., 1901, გვ. 195.

<sup>29</sup> ა. მანველიშვილი, რუსეთი და საქართველო, ტ. 1, პარიზი, 1951, გვ. 174.

<sup>30</sup> АКАК, т. I, გვ. 177.

<sup>31</sup> П. Бутков, დასახ. წიგნი, გვ. 462.

<sup>32</sup> რ. ინგილო, საქართველოს სამეფოს ვითარება რუსეთის მოსვლის წინ,



დიპლომატიური დოკუმენტის შინაარსს მხოლოდ ენაში გამოყენებული ცნებების დეფინიცია როდი განსზღვრავს. ზოგჯერ ამ მხრივ ერთი შეხედვით, უბრალო ენობრივი ნიუანსიც კი შეიძლება მნიშვნელოვანი გამოდგეს. რუსულ დიპლომატიურ ლექსიკაში ჯერ კიდევ პეტრე I-ის დროიდან დიდი ცვლილება აღინიშნა, დაიწყო ევროპული ტერმინოლოგიის დანერგვა და მათი საერთაშორისო-სამართლებრივ პრაქტიკაში გამოყენება,<sup>33</sup> რაც ჯერ კიდევ უცხო იყო ქართული სინამდვილისათვის. ასე, რომ ამ საქმეში დიდად განაფულ რუს დიპლომატებს, "რაკი რუსეთის მთავრობას უნდოდა, რომ მას რაიმე საბუთი ჰქონოდა იმის დასამტკიცებლად, ვითომც თვით საქართველოს ჰსურდა თავისი სახელმწიფოს მოსპობა და რუსეთის განუყოფელ ნაწილად გადაქცევა,"<sup>34</sup> არ გაუჭირდებოდათ აქცენტების იმგვარი გადანაცვლება, რომ გიორგი XII-ის "სათხოვარი პუნქტებიდან" მათთვის სასურველი ტექსტი მიეღოთ. ამ ფორმისა და შინაარსის ოფიციალური დოკუმენტი რუსეთის მფლობელობას აღმოსავლეთ საქართველოში კანონიერ საფუძველს შეუქმნიდა.

ცნობილი ქართველი მეცნიერი ალექსანდრე ცაგარელი, რომელმაც რუსეთის არქივებში მოიძია და გამოსცა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი მასალები, ხსენებულ ნოტის გამო აღნიშნავს: გიორგი XII-ის მიერ თავისი ელჩებისადმი მინიჭებული რწმუნებულებით, ელჩებმა ორ ქვეყანას შორის ახალი ხელშეკრულების გასაფორმებლად (იგულისხმება გეორგიევსკის ტრაქტატის განახლება, - ო. ჯ.) 1800 წლის 24 ივნისს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში 6 პუნქტისაგან შემდგარი ნოტა წარადგინეს. სწორედ ამ ნოტაში ჩამოყალიბებულ ძირითად დებულებათა განვრცობით პეტერბურგში შეიქმნა უკვე 16 პუნქტის შემცველი "სათხოვარი პუნქტები".<sup>35</sup>

უურნ. "კავკასიონი", პარიზი, 1932, წგნ. მეორე, გვ. 19-20.

<sup>33</sup> ლ. ალექსიძე, საქართველო-რუსეთის საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში, თბ., 1983, გვ. 178.

<sup>34</sup> ივ. ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-18 საუკუნეში, თბ., 2006, გვ. 45.

<sup>35</sup> А. Цагарели, Грамоты ..., т. II, вып. II, гв. XXXVII.



“სათხოვარ პუნქტებში” ფორმულირებული წინადადება  
 “навсегда принять подданство Всероссийской империи”  
 რუსეთის საიმპერატორო კარმა ისეთი შინაარსით აღიქვა,  
 როგორც თვითონ სჭირდებოდა: თითქოს ქართლ-კახეთი  
 იმპერიის შემადგენლობაში შესვლას უბრალო ტერიტორიის  
 სახით, ყოველგვარი იურიდიული სტატუსისა და უფლებრივი  
 მდგომარეობის გარეშე ითხოვდა. რუსებმა გიორგი XII-ის  
 ნოტა მეფის მხრივ საქართველოს დამოუკიდებლობის სრული  
 უარყოფის აქტად მიიჩნიეს, რისი მსგავსიც იქ არაფერია.  
 როგორ კომპრომისულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს ეს ნოტა  
 1783 წლის ხელშეკრულებასთან შედარებით, იგი მაინც არ  
 ამტკიცებს მეფის მიერ სუვერენობაზე სრულიად ხელის  
 აღებას. “მასში სულაც არ არის გათვალისწინებული  
 საქართველოს სუვერენობის უარყოფა, ე.ი.  
 თვითმკვლელობა,” წერს ა. მანველიშვილი.<sup>36</sup>

ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ გიორგი XII არც მეფობის  
 დათმობის, არც თავის შემდგომ ტახტის გაუქმებისა და არც  
 ბაგრატიონთა დინასტიის შეწყვეტის მოსურნე არ ყოფილა.  
 ამასთან, ცნება “ქვეშევრდომობა” (“поданство”) იმ დროს  
 ფრიად ეფემერული ხასიათისა იყო, მოიცავდა არა მხოლოდ  
 სრულ ინკორპორაციას, მოხარკეობას, ვასალიტეტ-  
 სიუზერენიტეტის სტატუსს, არამედ ნამდვილ  
 მფარველობითს ურთიერთობასაც, რომელიც არ უკარგავდა  
 პროტეჟეს სუვერენული სახელმწიფოს სტატუსს”.<sup>37</sup>  
 მაშასადამე, გაირკვა, რომ გიორგი XII-ს აზრად არ ჰქონია  
 ქართლ-კახეთის უმეფოდ დატოვება, ყოველ შემთხვევაში,  
 მისი წარდგინებები რუსეთის იმპერატორისადმი ამას  
 გამორიცხავს, რადგან სრულიად საწინააღმდეგოს  
 მეტყველებს.

ახლა განვიხილოთ, “გადასცა” თუ არა მან საკუთარი  
 ქვეყანა რუსეთის იმპერიას. დაფუძვით, რომ რალაც ამის  
 მაგვარი მართლაც იკითხება ე.წ. სათხოვარ პუნქტებში. მაგ-  
 რამ ხომ ცნობილია, რომ ეს დოკუმენტი ნოტის სახით  
 საიმპერატორო კარს ქართლ-კახეთის სამეფოს დესპანებმა

<sup>36</sup> ა. მანველიშვილი, დასახ. ნიგნი, გვ. 173-174.

<sup>37</sup> ლ. ალექსიძე, დასახ. ნიგნი, გვ. 178.



გარსევან ჭავჭავაძემ, ელიაზარ ფალავანიძეებთან და გიორგი ავალიშვილმა წარუდგინეს და მას არ ჰქონდა გიორგი XII-ის ხელმოწერა. ნოტა 1800 წლის 17 ნოემბერს ჯერ აპრობირებულ იქნა იმპერატორ პავლე I-ის მიერ, შემდეგ კი გამოიგზავნა თბილისში, რათა იგი გიორგი XII-საც დაედასტურებინა ("სათხოვარი პუნქტების" აპრობაცია დიპლომატიური ხერხი იყო, თორემ საიმპერატორო კარს იმ დროისთვის უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა ქართლ-კახეთის შემოერთების საკითხიო, შენიშნავს რუსი ისტორიკოსი ო. მარკოვა<sup>38</sup>). თუ დოკუმენტის ტექსტს ქართლ-კახეთის მეფეც მოიწონებდა და მასზე ოფიციალურად ხელს მოაწერდა, ასეთ შემთხვევაში იგი იურიდიულ ძალას შეიძენდა. მაგრამ საქმე არც ამით მთავრდებოდა, ამ დოკუმენტის საფუძველზე უნდა მომზადებულიყო და გაეფორმებინათ ახალი ორმხრივი ხელშეკრულება - "ორითავე მხრით საიმპერატორო აქტი" ("Обоюдный императорский акт").<sup>39</sup>

ჩვენ არ ვიცით, როგორ სახეს შეიძენდა თბილისში პეტერბურგიდან ჩამოტანილი "სათხოვარი პუნქტები," რას მიიჩნევდა მიუღებლად ქართველი მეფე, ან შეცვლიდა თუ არა რაიმეს იგი საერთოდ დოკუმენტის რუსულენოვან ვერსიაში. მითუმეტეს, მხოლოდ ვარაუდი თუ შეიძლება იმაზე, რა შინაარსის იქნებოდა საბოლოო შეთანხმების დოკუმენტი. გიორგი XII 1800 წლის 28 დეკემბერს ისე გარდაიცვალა, რუსეთიდან გამოგზავნილი "თავისი" სათხოვარი პუნქტები თვალთ არ უნახავს და, ბუნებრივია, მასზე არც ხელი მოუწერია. ამდენად, ამ საბუთს იურიდიული ძალმოსილება არ შეუძენია და იგი მხოლოდ ისტორიულ რელიკვიად დარჩა (უფრო მეტი მნიშვნელობითა და ფასით რუსეთისათვის, ვიდრე საქართველოსთვის). შესაბამისად, არ გაფორმებულა არც მომდევნო შეთანხმების დოკუმენტი - ორმხრივი საიმპერატორო აქტი. "Для того, чтобы – съ юридической точки зрения – можно было говорить о добровольномъ присоединении Грузии къ Россіи, необходимо, чтобы акту инкорпорации

<sup>38</sup> О. Маркова, Присоединение Грузии к России в 1801 году, Историк-марксист, 1940, № 3, გვ. 79.

<sup>39</sup> პ. იოსელიანი, დასახ. წიგნი, გვ. 95; П. Бутков, დასახ. წიგნი, გვ. 463.



предшествовало обоюдное согласное волеизъявление заинтересованных сторон”.<sup>40</sup>

რაკი ამგვარი აქტი ბუნებაში არ არსებობს, ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან ინკორპორაცია არ შეიძლება ჩაითვალოს ნებაყოფლობით შეერთებად. აქედან გამომდინარე, სამშობლოს ღალატში უსაფუძვლო ბრალდება თავისთავად ეხსნება გიორგი XII-ს, რომელსაც ქვეყანა არავისთვის გადაუცია. გიორგი გარდაიცვალა როგორც სუსტი და უფლებაშეკვეცილი, მაგრამ რეალურად ცალკე არსებული ქართული სახელმწიფოს საჭეთმპყრობელი მეფე. ამასთან, ღალატის თემა ამონურული არ იქნება თუ არ ითქვა შემდეგიც: ჩვეულებრივ ასე ხდება ხოლმე, - როცა რაიმე საქმე გაფუჭდება, იწყება მისი ვინმეზე გადაბრალება და განტყვევების ვაცის ძიება.

სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე XIX საუკუნის დასაწყისის ქართულ სინამვილეში. როდესაც ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობას ბოლო მოეღო, გაუქმდა ბაგრატიონთა ტახტიცა და დინასტიაც, „ქართველები იმედგაცრუებულნი დარჩნენ თავიანთ მოლოდინშიო“, შენიშნავს რუსი ისტორიკოსი ნ. დუბროვინი.<sup>41</sup> მართლაც, „არვინ ველოდით რუსთაგან ამასო“ - გაიოცეს ქართველებმა, რომლებიც გვიან მიხვდნენ, რომ რუსი „ძნელი ნათესავი ყოფილა. ძლიერნი ძალთა სიმრავლითა, თურმე ყოფილან სუსტნი ზრდილობითა, უცნობნი კაცთა, არა დამფასებელი ღირსებათა, ცივად მხედველნი, ცივად მგრძნობელნი.“<sup>42</sup> მიუხედავად ამისა, მაინც ეძნელებოდათ დაჯერება, რომ მომხდარში მთავარი დამნაშავე ერთმორწმუნე რუსეთის უმაღლესი ხელისუფლება იყო. აქვე აღსანიშნავია, რომ იმპერატორ პავლე I-ის მიერ ჩადენილ ბოროტებას საგანგებოდ ნიღბავდნენ ამ საქმესთან ასევე უშუალოდ დაკავშირებული მისი გენერლები ლაზარევი, კნორინგი და სხვ. კნორინგმა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება

<sup>40</sup> З. Авалов, Присоединение Грузии к России, гв. 187.

<sup>41</sup> Н. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе, т. III, гв. 429.

<sup>42</sup> ვ. იოსელიანი, დასახ. წიგნი, გვ. 201.



რუსთხელმწიფის სამსახურში მყოფ საიდუმლო მრჩეველს, წარმოშობით ქართველ სერგეი ლაშქაროვსა და გარსევან ჭავჭავაძეს დააბრალა.<sup>43</sup>

ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის რამდენიმე წევრმა ეჭვი მხოლოდ გარსევან ჭავჭავაძეზე მიიტანა და ქვეყნის მთელი უბედურება მას მიაწერა. მაგალითად, დავით ბატონიშვილი ქართლ-კახეთის ელჩსა და სრულუფლებიან წარმომადგენელს რუსეთის საიმპერიო კარზე გარსევან ჭავჭავაძეს მოიხსენიებს, როგორც “გამცემს მეფობისა და მამულისა თავისასა ორგულს”.<sup>44</sup>

ბაგრატ ბატონიშვილის სიტყვით, “ჭავჭავაძე გარსევანმა მიართვა წიგნი იმპერატორს პავლეს თვით გაკეთებული სახელსა ზედა მეფისასა, რეცა აღება მეფობისა საქართველოდან და გახსნა გუბერნიისა. მსმენელმა ამისამან იმპერატორმა დაამტკიცა თხოვილი მისი და მიულო მეფობა დავითს და მიუწერა უპირველეს მართებელს კნორინგს რათა გახსნას საქართველოსა შინა მართებლობა რუსეთისა და დაიპყრან თვისად”.<sup>45</sup>

საქართველოს ინტერესების გამყიდველად გამოჰყავს გარსევან ჭავჭავაძე ასევე იოანე ბატონიშვილსა და ბაგრატიონთა ზოგიერთ შთამომავალს. მათი აზრით, გარსევანმა შთააგონა ლაშქაროვს, რომ თითქოს საქართველოში მეფობის ლიკვიდაცია “დიადი შესამატი იყოს რუსეთისა.” ჭავჭავაძემ მეფის ძეთა შორის შუღლი ჩამოაგდო, ხოლო ს. ლაშქაროვმა საქმე “მინისტერიაში” მოაგვარაო.<sup>46</sup>

რუსეთის ხელისუფლება ასეთ ჭორებს გამიზნულად ავრცელებდა. ჩანაფიქრი ძნელი მისახვედრი როდია: ქართველებს დამნაშავე თავიანთ წიაღში უნდა ეძებნათ და ეპოვნათ კიდეც, რომ რუსთხელმწიფეს ჩრდილი არ მიდგომოდა და მისი სახელი შეუბღალავი დარჩენილიყო. სწორედ ამ მიზნით გაისარჯა რუსული ისტორიოგრაფიაც.

<sup>43</sup> ზ. ცქიტიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 167.

<sup>44</sup> მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის-ძისა და მისი ძმებისა, ტფ., 1905, გვ. 97.

<sup>45</sup> ნ. გიგინაშვილი, ბაგრატიონი უფლისწულების პოლიტიკური მოღვაწეობა საუკუნის პირველ მესამედში, თბ., 2007, გვ. 39.

<sup>46</sup> ზ. ცქიტიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 164-168..



რომელმაც დაამკვიდრა დებულება, რომ საქართველო  
ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთის ძლევამოსილ იმპერიას.

იმპერიის შემადგენლობაში "ნებაყოფლობით" ინკორპორაცია ერთობ საინტერესო ფენომენია და ღირს, რომ მასზე კიდევ ორიოდე სიტყვა ითქვას. ყველა დროის რუსეთის სახელმწიფოს ერთი თვისება ახასიათებს: იგი განგებ მალავს თავის ნამდვილ ზრახვებს და ესწრაფვის საკუთარი სიავე და ბოროტება სხვათა თვალში სათნოებად გაასაღოს; თავად მუდამ მოძალადე და დამპყრობელი, მცირერიცხოვან ერთა მოსარჩლედ და მფარველად წარმოჩნდეს. საილუსტრაციოდ მივმართოთ ფაქტებს: ოსმალეთის წინააღმდეგ სამხრეთ კავკასიაში მოკავშირის მაძიებელმა თევდორე ივანეს-ძემ 1585 წელს კახეთში თავისი ელჩი რუსინ დანილოვი გამოგზავნა. რუსთა ხელმწიფე პოლიტიკურ კავშირსა და მფარველობას სთავაზობდა ალექსანდრე კახთა მეფეს. წინადადება კახეთის ინტერესებსაც ეხმიანებოდა. მოძალადე თურქთაგან დასაცავად ალექსანდრემ ეს მომენტი სასარგებლოდ მიიჩნია და რუს დესპანს მოსკოვში საკუთარი ელჩებიც გააყოლა. კახეთის მეფე "თავს უდებდა" მოსკოვის ხელმწიფეს და მისგან მფარველობას ითხოვდა. ალექსანდრეს "აჯამ" თევდორე მეფე დიდად გაახარა. კახეთთან ურთიერთდამოკიდებულების ანუ მფარველობა-ხელდებულების ხასიათის გარკვევა-დაზუსტების მიზნით, საქართველოში ახალი ელჩობა მოავლინეს. რუსი დიპლომატები საგანგებოდ იყვნენ გაფრთხილებულნი, რომ კახეთთან დაახლოების საქმეში მოსკოვის ინიციატივაზე ხმა არ ამოელოთ. სხვა არსებითი ხასიათის მოსაზრებათა გვერდით, ამას მოითხოვდა საქმის ფორმალური მხარეც: კახეთის მეფე მოსკოვის მეფის ხელდებული ხდებოდა. ამიტომ მასსვე შეშვენოდა როგორც "აჯა და მოხსენება," ისე საამისო წინასწარი მოსამზადებელი საქმიანობაც. ეს დაკვირვება აკადემიკოსს ნიკო ბერძენიშვილს ეკუთვნის.<sup>47</sup>

<sup>47</sup> ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1967, გვ. 12-22.



რუსეთის მხარე იყო ინიციატორი ქართლ-კახეთის სამეფოს თავის მფარველობაში მიღებისა XVIII საუკუნის 80-იან წლებშიც. გეორგიევსკის ტრაქტატის პრეამბულაში კი, ისე როგორც ხსენებულ ფიცის წიგნში, მთხოვნელად კვლავ ქართველი მეფეა წარმოდგენილი. ფაქტობრივი მასალის ანალიზი მკაფიოდ წარმოაჩენს, რომ რუსეთის იმპერია თავის სამფლობელოების გაფართოებისას ერთ “უნივერსალურ” ხერხს მიმართავდა. იგი ნაბიჯ-ნაბიჯ, წლების განმავლობაში უახლოვდებოდა მიზანში ამოღებულ მსხვერპლს. ათასგვარი დაპირებითა და დაიმედებით თავს ახვევდა მოჩვენებით მფარველობას, რომელიც თანდათან ქვეშევრდომობის რანგში გადაჰყავდა. მომდევნო ეტაპი ქვეშევრდომი ქვეყნის გეგმაზომიერი დასუსტებისა და დაუძლურების ღონისძიებები იყო, რასაც რუსეთის ხელისუფლება მოქნილად და ტექნიკურად ახორციელებდა. ასე, საბოლოოდ ძალაგამოცლილი და სიკვდილის პირას მისული ქვეშევრდომები იძულებულნი ხდებოდნენ, თავის გადასარჩენად რუსეთის შემადგენლობაში შესვლა ეთხოვათ.<sup>48</sup>

ამ მხრივ დამახასიათებელია უკრაინის 1654 წლის პერეიასლავის რადა და მომდევნო ისტორია, ყაბარდოსა და სხვა მაგალითები.

კომუნისტურ-საბჭოური ისტორიოგრაფია, მიუხედავად იმისა, რომ გამობდა კოლონიურ პოლიტიკას, მეფის რუსეთს “ხალხთა საპყრობილედ” მიიჩნევდა და სხვა, არსებითად, იზიარებდა აზრს, რომ საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთის იმპერიას. ამასთან, საბჭოთა ისტორიკოსები ერთგვარ სიფრთხილეს იჩენდნენ ცარიზმის დამპყრობლური პოლიტიკის შეფასებაში. მათ ნაშრომებში აქცენტი კეთდებოდა არა ექსპანსიის ნამდვილ მიზანდასახულობაზე, არამედ ამ პოლიტიკის დადებით გამოვლინებებზე დაპყრობილი და შემოერთებული ხალხების ცხოვრებაში.

<sup>48</sup> მ. სამსონაძე, საქართველოში რუსეთის კოლონიური მმართველობის დასაწყისი, საქართველოში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ნარკვევები, წგნ. I, თბ., 2007, გვ. 37.



ზოგიერთი მკვლევარი იმპერიულ რუსეთთან მიმართებაში დღესაც ერიდება გამოიყენოს ტერმინები დაპყრობა, კოლონიზაცია, რუსიფიკაცია და სხვ. მათი აზრით, ეს ცნებები ძალმომრეობისა და სხვა ხალხების დამორჩილების ნიშნებს შეიცავს, შეუსაბამოა რუსეთის ცივილიზაციისათვის და თითქოს არ ყოფილა დამახასიათებელი რომანოვთა იმპერიისათვის.<sup>49</sup> არაერთ პუბლიკაციაში ხსენებული ტერმინოლოგიის ნაცვლად გვხვდება უფრო ზოგადი შინაარსის სიტყვა „ათვისება,“ რაც მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს რუსეთის იმპერიის გაფართოების არსს და მოვლენას სრულყოფილად ვერ ხსნის. ამასთან, ობიექტურობა მოითხოვს, ითქვას, რომ იყო გამონაკლისი შემთხვევებიც. ჯერ კიდევ 1928 წლის ბოლოსა და 1929 წლის დასწყისში მოსკოვში გამართულ მარქსისტ-ისტორიკოსთა საკავშირო კონფერენციაზე გამოსვლისას ცნობილი ქართველი ბოლშევიკი და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე ფილიპე მახარაძე, ეხებოდა რა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას XIX საუკუნეში, აღნიშნავდა: „Я должен сказать, что „присоединение“ – это выражено очень мягко, так как на самом деле это было завоевание Грузии, со всеми перипетиями: обманом, насилием и др.“<sup>50</sup> ფ. მახარაძის მოხსენების განხილვისას კამათში გამოსულმა გამოჩენილმა რუსმა ისტორიკოსმა მ. პოკროვსკიმ განაცხადა: „Присоединение Грузии эта была аннексия, насильственный захват по всей форме. Что будто бы русские охраняли Грузию, пришли защищать ее – это такая же голая ложь и лицемерие, как то, что мы охраняли Болгарию. Болгария была задунайской губернией для России, была доступом к Константинополю, потому что оттуда легче было действовать, чем через Бессарабию. Тут было тоже самое. Грузия была плацдармом для обходного движения вдоль берега

<sup>49</sup> <http://russkysam.narod.ru/11-13.htm>

<sup>50</sup> Труды Первой Всесоюзной конференции Историков-марксистов, т. I, М., 1930, გვ. 485-486.



Черного моря. ... в прошлом мы, русские, величайшие грабители, каких можно себе представить."<sup>51</sup>

თანამედროვე სინამდვილეში, როდესაც რუსეთის ფედერაციაში ისტორია პოლიტიკის ნაწილადა ქცეული და წარსულის ინსტრუმენტალიზაცია ფართოდ გამოიყენება სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაშიც, "ნებაყოფლობითი შეერთების" იდეა ისევ გამოცოცხლდა და თავისი ადრინდელი დატვირთვა აღიდგინა.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე საერთო სათაურით "О роли России в поддержании политического равновесия в европе" განთავსებულია ნარკვევი "საქართველო".<sup>52</sup> იგი ეხება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მონაკვეთს XVIII საუკუნის 60-იანი წლებიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე და წარმოაჩენს ორი ქვეყნის დაახლოების პერიპეტიებს გეორგიევსკის ტრაქტატის წინა პერიოდიდან საქართველოს რუსეთის იმპერიაში ინკორპორირებამდე. საარქივო დოკუმენტებით უხვად გაჯერებული ეს ნარკვევი, ერთი შეხედვით, აკადემიური ნაშრომის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ სინამდვილეში, ეს არის პოლიტიკური ტექსტი, საქართველოს რუსეთთან დაკავშირება-შეერთების ისტორიის რუსული პოლიტიკური მოდელი, რომელიც ალბათ განკუთვნილია სახელმძღვანელო დებულებად რუსეთის როგორც დიპლომატიური კორპუსის, ისე სახელმწიფოს სხვა სტრუქტურებისათვის საქართველოსთან დამოკიდებულებაში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ინკორპორაციას რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ასევე ტენდეციურად აშუქებს უნივერსალური რუსული ენციკლოპედია "ვიკიპედიაც". მისი ინფორმაციით: პავლე I-მა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების გადაწყვეტილება თითქოს გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ მიიღო ("после смерти

<sup>51</sup> იქვე, გვ. 494-496.

<sup>52</sup> <http://www.mid.ru/ns-arch.nsf/iddvidbul>

царя Павел I принял решение об упразднении Кахетинского царства”<sup>53</sup>), რაც შორსაა რეალობისაგან.

ფაქტებისა თუ მოვლენების პოლიტიკური ინტერპრეტაცია ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში დიდად სცილდება სინამდვილეს და მის სრულ ფალსიფიკაციას წარმოადგენს.

მივმართოთ ისტორიული წყაროებს, რომლებიც სულ სხვას მოწმობენ. პირველწყაროთა თანახმად, ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიაში ინკორპორაციის მიზნით პავლე I-ის კარზე ორი პროექტი განიხილებოდა. პირველი - ზემოთ არაერთგზის ნახსენები გიორგი XII-ის “სათხოვარი პუნქტებისა” და ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე და მეორე - იმპერატორის ერთპიროვნული ნებითა და არმიის გამოყენებით. პირველზე იმპერიის დიპლომატიურ უწყებაში მუშაობდნენ, მეორეზე - სამხედრო წრეებში. დრო და ვითარება აჩვენებდა, რომელ პროექტს მიენიჭებოდა უპირატესობა, რომელი იქცეოდა პრაქტიკული განხორციელების საგნად.

ფაქტია, რომ პავლე I ერთხანს უფრო პირველ ვარიანტს ამჯობინებდა, თუმცა სამზადისი მეორე მიმართულებითაც აქტიურად წარმოებდა. ორივე შემთხვევაში საქმის დასრულება პეტერბურგში საგანგებოდ უნდა აღენიშნათ. საქართველოს რუსეთის იმპერიაში შესვლის აღსანიშნავად ვიცე-კანცლერმა კურაკინმა დიდი თეატრალიზებული ცერემონიის გეგმაც შეადგინა.

პირველი ვარიანტის შესაბამისად, გიორგი XII-ის მიერ დამტკიცებული “სათხოვარი პუნქტების” საფუძველზე, რომელსაც ქართველი ელჩები თბილისიდან ჩამოიტანდნენ, უნდა შემდგარიყო რუსეთ-საქართველოს ორმხრივი ოფიციალური ხელშეკრულება. ამ დოკუმენტის საზეიმო ხელმოწერა იმპერატორის სასახლეში შედგებოდა. დათქმული დღისათვის საგულდაგულოდ ემზადებოდა პავლე I-იც. მან სპეციალურად შეაკერიხა ბაგრატიონთა ტრადიციული სამეფო შესამოსელი - დალმატიკი, რომ ქართველ მონარქთა მსგავსად, რომლებიც უცხოელ

<sup>53</sup> <http://ru.wikipedia.org/wiki/Багратиони>



დიპლომატებს მასში გამოწყობილი ხედვებოდნენ, თვითონაც საქართველოდან წარგზავნილი "დეპუტატთა" ქართული ტრადიციის შესაფერისად მიელო.<sup>54</sup> მაგრამ მოვლენები ისე არ განვითარდა, როგორც თავდაპირველად ფიქრობდნენ და მოელოდნენ. ამ ამბების თანამედროვე და მონაწილე პ. ბუტკოვი (1801-1802 წლებში იყო საქართველოს მთავარმართებლის კანცელარიის უფროსი), რომლის ავტორობით მოგვიანებით კავკასიის ისტორიაზე საყურადღებო ნიგნებიც გამოქვეყნდა, წერს რომ, სიტუაციის შეცვლის ნამდვილი მიზეზები უცნობი დარჩაო, თუმცა იქვე დასძენს: "По напряжениям, какія явствуютъ в повеленіяхъ императора Павла о присоединеніи Грузіи подь россійскую державу, съ жертвами для того, толико значительными, заключать можно, что сей край представлялся ему достаточнымъ вознаграждать его усилія. (Говорятъ, императоръ Павелъ хотель Грузією заменить Мальту, Англичанами удержанную, вручивъ ее кавалерамъ св. Іоанна Іерусалимскаго)".<sup>55</sup>

1800 წლის 17 დეკემბერს რუსეთის სახელმწიფო საბჭომ განიხილა საკითხი ქართლ-კახეთის შემდგომი ბედის შესახებ.<sup>56</sup> წარდგენილი იყო რამდენიმე მოსაზრება, კერძოდ, გენერლები მიუთითებდნენ ამ ქვეყნის შემოერთების პოლიტიკურ და კომერციულ ღირებულებებზე, ხოლო გრაფი ა. მუსინ-პუშკინი (რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სამთო კოლეგიის ვიცე-პრეზიდენტი), რომელმაც იმპერატორს გადასცა დოკუმენტი "О удобствах и и выгодахъ присоединения, при теперешнихъ обстоятельствахъ к державѣ Россійской"<sup>57</sup> უმაღლეს ხელისუფლებას საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა ექსპლუატაციის დიდ სარგებლიანობაში არწმუნებდა და სხვ.

<sup>54</sup> Н. Дубровин, Георгий XII, последний царь Грузии и присоединение ее к России, СПб., 1897, გვ. 184-185..

<sup>55</sup> П. Бутков, დასახ. ნიგნი, გვ. 463.

<sup>56</sup> М. Хелтуплишвили, დასახ. ნიგნი, გვ. 41.

<sup>57</sup> მ. ქიქოძე, ა. მუსინ-პუშკინის ექსპედიცია საქართველოში (1799-1805), ჟურნალი "კლიო", 1999, # 4, გვ. 80.



საქართველო-რუსეთის ურთიერთობიდან გამომდინარე "რუსმა პოლიტიკოსებმა შეისწავლეს საქართველო, კარგად შეაფასეს მისი მნიშვნელობა ახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკაში, შეისწავლეს საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეები და გაითვალისწინეს მათი ეკონომიკური მნიშვნელობა, და თუ 1770-იან წლებში ტოტლებენის მიერ საქართველოს დაპყრობის ცდა უნიადაგოდ გამოიცილებოდა, ახლა ასეთი რამ ფრიად რეალურ სიკეთედ წარმოედგინათ ამ პოლიტიკოსებსო",<sup>58</sup> შენიშნავდა აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი. ალექსანდრე მანველიშვილის სიტყვით კი, საქართველოს ანექსიის აუცილებლობა რუსეთის იმპერიული ინტერესებიდან გამომდინარე შემდეგმა გარემოებებმა განსაზღვრეს: "1). ის უზრუნველყოფს კავკასიის ხაზს მთიულთა თავდასხმებისაგან. არეულობის დროს შეიძლება იქიდან სურსათის მიღება; 2). საქართველოს სახით რუსეთი იქნეს ბუნებრივი სიმდიდრეებით მდიდარ ქვეყანას; 3). გაფართოვდება რუსეთის ვაჭრობა სპარსეთთან და ინდოეთთან; 4). სამხედრო თვალსაზრისითაც, თურქებთან ომის შემთხვევაში, ანატოლიის ფრონტი იქნება დაზღვეული".<sup>59</sup> საკითხის განხილვის შემდეგ სახელმწიფო საბჭოში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აღმოსავლეთ საქართველოს ანექსიის შესახებ.

1800 წლის 18 დეკემბერს, პავლე I-მა, აღარ დაუცადა რა საქართველოდან ელჩების დაბრუნებას, ჯერ კიდევ გიორგი XII-ის სიცოცხლეში, ხელი მოაწერა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთთან შეერთების მანიფესტს. მკვლევარ ო. მარკოვას სიტყვით, "В Петербурге не стали стесняться нормами 'международного права' и ждать нового подтверждения просительных пунктов царем Георгием и всенародной грамоты"<sup>60</sup>.

<sup>58</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველო XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, საქართველოს ისტორიის საკითხები, წგნ., თბ., 1973, გვ. 473.

<sup>59</sup> ა. მანველიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 180.

<sup>60</sup> О. Маркова, დასახ. წიგნი, გვ. 78.



დოკუმენტს ერთხანს საიდუმლოდ ინახავდნენ, უიგი პეტერბურგში ოფიციალურად ერთი თვის შემდეგ გამოქვეყნდა, ქართველ ხალხს კი მისი შინაარსი უფრო მოგვიანებით, - 1801 წლის 16-17 თებერვალს გააცნეს. ეს არ ნიშნავს, რომ მანიფესტი მანამდე არ ამოქმედებულა. კავკასიის სამხედრო ხაზის უფროსს გენერალ კნორინგს მანიფესტი იმპერატორის ხელმოწერისთანავე გამოუგზავნეს და მოქმედების სათანადო ინსტრუქციაც დაუსახეს. გენერალმა დავალება ზედმიწევნით ზუსტად შეასრულა და გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ასვლის ნება აღარავის მისცა. დავით ბატონიშვილი ამაოდ იმედოვნებდა, რომ განსაკუთრებული არაფერი ხდებოდა და მალე მეფობას მიიღებდა. "ჩვეულებრივი სკეპტიციზმით დავითმა იანგარიშა, რომ რუსებისათვის მისი ტახტზე აყვანა უფრო ადვილი იქნებოდა, ვიდრე ტახტიდან ჩამოგდება".<sup>61</sup> 1804 წლის 4 იანვრით დათარიღებულ წერილში დავითი თავის ძმას ბაგრატს წერდა: "დიდი იმედი მაქვს, რომ ჯელმნიფემ ჩვენ აბიდა არ გვიყოს. ... მერწმუნე, ... მეფობა ჩვენიაო",<sup>62</sup> მაგრამ იგი არათუ მეფედ დაამტკიცეს, ქვეყანაც წაართვეს, რომელიც რუსეთის იმპერიის ნაწილად გამოაცხადეს. ასე მოელო ბოლო აღმოსავლურქართულ სახელმწიფოს - ქართლ-კახეთის სამეფოს.

მანიფესტის შინაარსზე აღარ ვისუბრებთ, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ეს იყო არა ნებაყოფლობითი შეერთება, არამედ უხეში ძალმომრეობა, ქართველი ხალხის აბურჩად აგდება, სრული უსამართლობა და საერთაშორისო სამართლის უგულვებელყოფა. პავლე I-მა დაარღვია რუსეთ-საქართველოს შეთანხმებები (1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი, 1799 წლის განახლებული ხელშეკრულება) და ქართლ-კახეთის სამეფოს ლიკვიდაცია თვითნებურად განახორციელა.

არქეოგრაფიული კომისიის აქტებში დაცულია რამდენიმე საყურადღებო დოკუმენტი, რომლებიც მკაფიოდ

<sup>61</sup> შ. ამირეჯიბი, ადამიანები და საქმენი, ჟურნ. "კავკასიონი", პარიზი, 1930, წგნ. მეოთხე, გვ. 57. შ. ამირეჯიბი.

<sup>62</sup> დავით ბაგრატიონი, წერილები, თბ., 2006, გვ. 45.



ცხადყოფს, რომ რუსეთის საიმპერიო ხელისუფლებამ ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსია განახორციელა და ქვეყანა სამხედრო ძალით დაიპყრო.

1800 წლის 15 ნოემბერს პავლე I კავკასიის ხაზის სარდალს გენერალ პ. კნორინგს საიდუმლო განკარგულებით ავალეზბდა, დაეზუსტებინა ჯარის რა რაოდენობის დამატება იქნებოდა საჭირო აღმოსავლეთ საქართველოში უკვე მყოფი 4 ბატალიონის გარდა "для занятия Грузии".<sup>63</sup> კნორინგმა, თავის მხრივ, ამ საკითხზე პატაკის მომზადება გენერალ ლაზარევს მიანდო. მცირე ხანში ლაზარევმა მოამზადა სათანადო ინფორმაცია ქართლისა და კახეთის იმ ძირითადი სტრატეგიული ადგილების მინიშნებით, რომლებშიც რუსული პოლკების განლაგება აუცილებელი იქნებოდა სამეფოს ოკუპაციის შემთხვევისათვის. გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯებიც. 1800 წლის დეკემბერში კავკასიის ხაზიდან თბილისისაკენ არტილერიით აღჭურვილი ახალი სამხედრო შენაერთების გამოგზავნა დაიწყო. სახელდობრ, საქართველოსაკენ გამოეშურენ კავკასიის გრენადერთა პოლკის ერთი ბატალიონი პოდპოლკოვნიკ სიმონოვიჩის მეთაურობით, კავკასიის გრენადერთა პოლკის მეორე ბატალიონი გენერალ-მაიორ ტუჩკოვის წინამძღოლობით, თბილისის მუშკეტერთა პოლკი გენერალ-მაიორ ლეონტიევის სარდლობით და დონის კაზაკთა პოლკი.<sup>64</sup> საქმე იმდენად დიდი მნიშვნელობისა იყო, რომ მძიმე, თოვლიან-ყინულიანი ზამთრის სირთულეებსაც არ დაერიდნენ და თუ წინათ უგზობობასა და უამინდობას იმიზეზებდნენ, ახლა ჯარის ნაწილები კავკასიონის ქედზე ოპერატიულად გადმოიყვანეს. გეორგიევსკის ტრაქტატით ნაკისრი არცთუ მრავალრიცხოვანი სამხედრო შენაერთის ნაცვლად, რომლის გამოგზავნას ადრე თითქმის უშედეგოდ ითხოვდნენ ქართველი მეფეები, 1801 წლის იანვარში ქართლ-კახეთის ტერიტორია უკვე 10 ათას რუს ჯარისკაცს ჰქონდა ოკუპირებული.<sup>65</sup>

<sup>63</sup> АКАК, I, გვ. 177.

<sup>64</sup> П. Бутков, დასახ. წიგნი, გვ. 466.

<sup>65</sup> თამარ და აკაკი პაპავა, მარიამ უკანასკნელი დედოფალი



ეს პოლკები და ბატალიონები აქეთ ქართველი ხალხის დასახმარებლად როდი მოიჩქაროდნენ. ქართლ-კახეთში შემოსული რუსეთის არმია უკვე აღარ იყო საქართველოს მხარდამჭერი და მხსნელი ძალა. იგი უკვე დამპყრობ, საოკუპაციო ჯარს წარმოადგენდა. ამის დასტურია ის მყისიერი გაუცხოება და დაპირისპირება, რაც ჯარისა და ადგილობრივი მოსახლეობის ურთიერთმიმართებაში აღინიშნა.

1799 წლის ნოემბერში რუსეთის სამხედრო შენაერთის გამოჩენას თბილისში ხალხი სიხარულით, ზეიმითა და ალტაცებით შეეგება,<sup>66</sup> რადგან იგი საქართველოში ქართლ-კახეთის სამეფო ხელისუფლების მოწვევით, მისი თხოვნით შემოდიოდა. ქართველთა წარმოდგენით, ეს ჯარი მაჰმადიან მტერთაგან დასაცავად საქართველოსათვის ერთმორწმუნე და მფარველი ქვეყნისაგან მოშველებული, მოკავშირე არმია იყო.

სამხედრო ნაწილის მებრძოლებს თავიანთი მეთაურები იმ დროს შთააგონებდნენ, რომ ისინი ერთმორწმუნე ქართველების დასახმარებლად, მაჰმადიან აგრესორთაგან მათ გასანთავისუფლებლად და დასაცავად მიჰყავდათ. ამიტომ ადგილობრივ მოსახლეობასთან სალდათს კეთილგანწყობილი დამოკიდებულება უნდა ჰქონოდა, მისთვის მოყვასის თვალთ უნდა შეეხედა, მხარში ამოსდგომოდა, მისი ღვინი და ჭირი გაეზიარებინა.

ამ ამბებიდან სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ რუსი ჯარისკაცი საქართველოში სხვა მისწრაფებით, სხვა ინტერესითა და მოტივაციით მოემართებოდა. მას ახლა ეს ქვეყანა უნდა დაეპყრო და დაემორჩილებინა. შეცვლილი მიზანი და ამოცანა განაპირობებდა სამხედროთა ქცევა-მოქმედებასაც, რაც აღნიშნული რუსულ წყაროებშიც.<sup>67</sup> ქართველი ხალხის დამოკიდებულებაც ამ, ან უკვე ოკუპანტი და დამპყრობელი, ჯარისადმი უნდა შეცვლილიყო და

საქართველოსი, ბუენოს აირეს, 1956, გვ. 130.

<sup>66</sup> მ. დუმბაძე, ქართლ-კახეთის სახელმწიფოს გაუქმება და რუსეთთან შეერთება, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 805.

<sup>67</sup> ალ. ფრონელი, ამბობება კახეთისა, თბ., 1907, გვ. 39.



შეიცვალა კიდეც. ერთ დროს სანატრელი და მსხნელად აღქმული რუსეთის ჯარის ყოველი გამოჩენა ჩვენი ქვეყნის მინა-წყალზე ახლა ქართველი ხალხის ზიზლსა და გულისწყრომას იწვევდა, რადგან ამიერიდან ეს ჯარი დამპყრობელი იმპერიის ის სამხედრო ძალა იყო, რომელიც საქართველოში კოლონიურ რეჟიმს ამყარებდა და განამტკიცებდა.

1801 წლის მარტის დამდეგს პეტერბურგში ქართლ-კახეთის ახალი საგუბერნიო მმართველობის დებულება დაამტკიცეს. სენატის გადაწყვეტილებით გენერალ-გუბერნატორად გენერალი კნორინგი დაინიშნა. მიუხედავად ამისა, პავლე I, რომელიც ასე ჩქარობდა საქართველო რუსეთის იმპერიის ფარგლებში ეხილა, თავისი ბოლო ოცნების დაგვირგვინებას ვერ მოესწრო. 1801 წლის 11 მარტს იმპერატორი მისივე მემკვიდრის, ალექსანდრე I-ის მონაწილეობით შეთქმულებმა სიცოცხლეს გამოასალმეს.

ალექსანდრე საქართველოსთან მიმართებაში პავლე I-ის პოლიტიკას არ ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ "ქართლის ბედის" გადაწყვეტაში რიგ შეუსაბამობასა და უკანონობას ამჩნევდა. ახალი იმპერატორი თავის წინამორბედზე უფრო ჭკვიანი და გონიერი იყო. იგი არ გამოირიცხავდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს ამგვარი ფორმით ინკორპორაციას შეიძლებოდა საერთაშორისო ასპარეზზე გართულება გამოეწვია. მამისაგან განსხვავებით, ალექსანდრე I შეეცადა უფრო შეენიღბა რუსეთის იმპერიული მიზანსწრაფვა და აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთება, ნაცვლად ანექსიისა, ერთმორწმუნე ქართველ ხალხზე ზრუნვად წარმოეჩინა. ამით აიხსნება ის ფარსი, რაც მან იმპერიის ტახტზე ასვლის შემდეგ გაითამაშა.

ალექსანდრემ, ისე რომ პავლე I-ის 1800 წლის 18 დეკემბრის მანიფესტი არ გაუუქმებია, საქართველოს საკითხი კვლავ განსჯის საგნად აქცია და მისი განხილვა სახელმწიფო საბჭოს დაავალა. იმპერატორი აშკარად თვალთმაქცობდა, როდესაც ამ საბჭოს წევრებს ეკითხებოდა: უცხო მიწის მითვისება და სამეფოს ლიკვიდაცია ხომ არ იქნება უსამართლობა, რომელიც

დაარღვევს ტახტის კანონიერ მემკვიდრეთა დინასტიურ უფლებას?

საბჭოში შემავალი "არაოფიციალური კომიტეტის" წარმომადგენლები გრაფები ა. ვორონცოვი, ვ. კოჩუბი და სხვ., რომლებიც იმდენად იყვნენ დაახლოებულნი ალექსანდრე I-თან, რომ იმპერატორს მათგან სანინალმდებო აზრის მოსმენაც არ სწყინდა, ამ კითხვაზე პირდაპირ პასუხს მაინც მოერიდნენ. სამართლებრივ საკითხებში კარგად ჩახედული ეს სახელმწიფო მოღვაწეები მშვენივრად ხედავდნენ, რომ რუსეთის ძალმომრეობით უხეშად ირღვეოდა ლეგიტიმიზმის პრინციპი. მათ იცოდნენ, რომ ბაგრატიონთა დინასტია საქართველოში ხელისუფლებას სრულიად კანონიერად, "ღვთის ნებით" ფლობდა და არც მეფესა და არც მემკვიდრეს ტახტზე უარი არ უთქვამთ. მიუხედავად ამისა, ჭკვიანმა ხელქვეითებმა იმპერატორს სიმართლის თქმა დაბეჯითებით ვერ გაუბედეს. საბჭომ განმარტა, რომ მთელი ხალხის წარმომადგენელთა სურვილი "быть подданными российскими ... устраняет от предприятия сего всякий вид несправедливости"

<sup>68</sup> და პრობლემა ამ ასპექტით კი აღარ განიხილა, არამედ მხოლოდ იმპერიის სარგებლიანობის კუთხით.

იმისათვის, რომ საქართველოს საკითხის გადაწყვეტას მეტი დამაჯერებლობა შეეძინა, ალექსანდრე I-მა 1801 წლის მაისში გენერალი კნორინგი საგანგებო მისიით თბილისში გამოგზავნა. გენერალს უნდა "გამოერკვია", რამდენად სიცოცხლისუნარიანი იყო ქართლ-კახეთის სამეფო და შესწევდა თუ არა მას დამოუკიდებლად არსებობის ძალა. პეტერბურგიდან მოვლენილ "ექსპერტს" ისიც უნდა დაედგინა, თხოვნა იმპერიის ქვეშევრდომობაში შესვლის შესახებ რამდენად ემყარებოდაქართველი ხალხის ნებასა და სურვილს.

კნორინგს უნდა ეჩვენებინა, რომ ქვეყანას იერთებენ არა რუსეთის ინტერესებისათვის, არამედ "для мирной жизни и безопасности грузинского народа". ამიტომაც მიეთითა

<sup>68</sup> Архив Государственного Совета, т. III, СПб, 1878, გვ. 1191.



გენერალს, რომ ქართული სამეფოს გაუქმების რუსეთის პოლიტიკური ნება მოხსენებით ბარათში თვით ქართველი საზოგადოებრიობის სურვილად გარდაესახა. სინამდვილეში კი კნორინგისადმი მიცემულ იმპერატორის საიდუმლო რესკრიპტში აღნიშნული იყო: "Достоинство империи, безопасность наших границ, виды Порты Оттоманской, покушения и порывы горских народов, все уважения собственных России пользы от давних времен заставляли правительство помышлять о сем происшествии и желать его события. Измеряя существо его единственными нашими выгодами, мы не можем не признать всей их силы".<sup>69</sup>

კნორინგმა დავალება ბრწყინვალედ შეასრულა და ალექსანდრე I-ს მისთვის სასურველი დასკვნა მალევე წარუდგინა. მოხსენებით ბარათში ხაზგასმული იყო, რომ ქართლ-კახეთს სუვერენული არსებობის უნარი აღარ შესწევდა, მისი "ხსნა" მხოლოდ სამეფოს გაუქმებასა და რუსეთთან შეერთებას შეეძლო, რასაც თითქოს საქართველოს მოსახლეობის ყველა ნოდება იზიარებდა და ეთანხმებოდა.

სახელმწიფო საბჭოში არავინ დაინტერესებულა იმ ვალდებულებებით, როლებიც რუსეთს საქართველოს მიმართ ჰქონდა ნაკისრი 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატით და 1799 წელს განახლებული მისი რედაქციით. საკითხი ასე იდგა: "ან საქართველოს მიტოვება ბედის ანაბარად ან მისი სრული ინკორპორაცია". როგორც ზურაბ ავალიშვილი შენიშნავდა, "Tertium non datur".<sup>70</sup>

საბჭოს არ განუხილავს, რა აზრს დებდა გიორგი XII და "ქართველი ხალხი" "სათხოვარი პუნქტების" გახმაურებულ ტერმინში "ქვეშევრდომობა" (подданство), გულისხმობდა თუ არა იგი საკუთარ სახელმწიფოებრიობაზე უარს და სხვ. არადა, სურვილის შემთხვევაში, ამის გაგება მარტივად შეიძლებოდა. იმხანად პეტერბურგში ჩასულმა ქართველმა რწმუნებულებმა და თავადაზნაურობის "დეპუტაციამ",

<sup>69</sup> О. Джанелидзе, დასახ. სტატია, გვ. 52.

<sup>70</sup> З. Авалов, დასახ. წიგნი, გვ. 218.



რომელთა საზეიმო აუდიენციას გეგმავდა პავლე I, რუსეთის უმაღლეს ხელისუფლებას მეფისა და ხალხის სახელით ახალი ნოტა წარუდგინა. კნორინგის მიერ გამოსარკვევ კითხვებზე პასუხი ამ ნოტაშიც მოიძებნებოდა, რომ არაფერი ითქვას სახელმწიფო საბჭოში შესულ კიდეც ორ სხვა დოკუმენტზე. მხედველობაში გვაქვს გიორგი XII-ის მემკვიდრე დავით ბაგრატიონისა და ერეკლე II-ის ქვრივის, დედოფალ დარეჯანის წერილები. პირველი ტახტზე დამტკიცებას, ხოლო მეორე ქართლ-კახეთის 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის პირობებში დატოვებას ითხოვდა.

ცნობილია: დარეჯანი საკუთარი შვილის - იულონის გამეფებას ესწრაფვოდა, დავითს კი გვირგვინი თავისთვის უნდოდა, მაგრამ ფაქტი ერთია: ერთიცა და მეორეც მეფობის შენარჩუნებასა და ტახტის ხელშეუხებლობას მოითხოვდა. როგორც აღინიშნა, ამ თხოვნებისათვის ანგარიში არავის გაუწევია, არ ყოფილა გათვალისწინებული ასევე არც საქართველოს რწმუნებულთა ნოტაში გამოთქმული აზრი.

ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ საბჭოსაგან განსხვავებით, არაოფიციალური კომიტეტის რამდენიმე წევრმა ეჭვი შეიტანა კნორინგის დასკვნაში, რომ თითქოს საქართველოს რუსეთთან შეერთებას მხარს უჭერდა ტახტის ყველა პრედენდენტი და ქვეყნის მთელი მოსახლეობის სურვილიც ასეთივე იყო. "Как народ грузинский, разссыянный в малых селениях, и дворяне, вечно разделенные на разные партии, могли подобное единодушные в сем случае изъявить?"<sup>71</sup> - გაიკვირვეს მათ და დასძინეს: ძნელი დასაჯერებელია, უფლისწულები ასე ხელალებით უარყოფდნენ ტახტზე ასვლის თავიანთ უფლებასო, მაგრამ გადამოწმებაზე თავი არავის შეუწუხებია.

ახმოვანებდნენ რა არაოფიციალური კომიტეტის მოსაზრებას, რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ა. ვორონცოვი და ვ. კოჩუბეი ასაბუთებდნენ, რომ იმპერიისათვის უფრო ხელსაყრელი იქნებოდა საქართველოს მფარველობაში შენარჩუნება და არა მისი

<sup>71</sup> О. Джанелидзе, დასახ. სტატია, გვ. 55..



შემოერთება. ინკორპორაციის შემთხვევაში ამ მინა-წყლის დაცვა უფრო რთული და გაცილებით ძვირიც გახდება, ვიდრე აქამდე, ამიტომ უმჯობესია "оставить Грузию на том самом основании, в коковое поставила оную императрица Екатерина Вторая",<sup>72</sup> მიიჩნევდნენ ისინი. მათი წარმოდგენით, განსახილველი საკითხის მართებული გადაწყვეტა იქნებოდა საქართველოს სურვილისა და უფლების რუსეთის იმპერიის ინტერესებთან შეხამება, სხვაგვარად, - ორ ქვეყანას შორის უკვე არსებული ხელშეკრულების "გულწრფელი შესრულება".<sup>73</sup>

სახელმწიფო საბჭოს ბოლო სხდომა 1801 წლის 8 აგვისტოს გაიმართა. მას ძირითადად ის წევრები ესწრებოდნენ, რომლებმაც ცოტა ხნის წინათაც იმსჯელეს ამ საკითხზე. საქართველოს ინკორპორაციის მომხრეებს რიცხვობრივი უმეტესობის გარდა ზურგს იმპერატორის მხარდაჭერაც უმაგრებდა. პავლე I-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა. ორმხრივი ხელშეკრულების იდეაც აღარავის გახსენებია. არადა, საერთაშორისო სამართლის თანახმად, "შეერთება რომ მართლა თავისუფალი იყოს, ამისათვის საჭიროა სახელმწიფომ, რომელიც უარს აცხადებს თავისუფლებაზე და დამოუკიდებლობაზე, მისცეს ამ სურვილს ფორმალური სახე; ამისათვის საჭიროა ბილატერალური (ორმხრივი) კონვენცია".<sup>74</sup>

იმპერიისა და მისი ქვეშევრდომი ქვეყნის ორმხრივი შეთანხმება, ზურაბ ავალიშვილის სიტყვით, პირველის სისუსტის ან ძალზე მაღალი კულტურის მაჩვენებელი იქნებოდა.<sup>75</sup> რაკი მაღალი პოლიტიკური კულტურით XIX საუკუნის დამდეგის რუსეთი ვერ დაიკვეხნიდა, სისუსტის გამოვლენა კი ალექსანდრე I-ს არ სურდა, საქართველოს საკითხი გადაწყდა არა ურთიერთშეთანხმებით, არამედ

<sup>72</sup> Архив Государственного Совета, т. III, гв. 1200-12007.

<sup>73</sup> З. Авалов, დასახ. წიგნი, გვ. 234.

<sup>74</sup> მ. ზუნდაძე, საქართველოს საკითხი საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, ჟურნ. "კავკასიონი", პარიზი, 1929, წგნ. 1-2, გვ. 113.

<sup>75</sup> З. Авалов, დასახ. წიგნი, გვ. 251.



“ძლიერის უფლებით” და როგორც ზურაბ ავალიშვილი წერს, “მარტივი ანექსიით” (anxtion pure et simple).<sup>76</sup> რუსი ისტორიკოსი ო. მარკოვას სიტყვით კი, “Присоединение Грузии к России ... было анексией по существу, хотя и в оболочке “добровольности”<sup>77</sup>.

1801 წლის 12 სექტემბერს გამოიცა ალექსანდრე I-ის მანიფესტი, რომლის საფუძველზეც ქართლ-კახეთის ცალკე სახელმწიფოებრიობას სამუდამოდ ბოლო მოეღო. იმპერატორის მანიფესტი აღსავსე იყო პირმოთნეობით და აცხადებდა, რომ “არა ძალთა შემატებისათვის, არა ანგარებისათვის, არა საზღვართა გაფართოებისათვის ქვეყნიერებაზე ისედაც უდიდესი იმპერიისა ვკისრულობთ ჩვენ საქართველოს სამეფოს მმართველობის ტვირთს. მხოლოდ ღირსება, მხოლოდ პატიოსნება და ადამიანობა გვაკისრებენ ჩვენ საღმრთო მოვალეობას, რათა ყური მივაპყრათ ტანჯულთა ვედრებას და მათი ნალველის განსაქარეებლად დავამყაროთ საქართველოში ისეთი მმართველობა, რომელიც შესძლებს მართლმსაჯულების განმტკიცებას, უზრუნველყოფს პირად და ქონებრივ უშიშროებას და კანონით ყველას დაცვას”.<sup>78</sup>

აღსანიშნავია, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს შესახებ მსჯელობა სახელმწიფო საბჭოში ქართველი ელჩების მონაწილეობის გარეშე გაიმართა. ელჩებმა იმპერატორის მანიფესტის თაობაზეც მხოლოდ მისი გამოქვეყნების შემდეგ შეიტყვეს. გ. ჭავჭავაძემ, გ. ავალიშვილმა და ე. ფალავანდიშვილმა თავიანთი პროტესტი იმით გამოხატეს, რომ იმპერიის ვიცე-კანცლერ ა. კურაკინს წერილობით მიმართეს და განუცხადეს: “...принятие Грузии обнародовано, манифест об этом составлен и утвержден, нам же ни о чем ни от кого не было дано знать, - ни о принятии Грузии, ни о составлении манифеста, пока все это не было закончено ... посторонняя публика и мы, одновременно узнали об этом”<sup>79</sup>.

<sup>76</sup> იქვე.

<sup>77</sup> ო. მარკოვა, დასახ. წიგნი, გვ. 91.

<sup>78</sup> АКАК, т. I, გვ. 433.

<sup>79</sup> ც. კალანდაძე, დავით და ბაგრატ ბატონიშვილები საქართველოს



ახალი მანიფესტის თბილისში გამოქვეყნებამდე, 1804 წლის მაისში კნორინგმა დავით ბატონიშვილი საქართველოს განმგის თანამდებობიდან გადააყენა და აქ დროებითი მმართველობა ჩამოაყალიბა, რომლის თავმჯდომარედ გენერალი ლაზარევი დაინიშნა.

1802 წლის 12 აპრილს ბაგრატიონთა სამეფო სახლელუნნი და ქართლ-კახეთის დიდებულები მანიფესტის გასაცნობად სიონში მიიხმეს. საბრძოლოდ გამზადებული რუსთა მხედრობით გარშემორტყმულ ტაძარში შეკრებილებს ქართული სამეფოს აღსასრულისა და რუსული მმართველობის დაწესების შესახებ გამოუცხადეს, შემდეგ კი რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დაფიცება უბრძანეს.

სიონსა და მის მრევლს მტერთა შემოსევების ჟამს ადრეც მრავალი განსაცდელი გადაეტანათ, მაგრამ ეს დამპყრობლები აქამდე სხვა სარწმუნოების მიმდევარნი, უცხო ტომისა და რჯულისანი იყვენ. ამ დღეს კი ტაძრის ეზო მართლმადიდებელი ქვეყნის - რუსეთის შეიარაღებულმა სამხედრო შენაერთებმა აავესეს. ჯარი ამ თეატრალიზებული ღონისძიების უფუნქციო მონაწილე როდი იყო. მას ნაბრძანები ჰქონდა, მდგომარეობის გართულების შემთხვევაში ცეცხლი გაეხსნა. როცა პროტესტის ნიშნად რამდენიმე თავადმა ხელი ხმალზე გაიკრა, თვითმხილველთა მოწმობით, სალდათებმა ისინი მყისიერად შეიპყრეს.

ასე დასრულდა ქართლ-კახეთის ინკორპორაცია რომანოვთა იმპერიის მიერ, რომელმაც მისი ფაქტობრივი ანექსია გაცილებით ადრე განახორციელა. რუსეთი საქართველოს მიმართაც ისე მოქმედებდა, როგორც მას საერთოდ ჩვეოდა: "ყოველგვარ დაპყრობას ტერიტორიისა, ყოველგვარ ძალადობას, ყოველგვარ ჩაგვრას, ცარიზმი ახორციელებდა მხოლოდ განათლების, ლიბერალიზმის, ხალხთა განთავისუფლების ნიღბით".<sup>80</sup>

რუსეთთან შეერთების შესახებ, საისტორიო აღმანახი "კლიო", 1999, № 5, გვ. 91.

<sup>80</sup> Маркс К. и Энгельс Ф. соч. Изд. II, т. XXII, გვ. 259.



1901 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთის გუბერნიად გამოცხადებიდან 100 წელი შესრულდა. კავკასიის კოლონიურმა ადმინისტრაციამ ამ "საიუბილეო" თარიღს დღესასწაულის ხასიათი მისცა. პრესის ორგანოებს საქმის იმგვარად წარმოჩენა დაევაღათ, თითქოს რუსეთთან საქართველოს შეერთების ასი წლისთავს ზეიმით თვით ქართველობა აღნიშნავდა. გაზეთი "კავკაზ"-ი, მოსკოვისა და პეტერბურგის ოფიციალური გამოცემები ურცხვად ამტკიცებდნენ: მას შემდეგ, რაც საუკუნის წინ საქართველომ დარიალის კარი ნებაყოფლობით გაუხსნა რუსეთის მხედრობას, ქართველები თითქოს სრული თანხმობით ცხოვრობდნენ რუსებთან და მათ არაფერი აქვთ გასაყოფი.

ქართული არისტოკრატიული წოდება ჩაეჭიდა "ნებაყოფლობით შეერთების" იდეას და საზეიმო ფერხულში ჩაერთო. თავად-აზნაურთა წარმომადგენლები იმედოვნებდნენ, რომ ამით გააქარწყლებდნენ რუსეთში გავრცელებულ აზრს საქართველოს სეპარატიზმზე. იუბილესთან დაკავშირებით კი მეფის მთავრობა საქართველოს თუ ერობას ან ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს არ უბოძებდა, თბილისში უნივერსიტეტის დაარსებას მაინც დათანხმდებოდა.

ქართველ ხალხს ამ პოლიტიკურ შოუში მონაწილეობა არ მიუღია. პირიქით, პროგრესული ინტელიგენცია ამრეზით შეხვდა სამარცხვინო "იუბილეს". გაზეთ "ცნობის ფურცლის" ჯგუფი გეგმავდა საპროტესტო დემონსტრაციის გამართვას, მაგრამ ბოლოს არჩევანი პროკლამაციების გამოშვებაზე შეაჩერა. "დღესასწაულის" დღეებში (1901 წლის 25-29 სექტემბერი) თბილისში, თელავსა და სხვა ქალაქებში "ქართველ ნაციონალ-დემოკრატების კომიტეტის" ხელმოწერით რამდენიმე პროკლამაცია გავრცელდა. მათში დაგმობილი იყო რუსეთის ძალმომრეობა საქართველოში და სამშობლოს ხსნის გზად ეროვნული თავისუფლების აღდგენა იყო დასახელებული. "ხალხის კეთილდღეობა მოითხოვს საქართველოს პოლიტიკური თავისუფლების აღდგენას, რადგან უმთავრესი მიზეზი ჩვენი



დაქვეითებისა არის რუსეთის მთავრობის გაბატონება საქართველოში, იმ მთავრობისა, რომელიც ქართველი ხალხის მოსპობას ლამობს. ქართველობამ მტკიცედ უნდა დაიმახსოვროს ეს და ემზადოს ხალხურ-ეროვნული ინტერესების დასაცავად<sup>81</sup> - აღნიშნული იყო ერთ-ერთ პროკლამაციაში.

არ არის დასამალი, რომ რუსეთთან საქართველოს ნებაყოფლობითი შეერთების იდეას 1900-1917 წლებში ფართოდ იყენებდნენ ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურებიც.<sup>82</sup> მაგრამ მათ სჯეროდათ, რომ ეს 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატს შეეხებოდა და არა 1801 წლის აქტს, რომლითაც რუსეთის ხელისუფლებამ ვერაგულად დაარღვია ნებაყოფლობითობის პრინციპი და ქართველ ხალხს ეროვნული თავისუფლება წარსტაცა. როცა რუსეთის მფარველობაში ქართლ-კახეთის საკუთარი ნებით შესვლაზე საუბრობდნენ, ქართველი მოღვაწეები მთავარ აქცენტს გამოყოფის ისტორიულ უფლებაზე აკეთებდნენ და იმასაც მიუთითებდნენ, რომ ტრაქტატის ძალით საქართველოს გარანტირებული ჰქონდა შინაგანი ავტონომია. რაკი თუნდაც შეზღუდული ავტონომია ეროვნულ-სახელმწიფოებრივი არსებობის ფორმად მიიჩნეოდა, ქართველ ხალხიც თავის წარუვალ უფლებას ხსენებულ ხელშეკრულებაზე აფუძნებდა და საკუთარი სახელმწიფოებრიობის აღდგენას სრულიად სამართლიანად მოითხოვდა.

<sup>81</sup> საქართველოს ისტორია. XX საუკუნე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003, გვ. 19.  
<sup>82</sup> ო. ჯანელიძე, ნარკვევევი საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ. 2002, გვ. 78.

## რუსული კოლონიალიზმის თავისებურებანი საქართველოში\*



რუსეთის სახელმწიფოს იმპერიული წელთაღრიცხვა ოფიციალურად 1721 წელს იწყება. ამ წელს ჩრდილოეთის ომში გამარჯვების შემდეგ, პეტრე I-მა რუსული "аарх"-ის ტიტული უარყო და დასავლური იმპერატორის სტატუსი მიიღო. რუსეთი იმპერიად იწოდება.

იმპერია რთული და წინააღმდეგობრივი ფენომენია. როგორც წესი, ისინი არ იქმნებიან ერთბაშად და ერთი ხელის დაკვეთით. რუსეთის იმპერიულობასაც საფუძველი გაცილებით ადრე ჩაეყარა.

იმპერიული იდეა - იდეა მართლმადიდებლური სამეფოს შექმნისა, რუსეთის დიდმა მთავარმა ივანე III-მ (1465-1505 წ.წ.) დაცემული ბიზანტიისაგან იმემკვიდრა. რუსეთმა ბიზანტიის გერბის, ორთავიანი არწივის - ეკლესიისა და სახელმწიფოს სიმფონიის სიმბოლოს რუსეთში გადმოტანით თავი კონსტანტინოპოლის მემკვიდრედ გამოაცხადა და მესამე რომის ფუნქცია იტვირთა. იდეა - "მოსკოვი - მესამე რომია" არა მხოლოდ იდეოლოგიურ საფუძველად, თვით რუსული სახელმწიფოებრიობის არსებობის აზრადაც იქცა.

რუსული მესიანიზმის კონცეფციით, რუსეთს მსოფლიოში განსაკუთრებული ამოცანა აკისრია. იგი უნდა იქცეს ქრისტიან ხალხთა სამყაროსეული ძმობის "მინიერ სამეფოდ." რუსეთის მეფე წარმოიდგინება ღვთის მიერ რჩეულ მმართველად, რომელიც თავს ყველა ქრისტიანთა ხელმწიფედ მიიჩნევს და მიზნად ისახავს მსოფლიოს ქრისტიანი ხალხების გაერთიანებას, სამყაროს სხვა ბინადართა მონათვლას, აღნიშნავს ინგლისელი მკვლევარი პ. დანკინი წიგნში "რუსული მესიანობა: მესამე რომი, რევოლუცია, კომუნიზმი და სხვა".<sup>1</sup>

\* წინამდებარე სტატია შემოკლებული ვერსიაა ნარკვევისა "რუსული კოლონიალიზმის არსი", რომელიც დაიბეჭდა 2008 წ. რუსთაველის ფონდის გრანტით გამოცემულ წიგნში "რუსული კოლონიალიზმი საქართველოში".

<sup>1</sup> <http://www.washprofile.org/?q=ru/node/7582>



მართლმადიდებლური იმპერიული იდეის განმსაზღვრელ ღერძს ქრისტიანთა ძმობის, მართლმადიდებლური აღმსარებლობის ხალხთა ხსნისა და დაცვის იდეოლოგია შეადგენდა. სწორედ ეს იდეოლოგია უნდა ეწინააღმდეგება რუსეთს, რომლის თანახმად, ახალი მიწების საკუთარ სახელმწიფოში მოქცევა მართლმადიდებელი სამყაროს საზღვრების გაფართოებასა და მართლმადიდებელი ხალხის რაოდენობრივ ზრდას ნიშნავდა.

იმპერიის ესქატოლოგიურ მართლმადიდებლურ იდეას მოგვიანებით ეტატიზმი ჩაენაცვლა, რელიგიური და სახელმწიფოებრივი პარადიგმები ერთმანეთს შეერწყა. იმპერიულობის სახელმწიფოებრივი გაგება სრულიად სხვა პრინციპებს, პირველ რიგში, გეოსტრატეგიულ მიზნებსა და ინტერესებს დაეფუძნა. სარწმუნოებრივმა მოტივმა უკანა პლანზე გადაინაცვლა და მართლმადიდებლობა იმპერიულობის ერთადერთი საფუძვლიდან, მის ერთ-ერთ ნაწილად იქცა. თუ თავიდან რუსეთის სახელმწიფოებრივი ძლიერება მართლმადიდებლობის გავლენას დაუკავშირდა, შემდეგში მართლმადიდებლობა სახელმწიფოს ძლიერებაში ჰპოვებდა გამოხატულებას. სახელმწიფო საკრალიზებული, ხოლო რუსობა ეთნიკურის ნაცვლად, სახელმწიფოებრივი მახასიათებელი ხდებოდა<sup>2</sup>

მონღოლთა მრავალსაუკუნოვანი ბატონობისაგან ქანცგანყვეტილ რუსეთს დიდი დრო დასჭირდა, რათა შეექმნა ახალი და ძლიერი სახელმწიფო. ქვეყანა, შეიძლება ითქვას, ხელახლა დაიბადა. თუმცა, იმავე მონღოლური ოქროს ურდოსაგან გადმოღებულ-შეთვისებულმა აზიური ტიპის საზოგადოებრივ-ეკონომიკურმა ნყობამ ("ცივილიზაციის აზიური კოდი"), მონღოლ-თათართა გამოცდილების გამოყენებამ სამხედრო, ადმინისტრაციული მოწყობის, საგადასახადო სისტემის, კომუნიკაციის, საერთაშორისო ვაჭრობისა და სხვ სფეროში, რუსეთს შესაძლებლობა მისცა შეექმნა ძლიერი არმია და მისი მეშვეობით საზღვრების მთელ პერიმეტრზე დაპყრობითი პოლიტიკა წამოეწყო.<sup>3</sup> ივანე კალიტა ქვეყნის

<sup>2</sup> <http://svlourie.narod.ru/metamorphoses/russ-empire.htm>

<sup>3</sup> А. Каппелер, Россия многонациональная империя, М., 2000, стр. 43.



ცენტრალიზაციას ფულის ქისით აძლიერებდა, ივანე მესამე - პოლიტიკოსის ხელოვნებით, ივანე მრისხანე ჯაღლათის ნაჯახით. XVIII საუკუნის ბოლოდან იმპერიის ხელისუფალნი ფართოდ მიმართავდნენ სახელმწიფოს დიპლომატიურ არსენალში დამკვიდრებულ ისეთ ხერხებსა და მეთოდებს, როგორიც იყო შანტაჟი, გადაბირება, დაშინება, მოსყიდვა, მოტყუება და სხვ.<sup>4</sup>

რუსეთის იმპერიული პროექტი თავდაპირველად ნელა და უმნიშვნელო წარმატებით ვითარდებოდა. როცა XV საუკუნის ბოლოს, საოკეანო აფრიანი გემებით, ვასკო და გამა ინდოეთს, ხოლო ქრისტეფორე კოლუმბი ამერიკის ნაპირს მიადგა და დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა სათავე დაუდო კოლონიური იმპერიების წარმოშობის ახალ გლობალურ პროცესს, რუსეთის სამდინარო გალერებს დინების სანინა-ალმდეგოდ ჯერ კიდევ ბურლაკები მიათრევდნენ. ქვეყანას იმ დროს ფაქტობრივად ზღვაც არ ჰქონდა და არც საზღვაო ხომალდები გააჩნდა. ასეთ რუსეთს ვერ ექნებოდა ზღვებისა და ოკეანეების მიღმა სამფლობელოების ხელში ჩაგდების პრეტენზია. იგი ვერ შეედრებოდა ვერც ესპანეთს, ვერც პორტუგალიასა და ჰოლანდიას, რომლებმაც გაკვალეს გზები ახალი სამყაროსაკენ და კოლონიების დაარსებას შეუდგნენ. რუსეთი მოკლებული იყო თავისი საზღვრების დასავლეთით დიდად გაფართოების შესაძლებლობას. ჩრდილოეთით წასასვლელი არსაით იყო. რჩებოდა ორი - აღმოსავლეთისა და სამხრეთის მიმართულება, საითკენაც წინსვლა შედარებით იოლი ჩანდა. XIX საუკუნეში, როდესაც რუსეთს კოლონიების დაპყრობის უფრო მეტი შესაძლებლობები გაუჩნდა, ევროპის ქვეყნებს უკვე ათვისებული ჰქონდათ ამერიკის, აზიისა თუ აფრიკის კონტინენტთა დიდი ნაწილი და ამ სივრცეში რუსეთისათვის ადგილი აღარ რჩებოდა. რუსეთი კვლავაც ახლომდებარე ტერიტორიებისა და ხალხების შემოერთებას უნდა დასჯერებოდა.

რუსული კოლონიალიზმის მთავარი განმსაზღვრელი ნიშანი მეზობელი ტერიტორიების ხარჯზე იმპერიის საზღვრე-

<sup>4</sup> О. Джанелидзе, Грузинский вопрос в Петербурге, „Литературная Грузия,“ №1-3, 2003, გვ. 50.




ბის განვრცობა იყო. რუსეთი ეწეოდა დაპყრობით რომელს  
 იერთებდა ახალ მიწებს, ძლიერდებოდა, თავის ორბიტაში აქ-  
 ცევდა სულ უფრო მეტ ტერიტორიებს და მოსახლეობას. ახა-  
 ლი სამფლობელოების შემოერთების ამ პროცესს, რომელიც  
 რამდენიმე საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა, ხან  
 "собрание земель" დაერქვა, ხანაც "расширение границ," ან  
 კიდევ "активная внешняя политика," მაგრამ არა თავისი ნამ-  
 დვილი სახელი - ექსპანსია. მაშინ, როდესაც, სწორედ დაპ-  
 ყრობები, მასშტაბური ტერიტორიული ექსპანსია იყო რუსე-  
 თის ტოტალური სტრატეგია და სახელმწიფოს განვითარე-  
 ბის ძირითადი მკვებავი წყარო. რუსეთის სახელმწიფოს ჩა-  
 მოყალიბება მჭიდროდ იყო დაკავშირებული ახალი მიწების  
 ათვისებასთან, მიღწევებთან და წარუმატებლობებთან უც-  
 ხოტომელთა ინტეგრაციისა და ასიმილაციის სფეროში.

ვ. კლუჩევსკიდან მოყოლებული, მრავალი რუსი მეცნიე-  
 რი რუსეთის ექსპანსიას მისი "ბუნებრივი საზღვრებისაკენ"  
 მისწრაფებით ხსნიდა, ამ საზღვრებად კი დასავლეთით ბალ-  
 ტიის ზღვა და აღმოსავლეთით წყნარი ოკეანე მიიჩნეოდა.  
 მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ რუსი ერის ფორმირების ის-  
 ტორიულ არეალს, რომელიც ვოლგას, დონსა და კარპატებს  
 შორის სივრცეს მოიცავდა, ძნელია "ბუნებრივი" ეწოდოს  
 ციმბირის დაპყრობას ან კავკასიონის ქედის გადმოლახვას,  
 რამაც რუსეთი ვეებერთელა ევრაზიულ სახელმწიფოდ გა-  
 დააქცია და "სლავური ბირთვიდან" ცენტრალურ ევროპამ-  
 დე, წყნარ ოკეანემდე და შუა აზიამდე განავრცო.

რუსული კოლონიალიზმის თავისებურებებს ამ სახელ-  
 მწიფოს გეოსტრატეგია, იმპერიის სოციალ-ეკონომიკური,  
 პოლიტიკური თუ კულტურული განვითარების მიმართულე-  
 ბა, დონე და ხასიათი განსაზღვრავდა. ქვეყნის შიდა ვითარე-  
 ბასთან ერთად, მნიშვნელოვანი იყო საგარეო რეალობაც. სა-  
 გარეო რეალობაში ამ შემთხვევაში ორი ასპექტი უნდა გამო-  
 იყოს: 1. რუსეთის მფლობელობაში შემავალი ხალხების  
 მდგომარეობა იმპერიაში მოქცევის წინაპერიოდში და 2. რუ-  
 სეთის კოლონიური სამფლობელოების ადგილმდებარეობა,  
 მათი სიახლოვე ევროპულ თუ აზიურ სამყაროსთან.

რუსეთის მიერ დაპყრობილი ხალხები ერთმანეთისაგან  
 დიდად განსხვავდებოდნენ განვითარების დონით, ენით,



კულტურით, აღმსარებლობით, სახელმწიფოებრიობის ტრადიციითა და სხვ. თუ ერთნი ჯერ კიდევ მომთაბარე და მატრიარქალური ცხოვრებით ცხოვრობდნენ, სხვებს, მაგალითად საქართველოს, სახელმწიფოებრიობის ხანგრძლივი ტრადიცია, თვითმყოფადი კულტურა, ქრისტიანული ცივილიზაცია და მყარი ეროვნული იდენტობა გააჩნდა. და ეს იყო არა მხოლოდ წარსულში. მართალია, საქართველომ ახალ დროში ერთიანობა ვეღარ შეინარჩუნა, მაგრამ საკუთარი სახელმწიფოებრიობა არ დაუკარგავს. ქართული სამეფო-სამთავროები - ეს პატარა საქართველოები, ცალკე სახელმწიფოებრივი ერთეულები იყვნენ და სამხრეთ კავკასიაში რუსეთის აქტიურად ფეხისმოკიდებამდე არსებობას განაგრძობდნენ. აუცილებელია ითქვას, რომ იმ ხალხების უმეტესობა, რომელთა ხვედრი რუსეთის კოლონიური უღელი აღმოჩნდა, რომანოვთა იმპერიის წიაღში ინკორპორირებისას, შინა ომების, მეზობელ აგრესიულ სახელმწიფოთა თავდასხმებითა თუ სხვა ფაქტორების გამო დაშლა-დაქუცმაცების პროცესს განიცდიდა და დასუსტებული იყო.

ყოველი იმპერია ძალმომრეობის უშუალო პროდუქტია. იგი გარემომცველ ხალხებთან შეტაკებებში, მეზობელ თუ შორეულ სახელმწიფოებთან ჭიდილსა და გამარჯვებებში იბადება. ასე შეიქმნა რუსეთის იმპერიაც.

ცნობილი მკვლევარი იური აფანასიევი აღნიშნავს: "რუსეთს მუდმივად ახასიათებს აგრესიულობა და ექსპანსიონიზმი, რომელიც სათავეს მოსკოვის ამაღლების დროიდან იღებს. რუსეთი ყოველთვის ცხოვრობდა დაპყრობებით, ახალი მიწების შემოერთებით. რუსეთის ისტორიაში შედარებით მცირე პერიოდიც არ ყოფილა ომების გარეშე: იპყრობდნენ ან იცავდნენ. და არასოდეს ფიქრობდნენ იმაზე, რომ უკეთ მოეწყოთ ეს ტერიტორიები, არამედ პირიქით, - რაც შეიძლება მეტი დაეპყროთ".<sup>5</sup>

პირველი ნაბიჯი რუსეთის იმპერიის ჩამოყალიბების გზაზე იყო ყაზანის სახანოს დაპყრობა 1552 წელს. ამას მოჰყვა ჯერ ვოლგისპირეთისა და შემდეგ ციმბირის კოლონიზაცია, რამაც მოსკოვის დიდი სამთავრო პოლიეთნიკურ რუსეთის

<sup>5</sup> <http://forum.bakililar.az/lofiversion/index.php/t12481.html>



სახელმწიფოდ ჩამოაყალიბა. XVII საუკუნის შუა ხანებში რუსეთის კონტროლსა და გავლენას დაექვემდებარა უკრაინის მნიშვნელოვანი ნაწილი კიევიტურთ. აღმოსავლეთის მიმართულებით რუსმა პირველმკვალავებმა წყნარ ოკეანემდე მი-  
აღწიეს და ალიასკის ათვისებას შეუდგნენ. ახალი მიწების ათვისება რუსულ მხატვრულ თუ ისტორიულ ლიტერატურა-  
ში ჰეროიკულ ფერებშია გადმოცემული, მაგრამ რეალური სურათი ხშირად სხვა იყო. ცეცხლსასროლი იარაღით აღ-  
ჭურვილი კაზაკთა და მეთოფეთა რაზმები უმოწყალოდ ანადგურებდნენ აბორიგენებს.

XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, ჩრდილოეთის ხან-  
გრძლივ ომში წარმატებამ რუსეთს შესაძლებლობა მისცა, დაუფლებოდა ბალტიისპირეთს, მომდევნო პერიოდში კი ყი-  
რიმსა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთს. იმპერიის შემად-  
გენლობაში მოექცა ევროპის ვრცელი ტერიტორიები, რომ-  
ლებიც ადრე რეჩ პოსპოლიტასა და ოსმალეთის სულთანს ექვემდებარებოდა. ლომის წილი მიიღო რუსეთმა პოლონე-  
თის სამგზის დანაწილებითაც.

პეტრე I-მა პრაქტიკული ნაბიჯები გადადგა, რათა თავი-  
სი ქვეყნის გავლენა ჩინეთსა და ინდოეთამდე განეწირო, შთამომავლობას კი ანდერძად დაუტოვა: “მე რუსეთი ნაკა-  
დულად ვიხილე, მაგრამ მდინარედ დავტოვე; ჩემი მემკვიდ-  
რები მას ზღვად გადააქცევენ, რომელიც გაანაყოფიერებს გალატაკებულ ევროპას.”

ისტორიკოსთა ნაწილი პეტრეს ანდერძს შეითხზინლ დო-  
კუმენტად მიიჩნევს და მის ნამდვილ ავტორად პარიზში მცხოვრებ პოლონელ ემიგრანტს მიხეილ სოკოლნიცკის ასა-  
ხელებს. “ანდერძის” ტექსტი პირველად ნაპოლეონ ბონაპარ-  
ტეს მითითებით 1812 წელს დაიბეჭდა. იგი შესულია საფრან-  
გეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხელის ლეზიურის ხელმოუწერლად გამოცემულ წიგნში “რუსეთის ძლიერების განვითარება”.<sup>6</sup> არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, არსებობ-  
და თუ არა სინამდვილეში ამგვარი ანდერძი. ფაქტია, რომ რუსეთის პირველ იმპერატორს გიგანტური დაპყრობითი

<sup>6</sup> М. Геллер, История российской империи, М., 2004, გვ. 75.



გეგმები გააჩნდა, რომელთა ნაწილის განხორციელება ფიქტონვე მოახერხა.

XIX საუკუნე რუსეთის იმპერიამ სამხრეთ კავკასიის დაპყრობით დაიწყო. ჯერ ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა და მიიერთა, მერე კი დასავლეთ საქართველოსა და მაჰმადიანურ სახანოებს მიდგა. ირანისა და ოსმალეთის არაერთგზის დამარცხებით რუსეთმა ორივე მათგანს რეგიონიდან ფეხი ამოუკვეთა და ამ მხარის სრული ბატონ-პატრონი შეიქმნა. დიდი ძალა, ენერგია, ადამიანური და ფინანსური რესურსები შეაღია ცარიზმმა ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთის ძლევასა და დაპყრობას ხანგრძლივ ომში, რომელიც სამ ათეულ წელზე მეტხანს გაგრძელდა.

1809 წელს რუსეთმა შვეცია აიძულა, ფინეთი მისთვის დაეთმო. ფინეთის არცთუ ვრცელი, მაგრამ მნიშვნელოვანი მიწა-წყალი ორთავიანი არნივის ფრთებმა დაფარა. XIX საუკუნის 60-იან წლებში რუსეთი მტკიცედ დამკვიდრდა წყნარი ოკეანის სანაპიროზე, ხოლო 80-იანი წლებისათვის დაასრულა შუა აზიის ინკორპორაცია. რუსეთი უზარმაზარ კოლონიურ იმპერიად მოგვევლინა, რომლის ტერიტორია 22,4 მილიონ კვადრატულ კილომეტრს (დედამიწის ერთ მეექვსედს) მოიცავდა, ხოლო მოსახლეობა 1897 წლის აღწერით 128,2 მილიონ სულს შეადგენდა.

საინტერესოა აღინიშნოს: რუსეთი ყოველთვის ახერხებდა შეენარჩუნებინა დაპყრობილი ტერიტორიები. იგი იშვიათად კარგავდა ერთხელ ხელში ჩაგდებულ მიწა-წყალს. ამის უმთავრეს მიზეზად მკვლევარნი იმ ფაქტს ასახელებენ, რომ პოლიტიკურ ათვისებას თან სდევდა მასშტაბური კოლონიზაცია. კოლონიზაცია ძირითადად განაპირა მხარეთა ეთნიკური ექსპანსია იყო, მაგრამ იმავდროულად იგი ამაღლებდა შემოერთებული სამფლობელოების რენტაბელობას, თუნდაც იმით, რომ პერიფერიებს სახელმწიფოსთან ეკონომიკურ კავშირში რთავდა და ხელს უწყობდა იმპერიის ფარგლებში ერთიანი ეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბებას.<sup>7</sup> გამოთვლილია, რომ XVII-XVIII საუკუნეებში ორ მილიონზე მეტმა ახალმოსახლემ გადაინაცვლა რუსეთის ცენტრალური ოლქებიდან

<sup>7</sup> Б. Шапталов, Русская экспансия, М., 2005, გვ. 67.



სამხრეთით, ჯერ ტყის სტეპში და შემდგომ საკუთრივ სტეპებში. ამ პერიოდში დაახლოებით 400 ათასი კაცი გადასახლდა ციმბირში. XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში სამხრეთისაკენ ადგილგადანაცვლებულთ კიდევ 12-13 მილიონი ადამიანი დაემატა, ხოლო ციმბირსა და შუა აზიის სტეპებში 5 მილიონამდე კაცი იქნა მიგრირებული.<sup>8</sup>

ისტორიულად რუსეთს მრავალრიცხოვანი მოსახლეობა ჰყავდა. ხელისუფლება ამ ფაქტორს მარჯვედ იყენებდა ახალი ტერიტორიების ათვისების პროცესში, ფართოდ მიმართავდა კოლონიზაციას.

საქართველოში კოლონიზაციის პროცესს ერთი თავისებურება გააჩნდა. აქ რუს მოახალშენეთა გარდა, იმპერიის მთავრობამ 1818-1819 წლებში გერმანელი კოლონისტები ჩამოასახლა, იმავე საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს კი ჩვენი ქვეყნის უცხოტომელთა რიცხვი ოსმალეთიდან ლტოლვილი რამდენიმე ათასი სომხის ხარჯზე გაზარდა. რუსეთის გუბერნიებიდან მოსახლეობის მიგრაცია საქართველოს ტერიტორიაზე ცარიზმის დამხობამდე ფაქტობრივად არ შეწყვეტილა.

შემთხვევით არ წერდა ცნობილი ისტორიკოსი ვ. კლუჩევსკი, რომ რუსეთის მთელი ისტორია ეს კოლონიზაციის ისტორიააო. "რუსეთის ისტორია - ისტორიაა ქვეყნისა, რომელიც კოლონიზირდება",<sup>9</sup> - ასე ერთმნიშვნელოვნად გამოყო მეცნიერმა რუსეთის ცხოვრების ფუძემდებლური თავისებურება და იმპერიის ყველაზე ნიშანდობლივი მხარე.

ლევ გუმილოვის სიტყვითაც თუ ვიტყვით, რუსი ხალხი "სუპერეთნოსად" სწორედ კოლონიზაციის პროცესში ჩამოყალიბდა.<sup>10</sup>

იმპერიის მშენებლობა რუსი ხალხის ბედად იქცაო, შენიშნავს თანამედროვე რუსი მკვლევარი ანდრეი ბუროვსკი 2004 წელს გამოცემულ თავისი ცნობილი წიგნის "Крах империи. Курс неизвестной истории"-ს ანოტაციაში.

რუსეთის იმპერიის ხელისუფალნი, ჩვეულებრივ, არ ჩქარობდნენ დაემსხვრიათ დაპყრობილ ხალხთა ადმინისტრაცი-

<sup>8</sup> Пайнс Р. Россия при старом режиме, М., 2006, გვ. 30.

<sup>9</sup> В. Ключевский, соч. в девяти томах, т. I, М., 1987, გვ. 50.

<sup>10</sup> <http://www.archipelag.ru/agenda/strateg/ideologisation/ot-sibirania/>



ული აპარატი. დროებით მაინც მას ხელუხლებლად ტოვებდნენ და კმაყოფილდებოდნენ ცენტრალური მმართველობის პეტერბურგში ან მოსკოვში გადატანით. მაგალითად, პოლონეთს 1831 წლამდე ჰქონდა კონსტიტუცია და ეროვნული სეიმი საკანონმდებლო უფლებით საშინაო საქმეებში. ასეთივე კონსტიტუცია გააჩნდა ფინეთს, ვიდრე 1899 წელს მის მოქმედებას შეაჩერებდნენ. არსებობდა ხივის სახანო, ბუხარის საემირატო და სხვ. რიჩარდ პაიპსი მიუთითებს, რომ ეს არ ნიშნავდა არარუსთათვის რაიმე უფლებას თვითმმართველობაზე და ძირითადად პერსონალის უკმარობით აიხსნება.<sup>11</sup>

რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მონყობაში ერთი შეხედვით, მართლაც შეიმჩნევა ასიმეტრიული პრინციპი. რომანოვთა იმპერია აერთიანებდა პოლონეთის სამეფოს, ფინეთის ავტონომიას, კავკასიის სამეფოსნაცვლოს, ხივის სახანოს, ბუხარის საემირატოს, ციმბირის გუბერნიებსა და სხვ. მაგრამ, ასეთ პირობებშიც კი, სახელმწიფო უნიტარიზმს ინარჩუნებდა. ცენტრალიზაცია იმდენად ძლიერი იყო, რომ ასიმეტრიის პრინციპი ხშირად ირღვეოდა. ავტონომიურობასაც დიდწილად ფორმალური ხასიათი ჰქონდა.

საკუთრივ საქართველოსთან მიმართებაში, კოლონიური ხალხებისადმი რუსეთის იმპერიის დამოკიდებულების ზოგადი პრინციპები მხოლოდ ნაწილობრივ თუ იყო დაცული.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის იმპერიის არსის უცხოელი მკვლევრები თუ ანალიტიკოსები ნაკლებად ითვალისწინებენ ქართულ მასალას. მაგალითად, რასაც რ. პაიპსი დაპყრობილი ხალხების ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ ცარიზმის დამოკიდებულებაზე ამბობს, არ მტკიცდება არც აღმოსავლეთ და არც დასავლეთ საქართველოს მაგალითზე. ქართლ-კახეთში არათუ ეროვნული ადმინისტრაცია შეინარჩუნეს, ქართველი მეფის ინსტიტუტი დე ფაქტო იმაზე ადრე გააუქმეს, ვიდრე თბილისში რუსული საგუბერნიო მმართველობა ოფიციალურად გამოცხადდებოდა.

ამასთან, იმის შიშით, რომ გაუქმებული ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე ბაგრატიონთა დინასტია ხელახლა არ აღედ-

<sup>11</sup> <http://www.archipelag.ru/agenda/strateg/ideologisation/ot-sobirania/>



გინათ, თვითმპყრობელობამ სამეფო ოჯახის თითქმის ყველა წევრი რუსეთში გადაასახლა. სამშობლოში შემთხვევით ერთადერთი უფლისწული - გრიგოლ იოანეს ძე დარჩენიდათ. აჯანყებულმა კახეთის მოსახლეობამ 1812 წელს ამით ისარგებლა და გრიგოლ ბაგრატიონი მეფედ გამოაცხადა.<sup>12</sup>

1810 წელს რუსეთის ჯარმა იმერეთი დაიპყრო. სოლომონ I ტახტს ჩამოაშორეს. მეფობა მოშალეს და ბაგრატიონთა აქაური შტოს წარმომადგენლებიც რუსეთის გზას გაუყენეს. სამეფოს ნაცვლად ოლქად დამცრობილ იმერეთშიც იმთავითვე რუსული მმართველობა დამყარდა.

ერთგვარ გამონაკლისად შეიძლება მივიჩნიოთ დასავლეთ საქართველოს მცირე სამთავროები (სამეგრელოს, გურიის, აფხაზეთის, სვანეთის), რომელთა მთავრები დროებით მართლაც დატოვეს "თანამდებობებზე," თუმცა ყველა მათგანი რუსთხელმწიფის ერთგულებაზე დააფიცეს და იმპერიის ქვეშევრდომობაში მიიღეს. სამთავროთა ავტონომიურობა მოჩვენებითი იყო. ზუგდიდში, ოზურგეთსა თუ სოხუმში რუსული გარნიზონების ჩაყენება მთავართა შეზღუდულ ხელისუფლებას ნომინალურს ხდიდა. მალე ეს ადგილობრივი ფორმალური მმართველობაც თვითმპყრობელობის კავკასიურ ინტერესებთან შეუსაბამო აღმოჩნდა და ლიკვიდირებულ იქნა.<sup>13</sup>

რუსეთის იმპერიის სტრუქტურული აღნაგობა თავისებური იყო და დიდად განსხვავდებოდა, ვთქვათ, ბრიტანეთის იმპერიისაგან. რუსეთს ინგლისივით არ ჰქონია დომინიონები და პროტექტორატები. შესაბამისად, რომანოვთა იმპერიის სამფლობელოების აღსანიშნავად სპეციფიკური ტერმინოლოგია გამოიყენება: განაპირა მხარე, პერიფერია, ფრონტირი, კოლონია. ჩამოთვლილთაგან ყველაზე ადრინდელია ცნება "განაპირა მხარე". იგი თავდაპირველად გეოგრაფიული შინაარსით გამოიყენებოდა, ივანე მრისხანეს დროიდან (1533-1584 წ.წ.) კი ტერმინში პოლიტიკური აქცენტიც იკვეთება. იმპერიულ რუსეთში განაპირეობა ამა თუ იმ ტერიტორიის ცენტრიდან დაშორებას კი აღარ აღნიშნავდა, არამედ

<sup>12</sup> ნ. ჯავახიშვილი, გრიგოლ I - უკანასკნელი ქართველი მეფე, თბ., 2008.

<sup>13</sup> ო. ჯანელიძე, საქართველოს ისტორია. XIX საუკუნე, თბ., 2002, გვ. 77.



ცენტრზე - მეტროპოლიაზე დაქვემდებარებას გულისხმობდა. ასეთივე დატვირთვა გააჩნდა ცნებას "პერიფერია", ხოლო იმავე შინაარსის ტერმინი "ფრონტიერი" გვიანდელია და ფიგურირებს თანამედროვე პოლიტოლოგიურ ლიტერატურაში. რაც შეეხება "კოლონიას," მისი გაგება, მას შემდეგ, რაც კოლონიალიზმი მსოფლიო ისტორიულ მოვლენად ჩამოყალიბდა, აღარ შეცვლილა.

რუსეთში დაპყრობილი ტერიტორიებისა და ქვეყნების მართვა-გამგეობის სისტემა რამდენადმე ორიგინალური იყო და ევროპული იმპერიებისაგან განირჩეოდა. თუ ბრიტანეთში კოლონიების საქმეთა სახელმწიფო მდივნის სპეციალური თანამდებობა 1768 წელს შემოიღეს, ხოლო XIX საუკუნის შუა ხანებში კოლონიების საქმეთა სამინისტრო ჩამოყალიბდა, რუსეთში მსგავსი ერთიანი ცენტრალური სტრუქტურა არ არსებულა.

ინგლისის კოლონიები ორი ტიპისა იყო - დაპყრობილი და გადასახლებულების. პირველნი, სადაც "ფერადკანიანი" მოსახლეობა ჭარბობდა, პოლიტიკური ავტონომიებით არ სარგებლობდნენ და იმპერატორის სახელით ბრიტანეთის მთავრობის მიერ იმართებოდნენ. საკანონმდებლო და აღმასრულებელ ფუნქციებს ამ კოლონიურ სამფლობელოებში გუბერნატორი ასრულებდა. ე.წ. ტუზემცების ადმინისტრაცია შეზღუდული თვითმმართველობით სარგებლობდა და აღჭურვილი იყო გარკვეული სასამართლო და პოლიციური უფლებამოსილებით. იგი ბუფერის როლს ასრულებდა ევროპელთა უმალლეს ხელისუფლებასა და დაპყრობილ ადგილობრივ მოსახლეობას შორის. მართვის ამგვარი სისტემა ირიბ ანუ არაპირდაპირ მმართველობად იწოდებოდა. კოლონიებმა, რომლებშიც გადასახლებულნი უმრავლესობას ან მცხოვრებთა მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ, პოლიტიკური ავტონომიები და დომინიონის სტატუსი მოიპოვეს (კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკის კავშირი). მათ საკუთარი კონსტიტუცია, პარლამენტი, მთავრობა, არმია და ფინანსები გააჩნდათ, თუმცა ექვემდებარებოდნენ მეტროპოლიის მიერ დანიშნულ გუბერნატორის კონტროლს.



საფრანგეთი თავის კოლონიურ სამფლობელოებს ძირითადად პირდაპირი მართვის მეთოდით, არმიისა და პოლიციის დახმარებით განაგებდა. გერმანიის კოლონიებში ხელისუფლებას სრულად ფლობდა ბერლინის მიერ დანიშნული გუბერნატორი. გერმანელები შეადგენდნენ კოლონიური ადმინისტრაციის უმაღლეს და საშუალო რგოლებს, კოლონიური ჯარებისა და პოლიციის მეთაურთა შემადგენლობას. დაბალი ადმინისტრაცია, როგორც წესი, ადგილობრივი წიგნიერი მოსახლეობის წარმომადგენელთაგან კომპლექტდებოდა. ზოგიერთ კოლონიაში (კამერუნი, ბურუნდი და სხვ.) გერმანელებმა შეინარჩუნეს ადგილობრივ ბელადთა და მმართველთა ძალაუფლება, მაგრამ ისინი მკაცრ კონტროლქვეშ ჰყავდათ მოქცეული.

რუსეთში პერიფერიებთან დამოკიდებულებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა საგარეო პოლიტიკურ, გეოსტრატეგიულ, ეკონომიკურ, რელიგიურ და სხვა მოტივებს, რომლებიც განსაზღვრავდნენ ამა თუ იმ ტერიტორიის იმპერიის შემადგენლობაში ჩართულობასა და ინტეგრაციის ხასიათს.

როგორც ზემოთ ითქვა, რუსეთის ზოგიერთ პერიფერიას თვითმმართველობის უფლება გააჩნდა, მაგრამ ზოგადად ერთობ შეზღუდული უფლებათა კომპეტენციის ფარგლები სხვადასხვა დაპყრობილი ხალხისთვის სხვადასხვა იყო. მაგალითად, ფინეთს, რომელსაც მანამდე სახელმწიფოებრიობა არ ჰქონია და რომანოვთა იმპერიის შემადგენლობაში რუსეთსა და შვედეთს შორის 1809 წელს გაფორმებული ფრიდრიხსჰამის ზავის თანახმად ავტონომიური უფლებით შევიდა, ჰყავდა საკუთარი მთავრობა, ჰქონდა საკუთარი კანონები, გააჩნდა თავისი ეროვნული ვალუტა, სახელმწიფო ენა (ფინური და შვედური), დამოუკიდებელი ბიუჯეტი და სასამართლო სისტემა. ფინეთის მცხოვრებნი რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობის გარდა ფინეთის ქვეშევრდომთა სტატუსსაც ფლობდნენ და სხვა, მაშინ როდესაც, აქ ჩამოთვლილ უფლებათაგან ერთ-ერთიც კი მიუწვდომელი იყო, ვთქვათ, ციმბირის, შუა აზიისა და კავკასიის ხალხებისათვის.

ცალკეული განაპირა მხარის საქმეთა გასაძლოლად ადგილობრივი რუსული ადმინისტრაციების გარდა, მეტროპოლიის ცენტრში სპეციალური დანესებულებები - კომიტეტე-



ბი იყო შექმნილი. არსებობდა ციმბირის ორი კომიტეტი და სავლეთ გუბერნიების საქმეთა კომიტეტი, პოლონეთის სამეფოს საქმეთა კომიტეტი და სხვა, რომლებსაც "ტერიტორიულ" ან "ეროვნულ კომიტეტებს" უწოდებდნენ. საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის სხვა ხალხების საქმეები თავიდან ამიერკავკასიის საქმეთა კომიტეტს ებარა, ხოლო 1845-1882 წ.წ. არსებობდა კავკასიის კომიტეტი. ძირითადად საიმპერიო მინისტრებისაგან დაკომპლექტებული ამ კომიტეტის თავმჯდომარეები სხვადასხვა დროს იყვნენ სამხედრო მინისტრი ა. ჩერნიშევი, ჟანდარმთა შეფი ა. ორლოვი და გრაფი პ. იგნატიევი.<sup>14</sup>

საქართველოს დაპყრობის შემდგომ მხარის უმაღლესი სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფალი რუსი მთავარმართებელი გახდა. ამ პოსტზე, როგორც წესი, მაღალი რანგის რუსი სამხედროები - გენერლები ინიშნებოდნენ. სამხედრო მოხელენი ედგნენ სათავეში მაზრებსაც, ქალაქებსაც და სამართლო დანესებულებებსაც. მართვა-გამგებლობის ასეთი ორგანიზაცია იურიდიულად რუსეთის იმპერიის კანონმდებლობას შეესაბამებოდა და იმეორებდა საგუბერნიო მმართველობის 1775 წლის დებულებას, მაგრამ ფაქტობრივად იგი სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმი იყო. რუსული მმართველობა საქართველოში იყო ძალაუფლება და არა ხელისუფლება.

1845 წლიდან კავკასიას სამეფისნაცვლოს სტატუსი მიენიჭა, მაგრამ ამ გარდაქმნას მხარის მმართველობის კოლონიური ხასიათი დიდად არ შეუცვლია. მართვის სტილი და მეთოდი კვლავაც სამხედრო-პოლიციური ყაიდისა იყო. XIX საუკუნის 70-იან წლებში სამხრეთ კავკასიის მართვა-გამგებობის სისტემაში გარკვეული კორექტივები შევიდა, თუმცა რეფორმამ მთლიანად ვერ გამიჯნა სამოქალაქო და სამხედრო მმართველობა. საოკუპაციო რეჟიმი, ნაწილობრივ მაინც ძალმოსილებას ინარჩუნებდა. ბათუმის ოლქს განაგებდა სამხედრო გუ-

<sup>14</sup> Г. Г. Лисицина, Кавказский комитет – высшее государственное учреждение для управления Кавказом (1845-1882), წიგნში - Россия и Кавказ: сквозь два столетия, СПб., 2001, გვ. 154.



ბერნატორი, სამხედროები იდგნენ სოხუმისა და ზაქსთალოს ოკრუგების სათავეში და სხვ.<sup>15</sup>

ქვეშევრდომი მოსახლეობის, მათ შორის დაპყრობილი ხალხებისადმი გარკვეულ დათმობებს თვითმპყრობელობას მნიშვნელოვანი საგარეო-პოლიტიკური მარცხი, ქვეყნის შიგნით შექმნილი კრიზისული სიტუაცია ან იმპერიულ მონობაში ჩავარდნილი არარუსი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაქანება აიძულებდა (ყირიმის ომის წაგებას ბატონყმობის გაუქმება მოჰყვა, სახელმწიფო სათათბიროს დაარსებას წინ იაპონიასთან დამარცხება და პირველი სახალხო რევოლუციის ბოზოქარი ტალღები უძლოდა).

უნდა აღინიშნოს, რომ ღრმა პოლიტიკური კრიზისის ვითარებაშიც კი ხელისუფლება თანაბარ უფლებებს როდი ანიჭებდა მეტროპოლიისა და კოლონიების მცხოვრებთ. საქართველოსთან მიმართებაში მეფის მთავრობის ლიბერალური დათმობები ან დიდად ჭიანჭურდებოდა ან კიდევ სანახევროდ ხორციელდებოდა. მაგალითად, გლეხობის მემამულეთა ყმობიდან განთავისუფლება ჩვენში რუსეთში ამ რეფორმის გამოცხადებიდან (1861 წლის 19 თებერვალი) მხოლოდ ათი წლის შემდეგ დასრულდა (ბატონყმობა საქართველოში ეტაპობრივად გაუქმდა. 1864 წელს იგი თბილისის გუბერნიას შეეხო, მომდევნო წელს განთავისუფლდა ქუთაისის გუბერნიის (იმერეთი, რაჭა, გურია) ყმური მოსახლეობა. სამეგრელოში საგლეხო რეფორმა 1866 წელს, აფხაზეთში 1870, ხოლო სვანეთში 1871 წელს იქნა გატარებული).

XIX საუკუნის 60-70-იანი წლების ბურჟუაზიული რეფორმებიდან საქართველოს არ არგუნეს მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი - ერობა. სასამართლო რეფორმა კი ისე შეიკვეცა, რომ აქ არც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი შემოუღიათ და არც მოსამართლეთა არჩევითობა.

კავკასიამ და მათ შორის საქართველომ, შეიძლება ითქვას, საიმპერიო ხელისუფლებას ძალით გამოსტაცა სადეპუ-

<sup>15</sup> ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს რუსული მმართველობის სისტემამო ჩადებული კოლონიურ-რუსიფიკატორული კოდი, საქართველოში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ნარკვევები, წიგნ. 1, თბ., 2007, გვ. 53, 67.



ტატო უფლება. რც 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტით და არც იმავე წლის ბოლოს გამოქვეყნებული არჩევნების დებულებით სახელმწიფო სათათბიროში აქაური დეპუტატების მონაწილეობა გათვალისწინებული არ ყოფილა. ცნობილია, რომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად კავკასიის ერების დელეგაცია პეტერბურგს გაემგზავრა. საქართველოდან დელეგაციის შემადგენლობაში ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე და გიორგი ყურული შედიოდნენ. სახელმწიფო საბჭოს უმაღლეს კომისიაში ილია ჭავჭავაძემ კატეგორიულად მოითხოვა კავკასიის მონაწილეობა იმპერიის საკანონმდებლო ორგანოს ფორმირებაში და განაცხადა: "თუ ეს არ მოხდა, ... ახალ შეურაცხყოფას ველარ მოითმენს ჩვენი ხალხი და თქვენ იძულებულნი იქნებით, ზღვა სისხლი დაღვაროთ თქვენი სალდათებისა აღმფოთებული კავკასიის მოსახლეობასთან ბრძოლაში".<sup>16</sup>

დელეგაციის ძალისხმევამ ნაყოფი გამოიღო. კავკასიას სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეცა.

ცარიზმის დამხობის შემდეგ, 1917 წელს რუსეთის დროებითმა მთავრობამ განახორციელა მნიშვნელოვანი გარდაქმნები, იმპერიის მასშტაბით აღმოფხვრა ყველა სახის დისკრიმინაცია რასობრივი, ეროვნული და რელიგიური თვალსაზრისით. მთელ მოსახლეობას მიენიჭა თანაბარი საარჩევნო უფლება და სხვ. მაგრამ ამ დემოკრატიულმა იმპერიულმა ხელისუფლებამაც კი საქართველოს ეკლესიას სრული ავტოკეფალია არ დაუკანონა და ტერიტორიული შემოფარგვლის გარეშე, მისი მხოლოდ ეროვნული ხასიათი აღიარა.

XIX საუკუნის დამდეგს ბაგრატიონთა სამეფო ტახტის მოშლითა და ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებით რუსეთმა სამხრეთ კავკასიაში თავის საწყის მიზანს ფაქტობრივად მიაღწია. მისთვის ახლა არსებითი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რა დასახელებით შევიდოდა აღმოსავლეთ საქართველო იმპერიის ფარგლებში. ან უკვე ყოფილ სამეფოს ოფიციალურად გუბერნიის სტატუსი მიეკუთვნა, ანუ კავკასიონის ქედს

<sup>16</sup> გ. ყურული, ილიასთან შორი-ახლოს დგომით (ფურცლები ჩემი თავგადასავლის რვეულიდან), ნიგნში - ილია ემიგრანტთა თვალით, I, თბ., 1996, გვ. 114.



გადმოღმა დაპყრობილი და იმპერიასთან მიერთებული მინა-  
 წყალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მონყობის (თვალსაზრისით)  
 საზრისით რუსეთის ცენტრალურ რეგიონებს გაუთანაბრდა.  
 როგორც ცნობილია, ქართლ-კახეთში დამყარებულ რუსულ  
 საოკუპაციო რეჟიმს თავდაპირველად "საქართველოს უზენაესი მთავრობა" უწოდეს. ეს, ცხადია, ერთგვარი ტაქტიკური სვლა იყო. სახელმწიფოებრიობაწართმეულ ერს, პირველ ხანებში მაინც, თუნდაც გარეგნული სახით, თვითიდეინტიფიკაციის რალაც ფორმა უნდა შერჩენოდა. ჯერ-ჯერობით საჭირო იყო, რომ ქართველებს, თუნდაც ვირტუალურად, თავი კვლავ საქართველოს ხელისუფლების წიაღში წარმოედგინათ.

სახელწოდება პირობითი იყო და ქართველთა უკიდურესობამდე დამცრობილ ეროვნულ ღირსებას მხოლოდ მოჩვენებითად ესალბუნებოდა, რადგან ეს მმართველობა არაფრით განსხვავდებოდა რუსეთში მოქმედი ჩვეულებრივი მართვა-გამგეობის წესისაგან. საქართველოსათვის ახალი და განსხვავებული, ტერიტორიის მაზრებად თუ დისტანციებად დაყოფაც იმპერიის ტრადიციულ სტრუქტურას შეესაბამებოდა. ამ ფონზე აშკარა ცინიზმად აღიქმება იმპერატორ ალექსანდრე I-ის დავალება საქართველოს მთავარმართველად დანიშნულ გენერალ კნორინგისადმი, რომ ამ უკანასკნელს მხარის რუსული მმართველობა ქართველი ხალხის "ზნე-ჩვეულებასთან და გუნება-განწყობილებასთან" შეეხამებინა. (120 წლის შემდეგ ზუსტად ასეთივე დავალებას მიიღებს საქართველოს რევკომი საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობისაგან. ვ. ლენინი სერგო ორჯონიკიძისადმი მიწერილ წერილსა თუ დეპეშაში ხაზგასმით მიუთითებს, რომ საქართველოს კომუნისტებმა შაბლონურად არ გაიმეორონ რუსული გამოცდილება, შეუფარდონ იგი ადგილობრივ კონკრეტულ-ისტორიულ პირობებს. "ბრმად კი არ უნდა გადაიღოთ ჩვენი ტაქტიკა, ...ადგილობრივ უნდა გამოიყენოთ 1917-1921 წლების გამოცდილების არა ანბან-სიტყვა, არამედ სული, აზრი და გაკვეთილები," "მოძღვრავდა" პროლეტარიატის ბელადი ქართველ ბოლშევიკებს.<sup>17</sup>

<sup>17</sup> ვ. ლენინი, თხზულებანი, ტ. 32, გვ. 399.



ადგილზე კი რა ხდებოდა? როგორ ხორციელდებოდა ცხოვრებაში უმაღლესი ხელისუფლებისაგან მომდინარე დავალება? საქართველოს რუსული ადმინისტრაცია უპირატესობას მთავარმართებელ პ. ციციანოვის "ფორმულას" ანიჭებდა, რომელიც ასე გამოითქვა: "ვისაც ქუხილი ხელთ უპყრია, ბრძანებაც იმას შეჰფერის, ხოლო სუსტის საქმე მორჩილება".<sup>18</sup> იგივე ციციანოვი პირდაპირ აცხადებდა: "მმართველობის სისტემა რომ შევცვალოთ და შევუფუტოთ ხალხის მოთხოვნილებას, საქმე უფრო გაფუჭდება. ხალხში შეიპარება აზრი, რომ მთავრობა სუსტია და აღარ დაგვემორჩილებაო."

არანაკლებ მკაფიოდაა გამოსატყულები იმპერიულ-კოლონიური პოლიტიკის არსი მთავარმართებელ პასკევიჩის სიტყვებში: "იმის ცდაში უნდა ვიყოთ, რომ ხალხი რუსეთის სულს მივუახლოვოთ და მის ზნე-ხასიათს რა შეცვლის, თუ არა რუსეთის მმართველობა".<sup>19</sup>

1831 წელს სამხრეთ კავკასიაში სარევიზიოდ გამოგზავნილი სენატორი ე. მეჩნიკოვი საიმპერიო ხელისუფლებას დაბეჯითებით ურჩევდა: რეგიონში რუსული მპყრობელობის გაძლიერებისათვის აუცილებელია ისეთი ღონისძიებების განხორციელება, როგორიცაა: "რუსების კოლონიზაცია, რუსი მოხელეებისათვის ადგილობრივი მამულების საკუთრებაში გადაცემა, მთელი მხარის გარუსება, ალეგორიულად რომ ვთქვათ, რუსეთთან მჭიდროდ შეკავშირება".<sup>20</sup>

ნ. დობროლიუბოვის სიტყვითაც, "ჩვენი მმართველობა კავკასიაში სრულიადაც არ ყოფილა შეხამებული ადგილობრივ მოთხოვნილებებთან და ურთიერთობებთან".<sup>21</sup> საქართველოსა და კავკასიაში რეალურად ციციანოვ-პასკევიჩების მიერ გახმოვანებული პრინციპები ტარდებოდა და არა იმპერატორის ვითომ ლიბერალური მითითებები. ამას ცხად-

<sup>18</sup> ა. ჯორჯაძე, სამშობლო და მამულიშვილობა, თბ., 1990, გვ. 83.

<sup>19</sup> С. Эсадзе, Историческая записка об управлении кавказом, т. I, Тб., 1907, გვ. 67.

<sup>20</sup> Колониальная политика русского царизма в Азербайджане в 20-60-х годах XIX в. Часть I, М.-Л., 1936, გვ. 231-232.

<sup>21</sup> ა. სურგულაძე, რუსეთის იმპერია XIX საუკუნეში, თბ., 1973, გვ. 214.



ყოფს კავკასიის სარევიზიოდ ჩამოსული დიდმოხელის პოზიციის აღიარება. თავის დასკვნაში პოზენი წერდა: მმართველობის წესი არ შეეხამება არც ხალხის აზრებს, რწმენას და ჩვეულებებს.<sup>22</sup>

რუსეთის საიმპერიო ხელისუფლება საქართველოს იმთავითვე დაპყრობილ, კოლონიურ სამფლობელოდ მიიჩნევდა, მაგრამ ამ ტერმინის ოფიციალური დამკვიდრებისაგან თავს იკავებდა. უფრო რესპექტაბელურად გამოიყურებოდა ფორმულა "იმპერიის შემადგენლობაში საკუთარი ნებით შესული." ეს გარემოება ქართველი ხალხის უუფლებო მდგომარეობასა და მძიმე ყოფას ოდნავადაც არ ცვლიდა, სხვებისთვის კი (მაგალითად ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებისათვის) შეიძლებოდა სატყუარა გამხდარიყო. საქართველოსათვის არც ერთი იყო შეღავათი და არც მეორე, მაგრამ მოგვიანებით, განსაკუთრებით 1900-1917 წლებში, დებულებას, რომ საქართველომ თავისი ბედი თვითონ დაუკავშირა რუსეთს, აქტიურად იყენებდნენ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურები.

ფაქტობრივი მასალის ანალიზი მკაფიოდ წარმოაჩენს, რომ რუსეთი თავის სამფლობელოების გაფართოებისას ერთ "უნივერსალურ" ხერხს მიმართავდა. იგი ნაბიჯ-ნაბიჯ, წლების განმავლობაში უახლოვდებოდა მიზანში ამოღებულ მსხვერპლს. ათასგვარი დაპირებითა და დაიმედებით თავს ახვევდა მოჩვენებით მფარველობას, რომელიც თანდათან ქვეშევრდომობის რანგში გადაჰყავდა. მომდევნო ეტაპი ქვეშევრდომი ქვეყნის გეგმაზომიერი დასუსტებისა და დაუძლურების ღონისძიებები იყო, რასაც რუსეთის ხელისუფლება მოქნილად და ტექნიკურად ახორციელებდა. ასე, საბოლოოდ ძალაგამოცლილი და სიკვდილის პირას მისული ქვეშევრდომები იძულებულნი ხდებოდნენ, თავის გადასარჩენად რუსეთის შემადგენლობაში შესვლა ეთხოვათ.<sup>23</sup>

<sup>22</sup> С. Эсадзе, Историческая записка об управлении кавказом, т. I, Тб., 1907, გვ. 81.

<sup>23</sup> მ. სამსონაძე, საქართველოში კოლონიური მმართველობის დასაწყისი, საქართველოში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ნარკვევები, წიგნ. 1, თბ., 2007, გვ. 37.



ამ მხრივ დამახასიათებელია უკრაინის 1654 წლის პერეკოპსკის რადა და მომდევნო ისტორია, ყაბარდოს, ქართლ-კახეთისა და სხვა მაგალითები.

რუსეთის იმპერიის ტერიტორიული გაფართოება, თუ "ნებაყოფლობით" შესვლას გამოვრიცხავთ, ძირითადად ორი გზით წარმოებდა: 1. დაუცველი მიწა-წყლის ან შედარებით სუსტი ქვეყნის სამხედრო ძალით დაპყრობა; 2. სხვა სახელმწიფოთათვის მათ მიერ ადრე მიტაცებული სამფლობელოების წართმევა.

ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული წლის წინ ისტორიკოსმა ნიკო ბერძენიშვილმა დასვა რიტორიკული კითხვა: "რუსეთი მოდიოდა კავკასიაში თუ ერეკლე მეორეს მოჰყავდა"?

ამ კითხვაზე ასე შეიძლება ვუპასუხოთ. რუსეთი მოინებდა სამხრეთისაკენ. ხან ჩქარი, ხანაც ნელი სვლით უახლოვდებოდა კავკასიას. ქართველები მის მეგზურად იქცნენ, მაგრამ მართო გზები და ბილიკები კი არ ასწავლეს მაღალ ქედზე გადმოსასვლელად, არამედ რუსეთის არმიას გაუხსნეს "კავკასიის თერმოპილენი" - ალანთა კარი, რომლის გასაღების ერთპიროვნული ფლობა დიდი კოზირი იყო ქართველ ხელისუფალთა ხელში. ეს კარები ამიერიდან ქართველთა დაუკითხავად რუსეთსაც შეეძლო გაეღო, რადგან გასაღების "დუბლიკატი," თუ შეიძლება ასე ითქვას, მას ქართველებმა ჩააბარეს.

მას შემდგომ, რაც რუსეთმა იმერეთის სამეფოც დაიპყრო და დასავლეთ საქართველოშიც ფეხი მტკიცედ მოიკიდა, რეალური მდგომარეობის დამალვა დიდად საჭირო აღარ იყო. ამასთან, ახალ იმპერატორ ნიკოლოზ I-ს, განსხვავებით ალექსანდრე I-ისაგან, თვალთმაქცობის პოლიტიკა ნაკლებად ჭირდებოდა. 1827 წელს ოფიციალურად ითქვა ის, რაც აქამდე არსებითად იმალეობდა. რუსეთის ფინანსთა მინისტრმა ნ. კანკრინმა, კავკასიის საკითხებზე იმპერატორისათვის წარდგენილ მოხსენებაში აღნიშნა: "...არა უსაფუძვლოდ ამიერკავკასიის პროვინციები შეიძლება წოდებულ იქნან ჩვენ კოლონიებად (ხაზგასმა ჩემია, - ო. ჯ.), რომლებმაც სამხრეთის ჰავის ნაწარმით სახელმწიფოს უნდა მოუტანონ მე"



ტად მნიშვნელოვანი სარგებლობა”.<sup>24</sup> იგივე კანკრინს ეკუთვნოდა აზრი, რომ სამხრეთ კავკასია არ ჩაერთოთ უშუალოდ იმპერიის შემადგენლობაში და ოფიციალურად განეხილათ იგი, როგორც კოლონია.<sup>25</sup>

1828 წელს, სამხრეთ კავკასიის ბუნებრივი სიმდიდრეებისა და მხარის ეკონომიკური მდგომარეობის შემსწავლელმა კომისიამ თავის ოთხტომიანი ნაშრომის წინასიტყვაობაში ჩაწერა: “ამიერკავკასიისათვის რუსეთის კოლონიის დარქმევა, პირველად აღიარებული, გზას უხსნის იქაურ სამფლობელოებზე ყოველგვარ განზრახვებს; ეს სწორედ ის წერტილია, საიდანაც უნდა ვუცქიროთ მათ და ყველა მოქმედებათა სისტემას მიმართულება ვაძლიოთ”.<sup>26</sup>

უშუალოდ საქართველოსთან მიმართებაში სიტყვა კოლონიას იყენებდა მთავარმართველი ი. პასკევიჩი.<sup>27</sup> როგორც რუსეთის კოლონიებზე, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზე XIX საუკუნის 30-იან წლებში ბევრს წერდა იმპერიის მმართველი წრეების ინტერესების გამომხატველი ჟურნალი “სინ ოტჩენესტვა”.<sup>28</sup>

მეფისნაცვლობის დაწესებით სამხრეთ კავკასიაში რუსეთის კოლონიური მმართველობის ერთიანი ცენტრი შეიქმნა. შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ იმ ხანად, ნიკოლოზ I-ის განკარგულებით მომზადებულ “ალჟირში ფრანგული და კავკასიაში რუსული მმართველობის შედარებით მიმოხილვაში” ამიერკავკასია პირდაპირ იყო სახელდებული რუსეთის კოლონიად. ხაზს უსვამდა რა ალჟირსა და კავკასიაში სამხედრო-სამოქალაქო მართვა-გამგეობის სისტემათა მსგავსებას, “მიმოხილვაში” აღნიშნული იყო: ალჟირის გენერალ-გუბერნატორის “არასრულ ხელისუფლებასთან” შედარებით კავკასი-

<sup>24</sup> ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), თბ., 1954, გვ. 215.

<sup>25</sup> [http://mion.isu.ru/pub/domeshek\\_li/dameshek\\_2.html](http://mion.isu.ru/pub/domeshek_li/dameshek_2.html)

<sup>26</sup> Обзор российских владений за Кавказом, М., 1836, ч. I, გვ. 12-13.

<sup>27</sup> ციტირებულია წიგნიდან - ტ. ხუნდაძე, ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში (80-იანი წლები), თბ., 1940, გვ. 5.

<sup>28</sup> Акты собранные Кавказской Археографической Комиссии, под ред. А. Берже, VII, № 108.

<sup>28</sup> А. Фадеев, Россия и Кавказ первой трети XIX в. М., 1960, გვ. 73.



ის მეფისნაცვალ ალქურვილია განსაკუთრებული და საგანგებო ხელისუფლებით მმართველობის ყველა სფეროში.<sup>29</sup>

მეფის მთავრობის მოხელე ვ. დინგელშტედტი 1860 წელს გამოცემულ წიგნში აღნიშნავდა: "ამიერკავკასია მოპოვებულ იქნა იარაღით. მაგრამ ამ მხარის მორალური დაპყრობა ჯერ არ დამთავრებულა. ...მხოლოდ ამის შემდეგ მოგვიტანს ეს კოლონია (ხაზი ჩემია - ო. ჯ.) სარგებლობას და აანაზღაურებს იმ სისხლსა და ფულს, რაც დაჯდა მისი მოპოვება".<sup>30</sup>

რუსული კოლონიალიზმი თავისი არსით რამდენადმე ემთხვევა დასავლურ ანალოგს, მაგრამ მნიშვნელოვანწილად განსხვავდება კიდეც მისგან. რუსეთს - მეფისდროინდელსაც და დღევანდელსაც, არცთუ უსაფუძვლოდ "დერჟავას" უწოდებენ. "დერჟავა" რუსული წარმოშობის სიტყვაა და ვ. დალის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად (ტ. I, გვ. 431), ციხე-სიმაგრეს, ძალას, სიმყარეს, მტკიცე, საიმედო კავშირს, მპყრობელობას, ძლიერებას, დამოუკიდებელ მფლობელობას, სახელმწიფოს, ხალხსა და მის ხელისუფლებას აღნიშნავს და სხვა არაერთი მნიშვნელობაცა აქვს. პოლიტიკური თვალსაზრისით კი იგი რუსეთის სახელმწიფოს ძალმოსილებას, მის იმპერიულ ბუნებასა და ხასიათს გამოხატავს. ეს ტერმინი იმდენად სისხლხორცეულადაა დაკავშირებული რუსულ რეალობასთან, რომ ცნება "დერჟავა" იმპერიის დიდმპყრობელური პოლიტიკის სპეციფიკურ რუსულ ფორმადაა მიჩნეული.

რუსული კოლონიური პოლიტიკა განირჩეოდა აპართეიდისაგან, მაგრამ უახლოვდებოდა ესპანურ ენკომიენდას, თუ გამოვრიცხავთ იმ გარემოებას, რომ ეს უკანასკნელი კათოლიციზმის ექსპანსიას ეფუძნებოდა, რუსეთის იმპერიისათვის კი ნიშანდობლივი იყო ზრუნვა მართლმადიდებლობის გავრცელებისათვის. რუსეთის იმპერიულ-კოლონიური პოლიტიკის ზოგადი და სპეციფიკური მახასიათებლების დასადგენად მივმართოთ შედარებით ანალიზს.

<sup>29</sup> Брат Ротердамый, Политика Российской империи в Азербайджане.

<http://forum.bakililar.az/lofiversion/index.php/t12481.html>

<sup>30</sup> Дингельштедт В. Водовладения и ирригация, М. 1860, გვ. 2.



ყოველ სახელმწიფოს კოლონიური სამფლობელოების ხელში ჩასაგდებად თითქმის ერთი და იგივე მიზნები ამოძრავებდა. მათგან უმთავრესი სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიკური ინტერესები იყო. რომელს მიენიჭებოდა პრიორიტეტი, ამას კონკრეტული სახელმწიფოს წინაშე მდგარი საგარეო-პოლიტიკური ამოცანები ან შიდა ვითარება განსაზღვრავდა.

ცნობილია, რომ ევროპის ქვეყნები შორეულ მიწებზე ჯერ ვაჭრებს გზავნიდნენ, შემდეგ მქადაგებლებს, ხოლო ბოლოს არმიას გადასხამდნენ. რუსები, როგორც წესი, უშუალოდ დევგმირთა დესანტით იწყებდნენ.<sup>31</sup>

ინგლისის კოლონიურ სამფლობელოთა ერთი ნაწილი კერძო პირების ან კომპანიების (განსაკუთრებით ოსტ-ინდოეთის კომპანიის) მიერ იყო დაარსებული. რუსეთში კოლონიურ ექსპანსიას სახელმწიფო ახორციელებდა. თუ არ ჩავთვლით ვაჭარ სტროგანოვების მიერ ერმაკის რაზმების დაქირავებას და დასავლეთ ციმბირის დაპყრობას, ახალ ტერიტორიებსა და ქვეყნებს რუსეთის იმპერიის სახელით ძირითადად მისი საჯარისო შენაერთები იმორჩილებდნენ.

არმიას მთავარი როლი ეკისრებოდა რომანოვთა სახელმწიფოს გაფართოებაში. სამხედრო ძალა იყო ერთ-ერთი ძირითადი საყრდენი იმპერიის შენარჩუნებაშიც. ბრიტანეთის იმპერიას უფრო მცირერიცხოვანი ჯარი ჰყავდა ინდოეთში, ვიდრე რუსეთს კავკასიაში. მაგალითად, საქართველოს არა მხოლოდ საგუბერნიო ცენტრებში, არამედ სამაზრო ქალაქებშიც კი რუსეთის არმიის შეიარაღებული ნაწილები იდგნენ და იცავდნენ საოკუპაციო რეჟიმს. ამ ჯარმა არაერთხელ სისხლის კალო დაატრიალა დასავლეთ თუ აღმოსავლეთ საქართველოში. გადაწვა და ნაცარტუტად აქცია კახეთის, ფშავ-ხევსურეთის, რაჭის, იმერეთის, გურიის ათეულობით სოფელი და სხვა დასახლებული პუნქტი. და ეს არა მხოლოდ საქართველოში შემოსვლის პირველ ხანებში, არამედ უფრო გვიანაც, რისი დასტურიცაა სვანური მალალმთიანი

<sup>31</sup> С. Ю. Кравченко, Затекусты. Бремя белого человека.  
[http://www.netslova.ru/kravcenko\\_S/zatekxty.html](http://www.netslova.ru/kravcenko_S/zatekxty.html)



სოფლის ხალდეს ტრაგედია (1876 წ.) და ალიხანოვ-ავარსკის სადამსჯელო ექსპედიცია 1905 წელს.

მეფის რუსეთის ჯარზე საუბარი საქართველოში შეუძლებელია ეგზეკუციების გახსენების გარეშე. ეს იყო დაუმორჩილებელ მოსახლეობასთან ანგარიშსწორების რუსული მეთოდი, რომელიც სამხედრო ნაწილების სოფლებში განლაგებას და ოჯახებში ჯარისკაცთა ჩასახლებას ითვალისწინებდა. დავით ბატონიშვილი გადმოგვცემს: "საცა გავლიდიან რუსნი, ამჭივრებდიან სოფლელთა ცემით, ტაცებით და რთმევეითა, თვინიერ თეთრისა. საცა მივიდიან რუსნი იყო ვაებაი მათი ზედა მით, რამეთუ ჰსცემდიან დედაკაცთა და ართმევედიან პურთა ძალითა".<sup>32</sup> ეგზეკუციებს ჯარისკაცთა თუ ოფიცერთა მხრიდან თან ახლდა ადგილობრივ მცხოვრებთა აბუჩად აგდების, პიროვნული და ოჯახური ღირსების შეურაცხყოფის, ქონების წართმევისა თუ განადგურების აუტანელი პროცესი, რაც შავ ლაქად შემორჩა რუსული კოლონიალიზმის ისტორიას საქართველოში.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართველ თავადაზნაურთა ერთი ნაწილი ჩადგა რუსეთის სამხედრო სამსახურში და მეფის არმიის ოფიცერთა რიგები შეავსო. იმპერიის შეიარაღებულ ძალებში ასეულობით გენერალი და სხვა მაღალი რანგის ქართველი სამხედრო მოითვლება, რომლებიც თავიანთი საბრძოლო მამაცობით განადიდებდნენ სახელმწიფოს ძლიერებას და სახელს უზვეჭდნენ რუსულ იარაღს. უამრავ რიგით ქართველს, სახალხო ლაშქრისა თუ მილიციის რაზმების შემადგენლობაში, მოხალისედ თუ მწყობრის ჯარისკაცთა სახით, რუსების მხარდამხარ, არაერთგზის მიუღია მონაწილეობა ბრძოლებში ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ, ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში, იაპონიისა და პირველი მსოფლიო ომის ფრონტებზე. სისხლი დაუღვრია და თავიც გაუწირავს, მაგრამ, ყოველივეს მიუხედავად, საქართველომ ვერასოდეს დაიმსახურა რუსეთის ჯარის კეთილგანწყობა.

ქართველთა სიძულვილი თითქოს მემკვიდრეობით მიიღო საბჭოთა წითელმა არმიამ. მის რიგებში, ომისა თუ მშვი-

<sup>32</sup> დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია. ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თბ., 1941, გვ. 23.



დობის დროს, ქართველებიც ეწეოდნენ სამხედრო სამსახურს და არცთუ ურიგოდ, მაგრამ ეს არმია, როგორც სსრ კავშირის საყრდენი ძალა, დაუნდობლად ახშობდა ქართველი ერის ყოველ მისწრაფებას თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ (XX საუკუნის 20-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, 1924 წლის აგვისტოს აჯანყება, 1956 წლის 9 მარტი, 1989 წლის 9 აპრილი, 2008 წლის აგვისტო).

ა. არბატოვის სიტყვით, რუსეთი მუდამ სამხედრო-პოლიტიკური იმპერია იყო. იგი კოლონიებს საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მსოფლიო მასშტაბით თავისი პოლიტიკური, სამხედრო ძლიერებისა და როლის გაზრდისათვის იძენდა.<sup>33</sup>

ცხადია, ყოველი ახალი სამფლობელო ამა თუ იმ იმპერიის პოლიტიკურ წონასა და გავლენას ამაღლებდა, ეპოქის საერთაშორისო ურთიერთობებსა და ძალთა განლაგებაში მის ავტორიტეტს განამტკიცებდა, მაგრამ მეტროპოლიებისთვის დაპყრობილი ტერიტორიების არც ეკონომიკური მნიშვნელობა ყოფილა მეორეხარისხოვანი. შემოერთებული მიწა-წყლის ბუნებრივ სიმდიდრეთა ექსპლუატაცია, კოლონიების გადაქცევა იაფი ნედლეულისა და სამუშაო ძალის წყაროდ, ასევე კაპიტალის მომგებიანი დაბანდების ობიექტებად ტიპური იყო ახალი დროის ყველა იმპერიისათვის და მათ შორის არც რუსეთი ყოფილა გამონაკლისი.

როცა კავკასიონის ქედი გადმოლაბა, აღმოსავლეთ საქართველო დაიპყრო, ხოლო შემდეგ ირანსა და ოსმალეთს სამხრეთ კავკასიის ადრე მიტაცებული ტერიტორიები დაათმობინა, რუსეთის იმპერია ამით, უპირველეს ყოვლისა, თავის სამხედრო-სტრატეგიულ ამოცანებს წყვეტდა, რეგიონში მეტოქე მაჰმადიანურ სახელმწიფოებს ავინროებდა და აზიაში შესაღწევად საიმედო პლაცდარმს იქმნიდა. მაგრამ, პარალელურად, პეტერბურგსა თუ მოსკოვში მხარის სამეურნეო-ეკონომიკური და კოლონიური ათვისების პროექტებიც ითხზებოდა და ეტაპობრივად პრაქტიკაშიც ხორციელდებოდა.

<sup>33</sup> <http://www.arbatov.ru/mono1.shtml#13>



დღეს აღარავისთვისაა საკამათო, რომ ცარიზმი ინფრასტრუქტურას პერიფერიებში ძირითადად საკუთარი საჭიროებისათვის ქმნიდა, რომ მეფის მთავრობას რკინიგზა საქართველოში ადგილობრივ მკვიდრთა მომსახურების გაუმჯობესებისა და კომფორტისათვის არ გააჰყავდა და არც ბაქობათუმის ნავთობსადენი აუგია მხარის მოსახლეობის კეთილდღეობისათვის. ერთიცა და მეორეც, უწინარესად, იმპერიის ინტერესებში შედიოდა, მის სტრატეგიულ და ეკონომიკურ მიზნებს ემსახურებოდა. ამასთან, ისიც სათქმელია, რომ კავკასიის რუსულ ადმინისტრაციას გზები გააჰყავდა უკიდურეს შემთხვევაში, როცა ამას წმინდა სამხედრო ან მმართველობის საჭიროება მოითხოვდა და ამ საქმეს არცთუ დიდ თანხებს ახმარდა. ალექსანდრე დიუმა შენიშნავდა: “რუსეთს ომი (კავკასიონის დაპყრობა) დაუჯდა ას მილიონზე მეტი და გზის გაყვანისათვის სამი ათასი ფრანკი ძლივს იქნა გადადებული”.<sup>34</sup> მართალია, როდესაც იმპერია დაიშალა, რუსეთს რკინიგზა თუ ნავთობსადენი თან არ წაუღია (ეს შეუძლებელიც იყო) და ახლა ისინი ქართველებისა და აზერბაიჯანლების საკუთრებაა, მაგრამ ეს მარტივი ლოგიკაა და ასეც უნდა იყოს. სხვაგვარად რომ ყოფილიყო, რა უნდა ექნათ ბრიტანელებს, რომლებმაც ინდოეთში რკინიგზის იმაზე ბევრად მეტი (30 ათასი კმ. სიგრძის) ქსელი გაიყვანეს, ვიდრე საკუთრივ ინგლისში?

იმპერიულ სახელმწიფოთა ტიპოლოგიისას მკვლევარნი, ჩვეულებრივ, ორი სახის იმპერიას განარჩევენ: 1. კონტინენტური (ავსტრია-უნგრეთის, გერმანიის, ოსმალეთის) და 2. ზღვისიქითური (ესპანეთის, პორტუგალიის, ბრიტანეთის, საფრანგეთის). რუსეთს იმპერიათა პირველ ჯგუფს მიაკუთვნებენ, რადგან დაპყრობილი ტერიტორიები უშუალოდ ეკვროდა მეტროპოლიას.

რუსეთის კოლონიური იმპერია, მართლაც, სხვა მსგავსი სახელმწიფოებრივი ერთეულებისაგან ძირეულად განსხვავდებოდა ტერიტორიის მთლიანობითა და კომპაქტურობით. მას არ ჰქონია გეოგრაფიულად დიდად დაშორებული, ზღვე-

<sup>34</sup> ი. მანნკავა, ქართული აზროვნების განვითარება მე-19 საუკუნეში, პარიზი, 1936, გვ. 31.



ბისა და ოკეანეების მიღმა სამფლობელოები (1744 წლიდან რუსეთის კოლონია იყო ალიასკა ("რუსეთის ამერიკა"), რომელიც მეფის მთავრობამ 1867 წელს ამერიკის შტატების კავშირს მიჰყიდა). რუსეთის იმპერიის გეოპოლიტიკური სივრცე მეტროპოლიის მომიჯნავე, მეზობელ ტერიტორიებზე განსახლებული ხალხებისა და ქვეყნებისაგან შედგებოდა, რომლებიც იმპერიის შემადგენლობაში ძირითადად დაპყრობითი გზით მოექცნენ.

ნიკო ნიკოლაძის სიტყვით, "რუსეთის უპირატესობა ის არის, რომ მისი კოლონიები ერთად არის თავმოყრილი. ყველა რუსეთს ესაზღვრება და გეოგრაფიულად ერთი სხეულია".<sup>35</sup>

რუსეთის იმპერიული გაფართოება, მეზობელ ტერიტორიებზე მისი "გადაცოცება" და დაპყრობილი მიწების ერთიან სახელმწიფოს შემადგენლობაში ინკორპორაცია, ექსპანსიის აღმოსავლურ ტიპად მიიჩნევა. ასეთი ტიპისა იყვნენ არაბთა სახალიფო, ოსმალეთის, ავსტრია-უნგრეთის იმპერიები.

საგარეო ექსპანსიის დასავლური მოდელი, როგორც წესი, მეტროპოლიის - ნაციონალური სახელმწიფოსა და კოლონიური სამფლობელოების გამოყოფას გულისხმობს. ამ ნიშნით, რუსეთი კლასიკური სახის მეტროპოლიად ვერ აღიქმება. იგი ეთნიკური თვალსაზრისით არასოდეს ყოფილა ჰომოგენური და ვითარდებოდა როგორც ერთიანი მრავალეროვნული სახელმწიფო.

რუსეთს გააჩნდა მეტროპოლიისათვის ნიშანდობლივი ზოგიერთი მახასიათებელი, მათ შორის: ის იყო იმპერიის პოლიტიკური ცენტრი, სწორედ აქ შემუშავებული კანონები, სახელმწიფოებრივი მმართველობის პრინციპები, ნორმები, მართლმსაჯულების სისტემა და სხვა, ვრცელდებოდა და ინერგებოდა იმპერიის დანარჩენ ნაწილებში. რუსული, როგორც მეტროპოლიის ენა, იქცა იმპერიის სახელმწიფო ენად. რუსეთიდან იგზავნებოდა კადრები დაპყრობილი ხალხების ადმინისტრაციული რგოლების დასაკომპლექტებად, აქ იყრიდა თავს ფისკალური გადასახადები და შემოსავლები. აქე-

<sup>35</sup> ა. ბაქრაძე, ნიკო ნიკოლაძე, თბ., 1989, გვ. 253.

დან ხორციელდებოდა პერიფერიების ეკონომიკური ექსპანსია, კოლონიზაცია და ა.შ. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კოლონიური სამფლობელოების ექსპლუატაციით მიღებული სახსრები არ ყოფილა ცენტრალური ბიუჯეტის მუდმივი საფუძველი, არცთუ იშვიათად ინვესტიციები განაპირა მხარეებში ცენტრიდან მიემართებოდა და სხვ.

ა. კაპპელერი მიიჩნევს, რომ დიფერენცირებული მიდგომა საჭირო რუსეთის იმპერიის განაპირა მხარეებისადმი ტერმინ "კოლონიების" გამოყენების შემთხვევაშიც. თუ აზიური დაპყრობილი ტერიტორიების დიდი ნაწილი (ციმბირი, თურქესტანი,) უდავოდ კოლონიები იყვნენ, ამის თქმა ძნელია რუსეთის ჩრდილო-დასავლეთ პერიფერიებზე - ფინეთზე, პოლონეთსა და ბალტიისპირულ პროვინციებზე, რომლებიც ეკონომიკური და კულტურის თვალსაზრისით გაცილებით მაღლა იდგნენ რუსულ ცენტრზე.<sup>36</sup>

ა. კაპპელერი აქ არაფერს ამბობს სამხრეთ კავკასიისა და საკუთრივ საქართველოს შესახებ, რომლებიც იმპერიის ცენტრზე თავიანთი უუფლებო დაქვემდებარებით (ადგილობრივი ადმინისტრაციის სრული მოშლა-განადგურება, უცხო სასამართლო სისტემის დანერგვა და ა.შ.), მმართველობის სამხედრო-პოლიციური ხასიათით, ეკონომიკური ექსპლუატაციის ხარისხით, მხარის დემოგრაფიული ექსპანსიის, ეროვნული ჩაგვრის, ასიმილაციისა და სხვა ნიშნით კოლონიურ სამფლობელოებს წარმოადგენდნენ.

რუსული ცნობიერებით, მხარე, სადაც ცხოვრობენ რუსები, სადაც ვრცელდება რუსული მართვა-გამგებლობა - უკვე რუსეთია. მნიშვნელობა არა აქვს, ვის ეკუთვნოდა ესა თუ ის მიწა გუშინ, ვინ მკვიდრობდა აქ რუსების მოსვლამდე ან როგორ აღმოჩნდა ეს ტერიტორია მათი იმპერიის ფარგლებში. მთავარია, რომ მათზე რუსთხელმწიფის ფაქტობრივი იურისდიქცია ვრცელდებოდა. ყოველი დაპყრობილი სამფლობელო, იქნება იგი უშუალოდ რუსეთის მეზობლად თუ რამდენადმე დაშორებით, რუსულ მიწად იწოდება და წარმოადგენს

<sup>36</sup> Андреас Каппелер, Мазепинцы, Малороссы, Хохлы: Украинцы в этнической иерархии Российской империи. <http://litopys.narod.ru/vzaimo/vz11.htm>



რუსეთის სახელმწიფოს ნაწილს, მის ერთგვარ "გაფრთხილებას".<sup>37</sup>

ზოგიერთი მკვლევარი იმპერიულ რუსეთთან მიმართებაში დღესაც ერიდება გამოიყენოს ტერმინები დაპყრობა, კოლონიზაცია, რუსიფიკაცია და სხვ. მათი აზრით, ეს ცნებები ძალმომრეობისა და სხვა ხალხების დამორჩილების ნიშნებს შეიცავს, შეუსაბამოა რუსეთის ცივილიზაციისათვის და თითქოს არ ყოფილა დამახასიათებელი რომანოვთა იმპერიისათვის.<sup>38</sup> არაერთ ნაშრომში ხსენებული ტერმინოლოგიის ნაცვლად გვხვდება უფრო ზოგადი შინაარსის სიტყვა "ათვისება," რაც მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს რუსეთის იმპერიის გაფართოების არსს და მოვლენას სრულყოფილად ვერ ხსნის.

რუსეთის იმპერიაზე მსჯელობისას, მრავალი ავტორის ნააზრევში (ა. ეტკინდი, დ. ხოსკინგი, დ. ფურმანი) შეხვდებით ფრაზას: "შეუძლებელია გაარკვიო, სად მთავრდება მეტროპოლია და სად იწყება კოლონიები." უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი შეხედულება ცალმხრივი მსჯელობის ნაყოფია. რუსეთს თავის ცენტრიან-პერიფერიებიანად ერთ მთლიან პოლიტიკურ ერთეულად რუსეთის მკვიდრი ან ცნობიერად რუსი აღიქვამდა. ეს მათ სწამდათ, რომ რუსეთის სახელმწიფოს საზღვარი გადის იქ, სადაც გადის იმპერიის არმიის წინა ხაზი.<sup>39</sup> ყურადღებით ჩავხედოთ, რას წერს ა. პუშკინი თავის ცნობილ ნაწარმოებში "მოგზაურობა არზრუმში." "-აი, არფაჩაი, მითხრა კაზაკმა. არფაჩაი! ჩვენი საზღვარია... უცნაური გრძნობით გავქუსლე მდინარისაკენ. ჯერ არასოდეს მენახა უცხოთა მიწა. საზღვარი ჩემთვის იყო რაღაც იდუმალი. ... თავმომწონედ შევაგელვე ცხენი მდინარეში და გავედი თურქულ ნაპირზე, მაგრამ ეს ნაპირიც უკვე შემოეერთებინა ჩვენს ჯარს: მე ჯერ კიდევ რუსეთში ვიმყოფებოდი".<sup>40</sup>

<sup>37</sup> Кауфман А.А., Переселение и колонизация, СПб., 1905, გვ. 6-7.

<sup>38</sup> <http://russkysam.narod.ru/11-13.htm>

<sup>39</sup> <http://svlourie.narod.ru/metamorphoses/russ-empire.htm>

<sup>40</sup> პ. ბუხრაშვილი, რუსული კოლონიალური ცნობიერება და ამიერკავკასიის ეთნოპოლიტიკური რეალობა, "ამირანი, II, 2000, გვ. 73.



დაპყრობილი ქვეყნების მცხოვრებთათვის ეს ასე არ ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, ქართველმა იცოდა, სად გადადიოდა საქართველოს ისტორიული საზღვარი ანუ სად მთავრდებოდა მისი სამშობლო და სად იწყებოდა სხვისი. ეს საზღვარი ჩრდილოეთით მდინარე თერგი იყო. XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში შემთხვევით არ გაჩენილა ცნება "თერგდალეული." ტერმინი ხომ იმ ადამიანებს აღნიშნავდა, რომლებიც გასცდნენ საკუთარი სამშობლოს ფარგლებს, მისი საზღვარი - თერგი გადაიარეს, რათა უმაღლეს განათლებას საქართველოს მიღმა - რუსეთში დაუფლებოდნენ.

იმპერიის შიდა საზღვრებს მეფის ხელისუფლება საგანგებოდ შლიდა და აუქმებდა. ამით იგი არარუსი ხალხების ისტორიულ მეხსიერებას უტევდა. თუ დაპყრობილ ხალხებს დაავინყებდი, სად ცხოვრობდა მათი წინაპარი და მამა-პაპათა სამკვიდროს მოუშლიდი, მათი ასიმილაცია უფრო გაადვილდებოდა.

ცარიზმის სასიცოცხლო ინტერესს შეადგენდა, იმპერიის ყველა ქვეშევრდომს, განურჩევლად ეროვნებისა, რუსეთი სამშობლოდ ეცნო და ელიარებინა. უცხოტომელთათვის ეს ნიშნავდა, რომ დედა მიეტოვებინათ და ღვიძლად დედინაცვალი მიეღოთ. მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, იმპერიის ხელისუფლება ყოველთვის როდი აღწევდა მიზანს. როცა ვაჟა-ფშაველა წერდა, "სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენც ნურვინ შეგვეცილებათ," ცხადია, კარგად იცოდა, რომ საქართველო, როგორც სახელმწიფო კარგახანია აღარ არსებობდა, მაგრამ ქართველის გულში საქართველოს სამშობლოდ განცდის გრძნობა არ უნდა ჩამკვდარიყო. პოეტი აქეთ-კენ მოუწოდებდა, ამ სულისკვეთებას აღვივებდა.

მას შემდეგ, რაც 1881 წელს ნაროდოვოლცებმა იმპერატორი ალექსანდრე II სიცოცხლეს გამოასალმეს და რუსეთში პოლიტიკური რეაქციის ხანა დაიწყო, სახელწოდება "საქართველო" საერთოდ აიკრძალა. ცენზურა ფხიზლად დარაჯობდა პრესაში ეროვნულობაზე, სამშობლოზე, ქართველთა ეროვნულ სრულფასოვნებაზე მიმთითებელი მასალების,

ფრაზების, სიტყვების გამოყენებასაც კი.<sup>41</sup> აუცილებელი გახდა ეზოპეს ენით სარგებლობა, ალეგორიის, ამბის შორეულ წარსულში გადატანისა და სხვა ხერხების გამოყენება. ქვეყანაში, რომელშიც ითქვა: "როგორც უფალი, სამშობლო, ერთია ქვეყანაზედა", "პატარა," "მცირე" სამშობლოს ცნების გამოყენების აუცილებლობა წარმოიშვა. თუ ვინმე შეედავებოდათ, მიუგებდნენ: "არ უარვყოფთ, რუსეთიც ჩვენი სამშობლოა, ოღონდ დიდი. მცირე სამშობლო კი საქართველოა".

ყოველი დიდი იმპერიისათვის მეტნაკლებად დამახასიათებელი იყო სწრაფვა დაპყრობილი ხალხების ასიმილაციისაკენ. კოლონიური მოსახლეობის მეტროპოლიის ეთნოსთან ენობრივი შერწყმა იმპერიული სახელმწიფოს ერთობისა და სიმტკიცის მნიშვნელოვან პირობად მიიჩნეოდა. ცნობილია მადიარიზაცია, გერმანიზაცია, რუსიფიკაცია და სხვ. ბრიტანეთის იმპერიაც თავის კოლონიებში, ვთქვათ ინდოეთში, აგრცელებდა ინგლისურ ენას, ადგილობრივი მოსახლეობისაგან მოითხოვდა, ესაუბრათ ინგლისურად და სხვ., მაგრამ მას არასოდეს უცდია, ბრიტანელებად, მითუფრო ინგლისელებად ექცია ინდუსები.

რუსული კოლონიალიზმი თავის გამოხატულებას მნიშვნელოვანწილად რუსიფიკაციაში ჰპოვებდა. რუსიფიკაციის ფენომენს, როგორც რომანოვთა იმპერიის კოლონიური პოლიტიკის ნიშანდობლივ თვისებას, ბოლო დროს დასავლურ თუ რუსულ პოლიტიკურ ლიტერატურაში სპეციალური გამოკვლევები მიეძღვნა.

პროფესორი ა. მილერი ჩვენთვის საინტერესო ცნების ორ სახესხვაობას გამოჰყოფს და მათ ამგვარ ინტერპრეტაციას გვთავაზობს: პირველი - ზემოქმედება ინდივიდზე ან ადამიანთა ჯგუფზე მათი რუსიფიკაციის მიზნით; მეორე - ინდივიდის ან ჯგუფის მიერ "რუსობის" ამა თუ იმ თვისების მიღება. ამასთან, მკვლევარი ერიდება რუსიფიკაციის უკიდურეს - მხოლოდ ძალადობრივ ან მხოლოდ ნებაყოფლობით პროცეს-

<sup>41</sup> მ. ტაბიძე, ენობრივი ცენზურა, როგორც ენობრივი პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, "ქართველური მემკვიდრეობა," VIII, ქუთაისი, 2004, გვ. 201.



ზე საუბარს და აღწერს მის ნაირგვარ გამოვლინებას მრავან-  
დასახულობიდან თუ სიტუაციიდან გამომდინარე<sup>42</sup>

ლ. ტიხომიროვი განასხვავებს რუსიფიკაციის "სახელმწი-  
ფოებრივ" და "ნაციონალურ" გაგებას. მისი აზრით, სახელ-  
მწიფოებრივად გარუსება არარუსი ხალხების იმპერიისადმი  
ერთგული სამსახურითა და ამ სამსახურისათვის აუცილებე-  
ლი რუსული ენის ცოდნით შემოიფარგლებოდა. ნაციონალუ-  
რი რუსიფიკაცია კი რუსი ხალხის რწმენასთან შეერთებას,  
რუსული ცნობიერებით გამსჭვალვას და რუსულ ყოფასთან  
თანაზიარობას გულისხმობდა.<sup>43</sup>

ე. ვეინერმანი ცნების ველს კიდევ უფრო აფართოებს და  
მიუთითებს პოლიტიკურ, ენობრივ, რელიგიურ, კულტურულ  
და ეთნიკურ რუსიფიკაციებზე.<sup>44</sup> სხვები რუსად ქცევისა და  
რუსიფიკაციის (обрусение, руссификация) დეფინიციებისათ-  
ვის ლინგვისტურ ძიებებს მიმართავენ და სხვ. მაგრამ, რო-  
გორც არ უნდა განიმარტოს ეს ტერმინები, ჩვენთვის ამ შემ-  
თხვევაში მნიშვნელოვანია თავად მოვლენის არსი, რომელიც  
თვით საბჭოთა ისტორიოგრაფიაშიც კი სწორად იყო გაგებუ-  
ლი. რუსიფიკაცია ადგილობრივი ეროვნული კულტურის  
დათრგუნვას და სანაცვლოდ რუსული ენისა და კულტურის  
იძულებით დანერგვას ეწოდებოდა. იგი აღნიშნავდა სახელ-  
მწიფო პოლიტიკას, მიმართულს იმპერიის არარუსი ხალხე-  
ბის ტოტალური დენაციონალიზაციისა და ასიმილაციისა-  
კენ.

ისტორიკოსი ლ. სემენნიკოვი აღნიშნავს: მართალია, რუ-  
სეთის ახლად შემოერთებულ ტერიტორიებზე ხორციელდე-  
ბოდა "ადაპტაციის გარკვეული პროცესი," მაგრამ იმპერია-  
ში შენარჩუნებული იყო "ლოიალობისა და კულტურული  
პლურალიზმის ატმოსფერო".<sup>45</sup>

<sup>42</sup> А. Миллер, Русификации: классифицировать и понять.

<http://www.saratov.iris.ru/empires/docs/millervev/doc>

<sup>43</sup> Л. Тихомиров, Русское дело и обрусение. <http://revs>

904.chat.ru/book/tohomir/mitrfan/htm

<sup>44</sup> <http://litopys.narod.ru/vzaimo/vz11.htm>

<sup>45</sup> Л. Семенников, Россия в мировом сообществе цивилизации, М., 1998, გვ.  
145, 183.



რუსეთის იმპერიის მასშტაბით ერთიანი რუსიფიკაციური პოლიტიკის არსებობას ზემოხსენებული ა. მილერიც უარყოფს,<sup>46</sup> მაგრამ იმპერიის სხვადასხვა პერიფერიისათვის საერთო პოლიტიკის არარსებობა ამგვარი პოლიტიკის საერთოდ არსებობას როდი გამოორიცხავს.

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი გუბერნიად გამოცხადების დღიდანვე აღმოსავლეთ საქართველოში ქართული ენა გამოიდევნა მართვა-გამგეობის სისტემიდან და მართლმსაჯულების სფეროდან. რუსულმა ადმინისტრაციამ დაიწყო საქართველოში არსებული განათლების კერების - სკოლების დახურვა. პერიოდული პრესა იმ დროს ჯერ კიდევ არ გამოდიოდა. ამდენად, ქართულმა არამარტო სახელმწიფო ენის ფუნქცია დაკარგა, არამედ მისი გამოყენების არეც უკიდურესად შევიწროვდა. დედა ენას საოჯახო ენად ქცევის საფრთხე დაემუქრა.

იგივე განმეორდა იმერეთის სამეფოს დაპყრობისა და სამთავროთა ავტონომიების მოშლის შემდგომ დასავლეთ საქართველოშიც. ასე დაედო სათავე ჩვენს ქვეყანაში რუსიფიკაციის პროცესს, რომელიც ცარიზმის დამხობამდე არ შეწყვეტილა (რუსიფიკაცია ინტენსიურად ხორციელდებოდა სსრ კავშირშიც).

ადგილობრივი მოსახლეობის რუსიფიკაციის გაძლიერების მიზნით ხელისუფლება მიმართავდა მხარის ინტენსიურ კოლონიზაციას - იმპერიის შიდა გუბერნიებიდან რუსი კოლონისტების ჩამოსახლებას, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მათ კომპაქტურად დამკვიდრებას და რუსულენოვანი ანკლავების შექმნას. ამ დემოგრაფიულ ექსპანსიას პარალელურად, რეგიონში მეფის მთავრობის დასაყრდენი ბაზის გაფართოების მიზანიც ჰქონდა. უნდა ითქვას, რომ კოლონიზაციის პროცესმა მეორე ამოცანა უფრო შეასრულა, ვიდრე პირველი. "ვარგისი მიწის ყოველი მტკაველი, რომლებიც მჭიდროდაა დაკავებული გადმოსახლებულებით, წარმოადგენს ამ მხარეში რუსეთის საყრდენს," - აღნიშნულია კავკასიის მეფისნაცვლის ი. ვორონცოვ-დაშკოვის მიერ 1907

<sup>46</sup> А. Миллер, Русификации: классифицировать и понять.  
<http://www.saratov.iris.ru/empires/docs/millervev/doc>



წელს იმპერატორისათვის წარდგენილ მოხსენებით <sup>47</sup> **ზარათ-ში.**

კოლონისტების ჩამოსახლება ვერ გამოდგა ქართველთა გარუსებისათვის ხელშემწყობი მნიშვნელოვანი ფაქტორი. თვით რუს ავტორებს ხაზგასმული აქვთ, რომ რუსული საზოგადოების ასიმილაციური პოტენციალი შედარებით სუსტი იყო.<sup>48</sup> როდესაც ეს ითქმის საზოგადოებაზე, რომელშიც, ცხადია, განათლებულ ადამიანთა სიმრავლეც იგულისხმება, გასაგებია, რა ძალის მქონე იქნებოდა ამ მხრივ უნიგნური რუსი გლეხობა. კოლონისტთა აბსოლუტურ უმრავლესობას კი სწორედ ასეთი კატეგორიის ხალხი შეადგენდა.

რუსიფიკაციური პოლიტიკის მთავარი გამტარებლები იმპერიაში სახელმწიფო ინსტიტუციები იყვნენ, კერძოდ: სკოლა, არმია და ეკლესია.

სკოლისა და განათლების რუსული სისტემის ირგვლივ ნაშრომის ამ ნაწილში კიდევ გვექნება საუბარი, ამიტომ აქ მოკლედ ვიტყვი:

ეკლესია თვითმპყრობელობის კოლონიური პოლიტიკის, სახელდობრ, რუსიფიკაციის მნიშვნელოვანი იარაღი იყო. საქართველოში გამოგზავნილ რუს სამღვდელეობებს - ეგზარქოსებს, სასულიერო სემინარიათა მესვეურებსა და სხვ. ისევე ევალეზოდან იმპერიის მიზანდასახულობათა განხორციელებაზე ზრუნვა, როგორც სამხედრო და სამოქალაქო მოხელეებს. მართალია, საქართველო მართლმადიდებელი ქვეყანა იყო და ქართველი ხალხის აღმსარებლობა თანხვედრით იმპერიის გაბატონებულ რელიგიას, მაგრამ ქართულ და რუსულ ეკლესიათა წესგანგებაში უამრავი სხვაობა არსებობდა. მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდრე პირველის ცნობილი მანიფესტი საქართველოს ეკლესიის შეუვალეობასა და ხელშეუხებლობას აღიარებდა, რუსეთის საიმპერიო ხელისუფ-

<sup>47</sup> დ. ჭუმბურიძე, რუსული დასახლებები საქართველოში (XIX-XX სს.) და "გადასახლებულთა სამმართველოს ამიერკავკასიის განყოფილება," საქართველოში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ნარკვევები, წიგნ. 1, თბ., 2007, გვ. 90.

<sup>48</sup> А. Миллер, Русификации: классифицировать и понять.  
<http://www.saratov.iris.ru/empires/docs/millerner/doc>



ლებამ 1811 წელს ივერიის ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა და მისი რუსულ ყაიდაზე გარდაქმნა დაიწყო.<sup>49</sup>

ღვთისმსახურების რუსულ ტიპიკონზე გადაყვანა თუ ქართულ ტაძრებში სლავეური საგალობლების დამკვიდრების ცდები რუსიფიკაციის ისეთივე ღონისძიებები იყო, როგორც მმართველობისა და მართლმსაჯულების სისტემიდან მშობლიური ენის გამოდევნა, ქართული გვარების რუსული დაბოლოებებით შეცვლა და სხვ.

რუსეთში მართლმადიდებლობა არცთუ იშვიათად რუსობასთან იყო გაიგივებული და იმპერიის არარუსი მართლმადიდებელი ეთნოსები სხვებზე მეტ ზეწოლას განიცდიდნენ რუსიფიკაციის მიზნით.<sup>50</sup>

“რად ცდილობთ ჩვენს გარუსებას? ეს ხომ არასოდეს მოხდება: ხალხი, რომელსაც თავის ენაზე მეოთხე-მეხუთე საუკუნეებიდან აქვს ბიბლია, მდიდარი საეკლესიო-საღვთისმეტყველო და საერო ლიტერატურა და უაღრესად განვითარებული ენა, განა შეიძლება გარუსდეს?” - მიმართავდა იმ ხანად ახალგაზრდა მღვდელმსახური, შემდგომში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე საქართველოს ეგზარქოს ნიკონს.<sup>51</sup>

თავის საქმიანობაში მართლმადიდებელი მისიონერები (ოსეთის სასულიერო კომისია, კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება) უწმინდესი სინოდის ინსტრუქციების გარდა იმპერატორთა განკარგულებებითა და მთავრობის დადგენილებებით ხელმძღვანელობდნენ. წარმართთა, მუსულმანთა თუ ბუდისტთა მართლმადიდებლურ რჯულზე გადმოყვანა მათი გარუსების მიზანს ემსახურებოდა. სამისიონერო მოღვაწეობის შედეგად რუსეთის ეკლესიის მრევლი რამდენჯერმე გაიზარდა. თუ პეტრე I-ის დროს იმპერიაში 15

<sup>49</sup> ხ. ქოქრაშვილი, რუსეთის რელიგიური პოლიტიკის ისტორიიდან საქართველოში (XIX ს-ის I ნახევარი, საქართველოში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ნარკვევები, წიგნ. 1, თბ., 2007, გვ. 129.

<sup>50</sup> Андреас Каппелер, Мазепинцы, Малороссы, Хохлы: Украинцы в этнической иерархии Российской империи. <http://litopys.narod.ru/vzaimo/vz11.htm>

<sup>51</sup> უწმინდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე, ჩემი მოგონებებიდან, თბ., 2001, გვ. 131.



მილიონი მართლმადიდებელი ცხოვრობდა, 1915 წლისათვის ამ რიცხვმა 115 მილიონი შეადგინა.<sup>52</sup>

რაც შეეხება არმიას, როგორც რუსიფიკაციის აგენტს, ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ქართული არისტოკრატიული ნოდება - თავადაზნაურობა, რომელიც საქართველოში რუსული მმართველობის დამყარების შემდგომ ფაქტობრივად უფუნქციოდ დარჩა, არ გაურბოდა იმპერიის სამხედრო სამსახურს და ქართულ ჩოხაზე ეპოლეტები თუ პაგონებიც მშვენივრად მოირგო. არმიაში სამსახური, მით უფრო სამეთაურო თანამდებობებზე ყოფნა, შესაბამის სამხედრო განათლებას მოითხოვდა. ასეთი სანავლებლები კი კადეტთა, პაჟთა თუ სხვ. კორპუსები და სამხედრო გიმნაზიები იყო, რომლებშიც სწავლა ყმანვილობის ასაკიდან იწყებოდა. მეფის ხელისუფლებამ ამ სასწავლებელთა კარი ფართოდ გაუღო დაპყრობილი ხალხების ზედა ფენას. დავით კლდიაშვილი, რომელსაც სწორედ ასეთი სკოლა ჰქონდა გავლილი, გადმოგვცემს: "ყოველ წლობით მთავრობას მიჰყავდა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებიდან თავადაზნაურთა ორმოც-ორმოცი ბავშვი სამხედრო სასწავლებლებში, კორპუსებში. მიჰყავდა ისინი იმ მიზნით, რომ გაერუსებინათ და კიდევაც მიზანს აღწევდა ხოლმე, რადგან რუსეთში, სამშობლოს მოწყვეტილი ბავშვი ივინყებდა ქართულ ენას, ზნეს და ბრუნდებოდა ქართული გვარით, მაგრამ ერთიანად, თავიდან-ფეხებამდე გარუსებული".<sup>53</sup>

ამასთან, თუ ომი არ წარმოებდა, ქართველი ოფიცრები, როგორც წესი, სამსახურს საქართველოს ფარგლებს გარეთ დისლოცირებულ ნაწილებში გადიოდნენ. ხანგრძლივად მშობლიური გარემოსაგან დაშორება, რუსულ ან რუსულენოვან საზოგადოებაში ტრიალი, არცთუ იშვიათად რუს ასულებზე დაქორწინება და სხვ. ახალგაზრდა ქართველ სამხედროებს გაუცხოებისა და ეროვნული იდენტობის შეცვლისაკენ უბიძგებდა.

<sup>52</sup> Сторчак В. М. Мессианство как социокультурный и идеологический феномен России, автореферат диссертации на соискание ученой степени доктора философских наук, М., 2007, гл. 7.

<sup>53</sup> დ. კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათუმი, 1984, გვ. 12.



ქართველებს არ ჩვეოდათ ფიცის გატეხა. რაკი სამხედრო სამსახურში შესვლისას მეფის ერთგულებაზე ფიცს მიიღებდნენ, მას განუხრელად იცავდნენ და ასრულებდნენ. სამხედრო ფიცის ერთგულება იმპერიისადმი არა მხოლოდ ლოიალობას, არამედ თავდადებასაც გულისხმობდა. ეს გარემოება დამატებით ფაქტორს ქმნიდა ცნობიერად რუსობისათვის.

ქართული დაბალი წოდებისათვის რუსის ჯარი, საქართველოში მისი ქცევიდან გამომდინარე, დიდხანს საფრთხობელად რჩებოდა. გლეხებს, ხელოსნებსა და სხვ. შიშის ზარს სცემდა ყოველი ცნობა სალდათად განწვევის თაობაზე. ამ ნიადაგზე ჩვენში არაერთი და ორი მლელვარებაა ცნობილი. ჯარში გამწესება კარგა ხანს სასჯელის ფორმას წარმოადგენდა.

რუსეთის არმია წოდებრივ პრინციპზე იყო აგებული. მეტაურთა შემადგენლობა მხოლოდ თავადაზნაურობისაგან კომპლექტდებოდა, ჯარისკაცობა კი უმთავრესად მეტროპოლიის ყმური მოსახლეობის მოვალეობა იყო. მშვიდობიანობის დროს იმპერიის მთავრობა ერიდებოდა ქართველი გლეხობის რეკრუტში გაყვანას. სამხედრო რეფორმამ სამხედრო ბეგარა იმპერიის მთელი მამაკაცი მოსახლეობისათვის სავალდებულო გახადა. ეს წესი საქართველოში XIX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან ამოქმედდა. ამიერიდან ჯარისკაცის ფარაჯა ქართველ გლეხსა და მუშასაც უნდა მოერგო, მაგრამ რეფორმის შემდგომ არმიაში სამსახურის ვადა საგრძობლად შემცირდა. დროის ეს მონაკვეთი კი გარუსების საფრთხეს ნაკლებად შეიცავდა. ამდენად, საქართველოს მცხოვრებთა აბსოლუტური უმრავლესობის, - მშრომელი მოსახლეობის არმიის მეშვეობით ეროვნული გადაგვარება შეუძლებელი აღმოჩნდა.

რუსიფიკატორული პოლიტიკის მიზანი იმპერიის არარუსი მოსახლეობის დამორჩილება, იმპერიული რეჟიმისადმი ლოიალობისა და რუსთხელმწიფისადმი ერთგულქვემდებარდომული სულისკვეთების მიღწევა-დამკვიდრება იყო. რუსიფიკაცია უცხოტომელთა ეთნიკურად რუსად ქცევაზე მეტად არარუსთა მიერ იმპერიის ფასეულობებისა და ნორმების მიღება-გათავისებას, იმპერიის პრინციპებისა და ცხოვრების დადგენილი წესისადმი შეგუებას, მენტალურად რუ-



სობას, "რუსულად ფიქრს, ლაპარაკსა და აზროვნებას" გულისხმობდა.

იმპერიის ხელისუფლება სხვადასხვა საშუალების გამოყენებით კოლონიურ სამფლობელოებში ქმნიდა იმგვარ გარემოს, რომელშიც მოქცეული ადამიანი დიმიტრი ყიფიანით იტყოდა: "მე რუსი ვარ ჩემის სამსახურით, ლუკმა-პურით, რომელსაც ვჭამ და ჩემის აზრის მიმართულებით. მე ქართველი ვარ გვარ-ტომობითა და მოძმეთა ენით."

ასეთი განწყობა დამახასიათებელი იყო ქართული მაღალი სოციალური წრის ბევრი წარმომადგენლისათვის, რასაც მკაფიოდ წარმოაჩენს აკაკი წერეთელიც. პოემაში "ვორონცოვი" ავტორი დიმიტრი ყიფიანს ათქმევინებს: "რომ ეროვნული შეგვრჩეს ელ-ფერი და რუსი ვიყოთ პოლიტიკურად, აი, რა გვინდა... სხვა არაფერი". საბედნიეროდ, იმავე პერიოდის საქართველოში იყო სხვა, ჯანსაღი აზრი და შეხედულება, რომელსაც სერგი მესხი ასე გამოთქვამდა: "ჩვენ გვინდა ცოცხალ-ვიყოთ ჩვენის ენით, ჩვენის ხასიათით, ჩვენის ჩვეულებით, ჩვენის ქვეყნით. ერთი სიტყვით, ჩვენ გვინდა, რომ ვიყოთ ჩვენის ნაციონალურის, განსაკუთრებულის თვისებითა".<sup>54</sup> ილია ჭავჭავაძე კი გარუსებისაკენ მიდრეკილ მედროვეებს აფრთხილებდა: "დრო გამოიცვლება, დრო მოვა, როცა თავისის ვინაობიდან გადამდგარი კაცი ყველასაგან შერისხული იქნება, როგორც უღირსი, თითონ იმათგანაც კი, ვინც ეხლა სიხარულით ამისთანა კაცს შეიკედლებს ხოლმე და ულოლოებს".<sup>55</sup>

რუსეთის ერთგული სამსახური და ქართული ვინაობის შენახვა – ამ ორი ძირეულად განსხვავებული და შეუთავსებელი ცნების შეთავსება უხდებოდა დაპყრობილ საქართველოს. "ჩვენობა და უცხოობა თუმცა ერთმანეთს იშვინენდნენ, მაგრამ გულში-კი ერთმანეთთან ვერ ჰრიგდებოდნენო," წერდა ამასთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძე.<sup>56</sup> "თავადაზნაუ-

<sup>54</sup> ს. მესხი, ახალი წელიწადი, გაზ. "დროება," 1879 წ., №1.  
<sup>55</sup> ი. ჭავჭავაძე, შინაური მიმოხილვა, თხზ. სრული კრებული ოც ტომად, ტ. VI, თბ., 1997, გვ. 533.  
<sup>56</sup> ი. ჭავჭავაძე, წერილები ქართულ ლიტერატურაზე, რჩ. ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. III, თბ., 1986, გვ. 184.



რობა იძულებული იყო შეურიგებელი შეერიგებია, ქართულ ეროვნულ ინტერესსა და რუსულ მონარქიას შორის შემათავსებელი ხაზი მოენახა. ეს იყო გაორება. თუ ეროვნული შეგნება ქართველთა სული და გული იყო, რუსეთის ერთგულება იძულებით აუცილებლობას წარმოადგენდა," აღნიშნავდა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის მკვლევარი ისიდორე მანწკავა.<sup>57</sup>

რუსეთში მონარქისა და იმპერიისადმი პოლიტიკურ ლოიალობას, ასევე ნოდებრივ კუთვნილებას უფრო არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე ეთნიკური ან კონფესიონალური ჯგუფის წევრობას.<sup>58</sup> ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს რუსეთის იმპერიული ელიტის გახსნილობა. თუ მეტროპოლიის დიდგვაროვანთა ერთობლიობაში შეღწევა თითქმის შეუძლებელი იყო, საიმპერიო არისტოკრატიაში ადგილის დაკავება დიდად არ ჭირდა. მეტიც, მეფის ხელისუფლება ამ პროცესს კიდევაც ახალისებდა. XVI საუკუნიდან მოყოლებული, არარუსული ელიტის იმპერიის უმაღლეს წრეებში კოოპტაცია რუსეთის იმპერიის მთლიანობის ძირითად პრინციპად იყო მიჩნეული.<sup>59</sup>

თუ დაპყრობილ ხალხს გააჩნდა რუსული თავადაზნაურობის მოდელის შესაბამისი, ყმა-მამულის მფლობელი, თვითმყოფადი, მაღალი კულტურის მქონე ზედაფენა, რომელიც ლოიალობას გამოუცხადებდა რუსთხელმწიფესა და მმართველ დინასტიას, მას სტატუსით სატიტულო ერის თავადაზნაურობას უთანაბრებდნენ. ამ ფენის წარმომადგენლებს გზა ეხსნებოდათ უმაღლესი იერარქიისაკენ.

რუსეთის სახელმწიფოს გაფართოების კვალდაკვალ, იმპერიის თავადაზნაურობას ჯერ ვოლგის თათართა მუსულმანური ელიტა შეემატა, XVIII საუკუნეში იგი ბალტიისპირელი გერმანელი აზნაურობითა და პოლონური შლიახტით შეივსო, მომდევნო პერიოდში კი ფინურ-შვედური, რუმინულ-

<sup>57</sup> ი. მანწკავა, ქართული აზროვნების განვითარება მე-19 საუკუნეში, პარიზი, 1936, გვ. 75.

<sup>58</sup> Андреас Каппелер, Мазепинцы, Малороссы, Хохлы: Украинцы в этнической иерархии Российской империи. <http://litopys.narod.ru/vzaimo/vz11.htm>

<sup>59</sup> იქვე.



ბესარაბიული და ქართველი თავადაზნაურობის, ასევე, გარკვეული შეზღუდვით, ყირიმის, სამხრეთ კავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთი ეთნოსის მუსულმანური არისტოკრატიის ხარჯზე გაიზარდა.

რომანოვთა იმპერია არ ყოფილა აგებული რასობრივი უპირატესობის პრინციპზე. თუ ინდიელთა ტომის ბელადი ან აფრიკული რომელიმე კლანის ლიდერი სრულიად უუფლებო იყო თეთრკანიან ევროპელ გადასახლებულთან შედარებით, კავკასიელ თავადს ან შუააზიელ ბაის რუსეთის იმპერიის სოციალურ იერარქიაში გაცილებით მაღალი ადგილი ეკავათ, ვიდრე რუს გლეხსა თუ მეშჩანინს. თუ ინგლისელები ერიდებოდნენ და გაურბოდნენ დაპყრობილი ინდოეთის მოსახლეობასთან შერეულ ქორწინებებს, რუსეთის ხელისუფლება ამ პროცესს, მაგალითად საქართველოში, ერთგვარად კიდევაც ახალისებდა.

რუსეთის იმპერიულ ელიტაში შედარებით იოლად გაიკავა გზა ქართველმა წარჩინებულმა წოდებამ. ახლად დაპყრობილი ქვეყნის არისტოკრატიის მიმხრობა-გადაბირება ცარიზმის ინტერესებშიც შედიოდა, რათა იგი რეგიონში თავის სოციალ-პოლიტიკურ დასაყრდენად გაეხადა. ამ მიზანს ემსახურებოდა ქართველი თავადაზნაურობის რანგით რუს მემამულე-პომეშჩიკებთან გათანაბრება და მათთვის წოდებრივი უპირატესობის შენარჩუნება, აგრეთვე, სათავადაზნაურო დეპუტატთა საკრებულოების შექმნა 1803 წელს თბილისის, ხოლო 1851 წელს ქუთაისის გუბერნიაში და სხვ.

ქართველ დიდებულთა ნაწილი უმტკივნეულოდ ჩადგა იმპერიის სამსახურში, დავით ბატონიშვილის სიტყვით თუ ვიტყვით, "მიერთვნენ რუსთა." თავადაზნაურობის უფრო დიდი ნაწილი რუსეთის კოლონიურ რეჟიმს იარაღით დაუპირისპირდა, აჯანყება-შეთქმულებებით ქვეყნის განთავისუფლება სცადა, მაგრამ უშედეგოდ. 1832 წლის შეთქმულების ჩავარდნის შემდეგ ამ ნაწილის ფრონდისტული მიდრეკილებანიც მინელდა და ოპოზიციური განწყობილებაც ძირითადად ჩაქრა. მოსახლეობის ზედაფენის უმრავლესობამ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და კონფორმიზმის გზას დაადგა.

მკვლევარნი ამ რეალობის ასახსნელად, ფეოდალური არისტოკრატიისათვის მეტნაკლებად დამახასიათებელი კო-



ლაბორაციონიზმის გარდა, ფსიქოლოგიურ ფაქტორზეც მიუთითებენ. საინტერესოდ გვეჩვენება ქართველი ფილოსოფოსის ა. ჯოხაძის დაკვირვება. იგი წერს: ქართლ-კახეთის ევროპულ ყაიდაზე რეფორმატორ სამეფო კართან დაპირისპირებული თავადაზნაურობა შინაგანად გაორებული იყო. მას "ევროპაში დაბრუნებაც" უნდოდა და "აზიაში დარჩენაც." "რუსეთის ევრაზიული იმპერია კი სწორედ ამ წინააღმდეგობრივი მისწრაფების შესატყვის სახელმწიფო სისტემას განასახიერებდა. რუსი ჩინოვნიკის და ჯარისკაცის მუნდირმა ქართულ ზეპურ საზოგადოებას ქრისტიანული დასავლეთის ნაირსახეობის ილუზია შეუქმნა და მისი "ევროპელობის" ამბიცია დააკმაყოფილა, სინამდვილეში კი ამ მუნდირის მიღმა... დასავლეთის სრული ანტიპოდი იმალებოდა".<sup>60</sup>

სავსებით მართალი იყო ვახტანგ კოტეტიშვილი, როდესაც წერდა: XIX საუკუნეში ჩვენი "გაევროპიელება გარუსებას უფრო ჰგავდა, რაც უარესიაო".<sup>61</sup>

როგორც აღინიშნა, ეროვნული წარმომავლობა რუსეთის იმპერიაში არ ყოფილა ხელისშემშლელი გარემოება თვით ყველაზე მაღალი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად. ნიკოლოზ I-ს ეკუთვნის ფრაზა: "არ არსებობს კარგი რუსი და ცუდი გერმანელი. არიან კარგი და ცუდი ქვეშევრდომები." თვითმპყრობელობის აღსასრულამდე რომანოვთა იმპერიაში პიროვნების პოლიტიკური ლოიალობა და მაღალი სოციალური სტატუსი, რუსულენოვნების საფუძველზე, ნებისმიერი კარიერის უმთავრეს წინაპირობად რჩებოდა. ამით აიხსნება, რომ რუსეთის მინისტრებს შორის მუდმივად იყვნენ გერმანელები, თათრები, სომხები. პოლონელებს, ქართველებს, ფინელებს მაღალი თანამდებობანი ეკავათ სამხედრო იერარქიაში, სარდლობდნენ იმპერიის არმიებს, მეთაურობდნენ არმიების შტაბებსა თუ კორპუსებს. არაერთი კოლონიური ხალხის წარმომადგენელი შედიოდა რუსეთის სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობაში და სხვ.

<sup>60</sup> ა. ჯოხაძე, მსგავსი იზიდავს მსგავსს, გაზ. "24 საათი", 2006 წ., 12 აპრილი.

<sup>61</sup> ვ. კოტეტიშვილი, აზიისაკენ, წიგნში — ევროპა თუ აზია? თბ., 1997, გვ. 200.



ქართული არისტოკრატის ერთი ნაწილის საიმპერატორო ხელისუფლებასთან დაახლოებას და თავადაზნაურობის ბევრი წარმომადგენლის წარმატებულ ინტეგრაციას რუსეთის საზოგადოების უმაღლეს წრეებთან ოდნავადაც არ გაუზრდია მეფის მთავრობის კეთილგანწყობა საქართველოსადმი. ამით არ გაზრდილა არც ქართველი ხალხის პოლიტიკური ლობიალობა რუსთხელმწიფისა თუ მმართველი დინასტიისადმი.

ქართველი ერი ავი დედინაცვლის გერის მდგომარეობაში რჩებოდა. სამსონ ფირცხალავას სიტყვით, რუსეთის იმპერიაში არარუსი ერების არსებობა “უკანონობად და დანაშაულად იყო მიჩნეული. “ინოროდცებს” ითმენდნენ, მხოლოდ ითმენდნენ იმის მოლოდინში, რომ ისინი ყველანი მალე გარუსდებოდნენ.”

დაპყრობილ ხალხთაგან ბევრი ეწინააღმდეგებოდა ეროვნული მეობის შეცვლას, იბრძოდა და რითაც შეეძლო, იცავდა საკუთარ ვინაობას. როგორც განდის არ უნდოდა ინგლისელობა და შამილს რუსობა, ასევე ქართველი ხალხის უდიდესი უმრავლესობისთვის მიუღებელი იყო რუსად ქცევა. მისთვის არათუ გარუსება, რუსულ ტანსაცმელში გამონყობაც კი საჩოთირო იყო. “ქართველის ტალავრის იერი სრულად სხვაა. რუსულჩი ქართველ კაც მეუცხოების” – ამბობს ილია ჭავჭავაძის “მგზავრის წერილების” გმირი მოხვევლელთ ღუნია.

ნიკო ნიკოლაძის სიტყვით: “ყველა ხალხს თავისი განსაკუთრებული ხასიათი და ზნე აქვს... რუსს ვერავინ გაანემცებს, ქართველს ვერაკაცი გაარუსებს, შესაძლებელია ქართველს ჩოხის მაგიერ ზიპუნე ჩააცვა, ბოხოხის მაგიერ შაპკა დაახურო, ქალამნის მაგიერ - ნალა მისცე, მაგრამ ხასიათი და ზნე, სისხლი და ბუნება კი მაინც ქართველის დარჩება”.<sup>62</sup>

გარუსება ეროვნული ფესვებისაგან მონყვეტას, ქართული იდენტობის დაკარგვას, სხვად ქცევას ნიშნავდა. ამ სხვად ქცევის შიში რომ ჰქონდა საქართველოს, ამიტომაც დაეძებდნენ მისი მეფეები დამხმარე ძალას ევროპასა თუ რუსეთში მხსნელის, მფარველისა და მოკავშირის სახით.

<sup>62</sup> ა. ბაქრაძე, ნიკო ნიკოლაძე, თბ., 1989, გვ. 76-77.



თუ XVI-XVIII საუკუნეებში ქართველთა გადაგვარების საქმეში შიშროებას "ოსმალობა" და "ყიზილბაშობა" ქმნიდა და ჩვენი წინაპარნი ირაზმებოდნენ დევიზით "ნუ გათათრდები," XIX საუკუნიდან ქართველ ხალხს რუსიფიკაციის რეალური საფრთხე დაემუქრა. შემოტევა ყოვლისმომცველი, მასშტაბური და ინტენსიური იყო, მაგრამ ძლიერმა გენმა, ძირძველმა თვითმყოფადმა კულტურამ, ეროვნული ტრადიციების სიმტკიცემ, მართლმადიდებლურ რწმენაში ურყეობამ და მონინავე საზოგადოების თავგანწირულმა ბრძოლამ ქართველი ერი ამ განსაცდელისაგან გადაარჩინა. მისმა დიდმა და საუკეთესო ნაწილმა მტკიცე ეროვნული თვითშეგნება, შეურყვნილი სულიერება და ტრადიციული იერსახე შეინარჩუნა.

ყოველი იმპერია თავის ზრდა-განვითარებაში მინიმუმ სამ ძირითად ეტაპს გადის. ეს ეტაპებია: 1. ანექსია, 2. კოლონიზაცია, 3. ინტეგრაცია. რუსეთის იმპერიის მიერ სხვა ხალხების ანექსიასა და კოლონიზაციაზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. რაც შეეხება დაპყრობილი ხალხების იმპერიაში ინტეგრაციას, იგი ყველაზე ხანგრძლივი და რთული პროცესია, - ძნელად მისაღწევი, მაგრამ აუცილებელი ამოცანაა. იმპერიულ სახელმწიფოთა გამძლეობა და სიცოცხლისუნარიანობა დიდწილად ინტეგრაციის ხარისხზეა დამოკიდებული. იმპერიის ხელისუფლება, ჩვეულებრივ, დაპყრობილი ხალხების გაერთიანებისათვის ძალმომრეობა-კომპრომისების გარდა სატიტულო ერის ენას, მეტროპოლიის კულტურის ზეგავლენას, იდეოლოგიასა და სხვა საშუალებებს იყენებს.

რა მდგომარეობა იყო ამ მხრივ რუსეთის იმპერიაში?

მიუხედავად დიდი პოტენციისა, რომელიც განსაკუთრებით XIX საუკუნეში გამოვლინდა, რუსეთის კულტურას არ შეეძლო უზრუნველყო იმპერიის ცივილიზაციურად არაერთგვაროვანი და განსხვავებული მოსახლეობის ინტეგრირება ერთი საერთო კულტურის ნიადაგზე.

რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ, იმის მიუხედავად, რომ მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიას წარმოადგენდა, ვერ მოახერხა სხვადასხვა კონფესიის - ქრისტიანული, მუსულმანური, ბუდისტური აღმსარებლობის ხალხებისა თუ წარმართი ტომების გაერთიანება ერთიან რელიგიურ საფუძველზე.



სახელმწიფოს კოლოსალური ძალისხმევის მიუხედავად, რუსული ენა დარჩა მხოლოდ იმპერიის მოსახლეობის ერთმანეთთან დაკავშირების საშუალებად და იგი ვერ იქცა რუსი და არარუსი ხალხების შემაკავშირებელ დულაბად. არც საქმის წარმოებისა და სასამართლო სისტემის უნიფიკაცია, არც ერთიანი სამართლებრივი და ეკონომიკური სივრცე გამხდარა რუსეთის იმპერიის სტაბილურობისა და სიმტკიცის განმსაზღვრელი ფაქტორი.

მაშ, რას ეფუძნებოდა რომანოვთა იმპერიის - დედამიწის ერთ მეექვსედზე გადაჭიმული, სოციოკულტურული თვალსაზრისით მოზაიკური, სრულიად განსხვავებული სულიერი ღირებულებების, სოციალური წყობის, კულტურის, ტრადიციისა და ცხოვრების წესის მქონე ადამიანთა ესოდენ მასშტაბური კონგლომერატის ერთობა?

რუსეთის კოლონიური იმპერიის მონოლითურობას ძირითადად სახელმწიფოს უნიტარული ხასიათი, დესპოტიზმი, მკაცრი ცენტრალიზაცია და სამხედრო ძალა განაპირობებდა. პირველი მსოფლიო ომის დროს, როგორც კი ეს მთავარი ბურჟუები დასუსტდა, იმპერიის მთლიანობასაც ბზარი გაუჩნდა. ცარიზმის დამხობამ ბზარი ნაპრაღად გადააქცია და 1917-1918 წლებში რუსეთის იმპერია დაიშალა. დაპყრობილი ხალხები განთავისუფლდნენ. არაერთმა მათგანმა, მათ შორის საქართველომ, საკუთარი სუვერენობა აღიდგინა და დამოუკიდებელი ცხოვრების მშენებლობას შეუდგა.

ამრიგად, კოლონიალიზმის, მათ შორის რუსული კოლონიალიზმის უზოგადესი ნიშნები შეიძლება ექსპანსიით, დაპყრობილ ხალხებზე სამხედრო-პოლიციური ზენოლით, ასიმილაციის მცდელობით, ეროვნული ჩაგვრითა და ეკონომიკური ექსპლუატაციით შემოვფარგლოთ. ამასთან, ბევრი თანამედროვე მკვლევარი იმპერიების, მათ რიცხვში რომანოვთა იმპერიის დახასიათებისას, რამდენიმე საერთო მარკერს გამოყოფს. კერძოდ: 1. იმპერია არასოდეს ღალატობს თავის მოკავშირეს; 2. იმპერია მშვიდობაა; 3. იმპერია ხიბლია (მიზიდულობაა); 4. მეტროპოლიები კოლონიების მიმართ ცივილიზატორის როლში გვევლინებიან ("თეთრი ადამიანის ტვირთი") და 5. იმპერიაში მოქცევას კოლონიური ხალხებისათვის აქვს პროგრესული მნიშვნელობა.



ქვემოთ თითოეულ ამ დებულებას ცალ-ცალკე განვიხილავთ და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მაგალითურ ვაჩვენებთ, რამდენად შეესაბამებიან ისინი რეალობას. ამ საკითხების კვლევისას კიდევ უფრო სრულად გაშუქდება რუსული კოლონიალიზმის ფენომენი, ხაზგასმით წარმოჩნდება რუსეთის იმპერიის კოლონიური პოლიტიკის ბუნება და ხასიათი.

*“იმპერია არასოდეს ღალატობს თავის მოკავშირეს”*. რუსეთის იმპერიული მზერა კავკასიონის მაღალ ქედს XV საუკუნის ბოლო მეოთხედში გადმოველო. პირველი სამხრეთ-კავკასიური ქვეყანა, რომელთანაც რუსეთმა ურთიერთობა დაამყარა, კახეთის სამეფო იყო. ირანისა თუ დაღესტნის აგრესიისაგან შენუხებული კახეთი ამ დროს დამხმარესა და მოკავშირეს დაეძებდა. მოკავშირის ხელი ქრისტიანულ კახეთს აღმავლობის გზაზე მდგომმა რუსეთის ერთმორწმუნე სახელმწიფომ გამოუწოდა.

ნიკო ბერძენიშვილის სიტყვით, ისტორიულმა ვითარებამ “სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ წამოსული მოსკოვის რუსეთისა და მტრული გარემოცვით შევიწროებული კახეთის რეალური საგარეო პოლიტიკური ინტერესები ერთი-მეორეს შეუთანხმა”.<sup>63</sup>

ელჩობათა არაერთგზის გაცვლის შემდგომ, 1587-1589 წლებში რუსეთსა და კახეთს შორის პოლიტიკური კავშირი გაფორმდა. კახეთის სამეფო რუსეთის მფარველობაში შევიდა. კახეთის მეფე ალექსანდრე II-მ (1574-1605 წ.წ.) ხელი მოაწერა ცნობილ “ფიცის წიგნს” და რუსთხელმწიფისგან “წყალობის სიგელი” მიიღო. ამ უკანასკნელ დოკუმენტში აღნიშნული იყო, რომ რუსეთი კახეთს მტრებისაგან საიმედოდ დაცავდა: „И мы грамоту твою прняли велели есмя и ее выслушали милостиво и тебя, Александра князя, и твою землю Иверскую по твоему челобитью под свою царскую руку прняли есмя и держати тебя и твою землю в своем царскою

<sup>63</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, V, თბ., 1971, გვ. 236.



рукою хотим и оберегати тебя и твою землю ото всяких твоих недругов".<sup>64</sup>

მიუხედავად მტკიცე დაპირებისა, კახეთის სამეფომ რუსეთისგან რეალური სამხედრო და პოლიტიკური მხარდაჭერა ვერ მიიღო.

მოსკოვის სამეფო კარზე კახეთიდან წარგზავნილი არაერთი ელჩობა ამაოდ ითხოვდა ჯარის ნაწილებით დახმარებას. რუსეთს საქართველოში სამხედრო ძალა აღარ გამოუგზავნია. არადა, რუსის ჯარის თანადგომას აქაურ ხელისუფალთათვის სამხედრო დანიშნულების გარდა დიდი ფსიქოლოგიური მნიშვნელობაც ჰქონდა. მაგალითად, 1604 წელს, კახეთში მყოფმა რუსმა ელჩებმა ბატონიშვილ გიორგი ალექსანდრესძეს 40 კაციანი მცველთა რაზმი მიაშველეს. რუსთა ამ მცირერიცხოვან შენაერთს კახელები თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ. ან რა განსაკუთრებული ძალა უნდა ყოფილიყო მებრძოლთა ორი ოცეული, მაგრამ იგი მაინც "მოკავშირის" გვერდში დგომის ეფექტს ქმნიდა და ადგილობრივთა საბრძოლო შემართებასაც მნიშვნელოვნად ამალღებდა. ქართველებმა მამაცურად იბრძოლეს და ძეგამს მოახლოებული ოსმალო ფაშები სასტიკად დაამარცხეს.

სპარსეთ-ოსმალეთის გამუდმებული თავდასხმებითა თუ ლეკთა შემოსევებისაგან დასუსტებულ კახეთსა და ქართლს იმედის თვალი ისევ ერთმორწმუნე რუსეთისაკენ ჰქონდათ მიპყრობილი. მოსკოვიდან კი დიდი ხნის განმავლობაში დაპირების მეტი არაფერი ისმოდა.

XVIII საუკუნის 20-იან წლებში რუსეთი ხელახლა გამორჩნდა კავკასიურ ასპარეზზე. ამჯერად ურთიერთობა რუსეთსა და ქართლის სამეფოს შორის გაიბა. ქართლის პოლიტიკურ წრეებში ჩაისახა იმედი, რომ რუსეთის თანადგომით შესაძლებელი გახდებოდა ირანის ბატონობისაგან თავდაღწევა. ირანის წინააღმდეგ აქტიური მოქმედების დასაწყებად დამხმარე ძალებს დაეძებდა პეტრე პირველიც. ქართლისა და რუსეთის ინტერესების დამთხვევას ამ ქვეყნებს შორის

<sup>64</sup> მ. ვაჩნაძე, ვ. გურული, რუსეთთან ერთად და ურუსეთოდ, თბ., 2007, გვ. 13.



1720 წელს სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დამყარება მოჰყვა.

აღსანიშნავია, რომ აქეთ დახმარების მაგივრად, ქართლის მეფე ვახტანგ VI, 20 ათასიანი ჯარით თვითონ ამოუდგა მხარში 1722 წელს კასპიისპირეთისაკენ სალაშქროდ დაძრულ პეტრე I-ს.

რუსეთის იმპერატორმა ქართლთან შეთანხმებული სამხედრო კავშირის პირობა დაარღვია და ფაქტობრივად განირა თავისი მოკავშირე, როცა იგი მტერს პირისპირ შეატოვა.

ცნობილია, რომ 1768 წელს რუსეთმა ოსმალეთის წინააღმდეგ ომი წამოიწყო. რუსეთის წინადადებით ომში ჩაბმაზე თანხმობა გამოთქვეს ერეკლე მეორემ და სოლომონ პირველმა. ოღონდ იმ პირობით, რომ რუსეთს საქართველოში ჯარის ნაწილები უნდა შემოეყვანა. შეთანხმება მართლაც განხორციელდა და საქართველოს ტერიტორიაზე გენერალ ტოტლებენის სარდლობით 4 ათასამდე მეზრძოლი გამოიგზავნა.

1770 წლის აპრილში ერეკლე II და ტოტლებენი გაერთიანებული ძალებით ახალციხისაკენ დაიძრნენ. თუმცა აწყურის ციხესთან მისული გენერალი ბრძოლის ველს გაეცალა და უკანვე გამობრუნდა. ომან ხერხეულიძის სიტყვით, "ჩაადგეს შური ბოროტთა კაცთა და უზიდევდნენ გრაფ ტოტლებენსა ავსა სიტყვასა და ამის ძალით შემოსწყრა გრაფ ტოტლებენი მეფესა"<sup>65</sup>. რუსები უვნებლად გავიდნენ სამშვიდობოს.<sup>66</sup> მათი ჯარი ქართლ-კახეთს ამჯერად არაფერში გამოდგომია. ერეკლე II-მ საიმპერატორო კარს თხოვნით მიმართა, გაენვიათ ტოტლებენი, რომელიც საქართველოში "რუსეთს უფრო სირცხვილს უხვეჭდდა, ვიდრე სახელს"<sup>67</sup>

რუსეთში დაბრუნებამდე ტოტლებენი იმერეთში გადავიდა და სოლომონ პირველს ბაღდათის ციხის განთავისუფლებაში კი დაეხმარა, მაგრამ

<sup>65</sup> ომან ხერხეულიძე, მეფობა ერეკლე მეორისა, თბ., 1989, გვ. 79

<sup>66</sup> იქვე, გვ. 80.

<sup>67</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973, გვ. 656.

ალყაშემორტყმული ქუთაისის ციხიდან თურქი მეციხოვნენი გააპარა.<sup>68</sup>

ტოტლებენმა მისთვის მიცემული საიდუმლო დავალება წარმატებით ვერ შასრულ. როგორც ქართველი მემატინანე წერს, მას “ცუდად დაუჯდა ტლინკვა თავისი და უსარგებლოდ საქართველოსა შინა”,<sup>69</sup> რისთვისაც რუსეთში დააბრუნეს. მიუხედავად ამისა, ტოტლებენი არ დაუსჯიათ, პირიქით, დააჯილდოეს და ახალი სამხედრო ნოდებაც უბოძეს.<sup>70</sup>

ტოტლებენის შემცვლელად საქართველოში გენერალი სუხოტინი გამოიგზავნა, რომელმაც ახალციხეზე შეტევის ნაცვლად, 1771 წლის ზაფხულში ფოთის ალყა წამოიწყო, თუმცა ვერას გახდა. მალე ეკატერინე II-მ რუსეთის ჯარის საქართველოდან გაყვანის გადაწყვეტილება მიიღო. რუსეთ-ოსმალეთის ომი ამის შემდეგ კიდევ სამ წელიწადს გრძელდებოდა. რუსეთისაგან პროვოცირებული და შემდეგ მიტოვებული ქართველი მეფეები თავიანთი ქვეყნებითურთ მწვავე განსაცდელის წინაშე აღმოჩნდნენ. თურქებმა ქობულეთის მხარე (ქვემო გურია) მიიტაცეს. გართულდა ქართლ-კახეთის საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობაც, რომელმაც ოსმალეთიც გადაიმტერა და ირანის ნდობაც დაკარგა.

როგორც ცნობილია, 1783 წლის ივლისში რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის “მეგობრობის ხელშეკრულება” გაფორმდა. ქართული სამეფო სუვერენული საგარეო-პოლიტიკური უფლებების დათმობის სანაცვლოდ რუსეთის მფარველობაში შევიდა და გარეშე მტერთაგან დაცვის საიმედო დაპირება მიიღო. გეორგიევსკის ტრაქტატით რუსეთმა კიდევ ერთხელ ივალდებულა საქართველოში ჯარის გამოგზავნა.

ტრაქტატის შესაბამისად, რუსეთის ქვეითი ჯარის 2 ბატალიონი 4 ზარბაზნით 1783 წლის ნოემბერში ქართლ-კახეთში შემოვიდა. ამ შენაერთებს ერეკლე მეორის კარზე რუ-

<sup>68</sup> Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся по Грузии. Под ред. А. Цагарели, т.1, М. 1891, გვ. 176.

<sup>69</sup> ომან ხერხეულიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 80.

<sup>70</sup> [http://syw-cwg.narod.ru/bgr\\_Totl.html](http://syw-cwg.narod.ru/bgr_Totl.html).



სეთის ოფიციალურ წარმომადგენლად დანიშნული პოლკოვნიკი ს. ბურნაშოვი მეთაურობდა.

1784 წელს ერეკლემ რუსული პლკების მონაწილეობით ქარ-ბელაქნელ ლეკებს ძლია და განჯის სახანოზეც ძველი ბატონობა აღიდგინა. 1785 წელს ქართველებმა და რუსებმა ახალციხის საფაშოდან შემოჭრილი ლეკებიც დაამარცხეს,<sup>71</sup> მაგრამ წარმატებები ეპიზოდური იყო. ერეკლემ ვერ შეძლო გამკლავებოდა ხუნზახის მფლობელ ომარ-ხანს, რომელმაც 1785 წელს თითქმის მთელი მისი სამეფო მოითარეშა.

ორი წლის შემდეგ, ოსმალეთთან მოახლოებული ომის წინ, ეკატერინე მეორემ საქართველოში გამოგზავნილი ჯარი უკანვე გაიწვია. ეს იმ დროს მოხდა, როდესაც რუს-ქართველთა შეერთებული რაზმები განჯა-ყარაბაღს უტევდნენ. რუსებმა ერეკლე მეორე ამჯერადაც ბრძოლის ველზე მიატოვეს.

ერთმორწმუნე მოკავშირის თანადგომა ქართლ-კახეთისათვის განსაკუთრებით საჭირო მას შემდეგ გახდა, რაც ალა-მაჰმად-ხან ყაჯარმა თითქმის მთელი აზერბაიჯანი დაიმორჩილა და მიზანში აღმოსავლეთ საქართველო ამოიღო. რუსეთი ერეკლეს არაერთგზის თხოვნის მიუხედავად, მხოლოდ დიპლომატიური ნაბიჯებით შემოიფარგლა და ხელდებულ ქვეყანას სამხედრო ძალა არ მიაშველა. მეტიც, წყაროები მოწმობენ, რომკ ავკასიაში განლაგებული რუსეთის არმიის სარდლობამ ირანის შაჰი დააიმიედა, რომ საქართველოზე ლაშქრობაში ხელს არ შეუშლიდა.<sup>72</sup>

რუსეთის მოიმიედე ერეკლე მეორემ მტერთან გამკლავება ვერ შეძლო. ირანელებმა 1795 წლის სექტემბერში თბილისი აიღეს. რუსთა ორი ბატალიონი გენერალ პ. ზუბოვის წინამძღოლობით საქართველოში დაგვიანებით, 1795 წლის დეკემბერში გამოჩნდა. ეკატერინე II-ის გარდაცვალების შემდეგ ახალმა იმპერატორმა პავლემ პირველმა რუსეთის სამხედრო ნაწილები უკანვე გაიწვია.

XIX საუკუნიდან დაპყრობილი საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილი იყო. როდესაც 1917 წლის თებერვალში

<sup>71</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973, გვ. 702.

<sup>72</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973, გვ. 759.



თვითმპყრობელობა დაემხო, რომანოვთა ვრცელმა იმპერიამ რღვევა იწყო. განაპირა ხალხებში თავისუფლებისათვის მოძრაობა გააქტიურდა. ოქტომბერში რუსეთში ხელისუფლებას ბოლშევიკები დაეუფლნენ. ლენინი, მართალია ახალი, პროლეტარული სახელმწიფოს მშენებლობას შეუდგა, მაგრამ საბჭოთა რუსეთი, ფაქტობრივად, მეფის რუსეთის იმპერიის სამართალმემკვიდრე იყო. ყოველ შემთხვევაში იგი იმპერიის ტერიტორიულ მემკვიდრეობაზე უარის თქმას არ აპირებდა.

1918 წლის მარტში, როდესაც სამხრეთ კავკასია, და მათ შორის საქართველო, იურიდიულად ჯერ კიდევ რუსეთს ჩამოშორებული არ ყოფილა, ბოლშევიკურმა რუსეთმა ბრესტ-ლიტოვსკში გერმანიასთან დადებული ზავით, განირა არათუ მოკავშირე, არამედ სახელმწიფოს ნაწილად მიჩნეული საქართველოსა და სომხეთის ინტერესები. ამ ქვეყნების კუთვნილი მიწა-წყლის - ბათუმის, არდაგანისა და ყარსის ოლქების ოსმალეთისათვის გადაცემა, რომელმაც გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა ქართველი და სომეხი ხალხების ეროვნულ ინტერესებს, რუსეთის მხრიდან ლალატის აშკარა გამოვლინება იყო.

ამრიგად, თვალსაზრისი, რომ იმპერია არასოდეს ლალატობს მოკავშირეს, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მაგალითით არ დასტურდება. უფრო - პირიქით. რუსეთი იმდენად ითვისინებდა და იცავდა თავისი მოკავშირე საქართველოს ინტერესებს, რამდენადაც ეს ინტერესები კონკრეტულ შემთხვევაში თანხვდებოდნენ იმპერიის მასშტაბურ მიზნებსა და ამოცანებს.

საკუთარი მისწრაფებების არათუ საზიანოდ, რისკის ფასადაც კი, რუსეთს თავი არასოდეს გამოუდია მოკავშირე ქვეყნის მხარდასაჭერად. ზემოთ აღწერილ არც ერთ შემთხვევაში, როდესაც რუსეთის ლალატის შედეგად საქართველოს ცალკეული სამეფოები თუ ხალხი მძიმე განსაცდელში ჩავარდა, იმპერიის მესვეურთ მათდამი მორალური თანაგრძნობაც არ გამოუხატავთ, არ უგრძენიათ საკუთარი წილი პასუხისმგებლობისა საქართველოზე თავსდატეხილი უბედურების გამო და არ ცდილან მდგომარეობის გამოსწორებას.



მოკავშირის ინტერესების უღალატობის პრინციპთან ერთად იმპერიულ ტრადიციად მიჩნეულია "სიტყვის ერთგულება",<sup>73</sup> მაგრამ აქაც რუსეთის იმპერიის მაგალითი სრულიად სანინალმდეგოს გვიდასტურებს.

რუსეთი იყო და არის სახელმწიფო, რომლის ნდობა მეტი-მეტად სარისკოა. მან არაერთხელ გატეხა სიტყვა, დაარღვია მოკავშირისა თუ ხელდებული ქვეყნისთვის მიცემული დაპირება. მეტიც, რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა ფარატიანა ქალაქად აქცია საქართველოსთან დადებული და უმაღლესად დამტკიცებული გეორგიევსკის ტრაქტატი, უმუხთლა მოკავშირეს და იგი არა თუ დაიცვა და დაიფარა, არამედ დაიპყრო და ხანგრძლივ კოლონიურ მონობაში ჩააგდო. ზუსტად ასევე მოიქცა ბოლშევიკური რუსეთის მეთაური ვ. ლენინი. მანაც უხეშად დაარღვია 1920 წლის 7 მაისს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან გაფორმებული ხელშეკრულება და მომდევნო წლის თებერვალ-მარტში ქვეყანა ოკუპაცია-ანექსიის გზით კიდევ ერთხელ რუსეთის გავლენას დაუქვემდებარა.

საქართველოს მაგალითი თვალნათლივ ადასტურებს უინსტონ ჩერჩილის ცნობილ სიტყვებს: "რუსებთან დადებული ხელშეკრულების ფასი არ აღემატება იმ ქალაქის ფურცლის ფასს, რომელზეც იგია დაბეჭდილი."

**"იმპერია მშვიდობაა"**. ეს ფრთიანი გამოთქმა საფრანგეთის იმპერატორს ნაპოლეონ მესამეს ეკუთვნის. მან იგი თავის დროზე წინასაარჩევნო ლოზუნგის სახით გამოიყენა და არჩევნების დამთავრებისთანავე დაივიწყა. მიუხედავად ამისა, ფრაზა ისტორიას შემორჩა და სამუდამოდ იქვე დარჩებოდა, რომ იგი თანამედროვე რუს ავტორებს არ გახსენებოდათ და არ გაეცოცხლებინათ.

მაინც რისთვის დასჭირდათ ამ ძველი ფრაზის აქტუალიზება XXI საუკუნის რეალობაში? დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ერთგვარი ნოსტალგია დღეს დანგრეულ იმპერიულ რუსეთზე და იმავდროულად პროპაგანდა საბჭოური იმპერიის ასალორძინებლად. მართალია, ვინც ამას წერს, მშვენივრად იცის, რომ მტკიცება რუსეთის იმპე-

<sup>73</sup> В. Тихонов, Общая теория империи, <http://imperiya.by/theory.html?id+15>



რიის მშვიდობისმყოფლობის შესახებ მითია და სინამდვილეს არ შეესაბამება, მაგრამ მათთვის ეს არ არის არსებითი. მათთვის მთავარია სხვები დაარწმუნონ, სხვებს აღუძრან რუსეთთან კვლავ შეკავშირების სურვილი და მისწრაფება.

ამ ფონზე მაინც ვნახოთ, რა მშვიდობა მოუტანა რუსეთის იმპერიამ ჩვენს ხალხს და ჩვენს ქვეყანას.

საქართველოში გაბატონებიდან სულ რაღაც საუკუნენახევარში რუსეთმა (სსრ კავშირის ჩათვლით) 11 დიდი ომი გადაიხადა, რომელთა საერთო ხანგრძლივობა 25 წელს აღემატება. მათგან შვიდი ომის ფრონტის ხაზი საქართველოზეც გადიოდა. ამ ომებში მონაწილე ჩვენს თანამემამულე მრავალრიცხოვან გენერლებსა და ოფიცრებზე რომ არაფერი ითქვას, რამდენი ქართველი მოლაშქრე, ჯარისკაცი, მებრძოლი გაიწვიეს, რამდენი დაიღუპა, რამდენი უგზო-უკვლოდ დაიკარგა, რამდენი დასახიჩრდა. რამდენი ოჯახი დაიქცა და განადგურდა, რამდენ სახლში ჩაქრა კერა?

XIX საუკუნის პირველი ნახევარი აღსავსეა აჯანყებებით რუსეთის კოლონიური ბატონობის წინააღმდეგ. რამდენი ამაყი და ქედუხრელი ქართველი შეაკვდა თავისუფლებისათვის ბრძოლას, რამდენი ჩამოახრჩვეს, რამდენი გადაასახლეს სამშობლოდან, რამდენი ბორკილდადებული გაუყენეს შორეული კატორღის გზას, რამდენი იძულებული გახდა ემიგრაციაში გახიზნულიყო? ვინ დათვალა რუსეთის პირველი რევოლუციის დროსა და მომდევნო ხანაში საქართველოში დატრიალებული რეაქციული ქარბორბალას უთვალავი მსხვერპლი? აი, რუსული იმპერიული მშვიდობა საქართველოში.

წინამდებარე თემაზე საუბრისას შეუძლებელია არ გავახსენდეს ილია ჭავჭავაძის სიტყვები მისი ცნობილი სტატიიდან, რომელსაც აქვე დავიმონწმებთ: “დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლ-მვილზე, გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულს



და მარტო საშინელ და შემადრწუნებელ სახსოვრადღა დაგვე  
 ვრჩა".<sup>74</sup>

მაგრამ დაკვირვებით ნაფიკითხოთ, ვის და რას ეხება დიდი მწერლის ეს გამონათქვამი. პუბლიცისტური წერილი "ასი წლის წინათ," რომლიდანაც ჩვენ ეს ამონარიდი მოვიტანეთ, ილია ჭავჭავაძემ 1899 წლის 26 ნოემბერს დაბეჭდა გაზეთ "ივერიაში." იმ დღეს ზუსტად ერთი საუკუნე შესრულდა, რაც მეფე ერეკლე მეორის გარდაცვალების შემდეგ, ქართლ-კახეთის თხოვნის საფუძველზე თბილისში რუსეთის სამხედრო პოლკი შემოვიდა. საგაზეთო წერილს ამგვარი ქვესათაურიცა აქვს: "პირველად შემოსვლა რუსის ჯარისა ტფილისში." ილია სწორედ ამ ფაქტის მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას და მას "ღირსახსოვარ დღეს" უწოდებს, იმ ჯარზე ლაპარაკობს, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს დამხმარე, მოკავშირე ძალად მოევიღნა და, რომელსაც "კვლავ სასოება-გალვიძებული მეფე და ერი, გულწრფელად მიენდო... დიდის რუსეთის მფარველობის იმედითა და ნუგეშით ფრთაშესხმული." ამიტომაც მიეგება აღტაცებით დიდი თუ პატარა დედაქალაქში შემოსულ რუსულ სამხედრო შენაერთს, ამიტომაც მოუწყო მას შთამბეჭდავი დახვედრა.

მწერალს მხედველობაში არ ჰქონია საქართველოში რუსეთის ჯარის ყოფნა მთელი საუკუნის განმავლობაში. იგი ჯერ კიდევ ქართულ სახელმწიფოში - ქართლ-კახეთის სამეფოში მფარველი ქვეყნიდან მოწვეულ ჯარზე საუბრობს და არა ცარიზმის იმ არმიებზე, რომლებიც ჩვენში 1801 წლის შემდეგ საქართველოს დაპყრობა-დამონების მიზნით შემოდიოდნენ.

თუ როგორი აზრისა იყო ილია ჭავჭავაძე XIX საუკუნიდან საქართველოში დამკვიდრებულ რუსეთის სამხედრო ძალაზე, რა მშვიდობა და შვება მოუტანა მან ქართველ ხალხს, უფრო ნათლად წარმოგვიჩენს პოეტის მიერ მ. ლერმონტოვის "მწირის" ერთი ცნობილი სტროფის თარგმანი. დედანში წერია:

<sup>74</sup> ი. ჭავჭავაძე, ასი წლის წინათ, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. IV, თბ., 1987, გვ. 186.

„И божья благодать сашла  
На Грузию - Она цвела  
С тех пор в стены своих садов,  
Не опасая врагов,  
За гранью дружеских штиков.“

ილია ჭავჭავაძის თარგმანში ვკითხულობთ:

“მას აქეთ, რაცა კურთხევა ღვთისა  
მიეცა ტანჯულს ივერიის ერს,  
რაც კარგი ექნას რუსისა შტიკსა,  
ღმერთმა იმ რუსსვე ასკეცად მისცეს.“

ვინც ირწმუნებოდა, რუსულმა იარაღმა მშვიდობა და ბედნიერება მოუტანა საქართველოსო, ილიაც იმას უსურვებდა მათვე ასკეცად.<sup>75</sup>

სტატიაში, რომელიც სპეციალურად XIX საუკუნეს ეძღვნება და ამ ასწლეულის დამსახურებას აანალიზებს, ილია ჭავჭავაძე ერთი სიტყვიტაც არ ახსენებს რუსეთს, უბრალო მინიშნებითაც არ მიანიშნებს მის დადებით როლზე მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ცხოვრებაში. სხვა წერილში კი, რომელსაც “რა გითხრათ? რით გაგახაროთ?” ჰქვია, მწერალი რუსეთის იმპერიაში მოქცეული საქართველოს ყოფასა და მდგომარეობას ასე გვიხატავს: “ამ სამოთხე ქვეყანაში (საქართველოში - ი.ჯ.) მარტო ქართველს უგუბდება სული, გული ელევა, ხორცი ადნება”.<sup>76</sup> ილია ჭავჭავაძის “მგზავრის წერილების” გმირს ლელთ ღუნისას (და ზოგადად - ქართველს) არ მოსწონს იმპერიის მიერ დამკვიდრებული “ცარიელი მშვიდობა.” “ცარიელ მშვიდაბა მინაჩიც გვეყოფის,” ამბობს იგი და უკმაყოფილოა, რომ “რუსობაჩი... გაუქმდის ადრინდელ დანყობაი, ...ნარხდა ქართველთა სახელი, ქართველთა წეთ-წყობაი”.<sup>77</sup>

ჩვენს ჩრდილოელ მეზობელ ქვეყანაში კი ისევ და ისევ იწერება: რუსეთის დამკვიდრება სამხრეთ კავკასიაში ყველა-

<sup>75</sup> რ. ჩხეიძე, ბედი პავლე ინგოროყვასი, თბ., 2003, გვ. 397.

<sup>76</sup> ი. ჭავჭავაძე, რა გითხრათ? რით გაგახაროთ? რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. IV, თბ., 1987, გვ. 174.

<sup>77</sup> ი. ჭავჭავაძე, მგზავრის წერილები, თხზ. სრ. კრებული ოც ტომად, ტ. II, თბ., 1988, გვ. 24.



სათვის სასარგებლო იყო. ადგილობრივმა მოსახლეობამ მიიღო იმპერიული ხელისუფლება. ერთნი ამას ალტაცებით, მეორენი შვებით, მესამენი მორჩილებით, სხვები საერთოდ გულგრილად შეხვდნენ. ამ ხალხებს გამოუმუშავდათ ისტორიული ჩვევა - ეცხოვრათ იმპერიაში იმპერიული ხელისუფლების ქვეშ, რომელმაც შეძლო ბრძოლებისა და შეხლა-შემოსლის ნაცვლად შეექმნა სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის პირობები და სხვ.<sup>78</sup>


სამართლიანობა მოითხოვს, დავეთანხმოთ, რომ, რუსეთის იმპერიის პირობებში მართლაც აღიკვეთა გარეშე მტერთა თავდასხმები, შეწყდა ფეოდალური შინაომები, მაგრამ "გათიშე და იბატონეს" პრინციპით მომქმედი მეფის ხელისუფლება თვითონვე ახალისებდა ხალხთა დაპირისპირებას ეთნიკურ თუ რელიგიურ ნიადაგზე, შურს სთესდა ერთა შორის, რისი მკაფიო მაგალითებია თბილისსა თუ ბაქოში განხორციელებული სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტა, ებრაელთა "პოგრომები" რუსეთის არაერთ ქალაქში და სხვ.

"სხვათათვის დიდი XIX საუკუნე," ანუ ქრონოლოგიურად საქართველოში რუსეთის იმპერიის ბატონობის პერიოდი, ჩვენი ქვეყნისთვის იმდენად არა მშვიდობით აღინიშნა, რამდენადაც კოლონიური ჩაგვრის, ეკონომიკური დაკაბალების, ასიმილაციისა და ქართველთა ეროვნული გადაგვარების უშედეგო მცდელობით.

და თუ მაინც ჩავთვლით, რომ საკუთარი მეობის შესანარჩუნებლად ქართველი ხალხის შეიარაღებულ ბრძოლებსა და ზემოთ ხსენებულ რუსეთის იმპერიის ომებს შორის პერიოდში ცხოვრებას მართლაც ჰქონდა მშვიდობიანი ხასიათი, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რა მსხვერპლის გაღება მოუწია ჩვენს ქვეყანას ამ მშვიდობისათვის, - რომ ეს მშვიდობა წართმეული ეროვნული თავისუფლებისა და გაუქმებული სახელმწიფოებრიობის საფასური იყოს.

**"იმპერია ხიბლია".** სსრ კავშირის დაშლით იმპერიების ეპოქა, არსებითად, წარსულს ჩაბარდა, მაგრამ იმპერიის ფენომენის კვლევა და ანალიზი კვლავაც ინტენსიურად გრძელ-

<sup>78</sup> В. В. Дагоев, Политические архетипы в отношениях между Россией и Закавказьем, <http://www.niis.ru/01Stam1>



დება. ეს თემა განსაკუთრებით პოპულარულია რუსეთში. ამ ქვეყნის პოლიტიკური და სამხედრო წრეების, ასევე ინტელიგენციის წარმომადგენლები ვერ გათავისუფლებულან იმპერიული ამბიციისაგან და დღემდე შეპყრობილნი არიან რუსეთის იმპერიის რესტავრაციის იდეით. მათთვის იმპერია რუსეთის სიდიადის სიმბოლო და ეროვნული სიამაყის საგანია. მრავალი რუსი პუბლიცისტი, ისტორიკოსი თუ პოლიტოლოგი პოსტფაქტუმ ცდილობს შეალამაზოს რუსეთის იმპერიული წარსული, ესწრაფვის გამიჯნოს მისგან კოლონიური ექსპლუატაციისა და ეროვნული ჩაგვრის ფურცლები და რომანოვთა იმპერია საერთო კეთილდღეობისა და აყვავებისათვის გაერთიანებული მეგობარი ხალხების სიმბიოზად დახატოს.<sup>79</sup>

ამავე ჭრილში შეიძლება განვიხილოთ ს. ბუროვსკის თვალსაზრისიც, რომ იმპერიები მხოლოდ ძალადობით კი არ იქმნება, არამედ ხიბლითაც. რომ იმპერიულმა ეთნოსმა იცის და შეუძლია ის, რაც არ იციან და არ ძალუძთ სხვებს. "თუ საგნებს თავის სახელებს დავარქმევთ, - ეს არის ხიბლი უფრო მაღალი კულტურის," წერს ბუროვსკი და დასძენს: "ჩვენ, რუსები, იმპერიული ხალხი, - რუსეთის იმპერიის შემომქმედი ხალხი ვართ. ...ჩვენ ვიყავით მონინავე ხალხი და სხვებისთვის მიგვქონდა ის, რაც მათ აკლდათ".<sup>80</sup> ამ დებულებაზე დაყრდნობით, მავანნი საქმეს ისე წარმოაჩენენ, თითქოს ესა თუ ის განაპირა მხარე რუსეთს მახვილით კი არ დაეპყროს და დაემორჩილებინოს, არამედ სულით.

საუბარი განსაკუთრებულ ხიბლზე, მიმზიდველობაზე, მაღალ რუსულ სულსა და კულტურაზე, როგორც რუსეთის იმპერიის შექმნის წანამძღვრებზე, მეტისმეტად გაზვიადებულია. იგი შორსაა სიმართლისაგან და წარმოადგენს იმპერიის შემადგენლობაში სხვადასხვა ხალხის "ნებაყოფლობით შესვლის" ზემოთ განხილული შეხედულების ვარიაციას.

<sup>79</sup> С. Марочкин, Русские и империя, <http://www.netda.ru/sborniki/rustroj/rs-maroh.htm#a>

<sup>80</sup> А. М. Буровский, Крах империи. Курс неизвестной истории, М., 2004, გვ. 11-16.



როცა კახეთის, ქართლის ან ქართლ-კახეთის მეფეები რუსთხელმწიფეს უკავშირდებოდნენ და მფრველობას იხსენებდნენ, არც ერთ მათგანს თვალს რუსეთის იმპერიის ხიბლი არ სჭრიდა. ქართველი ხელისუფალნი არც რუსული კულტურის ბრწყინვალეობას მიუზიდავს ჩრდილოეთისაკენ. ჩვენს მეფეებსა და პოლიტიკოსებს რუსეთის იმპერიაში შესვლის, მის ნაწილად გახდომის სურვილი კი არ ამოძრავებდნო, არამედ მაჰმადიანური აგრესიისაგან თავიანთი სამშობლოს გადარჩენის, ეროვნული თვითმყოფადობის დაცვისა და შენარჩუნების ამოცანა. სწორედ სამშობლოს ხსნისათვის გზების ძიებამ მიიყვანა ქართველობა ერთმორწმუნე რუსეთის სახელმწიფოსთან, რომელიც სხვათა დაუპატიჟებლადაც მოიწვედა კავკასიისაკენ. საყოველთაოდ ცნობილია, ერეკლე მეორის დესპანი რუსეთის საიმპერიო კარს მას შემდეგ მიადგა, რაც ქართლ-კახეთის სამეფომ ევროპაში საიმედო მფარველი და მოკავშირე ვერ გამოიხატა. დასავლეთის რომელიმე ძლიერ ქვეყანას ქართლ-კახეთისათვის რომ რეალური დახმარება აღმოეჩინა, რუსეთთან გეორგიევსკის ტრაქტატი გამოირიცხებოდა. ერეკლე რუსეთზე მეტად ევროპისაკენ იყურებოდა, სამეფოს დასავლურ ყაიდაზე მოდერნიზაციისათვის იღვწოდა. იმ პერიოდში საქართველოში მყოფი რუსი პოლკოვნიკი ბურნაშოვი გვიმონუმებს: "ერეკლე მეფე ისე არაფრისაკენ არ მიისწრაფოდა, როგორც თავისი ხალხის ევროპულად გარდაქმნისაკენ".<sup>81</sup>

ვერ უარვყოფთ, რომ საქართველოში შემოსვლის პერიოდში რუსეთის იმპერია წინ იდგა და მრავალი პარამეტრით აღემატებოდა ქართლ-კახეთისა თუ იმერეთის სამეფოებს, მაგრამ მაშინაც და XIX საუკუნის დამდეგსაც, მხოლოდ გარეგნული ბრწყინვალეობით გამორჩეული რუსეთი დასავლეთ ევროპაში ჯერ კიდევ ბარბაროსულ ქვეყნად მიიჩნეოდა.<sup>82</sup> საკმარისია მკითხველი გაეცნოს ბარონესა დე სტალის რუსეთში მოგზაურობის ამსახველ ჩანაწერებს, მარკიზ დე კიუსტინის ცნო-

<sup>81</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 527.

<sup>82</sup> Россия первой половины XIX в. глазами иностранцев, Ленинград, 1991, გვ. 21.

ბილ წიგნს რუსეთზე, რომ ამაში თვალნათლივ და დრამად დარწმუნდეს.

მაშ, როდისღა მოიხიბლა საქართველო რუსეთის იმპერიით? იქნებ მაშინ, როცა ამ უკანასკნელმა იგი დაიპყრო და თავს კოლონიური ბატონობა მოახვია მისთვის უცხო სამხედრო-პოლიციური რეჟიმის სახით? XIX საუკუნის პირველი მესამედის გაუთავებელი აჯანყებები თვითმპყრობელობის იმპერიული უღლისაგან თავდასაღწევად რაღაც არ ჰგავს იმპერიით მოხიბლული ხალხის ქცევასა და მოქმედებას, - უფრო პირიქით.

მრავალრიცხოვანი ფაქტები, დოკუმენტური წყაროები მოწმობენ, რომ საქართველოს რუსეთის იმპერიაში ინკორპორაციამ ქართველი საზოგადოების ყველა ფენა შეაშფოთა. სამეფო ოჯახებისა და ტახტმოშლილი ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენლების გარდა, რუსული მმართველობის დამკვიდრებას მტრულად შეხვდა ქართველი წარჩინებული წოდება, მთელი ადგილობრივი მოსახლეობა. უკმაყოფილო იყო ქართველი თავადობა. ამ ძირძველ, არისტოკრატი წოდებას მირონცხებული მეფის ნაცვლად ახლა უვიცი მოხელე გაუბატონეს, რაც ერთობ შეურაცხყოფელი აღმოჩნდა პატივმოყვარე, ქედმაღალ ფეოდალთათვის. ამასთან, მათ დაჰპარგეს სახელმწიფო თუ სამხედრო სამსახური და ერთ დროს შემოსავლიანი სამემკვიდრეო თანამდებობათა მფლობელები, ამიერიდან რუს ჩინოვნიკთა უუფლებო ხელქვეითებად იქცნენ. სათავადოთა სისტემის თანდათანობით მოშლამ ქართველ მემამულეთა ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძლიერებას საფუძველი გამოაცალა. ამგვარმა შეზღუდვებმა და შევიწროებამ თავადობა ახალ რეჟიმთან დაპირისპირებულ ძალად აქცია.

თავადებთან შედარებით უფრო მრავალრიცხოვანი აზნაურთა ფენაც ვერაფრით მოხიბლა საქართველოს რუსეთის იმპერიაში გაერთიანებამ. მართალია, საიმპერიო ხელისუფლებამ მოგვიანებით აზნაურები თავადთა ყმობისაგან გაანთავისუფლა და უფლებრივად მათთანვე გაათანაბრა, მაგრამ ამას აზნაურობის მატერიალურ მდგომარეობაზე სასიკეთოდ არ უმოქმედია. ჯერაც ვინრო იყო ასპარეზი, სადაც ქართველი აზნაური გაუქმებული მოურაობის თუ სხვა მის-



თვის დაკარგული საკარისკაცო თანამდებობის კომპენსაციას ჰპოვებდა.

მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა ქართველი სამღვდლოებაც. ივერიის ეკლესიის ავტოკეფალიის მოშლის გარდა, მეფის მთავრობამ ეკლესიას ყმა-მამულის დიდი ნაწილი ჩამოართვა, რომელიც ხაზინის გამგებლობაში გადასცა და სხვა.


რუსული მმართველობის დანესებით ქართველი გლეხკაცობა სახელმწიფო გადასახადებისაგან განთავისუფლებას მოელოდა, რაც მეტისმეტად ხელმოკლე ამ ფენისათვის ეკონომიკურად წელში გამართვის წინაპირობად აღიქმებოდა, მაგრამ ეს იმედი მალე გაცრუვდა, გლეხობა კოლონიური რეჟიმის მოწინააღმდეგე ბანაკს შეუერთდა.

ახალი იმპერიული ხელისუფლება თავიდან ყველაზე უფრო მისაღები ვაჭართა წრისათვის აღმოჩნდა, რომელშიც უმთავრესად უცხო ელემენტი ჭარბობდა. ქვეყნის შიგნით ფეოდალური საბაჟოების ლიკვიდაციამ ხელი შეუწყო ალებ-მიცემობის გააქტიურებას, გაიოლდა იმპერიის სავაჭრო ცენტრებთან კავშირი და სხვა, თუმცა მალე საზოგადოების ამ ფენასაც განხილვა დაეცყო, რადგან მთავრობამ ვაჭრებსაც გაზრდილი გადასახადები დააკისრა.

“რუსის მთავრობამ ვერ მოხიბლა ადგილობრივი (კავკასიის - ო. ჯ.) მცხოვრებლები ვერც სამართლიანობით და ვერც თავისი სამხედრო დიდების მიმზიდველობით. ადგილობრივი მკვიდრნი არ ლაპარაკობენ, რომ მონღოლები და სპარსელები სჯობიან რუსებს, მაგრამ ისინი არ მალავენ, რომ რუსები ვერ სჯობიან ადგილობრივ მკვიდრთ,” აღიარებდა ა. გერცენის “კოლოკოლი”.<sup>83</sup>

ქართველობა იმპერიაში კოლონიური ცხოვრებით განსაკუთრებით არც მ. ვორონცოვის მეფისნაცვლობის და არც მის შემდგომ პერიოდში ყოფილა აღფრთოვანებული. ამ მხრივ აკაკი წერეთელი ერთ მეტად საგულისხმო ფაქტს გადმოგვცემს. პოეტი წერს, რომ XIX საუკუნის 50-60-იან წლებში ქართველი სტუდენტები თავისი დროის ისეთ გამოჩენილ მოღვაწეებს ბაძავდნენ, როგორებიც იყვნენ გარიბალდი, ბოკლი, კომუტი და “სულიერადაც და გარეგნობით მათ დამ-

<sup>83</sup> ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. 1, თბ., 1962, გვ. 310.



სგავსებას ცდილობდნენ”.<sup>84</sup> როგორც ვხედავთ, არც აქ მოსკოვ-ჩანს რუსული კულტურისა და სულის ხიბლი.

რაც შეეხება სამშობლოდან გადასახლებული ბატონიშვილების, ქართველი მაღალი წოდების წარმომადგენელთა ჩართვას რუსეთის სახელმწიფოს ცხოვრებაში, იმპერიის სახედრო თუ სამოქალაქო კარიერაში, - ეს იძულებითი კომპრომისის, თვითგადარჩენის ინსტიქტის, არსებულ მდგომარეობაზე მათი მორგების მაჩვენებელი უფროა, ვიდრე იმპერიის ხიბლისა და მიმზიდველობის. სათქმელია ისიც, რომ ამ ქართველ დიდებულთა უშუალო წინაპრებს მაღალი თანამდებობანი არც ირანის შაჰის კარზე კლებიათ. ბევრი მათგანისათვის შაჰის ხალათი არანაკლები ნყალობა იყო, ვიდრე რუსეთის საიმპერიო ორდენი და არც შაჰების მიერ მათთვის ბოძებული სამფლობელოები დაუდებდა ტოლს რუსეთის იმპერატორის პენსიებსა თუ ჯილდოდ გაცემულ ყმა-მამულს.

რუსეთის იმპერიას თუ რამ აკლდა თავისი რეაქციული ბუნების, დესპოტიზმისა და უხეში ძალმომრეობის გამო, სწორედ მიმზიდველობა იყო. ორთავიანი არწივის ფრთებქვეშ თავის შეფარებას საკუთარი ნებით არავინ ცდილობდა, რადგან სინამდვილეში ამ ფრთებქვეშ მოხვედრა ცარიზმის ბრჭყალებში ჩავარდნას ნიშნავდა. ამითაც აიხსნება, რომ რომანოვთა იმპერიაში შემავალი განაპირა ხალხები მუდმივად მისგან გაქცევა-განშორებას ესწრაფოდნენ. ფინეთიც კი, რომელიც იმპერიაში მეტი უფლებით იყო აღჭურვილი და ავტონომიითაც სარგებლობდა, თვითმპყრობელობისაგან სრულ თავისუფლებას ეშურებოდა.

რუსეთის სახელმწიფო სხვა ხალხებისათვის სამაგალითო და მიმზიდველი იმ შემთხვევაში იქნებოდა, თუ მეფის მთავრობა მოსახლეობას ადამიანური ცხოვრების პირობებს შეუქმნიდა, “ხალხთა საპყრობილედ” ქცეულ საკუთარ ქვეყანაში ეროვნულ და მოქალაქეობრივ თავისუფლებას დაამკვიდრებდა. პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები, მათ შორის საქართველოშიც, ცხადია, ამჩნევდნენ იმპერიის მანკიერებებს და თუ საშუალება მიეცემოდათ, ხელისუფლებას ზომიერი დათმობებისაკენ მოუწოდებდნენ. სანიმუშოდ შეიძლე-

<sup>84</sup> ა. წერეთელი, რჩ. ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. V, თბ., 1990, გვ. 507.



ბა დავიმონმით ცნობილი იურისტის, საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებლისა და ლიდერის გიორგი გვაზავას საყურადღებო პუბლიკაცია, რომელიც მან 1909 წელს გაზეთ "ივერიის" ფურცლებზე გამოაქვეყნა. ქართველი მოღვაწე ასეთ რეკომენდაციას აძლევდა იმპერიის მმართველ რეჟიმს: "რუსეთი აღმოსავლეთისაკენ იწევა. მიდის მცირე აზიაში და ოდესმე უნდა შეიძინოს გასავალი ინდოეთის ოკეანეში. ამ მოძრაობისათვის საჭიროა რუსეთმა გაითქვას სახელი თავისუფალ სახელმწიფოსი, უნდა დაიმსახუროს სიყვარული და ნდობა აღმოსავლეთის ერებისა, რომლებიც უფრო მუსულმანები არიან. ამის მიხედვით საქართველოს თავისუფლება დიდ სახელს გაუთქვამს რუსეთს და ასწევს მის პრესტიჟს აღმოსავლეთში. ამავე დროს საქართველო გახდება მართლა საიმედო ბაზა მთელი რუსეთის სამერმისო მოძრაობისა აღმოსავლეთში".<sup>85</sup> გ. გვაზავა ვარაუდობდა, "ეს პერსპექტივა ისეთი დიდმნიშვნელოვანია, რომ მან არ იქნება ზეგავლენა არ იქონიოს რუსეთის შეგნებულ პოლიტიკაზეო," მაგრამ მისი და სხვა მსგავსი რჩევები უყურადღებოდ რჩებოდა. რუსეთის იმპერიაში თვითმპყრობელობის აღსასრულამდე ამ კუთხით არსებითად არაფერი შეცვლილა.

პირველი მსოფლიო ომის დროს საკმარისი გახდა სახელმწიფოს სამხედრო ძალა გამოსცლოდა და მეფის ხელისუფლება დამხობილიყო, რომ ვერანაირმა ხიბლმა განაპირა ხალხები რუსეთის შემადგენლობაში ველარ დააკავა. რომანოვთა იმპერია რამდენიმე თვეში დაინგრა და დაიშალა.

**"თეთრი ადამიანის ტვირთი"** („white man's burden“). დასავლურ კოლონიურ იმპერიებს სხვა მრავალთაგან, ერთი საერთო თვისებაც ახასიათებდათ. თავიანთ დაპყრობებს ისინი პროგრესისა და ცივილიზაციის სახელით ამართლებდნენ და ჩაგრულ ხალხებზე ბატონობას კულტურტრეგერულ მოღვაწეობად წარმოაჩენდნენ. კოლონიური პოლიტიკის მესვეურები ახალ ტერიტორიებზე შელწევას აქაურობის დაპყრობა-დამონებად არ აღიქვამდნენ. მათი წარმოდგენით, ეს იყო ძალისხმევა მოწინავე ფასეულობების გავრცელება-დამკვიდრები-

<sup>85</sup> გაზ. "ივერია," 1909 წ., 5, 12 იანვარი.



სათვის, რომელიც თითქოს განგების ნებით, ევროპელთა მემკვიდრეობით ხორციელდებოდა. მრავალ ევროპელს კოლონიზაციაში იმ აუცილებელ საშუალებად მიაჩნდა, რომლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ჩამორჩენილი ხალხების ცივილიზაციურ მიღწევებთან ზიარება.

იმპერიების ეს ვითომცდა მესიანური ფუნქცია, სინამდვილეში კი კოლონიების მკვიდრ მოსახლეობაზე დამპყრობთა ეროვნული თუ რასობრივი უპირატესობის აშკარა ხაზგასმა, ლიტერატურაში "თეთრი ადამიანის ტვირთადაა" სახელდებული.

ამგვარ ცნობიერებას საფუძველი ინგლისში ჩაეყარა. ინგლისს კოლონიური ახალშენები ჯერ კიდევ XVI საუკუნიდან გააჩნდა, მაგრამ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან კოლონიურმა პოლიტიკამ ქვეყნისათვის ახალი მნიშვნელობა შეიძინა. თუ აქამდე ზოგიერთი მოღვაწე მიიჩნევდა, რომ უცხოეთში მდებარე სამფლობელოები მათზე განუვლი ხარჯის გამო ბრიტანეთს დიდ ტვირთად აწვა და არცთუ იშვიათად ამგვარი სამფლობელოების დაარსება კერძო პირების ან კომპანიების ინიციატივა იყო, ახლა მიწებისა და ტერიტორიების ხელში ჩაგდება სახელმწიფო პოლიტიკის არსებით შემადგენლად იქცა.

ეკონომიკურმა დაწინაურებამ, მსოფლიო ბაზარზე გაბატონებული მდგომარეობის მოპოვებამ და პირველობის შენარჩუნების სურვილმა, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე გერმანიის, საფრანგეთის, რუსეთისა და სხვა ქვეყნების მზარდმა მეტოქეობამ, ბრიტანელ პოლიტიკოსებს კოლონიური ექსპანსიის გაძლიერებისაკენ უბიძგა. 1854 წელს ლონდონში კოლონიების სამინისტრო შეიქმნა. ბრიტანეთში თანდათან მკვიდრდება იმპერიული აზროვნების კულტი, რომელშიც ლომის წილი კოლონიურ დაპყრობებს განეკუთვნებოდა. ამ დროიდან კოლონიების თემა, კოლონიური იმპერია დიდი ბრიტანეთის ეროვნული, საზოგადოებრივი და სახელმწიფო ყოფის უმნიშვნელოვანეს ნაწილად გვევლინება. სახელმწიფოსათვის იმპერიალისტური პოლიტიკა (იმპერიალიზმი - როგორც მას ინგლისში უწოდებდნენ) სოციალ-ეკონომიკური სტაბილურობისა და მატერიალური კეთილდღეობის საწინდარს წარმოადგენდა. საზოგადოების ფართო ფე-

ნების ცნობიერებაში კი ეს იყო მესიანური ფუნქცია, ე.წ. "თეთრი ადამიანის ტვირთი".<sup>86</sup>

ბრიტანეთის იმპერიული იდეის ეს ხატოვანი ფორმულირება ინგლისის კოლონიური რეჟიმის მორალურ გამართლებას ემსახურებოდა. მასში განმანათლებლური მესიანიზმი და სხვა ხალხებისადმი ლმობიერი დამოკიდებულების თვალსაზრისი შერწყმული იყო ანგლოსაქსური რასის განსაკუთრებულობასთან. გენეტიკური უპირატესობა თითქოს ინგლისელებს უფლებას აძლევდა, ებატონათ სხვებზე მათივე კეთილდღეობისათვის. თითქოს კოლონიური ექსპანსია დამორჩილებულთა ძარცვა და მათთან აგარიშსწორება კი არ იყო, არამედ მძიმე ტვირთი, რომელიც ფიზიკურ და მატერიალურ დანახარჯებთან ერთად ზრახვათა სინრფელეს და ისეთ თვისებებსაც მოითხოვდა, როგორიცაა მოვალეობის გრძნობა, ალტრუიზმი და თვითშენიშვნა.

იმპერიული მენტალიტეტისათვის შეუვალი ჭეშმარიტება იყო, რომ ბრიტანეთს ფასდაუდებელი წვლილი შეჰქონდა მსოფლიოს განვითარებაში მრავალრიცხოვანი ხალხების ბარბაროსობისაგან გათავისუფლებითა და ცივილიზაციის გზაზე გამოყვანით. მიიჩნეოდა, რომ "იმპერიალიზმმა ცივილიზაციას, კერძოდ ქრისტიანობას აზიარა მსოფლიო ნაკლებად ილბლიანი და განვითარებული ხალხები".<sup>87</sup>

კოლონიურ მოსახლეობაზე ბრიტანელთა ბატონობის სამართლიანობისა მტკიცედ სწამდა ნებისმიერი მიმართულების ინგლისელ პოლიტიკოსს, მეცნიერებისა თუ კულტურის მოღვაწეს.<sup>88</sup> მაგრამ იყვნენ ადამიანები, რომლებსაც ყოველივე ამასთან ერთად, შეეძლოთ თვალი გაესწორებინათ სიმართლისათვის. მაგალითად, ცნობილი პოლონიური წარმოშობის ანთროპოლოგი ვ. მალინოვსკი, რომელმაც სიცოცხლის უდიდესი ნაწილი ბრიტანეთის კოლონიალიზმის სამსახურში გაატარა, აფასებდა რა ევროპის ისტორიულ როლს

<sup>86</sup> ი. მენტეშაშვილი, ინგლისის ისტორია, თბ., 2004, გვ. 226, 235.

<sup>87</sup> ე. ჰეივუდი, პოლიტიკური იდეოლოგიები, თბ., 2004, გვ. 202

<sup>88</sup> ი. მენტეშაშვილი, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ცივილიზაციათა ურთიერთშეხება ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიის საქმიანობის პერიოდში, ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1997, გვ. 32.



კოლონიათა ხალხების ცხოვრებაში, წერდა: “ჩვენ აღფრთოვანებით ვლაპარაკობთ “დასავლეთის ცივილიზაციის განვითარებაზე,” ... “თეთრი ადამიანის ტვირთზე,” სინამდვილეში კი მომავლის ისტორიკოსებს მოუწევთ იმის აღნიშვნა, რომ წარსულში ევროპელები ზოგჯერ ამა თუ იმ კუნძულის მთელ მცხოვრებლებს უღეტდნენ, ახდენდნენ ქონების ექსპროპრირებას და შემოიღეს მონობა, თავისი ყველაზე სასტიკი ფორმებით... ეჭვგარეშეა, რომ ევროპელებთან კონტაქტების შედეგად ტრაგიკული იყო ადგილობრივი რასების ბედი”.<sup>89</sup>

კოლონიური სინამდვილის შუქ-ჩრდილებს კარგად ამჩნევდნენ მოწინავე ქართველი მოღვაწე-მოაზროვნენი. კერძოდ, ეხებოდა რა ტუნისისა და ალჟირის საფრანგეთთან ურთიერთობის საკითხს, თავის ერთ-ერთ მიმოხილვაში ილია ჭავჭავაძე წერდა: “იტყვიან, მათ გასანათლებლად შეიტანა თავისი ხელმწიფება საფრანგეთმაო. მაგრამ ეს ხომ ძალად მაცხოვნობა გამოდის. ანდა ცეცხლითა და ზარბაზნით ვის გაუგონია ცივილიზაციის შეტანა რომელიმე ქვეყანაში?”<sup>90</sup>

ვნახოთ, როგორი იყო რუსეთის იმპერიის მიმართება თავის კოლონიურ სამფლობელოებთან და პირველ რიგში საქართველოს მოსახლეობასთან ამ კუთხით. პეტრე პირველიდან მოყოლებული რუსეთი მუდმივად ცდილობდა ქცეულიყო ევროპულ ქვეყნად, ან არადა მიმსგავსებოდა მაინც დანიანურ რეზულ დასავლელ მეზობლებს. ამ გონიერი მმართველის არაერთი ღონისძიება მიზნად ისახავდა, დაეძლია რუსეთის ჩამორჩენა და იგი გვერდით ამოეყენებინა თავისი დროის ძლიერი და მოწინავე სახელმწიფოებისათვის. მიუხედავად ამისა, რუსეთი ვერ გახდა “დასავლეთი.” პეტრე პირველის რეფორმების შედეგად მხოლოდ ის გახდა შესაძლებელი, რომ “რუსეთი ტრანსფორმირებულ, მოდერნიზებულ აღმოსავლეთად გადაქცეულიყო”.<sup>91</sup> რუსეთი ევროპას ბაძავდა, მისი ისტორიული გამოცდილების გამოყენება სურდა. ევროპის

<sup>89</sup> ი. ცინცაძე, ინგლისის კოლონიური მმართველობის პრინციპები, თბ., 1978, გვ. 27.

<sup>90</sup> ი. ჭავჭავაძე, პოლიტიკური მიმოხილვა, თხზ. სრ. კრებული ოც ტომად, ტ. VI, თბ., 1997, გვ. 570.

<sup>91</sup> მ. კალანდაძე, რუსეთის ისტორიის პერიოდიზაცია, კრებულში - ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, I, თბ., 2008, გვ. 200.



ქვეყნებმა დაპყრობების გზით კოლონიებში "თავიანთი სამყაროები" შექმნეს საკუთარი ენით, ადათ-ჩვევებით, იდეალებით, კანონებით: ესპანეთმა ლათინური ამერიკის, პორტუგალიამ - ბრაზილიის, ინგლისმა - ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, ავსტრალიისა თუ ახალი ზელანდიის სახით. რუსეთსაც თავის თვალუწვდენელ იმპერიაში საერთო ენაზე, რელიგიასა და კულტურაზე დაფუძნებული "დიდი რუსული სამყაროს" შექმნა სურდა. იმპერიის მთელი ტერიტორია ერთიან სოციალურ, ადმინისტრაციულ და სამართლებრივ სივრცედ უნდა ქცეულიყო. რუსეთმა დაპყრობილ ტერიტორიებზევერ შეძლო შეექმნა ერთიანი და მთლიანი "რუსული სამყარო." რუსეთის იმპერია ჭრელი იყო ეთნიკურად, ენობრივად, რელიგიურად, კულტურულად. მათი გაერთიანება-გამთლიანება შეუძლებელი იყო. "რას უნდა გაემთლიანებინა და გაეერთიანებინა სამი დიდი რელიგია, რომელიც რუსეთის იმპერიაში მოქმედებდა - ქრისტიანობა, ისლამი და ბუდიზმი? როგორ უნდა გაერთიანებულიყო ისეთი ძირეულად განსხვავებული ენები, როგორიც ქართულია, სომხურია, სლავური და ციმბირის ხალხების ენებია? როგორ შეირწყმებოდა ერთ კულტურად კავკასიური, შუააზიური, ბალტიისპირული, სლავური კულტურები?"<sup>92</sup>

რუსი ისტორიკოსი ნ. კოსტომაროვი პეტრე I-ის მისწრაფებაში - გაეფართოებინა იმპერიის ფარგლები და მოეპოვებინა მისთვის სათანადო ადგილი ევროპული ქვეყნების რიგში, ერთის მხრივ, რუსეთის საზღვაო სახელმწიფოდ გადაქცევის სურვილს ხედავდა. მეორეს მხრივ კი აღნიშნავდა, რომ პეტრე დაინტერესებული იყო, შეეტანა დასავლეთიდან მიღებული ევროპული ცივილიზაციის ნაყოფი აღმოსავლეთის ხალხებში, რომლებიც რუსეთთან შედარებით კულტურული განვითარების დაბალ საფეხურზე იდგნენ.<sup>93</sup>

XVIII საუკუნის დამდეგს, სანკტ-პეტერბურგის დაარსებით პეტრე პირველმა ფანჯარა გასჭრა ევროპაში. მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, ამ ერთი ფანჯრიდან შემოსული, რუ-

<sup>92</sup> ა. ბაქრაძე, ილია და აკაკი, თბ., 1992, გვ. 256.

<sup>93</sup> Н. Костомаров, Русская история в жизнеописаниях ее главнейших деятелей, М., 2004, გვ. 189.



სულ პრიზმაში გარდატეხილი სხივი, როგორ გადანვდებოდა იმპერიის თვალუნვდენელ სივრცეს, მათ შორის კავკასიონის ქედსაც, რომ, ვთქვათ, საქართველოსთვისაც ევროპული ნათელი მოეფინა.

ევროპული ცივილიზაციის შუქმა რუსეთზე გამოვლით ჩვენს ქვეყანაში გვიან შემოაღწია. "ამ ბოლო დროს, პეტრე დიდისგან გამოჭრილ სარკმელში, თუმცა ძლიერად შემოაშუქა ევროპიდან განათლებამ, მაგრამ მაინც კიდევ ბევრია დარჩენილი სიბნელის ოაზისი," აღნიშნავდა აკაკი წერეთელი სანკტ-პეტერბურგის დაარსებიდან თითქმის 180 წლის შემდეგ დაწერილ პუბლიცისტურ სტატიაში.<sup>94</sup>

რუსეთი თავის დაპყრობილ კავკასიის სამფლობელოებს ზარბაზნების გარდა "ფრაკითაც გამოეცხადა" და აქ ევროპელობას ჩემულობდა, როცა საკუთრივ ევროპაში იგი მუდამ აზიად რჩებოდა. ნ. ბერდიაევის სიტყვით: "რუსი ხალხი არც წმინდა ევროპელია და არც წმინდა აზიელი. რუსეთი სამყაროს მთელი ნაწილია, ვეებერთელა აღმოსავლეთ-დასავლეთი, იგი აერთიანებს ორ სამყაროს; რუსი კაცის სულში ყოველთვის ორი სანყისი - აღმოსავლური და დასავლური ებრძოდა ერთმანეთს".<sup>95</sup> ეს ვითომ ევროპული სახელმწიფო ნამდვილი ევროპისათვის შიშისა და საფრთხის მომგვრელი მრისხანე გოლიათი იყო. ცნობილია, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში (1815 წ. საღვთო კავშირის შექმნიდან ყირიმის ომამდე) რუსეთი ევროპის ჟანდარმის როლსაც ასრულებდა და მისი "ევროპულობაც" დიდწილად ამით განისაზღვრებოდა.

"ევროპაში ჩვენ ხიზნები და მონები ვიყავით, აზიაში კი ბატონებად წარვსდგებით. ევროპაში ჩვენ თათრები ვიყავით, ხოლო აზიაში ჩვენც ევროპელები ვართ. მისია, ჩვენი ცივილიზატორული მისია აზიაში განგვანყოფს და გაგვიტაცებს იქეთკენ, ოღონდ დაიწყოს მოძრაობა," - წერდა თ. დოსტოევისკი თავის დღიურში.<sup>96</sup>

<sup>94</sup> ა. წერეთელი, რჩ. ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. V, თბ., 1990, გვ. 422.

<sup>95</sup> Н. Бердяев, Русская идея, Париж, 1971, гв. 6.

<sup>96</sup> Достоевский Ф. М. Полн. собр. соч., т. 27, М., 1984, гв. 36, 38.



ნ. იადრინცევის სიტყვით, “რუსეთმა ძველ მივარდნილ ადგილებში, სადაც მონადირე და მომთაბარე ტომები დაეხმებოდნენ, სათავე დაუდო კულტურას, წარმოშვა ევროპული მოქალაქეობრიობა.” ამავე აზრს აგრძელებდა მ. ვენიუკოვიც, როცა წერდა: “შუა აზიის ხალხებს ამიერიდან ისევე შეუძლიათ თავი მოინახვე ერებთან დაახლოებულად მიიჩნიონ, როგორც ჩვენი საუკუნის (XIX საუკუნე, - ო.ჯ.) დასაწყისში კავკასიური ტომები, ხოლო გასული საუკუნის ბოლოს ინდუსები მიიჩნევდნენ”.<sup>97</sup>

თვალსაზრისი, რომ იმპერიაში მოქცეულ მთელ რიგ ხალხებს რუსეთი განმანათლებლად მოეველინა, უცხო არ ყოფილა რუსული ცნობიერებისათვის. რუსული იმპერიული იდეაც მნიშვნელოვანწილად ამ სულისკვეთებით საზრდოობდა. მართალია, ინტელიგენციის ნაწილი დასცინოდა განსაკუთრებულობის რუსულ რწმენას, მაგრამ მეორე ნაწილს ამ იდეისა მტკიცედ სწამდა, თუმცა მისი მკაფიოდ ახსნა არასოდეს შეეძლო. ამასთან, იყვნენ ადამიანები, რომლებიც სიტყვით თუ საქმით ემსახურებოდნენ სახელმწიფო რანგში აყვანილ მესიანისტურ სულსა და იდეოლოგიას. იმპერიის აპოლოგეტი არაერთი რუსი მოაზროვნე სლავური რასის გამორჩეულობას და სხვა ხალხებზე მისი აღმატებულობის შეხედულებას ამკვიდრებდა. მაგალითად, ცნობილი ნაშრომის “რუსეთი და ევროპის” ავტორი ნ. დანილევესკი სლავებს მსოფლიოში უმაღლეს კულტურულ-ისტორიულ ტიპად, მომავლის რჩეულ რასად აცხადებდა და რუსეთს მთელი სლავური სამყაროს გაერთიანებისაკენ მოუწოდებდა.

გამიზნული პოლიტიკის ნაწილი იყო, როდესაც გაზეთ “მოსკოვსკიე ვედომოსტის” რედაქტორი გ. კატკოვი, პერიოდული გამოცემები “გრაჟდანინი”, “ნოვოე ვრემია,” მათი მესვეურები და ბევრი სხვა პუბლიცისტი პროგრესის სახელით გზას უკაფავდნენ ველიკორუსულ დიდმპყრობელურ შოვინიზმს.<sup>98</sup> თავის დროზე სწორად შენიშნავდა გერონტი ქიქოძე. წერდა: რუსული ნაციონალიზმისა და მესიანისმის საფუძველი უფრო პოლიტიკური იყო, ვიდრე ისტორიულ-ფი-

<sup>97</sup> <http://www.demoscope.ru/weekly/knigi/s&r/vishn9.pdf#search>

<sup>98</sup> ა. სურგულაძე, რუსეთი XIX საუკუნეში, თბ., 1973, გვ. 554-556.



ლოსოფიური და, რომ "მისტიკური ბუნების მიუხედავად, მას საგრძნობლად უდიოდა ყაზახური ჩექმების სუნი".<sup>99</sup> თანამედროვე რუსეთში ბევრს კვლავაც სჯერა: სადაც არ უნდა შესულიყვნენ რუსები, ყველგან აშენებდნენ და ასწავლიდნენ. და რომ ამ იმპერიულმა თესლმა მოგვცა და დღემდე იძლევა სავსებით მაღალხარისხოვან აღმონაცენს.<sup>100</sup>

რუსეთის საზოგადოების გამორჩეულობითი დამოკიდებულება აღმოსავლეთის ხალხებისადმი კარგახანია შემჩნეულია დასავლურ ისტორიოგრაფიაში. მაგალითად, ამერიკელი მკვლევარი რ. კარკლინსი მიუთითებს: შუა აზიაში რუსები, ჩვეულებრივ, საკუთარ თავს "კულტურის მატარებლად" მიიჩნევენ. მათი აზრით, რუსეთმა ხელი შეუწყო ამ რეგიონის განათლებასა და მოდერნიზაციას. შესაბამისად, მათი მიმართება ადგილობრივი მოსახლეობისადმი მფარველურია და რამდენადმე რასობრივი უპირატესობის ხასიათს ატარებს.<sup>101</sup>

როგორი ევროპული განათლება და ცივილიზაცია უნდა შემოეტანა რუსეთის იმპერიას ჩვენში, როდესაც იგი დასავლეთს დიდად ჩამორჩებოდა არა მარტო ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრებით, არამედ კულტურის თვალსაზრისითაც, ცარიზმი კი ამ ჩამორჩენილობის კომპენსირებას იარაღის ძალით ეწეოდა? უნდა დავეთანხმოთ რუს ავტორს მ. ტლოსტანოვას, რომელიც აღნიშნავს: რუსეთის იმპერია თავის არაევროპული კოლონიების მიმართ კარიკატურული "ცივილიზატორის" როლს ასრულებდა.

საქართველოს რუს მმართველებსა და იერარქებს არ უყვარდათ, ზოგიერთს კიდევაც სძულდა ის ქვეყანა, რომელსაც განაგებდა. მექრთამე, მძარცველი, ლოთი და მრუში იყო სასამართლო და ადმინისტრაციულ მოხელეთა უმეტესობა. ისინი არა მხოლოდ რუსეთის სახელმწიფოებრიობას უტყებდნენ სახელს, არამედ საზოგადოდ, რუსი ადამიანის სახელსაც ქართველთა თვალში უარყოფითად წარმოაჩენდნენ.

<sup>99</sup> გ. ქიქოძე, დასავლეთის კარები, გაზ. "საქართველო," 1916 წ., №279, ნიგნში - ევროპა თუ აზია? თბ., გვ. 331.

<sup>100</sup> П. Романов, Станет ли Россия снова империей,

<http://www.rian.ru/authors/20070122/59469925-nrint.html>

<sup>101</sup> R. Karklins, Ethnic relations in the USSR, Boston, გვ. 73.



“ისიც დიდ სიკეთედ ჩაითვლებოდა, საქართველოში დანიშნულ რუს მოხელეებს მოთხოვნის მინიმუმი მაინც რომ დაეკმაყოფილებინათ, ოდნავ მაინც რომ ჰყვარებოდათ საქმე ან იდეა,” წერდა ივანე ჯავახიშვილი.<sup>102</sup>

რუს მოხელე-ჩინოვნიკთა უმსგავსო საქმიანობის დამადასტურებელი ფაქტები უზვადაა დაცული საისტორიო წყაროებში. დავიმონწმებთ ზოგიერთ მათგანს.

1803 წელს მთავარმართებლად დანიშნული თავადი პ. ციციანოვი თანამდებობიდან გადაყენებულ საქართველოს მმართველ კოვალენსკის მიმართავდა: “თქვენის ქმედებით შეურაცხყავით ქართველები და აიძულეთ, იმდენად შეზიზღებოდათ მმართველობა, რომ კიდევ ვიხილე გონებათა სასტიკი რყევა, რუსთა მმართველობისადმი ამხედრებული”.<sup>103</sup> საქართველოში ჩამოსვლიდან ახლო ხანებში, გრაფი პასკევიჩი რუსეთის იმპერატორისადმი წარდგენილ მოხსენებაში აღიარებს: “საუბედუროდ, სულ მალე შევამჩნიე, რომ გარეგანი სახე კეთილმონყობისა მხოლოდ ჩქმალავდა ერთობ მნიშვნელოვან და დიდი ხნის ფესვგადგმულ უწესრიგობებსა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევებს”.<sup>104</sup>

კავკასიის რუსული ადმინისტრაციის სარევიზიოდ თბილისში გამოგზავნილი სენატორები, გრაფი კუტაისოვი და მეჩნიკოვი ამგვარ ატესტაციას აძლევენ რუს მოხელეებს და მათ მოღვაწეობას საქართველოში: “ამიერკავკასიის მხარის არც ერთ დანესებულებაში, საქმეთნარმოების ფორმებსა და წესებში, კანონის დადგენილი წესრიგის ნატამალიც არ მოიპოვება. ... აღმასრულებელი ექსპედიცია, ნაცვლად იმისა, რომ თვალ-ყურს ადევნებდეს კანონების აღსრულებას, თავად არ ასრულებს მათ. იგი სასამართლოსა და ძიების გარეშე ართმევდა კერძო პირებს უძრავ ქონებას და სხვ.”<sup>105</sup>

<sup>102</sup> ი. ჯავახიშვილი, პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა XIX საუკუნის საქართველოში, ჟურნ. “ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში,” 1986, № 2-3. გვ. 160.

<sup>103</sup> Акты собранные Кавказской Археографической Комиссии, под ред. А. Берже, II, Тиф., 1868, გვ. 20.

<sup>104</sup> АКАК, VII, გვ. 18.

<sup>105</sup> ი. ჯავახიშვილი, პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა XIX საუკუნის საქართველოში, ჟურნ. “ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში,” გვ. 160.



დაპყრობილი ხალხებისა და შემოერთებული ტერიტორიებისადმი დიდი ინტერესით არც რუსეთის იმპერატორები ვა-  
მოირჩეოდნენ. მაგალითად, ალექსანდრე I ისე აღესრულა, თვალთ არ უნახავს ერთმორწმუნე საქართველო, რომელიც, მისი მანიფესტის თანახმად, თურმე იმიტომ შეუერთა რუსეთს, რომ ეს ტანჯული ქვეყანაც ეღირსოს "კეთილმმართველობას, ჩამოვარდეს მშვიდობიანობა, მართლმსაჯულება პირადი და ქონებრივი უშიშროება." დაპყრობილი საქართველო ტახტზე ასვლიდან მხოლოდ 12 წლის შემდგომ, 1837 წელს მოინახულა რუსეთის მომდევნო ხელმწიფემ ნიკოლოზ I-მა. ალექსანდრე II სასტიკად დევნიდა უკრაინულ ენას, სისხლში ჩაახშო პოლონეთის აჯანყება, ებრძოდა პოლონელთა კათოლიკურ რწმენასა და იდეალებს. ალექსანდრე III-ს არც პოლონელები უყვარდა და არც ებრაელები, ეჭვით უყურებდა მალოროსებს, სძაგდა ყველა "ინოროდეცი".<sup>106</sup>

საერო ხელისუფალთ არც მათი ავან-ჩავანი რუსი ეგზარქოსები ჩამორჩებოდნენ. მათ მიითვისეს და საქართველოდან გაიტანეს ქართული ეკლესიის დიდძალი სიმდიდრე, ძვირფასი ხატები, ჯვრები, სამკაულები და სხვ. მიხეილ თამარაშვილის გამოანგარიშებით, მხოლოდ ეკლესიებიდან რუსეთის მთავრობამ საქართველოს 137 მილიონ ექვსასი ათასი მანეთის ქონება წაართვა.<sup>107</sup>

რუსეთის საიმპერიო ხელისუფლებამ საქართველოში დამკვიდრებისთანავე ხელთ იგდო ბაგრატიონთა სამეფო თუ საუფლისნულო მამულები, რომლებიც ხაზინის მფლობელობაში გადაეცა. ხაზინა დაეპატრონა ასევე ურჩ ქართველ თავადაზნაურთა და ეკლესიისაგან ჩამორთმეულ დიდძალ სიმდიდრესაც. საკუთრივ კავკასიის რუსი მმართველები ისაკუთრებდნენ ათასობით ჰექტარ მიწა-წყალს დასავლეთ თუ აღმოსავლეთ საქართველოში და სხვ.

მეფის რუსეთის ბატონობის 117 წლის განმავლობაში საქართველომ 20 უმაღლესი რუსი მოხელე გამოიცვალა. არც ერთი მათგანი ქართველი ხალხის ცხოვრების აკარგით, მისი ის-

<sup>106</sup> М. Геллер, История российской империи, М., 2003, გვ. 179.

<sup>107</sup> მ. თამარაშვილი, საქართველოს ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995, გვ. 441.

ტორიითა და კულტურით სერიოზულად არ დაინტერესებულა.  
“აქაურ მოხელეებში ერთიც არ გვეგულება, რომელსაც არამე-  
ცთუ შეესწავლა ჩვენი ქვეყანა, არამედ ამისი სურვილი ჰქონო-  
დეს და ამის საჭიროება ეგრძნოს” - ნერდა ილია ჭავჭავაძე.  
მართლაც, კავკასიის მთავარმართველები თუ მეფისნაცვლები  
აქ რამდენიმე წლიანი სამსახურის შემდეგ ისე ტოვებდნენ სა-  
ქართველოს, რომ ქართულ ენაზე წინადადების არათუ წარ-  
მოთქმა, გაგებაც არ შეეძლოთ. ბევრი რუსი მაღალი რანგის  
მმართველი, არათუ XIX საუკუნის დასაწყისში, უფრო გვიანაც,  
დუშეთს თუშეთიდან, ხოლო ჭოროხს ჩოლოქიდან ვერ არჩე-  
და.

რუსი მოხელეები თავს შეურაცხყოფილად გრძნობდნენ,  
როცა უძველესი ქართული კულტურის უნიკალურ ძეგლებს,  
ეკლესია-მონასტრებსა და სხვ. ეცნობოდნენ. რუსი სამღვდე-  
ლოები ათეთრებდნენ ტაძართა ფრესკებით შემკობილ კედ-  
ლებს, რათა მათი სიძველისა და შთამბეჭდაობის კვალი დაე-  
ფარათ. საქართველოს “განმანათლებელ” რომანოვთა იმპე-  
რიის ჩინოვნიკების დამოკიდებულება, როგორც ცა და დედა-  
მინა, ისე განსხვავდებოდა ინდოეთში დასაქმებული მათი ინ-  
გლისელი კოლეგების ქცევისაგან.

ბრიტანეთის ხელისუფლებას თავის კოლონიურ ადმინის-  
ტრაციასთან დაწესებული ჰქონდა “მთავრობის ეთნოგრა-  
ფის” თანამდებობა. კოლონიურ მოხელეებს სპეციალურად  
ამზადებდნენ, მათ მოეთხოვებოდათ ადგილობრივი ენის,  
კულტურის, ტრადიციებისა და ადათ-ჩვევების ცოდნა და  
სხვ.<sup>108</sup> ინგლისელები აღტაცებაში მოჰყავდა ინდოეთის წარ-  
სულს, უძველეს ხანაში ამ ქვეყნის სახელმწიფოებრიობის,  
ეკონომიკის, კულტურის მაღალ დონეს. ბრიტანელ მეცნიე-  
რებს აზრადაც არ მოსვლიათ ინდური კულტურული მემ-  
კვიდრეობის მიჩქმალვა, პირიქით, გულმოდგინედ შეუდგნენ  
მის შესწავლას, ანალიზსა და აღორძინებას, რაც დადასტუ-  
რებულია თანამედროვე ინდურ ისტორიოგრაფიაში.<sup>109</sup> კავ-

<sup>108</sup> ი. ცინცაძე, ინგლისის კოლონიური მმართველობის პრინციპები, თბ.,  
1978, გვ. 23.

<sup>109</sup> ი. მენტეშაშვილი, დასახ. ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა  
დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, გვ. 35.



კასიის კოლონიზაციის მიზნით XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მხარის მეცნიერული შესწავლა რუსეთის სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებმაც დაიწყეს. რეგიონში დაარსდა პირველი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებანი, მათ შორის, კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება, რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება, კავკასიის საექიმო საზოგადოება, კავკასიის მუზეუმი, კავკასიის არქეოგრაფიული კომისია და სხვ. განათლებისა თუ კულტურის ეს კერები უპირველეს ყოვლისა მეტროპოლიის კოლონიურ ინტერესებს ემსახურებოდა და მისი იმპერიული ზრახვების მყარი დასაყრდენი იყო კავკასიაში.<sup>110</sup>

რუსეთის საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს ერთობ ზერელე წარმოდგენა ჰქონდა იმპერიის ცივილიზატორული როლის შესახებ განაპირა ხალხების ცხოვრებაში. ამას ჩინებულად ცხადყოფს ილია ჭავჭავაძის “მგზავრის წერილები.” მოთხრობაში პოდპორუჩიკის სახით რუსეთის არმიის ოფიცრის ტიპია დახატული. ამ კატეგორიის ადამიანებს წესით გარკვეული განათლება უნდა ჰქონოდათ. მაგრამ როგორი წიგნიერი კაცი იყო “მგზავრის წერილების” პოდპორუჩიკი, კარგად მულავნდება მის საუბარში ნაწარმოების ავტორთან. რუსი ოფიცრის თვისებებიდან მკაფიოდ იკვეთება მისი “გაუნათლებლობა, უმეცრება, სიბრიყვე, ეშმაკობა, გამომძალველობა, მედიდურობა და აგრესიულობა”.<sup>111</sup>

მას თავის შეხედულება აქვს განათლებაზეც, მაგრამ ჩვენ ამჯერად რუსი ოფიცრის აზრი ცივილიზაციაზე გვაინტერესებს.

- “თქვენში ცივილიზაცია როგორ მიდის? - ეკითხება პოდპორუჩიკი ილიას. “რამდენი გენერლები გეყოლებათ თქვენ, ქართველებს?

- იქნება ერთი ოციოდე მოგროვდეს.

- რაო, ოციოდეო! ...ო, ო, ეგ დიდი საქმეა, ... -ამ ერთ მუჟა ხალხში და ოციოდე გენერალი! არა მჯერა...

- ოციოდ მართალი გენერალი! ბარაქალა მართლმადიდებელ რუსეთს! სახელი და დიდება! საცა ფეხს შესდგამს, და-

<sup>110</sup> გ. ჩხაიძე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, თბ., 2003, გვ. 159.

<sup>111</sup> ვ. გურული, ილიადან ილიამდე, თბ., 2006, გვ. 21.

ამყარებს ხოლმე ცივილიზაციას. სულ რამდენი წელიწადია რაც რუსეთი აქ შემოვიდა?

- იქნება სამოცდაათი.

- შვიდს წელიწადში ორი გენერალი? დიდი საქმეა, დიდი ცივილიზაცია არის. ...თუ ღვთის ძალით თქვენში ცივილიზაციამ ეგრე იარა, სამოცდაათ წელიწადს უკან კიდევ ოცი გენერალი მოგემატებათ და სულ ორმოცი იქნება".<sup>112</sup>

საქართველოში, როგორც რუსეთის კოლონიურ, განაპირა მხარეში, იმპერიის "ცივილიზატორული" მისიის ნათელსაყოფად საკმარისია ზოგადად თვალი გადავაგვლოთ ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკას ამ რეგიონში და მისი პრაქტიკული განხორციელების გზას.

თვითმპყრობელობის აღსასრულამდე რუსეთი ერთ-ერთ ბოლო ადგილზე იყო იმპერიულ სახელმწიფოთა შორის არა მარტო კოლონიებში, არამედ მეტროპოლიაშიც კი განათლების მიზნებისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო მაჩვენებლებით. თავის ხანგრძლივად დეფიციტური ბიუჯეტიდან მეფის მთავრობა განათლების საჭიროებისათვის ერთ პროცენტსაც კი არ ხარჯავდა. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო განათლების სისტემა მოწოდებული იყო აღეზარდა, როგორც მოსწავლე, ისე სტუდენტი ახალგაზრდობა იმპერიისადმი ლოიალური და რუსთხელმწიფისადმი ერთგულქვეშევრდომული გრძნობით, ცარიზმს განათლებული ადამიანების სიმრავლის ეშინოდა. ერჩივნა, უმეცრებაში ჰყოლოდა მთელი ქვეყანა, ვიდრე თავი ეტეხა განათლებით გონებაგახსნილი მასების მიერ წინა პლანზე წამოწეული სოციალური, ეროვნული და სხვა საჭირობოროტო პრობლემების მოგვარებაზე ზრუნვით.

განათლების სფეროში რუსეთის ხელისუფლების მიზანი არ სცდებოდა დაპყრობილ ხალხებში ელემენტარული წიგნიერების გავრცელების ამოცანას. იმპერიის მასშტაბით უზარმაზარი ბიუროკრატიული სამოხელეო სისტემის მხოლოდ რუსი ჩინოვნიკებით დაკომპლექტება შეუძლებელი იყო. ამდენად, მმართველობის თუნდაც ქვედა რგოლში ადგილობ-

<sup>112</sup> ი. ჭავჭავაძე, მგზავრის წერილები, თხზ. სრ. კრებული ოც ტომად, ტ. II, თბ., 1988, გვ. 19.



რივი კადრების მოზიდვა და დასაქმება აუცილებელი ხდებოდა. რაკი საქმის წარმოების ენა ცენტრშიც და პერიფერიაშიც რუსული იყო, მოხელეს იმპერიის ნებისმიერ კუთხეში, სოფლად თუ ქალაქად, მთაში თუ ბარში, რუსულის ცოდნა სჭირდებოდა. მეფის მთავრობის მიერ გახსნილი პირველდანყებითი სკოლების დანიშნულებაც ციმბირში, შუა აზიასა თუ საქართველოში, არსებითად, რუსულ ენაზე წერა-კითხვის სწავლებით შემოიფარგლებოდა. ნიშანდობლივია რუსეთის სახელმწიფო საბჭოს იმდროინდელი რეკომენდაცია, რომელშიც მითითებული იყო: მიეზიდათ სკოლაში არისტოკრატიული წოდების ბავშვები, ესწავლებინათ მათთვის რუსული ენის ძირითადი საფუძვლები და არითმეტიკა, ხოლო 12 წლის ასაკს მიტანებულნი გაეგზავნათ მოსკოვსა და პეტერბურგში სამხედრო თუ სამოქალაქო სასწავლებლებში. სწავლადასრულებულ ახალგაზრდებს ხუთი წელი რუსეთში სამსახური ევალებოდათ და კავკასიაში დაბრუნება მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლოთ.<sup>113</sup>

ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკას საქართველოში საფუძვლად კოლონიური მიზნები ედო. სკოლას ადგილობრივი მმართველობისათვის საჭირო მოხელეთა მომზადების პარალელურად ხალხის გარუსებისათვის ხელშეწყობა ეკისრებოდა. პირველი რუსული დაწყებითი სასწავლებელი თბილისში 1802 წელს დაარსდა, მაგრამ მალევე დაიხურა, რადგან მოწაფეებმა ვერ დაძლიეს უცხო რუსული ენა. 1804 წელს დაფუძნდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი. განათლების ეს კერა მეოთხედი საუკუნის განმავლობაში მთავრობის მიერ გახსნილი ერთადერთი სასწავლებელი იყო საქართველოში და მთელს სამხრეთ კავკასიაში, თუმცა მის შესანახად ხაზინას არც ერთი კაპიკი არ დაუხარჯავს.<sup>114</sup> თავიდან ეს სასწავლებელი ორკლასიანი იყო, ხოლო ოციანი წლებიდან ექვსკლასიანად გადაკეთდა. ყრმა ქართველ თავადაზნაურთა გვერდით აქ სწავლობდნენ მუსულმანი ბეგების, სომეხი მელიქების, ჩრდილოეთ კავკასიის მთიელ ნაიბთა, სა-

<sup>113</sup> <http://forum.bakililar.az/lofiversion/index.php/t12481.html>

<sup>114</sup> ტ. ხუნდაძე, ცარიზმი და სახალხო განათლება საქართველოში, თბ., 1948, გვ. 4.



ქართველოს რუსული ადმინისტრაციის მოხელეთა შვილები და სხვ. მთავარი ყურადღება რუსული ენისა და საგნების რუსულ ენაზე შესწავლას ექცეოდა. საქართველოში სახალხო განათლების ისტორიის მკვლევარი ტ. ხუნდაძე შენიშნავს: "სასწავლებლის დაარსება მთავრობის მიერ გამოწვეული იყო არა თვითმპყრობელობის სურვილით, განათლება ჩვენი ქვეყანა (ამაზე ცარიზმი ყველგან ნაკლებად ზრუნავდა), არამედ იმ აუცილებელი საჭიროებით, რომელსაც ცარიზმის სახელმწიფო აპარატი მოითხოვდა - ჰყოლოდა მას "რუსულად განათლებული," რუსული კანონების მცოდნე მოხელეები".<sup>115</sup> საქართველოს მთავარმართებელი პ. ციციანოვი იმპერატორ ალექსანდრე I-ისათვის გაგზავნილ მოხსენებაში მიუთითებდა: "აუცილებელმა საჭიროებამ რუსული ენისა იმ ქვეყანაში, სადაც სამართლისწარმოება ამ ენაზე მიმდინარეობს, სიმცირემ თარჯიმნებისა... მაიძულა მე შემომეტანა საქართველოში განათლების პირველი სხივებიო".<sup>116</sup>

კეთილშობილთა სასწავლებელი მხოლოდ ადგილობრივი პრივილეგირებული ნოდების შვილებისათვის იყო გათვალისწინებული. მოწაფეთა რაოდენობა დიდი არ ყოფილა. რაც შეეხება მასწავლებლებს, მათ უმრავლესობას სათანადო კვალიფიკაცია არ გააჩნდა. სკოლა მკაცრ რეჟიმს ექვემდებარებოდა, სწავლების მეთოდებიც არაპედაგოგიური და ნაკლებ მიმზიდველი იყო. დიმიტრი ყიფიანი, რომელიც XIX საუკუნის 20-იანი წლების დამდეგს ჯერ თბილისის სასულიერო, ხოლო შემდეგ კეთილშობილთა სასწავლებელში სწავლობდა, თავის მემუარებში აღნიშნავდა: "მთელი მაშინდელი პედაგოგიური სიბრძნე ორი უმთავრესი და ამასთან ერთადერთი წესით გამოიხატებოდა. გაკვეთილების სწავლა ზეპირად, ე.ი. შეუგნებლად - მექანიკურად და ყოველი დანაშაულისათვის ხელის გულზე სახაზავის ცემით".<sup>117</sup> ეს რუსული "პედაგოგიური მეთოდი,"

<sup>115</sup> ტ. ხუნდაძე, ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში (80-იანი წლები), თბ., 1940, გვ. 15.

<sup>116</sup> იქვე, გვ. 15.

<sup>117</sup> დ. ყიფიანი, მემუარები, თბ., 1990, გვ. 18-19.



ასე ფართოდ რომ გამოიყენებოდა ორივე სასწავლებელში, არც შემდგომ წლებში უარყვიათ იგი საქართველოს დანარჩენ სკოლებშიც გაავრცელეს.

XIX საუკუნის 50-იან წლებში გიმნაზიებში დამკვიდრებული იყო მოსწავლის ცემის უმსგავსო წესი. "ჯგუფს ერთი უფროსი ჰყავდა და ის ასწავლიდა: ხელში ეჭირა წკეპლა და, შეეშლებოდა თუ არა ბავშვს კითხვა, უცხუნებდა და უცხუნებდა".<sup>118</sup> აკაკი წერეთლის სიტყვით, "იმ დროს მთელი რუსეთი დარწმუნებული იყო, რომ ჭკუა და სიკარგე როზგის ნაყოფიაო. გიმნაზიებშიც, რასაკვირველია, პირველი ადგილი ეჭირა. ... "როტაში" არ უნდებოდათ იმდენი წკეპლა, რაც თვითეულ კლასში. "სტოროუებს" ურმებით მოჰქონდათ ყოველდღე ახალ-ახალი".<sup>119</sup>

მასწავლებლებისაგან "არც ერთი თბილი სიტყვა, არც ერთი მამობრივი დარიგება არ გაგვიგონია. ისინი ჩვენზე მარტო შიშით, ტუქსვით, დასჯით მოქმედებდნენ," იგონებდა ნიკო ნიკოლაძე.<sup>120</sup>

სკოლა ერთგვარ საფრთხობელად იქცა. აი, რას წერდა ამასთან დაკავშირებით გაზეთი "დროება": "ჩვენი დედ-მამები ემუქრებიან თავიანთ შვილებს, რომ "სკოლაში დაგაჭკვიანებენო" და მართლაც, ჩვენ ზოგიერთ სასწავლებელს "დამაჭკვიანებელი" ხასიათი აქვს. ...ამნაირ სკოლებში თავიანთი შემოქმედებით ყმანვილებში აჭკნობენ ყოველს კაცურს ნდობას, ფიქრს და გრძნობას: იქ ყმანვილები ისეთ მდგომარეობამდის მიაღწევენ ხოლმე, რომ იმათ ყველაფერზე გული უცრუვდებათ და არც ერთ საგანზე ცხოველის აზრის წარმოთქმა და ფიქრი აღარ შეუძლიანთ".<sup>121</sup> ამ მოკლე საგაზეთო მასალიდანაც ნათლად სჩანს, რომ ცარიზმისდროინდელი რუსული სკოლა უგულვებელყოფდა ბავშვის "ზნე-ხასიათის წვრთნას," ანუ, როგორც ილია ჭავჭავაძე ამბობდა - "კაცის

<sup>118</sup> ა. წერეთელი, ჩემი თავგადასავალი, ქართული პროზა, წიგნი IX, თბ., 1985, გვ. 56.

<sup>119</sup> იქვე, გვ. 58.

<sup>120</sup> ნ. ნიკოლაძე, მოგონებები, თბ., 1984, გვ. 42.

<sup>121</sup> გაზ. "დროება," 1866 წ., № 24.



გაადამიანებას” და მოზარდს ვერც სათანადო ცოდნა-განათლებას აძლევდა.

სკოლებში ბავშვთა ცემით დასჯა, განსაკუთრებით სახაზავის ხელისგულზე დარტყმა, XIX საუკუნის 80-იან წლებშიც იყო შემორჩენილი. ამავე პერიოდში ქუთაისის გიმნაზიაში არსებულ მდგომარეობას შთამბეჭქდავად აცოცხლებს სამსონ ფირცხალავა. “მონაფეთა და მასწავლებელთ შუა ხიდი იყო ჩატეხილი. მოსწავლეთ სძულდათ მასწავლებელი... მასწავლებლებლებს ისე უყურებდნენ, როგორც მტრებს,” გადმოგვცემს პუბლიცისტი. ს. ფირცხალავა ამის მიზეზად, სრულიად სამართლიანად, სწავლების მეთოდების უვარგისობას და იმას ასახელებს, რომ “მასწავლებლები უცხონი იყვნენ და ადგილობრივ მცხოვრებლებს უნდობლად და უგულოდ უყურებდნენ. ...სულ რუსი მასწავლებლები გვყავდა, რომლებიც რუსულად გვწვრთნიდნენ, რუსულ სულს და შეგნებას გვინერგავდნენ. ...გვიკრძალავდნენ ჩვენი თავისთვის ქართველები გვენოდებინა. ...თუ ორიოდე არარუსი მასწავლებელი იყო, ისინიც გარუსების პოლიტიკას აწარმოებდნენ”.<sup>122</sup>

განათლების სისტემა მთლიანად თვითმპყრობელობის სამსახურში იყო ჩაყენებული. ცარიზმის ანტიხალხური საგანმანათლებლო კურსი, როგორც კოლონიური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, მიმართული იყო იმპერიის განაპირა ხალხების ასიმილაციისაკენ. ცხადია, ამ პოლიტიკას იმპერიის სათანადო სტრუქტურებში თავისი თეორეტიკოსები და იდეოლოგებიც ჰყავდნენ, რომლებიც ამუშავებდნენ, ხვეწდნენ პრაქტიკული მოქმედების ფორმებსა და მეთოდებს. მაგალითად გამოდგება რეაქციონერი კალმოსანი გ. კატკოვი და მისი ყბადაღებული “მოსკოვსკიე ვედომოსტი.” კატკოვი ზიზლით უყურებდა და დასცინოდა დაჩაგრული ერების ნაციონალურ-კულტურულ წამოწყებებს, მათ ტრადიციებს, ენას. არარუსი ხალხები მას მხოლოდ ისტორიის შავ მასალად წარმოედგინა.<sup>123</sup>

მეტროპოლიიდან მიღებული დავალება კარგად ჰქონდათ შეგნებული კავკასიის სასწავლო ოლქისა და სასწავლო დაწე-

<sup>122</sup> ს. ფირცხალავა, მოგონებათა ფურცლები, თბ., 1988, გვ. 17-19.

<sup>123</sup> ა. სურგულაძე, რუსეთი XIX საუკუნეში, თბ., 1973, გვ. 553.

სებულებათა მესვეურებს. ისინი მოქმედებდნენ ინსტრუქციით, რომელშიც აღნიშნული იყო: "კავკასიაში რუსულ სკოლას ორგვარი მიზანი აქვს: ერთის მხრივ, მისცეს ტუზემცებს საკაცობრიო განვითარება, მეორეს მხრივ კი, ნელნელა შეამზადონ ინოროდცები მთლიან რუსულ ოჯახთან შესადულებლად საერთო ინტერესებითა და მისწრაფებებით".<sup>124</sup>

ცარიზმის მოხელეები განმანათლებლურ მისიად მიიჩნევდნენ რუსულის საფუძველზე სვანური თუ მეგრული ანბანების შექმნას, რაც მათთვის არავის უთხოვია და არც ამის საჭიროება არსებულა. ეს ღონისძიება ქართველი ხალხის მთლიანობის საზიანოდ იყო მოფიქრებული და იმით "მართლდებოდა," რომ თითქოს მეგრელები და სვანები ქართველები არ იყვნენ და ცალკე ეროვნებებს წარმოადგენდნენ. ხელისუფლება ისეთ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართველი ერის გათიშვა-დანანევრებას, რომ საამისოდ დიდძალ სახსრებს გამოჰყოფდა და მათ ხარჯვას არ ერიდებოდა. სვანური ანბანი - "ლუშნუ ანბან" 1864 წელს კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების დავალებით ბარტლომეიმ შეიმუშავა,<sup>125</sup> ხოლო მეგრული ანბანის შედგენა, იმპერიის ცენტრიდან საქართველოში სპეციალურად გამოგზავნილ, პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტის კანდიდატს ა. გრენს მიენდო. ინსტრუქცია ანბანის შესადგენად რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში აკადემიკოს რადლოვის ხელმძღვანელობით მომზადდა. "Мингрельская азбука"-ს "შემომქმედი" გრენი თვითონვე წერდა: "ამ ანბანის გამოცემისას მე მხედველობაში მქონდა, თუმცა არაპირდაპირ, როგორმე ნაციონალური ბრძოლისათვის გამომეწვია მეგრელები, რომლებიც უფრო ძლიერი ქართველი ხალხისაგან ითელებიან და, მართლაც, ასეთი ბრძოლა შეუძლებელია საკუთარი, ნაციონალური ანბანის გარეშე, რომლითაც მეგ-

<sup>124</sup> ტ. ხუნდაძე, ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში (80-იანი წლები), თბ., 1940, გვ. 18.

<sup>125</sup> ა. გელოვანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთი (სვანეთი) XIX საუკუნეში, თბ., 2003, გვ. 347.



რელი თავის აზრებს ისე გამოხატავს, როგორც მისი მტვრული  
 ამ შემთხვევაში ქართველი".<sup>126</sup>

ანბანის შექმნის შემდეგ მეგრულად საღვთო წიგნების  
 თარგმნაც დაიწყო. მომდევნო ნაბიჯი სამეგრელოს ეკლესი-  
 ებში ღვთისმსახურების მეგრულ ენაზე გადაყვანა უნდა ყო-  
 ფილიყო, მაგრამ ამ საქმეს წარმატება არ ეწერა. ადგილობ-  
 რივი მოსახლეობა, სამღვდელოების დიდი ნაწილი, მთელი  
 მონინავე ქართველი საზოგადოება წინ აღუდგა რუს "ცივი-  
 ლიზატორთა" ლინგვისტურ ექსპანსიას და დაგმო ცარიზმის  
 მზაკვრული წამოწყება. "მეგრული და სვანური ანბანების  
 შექმნის ცდები აშკარა პროვოკაცია იყო და ერთადერთ მი-  
 ზანს, ქართველი ერის მთლიანობის დარღვევას ემსახურე-  
 ბოდა".<sup>127</sup> ამიტომაც, პრაქტიკულად გამოუყენებელი დარჩა  
 მეგრულ, აფხაზურ და სვანურ ენებზე გამოცემული სამრევ-  
 ლო სკოლებისათვის გამიზნული პირველდანიწყებითი სახელ-  
 მძღვანელოები. ეს წიგნები ისტორიას შემორჩნენ, როგორც  
 სულიერ სფეროში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის მამხი-  
 ლებელი დოკუმენტური წყაროები.

"საქართველო დაცემულია. ...ამ უკანასკნელმა საუკუ-  
 ნემ, რომელიც სულ სხვაგვარ პოლიტიკას დაადგა, სულიც  
 შეუბორკა ქართველობას და ხორციც; ხორციელად ვითომ  
 მშვიდობა მიანიჭა, მაგრამ ყოველგვარი მისი მოქმედება, ყო-  
 ველი ბიჯის გადადგმა მიმართული იყო, რომ სული გაეხ-  
 რნნა, მოეკლა და კიდევაც მიაღწია მიზანს. ...დღევანდელი  
 ქართველები სულითაც შებლაღული ვართ და ხორციითაც,"  
 შენიშნავდა აკაკი წერეთელი.<sup>128</sup>

მართლაც, ცარიზმი უხეშად სდევნიდა დაპყრობილ ხალ-  
 ხთა სულიერ მოძრაობას, რადგან, ფ. ტიუტჩევის სიტყვით,  
 თვითონ მოკლებული იყო ყოველგვარ სულიერ შინაარსს და  
 ეყრდნობოდა მხოლოდ მატერიალურ ძალას. ასეთ ვითარება-

<sup>126</sup> ტრ. რუხაძე, ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში  
 (80-იანი წლები), თბ., 1940, გვ. 104.

<sup>127</sup> თ. გვანცელაძე, მ. ტაბიძე, რ. შეროზია, რ. ჭანტურია,  
 ღვთისმსახურებისა და სასულიერო განათლების ენა, როგორც  
 რუსიფიკატორული პოლიტიკის განხორციელების საშუალება, კრებულში  
 - ქართველური მემკვიდრეობა, ტ. V, ქუთაისი, 2001, გვ. 102.

<sup>128</sup> ა. წერეთელი, რწ. ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. V, თბ., 1990, გვ. 418.



ში, მთელი საუკუნის განმავლობაში საქართველო "რუსეთის ნასუფრალით იკვებებოდა".<sup>129</sup> ნიკო მარი ჯერ კიდევ 1906 წელს პეტერბურგში გამოქვეყნებულ ნაშრომში "История Грузии, культурно-исторический набросок (გვ. 14-15), აღნიშნავდა, რომ "რუსული მთავრობის მიერ საქართველოს სკოლებზე დახარჯული მთელი შრომა უნდა მიჩნეულ იქნეს ქართველი ხალხის განათლების საქმისათვის არა მარტო უსარგებლოდ, არამედ პირდაპირ მავნედ" და დასძინდა: "მთელი ეს სისტემა ისე იყო გაანგარიშებული, რომ ქართველები სამუდამოდ ამოეშალათ რუსეთის კულტურული ხალხების რიცხვიდანო."

რუსეთის იმპერია რომ თავის კოლონიურ სამფლობელოებში ცივილიზაციის გავრცელებისთვის არ იყო მოწოდებული და განათლების, ლიბერალიზმის, ხალხთა განთავისუფლების ნიღბით ახალი ტერიტორიების დაპყრობას, ყოველგვარ ძალადობასა და ჩაგვრას ახორციელებდა,<sup>130</sup> კარგად იყო ცნობილი პროგრესულად მოაზროვნე არაერთი რუსი მოღვაწისათვის. ილია ჭავჭავაძეს მოჰყავს მაგალითი, თუ როგორ ურჩევდა ერთ-ერთი მათგანი იმპერატორ ალექსანდრე III-ს: "თქვენი ხელმწიფება დაამკვიდრეთ კულტურით და კეთილის გამგეობით, და მაშინ ხელმწიფებას თქვენის ენისას წინ არა დაუდგება - რაო".<sup>131</sup>

მიხეილ წერეთელი წერდა: "როგორი კულტურაც შემოიტანა რუსეთმა - ჩვენ კარგად ვიცით! რა კულტურა უნდა შემოეტანა ჯარს, ჩინოვნიკობასა და მექრთამეებს? რა კულტურა უნდა შემოეტანა ციციანოვს, რომლის იდეალიც კაცების თავის კვეთა იყო და სიტყვა-პასუხი - დედ-მამის სულის გინება! რომელი კულტუროსანი კაცი იყო კოვალენსკი და სხვა ჩინოვნიკები, რომელთაც მექრთამეობისა, ქალების საიდუმლო ჭვრეტისა და ლოთობის მეტი არა აგონდებოდათ რა?"<sup>132</sup>

<sup>129</sup> ა. წერეთელი, ჩემი თავგადასავალი, ქართული პროზა, წიგნი IX, თბ., 1985, გვ. 89.

<sup>130</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, соч., изд. II, т. XXII, გვ. 259.

<sup>131</sup> ი. ჭავჭავაძე, შინაური მიმოხილვა, თბ. სრ. კრებული ოც ტომად, ტ. VI, თბ., 1997, გვ. 454.

<sup>132</sup> ულან. "ნიშადური," 1908, №44, 18 მაისი.

“გაგონილა, რომ თავად არაფრის მქონემ მოგცეს რამე? ყვავს რა აქვს, კაჭკაჭს რა მისცესო. ...კულტურას მთვლებოდა. ლი სკვითი საქართველოს როგორ გააკულტუროსნებდა! ...ჩვენში სკვითმა შემოიტანა მათრახი და ხიშტი, ღერბი და მარკა, ჯვარ-მენდალ-აპელატი; გაგვიბატონა ჩინოვნიკი, სწავლების მუნჯური მეთოდი. მოგვისია ხულიგანი და წმინდა წყლის რუსი, - და ეს არის უმაღლესი კულტურის შემოტანა”.<sup>133</sup>

ერთობ საგულისხმო ფაქტს გადმოგვცემს კავკასიაში რუსული ადმინისტრაციის თვალსაჩინო მოხელე კ. ბოროზდინი. ირკვევა, რომ ქრთამი, როგორც თანამდებობის პირის მოსასყიდი საშუალება, ჩვენში რუსებს დაუმკვიდრებიათ. ბოროზდინის სიტყვით, მეფისნაცვლის კანცელარიამ მოიჯარადრე აკოფაშვილს ქუთაისში ჰოსპიტლის აშენება დაუკვეთა. ამ უკანასკნელმა წარადგინა ხარჯთაღრიცხვის პროექტი, რომელშიც ასეთი მუხლიც იყო: ხუთასი თუმანი “საალერსოდ” (“для ласки”). მოიჯარადრემ განმარტა, რომ ეს თანხა გათვალისწინებული იყო მოხელეთა მოსაქრთამად და თუ მას არ გაიღებდნენ, მშენებლობა უფრო ძვირი დაჯდება. ვორონცოვმა დოკუმენტი ისე დაამტკიცა, რომ პროექტიდან ხსენებული მუხლი არ ამოულია.<sup>134</sup> იმპერიული რეჟიმის დროს ქრთამს რომ დიდი გასავალი ჰქონდა, მათ შორის სახელმწიფო სტრუქტურებშიც, მკაფიოდ მოწმობს ყარაბაღის ერთ-ერთი მკვიდრის ფრაზა, რომელიც მას ჯიბეზე ხელის დაკვრით წარმოუთქვამს: “მე კარგად ვიცი რუსული კანონი, იგი აქ ჯიბეში ბევრი მაქვსო”.<sup>135</sup>

ცნობილი რუსი ისტორიკოსი ა. ფადეევიც ადასტურებს, რომ იმპერიის ჩინოვნიკებმა საქართველოში მოიტანეს რუსული ბიუროკრატიის უარესი ტრადიციები: ხაზინის ქურდობა, მექრთამეობა, საქმის შემზარავი გაჯანჯლება, დაბალი

<sup>133</sup> ჟურნ. “ნიშადური,” 1908, №46, 1 ივნისი.

<sup>134</sup> კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი 1854-1861 წწ., თბ., 1934, გვ. 56-57.

<sup>135</sup> მ. თადუმაძე, იმპერიული პოლიტიკა და ნაციონალური მენტალიტეტი, აღმანახი “კლიო,” 2005, № 28, გვ. 185-186.

თანამდებობის პირთა გამყიდველობა და ზემდგომთა თვით-  
ნებობა.<sup>136</sup>

“საზოგადო ხასიათი რუსეთის პოლიტიკისა იმგვარი იყო, რაგვარიც უნდა ყოფილიყო ტლანქ, უკულტურო და ნახევრად აზიური ქვეყნის პოლიტიკა. ... რუსეთი პატარა ერებზე იმარჯვებდა, ხოლო არავითარი უნარი არა ჰქონდა მოქალაქეობრივ წესის დამკვიდრებისა, არა ჰქონდა საორგანიზაციო ნიჭი, არა ჰყავდა მომზადებული სახელმწიფო მოღვაწენი. ერთი სიტყვით, რუსეთი არ იყო მაღალი კულტურის წარმომადგენელი და ამიტომ არ შეინყნარეს იგი ქართველებმაც,” აღნიშნავდა არჩილ ჯორჯაძე.<sup>137</sup>

როცა რუსეთის ცივილიზატორულ როლს ამგვარად ახასიათებდნენ, ქართველ მოღვაწეთათვის, რა თქმა უნდა, კარგად იყო ცნობილი რა სიმაღლეს მიაღწია რუსეთის კულტურამ, ლიტერატურამ, მეცნიერებამ და სხვ. XIX საუკუნეში. არაერთ გამოჩენილ ქართველ მოღვაწესა თუ მოაზროვნეს უმაღლესი განათლება რუსეთის უნივერსიტეტებში ჰქონდა მიღებული. ისინი ნაზიარევი იყვნენ მოწინავე რუსული კულტურის მიღწევებს და დიდადაც აფასებდნენ ამ ფენომენს.

ილია ჭავჭავაძე ხაზგასმით მიუთითებდა, რომ მისი თაობა “აღზრდილი და განსწავლული იყო რუსულს მწერლობა-მეცნიერებაში და უცხო მწერლობაშიც, ისიც რუსულის შემწეობით”,<sup>138</sup> მაგრამ, ერთია რუსეთის კულტურა ზოგადად და სხვაა რუსეთის იმპერიის წვლილი დაპყრობილ ქვეყნებსა და ხალხებში ამ კულტურის გავრცელებაში. იმპერიის მიზანი არასოდეს ყოფილა დამონებულ ხალხთა კულტურული დანინაურება. მეფის მთავრობას ყველაზე მეტად განათლებული ინოვაციების სიმრავლე აფრთხობდა. შემთხვევითი არ იყო, რომ ცარიზმმა თავისი განმანათლებლური მისია საქართველოში XIX საუკუნის დამდეგს თბილისში ორკლასიანი დაწყებითი სასწავლებლის გახსნით დაიწყო და ისე დაასრულა 1917 წლის მარტში, რომ ქართველ ხალხს უნივერსიტეტი არ აღირსა.

<sup>136</sup> А. В. Фадеев, Россия и Кавказ первой трети XIX в., М., 1960, გვ. 243.

<sup>137</sup> ა. ჯორჯაძე, სამშობლო და მამულიშვილობა, თბ., 1990, გვ. 89.

<sup>138</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 3, თბ., 1986, გვ. 278.



რუსეთს არ შეეძლო შეესრულებინა ის როლი საქართველოში, რასაც ასრულებდა, ვთქვათ, ინგლისი ინდოეთში. ცარიზმს არ დაუნერგავს იმ დონის ცივილიზაცია ჩვენს ქვეყანაში და არ შეუქმნია განვითარების იმგვარი პირობები, რომ მათ თავისუფლების წართმევა, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გაუქმება გადაენონოს.

რუსეთის იმპერიის ცივილიზატორული ფუნქცია განაპირა ხალხებზე მეტროპოლიის ბატონობის შენარჩუნების ერთ-ერთი ხერხი იყო. თუ დაპყრობილი ქვეყნის მოსახლეობა იმპერიული ეთნოსის კულტურის უპირატესობას ირწმუნებდა და თვითონაც ამ კულტურის მორჩილი მიმღები და თანაზიარი გახდებოდა, ამით ინოროდცების ლოიალობა კოლონიური რეჟიმისადმი მნიშვნელოვნად უნდა განმტკიცებულიყო.

ალსანიშნავია ისიც, რომ რუსეთი დღესაც არ თმობს იმპერიულ ამბიციას. კვლავ ცდილობს შეინარჩუნოს გავლენა პოსტსაბჭოთა სივრცეზე და ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებზე, არ ივინყებს თავის "ცივილიზატორულ" მისიასაც, რასაც თვალნათლივ მოწმობს ვლადიმირ პუტინის ყოველწლიური მიმართვა ქვეყნის მოქალაქეებისადმი. 2005 წლის ამგვარი მიმართვის ტექსტში ხაზგასმულია: "ევრაზიის კონტინენტზე უდავოდ უნდა გაგრძელდეს რუსი ერის ცივილიზატორული მისია. მისი მიზანია, რომ ეროვნულ ინტერესებზე გამრავლებული დემოკრატიული ღირებულებანი ამდიდრებდნენ და ამტკიცებდნენ ჩვენს ისტორიულ ერთობას".<sup>139</sup>

**"იმპერიის პროგრესული მნიშვნელობა კოლონიური ხალხებისათვის."** კოლონიალიზმმა ძირფესვიანად შეცვალა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის, ასეულობით მილიონი ადამიანის სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური თუ კულტურული იერსახე. კოლონიური დაპყრობები განსაკუთრებული სისასტიკით ხორციელდებოდა. დაპყრობათა პროცესში თუ შემდგომ, ულმობელი ექსპლუატაციისა და ანტიკოლონიური აჯანყებების დროს მილიონობით ადამიანი დაიღუპა. კოლონიალიზმმა მისაგან თავდაღწეულ ქვეყნებს მემკვიდრეობით უძნელესი სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკური და ეთნიკუ-

<sup>139</sup> [http://www.pravozashita.ru/info/arhive/putin\\_2005.shtml](http://www.pravozashita.ru/info/arhive/putin_2005.shtml)



რი პრობლემები დაუტოვა, რომელთა გადანყვეტა დედნელად განსაზღვრავს მათ დღევანდლობასა თუ მომავალს, სასაზღვრო თუ ტერიტორიული დავები, სახელმწიფოთაშორისი თუ ეთნიკური კონფლიქტები მნიშვნელოვანწილად იმპერიულ დაპყრობებს უკავშირდება და სათავეს კოლონიურ წარსულში იღებს.

ვსაუბრობთ რა კოლონიალიზმის ნეგატიურ გამოვლინებებზე, უსამართლობა იქნება არ აღვნიშნოთ ის წარმატებები და ობიექტურად დადებითი ტენდენციები, რაც ასევე დაკავშირებულია იმპერიულ სახელმწიფოთა კოლონიურ ბატონობასთან. კოლონიური ხალხებისათვის იმპერიათა პროგრესული მნიშვნელობა ზოგად შტრიხებში რამდენიმე არსებითი მომენტიტ განისაზღვრება: ყოფილ კოლონიებში გავრცელდა მოწინავე ცივილიზაციური მიღწევები, საფუძველი ჩაეყარა თანამედროვე სახელმწიფოებრიობას, დაინერგა ეკონომიკური საქმიანობის ახალი, პროგრესული ფორმები, დამკვიდრდა ლიბერალური და დემოკრატიული ფასეულობანი და სხვ. კოლონიალიზმმა, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, დააჩქარა დაპყრობილი ხალხების პოლიტიკური გამოღვიძების პროცესი, ხელი შეუწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას და ბრძოლას ეროვნული სუვერენიტეტისათვის. ყოველივე ამას კი შედეგად მსოფლიო კოლონიური სისტემის დაშლა და ათეულობით ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმოშობა მოჰყვა.

ეს განზოგადებანი უფრო დასავლეთ ევროპული იმპერიების ისტორიულ გამოცდილებას ასახავს. მათი მექანიკურად რუსეთის იმპერიაზე გადატანა გაუმართლებელია, რადგან რუსეთი დანინაურებულ დასავლეთს დიდად ჩამორჩებოდა თავისი შესაძლებლობებით. ამასთან, განსხვავებული იყო ისტორიული რეალობაც რომანოვთა იმპერიის პერიფერიებსა და ევროპულ სახელმწიფოთა კოლონიურ სამფლობელოებში. ამიტომ, საბოლოო დასკვნებისას ამ და სხვა სპეციფიკის გათვალისწინება აუცილებელია.

მაგალითად, ზემოთაც აღინიშნა, რომ მეტროპოლია თავის კოლონიებში, უპირველესად საკუთარი საქიროებისათვის, ჰქმნიდა გარკვეულ ინფრასტრუქტურას, გაჰყავდა გზები, რკინიგზა, ტელეფონი, ტელეგრაფი, აგებდა ამა თუ იმ



დანიშნულების ნაგებობებს და სხვ., მაგრამ, ერთია, როცა იმპერიის ცენტრი ამას აკეთებდა სოციალ-ეკონომიკური თვალსაზრისით უალრესად ჩამორჩენილ პერიფერიაში, - ხალხში, რომელსაც სახელმწიფოებრივი ცხოვრების არანაირი ტრადიცია არ ჰქონია და დამოუკიდებლად ცივილიზაციის ხსენებულ დონეს მართლაც ვერ შენვდებოდა და სულ სხვაა თვითმყოფადი კულტურის მქონე ხალხი და ქვეყანა, რომელსაც წარსულში საკუთარი ძალითა და უნარით განვითარების სხვეებზე არანაკლები სიმაღლისათვის მიუღწევია, შემდეგ კი ჟამთა სიავის გამო დანიშნულ სახელმწიფოებს ჩამორჩენია. ასეთი იყო საქართველო და ქართველობა - აღმოსავლური რენესანსის პიონერი, უნიკალური კულტურის, ხელოვნების, ლიტერატურის შემოქმედი ერი და ქვეყანა შუა საუკუნეების ეპოქაში.

ახალ დროში (XIX-XX საუკუნეები), რომლის ერთი ნიშანდობლივი თვისება ინვესტიციების ფართო მოძრაობა და კაპიტალის დაბანდება იყო, ეს კაპიტალი შუამავლის (ამ შემთხვევაში რუსეთის იმპერიული ხელისუფლების) გარეშეც თავისუფლად გაიკვლევდა გზას სამხრეთ კავკასიისაკენაც და გვერდს არ აუვლიდა ორი კონტინენტის - ევროპისა და აზიის შესაყარზე მდებარე საქართველოს. ინფრასტრუქტურის იმ ელემენტარული დონის ნაცვლად, რომელიც საქართველოში შეიქმნა რუსეთის კოლონიური ბატონობის საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, აქ უფრო მოკლე დროში გაცილებით მეტის და უკეთესის მიღწევა შეიძლებოდა. აკი ასეც მოხდა სსრ კავშირის დაშლის შემდგომ სულ რაღაც 10-15 წელიწადში.

როცა ყოფილი კოლონიური ხალხების ისტორიაში ევროპულ იმპერიათა დადებით როლს აანალიზებენ, დასავლელი ავტორები მიანიშნებენ ერთ სადღეისოდ მეტად აქტუალურ გარემოებაზეც. სახელდობრ, დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობაში დასავლურ ღირებულებათა პატივისცემის, მათ შორის, კანონის უზენაესობის აღიარების, ლიბერალიზმის პრინციპებისადმი ადაპტაციისა და სხვა მნიშვნელოვან თვისებათა ფორმირებაზე, რამაც ამ ხალხებს პოსტკოლონიური ცხოვრების დასავლური გზით ტრანსფორმაცია გაუადვილა. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა სამუელ ჰანტიგტონის თვალსაზრისი, რომელიც "ბრიტანეთის კოლონიად ყოფნის

გამოცდილებას” დემოკრატიზაციის პროცესის ხელშემწყობ ფაქტორად განიხილავს,<sup>140</sup> რასაც ვერ ვიტყვით რუსეთის ბატონობას თავდაღწეული ქვეყნების კოლონიურ გამოცდილებაზე.

რუსი მკვლევარი ა. საველიევი ამაოდ ცდილობს ს. ჰანტიგტონის ზემოხსენებული შეხედულება რუსეთის იმპერიასა და მის ყოფილ პერიფერიებზეც გაავრცელოს. ნაშრომში “ერი და სახელმწიფო” იგი აღნიშნავს: რუსეთის იმპერიულმა მოდელმა არაერთ ხალხს საშუალება მისცა, გამხდარიყო მსოფლიო ცივილიზაციის ნაწილი და ტრადიციებისაგან მოუნყვეტლივ, რბილ ფორმებში, გაევლო კულტურული მოდერნიზაციის პროცესი.<sup>141</sup> ძნელი დასაჯერებელია, რომ ბალტიის ხალხებს ან, თუნდაც, საქართველოს დასავლური ტიპის სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში რუსული იმპერიული გამოცდილება დაეხმარათ.

საქართველოსთან მიმართებაში ასევე შეუსაბამოა ბ. შაპტალოვის თვალსაზრისიც, რომ რუსეთი აღმოსავლეთის ხალხების აზიური ცივილიზაციიდან ევროპულში ტრანსფორმაციას ანხორციელებდა.<sup>142</sup> ქართულ სინამდვილეში უფრო პირიქით იყო. ბიზანტიის დაცემის შემდგომ ევროპულ ორბიტას მოწყვეტილ საქართველოს დასავლეთთან უშუალოდ დაკავშირების გზას ჯერ მაჰმადიანური გარემოცვა, ხოლო XIX საუკუნიდან რუსეთი უკეტავდა. რუსული კოლონიური რეჟიმი ჩვენი ქვეყნის ნამდვილ ევროპულ განვითარებას, დაჩქარების ნაცვლად, საგრძნობლად აფერხებდა და სხვ.

რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნა, რა თქმა უნდა, ვერ მიიჩნევა ქართველი ხალხის ისტორიის საუკეთესო და ყველაზე ბედნიერ მონაკვეთად, მაგრამ უნდა ხაზგასმით ითქვას, რომ რუსეთის მფლობელობაში მოქცევამ, მეფის მთავრობის იმპერიული მიზანსწრაფვის საპირისპიროდ, საქართველოსათვის ობიექტურად რიგი დადებითი შედეგიც

<sup>140</sup> ს. დუნდუა, ლიბერალური დემოკრატია და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პროცესი თანამედროვე საქართველოში, თბ., 2001, გვ. 8-9.

<sup>141</sup> А. Савелиев, *Нация и государство*, <http://www.savelev.ru/book/?ch=93>

<sup>142</sup> Б. Шапталов, *Русская экспансия*, М., 2005, გვ. 74.



გამოიღო, რაც ასევე ისტორიული განვითარების აუცილებელი  
 ლობითაც იყო განპირობებული.

კერძოდ, აღიკვეთა მეზობელ მაჰმადიანურ სახელმწიფო-  
 თა აგრესიის საფრთხე და შეწყდა ლეკთა გაუთავებელი თავ-  
 დასხმები, ბოლო მოეღო კარჩაკეტილობას, ტყვის სყიდვასა  
 და ფეოდალურ შინაომებს; გაირღვა ჩვენი ქვეყნის ირგვლივ  
 საუკუნეთა მანძილზე დახშული რკალი და საქართველოს გა-  
 რე სამყაროსთან დაკავშირების ხელახალი შანსი გაუჩნდა. სა-  
 თავადობის ლიკვიდაციამ, ბატონყმობის გაუქმებამ და  
 პროგრესული განვითარების ხელშემწყობმა ბურჟუაზიულმა  
 რეფორმებმა საქართველოსაც სოციალური და ეკონომიკური  
 წინსვლის საშუალება შეუქმნეს. უმთავრესად იმპერიის მიზ-  
 ნებისათვის, მაგრამ მაინც გაყვანილ იქნა გზები და აიგო სარ-  
 კინიგზო მაგისტრალი. გაჩნდა ახალი დასახლებული პუნქტე-  
 ბი, გაიზარდა მოსახლეობის რიცხვი და განმტკიცდა კავშირი  
 ქვეყნის ცალკეულ ნაწილებს შორის. საქართველო გაეცნო და  
 ეზიარა რუსეთის მოწინავე კულტურას, თვალი გაუსწორა და-  
 სავლური ცივილიზაციის მიღწევებს და სხვ.

ცარიზმის დაპყრობითი ომების შედეგად კავკასიაში  
 მშობლიურ წიაღს დაუბრუნდა ადრე თურქთაგან მიტაცებუ-  
 ლი ქართული სამფლობელოები და შესაძლებელი გახდა სა-  
 ქართველოს ტერიტორიული გამთლიანება, მისი გაერთიანე-  
 ბა. ქართული მიწა-წყლის შემოერთებით რუსეთი რეგიონში  
 მეტოქე ირან-ოსმალეთს სჯაბნიდა და თავის იმპერიულ საზ-  
 ღვრებს აფართოებდა, საქართველოსათვის კი ამ ღირსახსო-  
 ვარ მოვლენას ისტორიული სამართლიანობის აღდგენის  
 გარდა პრაქტიკული მნიშვნელობაც გააჩნდა: იგი თავს აღ-  
 ნევდა ხანგრძლივ დაქსაქსულობა-გათიშულობას და პოლი-  
 ტიკურად შეკავშირებული ეროვნული კონსოლიდაციის გზა-  
 ზე გამოდიოდა.

მართალია, თვითმპყრობელობის პოლიტიკურ ნებას არ  
 თანხვდებოდა, მაგრამ რუსეთის საქართველოში დამკვიდრე-  
 ბიდან რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ქართველმა  
 ერმა წართმეული თავისუფლების სანაცვლოდ ეროვნული  
 და ტერიტორიული გამთლიანება, სოციალური და ეკონომი-  
 კური აღმავლობა მოახერხა. ამ ეტაპზე მეტროპოლიის პოზი-  
 ტიური როლი დაპყრობილი ქვეყნის ცხოვრებაში არსებითად



ამოიწურა. ცარიზმის შემდგომმა მპყრობელობამ საქართველოში ცალმხრივად უარყოფითი ხასიათი შეიძინა და აიწივინა ერის პროგრესული განვითარების დამაბრკოლებელ ფაქტორად იქცა.

თუ ზემოთქმულს შევაჯამებთ, შეიძლება დავასკვნათ: საქართველოში რუსეთის ბატონობის დადებითი შედეგები ოდნავადაც ვერ აქარწყლებდა თვითმპყრობელობის კოლონიური პოლიტიკისა და საბჭოური ტოტალიტარიზმის ნეგატიურ გამოვლინებებს. ამიტომაც იბრძოდა ქართველი ერი ასე თავგანწირვით საკუთარი სახელმწიფოებრიობის აღსადგენად და წართმეული თავისუფლების დასაბრუნებლად.

წინამდებარე წერილში საარქივო მასალებზე დაყრდნობით მოთხრობილია, როგორ და რა ვითარებაში დაიდო 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება საქართველოს პირველ რესპუბლიკასა და საბჭოთა რუსეთს შორის, წარმოჩენილია რა ხდებოდა მოსკოვის მოლაპარაკების კულისებში

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წელთაღრიცხვა 1918 წლის 26 მაისს დაიწყო. ახლადშექმნილმა სახელმწიფომ თავი ნეიტრალურ ქვეყნად გამოაცხადა, რაც, ბუნებრივია, საერთაშორისო ომიანობაში ჩაურევლობასა და დანარჩენ სახელმწიფოებთან მშვიდობიანი თანაცხოვრების სურვილს გამოხატავდა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა მეზობელ ქვეყნებთან, პირველ რიგში კი საბჭოთა რუსეთთან ნორმალურ ურთიერთობას.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებას რუსეთი წყენით შეხვდა. ცალკეულმა ბოლშევიკმა ლიდერმა, მათ შორის ვ. ულიანოვ-ლენინმა დასცინა ამ დამოუკიდებლობას. "საქართველოს... დამოუკიდებლობა... სინამდვილეში ეს არის საქართველოს ოკუპაცია და სრული დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ", აცხადებდა პროლეტარიატის ბელადი და რუსეთის სახელმწიფო მეთაური. საბჭოთა რუსეთმა ოფიციალურად არ სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. ამით აიხსნება ის, დიპლომატიის ხანგრძლივი ისტორიისათვისაც კი უცნობი, აბურჩად აგდება და ქედმაღლური დამოკიდებულება, რასაც მოსკოვის ხელისუფლების წარმომადგენლები იჩენდნენ საქართველოს დიპლომატიური მისიისადმი. ძნელია აუღელვებლად წაიკითხო ყოველივე, რაც მოთხრობილია მოსკოვში საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლად დანიშნულ გ. ხუნდაძის 1920 წელს რუსულ ენაზე გამოცემულ წიგნში "საბჭოთა ხელისუფლება და ქართული საელჩო რუსეთში".

ბოლშევიკურ რუსეთს პირველ წლებში საქართველოში ოფიციალური წარმომადგენელი არ ჰყოლია. ამ "მისიას" ას-

\* პირველად დაიბეჭდა გაზეთში „საქართველო“, 1992 წ., 25 სექტემბერი - 2 ოქტომბერი.

რულებდა ჯერ კავკასიის საქმეთა საგანგებო კომისრად დანიშნული ს. შაუმიანი, ხოლო ინგლისელების მიერ დაქველავებული კომისრებთან ერთად შაუმიანის დახვეწის შემდეგ ს. ორჯონიკიძე. როგორც შაუმიანი, ისე ორჯონიკიძე ცნობილი რევოლუციონერები იყვნენ. ორივე მათგანს ბოლშევიკურ და მუშათა წრეებში დიდი სახელი და გავლენა ჰქონდა მოპოვებული. საქართველოსადმი მიმართებაში კი მათ უმთავრეს დანიშნულებას ახლადშექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოსადმი ძირგამომთხრელი საქმიანობა შეადგენდა, რისთვისაც მოსკოვი უხვად ამარაგებდა ოქროთი და იარაღით. მოსკოველ ემისრებს საქართველოში მრავალრიცხოვანი აგენტები გააჩნდათ ადგილობრივი ბოლშევიკებისა და სხვათა სახით, რომლებიც ვერა და ვერ ურიგდებოდნენ რუსეთისაგან საქართველოს გამოყოფას და სახელმწიფოს სათავეში თავიანთი ნახევარძმების სოციალ-დემოკრატ მენშევიკების ჩადგომას.

ლენინი და საბჭოთა რუსეთის მთელი ხელისუფალნი ესწრაფოდნენ საქართველოს გასაბჭოებას და ამ გზით მის კვლავ რუსეთთან დაბრუნებას, მაგრამ რაკი ჯერ საამისოდ ძალა არ შესწევდათ, ქვეყანაში სამოქალაქო ომისა და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის გამო, აქტიური მოქმედებისაგან თავს იკავებდნენ. ლენინი 1918 წლის მაისში საგანგებოდ აფრთხილებდა ს. შაუმიანს: "გირჩევთ სცადოთ ბლოკი ჟორდანიასთან, თუ შეუძლებელია, საჭიროა ლავირება და გადაწვეტილების გაჭიანურება, სანამ არ განმტკიცდებით სამხედრო თვალსაზრისით". ასპარეზი ჯერ დიპლომატიას ეთმობოდა, ხოლო თუ ეს გზა არ გაჭრიდა, გადამწყვეტი სიტყვა ძალას უნდა ეთქვა.

ამოიცნეს თუ არა რუსეთის ხელისუფალთა ეს განზრახვა და მიზანდასახულობა საქართველოში? სამწუხაროდ, ვერა. ყოველ შემთხვევაში, ნ. ჟორდანიას მიაჩნდა, რომ საქართველოსადმი დამოკიდებულებაში მოსკოვს ორი ტენდენცია ჰქონდა: ერთი პოლიტიკური და მეზობლური, მეორე ომპერიალისტური. თითქოს ამ უკანასკნელს მეთაურობდნენ ტროცკი და სტალინი, პირველს კი ლენინი.<sup>1</sup> საარქივო და

<sup>1</sup> ნ. ჟორდანიას, ჩემი წარსული, თბ., 1990, გვ. 117.



სხვა დოკუმენტური მასალით დადასტურებული მოვლენათა შემდგომი განვითარება მოწმობს, რომ ნ. ჟორდანიას სტრატეგია ხედულება მცდარი იყო. გარკვეულ დრომდე ლენინის მართლაც თავშეკავებული დამოკიდებულება საქართველოსადმი მხოლოდ ტაქტიკური ჩანაფიქრი იყო, თორემ პრინციპში საქართველოს გამოყოფა ისევე მიუღებელი იყო ლენინისათვის, როგორც ცარიზმისა და დროებითი მთავრობისათვის, ან თუ გნებავთ, თეთრგვარდიელი რუსი გენერლებისათვის, მაგრამ ამაზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის ქვეყნის შიგნით სტაბილურობის განმტკიცებასთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა უცხოეთის სახელმწიფოთა მიერ მის ცნობა-აღიარებას. ამ მხრივ განსაკუთრებული ინტერესით მოელოდნენ ვერსალის საზავო კონფერენციას, რომელსაც საქართველოს წარმომადგენლობაც ესწრებოდა. მაგრამ ეს დიდი პოლიტიკური თავყრილობა ისე დამთავრდა, რომ იქ ჩვენთვის სანუგეშო ბევრი არაფერი თქმულა. ამ მდგომარეობამ, ნ. ჟორდანიას სიტყვით, ცხადი გახადა "საქმის ისევ რუსეთიდან დაწყების აუცილებლობა".

მართლაც, 1920 წლის გაზაფხულზე საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის, ნ. ჟორდანიას დავალებით მოსკოვს გაიგზავნა დამფუძნებელი კრების წევრი გრიგოლ ურატაძე. მისი შერჩევა ამ მისიისათვის მხოლოდ ერთმა გარემოებამ განაპირობა: "დესპანი უნდა ყოფილიყო ლენინისა და მისი შტაბის ნაცნობი, სოციალ-დემოკრატი, პარტიის ყრილობაზე წამყოფი" (ნ. ჟორდანიას). გ. ურატაძე სოციალ-დემოკრატთა სტოკჰოლმისა და ლონდონის კონგრესის მონაწილე იყო, ხოლო ლენინს ჯერ კიდევ 1911 წლიდან იცნობდა, როგორც ლონჟიუმოს პარტიული სკოლის მსმენელი.

გ. ურატაძე არ ყოფილა დიპლომატი. მას ამ საქმეში არათუ პროფესიონალური მომზადება, რაიმე პრაქტიკული გამოცდილებაც კი არ გააჩნდა. ამიტომ გაკვირვებას იწვევს, როგორ იდო თავს მან ისეთი საპასუხისმგებლო საქმე, როგორიცაა ორ ქვეყანას შორის საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა. ჩვეულებრივ, ამგვარი დოკუმენტის გაფორმებას წინ უსწრებს პროფესიონალ და კომპეტენტურ პოლიტიკოსთა, იურისტთა, სამხედრო საქმის სპეციალისტთა და სხ-



ვათა მრავალმხრივი მუშაობა. გაოცებულნი დარჩნენ რუსი დიპლომატები, როცა საქართველოს დელეგაციის ოფიციალური მიღების დღეს დარბაზში რუსი დიპლომატების წინაშე "რუხი ბლუზით და ჩექმებით" მარტოდმარტო წარსდგა გ. ურატაძე. საარქივო ცნობის თანახმად, მოსკოველთა შეკითხვაზე: სად არის საქართველოს დელეგაციაო, გ. ურატაძეს უპასუხია: "მე ვარ დელეგატი და სხვა არავინ მოსულაო". იმავე ცნობაში ვკითხულობთ: "გაკვირვება იმით იყო თურმე გამოწვეული, რომ მოსკოვი ჩვეული ყოფილა პატარა "ბურჟუაზიული" ქვეყნებიდან, როგორც მაგ. ლატვია, ლიტვა, ესტლანდია და სხვა, დიდძალი შტატებიანი მრავალრიცხოვანი დელეგაციების მიღებას. 30 კაცზე ნაკლები არც ერთი დელეგაცია არ ყოფილა, ასევე ელოდნენ თურმე "ბურჟუაზიული" საქართველოდანაც. როცა დაინახეს, რომ ერთი კაცია საქართველოდან მოსული, მათაც თავის მხრივ ერთი კაცი დანიშნეს, სახელდობრ, საგარეო საქმეთა კომისრის მოადგილე კარახანი".<sup>2</sup> (აქვე შევნიშნავ: მართალია, რუსეთის მხრიდანაც მოლაპარაკებას ოფიციალურად ერთი კაცი, ლ. კარახანი აწარმოებდა, მაგრამ იგი გამუდმებით ღებულობდა ინსტრუქციებს ლენინის, ჩიჩერინისა და მთელი პოლიტიუროსაგან. ცხადია, ამგვარ შესაძლებლობას გ. ურატაძე მოკლებული იყო).

წასვლისას გ. ურატაძეს მთავრობის თავმჯდომარემ მისცა განაწესი, რომლის თანახმადაც საქართველოს წარმომადგენელს უნდა მოეთხოვა რუსეთის მხრივ ჩვენი დამოუკიდებლობის აღიარება და საზღვრების ხელშეუხებლობა. ყველა დანარჩენი საკითხი, ნ. ჟორდანიას სიტყვით, იყო მეორეხარისხოვანი და შეიძლებოდა მოლაპარაკების გზით გადაჭრილიყო.

მოსკოვის მოლაპარაკება პირველი დღიდანვე მეგობრულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა. მოლაპარაკებისას გ. ურატაძემ უმთავრეს საკითხად წამოაყენა საქართველოს სრული დამოუკიდებლობის ცნობა და შინაურ საქმეებში ჩაურევლობა, რაზეც მაშინვე მიიღო თანხმობა. სახელმწიფო საზღვრე-

<sup>2</sup> საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ჰარვა-რდის უნივერსიტეტის ფონდი, საქ. 753.



ბის გამორკვევის დროს, როგორც ეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგის ნ. ქარცივაძის ხელმოწერილ ერთ დოკუმენტშია აღნიშნული, "ურატაძეს უთქვამს, რომ ამ კითხვაში ჩვენს შორის წარმოუდგენელია დავა, ვინაიდან ერთნაჭერ მიწის გარშემო ჩვენ კამათს არ გავაგრძელებთ, ისე კი, იმედი გვაქვს, რომ უზარმაზარი სივრცის პატრონი რუსეთი პატარა საქართველოს არ დაჩაგრავს ამ საკითხშიო. ამ განცხადებას ისეთი გავლენა მოუხდენია, რომ ისინი ეჯიბრებოდნენ თურმე ჩვენს წარმომადგენელს თავაზიანობასა და დემოკრატიაში და არათუ მიიღეს ჩვენს მიერ გავლებული ხაზი, მეხადირთან მათ ჩვენს მოთხოვნას გადააჭარბეს კიდევ და მდინარე პსოუ აღნიშნეს საზღვრად". იმავე დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ რუსეთსა და საქართველოს ეკონომიკურ საკითხშიც ურთიერუპირატესობის პრინციპი მიუღიათ ასევე უდავოდ, "თუმცა საქონლის თავისუფლად გაცვლა-გამოცვლის შესახებ მოლაპარაკების დროს ჰქონია ადგილი ასეთ დიალოგს:

"რა გაქვთ თქვენ რუსეთში შემოსატანი? უკითხავს კარახანს.

- პირველ ყოვლისა, ღვინო, - უპასუხნია ურატაძეს.
- ღვინის სმა რუსეთში აკრძალულია.
- ჩვენ გვაქვს ტყე.
- მთელი რუსეთი ტყე არის, - სიცილით უთქვამს კარახანს და თან დაუძენია: არა უშავს, თქვენ გაიტანეთ, რის გატანასაც მოახერხებთ რუსეთიდან და შემდეგ გავსწორდებით".<sup>3</sup>

საზავო მოლაპარაკების მსვლელობისას გ. ურატაძისთვის კერძო წყაროდან ცნობილი გახდა, რომ საბჭოთა რუსეთის ჯარის ნაწილები აზერბაიჯანის მხრიდან საქართველოს საზღვრებში შემოიჭრნენ და ჩვენს ჯარებთან ომს აწარმოებდნენ. საქართველოს წარმომადგენელს, როგორც თვითონ იგონებს, მიუმართავს ლენინისათვის და განუცხადებია, რომ თუ იგი არ გასცემდა განკარგულებას ომის შეწყვეტის შესახებ, მოლაპარაკებას თავს გაანებებდა. ლენინს

<sup>3</sup> სცსსა, ჰარვარდის უნივერსიტეტის ფონდი, საქ. 753.



უპასუხნია, რომ ამის შესახებ არაფერი იცის, ხოლო "ჭორები ბმა არ უნდა შეუშალოს ხელი მოლაპარაკებასო".

ეს რომ ჭორი არ იყო და სინამდვილეს შეესაბამებოდა, ლენინს იმ დეპეშებიდანაც მოეხსენებოდა, ს. ორჯონიკიძემ ბაქოდან რომ გაუგზავნა: "რამდენიმე დღეში თბილისში ვიქნები, ყველაფერი ბრწყინვალედ გამოვაო". ამასაც რომ თავი დავანებოთ, საბჭოთა რუსეთს უკვე მიღებული ჰქონდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს რამდენიმე ოფიციალური ნოტა. პირველი ნოტა კმაყოფილებით ეგებებოდა საბჭოთა მთავრობის განცხადებას ჩვენი საზღვრების ხელშეუხებლობის შესახებ, მაგრამ აღნიშნავდა, რომ ცენტრალური ხელისუფლების ამ მისწრაფებას ეწინააღმდეგება კავკავში და ბაქოში მყოფი საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლების ზოგიერთი აგრესიული ნაბიჯი საქართველოს მიმართ, ხოლო შემდეგ ნოტაში პირდაპირ იყო მითითებული, რომ აზერბაიჯანის მხრიდან ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებდა რუსეთის წითელი ჯარის 287-ე და 288-ე პოლკები.

ყოველივე ეს, ცხადია, საქართველოდან მოსკოვში გურატაძის სახელზეც გაიგზავნა, მაგრამ, სამწუხაროდ, მას არ გადასცეს.

მას შემდეგ, რაც მოსკოვმა დაინახა, რომ შეუძლებელია საქართველოს "ერთი დაკვრით განითლება" (ჩვენმა ჯარებმა წარმატებით მოიგერიეს შემოჭრილი მტრის ნაწილები), ს. ორჯონიკიძეს ებრძანა, შეენწყვიტა საომარი მოქმედებები და უკან დაეხია.

მოლაპარაკება გაგრძელდა. 5 მაისს გ. ურატაძემ თბილისს გადმოსცა საზავო ხელშეკრულების ტექსტის პროექტი, რომელმაც "საერთოდ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა", მაგრამ იყო რამდენიმე საყოყმანო მუხლი, კერძოდ, მეხუთე, რომლითაც რუსეთი მოითხოვდა საქართველოს დაეცვა მტკიცე ნეიტრალიტეტი და თავის საზღვრებში არ მიეცა ადგილი რუსეთის მოწინააღმდეგე ორგანიზაციებისა და მასთან მტრულად განწყობილ სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალებისათვის. მუხლის ამგვარი ფორმულირება მიუღებელი იყო ქართული მხარისათვის, რადგან იგი ანტანტის ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობას ზღუდავდა. პროექტში



შეტანილ იქნა შესწორება ისეთნაირად, რომ “საბჭოთა რუსეთსაც მტკიცე გარანტიები მივანიჭეთ ჩვენის მხრიდან ყოველგვარის აგრესიობის აღკვეთისა და მეორე მხრით, სავსებით დავიცავით ჩვენი სრული ნეიტრალობა და სუვერენობა და შევინახეთ თავისუფლება ევროპის სახელმწიფოებთან ურთიერთობაში”, - აღნიშნულია საქართველოს საგარეო სამინისტროს ერთ-ერთ იმდროინდელ ბიულეტენში.

სანამ თბილისიდან ამ შესწორებებს გადასცემდნენ, პირდაპირი მავთული გაფუჭდა. იძულებული შეიქნენ ეს ვრცელი შესწორებები შიფრით გადაეცათ რადიოს საშუალებით, რამაც დიდი დრო მოითხოვა. გ. ურატაძეს არ დაუცდია შესწორებების მიღებისათვის და 7 მაისს, ღამის 12 საათზე, ხელი მოაწერა საზავო ხელშეკრულებას.

საქართველოში დაბრუნებულმა ურატაძემ, დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისათვის გაკეთებულ მოხსენებაში, ხელშეკრულების ხელმოწერაზე თავისი აჩქარება შემდეგნაირად ახსნა: მას თურმე “მოსკოვში აჩქარებდა იმის შიში, რომ პოლონეთთან ომის გართულების გამო სამხედრო და საგარეო საქმეთა ხელმძღვანელნი, რომელთაგანაც უმთავრესად დამოკიდებული იყო ჩვენთან საზავო მოლაპარაკება, იძულებულნი იქნებოდნენ მოსკოვიდან წასულიყვნენ ფრონტისაკენ და ეს გააჭიანურებდა მოლაპარაკებას. შემდეგ შესაძლო იყო პირობები შეცვლილიყო და ჩვენთვის ხელსაყრელი გარემოებები ჩვენდა საზიანოდ მოქცეულიყო. ამას გარდა, მოსკოვს ჩავიდნენ ამ დროს სომხების და ოსების დელეგაციები და შესაძლო იყო, თუ მოლაპარაკება საჩქაროდ არ დასრულდებოდა, საზღვრების გამორკვევის დროს მათ ჩვენთვის ხელი შეეშალათ”.<sup>4</sup>

გ. ურატაძის სიტყვით, “მოსკოვის ყველა წრეები საქართველოსთან ზავს დიდის აღტაცებით მიგებებია”. საარქივო ცნობის თანახმად, “დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია აგრეთვე იმ გარემოებას, რომ ჩვენს წარმომადგენელს ოქრო არ მოუთხოვნია. სხვა ყველა დელეგაციები თურმე მოლაპარაკებას ოქროს მოთხოვნით იწყებდნენ” (მართლაც, ხელშეკრულებით ესტონეთთან, ლატვიასთან და ლიტვასთან საბჭო-

<sup>4</sup> სცსსა, ჰარვარდის უნივერსიტეტის ფონდი, საქ. 753.



თა რუსეთი ვალდებულებას კისრულობდა, თითოეული ამ სახელმწიფოსათვის მიეცა ოქროს საკმაო რაოდენობა) მოთხრობა

როგორ შეხვდა ჩვენი ქვეყანა სამშვიდობო ხელშეკრულებას? აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილენ. ქარცივაძე: "რუსეთთან ზავის ხელის მოწერამ ხალხზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ხალხი გამხნევედა და დამოუკიდებლობის დაცვისაკენ მისწრაფება უფრო გაცხოველდა. მთავრობის მდგომარეობაც განმტკიცდა. მოხდა დამფუძნებელი კრების საგანგებო სხდომა, რომელიც ერთსულოვანის კმაყოფილებით შეეგება რუსეთთან ზავს. ქალაქი იმ დღეს ბაირალებით მოირთო და ზარბაზანმა 21-ჯერ გაისროლა. ქუჩებს სადღესასწაულო ელფერი ჰქონდა. საქართველოს ყველა კუთხიდან მოგვდის ცნობები, რომ ხალხი ყოველგან დიდის სიამოვნებით ეგებება ამ ცნობას... მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლებზეც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა რუსეთთან ზავმა და ჩვენი ავტორიტეტი გაიზარდა მათ თვალში".

ეს ყველაფერი სიმართლეა. გარეგნული ეფექტი ხელშეკრულებისა, მართლაც, დიდი იყო. ამ ხელშეკრულებამ, როგორც საერთაშორისო სამართლებრივმა დოკუმენტმა, მნიშვნელოვანად შეუწყო ხელი საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად აღიარებას ევროპის უდიდესი სახელმწიფოების მიერ, მაგრამ თავად ბოლშევიკურ რუსეთთან ურთიერთობა ვერ მოაწესრიგა. საქმე ისაა, რომ ხელშეკრულების ზოგიერთი მუხლი, რომელიც იმთავითვე ბუნდოვანი იყო, შემდეგშიც განუწყვეტელი ურთიერთპრეტენზიების საფუძველს წარმოადგენდა, ვიდრე რუსეთმა საერთოდ არ დაარღვია ხელშეკრულება, როდესაც 1921 წ. თებერვალში ძალდატანებით გაასაბჭოვა საქართველო.

პროფესიონალი დიპლომატი ადვილად შეამჩნევს ხელშეკრულების ხარვეზს. ევგენი გეგეჭკორი 1920 წლის 8 მაისს პირდაპირი მავთულით საუბრისას გ. ურატაძეს ეუბნებოდა: "თქვენს მიერ გადმოცემული ტექსტი ტოვებს სიგელის შთაბეჭდილებას და არა ხელშეკრულებისა ორ თანასწორ მხარეს შორის. ამიტომ შეიტანეთ ნაცვალგების პრინციპი". სამწუხაროდ, უკვე გვიანი იყო. იგივე ე. გეგეჭკორი საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელთათვის განკუთვნილ ერთ-



ერთ წერილში აღნიშნავდა: "რუსეთთან საზავო ხელშეკრულების ზოგიერთი მუხლი ჩვენ არ გვაკმაყოფილებს. ჩვენ ვეცდებით რატიფიკაციის დროს, რომლის უფლება აქვს დამფუძნებელ კრებას და რომელიც უთუოდ უნდა მოხდეს, ამ მუხლებს მივცეთ სხვა სახე და შეძლებისდაგვარად ჩვენ სასარგებლოდ შევსცვალოთ მათი რედაქცია".

1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების რატიფიცირება არ მომხდარა, რადგან დოკუმენტი მასზე ხელის მოწერის მომენტიდან "თვით ფაქტის ძალით" შევიდა ძალაში.

როგორ მოხდა, რომ ორ სუვერენულ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის განმსაზღვრელ ისეთ მნიშვნელოვან დოკუმენტს, როგორიცაა საზავო ხელშეკრულება, ხელი მოაწერეს არა ამ სახელმწიფოთა მეთაურებმა ან დიპლომატიური სამსახურების ხელმძღვანელებმა, არამედ გაცილებით უფრო დაბალი (ყოველ შემთხვევაში საქართველოს მხრიდან მაინც) რანგის მოღვაწეებმა?! 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი აქ ანალოგად არ გამოდგება, რადგან საყოველთაოდ ცნობილია, რომ თავიანთი წარმომადგენლების გ. ჭავჭავაძის, ი. მუხრანბატონის და პ. პოტიომკინის შემდგომ სარატიფიკაციო სიგელებს ხელი მოაწერეს ერეკლე მეორემ და ეკატერინე მეორემ.

1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების რატიფიკაციაზე ამყარებდა იმედს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებაც, მაგრამ ხსენებული დოკუმენტი მასზე ხელისმოწერის დღიდანვე, რატიფიცირების გარეშე შევიდა ძალაში. ამით საერთაშორისო სამართლის ნორმა არ დარღვეულა, რადგან ეს სამართალი იცნობს სხვა არაერთ დოკუმენტს, რომლებიც "ფაქტის ძალით" შესულან კანონიერ მოქმედებაში.

რაც შეეხება ბოლშევიკურ რუსეთს, მისთვის სულ ერთი იყო ვისი ხელმოწერა ექნებოდა საქართველოსთან დადებულ ხელშეკრულებას, რადგან მას თანაბრად შეეძლო დაერღვია როგორც ლენინის, ისე კარახანის ხელმოწერილი დოკუმენტი. ეს მით უფრო, რომ საქართველო იმთავითვე მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ორბიტაში იყო მოქცეული. ამ მიზნის მისაღწევად კი საბჭოთა რუსეთი პრინციპებს არ დაგიდევდათ.

  
საქართველოში  
გენერალიზაცია

**რუსეთის წითელი არმიის ნაწილების თავდასხმა  
საქართველოზე 1920 წელს  
და ქართული პოლიტიკური სპექტრი\***

1990 წლის 1 სექტემბერს მოსკოვში საქართველოსა და რუსეთს შორის ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება დაიდო. ხელშეკრულების ხელმოწერის დროს, მაშინ რუსეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ბორის ელცინმა განაცხადა: “მთელი თავიანთი ერთობლივი ისტორიის მანძილზე... რუსეთსა და საქართველოს არასოდეს უომიათ ერთმანეთთან, არ ჰქონიათ დავა საზღვრების გამო, არაფერი ჰქონიათ გასაყოფი”<sup>1</sup> (1).

ეს თვალსაზრისი უაღრესად მცდარია და არ ასახავს რეალობას. ჩვენთვის ნაკლები მნიშვნელობა აქვს საკითხს, იცოდა თუ არა დიდი ქვეყნის პოლიტიკურმა წინამძღოლმა წარსული. უფრო საგანგაშო მის მიერ ისტორიის აბუჩად აგდება იყო.

ამ თემას მაშინ პრესაში საგანგებოდ გამოვეხმაურე. გამოვაქვეყნე წერილი სათაურით: “ყოფილა ომი რუსეთსა და საქართველოს შორის?”<sup>2</sup> აღვნიშნავდი: რომ არაფერი ითქვას რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართულ XIX ასწლეულის პირველი მესამედის იმ აჯანყებებზე, რამდენჯერმე რომ იფეთქეს აღმოსავლეთ თუ დასავლეთ საქართველოში, მეოცე საუკუნეშიც კი ამ ქვეყნებს შორის ომის ფაქტს ორჯერ ჰქონდა ადგილი. პირველად 1920 წლის მაისში, ხოლო მეორედ 1921 წლის თებერვალ-მარტში.

ბუნებრივია, გაჩნდება კითხვა: თუ ორ სახელმწიფოს ერთმანეთში უომიათ, როგორ შეიძლება იგი დაიმალოს? ამგვარი რამ მხოლოდ კომუნისტურ რეჟიმს და მის მსახურ საბჭოურ ისტორიოგრაფიას შეეძლო. ისტორიის

---

\* პირველად დაიბეჭდა კრებულში „რუსეთი და საქართველო: აგრესიის გაკვეთილები“, თბ., 2008.

<sup>1</sup> ვაზ. „კომუნისტი, 1990 წ., 3 სექტემბერი.

<sup>2</sup> ვაზ. „სიმართლე,“ 1990 წ., 13 ნოემბერი.



ფალსიფიცირების მეთოდი საბჭოთა სინამდვილემ გარკვეულწილად მეფის რუსეთისაგან იმემკვიდრეობა ტაბიძის სიტყვით რომ ვთქვათ, "არსად ისე არ დამსგავსებია ისტორია ზღაპარს, როგორც რუსეთში." მართლაც, რუსეთის ხელისუფალთ და მათ კვალზე მავალ ისტორიკოსებს ჰყოფნიდათ სითამამე, წარსული მათთვის სასურველ პოლიტიკურ ყაიდაზე გაემართათ, რუსეთის სახელმწიფოსათვის საჩოთირო ფაქტები მიეფუჩეჩებინათ ანდა თავიანთ სასარგებლოდ შეელამაზებინათ. ახერხებდნენ, სხვა ქვეყნის დაპყრობისათვის მისი განთავისუფლება ეწოდებინათ, ბოროტება სიკეთედ გაესაღებინათ, რუსეთის ავკაცობა საგანგებოდ დაეფარათ და ძალადობა სათნოებად წარმოეჩინათ.

წინამდებარე პუბლიკაცია რუსეთ-საქართველოს შორის "დამალულ" ომს, სახელდობრ 1920 წლის გაზაფხულზე საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ განხორციელებულ აგრესიას შეეხება.

რა კოლიზია არსებობდა ბოლშევიკურ რუსეთსა და დემოკრატიულ საქართველოს შორის, რამ მიიყვანა ეს ორი სახელმწიფო ომამდე 1920 წელს, მითუფრო, რომ მათგან ერთი - საქართველო იმ ხანად ნეიტრალურ ქვეყანას წარმოადგენდა? მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს, რომ ნეიტრალურ სახელმწიფოს ოდესმე ომი წამოეწყოს და სხვა ვინმეს თავს დასხმოდეს. გამონაკლისი არც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა გამხდარა. რაც შეეხება რუსეთს, - იგი დიდი მთავრით, მეფე-იმპერატორით, სახკომსაბჭოს თავმჯდომარითა თუ პრეზიდენტით სათავეში მუდამ მოქმედებდა და მოქმედებს "ძლიერის უფლებით," საგარეო ურთიერთობებს წარმართავს პრინციპებით: "ძლიერი იმორჩილებს სუსტს" და "გამარჯვებულებს არ ასამართლებენ." განსხვავება ის არის, რომ თუ მეფის რუსეთი ამას აშკარადაც აკეთებდა, საბჭოთა რუსეთი შეგნებულად ინიღბებოდა, რათა მსოფლიო საზოგადოებისათვის თვალი აეხვია და პასუხისმგებლობა ჩადენილის გამო თავიდან აეცილებინა. ასევე იქცევა

თანამედროვე რუსეთიც,<sup>3</sup> მაგრამ ჩვენ დაეუბრუნდეთ ძირითად თემას.

ცარიზმის დამხობის შემდგომ საქართველომ თავი დააღწია რუსეთის ხანგრძლივ იმპერიულ ბატონობას და ეროვნული სახელმწიფოებრიობა აღიდგინა. შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც მშვიდობიანი, დემოკრატიული აღმშენებლობის გზას დაადგა. მოკლე დროში ჩამოყალიბდა სახელმწიფო ინსტიტუციები, გაიმიჯნა საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება. დამოუკიდებელი ქვეყნის მმართველ ძალას ქართველი სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები) წარმოადგენდნენ. მართალია, თავდაპირველად მთავრობა კოალიციური პრინციპით შეიქმნა, მაგრამ მასში, ისე როგორც საქართველოს ეროვნულ საბჭოში, სოციალ-დემოკრატები დომინირებდნენ. ამ პარტიამ დიდი უპირატესობით გაიმარჯვა 1919 წლის თებერვალში ჩატარებულ დამფუძნებელი კრების დემოკრატიულ არჩევნებში, 130 ადგილიდან 109 სადეპუტატო მანდატი მოიპოვა და მთავრობა ერთპარტიული პრინციპით დააკომპლექტა.

საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელისუფლებო ძალები საერთო წარმომავლობისანი იყვნენ. ბოლშევიზმიცა და მენშევიზმიც 1903 წელს აღმოცენებული რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის - რსდმპ-ს წიაღში იშვა, წლების განმავლობაში ორივე მიმდინარეობის წარმომადგენლები ერთ ორგანიზაციაში ირიცხებოდნენ, საერთო მიზნებს მსახურობდნენ, თანამშრომლობდნენ და, ცხადია, ერთმანეთსაც კარგად იცნობდნენ. მას შემდეგ, რაც ვ. ლენინის მეთაურობით ბოლშევიკები რუსეთში სახელმწიფო საჭეს დაეუფლნენ, ხოლო საქართველოს პოლიტიკური მართვის სადავეები ხალხმა სოციალ-დემოკრატებს მიანდო, ძველ თანაპარტიელთა გზები საბოლოოდ გაიყარა, მათი

<sup>3</sup> ო. ჯანელიძე, ორი რუსეთი (მითი და რეალობა), საქართველოში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ნარკვევები, წიგნ. 1, თბ., 2007, გვ. 12.



ამხანაგობა-მეგობრობაც წარსულს ჩაბარდა და დაგინყებას მიეცა.

საქართველომ ზურგი აქცია რუსეთში დამკვიდრებულ დიქტატორულ რეჟიმს, თავი ნეიტრალურ ქვეყნად გამოაცხადა და განვითარების დასავლური კურსი აირჩია. ერთი შეხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ საქართველოსთან რუსეთის დაპირისპირება ამ გარემოებამ გამოიწვია, მათ შორის მდგომარეობაც ამიტომ დაიძაბა და გამწვავდა. მაგრამ ეს მხოლოდ ზედაპირული თვალსაზრისია. სინამდვილეში, წინააღმდეგობის სათავე უფრო სიღრმეშია საძიებელი.

ცნობილია, რომ ლენინისა და ბოლშევიკური ელიტის დამოკიდებულება რუსეთისაგან გამოყოფილი ქართული სახელმწიფოსადმი იმთავითვე ნეგატიური იყო. საბჭოთა რუსეთის უმაღლეს პოლიტიკურ წრეებში საქართველო კვლავ რუსეთის ნაწილად წარმოედგინათ და მის სუვერენიტეტს არ აღიარებდნენ. მეტიც, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას კრემლში მტრულ ქვეყნად განიხილავდნენ და აუცილებლად მიიჩნევდნენ მის განადგურებას.<sup>4</sup>

აღსანიშნავია, რომ ზუსტად ასეთივე იყო რუსეთის თეთრგვარდიელთა (მოხალისეთა არმია, გენერლები მ. ალექსეევი, ა. დენიკინი და სხვ.) მიმართება თავისუფალი საქართველოსადმი. ბოლშევიკებისა და ძველი რუსეთის მოტრფიალე თეთრგვარდიელთა მსოფლმხედველობრივი შეხედულებები ერთმანეთისაგან დიამეტრულად განსხვავდებოდა, ეს ძალები ურთიერთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ ერკინებოდნენ, მაგრამ საქართველო არც ერთს ეთმობოდა და არც მეორეს. მის დაკარგვას ვერ ურიგდებოდნენ, ესწრაფოდნენ ხელახლა დაეპყროთ და დაემორჩილებინათ “კავკასიის მარგალიტი.”

გაზეთი “საქართველო” ჯერ კიდევ 1920 წელს მართებულად შენიშნავდა: “რანაირი შინაარსიც არ უნდა მიიღონ ფერებმა რუსეთში (წითელი, თეთრი თუ მწვანე),

<sup>4</sup> მ. ვაჩნაძე, ვ. გურული, საქართველო-რუსეთის ურთიერთობა. ისტორია. შედეგები. გაკვეთილები, თბ., 2001, გვ. 26.

ცხადია ერთი რამ: რუსეთი არ შეიცვლის თავის დამოკიდებულებას საქართველოსადმი”.<sup>5</sup>

ბოლშევიკები განსხვავებულ აზრს ნაკლებად იწყნარებდნენ, მითუფრო სახელისუფლო წრეებში. ამიტომ თითქმის ყველა ხელმძღვანელი მუშაკი იზიარებდა ლენინის თვალსაზრისს, რომ “საქართველოს დამოუკიდებლობა . . . სინამდვილეში ეს არის საქართველოს ოკუპაცია და სრული დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ”.<sup>6</sup>

რუსეთის კომუნისტური ისტებლიშმენტი ყოველგვარი დასაბუთების გარეშე აცხადებდა: არ ვცნობთ საქართველოს დამოუკიდებლობას, რადგან ქართველი ხალხის უმრავლესობა მას არ იწონებსო. ეს იმ დროს, როდესაც თვითონ ხელისუფლებას სწორედ ხალხის ზურგს უკან, სისხლიანი გზით დაეუფლნენ და ლეგიტიმური დამფუძნებელი კრებაც ძალით გარეკეს. ქვეყანაში მიმდინარე სამოქალაქო ომი და უცხოეთის სამხედრო ინტერვენცია კრემლს ხელ-ფეხს უბორკავდა, საქართველოს წინააღმდეგ მასშტაბური გამოლაშქრების საშუალებას არ აძლევდა. ამასთან, მოსკოვი იძულებული იყო, ანგარიში გაენია იმ ფაქტისათვის, რომ საქართველოში ერთხანს გერმანიის, შემდეგ კი დიდი ბრიტანეთის სამხედრო შენაერთები იდგნენ და არც გამარჯვებულ სახელმწიფოთა პარიზში მიმდინარე კონფერენციას გადაეწყვიტა საბოლოოდ ახლად წარმოშობილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბედი.

ამ ხელისშემშლელი გარემოებების მიუხედავად, საბჭოთა რუსეთის მესვეურები მაინც ამზადებდნენ ნიადაგს საქართველოში შემოსალწნევად, ქმნიდნენ მეხუთე კოლონას, აფართოებდნენ თავიანთ სოციალურ ბაზასა თუ პოლიტიკურ დასაყრდენს.

რა ძალები ეგულებოდა მოსკოვს საქართველოში მისთვის სასურველი მიზნის მისაღწევად? პირველ რიგში, ადგილობრივი ბოლშევიკები, მაგრამ ისინი არც მრავალრიცხოვნობით გამოირჩეოდნენ და არც

<sup>5</sup> გაზ. “საქართველო,” 1920 წ., 16 თებერვალი.


<sup>6</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, თბ., 1952, გვ. 8.

მოსახლეობაზე ზეგავლენით. მეხუთე კოლონაში აქტიური როლი უნდა შეესრულებინათ პრობოლშევიკური ორიენტაციის აფხაზ და ოს სეპარატისტებს, საქართველოში მცხოვრებ რუსი და სომეხი მოსახლეობის ნაწილს, თავიანთი ანტიქართული სულისკვეთებით გამოჩნულ რუს სამღვდლოებასა და რუსთა ეროვნულ საბჭოს. ამ უკანასკნელს კრემლის მიერ ოფიციალურად რუსეთის მოქალაქეთა ინტერესების დაცვა ჰქონდა მინდობილი სამხრეთ კავკასიაში, მაგრამ საბჭო მთელი თავისი არსებობის განმავლობაში ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ ბრძოლით უფრო იყო დაკავებული, ვიდრე თანამემამულე რუსებზე ზრუნვით.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებისათვის ამ ძალების მიზნები და საქმიანობა კარგად იყო ცნობილი. ეჭვს არც ის ინეგუდა, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ბოლშევიკთა მიერ მოწყობილი გამოსვლების (მათ შორის აჯანყებები დუშეთის მაზრაში, აფხაზეთში, შიდა ქართლის ოსებით დასახლებულ თემებში და სხვ.) უკან საბჭოთა რუსეთი იდგა. ნოე ჟორდანიას სიტყვით, ბოლშევიკური რუსეთი საქართველოს უპირისპირდებოდა "იდეოლოგიურად და ნაციონალურად." მთავრობა ზრუნავდა, რომ "ხალხში გასავალი არ ჰქონოდა მოსკოველთა პროპაგანდას, არ მომხდარიყო აზრთა და გზათა არეგ-დარევა, ყოფილიყო ფართე მასების მიერ გაგებული და შეგნებული ჩვენი და მათი ნყოფის, . . ცხოვრების წესების განსხვავება".<sup>7</sup>

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ესწრაფოდა ყველა გარემომცველ ქვეყანასთან, მათ შორის საბჭოთა რუსეთთანაც, მშვიდობიანი და კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას. თბილისში არ გამოირიცხავდნენ ჩრდილოელ მეზობელთან პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის შესაძლებლობას, ეძიებდნენ კიდევაც საამისო გზებს, ოღონდ წინაპირობად რუსეთის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღიარებას ასახელებდნენ

<sup>7</sup> ნ. ჟორდანი, ჩემი წარსული, თბ., 1990, გვ. 107.



საქართველოს მთავრობამ დიპლომატიური წარმომადგენელი რუსეთში 1918 წელსვე წარგზავნა, მაგრამ ქართველ დესპანს გაბრიელ ხუნდაძეს იქ ნორმალური მუშაობის საშუალება არ მიეცა. რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლება გაურბოდა საქართველოსთან რაიმეგვარ კავშირს, აკრძალა მისი წარმომადგენლობა მოსკოვში, ხოლო მისიის მეთაური დააპატიმრა და ციხეში ჩასვა.

ბოლშევიკთა პროვოკაციებს, საქართველოს წინააღმდეგ საბჭოთა რუსეთის ხან ფარულ, ხანაც აშკარა აგრესიას საქართველოში არ მოჰყოლია ანტირუსული ისტერია, რუსი მოსახლეობის დევნა და ქვეყნიდან დეპორტაცია. პირიქით, საკუთარი სამშობლოდან პროლეტარულ რეჟიმს გამოქცეული რუსი ინტელიგენციის მრავალი წარმომადგენელი საქართველოს ეკედლებოდა, აქ მყუდრო ნავსაყუდელს ჰპოვებდა და მოღვაწეობას განაგრძობდა.

ქართული სახელმწიფოებრიობის განახლების წინა პერიოდსა და დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წლებში საქართველოში ოთხი ძირითადი პარტია ფუნქციონირებდა. მართალია, ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური სპექტრი გაცილებით მრავალფეროვანი იყო, მაგრამ სადეპუტატო მანდატებს მხოლოდ ხოციალ-დემოკრატიული, სოციალისტ-ფედერალისტური, სოციალისტ-რევოლუციონერთა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიები დაეუფლნენ. ყველა მათგანს საქართველოს დამფუძნებელ კრებაში საპარლამენტო ფრაქცია გააჩნდა.

სოციალ-დემოკრატები უმრავლესობასა და მმართველ პარტიას წარმოადგენდნენ, სხვებმა ოპოზიციის სხვადასხვა ფრთა შეადგინეს. ოპოზიციური ფრაქციები ერთობ მცირერიცხოვანი იყვნენ, მაგრამ მკაფიოდ ასახავდნენ მოსახლეობის სხვადასხვა ფენისა თუ წრის ინტერესებს. ქართველი ფედერალისტებისა და ესერთა პარტიები სოციალისტურ იდეოლოგიას ერთგულებდნენ. ორივე მათგანი მემარცხენე ოპოზიციას განასახიერებდა და მთავრობას სოციალისტური პრაქტიკისაგან გადახვევისათვის უპირისპირდებოდა. რაც შეეხება




საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას ზეკლასობრივი პოლიტიკური ძალა, ზოგადეროვნული ინტერესების გამომხატველი ორგანიზაცია იყო, იცავდა კერძო საკუთრების პრინციპს, მოითხოვდა ზომიერი ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას და ეკავა მემარჯვენე ოპოზიციის ნიშა.

მემარცხენე თუ მემარჯვენე ოპოზიციის წარმომადგენლები, რომლებიც მმართველ სოციალ-დემოკრატიულ პარტიასა და მთავრობას მუდმივად აკრიტიკებდნენ სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის სხვადასხვა სფეროში დაშვებული ხარვეზებისათვის, მერყეობისათვის საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციაში და ა.შ., ბოლშევიზმის შეფასების საკითხში ხელისუფლებასთან თანაზიარნი იყვნენ.

ქართულ პოლიტიკურ ძალებს სწორად ჰქონდათ გაცნობიერებული ბოლშევიკური რეჟიმის არსი. ისინი ბოლშევიზმს რეაქციულ, ქართველი ერის მიზნებისა და იდეალებისათვის სრულიად მიუღებელ მიმდინარეობად აღიქვამდნენ. დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ბოლშევიზმის საქართველოში შემოღწევა ძირს გამოუთხრიდა ქართულ სახელმწიფოებრიობას, გამოიწვევდა ეროვნული თვითმყოფადობის მოსპობას და სხვ. მაგრამ ქართველი პოლიტიკოსები არც იმას ივინყებდნენ, რომ ბოლშევიზმი რუსეთში გაბატონებული სახელმწიფოებრივი ძალაც იყო და იგი ანგარიშის განევას საჭიროებდა.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე გიორგი გვაზავა აცხადებდა: "თუმცა ბოლშევიკთა შეხედულება და მოძღვრება ჩვენთვის მისაღები არ არის, მაგრამ ვინაიდან მათ უჭირავთ მთელი სახელმწიფო, ჩვენ შეგვიძლია ვიქონიოთ მოლაპარაკება, ... როგორც სახელმწიფოსთან".<sup>8</sup> ასეთივე აზრისა იყო სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაც. მისი ერთ-ერთი ლიდერი სამსონ ფირცხალავა მიუთითებდა: "უნდა განვაგრძოთ მშვიდობიანი პოლიტიკა რუსეთის

<sup>8</sup> საქართველოს დამფუძნებელი კრება. სტენოგრაფიული ანგარიში, 1919 წლის 17 აპრილის სხდომა, გვ. 39.



ბოლშევიკების მიმართ და ყოველი ღონისძიება ვიზმაროთ და დავამყაროთ მათთან წესიერი მეზობლური ურთიერთობა<sup>9</sup>.

საყურადღებო თვალსაზრისს გამოთქვამდა დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის პერიოდული ორგანო, გაზეთი "კლდე." მის ფურცლებზე ვკითხულობთ: "რუსეთთან მორიგებაზე ლაპარაკი უთუოდ მისაღებია, მაგრამ ერთ საფუძველზე: რუსეთმა ერთხელ და სამუდამოდ ხელი უნდა აიღოს საქართველოზე და აზრადაც არ უნდა გაიტაროს საქართველოზე ამა თუ იმ სახით თავისი გავლენის დამყარება. საქართველოს სუვერენობა საფუძველად უნდა დაედოს ჩვენს პოლიტიკას და ეკონომიკურ ურთიერთობას სხვა სახელმწიფოებთან." სტატიის დასასრულს მითითებული იყო ერთ მეტად მნიშვნელოვან გარემოებაზეც, კერძოდ, გაზეთი ხაზს უსვამდა შემდეგს: "შეიძლება ეკონომიკური ურთიერთობის დამყარება, პოლიტიკური ძაფის გაბმა რუსეთთან, მაგრამ აბსოლუტური დამოუკიდებლობის ნიადაგზე" და, რომ "შესაძლოა, რუსეთი ამაზე დასთანხმდეს, მაგრამ ჩვენ უნდა მივიღოთ საერთაშორისო გარანტიები".<sup>10</sup>

ქართული პოლიტიკური ელიტა ერკვეოდა ბოლშევიზმის აგრესიულ ბუნებაში, გრძნობდა ბოლშევიკური რუსეთისაგან მომდინარე საფრთხის სერიოზულობასაც და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაზე ზრუნვის პარალელურად ამ სახელმწიფოსთან მშვიდობიანი ურთიერთობის მიღწევის გზებსაც დაეძებდა.

სრულიად განსხვავებულ მიზნებს ისახავდნენ თავად რუსეთში. სანამ მოსკოვს სამხრეთ კავკასიის საკითხის "გადანყვეტის" შესაძლებლობა არ გააჩნდა, ლენინმა საქართველოსა და აზერბაიჯანის რუსეთში მიმდინარე სამოქალაქო ომში ჩათრევის გეგმა მოსინჯა. 1920 წლის დასაწყისში მან ამ ქვეყნების მთავრობებს მოხალისეთა

<sup>9</sup> გაზ. "სახალხო საქმე," 1920 წ., 18 ნოემბერი.

<sup>10</sup> გაზ. "კლდე," 1920 წ., 30 აპრილი.



არმიის წინააღმდეგ ერთობლივი გამოსვლის სამხედრო კავშირის დადება შესთავაზა.<sup>11</sup>

ნოე ჟორდანიამ გამოიცნო ლენინის წინადადების ავანტიურისტული არსი და მოსკოვს სამხედრო კავშირზე უარი შეუთვალა. იგივე მოიმოქმედა აზერბაიჯანის ხელისუფლებამაც, რომელსაც საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან 1919 წლის ივლისიდან თავდაცვითი ხელშეკრულება აკავშირებდა.

მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიული საქართველო სამხედრო კავშირზე ვერ დაიყოლია, საბჭოთა რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ამ ქვეყნისადმი ინტერესი არ განელებია.

ბოლშევიკები მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციაზე ოცნებობდნენ და საერთაშორისო მასშტაბით მისი განხორციელების გეგმებს ამუშავებდნენ. ამ გეგმებში საქართველოს დიდმნიშვნელოვანი ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული. კერძოდ, “თბილისს მოსკოვის როლი უნდა ეთამაშა აღმოსავლეთში”. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბოლშევიზმის შეღწევა მახლობელ აღმოსავლეთში კრემლს საქართველოს მეშვეობით წარმოედგინა.

რაკი საერთაშორისო რევოლუციის უმთავრესი მიმართულება აღმოსავლეთი იყო, მისკენ მიმავალი გზა კი საქართველოზე გადიოდა, რუსეთი უნდა დაუფლებოდა ამ გზას, უნდა “გაესაბჭოებინა” საქართველო.

მოსკოვში ამ მიზნით ორი პროექტი იქნა შემუშავებული. დასახული ამოცანის გადაწყვეტას პირველი მშვიდობიანი საშუალებით, ხოლო მეორე სამხედრო ჩარევით ითვალისწინებდა. რომელს მიენიჭებოდა უპირატესობა, რომელი პროექტი ამოქმედდებოდა მთელი ძალით, ბევრწილად დამოკიდებული იყო საერთაშორისო ვითარებაზე, ასევე იმაზეც, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები თვით რუსეთსა და საქართველოში. ჯერ-ჯერობით კი მუშაობა ორივე მიმართულებით წარმოებდა.

<sup>11</sup> საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (სცსსა), ფ. 1867, ანან. 1, საქ. 19, ფურც. 16.



ვ. ლენინი დათანხმდა საქართველოს მთავრობის წინადადებას, დაეწყოთ მოლაპარაკება სახელმწიფოთა ურთიერთცნობისა და აღიარების თაობაზე. ამ მიზნით საქართველოდან მოსკოვს წარგზავნილ იქნა დამფუძნებელი კრების წევრი გრიგოლ ურატაძე. რუსეთის ინტერესების დაცვა მოლაპარაკებებში საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ლევ კარახანს მიენდო.

კრემლში ფიქრობდნენ, რომ თუ დიპლომატიური მოლაპარაკება მათთვის სასურველ შედეგს ბოლომდე ვერ მოიტანდა, საქართველოს ყურადღებას მაინც მოადუნებდა და ასეთ შემთხვევაში სამხედრო ჩარევის გეგმა უფრო ეფექტურად იმოქმედებდა.

სამხედრო ოპერაცია რუსეთის წითელი არმიის შენაერთებმა რეგიონში პირველად აზერბაიჯანის რესპუბლიკაში განახორციელეს. ეს მოხდა 1920 წლის აპრილის დამლევს. ქვეყნის ხელისუფლებას ბოლშევიკური ინტერვენციისათვის დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევია, აზერბაიჯანში საბჭოთა წყობილება უმტკივნეულოდ დამყარდა.

სერგო ორჯონიკიძემ, რომელსაც კავკასიის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებების პოლიტიკური ხელმძღვანელობა ჰქონდა დავალებული, აზერბაიჯანში მიღწეული წარმატების შემდეგ, მიიჩნია, რომ საქართველოსაც იოლად გაუსწორდებოდა. მან ჯარის ნაწილები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრებისაკენ დაძრა და იმაში დარწმუნებულმა, რომ 10-12 დღეში დედაქალაქს აიღებდნენ, მოსკოვში დეპუტა აფარინა - რამდენიმე დღეში თბილისში ვიქნები, "ყველაფერი ბრწყინვალედ გამოვაო." მაგრამ ყველაფერი "ბრწყინვალედ" ვერ გამოვიდა, საქართველო იოლად არ დანებდა და მომხდურს საკადრისი წინააღმდეგობა გაუწია. ამასთან, თვით რუსეთში შეცვლილმა ვითარებამ, ს. ორჯონიკიძეს წამოწყებულ შეტევაზე ხელი ააღებინა.

სწორედ იმ დღეებში ბოლშევიკური რუსეთისაკენ პოლონეთიდან პილსუდსკი დაიძრა და კიევი აიღო. იმავდროულად ყირიმში გააქტიურებულმა ვრანგელმა დესანტი ყუბანში გადასხა. დამატებით კიდევ ერთ ფრონტზე



ბრძოლას რუსეთი ველარ შესძლებდა. ამას დაემატა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის კენზონის მოთხოვნაც, რომ მოსკოვს შეეჩერებინა საომარი ოპერაციები ყირიმსა და კავკასიაში. თავის მხრივ, საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ შეძლო თავდაცვა და აზერბაიჯანიდან შემოჭრილი ოკუპანტები უკუაქცია.

ამ ამბებში საკვირველი ის იყო, რომ რუსეთს არათუ ომი არ გამოუცხადებია ჩვენი ქვეყნისათვის, არამედ ამ ვითომცდა აზერბაიჯან-საქართველოს კონფლიქტში თავისი სამხედრო ნაწილების მონაწილეობას საერთოდ უარყოფდა, ცდილობდა არ გაემჟღავნებინა საქართველოს საზღვრებში წითელი არმიის შეჭრის ფაქტი.

თბილისიდან მოსკოვში მივლენილი წარმომადგენლისათვის ოფიციალურად გადაცემული ინფორმაცია საგანგებოდ იბლოკებოდა და გ. ურატაძემდე ვერ აღწევდა. ქართველ დესპანს ომის თაობაზე კერძო წყაროსაგან გაუგია. "მაშინვე მივმართე ლენინს, წერს გ. ურატაძე, ... და განვუცხადე, რომ თუ არ მოახდენდა განკარგულებას ომის შეწყვეტის შესახებ - გავანებებდი თავს სამშვიდობო მოლაპარაკებას." ლენინი ერთხანს უარობდა, ომის თაობაზე არაფერი ვიცო. ინფორმაცია, აბელ ენუქიძის მეშვეობით, ყასიდად სამხედრო სახკომ ლ. ტროცკისთან გადაუმონწმებია და მისგანაც პასუხად მიუღია - "არავითარი ომი არ წარმოებს," რის შემდეგაც ურატაძისთვის უთქვამს: "ზომ ხედავთ, არაფერი მომხდარა და ჭორებმა არ უნდა შეუშალოს ხელი მოლაპარაკებასო".<sup>12</sup>

ომი საქართველოსთან რომ ნამდვილად წარმოებდა და ჭორი არ იყო, ამის თაობაზე ლენინს ს. ორჯონიკიძის ზემოხსენებული დეპეშიდანაც მოეხსენებოდა. მაგრამ ამას რომ თავი დავანებოთ, საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელობას უკვე მიღებული ჰქონდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს რამდენიმე ოფიციალური ნოტა. პირველი ნოტით თბილისი კმაყოფილებით ეგებებოდა კრემლის მესვეურთა

<sup>12</sup> გ. ურატაძე, ნამდვილი და ყალბი ისტორია, პარიზი, 1958, გვ. 79.



განცხადებას ჩვენი საზღვრების ხელშეუხებლობის შესახებ, თუმცა დასძენდა, რომ ცენტრალური ხელისუფლების ამ მისწრაფებას ეწინააღმდეგება კავკასია და ბაქოში მყოფი ბოლშევიკური მთავრობის წარმომადგენლების ზოგიერთი აგრესიული ნაბიჯი საქართველოს მიმართ. მეორე ნოტაში უკვე პირდაპირ იყო მითითებული, რომ აზერბაიჯანის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებდა რუსეთის XI წითელი არმიის 287-ე და 288-ე პოლკები.<sup>13</sup>

კრემლის სამხედრო მოქმედების გეგმა და ჩანაფიქრი გამჟღავნდა. მოსალოდნელი იყო, ამას საქართველოსთან მოლაპარაკების ჩაშლაც მოჰყოლოდა. აუცილებელი გახდა ზომების მიღება. 1920 წლის 5 მაისს ლენინისა და სტალინის სახელით სერგო ორჯონიკიძეს ცეცხლის შეწყვეტის განკარგულება მიეცა. დეპეშაში აღნიშნულია: "ცენტრალური კომიტეტი გავალებთ გამოიყვანოთ ნაწილები საქართველოს ფარგლებიდან საზღვარზე და თავი შეიკავოთ საქართველოზე შეტევისაგან. თბილისთან მოლაპარაკების შემდეგ, ცხადია, რომ საქართველოსთან ზავი გამორიცხული არ არის".<sup>14</sup>

არსებობს სხვა საარქივო დოკუმენტიც, რომელშიც ყველაფერი კიდევ უფრო მკაფიოდ და ნათლადაა ნათქვამი. იოსებ სტალინი და აბელ ენუქიძე იმავე დღეს პირდაპირი მავთულით საუბრისას სერგო ორჯონიკიძეს განუმარტავდნენ: "როგორც ჩვენი (რუსეთის, - ო. ჯ.) ისე ზერბაიჯანის ნაწილების მხრივ საქართველოს წინააღმდეგ შეტევითი მოქმედება არ იქნება და ჩვენ ხვალვე დავდებთ ხელშეკრულებას საქართველოსთან".<sup>15</sup>

საქართველოს ფარგლებში წითელი არმიის შენაერთებით შემოჭრას საბჭოთა ისტორიოგრაფია სერგო ორჯონიკიძის ინიციატივად ნათლავდა და მის მოქმედებას კრემლის მესვეურთაგან მიჯნავდა. 1920 წლის მაისში საქართველოზე სამხედრო თავდასხმა არ ყოფილა ს.

<sup>13</sup> ო. ჯანელიძე, დახვედრული თავისუფლება, თბ., 2000, გვ. 46-47.

<sup>14</sup> ლ. თოიძე, ინტერვენცია, ოკუპაცია, ძალდატანებითი გასაბჭოება, ფაქტობრივი ანექსია, თბ., 1991, გვ. 14.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 16.



ორჯონიკიძის არც კერძო ინიციატივა და არც თვითნებობა, ეს რომ ასე ყოფილიყო და არა მოსკოვში უფროსადრე შემუშავებული გეგმით გათვალისწინებული აქცია, ცხადია, ოჯონიკიძეს დარწმუნებას არ დაუწყებდნენ, ვითარების შეცვლის გამო, წამოწყებული შეტევა შეაჩერე, ცენტრალური კომიტეტის ახლანდელ ხაზს ეწინააღმდეგებაო, - მას, რევოლუციის კანონების შესატყვისად, უბრალოდ, დახვრეტდნენ. თვალსაზრისი, თითქოს უმაღლესმა ხელისუფლებამ არ იცოდეს, რას ჩადიან მისი ხელქვეითი სამხედრო თუ პოლიტიკური თანამდებობის პირები, რუსეთისათვის დამახასიათებელი ოფიციალური კურსის შენიღბვაა და სხვა არაფერი.

კრემლის საიდუმლო კარგახანია გაშიფრულია. მიგნებულია ფორმულა, რომელიც ნათელს ჰფენს ამ თავსატეხ საკითხს. ეს გახლავთ დღემდე უცვლელად მოქმედი, ჯერ კიდევ 1920 წელს გაცემული ლენინური დირექტივა, რომელშიც ხაზგასმულია: "ჯარების შეყვანა უნდა მოხდეს ფრონტის ან არმიის განკარგულებით და ან ფრონტის ან არმიის სახელით, მაგრამ არა მთავრობის სახელით".<sup>16</sup>

გამოიცნეს თუ არა ქართველმა პოლიტიკოსებმა იმჟამად რუსეთის აგრესიული მოქმედების არსი? რა თქმა უნდა, გამოიცნეს.

აზერბაიჯანში საბჭოთა რეჟიმის გამარჯვება საქართველოსთვის ავისმომასწავებელი სიგნალი იყო, რადგან ბოლშევიზმის საფრთხე მასაც პრაქტიკულად დაემუქრა. თბილისში იუნკერთა სამხედრო სასწავლებელზე მოენყო ბოლშევიკთა თავდასხმა, რომელსაც დედაქალაქში არეულობა და ქაოსი უნდა გამოეწვია. ცხინვალისა და ჯავის რაიონებში მიმდინარეობდა სამზადისი შეიარაღებული აჯანყებისათვის.

მთავრობამ გაატარა დამატებითი ღონისძიებანი: გაამაგრა სახელმწიფო საზღვრები, გამოაცხადა მობილიზაცია, აღმოსავლეთ საქართველოში შემოიღო

<sup>16</sup> ო. ჯანელიძე, ორი რუსეთი (მითი და რეალობა), საქართველოში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ნარკვევები, წიგნ. 1, თბ., 2007, გვ. 14.



სამხედრო წესები, ჩამოაყალიბა თავდაცვის ფონდი და სხვ. ქართული საჯარისო შენაერთების სარდლად დაინიშნა გენერალი გიორგი კვინიტაძე, რომელიც მყისვე შეუდგა ენერგიულ მოქმედებას და ძალები სათანადო მიმართულებით გადააჯგუფა.

საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო დადგენილება და მთავრობას რესპუბლიკის თავდაცვის საჭიროებისათვის დამატებით 300 მილიონი მანეთი გამოუყო.

ხელისუფლებამ გამოიყენა საერთაშორისო კონტაქტებიც. პარიზში სამშვიდობო კონფერენციაზე მყოფმა საქართველოს ოფიციალურმა დელეგაციამ საქმის კურსში ჩააყენა მოკავშირეთა უმაღლესი საბჭო და დასავლეთის სახელმწიფოებისაგან დახმარება ითხოვა. მმართველმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ სპეციალური შეტყობინებები დაუგზავნა II ინტერნაციონალს, საერთაშორისო პროფკავშირულ ბიუროს და ყველა ქვეყნის სოციალისტურ პარტიებს და სხვ.<sup>17</sup>

ფეხზე დადგა და დაირაზმა მთელი ოპოზიციური ძალები. ინტელიგენციის, სტუდენტობის, მწერლობის, ხელოვნების სფეროსა თუ საზოგადოების სხვა წრეების წარმომადგენლები მთავრობას გვერდში დგომასა და მხრდაჭერას აღუთქვამდნენ. გააქტიურდა პერიოდული პრესაც. ფედერალიტურმა გაზეთმა "სახალხო საქმე" პირველმა ჯერ კიდევ 28 აპრილს გამოაქვეყნა მასალა ბოლშევიკების შეტევის შესახებ ზერბაიჯანის წინააღმდეგ და საქართველოს მთავრობასა და მოსახლეობას სიფრთხილისაკენ მოუწოდა.

იმავე დღეებში ხსენებული გაზეთი წერდა: "მოდის დამპყრობელი ძალა, რომელსაც დროშაზე სოციალიზმი უწერია, .... მაგრამ ნამდვილად კი ეს სოციალიზმის მოტრფიალე წითელი ძალა, თავისი შემადგენლობით ატარებს ყველა თვისებას რუსეთის იმპერიალიზმისა".<sup>18</sup>

<sup>17</sup> შ. ვადაჭკორია, ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში, თბ., 2001, გვ. 421.

<sup>18</sup> გაზ. "სახალხო საქმე," 1920 წ., 30 აპრილი.



იგივე გამოცემა მომხდარს “მოსკოვის მოკავშირე ნითელი თათრების ავანტიურას” უწოდებდა და აღნიშნავდა: “როცა კომუნისტების ცენტრალური მთავრობა ჩვენთან სამშვიდობო მოლაპარაკებაშია, შეუძლებელია “აზერბაიჯანის მასხრული “ნითელი” ჯარი დამოუკიდებლად მოქმედებდესო”.<sup>19</sup>

არაერთი საყურადღებო პუბლიკაცია დაბეჭდეს იმხანად ეროვნულ-დემოკრატიულმა გაზეთებმა “საქართველომ,” რუსულენოვანმა “გრუზიამ” და სხვ.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის პერიოდული ორგანო “ერთობა” საქართველოზე თავდასხმას აზერბაიჯანის კომუნისტების მიერ დაწყებულ “უგუნურ ავანტიურად” მიიჩნევდა,<sup>20</sup> წერდა, რომ საქართველოს “ბაქოს თათრული კომუნიზმის საფარველქვეშ თავმოყრილი ფაშას აგენტები შემოესივნენ,” რომ საქმე გვაქვს “ნახევარმთვარის დროშით მოსულ ჩალმიან კომუნისტურ აზერბაიჯანთან”<sup>21</sup> და სხვ.

შეუძლებელია გაზეთის რედაქციას არ ცოდნოდა, ვინ იყო საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის ნამდვილი შემოქმედი, მაგრამ, ჩანს, იგი ატარებდა მთავრობის ტაქტიკურ ხაზს, რომლის შესახებ მოგვიანებით ნოე ჟორდანიას წერდა: “ამ დროს თფილისში დიდი პანიკა იყო, ამბობდნენ რუსი მოდის და ვინ გაუძლებსო! რადგანაც მთავარი მეომარი ელემენტი იყო გვარდია (ნ. ჟორდანიას რეგულარულ ჯარს ნაკლებად წყალობდა და ამიტომაც გვარდიის უპირატესობას აღნიშნავს, - ო. ჯ.), როგორც გადაჭრით ანტიბოლშევიკური, გადვსწყვიტეთ მორალი მისი გაგვემაგრებია ხმის გავრცელებით, მოდის არა რუსი, არამედ აზერბაიჯანელთა ჯარი, აზერბაიჯანელთა მთავრობის ბრძანებით. ხერხმა გასჭრა, გვარდიელები ყალყზე დადგნენ, როგორ გვიბედავენ ეს “ჩაჩნები” ომსო. პირველი შეტაკება მოხდა ნითელ ხიდზე, მტერი დაამარცხა გვარდიამ, მხოლოდ გაკვირვებით ამბობდნენ - თათრები ყველა გაიქცნენ და მათ შორის არეულმა რუსებმა თავი

<sup>19</sup> გაზ. “სახალხო საქმე,” 1920 წ., 8 მაისი.

<sup>20</sup> გაზ. “ერთობა,” 1920 წ., 11 მაისი.

<sup>21</sup> გაზ. “ერთობა,” 1920 წ., 14 მაისი.



შემოგვაკლესო, მოკლულები აღმოჩნდნენ ყველა რუსი, არც ერთი აზერბაიჯანელი".<sup>22</sup>

როცა სინამდვილის დამალვას აზრი აღარ ჰქონდა, "ერთობის" პუბლიცისტებიც პირდაპირ აღნიშნავდნენ: "ჩვენ კარგად ვიცნობთ რუსის სალდათს. მათ ას ნელზე მეტი სრისეს თავიანთ მოუხეშავ ფეხქვეშ ქართველი ერის სინდისი. ამიერიდან მძიმე უნდა იყოს მათი ფეხი ჩვენში. ჩვენ გვაქვს თავისუფალი საქართველო თავის რესპუბლიკანურ წყობილებით. საქართველოს დემოკრატია მას დააკლავს თავს და არავის საჯიჯგნად არ გახდის".<sup>23</sup>

1920 წლის მაისის დამდეგს აზერბაიჯანის ტერიტორიიდან წითელი არმიის პოლკები საქართველოს ფარგლებში წითელი ხიდისა და ზაქათალის მხრიდან შემოიჭრნენ. საომარმა მოქმედებამ, რომლის დეტალებზე აქ არ ვისაუბრებთ, ორ კვირაზე მეტხანს გასტანა. აგრესორს ბრძოლები, წესით 1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის გაფორმებული სამშვიდობო ხელშეკრულების თანახმად უნდა შეეწყვიტა, მაგრამ შეტაკებები ამის შემდგომაც გრძელდებოდა. საქართველოს შეიარაღებულმა ფორმირებებმა მტერი მოიგერიეს და უკანვე გააბრუნეს.

იმის მიუხედავად, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას თავს საბჭოთა რუსეთის ჯარი დაესხა და ამ ქვეყნებმა შეძლეს მიელწიათ სამშვიდობო შეთანხმებისათვის, მოსკოვის ნებით, ზავი 1920 წლის 12 ივნისს ქალაქ ალსტაფაში, გასაბჭოებულ აზერბაიჯანსა და საქართველოს შორისაც დაიდო.

მთელ ამ პერიპეტიებს, ცხადია, საქართველოს პოლიტიკური სპექტრი გულგრილად ვერ შეხვდებოდა. საქართველოს დამფუძნებელი კრების სტენოგრამამ შემოინახა საქართველოზე ბოლშევიკურ თავდასხმასთან დაკავშირებით გამართული უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს საგანგებო სხდომის ოქმი. ეს სხდომა 1920 წლის 30 აპრილს შეიკრიბა.

<sup>22</sup> ნ. ჟორდანიას, ჩემი წარსული, თბ., 1990, გვ. 107; 116.

<sup>23</sup> გაზ. "ერთობა," 1920 წ., 8 მაისი.



სხდომაზე მთავრობის განცხადებით დეპუტატთა ნიშნაშენი ნოე ჟორდანიას გამოვიდა. მან გააანალიზა მთავრობის რესპუბლიკაში განვითარებული ტრაგიკული მოვლენები და ხაზი გაუსვა იმ საშიშროებას, რაც საქართველოს შეექმნა მოკავშირე აზერბაიჯანის ჩამოშორებით. "ბოლშევიზმის ჩვენში შემოშვება, აქ მისი გამეფება ნიშნავს ჩვენს აზერბაიჯანად გახდომას, ბოლშევიკურ-ოსმალური იმპერიალიზმის საქართველოში გაბატონებას. აზერბაიჯანის გზაზე ჩვენი შედგომა, მისი პოლიტიკური მრწამსის მიღება, ეს თავისუფალი და დემოკრატიული საქართველოს სამუდამო დასამარებაა. ევროპისაგან სამუდამო მოწყვეტა და აზიის ფანატიკოსების ბრჭყალებში ჩავარდნაა," აღნიშნა მთავრობის თავმჯდომარემ და დასძინა: თუ საბჭოთა რუსეთმა თავი აარიდა კეთილმეზობლურ ურთიერთობას, ჩვენ ნმიდათა-ნმიდას შეეხო და საზღვრებს დაემუქრა, მაშინ "ქართველი დემოკრატია დაუმტკიცებს ქვეყანას, რომ მან იცის სახელმწიფოს არა მარტო აშენება, არამედ მისი დაცვაც." ნოე ჟორდანიას სიტყვით, "ბოლშევიკები ჩვეულებრივ არიან მსუბუქ გამარჯვებას. პირველად აქ, ჩვენს საზღვრებში გაიგებენ თუ რას ნიშნავს მძიმე დამარცხება".<sup>24</sup>

მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა ცნობილმა მეცნიერმა, დეპუტატმა ფედერალისტური პარტიისაგან შალვა ნუცუბიძემ. მან დაახასიათა ბოლშევიზმი, როგორც სოციალური მოვლენა, ისაუბრა მის დამლუპველ ბუნებაზე პატარა ერისათვის და მიუთითა, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის დაპირისპირება სახელმწიფოებრივ ნიადაგზე წარმოებს. "ბოლშევიკები ახლა ოსმალეთს შეეკრნენ. . . ჩვენ მხოლოდ მახვილით შეგვიძლია გავცეთ პასუხი ამგვარ ძალას." თავისი პარტიის სახელით შალვა ნუცუბიძემ განაცხადა: "მართალია, არსებობს უკმაყოფილება ხალხში, მაგრამ ამ უკმაყოფილებას ვერავინ

<sup>24</sup> საქართველოს დამფუძნებელი კრება. სტენოგრაფიული ანგარიში, 1920 წლის 30 აპრილის სხდომა, გვ. 4-7.



გამოიყენებს და ტყუილად ნურავინ შეეცდება ამ ნიადაგზე ანარქიის ცეცხლის დანთებას".<sup>25</sup>

მისთვის დამახასიათებელი პათოსითა და მოვლენათა სალი ანალიზით გამოირჩეოდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის სპირიდონ კედიას გამოსვლა. კარსმომდგარი საფრთხის წინაშე აუცილებელია დავძლიოთ ვინრო პარტიული ინტერესი და შევძლოთ გაერთიანება სამშობლოს დაცვის იდეის გარშემო, მოუნოდა კედიამ. ბოლშევიკები ვერაფერს აკლებენ კარგად ორგანიზებულ ძალას. მათ ვერ შეძლეს პოლონეთის, ბალტიის ქვეყნების ხალხთა დაჩოქება. ეს ახალგაზრდა რესპუბლიკები თვით დასავლეთის დიდ სახელმწიფოებსაც კი იცავენ ბოლშევიზმის სენისაგან. სამხრეთში ასეთივე მისია აკისრია საქართველოს, რომელიც ორ წელზე მეტია იცავს თავის მაღალ კულტურას, მოქალაქეობრიობას, დემოკრატიზმს, პარლამენტარიზმს, მაგრამ მოკავშირე სახელმწიფოებს სათანადოდ არა აქვთ გაცნობიერებული საქართველოს მნიშვნელობა. "დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები ვალდებული არიან დახმარება აღმოუჩინონ იმ ერს, რომელიც მართო დარჩა და იბრძვის ბოლშევიზმის წინააღმდეგ." მათთვის გასაგები უნდა იყოს, რომ თუ აზიას ბოლშევიზმის ცეცხლი მოედო, დასავლეთ ევროპის პოზიციები ძირფესვიანად შეირყევა. თუ ანტანტის სახელმწიფოები საქართველოს სამხედრო დახმარებას გაუწევენ, ბოლშევიზმის საფლავი შეიძლება ჩვენს ქვეყანაში გაითხაროს, აღნიშნა მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერმა.<sup>26</sup>

საინტერესო იყო სოციალისტ-რევოლუციონერ ლეო შენგეალიას სიტყვაც. მან განაცხადა: "ჩვენ არ გვიყვარს მენშევიკები, მაგრამ ჩვენ გვიყვარს თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველო და ამიტომ ვამბობთ: ჩვენთვის სულ ერთია ვინ წამოვა ჩვენს წინააღმდეგ -

<sup>25</sup> საქართველოს დამფუძნებელი კრება. სტენოგრაფიული ანგარიში, 1920 წლის 30 აპრილის სხდომა, გვ. 16.

<sup>26</sup> საქართველოს დამფუძნებელი კრება. სტენოგრაფიული ანგარიში, 1920 წლის 30 აპრილის სხდომა, გვ. 25; ასევე, ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წ.წ.), თბ., 2001, გვ. 307.



იქნებოდა ისინი რუსეთის კომუნისტები, რუსეთის ესერები, თუ რუსეთის მენშევიკები. ყველას, ვინც ჩვენს წინააღმდეგ იარაღით წამოვა, იარაღითვე უნდა ვუპასუხოთ. ეს არის ჩვენი მოვალეობა”.

დეპუტატთა ერთსულოვანი სულისკვეთება აისახა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დადგენილებაში, რომელშიც ვკითხულობთ: “დამფუძნებელი კრება ღრმად არის დარწმუნებული, რომ მთელი საქართველოს ხალხი, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა და მიმართულებისა, ქართველი ერი, საქართველოს დემოკრატია, მისი სახელოვანი, ბრძოლაში გამობრძმედილი შეიარაღებული ძალა - ჯარი და სახალხო გვარდია და მთელი შეიარაღებული ხალხი შეურყევლად დაიცავს საქართველოს დამოუკიდებლობას.

დამფუძნებელი კრება მიმართავს ევროპის დემოკრატიას, რომ იმანაც აღიმაღლოს ხმა უზენაესი სამართლიანობის დასაცავად, და ღრმად სწამს, რომ გასაჭირის დროს ევროპის დემოკრატია არ დასტოვებს საქართველოს დემოკრატია მარტოდ ბრძოლის ველზე.<sup>27</sup>

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა საქართველოს მოსახლეობას შესაბამისი მონოდებით მიმართა, ხოლო სამხედრო მინისტრ გრიგოლ ლორთქიფანიძეს დაავალა: “გთხოვთ, გადასცეთ ჯარს დამფუძნებელი კრების გულმხურვალე სალაში. დამფუძნებელი კრება გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ საქართველოს ლაშქარი ნათლად გაითვალისწინებს იმ საფრთხეს, რომელსაც რუსეთ-ოსმალეთის კავშირი ჩვენს ქვეყანას უმზადებს და სამშობლოს თავისუფლებას თავდადებით დაიცავს”.<sup>28</sup>

სრულიად ადექვატური იყო ქართული პერიოდული პრესის გამოხმაურებაც. სანიმუშოდ ეს მცირე ამონარიდიც გამოდგება: “აპრილის 30-ის სხდომა დამფუძნებელი კრებისა ეკუთვნის იმ პარლამენტარულ დღეს, რომელიც გარკვევით იწერება ერის გულში. მოსალოდნელმა

<sup>27</sup> საქართველოს დამფუძნებელი კრება. სტენოგრაფიული ანგარიში, 1920 წლის 30 აპრილის სხდომა, გვ. 41.

<sup>28</sup> გაზ. “ერთობა,” 1920 წ., 6 მაისი.

საფრთხემ გააერთიანა მთელი დარბაზი და ერთი წმინდა მისწრაფებით გამსჭვალა: უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაცვა სამშობლოსი. ... როდესაც იჩინა თავი საშინელმა საფრთხემ, კვლავ გაისმა ხმა ერის სარკისა, მისი ხელმძღვანელ ორგანოსი. და ეს ხმა იყო ისეთი, როგორც შეჭფერის იმ ერს, რომელსაც სწამს სიამაყე თავისუფალ არსებობისა. ხმა მკვეთრი და იმედიანი, ხმა ფოლადის და სამართლიანი".<sup>29</sup>

ქართველი ხალხის შეკავშირებამ, მთელი პოლიტიკური სპექტრის ერთიანობამ, არმიისა და გვარდიის საბრძოლო შემართებამ, გარე სამყაროსაგან რეალური დახმარების გარეშეც, 1920 წლის გაზაფხულზე საქართველოს ჩრდილოელი მეზობლის აგრესიისაგან საკუთარი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვა შეაძლებინა. მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოებისაგან მიტოვებულ პატარა ქვეყანას მომდევნო წლის თებერვალ-მარტში უკვე ძალა აღარ ეყო, ახალ ომში გამკლავებოდა საბჭოთა რუსეთსა და მის ერთგულ სატელიტებს.

---

<sup>29</sup> გაზ. "სახალხო საქმე," 1920 წ., 4 მაისი.



## 1921 წლის ბოლშევიკური აგრესია და რუსეთის საელჩო საქართველოში\*

რსფსრ და საქართველოს დემორატიული რესპუბლიკა, როგორც სუვერენული სახელმწიფოები, მსოფლიო ომის მსვლელობისას, თითქმის ერთდროულად წარმოიშვნენ. პირველი 1917 წლის 7 ნოემბერს დაფუძნდა, ხოლო მეორის დაბადების თარიღი მომდევნო წლის 26 მაისია. ამ ახლადშექმნილ სახელმწიფოთა სათავეში ერთი “დედაპარტიის” - რსდმპ-ს განაყოფი ძალები - ბოლშევიკები და მენშევიკები იდგნენ. საბჭოთა რუსეთისა და დემოკრატიული საქართველოს მესვეურები ერთმანეთს ზედმინევენით იცნობდნენ, რადგან მათ საერთო მიზნებისათვის ხანგრძლივი ერთობლივი ბრძოლა, ციმბირის გადასახლებები თუ იძულებითი ემიგრანტობის წლები აკავშირებდათ. ოღონდ ეგ იყო, - ახალ რეალობას ძველ თანაპარტიელთა გზები გაეყარა, მათ ინტერესებს გაუცხოება დასტყობოდა, ბოლშევიკ-მენშევიკთა მიზნებიც წინააღმდეგობრივი გამხდარიყო და ურთიერთდამოკიდებულებაშიც ადრინდელი სიტბოს ნაცვლად ეჭვსა და უნდობლობას ემძლავრა.

ბოლშევიკები - დეკლარაციულად ერთა თვითგამორკვევის მომხრენი იყვნენ, სიტყვით ძველ “რეაქციულ” რუსეთს გამოხდნენ და ემიჯნებოდნენ, საქმით კი, მათ მიერვე “ხალხთა საპყრობილედ” მონათლულ, რომანოვთა იმპერიის განახლებას ესწრაფვოდნენ. საბჭოთა ხელისუფლების პირველი რიგის ამოცანა რევოლუციური ძალაუფლების შენარჩუნებას ითვალისწინებდა, მომდევნო - ცარიზმის უღლისაგან განთავისუფლებული ხალხების დაპყრობა-დამორჩილებას, ხოლო შორეული გეგმა მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციასა და “საერთაშორისო საბჭოთა რესპუბლიკის” შექმნას ითვალისწინებდა.

\* პირველად დაიბეჭდა ნიგნში - Некоторые вопросы грузино-русских взаимоотношений в современной историографии, Тб., 2011.



რაც შეეხება ქრთველ სოციალ-დემოკრატებს, ისინი თავისუფალ ერთა შორის საქართველოს მშვიდობიანი თანაცხოვრების, მისი დამოუკიდებელი განვითარების იდეას ემსახურებოდნენ, რისთვისაც სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის საფუძვლად ნეიტრალიტეტი და კეთილმეზობლობის პრინციპი გამოაცხადეს.

საქართველოს ცალკე სახელმწიფოდ არსებობა საბჭოთა რუსეთის არც ახლო და არც პერსპექტიულ გეგმებს არ თანხვდებოდა, მაშინ როდესაც საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკა მზად იყო ეთანამშრომლა რუსეთის ბოლშევიკურ რეჟიმთან, რომელსაც უცხოეთში იმ დროს არავინ ცნობდა და რომლის მომავალი ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო. კრემლი საქართველოს სუვერენიტეტის აღიარებას არ აპირებდა, თბილისმა კი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე მოსკოვში თავისი დიპლომატიური წარმომადგენელი მიავლინა. ცნობილია, რომ ამ პოსტზე გაბრიელ ხუნდაძე დაინიშნა, რომელმაც ორი ქვეყნის იმ დროინდელი რთული და წინააღმდეგობრივი ურთიერთობა ოდნავ მოგვიანებით რუსულ ენაზე გამოცემულ წიგნშიც ასახა.<sup>1</sup>

გ. ხუნდაძის მისიას რუსეთში მტრულად მოეკიდნენ, განუცხადეს, რომ საბჭოთა რუსეთი არ ცნობს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და მის მთავრობას. კრემლის განკარგულებით საქართველოს წარმომადგენლობა დახურეს, ქართველი დესპანი კი დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს.

ბოლშევიკური ხელისუფლება სამხრეთ კავკასიას და მათ შორის საქართველოს რუსეთის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდა. ამის უტყუარი დასტურია ლენინის მიერ სტეფანე შაუმიანის სახელზე ჯერ კიდევ 1917 წლის დეკემბერში გაცემული მანდატი, რომელშიც აღნიშნულია: "ამ მანდატის წარმომდგენელი ... სტეფანე შაუმიანი დანიშნულია კომისრად კავკასიაში საბჭოების სამხარეო ხელისუფლების შექმნამდე".<sup>2</sup>

<sup>1</sup> Г. Хундадзе, Советская власть и грузинское посольство в России, Тб., 1920.  
<sup>2</sup> ი. ჯანელიძე, 26 მაისიდან 25 თებერვლისაკენ, თბ., 1990, გვ. 21.



მას შემდეგ, რაც 1918 წლის სექტემბერში შაუმიანი სხვა ბაქოელ კომისრებთან ერთად ინგლისელებმა თურქეთს დახვრიტეს, მისი ადგილი კავკასიაში ქართველმა ბოლშევიკმა სერგო ორჯონიკიძემ დაიკავა. არც შაუმიანი და არც ორჯონიკიძე აქაურ რესპუბლიკათა ხელმძღვანელებს რწმუნების სიგელებით არ წარსდგომიან და უფლებამოსილებათა ოფიციალური დადასტურება არ უთხოვიათ. ერთიცა და მეორეც ყოველგვარი აკრედიტაციის გარეშე მოქმედებდა და არალეგალურად საქმიანობდა. ცხადია, ეს რუსეთის პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარეობდა, რომელსაც იგი სამხრეთ კავკასიის მიმართ ისახავდა. რაკი რუსეთს ამ რეგიონის დატოვება არ სურდა და აქ კვლავ საკუთარი ბატონობის დამყარებას იმედოვნებდა, არაოფიციალურ წარმომადგენლებსაც შესაბამისი დავალება მიეცათ: მათ ახლად წარმოშობილი ადგილობრივი სახელმწიფოების დასასუსტებლად და გასანადგურებლად უნდა ემუშავათ.

ამით აიხსნება, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ურთიერთობის მოწესრიგების, მისი ოფიციალური აღიარების საკითხი საბჭოთა რუსეთში დიდხანს არ განუხილავთ, თუმცა ლენინსა და სხვა ბოლშევიკ ლიდერებს ამ ქვეყნისადმი ინტერესი არ განუღებიათ.

საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების საკითხი დღის წესრიგში მხოლოდ მას შემდეგ დაისვა, რაც 1920 წლის აპრილში საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის რწმუნებული, დამფუძნებელი კრების წევრი გრიგოლ ურატაძე მოსკოვს ეწვია. ურატაძის ვიზიტს შედეგად იმავე წლის 7 მაისს რუსეთ-საქართველოს სამშვიდობო ხელშეკრულების დადება მოჰყვა, რომლის ძალით, რუსეთი უპირობოდ ცნობდა საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, ხელს იღებდა მის შინაურ საქმეებში ჩარევისაგან და უარს ამბობდა წინანდელ უფლებებზე საქართველოს ტერიტორიისა და ხალხის მიმართ.

ხელშეკრულების საფუძველზე თბილისში რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენლობა ამოქმედდა, ხოლო



მოსკოვში საქართველოს საელჩო გაიხსნა. საბჭოთა რუსეთის პირველ დიპლომატიურ წარმომადგენელად ჩვენს ქვეყანაში ძველი რევოლუციონერი სერგეი მირონისძე კიროვი დაინიშნა (ნამდვილი გვარია კოსტრიკოვი). ოფიციალურმა თბილისმა საქართველოს ინტერესების დაცვა რუსეთში გერასიმე მახარაძეს მიაწოდო. არ ვიცით, რა პრინციპით შეირჩა ეს უკანასკნელი, მაგრამ ცნობილია ნოე ჟორდანიას შეხედულება, რამაც მოსკოვთან მოსალაპარაკებლად გ. ურატაძის გაგზავნა განაპირობა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის სიტყვით, "დესპანი უნდა ყოფილიყო ლენინისა და მისი შტაბის ნაცნობი, სოციალ-დემოკრატი, პარტიის ყრილობაზე ნამყოფი".<sup>3</sup>

ლენინი და ბოლშევიკური რუსეთის ხელმძღვანელობა თავის დიპლომატიურ წარმომადგენელს "ბურჟუაზიულ" საქართველოში სამოღვაწეოდ სხვა კრიტერიუმებით არჩევდნენ. რუსეთის ელჩი საქართველოში უნდა ყოფილიყო კავკასიის საქმეების საფუძვლიანად მცოდნე ავტორიტეტული ბოლშევიკი, რომელიც მოახერხებდა თავისი ქვეყნის ნამდვილი მიზანსწრაფვის შენიღბვას და შეძლებდა აქაური კომუნისტური ორგანიზაციების აღორძინება-შეკავშირებას, რათა მათი ძალისხმევა მთლიანად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ მიემართა.

რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ ს. კიროვისათვის მიცემულ დიპლომატიურ პასპორტში № 6960, რომელსაც ხელს აწერდა ლ. კარახანი და დათარიღებულია 1920 წლის 29 მაისით, აღნიშნულია: "ცხადდება ყველას საყურადღებოდ, რომ წარმომდგენი ამისა რუსეთის მოქალაქე სერგეი მირონის ძე კიროვი არის რსფსრ-ს სრულუფლებიანი წარმომადგენელი საქართველოში და მიემგზავრება თბილისში. ამისათვის სახალხო კომისართა საბჭო თხოვს მეგობრულ ხალხთა ყველა მთავრობას და წინადადებას აძლევს რუსეთის ყველა სამხედრო, სამოქალაქო და საზოგადოებრივ

<sup>3</sup> ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, თბ., 1990, გვ. 112.



დანესებულებებს და თანამდებობის პირებს გაუწიონ მას ყოველგვარი დახმარება თავისუფალი და უმოკლესი გზით მგზავრობის შესაძლებლობის მიცემით”.<sup>4</sup>

მოსკოვიდან გამომგზავრების წინ კიროვმა პირადად ლენინისაგან მიიღო დირექტივა საქართველოში მუშაობის თაობაზე. 1920 წლის 20 ივნისს კიროვი თბილისში ჩამოვიდა. რუსეთის წარმომადგენლობამ, რომელშიც თავდაპირველად 150 კაცი შედიოდა და რამდენიმე თვეში თითქმის გასამმაგდა, ბინა ველიამინოვის (შემდეგში ჯაფარიძის, დღეს ლადო ასათიანის) ქუჩის № 4-ში დაიდო.

თბილისში ჩამოსვლისთანავე კიროვმა საელჩოში საქართველოს კომუნისტური პარტიისა და მუშათა წარგზავნილები მიიწვია. გაზეთ “კომუნისტის” სიტყვით, “ეს შეხვედრა არ გავდა საერთოდ მიღებულ შეხვედრებს “დიპლომატთან”. აქ პირდაპირ შეხვდნენ ერთმანეთს რუსეთის გამარჯვებული პროლეტარიატის ერთი საუკეთესო მებრძოლთაგანი, ელჩის უფლებით აღჭურვილი, და საქართველოს დაჩაგრული მუშების და გლეხების წარმომადგენლები”.

საბჭოთა “დიპლომატის” ჩამოსვლამ საქართველოს ბოლშევიკები დიდად ალაფრთოვანა. კიროვის სახით მათ ახალი ლიდერი და გავლენიანი ქომაგი მოეველინათ. სოციალისტ-ფედერალისტური გაზეთის მართებული შენიშვნით, “ჩვენი კომუნისტები კიროვს ისე კი არ უყურებენ, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელს, არამედ როგორც პარტიის დელეგატს, ცეკას წარმომადგენელს და შესწივიან როგორც ბატონს”.<sup>5</sup> თავის მხრივ კიროვის მთელი ძალისხმევაც თითქმის განადგურებული ადგილობრივი კომუნისტური ორგანიზაციების ფეხზე დაყენებას, საბჭოთა რუსეთის ინტერესების დასაცავად მათ შეკავშირებასა და განმტკიცებას ემსახურებოდა.

ელჩის პოსტზე საქმიანობა კიროვმა იმით დაიწყო, რომ შემოირიგა რუსეთ-საქართველოს სამშვიდობო

<sup>4</sup> ა. მორგოშია, კიროვი საქართველოში, თბ., 1960, გვ. 65.

<sup>5</sup> გაზ. “სახალხო საქმე”, 1920 წ., 23 ივნისი.



ხელშეკრულების დადებით განაწყენებული კომუნისტები. დაარწმუნა ისინი, რომ ხელშეკრულების გაფორმება ობიექტურმა გარემოებებმა განაპირობეს და ახლა მშვიდობიანი ურთიერთობა საქართველოსთან ცენტრის მიზანშეწონილი პოლიტიკაა.

ს. კიროვი ოფიციალურად აცხადებდა: "ჩემი მისია საქართველოში მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის კეთილგანწყობილება და მტკიცე მშვიდობა დამყარდეს. ... საქართველოში ჩემი უმთავრესი მიზანია ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთდამოკიდებულების დამყარება. რუსეთის მხრივ ამისათვის ყოველგვარი ზომები იქნება მიღებული, რადგანაც ჩვენ გვაქვს გულწრფელი სურვილი, რომ კეთილი მისწრაფებანი სინამდვილედ ვაქციოთ".<sup>6</sup> მაგრამ რუსეთის ელჩი კარგად გრძნობდა, რომ მისი ამ სიტყვებისა ბევრს არ სჯეროდა. საქართველოს მთავრობა დარწმუნებულია, რომ "ჩვენი წარმომადგენლობის სახით აქ ჩამოვიდა "საქართველოს რევკომი". ასეთივე აზრისაა ყველა აქაური უცხოური მისიაცო", - აცნობებდა კიროვი თავის უშუალო შეფს, რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს გ. ჩიჩერინს.<sup>7</sup> ს. კიროვი რომ საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს "დიდ დახმარებას უწევდა შეიარაღებული აჯანყებისათვის. მოსამზადებლად" - ისტორიოგრაფიაში კარგა ხანია აღნიშნულია და ეს ფაქტი რუსი ბოლშევიკის ბიოგრაფიის სასახელო ფურცლადაა მიჩნეული.<sup>8</sup>

1920 წლის შემოდგომაზე კრემლმა ს. კიროვი უკან გაიწვია და როგორც საბჭოთა დელეგაციის მეთაური, ახლა რიგაში მიავლინა პოლონეთთან საზავო მოლაპარაკებების საწარმოებლად. კიროვის შემცველად საქართველოში არონ შეინმანი გამოიგზავნა.

<sup>6</sup> გაზ. "სახალხო საქმე", 1920 წ. № 854.

<sup>7</sup> С. Киров. Статьи, речи, документы, т. I, М., 1936, გვ. 232.

<sup>8</sup> მ. ტრასკუნოვი, მეთერთმეტე წითელი არმიის სახელოვანი საბრძოლო გზა, თბ., 1960, გვ. 25.



ა. შეინმანიც ხანგრძლივი სტაჟის მქონე ბოლშევიკი იყო. რსდმპ-ში 1903 წლიდან ირიცხებოდა. რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი სტოკჰოლმში რსფსრ-ს ფინანსურ ატაშედ დაინიშნა, მაგრამ იქიდან რამდენიმე ბოლშევიკთან ერთად მალევე გამოაძევეს. მოსკოვში დაბრუნებული ფინანსისტი ჯერ სურსათის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრია, საიდანაც მცირე ხნით საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიაში გადაიყვანეს შემდეგ კი საქართველოში საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარის რწმუნებულის პოსტი მიანდეს. 1920 წლის სექტემბრიდან ა. შეინმანი სათავეში ჩაუდგა რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენლობას საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

უნდა ითქვას, რომ ს. კიროვის დაწყებულ საქმეს ა. შეინმანის სახით კარგი გამგრძელებელი გამოუჩნდა. ახალ ელჩსაც საფუძვლიანად ჰქონდა გათავისებული, რომ რუსეთის ოფიციალური წარმომადგენლობა საქართველოში არ უნდა შემოფარგლულიყო დიპლომატიური მოღვაწეობით, რომ საელჩოს თანამშრომელთა მთვარ მოწოდებას ქართული სახელმწიფოსათვის ძირის გამოთხრა, მისი გაუქმება და კვლავ რუსეთის წიაღში დაბრუნებისათვის ხელის შეწყობა შეადგენდა.

რუსეთის საელჩოს დივერსიული საქმიანობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ სხვადასხვა მიმართულებით წარმოებდა, რომელთა შორის მკაფიოდ სამი ძირითადი ასპექტი - პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო გამოიკვეთა. საილუსტრაციოდ მოვიხმობ რამდენიმე მაგალითს:

1. საელჩოს თანამშრომლები ფარულად ჩაბმული იყვნენ ადგილობრივი ბოლშევიკური კომიტეტების საქმიანობაში. მათივე ხელშეწყობით ანტიქართულ მუშაობას ააქტიურებდა საქართველოს კომკავშირიც. დადასტურებული ფაქტია, რომ თბილისში, საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლობის შენობაში გაიმართა საქართველოს ახალგაზრდობის



კომუნისტური ორგანიზაციის არალეგალური ყრუილება, რომელშიც რუსი "დიპლომატებიც" მონაწილეობდნენ. ცნობილია ისიც, რომ ს. კიროვი არწმუნებდა კრემლის მესვეურებს: "არ შეიძლება ვუცადოთ და ვიმედოვნოთ, რომ საქართველოში თავისთავად მოხდება აფეთქება. ... ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა დავინყოთ მოძრაობა აფხაზეთსა და აჭარაში. შევუქმნათ საქართველოს შიდა პრობლემები, რომლებიც წელში გასწყვეტენ მას".<sup>10</sup>

2. 1920 წლის ზაფხულში საბჭოთა აზერბაიჯანისა და საქართველოს მთავრობები შეთანხმდნენ ურთიერთშორის დაედოთ სავაჭრო ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად, აზერბაიჯანი ნავთობპროდუქტებით მოამარაგებდა საქართველოს. "უკიდურესი ზომების მიღება დამჭირდა, რათა ეს მოლაპარაკება ჩამეშალა და ხელშეკრულება, რომელიც სრულიად მზად იყო, დარჩა ხელმოუწერელი" - თავად აღიარებდა ს. კიროვი გ. ჩიჩერინისათვის გაგზავნილ წერილში.<sup>11</sup>

3. საქართველოში რსფსრ-ს სრულუფლებიანი წარმომადგენლობის სამხედრო ატაშე, გენერალი პ. სიტინი 1920-1921 წლებში აქტიურად ამუშავებდა წითელი არმიის გამოყენებით დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობისა და ქვეყნის ანექსიის გეგმებს. მანვე შეადგინა და რუსეთის რევოლუციური სამხედრო საბჭოს საველე შტაბს წარუდგინა რამდენიმე საიდუმლო მოხსენება, რომლებშიც საქართველოს დაშლა-დანაწევრების გეოპოლიტიკური პროექტები იყო მოცემული. ამასთან, არსებობს დოკუმენტური მასალა, რომელიც ცხადყოფს, რომ საბჭოთა რუსეთის საელჩო თბილისში და მის მიერ საგანგებოდ შექმნილი ჯგუფი სოხუმში ჯაშუშურ მასალებს აგროვებდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.<sup>12</sup>

<sup>9</sup> ვ. იმედაძე, იმ დღეების გახსენება, თბ., 1958, გვ. 33.

<sup>10</sup> გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 1991 წ., 6 იანვარი.

<sup>11</sup> С. Киров. Статьи, речи, документы, т. I, М., 1936, გვ. 235.

<sup>12</sup> ჯ. გამახარია, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, თბ., 1991, გვ. 112.



რუსეთის საელჩოს ანტიქართული საქართველოს ხელისუფლებისათვის კარგად იყო ცნობილი მთავრობამ, რა თქმა უნდა, იცოდა, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ბოლშევიკთა მიერ მოწყობილი გამოსვლების (მათ შორის აჯანყებები დუშეთის მაზრაში, აფხაზეთში, შიდა ქართლის ოსებით დასახლებულ თემებში და სხვ.) უკან საბჭოთა რუსეთი იდგა, მაგრამ იგი გართულებას ერიდებოდა და შესაბამისი რეაგირებისაგან თავს იკავებდა. ასეთ ვითარებაში ქვეყანაში გამოცოცხლდნენ ანტისახელმწიფოებრივი ძალები, განსაკუთრებით კი ბოლშევიკური ორგანიზაციები, რომლებიც 1920 წლის 7 მაისის შემდეგ თამამად ამოქმედდნენ და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ამკარა პროპაგანდას შეუდგნენ.

მიუხედავად ამისა, 1921 წელი საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ იმედიტა და მომავლის რწმენით დაიწყო. მართალია, ამ წლის დამდეგისათვის საგარეო საფრთხეები ძველებური დარჩა და ერთბაშად არც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გაჯანსაღებულა, მაგრამ ოპტიმისტური განწყობის საფუძველი ხალხსა და ხელისუფლებას ნამდვილად გააჩნდათ.

პოლიტიკური თვალსაზრისით ახალგაზრდა ქართული სახელმწიფო სტაბილური განვითარების ფაზაში შედიოდა. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო - დამფუძნებელი კრება უკვე შედგომოდა ქვეყნის ძირითადი კანონის - კონსტიტუციის განხილვა-დამტკიცებას. ამ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ და სამართლებრივ დოკუმენტზე დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურები დიდ იმედს ამყარებდნენ.

საყურადღებო ამბები ხდებოდა ეკონომიკური განვითარების სფეროშიც. წინა წელს ევროპაში მივლინებულმა დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკურმა მისიამ, რომელსაც ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი ნ. კანდელაკი ხელმძღვანელობდა, გარკვეულ შედეგებს მიაღწია. ლონდონში ბრიტანეთის საგარეო ვაჭრობის ბანკთან - "ლიმიტედ 48" დაიდო



ხელშეკრულება მილიონ ნახევარი გირვანქა სტერლინგის სესხის თაობაზე. საქართველოს მთავრობამ მხოლოდ ხელშეკრულება და იგი დასამტკიცებლად დამფუძნებელ კრებას გადასცა.<sup>13</sup> მიღებული სესხით ქვეყნის საფინანსო სისტემის განმტკიცება იყო გათვალისწინებული.

უფრო შთამბეჭდავი იყო მიღწევები საგარეო პოლიტიკაში. საქართველოს ოფიციალურმა დელეგაციამ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე მონაწილეობით იღვანა ქვეყნის საერთაშორისო აღიარებისათვის. აღსანიშნავია საგარეო საქმეთა მინისტრის ე. გეგეჭკორის წარმატებული ვიზიტები ინგლისში, საფრანგეთსა და იტალიაში. აუცილებელად უნდა ითქვას იმ ძალისხმევაზეც, რომელიც ევროპის მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა და მეორე სოციალისტური ინტერნაციონალის ლიდერებმა საქართველოში სტუმრობის შემდგომ თავიანთ ქვეყნებში დაბრუნებისას გასწიეს საქართველოს მხარდასაჭერად.

ცნობილია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნების საკითხს პარიზის კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოები დიდხანს რუსეთის კონტექსტში განიხილავდნენ და მათი ცნობა-აღიარებისაგან თავს იკავებდნენ. ჩვენი ქვეყნისადმი დასავლეთის წამყვან სახელმწიფოთა დამოკიდებულება მას შემდეგ შეიცვალა, რაც კავკასიის რეგიონში ახალი გეოპოლიტიკური კონტურები გამოიკვეთა. სამოქალაქო ომში თეთრგვარდიული მოძრაობის დამარცხებამ რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებას გზა გაუხსნა თავისი აგრესიული გეგმების განსახორციელებლად. 1920 წლის დამდეგს კრემლმა კავკასიის ფრონტი ჩამოაყალიბა და წითელი არმიის შენაერთები სამხრეთისაკენ დაძრა. ასეთ რეალობაში მოკავშირე სახელმწიფოებმა საჭიროდ მიიჩნიეს, ჩაეკეტათ ბოლშევიზმი საკუთრივ რუსეთის ფარგლებში და განაპირა ქვეყნები მისი შელწევისაგან გადაერჩინათ. ხსენებულ პრინციპზე დაყრდნობით, ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის მთავრობებმა 1920 წლის 11

<sup>13</sup> გაზ. "საქართველო", 1921 წ., 27 იანვარი.



იანვარს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დე ფაქტოდ ცნობის გადაწყვეტილება მიიღეს.

1921 წლის იანვრის ბოლოს მოკავშირე სახელმწიფოთა უმაღლესმა საბჭომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე იურედ აღიარა.

საქართველოში აკრედიტებულმა უცხოეთის მთელმა დიპლომატიურმა კორპუსმა, როგორც ასეთ ვითარებაში ხდება ხოლმე, მილოცვის წერილები გაუგზავნა ქვეყნის ხელისუფლებას. ამ მრავალრიცხოვან მილოცვათაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საქართველოში რსფსრ სრულუფლებიანი წარმომადგენელის არონ შეინმანის წერილი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ევგენი გეგეჭკორისადმი. მასში აღნიშნულია: "გავიგე რა გაზეთებიდან შეთანხმების სახელმწიფოთა მთავრობების მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობა, ვესწრაფი, ბატონო მინისტრო, გიძღვნათ თქვენ და თქვენს მთავრობას ჩემი მთავრობისა და პირადად ჩემი სახელით ფრიად გულწრფელი მილოცვა ამ ამბის გამო. ... რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა, ერთადერთი სახელმწიფო, რომელმაც აღიარა ხალხთა თვითგამორკვევის უფლება, მით უფრო დიდი სიხარულით ეგებება ამ ცნობას, რადგანაც ეს ნიშნავს აღიარებას რუსეთის დიდი პროლეტარული რევოლუციის მეოთხე წელზე მისი ერთ-ერთი საერთაშორისო ლოზუნგის გამარჯვებისა და უარყოფას ანტანტის სახელმწიფოთა მიერ მთლიანი და განუყოფელი შავი რუსეთის აღდგენის იდეისა".<sup>14</sup>

ამ წერილის შინაარსობრივ მხარეს მისი გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღეში კრიტიკულად გამოეხმაურა ქართული პერიოდული პრესა და მასზე ქვემოთ ვისაუბრებთ. ჯერ კი რუსი დიპლომატის მოქმედება გავაანალიზოთ: რა თქმა უნდა, საბჭოთა ელჩი თვალთმაქცობდა და ცრუობდა, როცა წერდა, ანტანტის

<sup>14</sup> გაზ. "სახალხო საქმე", 1921 წ., 3 თებერვალი.



სახელმწიფოთა მიერ საქართველოს იურიდიულად ცნობის შესახებ "გაზეთებიდან გავიგეო". მას ამის თაობაზე კრემლიდან დიპლომატიური არხებით მიღებული ჰქონდა სათანადო ცნობა და შესაბამისი მოქმედების ინსტრუქციაც.

მეორე: შეინმანი ცდილობდა შეცდომაში შეეყვანა და მოეტყუებინა საქართველოს ხელისუფლება, როდესაც აცხადებდა, საბჭოთა რუსეთი დიდი სიხარულით ეგებება საქართველოს დე იურედ ცნობასო.

იმ ხანად თუკი რამ არ გაახარებდა ლენინსა და მის მთავრობას, ეს სწორედ მოკავშირე სახელმწიფოთა მიერ საქართველოს საერთაშორისო აღიარების ფაქტი იყო, რადგან მას შეეძლო გაერთულებინა ანდა სულაც ჩაშალა კრემლში რამდენიმე დღის წინ საგულდაგულოდ მიღებული გეგმა. 1921 წლის 26 იანვარს თვით ლენინის მიერ დანერილი და რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე დამტკიცებული გეგმა რუსეთის სამხედრო რევოლუციურ საბჭოსა და კონკრეტულად კავკასიის ფრონტის სარდლობას საქართველოსთან ომისთვის მზადებას ავალებდა.<sup>15</sup> წარმოუდგენელია, რომ ამ ყველაფრის შესახებ რუსეთის ელჩს საქართველოში არ სცოდნოდა. შეინმანი კი თბილისში მყოფ სხვა უცხოელ დიპლომატებთან ერთად საქართველოს იურიდიულად ცნობის აღსანიშნავ საზეიმო ბანკეტზეც მიბრძანდა და იმ თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველოს სადღეგრძელო შესვა, რომლის დასაპყრობად მისი ქვეყნის ხელისუფლებას უკვე გაემზადებინა წითელი არმიის ნაწილები.

საგულისხმოა რუსეთის საელჩოს წარმომადგენლის ს. ქავთარაძის სიტყვაც იმავე ბანკეტზე. "ამხანაგო ნოე! - მიმართავდა რუსეთის სახელით ქართველი ბოლშევიკი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს - მე მოგმართავთ ასე, რადგან ის წყარო, რომლიდანაც ჩვენ მიგვიღია იდეური საზრდო - ერთია. ... თქვენთვის, როგორც სოციალისტისათვის, რომელიც სახელმწიფოს სათავეში უდგია და რომლის საბოლოო მიზანი სოციალიზმია, არსებობს საქართველოსა და რუსეთს შორის უფრო ღრმა

<sup>15</sup> ვ. ლენინი, თხზ. ტ. 42, გვ. 288-289.



კავშირი, ვიდრე ისტორიული და გეოგრაფიული. ... იმ კომნს, რომელიც არის ლოცვა მთელი მსოფლიოს სოციალისტური პროლეტარიატის და აგრეთვე თქვენიც, თქვენ მოისმენთ ღრმა სასოებით და თქვენი გული მეტის თანაგრძნობითა და სიყვარულით აძგერდება "ინტერნაციონალის" ხმების გაგონებაზე".<sup>16</sup>

აღსანიშნავია ისიც, რომ შეინმანის წინამორბედი ელჩი საქართველოში, იმხანად რკპ(ბ) კავბიუროს წევრი ს. კიროვი ზუსტად იმ დღეებში საქვეყნოდ აცხადებდა: "თუ ჩვენ აქამდე მენშევიკური საქართველოს მმართველი წრეების ლანძღვა-გინებას და ცილისწამებას ვუყურებდით ისე, როგორც ფინიას ყეფას, ახლა უკვე დროა განვუცხადოთ მას, რომ თავისი გაკაპასებით მან საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა მიიყვანა იმ მომენტამდე, როცა ამბობენ, რომ ცა მოიღუშაო. ... თუ აქამდე ჩვენი წარმომადგენლები უცხადებდნენ ნოე ჟორდანიას, რომ მისი პატარა მიწა, გაჟღენთილი კახური ღვინით, ჩვენ არც ერთი მხრით არ გვაინტერესებს, ახლა უკვე დადგა დრო მივუთითოთ მას, რომ კავკასია გადაიქცევა სამარედ არა საბჭოთა რუსეთისათვის, როგორც იგი იმუქრება, არამედ მისთვის და მისი თანამებრძოლი - მეფის გენერლებისა და ჟანდარმთა პოლკოვნიკებისათვის. ... საკმარისია ჩვენ შევატოკოთ ერთი მხარი, რომ იგი (ნოე ჟორდანია, - ო. ჯ.) აღმოჩნდეს საფლავში, რომელსაც ჩვენ გვიწინასწარმეტყველებს. ... ცა მოიღუშა. მაგრამ როგორც კი მეხი გავარდება ამ მომენტიდან საქართველოს ცის ტატნობზე აელვარდება ნითელი ვარსკვლავი".<sup>17</sup>

აღსანიშნავია, რომ საქართველოში შემოჭრის წინ კრემლი აქ არსებული ვითარების შესახებ მასალას სხვადასხვა გზით იღებდა. მათ შორის სამხრეთ კავკასიაში მყოფი XI ნითელი არმიის ხელმძღვანელობის, კავკასიის სამხედრო-რევოლუციური საბჭოსა და რკპ(ბ) კავბიუროსაგან. ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყარო იყო ასევე საბჭოთა საელჩო, რომელიც მოპოვებულ ცნობებს

<sup>16</sup> გაზ. "საქართველო", 1921 წ., 15 თებერვალი.

<sup>17</sup> ა. მორგოშია, კიროვი საქართველოში, თბ., 1960, გვ. 109.



დიპლომატიური არხებით გადასცემდა. თუ შირველნი სასურველ მდგომარეობას რეალურად წარმოაჩენდნენ და მოსკოვს გადამწყვეტი მოქმედების დასაჩქარებლად აქეზებდნენ, საელჩოს ინფორმაცია უფრო თავშეკავებული იყო და სიმართლეს შეესაბამებოდა. ს. კიროვი და ს. ორჯონიკიძე 1920 წლის შემოდგომიდან მოყოლებული მუდმივად ცდილობდნენ დაერწმუნებინათ ლენინი, რომ საქართველოში რევოლუციური კრიზისი უკვე მომწიფდა, რომ საკმარისია გარკვეული სამხედრო ჩარევა და ყველაფერი წარმატებით დასრულდება. ელჩი შეინმანი კი 1921 წლის თებერვლის დამდეგსაც კრემლს ატყობინებდა: აქაური კომუნისტური ორგანიზაციები სისხლისაგან დაცლილნი არიან. "ქვეყნის შიგნით არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს მთავრობის დამხობაო".<sup>18</sup>

"ზნეობრივად ბოლშევიკებისაგან საქართველოს დე იურედ ცნობა არ წარმოადგენს რაიმე მნიშვნელობას, რომელზედაც შეიძლებოდეს სერიოზული ლაპარაკი", შენიშნავდა გაზეთ "საქართველოს" პუბლიცისტი და დასძენდა: უფრო საყურადღებოა შეინმანის მოლოცვის ბოლო ფრაზა, რომელიც კარგად ახასიათებს მოსკოვის მთავრობის ორმაგ პოლიტიკას. "საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენელი საქვეყნოდ აცხადებს, რომ ძველი საზღვრების აღდგენა რეაქციონერული და შავი რუსეთის იდეა არისო. ჩვენ კი ვიცით, რომ მოსკოვის მთავრობა და მისი "მოღვაწენი" "აღდგენის" საქმეს ემსახურებოდნენ. აზერბაიჯანი და სომხეთი საუკეთესო ფაქტებია; მალული მუშაობა ჩვენში კიდევ უკეთესი საბუთია.

აქედან ცხადია, კომუნისტური რუსეთი და შავი რეაქციონური რუსეთი ერთიმეორისაგან არაფრით განირჩევიან. ეს უნდა ახსოვდეს საქართველოს დემოკრატიათს".<sup>19</sup>

"კომუნისტური რუსეთის ე.წ. საგარეო პლიტიკაზე ზედგამოჭრილია ჩვენი ხალხის თქმულება: "სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უდევს დიდი მზღვარი", ნათქვამია იმავე

<sup>18</sup> ჟურნ. "კავკასიონი", პარიზი, 1968, XIII, გვ. 90.

<sup>19</sup> გაზ. "საქართველო", 1921 წ., 4 თებერვალი.



გაზეთის სხვა ნომერში, სადაც ასევე ვკითხულობთ: "შეინმანი საჯაროდ აღიარებს, რომ საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა არის რუსეთის კომუნისტების საგარეო პოლიტიკის გამარჯვება და რომ ჩვენ სრულის დამშვიდებით შეგვიძლიან ვიმედოვნოთ, რუსეთის დახმარებაზე სუვერენიტეტის ფაქტიურად განმტკიცებასა და შენახვაში.

დიდი გულუბრყვი უნდა იყოს შეინმანი, თუ მართლა ჰფიქრობს, რომ ამ დეკლარაციული განცხადებით ქართველი ხალხი დაკმაყოფილდება! ან რა საჭიროა ალთქმანი და დაპირებანი?! ჩვენ გვინდა სინამდვილეში ფაქტებით დადასტურდეს რუსეთის კეთილი განწყობილება საქართველოს მიმართ! ... და თუ შეინმანისა და რუსეთის სხვა წარმომადგენლების ენერგია მცირედით მაინც აქეთკენ იქნება გადახრილი, მაშინ დავრწმუნდებით დეკლარაციების ღირსებაში".<sup>20</sup>

ეხმაურებოდა რა რუსეთის ელჩის მოლოცვას, ფედრალისტთა გაზეთი "სახალხო საქმე" შენიშნავდა: "საბჭოთა მთავრობას ერთი ფრიად გამათახსირებელი თვისება დაჰყვა თან: კაცმა არ იცის, როდის აიღებს იგი იარაღს იმის წინააღმდეგ, ვისაც ხელშეკრულებით ეკვრება. ეტყობა პირობას იმიტომ სდებენ, რომ არ აასრულონ და წინდანინვე არიან დარწმუნებულნი ამში".<sup>21</sup>

ოპოზიციურმა ძალებმა პირველებმა ატეხეს განგაში რუსეთის მოსალოდნელი აგრესიის თაობაზე. "ბოლშევიკები ახალ ბორკილს უმზადებენ საქართველოს, რომელმაც აღარ მოისურვა თავის კისრით ველიკორუსული უღლის ზიდვა. ... ისინი ბორჩალოს მაზრაში შეთქმულებას აწყობენ საქართველოს დასამხობად" და სხვ. წერდნენ მათი გაზეთები.

აღსანიშნავია, რომ ქართულმა პრესამ იმთავითვე მიაქცია ყურადღება საბჭოთა რუსეთისა და ანგორის ქემალისტური მთავრობის საეჭვო დაახლოებას, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე ხელს უწყობდნენ

<sup>20</sup> გაზ. "საქართველო", 1921 წ., 11 თებერვალი.  
<sup>21</sup> გაზ. "სახალხო საქმე", 1921 წ., 3 თებერვალი.



ადგილობრივი ბოლშევიკები. გაზეთებმა “საქართველომ” და “სახალხო საქმემ” დაბეჭდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოპოვებული დოკუმენტური მასალა, სახელდობრ ლორის ბოლშევიკური ორგანიზაციის სამაზრო კონფერენციის ოქმი, რომლის დადგენილებაში ხაზგასმულია: “მიეცეს წინადადება მესამე სარაიონო კომიტეტს, იქონიოს კავშირი ქემალისტებთან და ყველაფერი აცნობოს უეზდკომს”.

ბოლშევიკურ-ოსმალურ ალიანს მონაწილე იმდროინდელი ოსმალური პრესის პუბლიკაციებიც, რომელთა მიმოხილვას თავიანთ ფურცლებს უთმობდნენ ქართული გამოცემებიც. მაგალითად, გაზეთი “ბოსფორი” წერდა: “ყველა ინფორმაცია, რომელიც ბოლშევიკების საქართველოსადმი მუქარას შეეხება, ბოროტი ფანტაზიის გამოგონილია და რომ თბილისსა და მოსკოვს შორის დამოკიდებულება ნორმალურია” და სხვ.<sup>22</sup>

ეს “ნორმალური დამოკიდებულება” 1921 წლის 11-12 თებერვალს ღამითიღით აღინიშნა, რომ ლორეს ოლქში სომხეთის მხრიდან რუსეთის წითელი არმიის ნაწილები შემოიჭრნენ (განხორციელებულ სამხედრო ოპერაციას ბოლშევიკებმა “საქართველოს მშრომელთა აჯანყება” უწოდეს და იგი საბჭოთა ისტორიოგრაფიაშიც ამგვარი სახელდებით შევიდა), 14 თებერვალს კი კრემლში განკარგულება გაიცა თბილისის ალების შესახებ.

ყოველივეს მიუხედავად, რუსეთის ელჩი კვლავ არწმუნებდა საქართველოს ხელისუფლებას, რომ არაფერი იცის, “ეს სომხეთის მთავრობის საქმეაო” და ითხოვდა, მიეცათ მისთვის კონფლიქტის რაიონში გამგზავრებისა და აჯანყებულებთან მოლაპარაკების საშუალება.<sup>23</sup> ნოე ჟორდანიასაც რამდენიმე დღის განმავლობაში ეჭვი არ შეჰქონდა რუსი დიპლომატის გულწრფელობაში და 15 თებერვალს დამფუძნებელი კრებაში სიტყვით გამოსვლისას აღნიშნავდა: “ჩვენ გვაქვს ოფიციალური განცხადება რუსეთის წარმომადგენლისა, რომ მოსკოვი ამ საქმეში

<sup>22</sup> გაზ. “ერთობა”, 1921 წ., 22 იანვარი.

<sup>23</sup> გაზ. “Известия”, 1921 წ., 18 თებერვალი.



(ლორეში დაწყებულ "აჯანყებაში" - ო. ჯ.) არ ერევა, რომ ის გადაჭრით დგას 7 მაისის ნიადაგზე".<sup>24</sup> ბრძოლის მიწვევით დღეები მართლაც რომ "სომხურ-ქართული ომის ნიშანქვეშ მიდიოდა", ამას სხვა წყაროც ადასტურებს.<sup>25</sup>

საქართველოს მთავრობამ დაწყებული კონფლიქტის ქეშმარიტი არსი მხოლოდ 1921 წლის 16 თებერვალს განაცხადა, როდესაც გამოაქვეყნა მიმართვა - "ყველას, ყველას, ყველას!" მასში ნათქვამია: "რუსეთის საბჭოთა მთავრობა იდენს ისტორიაში უმაგალითო ბოროტმოქმედებას. მას შემდეგ, რაც დაარღვია ჩვენთან დადებული ყველა ხელშეკრულება, მან გადასწყვიტა, ნითელი დროშის და ლამაზი ლოზუნგების ნიღბის ქვეშ, შეიარაღებული ძალით მოსპოს ჩვენი თავისუფლება, ჩვენი დამოუკიდებლობა, ჩვენი სუვერენობა!"<sup>26</sup>

ამ მიმართვის გამოქვეყნების შემდეგ შეინიშნა საქართველოს ხელისუფლებას მოსკოვიდან მიღებული ნოტა გადასცა, რომელშიც აღნიშნული იყო: საბჭოთა რუსეთში დიდი მწუხარებით გავიგეთ, რომ საქართველოსა და საბჭოთა სომხეთ-აზერბაიჯანს შორის ომი გაჩაღებულა, სასურველია ყველაფერი მშვიდობიანად მოგვარდეს და რუსეთს, როგორც "მესამე პირს", ამ საქმეში შეუძლია გასწიოს შუაქაცობა. კრემლი თავის წარმომადგენლად ქართველ ბოლშევიკს აბელ ენუქიძეს ასახელებდა, რომელსაც იმ ხანად რუსეთის საბჭოთა მთავრობაში საკმაოდ მაღალი თანამდებობა ეკავა. ეს "სამშვიდობო წინადადება ... ნითელ მოსკოველთა ჩვეულებრივი ჯამბაზობა იყო. ამით მათ უნდოდათ საქმის ბურუსში გახვევა, საქართველოს ყურადღების მიძინება და სამხედრო საქმიანობის გაადვილებაო", შენიშნავდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე და თავდაცვის მინისტრი გრ. ლორთქიფანიძე.<sup>27</sup>

<sup>24</sup> გაზ. "საქართველო", 1921 წ., 17 თებერვალი.  
<sup>25</sup> გ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, თბ., 1995, გვ. 214.  
<sup>26</sup> გაზ. საქართველოს რესპუბლიკა", 1921 წ., 18 თებერვალი.  
<sup>27</sup> გ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, თბ., 1995, გვ. 216.

იმის მიუხედავად, რომ საქართველოს ხელისუფლებამ სწორად ამოიცნო რუსეთის მზაკვრული ჩანაფიქრი, მის შემოთავაზებას მაინც დასთანხმდა, მაგრამ, როგორც ირკვევა, თანხმობის ნოტას მოსკოვამდე აღარ ჩაულწვია.

საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი შეეცადა პირდაპირი მავთულით მოლაპარაკებოდა მოსკოვს, რაზედაც უარი მიიღო. ნოე ჟორდანიამ ახლა დეპეშით მიმართა გ. ჩიჩერინს: "რას მოითხოვთ ჩვენგან. გვაცნობეთ მიზნები, რისთვისაც დაიწყეთ ომი ჩვენს წინააღმდეგ, შეიძლება უსისხლოდ შევთანხმდეთ".<sup>28</sup> დეპეშაზე არავის უპასუხია. აღსანიშნავია, რომ თბილისში მყოფ რუსეთის დიპლომატიურ სამსახურს თავი ისე ეჭირა, თითქოს ეს საკითხი მას საერთოდ არ ეხებოდა. უნაყოფო გამოდგა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის ცდაც - დაკავშირებოდა ლენინსა და ტროცკის.

საქართველოში წითელი არმიის ნაწილების ინტერვენციისა და ფაქტობრივად რუსეთ-საქართველოს ომის დაწყებისთანავე მოსკოვში დაატუსაღეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი გ. მახარაძე. საპასუხოდ, 1921 წლის 17 თებერვალს, თბილისის გენერალ-გუბერნატორის ბ. ჩხიკვიშვილის განკარგულებით საქართველოში საბჭოთა რუსეთის საელჩოს პასუხისმგებელი მუშაკები ს. ქავთარაძე, ლ. იურევიჩი და ი. ლებედევი დააპატიმრეს. მეორე დღეს დააკავეს ასევე საელჩოს სხვა რამდენიმე ათეული თანამშრომელი და გაგზავნეს ქუთაისის საპყრობილეში.<sup>29</sup> გავრცელებული ცნობა, რომ საპყრობილეში ჩასვეს რსფსრ-ს სრულუფლებიანი წარმომადგენელი ა. შეინმანიც,<sup>30</sup> დაზუსტებას საჭიროებს: შეინმანი თბილისიდან რუსეთის საელჩოს სხვა დაპატიმრებული თანამშრომლების მსგავსად მართლაც წაიყვანეს ქუთაისში, მაგრამ იგი არა ციხეში, არამედ სასტუმრო "ორიანტიში" მოათავსეს. აქ რუსი დიპლომატი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის

<sup>28</sup> გაზ. "სოციალისტ-ფედერალისტი", 1921 წ., 16 ივნისი.

<sup>29</sup> ა. მორგოშია, კიროვი კავკასიაში, თბ., 1972, გვ. 93-94.

<sup>30</sup> იქვე, გვ. 94.



მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ეგრეთვე ლორთქიფანიძემაც კი ინახულა. 9 მარტს შეინმანი გადაიყვანეს და დააბინავეს ოლლას ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ კერძო სახლში, რა თქმა უნდა, სათანადო ყარაულის მიჩენით. შეიძლება ითქვას, რომ ა. შეინმანი უფრო შინაპატიმრობაში იმყოფებოდა და აკრძალული ჰქონდა რესპუბლიკის ფარგლების დატოვება, ვიდრე მოსკოვი, ნაცვალგების პრინციპით, გ. მახარაძეს სამშობლოში დაბრუნების უფლებას არ მისცემდა.<sup>31</sup>

ამასობაში საქართველოს გარშემო რკალი იკვრებოდა. რუსეთის სამხედრო შენაერთები მას უკვე აზერბაიჯანის, სოჭისა და დარიალის მხრიდანაც უტევენენ. მალე არტაან-ართვინში ოსმალეთის ჯარები გამოჩნდნენ. 24 თებერვალს მიღებულ იქნა თბილისის დატოვებისა და მცხეთისკენ უკანდახევის გადაწყვეტილება. საქართველოს მთავრობა დასავლეთ საქართველოში გადავიდა.

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს დედაქალაქი XI ნითელმა არმიამ დაიკავა. ბაქოში მყოფმა სერგო ორჯონიკიძემ კრემლს უდებეშა, რომ თბილისზე საბჭოთა ხელისუფლების დროშა აფრიალდა.

ნითელი არმიის ნაწილების მოგერიება ველარ მოხერხდა, თუმცა დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას წინააღმდეგობა თბილისის დატოვებიდან სამი კვირის განმავლობაში არ შეუწყვეტია. ქუთაისიდან ბათუმში გადასვლის წინ, 1921 წლის 10 მარტს, საქართველოს მთავრობამ რუსეთის საელჩოს 73 თანამშრომელი პატიმრობიდან გაანთავისუფლა.<sup>32</sup> 17 მარტს ბათუმის ციხიდან საელჩოს დანარჩენი რეპრესირებული მუშაკებიც გამოუშვეს, რომელთა შორის ს. ქავთარაძეც იყო. სრული თავისუფლება მისცეს ა. შეინმანსაც, რომელიც 24 მარტს

<sup>31</sup> Борьба за победу советской власти в Аджарии. Документы и материалы, Батуми, 1961, გვ. 370.

<sup>32</sup> ა. გიორგობიანი, გმირული ბრძოლების დაუვინყარი დღეები, თბ., 1967, გვ. 202.



თბილისში ჩამოვიდა და ხუთიოდე დღის შემდეგ, ბაქოს გზით, მოსკოვში გაემგზავრა.<sup>33</sup>

2002 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოცემულ ერთ საინტერესო ნიგში აღნიშნულია, რომ "საქართველოს ტერიტორიიდან კიაზიმ კარა ბექირ ფაშას ბანდების განდევნის ორგანიზებაში ქმედითი მონაწილეობა მიიღო საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში რსფსრ-ს საელჩოს სამხედრო ატაშემ პავლე სიტინმა".<sup>34</sup>

ქართულ წყაროებში სიტინთან დაკავშირებით სანინაალმდეგო ინფორმაცია არსებობს. ერთ საარქივო დოკუმენტში კერძოდ აღნიშნულია: როცა ადგილობრივმა რევკომმა იმხანად ბათუმში მყოფ საბჭოთა რუსეთის სამხედრო ატაშეს ქალაქის დაცვაში მონაწილეობა შესთავაზა პ. სიტინმა "ზოგიერთი მოსაზრებით" ამაზე უარი თქვა.<sup>35</sup>

რაც შეეხება რუსეთის ელჩის ა. შეინმანის მოქმედებას ბათუმისათვის ბრძოლის დღეებში, ამის თაობაზეც ურთიერთგამომრიცხავი მასალა მოგვეპოვება. სერგო ქავთარაძის ცნობით, მას შემდეგ, რაც ციხიდან გამოვედი და ბათუმის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანო - რევკომი ჩამოვყალიბეთ, "მაშინვე წავედი მენშევიკების მიერ ევაკუირებულ რსფსრ-ს სრულუფლებიან წარმომადგენელ ა. შ-თან, რომ მასთან ერთად განმეხილა ბათუმში თურქების შემოჭრის საკითხი.

- თქვენ უნდა მიიღოთ საჩქარო ზომები ამ ფაქტთან დაკავშირებით, - ვუთხარი მე. საქართველოში გამოცხადებულია საბჭოთა ხელისუფლება ... ქ. ბათუმი და ბათუმის ოლქი განუყოფელი ნაწილია საქართველოსი. ... თქვენ ერთადერთი წარმომადგენელი ხართ რსფსრ-სი, რომლის ჯარებიც მოქმედებენ საქართველოში და თქვენ მოვალე ხართ შეუდგეთ მოლაპარაკებას თურქებთან, რათა მათ დაუყოვნებლივ დატოვონ საბჭოთა ტერიტორია. ... ეს თქვენი მოვალეობაა...

<sup>33</sup> გაზ. "სოციალისტ-ფედერალისტი", 1921 წ., 24 მარტი.  
<sup>34</sup> В. Лурье, В. Кочик. ГРУ: дела и люди, СПб., 2002, გვ. 310-311.  
<sup>35</sup> ლ. თოიძე, ბრძოლა ბათუმისათვის. 1921 წლის მარტი, თბ., 2009, გვ. 31.

- არა, ჩემი აზრით, ეს არ უნდა შედიოდეს ჩემს მოვალეობაში. ... მე სამხედრო კაცი არა ვარ. მე ვარ მიყვარს სროლა. ... უკეთესია, რომ თქვენ საჩქაროდ გამამგზავროთ თბილისში." "გაოცებული დავრჩი ასეთი პასუხით, მაგრამ ცხადი იყო, რომ შეშინებული კაცის დარწმუნება და დაჯერება არ შეიძლებოდა და მასთან ლაპარაკი ამ მიმართულებით მხოლოდ დროის დაკარგვა იყო" - დასძენს ს. ქავთარაძე.<sup>36</sup>

XI წითელი არმიის 292-ე დივიზიის მეთაურის ცნობით, ბათუმთან მიახლოებისას მას უშუალო უფროსის გარდა საქართველოში საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლის შეინმანის ბრძანებაც მიუღია, შევიდეს ქალაქში და გადავიდეს სამხედრო საბჭოს განკარგულებაში.<sup>37</sup>

რსფსრ-ს ყოფილი საელჩოს ქართველი თანამშრომლები 1921 წლის ბოლშევიკური აგრესიისა და ოკუპაციის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების სხვადასხვა უწყებაში გადანაწილდნენ (ს. ქავთარაძე ციხიდან განთავისუფლებისთანავე ბათუმის რევკომის თავმჯდომარედ მოგვევლინა), არონ შეინმანი კი რუსეთში გაიწვიეს და ახლად ჩამოყალიბებული სახელმწიფო ბანკის მმართველად დანიშნეს.<sup>38</sup> რუსეთის დროებითი წარმომადგენლის მოვალეობა საქართველოს სსრ-ში კრემლმა ს. ორჯონიკიძეს დაავალა. 1921 წელსვე ქართველი ბოლშევიკი ამ თანამდებობაზე ბ. ლეგრანმა შეცვალა, რომელსაც იგივე ფუნქციები სამხრეთ კავკასიის სამივე სოციალისტურ რესპუბლიკაში უნდა განეხორციელებინა.

გრიგოლ ლორთქიფანიძის სიტყვით, "დამოუკიდებელ საქართველოსადმი მოპყრობაში და შემდეგ მისი დაპყრობის ხანაში სავსებითა და სრულად გამოინაკვთა და გაშუქდა ეგრეთწოდებული წითელი რუსეთის მთავრობის ზნეობრივ-პოლიტიკური სახე. მოფერება და მუქარა, მათრახი და "პრიანიკი", პირახეული უნამუსობა და გაუწითლებელი

<sup>36</sup> ს. ქავთარაძე, 1921 წელი. თებერვალი, ჟურნ. "მნათობი", 1957, №11, გვ. 146.

<sup>37</sup> ლ. თოიძე, ბრძოლა ბათუმისათვის. 1921 წლის მარტი, თბ., 2009, გვ. 36.

<sup>38</sup> <http://www.cbr.ru/today/history/print.asp?file=Sheinman.htm>



უტიფრობა, ალერსი და სადიზმი, მოსყიდვა და გამცემლობა, ცბიერება და მუხანათობა ... ფარისევლური სათნოებებად და სულის ამღრევი ცინიზმი, რუსული "პადლოგი" და რუსულივე ურცხვი "ატეაზი", შანტაჟი და პროვოკაცია - ერთი სიტყვით ... ყველაფერი ამის დაკრისტალებულმა კვინტენციამ მოიყარა თავი წითელი კრემლის პოლიტიკურსა და დიპლომატიურ არსენალში".<sup>39</sup> უნდა სავსებით დავეთანხმოთ ამ შეფასებას, რადგან სწორედ ამგვარი იყო კრემლის დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნისადმი 1918-1921 წლებში, რომელიც ყველაზე მკაფიოდ და ცხადად საქართველოში საბჭოთა რუსეთის საელჩოს მოქმედებაში გამოვლინდა.

---

<sup>39</sup> გ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, თბ., 1995, გვ. 212.

## რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომი და საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობა

საქართველოს თავისუფლებისათვის გზების ძიებამ, ცარიზმის დამხობის შემდგომ ქვეყნის მომავალზე ქართული პოლიტიკური ელიტის შეხედულებათა დაახლოებამ, ეროვნულ საბჭოში სხადასხვა პარტიის წარმომადგენელთა გვერდიგვერდ საქმიანობამ და სხვ. ორი მეტად დადებითი შედეგი გამოიღო. 1. რუსეთისაგან განსხვავებით, ჩვენში არ გაჩაღებულა სამოქალაქო ომი. საქართველომ თავიდან აიცილა სისხლისმღვრელი დაპირისპირება. შიდა არეულობას, ნგრევასა და ქაოსს აქ, როგორც მაშინ უწოდებდნენ, "რევოლუციის მონაპოვართა დაცვა-შენარჩუნება," პოლიტიკური წესრიგი, სტაბილურობა და მშვიდობიანი აღმშენებლობა ამჯობინეს. 2. მომზადდა ნიადაგი საიმისოდ, რომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებისას ახლად შექმნილ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სათავეში კოალიციური პრინციპით ჩამოყალიბებული მთავრობა ჩადგომოდა. მართალია, მთავრობაში სოციალ-დემოკრატები სჭარბობდნენ, მაგრამ მინისტრთა პორტფელები ქვეყნის ყველა გავლენიან პოლიტიკურ პარტიას შორის გადანანილდა.

საქართველოს იმდროინდელი ძირითადი პოლიტიკური სპექტრის თანხმობა კოალიციური ხელისუფლების ფორმირებასა და მმართველობაში მონაწილეობაზე მრავალმხრივ საყურადღებო გამოცდილებაა, რომელიც სათანადო შესწავლას, გააზრებასა და გათვალისწინებას საჭიროებს.

მმართველობის კოალიციური პრინციპისათვის უპირატესობის მინიჭება უდაოდ ცხადყოფს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემოქმედი ძალების მაღალ პოლიტიკურ კულტურას, ქვეყნის საშინაო თუ საგარეო

\* პირველად დაიბეჭდა კრებულში „რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომი: შედეგები და გაკვეთილები“, თბ., 2009.



ვითარების სწორ ანალიზს, პოლიტიკურ ლიდერთა მიერ საქვეყნო ინტერესის პარტიულზე მაღლა დაყენების უნარსა და სხვ.

საქართველოს ახალ სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას საფუძველი კოალიციურმა მთავრობამ ჩაუყარა. ჩამოყალიბდა ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ზოგადი კონცეფცია. დამკვიდრდა მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემა, თავისუფალი პრესა, პლურალიზმი და სხვა ლიბერალური ღირებულებანი. შეიქმნა სახელმწიფო სტრუქტურები, ახალი ინსტიტუციები, დაიწყო ცენტრალური და რეგიონული ორგანოების კომპეტენციების გამიჯვნა, გასაქანი მიეცა სამოქალაქო სექტორის ფორმირებას და სხვ.

კოალიციური მთავრობის პირობებში საქართველომ რამდენიმე მნიშვნელოვან შედეგს მიაღწია:

1. მოიგერია ბოლშევიკთა შემოჭრა აფხაზეთში, 1918 წლის გაზაფხულზე განდევნა მათი რაზმები სოხუმის ოლქიდან და ეს კუთხე შეინარჩუნა საქართველოს შემადგენლობაში.

2. 1918 წლის ბოლომდე 3 ათასი კაცისაგან შემდგარი ქართული ჯარი და ქართული ადმინისტრაცია აკონტროლებდა ქ. სოჭსა და მის რაიონს.<sup>1</sup> (ცალკე საკითხია, გამართლებული იყო თუ არა ეს პოლიტიკური თვალსაზრისით იმდროისათვის და სხვა, მაგრამ ფაქტია, რომ 5 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში სოჭი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურისდიქციაში შემოდიოდა!).

3. საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ გადაიხადა ომი სომხეთთან. სძლია აგრესორს და შეძლო სამხედრო წარმატება. მართალია მიღწეული უპირატესობა პოლიტიკურად ვერ განიმტკიცა და ლორე დროებით ნეიტრალურ ოლქად გამოცხადდა, მაგრამ არ უნდა დაგვავინწყდეს ერთი გარემოებაც: სახელდობრ, ის რომ სომხების გამარჯვების შემთხვევაში არარატის რესპუბლიკა

<sup>1</sup> საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1864, ანან. 1, საქ. № 40, ფურც. 25

მხოლოდ ლორეს არ დასჯერდებოდა. ამდენად, საქართველომ მოახერხა და დაიცვა საკუთარი მინა-წყალო.

ნებისმიერი სახელმწიფოს წარმატებას დიდ თუ მცირე ომში რამდენიმე არსებითი ფაქტორი განაპირობებს. მათ შორის, გამოიყოფა სამხედრო, ეკონომიკური, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ფაქტორები. სამხედროს განეკუთვნება: არმიის მოტივაცია და საბრძოლო მზადყოფნა, განვრთნილობა, დისციპლინა, შეიარაღების დონე, სარდლობის პროფესიონალიზმი, სტრატეგიული და ტაქტიკური გეგმების ვარგისიანობა, კომუნიკაციის ხარისხი ცალკეულ დანაყოფებს შორის და სხვ; ეკონომიკურ ფაქტორს განსაზღვრავს ქვეყანაში სურსათისა და სხვა აუცილებელი რესურსების მარაგი, ფრონტისა და ზურგის მჭიდრო კავშირი, გზებისა და ტრანსპორტის გამართულობა, მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგების უწყვეტი ფუნქციონირება და ა. შ; პოლიტიკურ ფაქტორად საშინაო და საგარეო ფაქტორების ერთობლიობა მიიჩნევა: შიგა ფაქტორებიდან აღსანიშნავია ერის კონსოლიდაცია, მთავრობისა და ხალხის ერთიანობა, ქვეყანაში მეხუთე კოლონის არსებობა-არარსებობა, დამოკიდებულება ხელისუფლებასა და ოპოზიციურ სპექტრს შორის და სხვ. საგარეო ფაქტორებს მიეკუთვნება: ქვეყნისთვის სასარგებლო საერთაშორისო ფონის შემზადება, განსაცდელში ჩავარდნილი ერისთვის მოკავშირის ან სხვა დამხმარე ძალის მოშველიების უზრუნველყოფა, მეზობელ სახელმწიფოთა მიმხრობის თუ არა ჩაურევლობის მიღწევა და სხვ; ფსიქოლოგიურ ფაქტორთაგან აუცილებელია აღინიშნოს როგორც არმიის, ისე მოსახლეობის განწყობა, სულისკვეთება და შემართება დასახული მიზნების მისაღწევად, სწრაფი მობილიზაციის უნარი, შიშისა თუ პანიკის დაძლევა და სხვ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918-1921 წლების განმავლობაში მუდმივად იდგა საგარეო საფრთხის წინაშე. მას არაერთხელ მოუწია თავდაცვითი ომი ოსმალეთის, სომხეთის, დენიკინისა და საბჭოთა რუსეთის არმიების წინააღმდეგ. მაგრამ უცნაური ის იყო, რომ ქვეყანა არც ერთი ამ ომისთვის წინასწარ არ მომზადებულა.



პოლიტიკური ოპოზიცია და ქართველი სამხედროები ამის გამო ხშირად საყვედურობდნენ მთავრობას. მაგალითად, რევაზ გაბაშვილის სიტყვით, "რომ ომი მზადდებოდა სომხეთის მხრიდან და რუსის "თეთრი არმიის" ოფიცრებიც ჰყავდათ ხელმძღვანელებად, ჩვენმა მთავრობამ იცოდა," მაგრამ ჩვენი მხრიდან "არავითარი წინასწარი სამზადისი არ იყო ნამდვილად მოსალოდნელი ომისთვის".<sup>2</sup>

გენერალ გიორგი მაზნიაშვილი იგონებდა: საქართველოს მთავრობა დარწმუნებული იყო, რომ სომხები საქართველოზე თავდასხმას ვერ გაბედავდნენ, "ყოველდღე სწერდა მათ დიპლომატიურ ნოტებს, ხოლო თავის დასაცავად არავითარ ზომებს არ იღებდა".<sup>3</sup> ამასვე გვიმონუმებს გენერალი გიორგი კვინიტაძეც. იგი შენიშნავდა: "რაც შეეხება საქართველოს მხრიდან ომისათვის მზადებას, ასეთი რამ საერთოდ არ ყოფილა, არც საგარეო პოლიტიკაში და არც სამხედრო თვალსაზრისით".<sup>4</sup>

ცნობილია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა იმ დროს ჩამოყალიბდა, როცა პირველი მსოფლიო ომი ჯერ კიდევ გრძელდებოდა. მთავრობა მოვალე იყო, განესაზღვრა ქვეყნის დამოკიდებულება ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენისადმი, რაც აისახა კიდევც "დამოუკიდებლობის აქტში." საქართველომ საერთაშორისო ომიანობაში მუდმივი ნეიტრალიტეტი გამოაცხადა.

ისეთ რთულ გეოპოლიტიკურ რეგიონში, როგორც სამხრეთ კავკასია იყო, ნეიტრალიტეტი ნაკლებად რეალური ჩანდა, მაგრამ ცხადყოფდა ქართული სახელმწიფოს სამშვიდობო მისწრაფებას.

ნეიტრალიტეტის დეკლარირება ახლად შექმნილი რესპუბლიკის სუვერენობისათვის საკმარისი გარანტია ვერ იქნებოდა, ამიტომ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება ერთ-ერთ მთავარ სახელმწიფოებრივ ამოცანად დაისახა. მოკლე დროში მომზადდა

<sup>2</sup> გ. გაბაშვილი, რაც მახსოვს, წიგნში - დაბრუნება. 3, თბ., 1991, გვ. 228-229.  
<sup>3</sup> გ. მაზნიაშვილი, მოგონებები, ბათუმი, 1990, გვ. 47.  
<sup>4</sup> გ. კვინიტაძე, მოგონებები, II, თბ., 1999, გვ. 93.



სამართლებრივი ბაზა: გამოიცა კანონები სსრკ-ის  
 გვარდიისა და რესპუბლიკის რეგულარული არმიის  
 ორგანიზაციის შესახებ, დამტკიცდა სამხედრო ბეგარისა და  
 მუდმივი ჯარის შევსების დებულება. ოციდან ორმოც  
 წლამდე ასაკის მამრობითი სქესის ყველა მოქალაქე  
 ვალდებული იყო მუდმივ ჯარში სამსახურით მოეხადა  
 სამხედრო ბეგარა. ერთგვარ რეზერვს წარმოადგენდა  
 ლაშქარი, რომელიც სამხედრო საფრთხის გაძლიერების ან  
 ომის შემთხვევაში იკრიბებოდა.

ნოე ჟორდანია კრიტიკულად აფასებდა სამხედრო  
 აღმშენებლობის პროცესს და თავის მოგონებებში  
 შენიშნავდა: საქართველოს დამოუკიდებლობის  
 გამოცხადების პერიოდისათვის შექმნილი ქართული  
 რეგულარული ჯარი იყო "სრული იმპროვიზაცია" და ამიტომ  
 შევუდექით მის რეორგანიზაციასო. "მთავარი იყო  
 ოფიცრების შერჩევა, აპარატების განახლება," მაგრამ  
 პერსონალის მიღების საკითხები წყდებოდა პარლამენტის  
 სამხედრო კომისიის ნევრთა შორის "შინაურულად,  
 პროტქციებით და ნაცნობ-მეგობრობით" და არა სამხედრო  
 სამინისტროს მეშვეობით.<sup>5</sup>

მთავრობის თავმჯდომარეს მთელი ბრალდება გადააქვს  
 "რუსის ჯარში ნამსახურ ქართველ სამხედროებზე. ჩვენ  
 დაგვლუპა ამნაირმა ოფიცრობამ, მას არ ქონდა არავითარი  
 პატრიოტიზმი, ყველაფერს უყურებდა გამორჩენის  
 თვალსაზრისით, ცარცვაედნენ სისტემატურად პოლკებს -  
 ერთი სიტყვით, ეს რუსეთუმე ხალხი იყო ნამდვილი რისხვა  
 ჩვენი საქმისთვის".<sup>6</sup>

ცარიზმის დამხობის შემდეგ სხვადასხვა ფრონტიდან  
 სამშობლოში დაბრუნდა რუსეთის არმიაში ნამსახური,  
 ომებში გამოწრთობილი და სახელმოხვეჭილი  
 მრავალრიცხოვანი გენერალიტეტი და ოფიცრობა,  
 რომელთა დიდი ნაწილი უყოყმანოდ ჩადგა ქვეყნის  
 სამსახურში, მზად იყო, თავისი წვლილი შეეტანა ქართული  
 შეიარაღებული ძალების ფორმირებასა და სახელმწიფოს

<sup>5</sup> ნ. ჟორდანია, მემუარები, თბ, 1990, 96-97.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 113-114.



ბრძოლიუნარიანობის განმტკიცებაში. მიუხედავად ამისა, სოციალ-დემოკრატიულ ხელისუფლებას შეეძლო ქართველ სამხედროთა იდეური ორიენტაცია და გადაჭარბებულ სიფრთხილეს იჩენდა ამ წრისადმი დამოკიდებულებაში.

ქართველი გენერალიტეტი არცთუ უსაფუძვლოდ მთავრობას მათდამი უნდობლობაში ადანაშაულებდა. გენერალი გიორგი მაზნიაშვილი წერდა, რომ ძველ, გამოცდილ ოფიცრებსა და მოხელეებს ანუ "სპეცებს" მთავრობა ეჭვით უყურებდა. "ყველა ისინი გადააქციეს უბრალო გადამწერებად და საპასუხისმგებლო ადგილებზე ნიშნავდნენ გამოუცდელ, უვიც, საეჭვო ზნეობის პირებს, რომელთაც პარტიული ბილეთის მეტი არაფერი გააჩნდათ".<sup>7</sup>

ქართული რეგულარული ჯარის ფორმირება ფინანსური დეფიციტის, საგარეო გართულებებისა და სამხედრო შეტაკებების ვითარებაში (ომი სომხეთთან, თავდაცვა ოსმალთა თუ დენიკინის შემოტევისაგან, საბჭოთა რუსეთის აგრესია), ნაჩქარევად წარმოებდა, ხარვეზებიც ახლდა, თუმცა მაინც მოხერხდა ბრძოლისუნარიანი და მობილური, 20-30 ათას კაციანი არმიის ჩამოყალიბება. უმცროს ოფიცერთა აღზრდას თბილისში დაარსებული იუნკერთა სამხედრო სკოლა ემსახურებოდა და სხვ.

ქართული სახელმწიფო არც ერთი მეზობლის მიმართ საომარ მოქმედებებს არ გეგმავდა და მთავრობაც თავდაცვის ღონისძიებებსაც უშუალოდ მხოლოდ სხვა ქვეყნის ინტერვენციის აშკარა მოახლოებისას მიმართავდა. ამას კარგად ამჩნევდნენ ეროვნულ-პოლიტიკური ძალები, რომლებიც ხელისუფლებისაგან მოითხოვდნენ მეტი ყურადღება მიექცია ახლად შექმნილი სახელმწიფოს თავდაცვის განმტკიცებისა და გაძლიერებისათვის.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერს სპირიდონ კედიას დამფუძნებელი კრების ტრიბუნიდან არაერთხელ გაუმახვილებია ქვეყნის მესვეურთა ყურადღება სახელმწიფოს თავდაცვისა და ეროვნული კონსოლიდაციის

<sup>7</sup> გ. მაზნიაშვილი, მოგონებები, ბათუმი, 1990, გვ. 170.



აუცილებლობაზე. იგი ამ საქმეში მუდმივად გამოტყვევდა ხელისუფლების უპირველეს როლსა და პასუხისმგებლობასა სპირიდონ კედიას სიტყვით, სახელმწიფოს მეთაური და მესაჭე მთავრობაა, რომელმაც არ უნდა დაივინყოს, რომ იგი არც გლეხთა მთავრობაა და არც მუშათა, არამედ იგი არის საქართველოს მთავრობა. მთავრობამ ყველა წოდება და ჯგუფი, საქართველოს ყოველი ცოცხალი ძალა უნდა შეარიგოს სამშობლოს სიყვარულში და მუდმივად მზად იყოს მის დასაცავად.<sup>8</sup>

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის ყველაზე არსებითი საფრთხე რუსეთიდან იყო მოსალოდნელი. მართლაც, ჩრდილოელი მეზობლის თავდასხმა საქართველოზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში მზადდებოდა. საბჭოთა რუსეთის იმპერიული ბუნების ამოცნობა მაინცდამაინც ძნელი არ ყოფილა. ვ. ლენინი და სხვა ბოლშევიკი ლიდერები თეორიულად აღიარებდნენ ერთა თვითგამორკვევის უფლებას სახელმწიფოებრივ გამოყოფამდე, მაგრამ პრაქტიკულად ამის სანინაალმდეგოდ მოქმედებდნენ. ისინი რუსეთის მთლიანობის შესანარჩუნებლად მეფის ხელისუფლებაზე მეტ მონდომებასა და პრინციპულობას იჩნდნენ. ბოლშევიკებს განსაკუთრებით არ ეთმობოდათ კავკასია. ამით აიხსნება, რომ რუსეთის სახალხო კომისართა საბჭომ ჯერ კიდევ 1917 წლის დეკემბერში სტეფანე შაუმიანი კავკასიის საქმეთა დროებით და საგანგებო კომისრად დანიშნა "კავკასიაში საბჭოების სამხარეო ხელისუფლების შექმნამდე."

ინგლისელთა მიერ შაუმიანის დახვრეტის შემდეგ, 1918 წლის შემოდგომიდან მისი ადგილი სერგო ორჯონიკიძემ დაიკავა. შაუმიანისა და ორჯონიკიძის მტრული საქმიანობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ კარგად იყო ცნობილი საქართველოს მთავრობისათვის, მაგრამ ეს უკანასკნელი მეტისმეტ შემწყნარებლობას იჩენდა მათ მიმართ. მოგვიანებით თვით ს. ორჯონიკიძე იხსენებდა:

<sup>8</sup> საქართველოს დამფუძნებელი კრება. სტენოგრაფიული ანგარიში, 1919 წლის 1 ივნისის სხდომა, გვ. 16-18.



“როდესაც 1919 წელს ... მოვხვდი თბილისში, ნოე ჟორდანიამ ამხანაგის პირით შემომითვალა: სერგო ნუ ივლი თბილისის ქუჩებში, ჩვენ შენ არ დაგიჭერთ, მაგრამ ინგლისელებმა იციან შენი აქ ყოფნა და ისინი დაგიჭერენო”

არანაკლებ საგულისხმოა იმავე ორჯონიკიძის სხვა ჩანაწერებიც, სადაც ხაზგასმულია, რომ ძველმა ურთიერთობამ ჯერ კიდევ არალეგალობის პერიოდიდან და ერთად მუშაობამ თავისი გაიტანა და 1919 წელს საქართველოში ჩემი ყოფნის მთელი ხნის განმავლობაში “მე თითქმის არავითარი შეტაკება არ მქონია ადგილობრივ ამხანაგებთანო”.<sup>9</sup>

საარქივო დოკუმენტის თანახმად, საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა ხელისუფლებამ შეიფარა თერგის ოლქიდან დევნილი 5 ათასი ბოლშევიკი და მილიონი მანეთით დაეხმარა მათ. “ბევრი მათგანი ახლაც ჩვენში ცხოვრობსო,” აცნობებდა 1919 წელს ნოე ჟორდანიას ვლადიმერ ლენინს.<sup>10</sup>

მმართველი პარტიის ლოიალურ დამოკიდებულებას ბოლშევიკი მოღვაწეების მიმართ კრიტიკით ხვდებოდა ოპოზიციური სპექტრი. გაზეთი “საქართველო” შენიშნავდა: “ვერ ვიტყვით, რომ ჩვენი მთავრობა და მენშევიკები ბრძოლას არ ანარმოებდნენ ბოლშევიკებთან. პირიქით, ეს ბრძოლა მწვავე ხასიათისაც იყო. მაგრამ ბრძოლაც არის და ბრძოლაც. ამათ შორის ბრძოლას უფრო პარტიული ელფერი ედო, ვიდრე ეროვნული ან სახელმწიფოებრივი და მთავარი შეცდომაც ამაში იყო”.<sup>11</sup>

ეროვნულ-დემოკრატიული პრესა შენიშნავდა: “ჰანიბალის პარტიზანულ ბრძოლას რომაელები გაცილებით მეტის გამჭრიახობით ეკიდებოდნენ, ვიდრე ჩვენი მთავრობა ბოლშევიკებს. ... მთავრობა თითქმის კეკემალულას ეთამაშება მათ. ... მათი მხრიდან ძარცვა-გლეჯა,

<sup>9</sup> გ. ორჯონიკიძე, სტატიები და სიტყვები, ტ. 1, თბ., 1957, გვ. 89-90.

<sup>10</sup> საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1864, ანან. 1, საქმ. №49, ფურც. 25.

<sup>11</sup> გაზ. “საქართველო,” 1920 წ., 25 მარტი.



განადგურება. გაიმართება მოლაპარაკება, მიტინგი, ერთადვე მხრიდან წარმოდგებიან "შეგნებული ამხანაგები" და რევოლუციის სახელით წითელ დროშაზე მარქსის სახეს შეჰფიცავენ თანამშრომლობას, ერთად ბრძოლას, ასე რიგდებიან".<sup>12</sup>

ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელი, ცნობილი სწავლული და დამფუძნებელი კრების დეპუტატი შალვა ნუცუბიძე სოციალ-დემოკრატებს მიმართავდა: "იცოდეთ, რომ როდესაც თქვენს მოქმედებას ისტორია გაასამართლებს, შესაძლებელია ყველაფერი გეპატიოთ; ისტორია გაპატიებთ თქვენს შეცდომებს, ბორძიკს, თქვენს უცოდინარობას და უვიცობას, მაგრამ ისტორია არ გაპატიებთ იმას, რომ თქვენ თანდათან უფრო სასაცილონი ხდებით".<sup>13</sup>

ოპოზიციური ძალები მთავრობას გამუდმებით უკიჟინებდნენ, რომ მას "თუ ერთის მხრივ, მოსკოვის ცენტრისადმი ფრაქციული სიძულვილი აქვს, მეორეს მხრივ პრინციპული სიყვარული აკავშირებს."

არვისთვის საიდუმლოა არ არის, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომაც ერთხანს კვლავ პრორუსული განწყობა შემჩნეოდა. აი, რას აცხადებდა ამ პარტიის უხუცესი წევრი სილიბისტრო ჯიბლაძე 1919 წლის 12 მარტს, დამფუძნებელი კრების გახსნის დღეს ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში გამოსვლისას: "ჩვენი სურვილი იყო რუსეთის დემოკრატიასთან ერთად ბრძოლა და ჭირსა და ლხინში მასთან ყოფნა, მასთან სიცოცხლე", მაგრამო დასძენდა იქვე, "მწარე სინამდვილემ გვიმტყუნა და გაგვიცრუა ეს იმედები. ანარქიის ტალღამ მოგვწყვიტა მას და ობლად გაგვრიყა".<sup>14</sup>

<sup>12</sup> გაზ. "საქართველო," 1918 წ., № 109.

<sup>13</sup> საქართველოს დამფუძნებელი კრება. სტენოგრაფიული ანგარიში, 1919 წლის 7 ოქტომბრის სხდომა, გვ. 18.

<sup>14</sup> საქართველოს დამფუძნებელი კრება. სტენოგრაფიული ანგარიში, 1919 წლის 12 მარტის სხდომა, გვ. 4.



ნოე ჟორდანიას, მართლაც, კარგა ხანს სჯეროდა, რომ ლენინის დამოკიდებულება საქართველოსადმი იყო "პოლიტიკური და მეზობლური," რის გამოც ბოლშევიკთა აშკარა ანტიქართულ, ძირგამომთხრელ საქმიანობას სათანადო შეფასება არ ეძლეოდა. "გასაოცარი ის იყო, რომ არც დამფუძნებელი კრება და არც ნოე ჟორდანიას მთავრობა თითქოს არ გრძნობდა ჩრდილოეთიდან მომაკვდინებელი საფრთხის მოახლოებას. რაც დრო გადიოდა, მით უფრო ემსგავსებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი (ნოე ჟორდანია მთავრობის თავმჯდომარე იყო, - ო. ჯ.) პატრიარქალურ მწყემსმთავრს, შესაფერს იდილიური არკადიისათვის. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სულიერი დისციპლინის და თავდაჭერილობის შედეგი იყო," შენიშნავდა გერონტი ქიქოძე.<sup>15</sup>

გერონტი ქიქოძე საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის წევრთა საყურადღებო დახასიათებას იძლევა. მისი სიტყვით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის "მთავარი ხუროთმოძღვარი ნოე ჟორდანია იყო. როგორც დროებით პარლამენტში, ისე დამფუძნებელ კრებაში მის სიტყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ ის თავისუფალი იყო ყოველი ერთპიროვნული დიქტატორული მისწრაფებისგან და ყურს უგდებდა, როგორც თავისი უახლოესი ამხანაგების, ისე სხვა პარტიების შეგონებასაც, თუ ეს მართებულად და სასარგებლოდ მიაჩნდა სახელმწიფოს ინტერესებისათვის." ...ნოე ჟორდანია... ყველასათვის ადვილად მისაწვდომი იყო თავის უბრალოდ მოწყობილ ბინაში შიო ჩიტაძის ქუჩაზე. ... როცა თბილისის მოსახლეობა ხედავდა, როგორ მიაქროლებდა რუსთაველის პროსპექტზე წვერგაბარდნილი მეეტლე ორცხენიან ეტლს, რომელშიც რესპუბლიკის პრეზიდენტი შეუშფოთებლად იჯდა, მას შეეძლო წარმოედგინა, რომ ქართული დემოკრატიის კიდობანი მტკიცედ იყო შეკრული და ყოველ წარღვნას გაუძლებდა," დასძენდა პუბლიცისტი.<sup>16</sup>

<sup>15</sup> გ. ქიქოძე, თანამედროვის ჩანაწერები, თბ., 2003, გვ. 41.

<sup>16</sup> გ. ქიქოძე, თანამედროვის ჩანაწერები, თბ., 2003, გვ. 16-17; 41-42.



თვით ნოე ჟორდანია მიიჩნევდა, რომ რევოლუციით გამოწვეულ იდეურ ქაოსში პირადი ავტორიტეტი უფრო სჭრიდა და რომ საქართველოში მთავრობის მეთაურობა დაუკავშირეს პიროვნებას: “ნოე ჟორდანიას ბრძანებას დავემორჩილები, სხვებისას კი არა - აი, ამ ფსიქოლოგიის ამოძახილი,” ამიტომაც იძულებული ვიყავი დავმორჩილებოდი ბედს, მენია მესვეურობის ჭაპანი და ვერას გზით ვერ მოვიშორე ეს თანამდებობაო.<sup>17</sup>

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს მოგვიანებით საკმაოდ დადებითად ახასიათებდა ცნობილი ქართველი ბოლშევიკი სერგო ქავთარაძეც. ნოე ჟორდანია თავის პარტიაში “ყველაზე მაღლა იდგა ჭკუით, ნიჭით, ცოდნით და სამართლიანად ითვლებოდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის (მენშევიკების) ერთ-ერთ ბელადად და ბურჯად. ასე აფასებდნენ მას ჩვენი პარტიის ბელადებიცო,” წერდა იგი.<sup>18</sup>

გერონტი ქიქოძის შეფასებით, “საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი ჭკვიანი და დარბაისელი კაცი იყო, მაგრამ მისი სამინისტრო სავსე იყო ფრანგულად და ინგლისურად მოლაპარაკე მოხელეებით, რომელთაც დაუსრულებელი ბანკეტები დროს არ უტოვებდა თუნდ “ტანი” და “ტაიმსი” ეკითხათ. ამიტომ საქართველოს დიპლომატებს, სხვათა შორის, არ გაუგიათ, რომ დიდი ბრიტანეთის კოალიციური სამინისტროს მეთაური ლოიდ-ჯორჯი ლენინის მთავრობას შეუთანხმდა, რომ მისი მთავრობა არ ჩაერეოდა რუსეთის და ამერკავკასიის რესპუბლიკების ურთიერთობაში”.<sup>19</sup>

შინაგან საქმეთა მინისტრის ნოე რამიშვილის დახასიათებისას გერონტი ქიქოძე საქართველოს მტრების, მათ შორის ბოლშევიკებისადმი მის უკომპრომისო დამოკიდებულებას გამოჰყოფდა. წერდა: “უეჭველია, ნოე რამიშვილი სასტიკად გაუსწორებოდა ქართველ

<sup>17</sup> ნ. ჟორდანია, მემუარები, თბ., 1990, გვ. 98.  
<sup>18</sup> ს. ქავთარაძე, დღეები პარიზში, ჟურნ. “მნათობი,” 1966, №4, გვ. 182.  
<sup>19</sup> გ. ქიქოძე, თანამედროვის ჩანაწერები, თბ., 2003, გვ. 19.



ბოლშევიკებსაც, თუ ჟორდანის არ შეეკავებინა და თუ საერთოდ საქართველოს მთავრობა იძულებული არ გამხდარიყო ხელშეკრულება დაედო მოსკოვის მთავრობასთან და ანგარიში გაენია მისი მოთხოვნებისათვის”.<sup>20</sup>

სხვა თანამედროვე ავტორის სიტყვით, “რუსეთის რევოლუციის ბობოქარ ზღვაში საქართველო წარმოადგენდა მცირე ნავს. ... დაუდგრომელი სტიქიონი მას ერთი მხრიდან მეორისაკენ ისროდა. ... საუბედუროდ, ნავზე არ აღმოჩნდა გამოცდილი მესაჭე, რომ ის უშიშარ ადგილზე მიეყენებია. ... ქვეყნის სათავეში იდგა არა ეროვნული, არამედ პარტიული მთავრობა, რომელმაც მეტი ყურადღება რევოლუციის მონაპოვრის დაცვას დაუთმო, ვიდრე ერის სამსახურს”.<sup>21</sup>

ხელისუფლებასთან პოლიტიკურად დაპირისპირებული ოპოზიცია ბოლშევიზმის საფრთხეზე საუბრისას სურათს სულაც არ ხატავდა მუქ ფერებში. ისინი რეალისტურად აფასებდნენ სიტუაციას და მოვლენებს თავის სახელებს არქმევდნენ. საბჭოთა რუსეთის ნამდვილი სახე, მისი აგრესიული ბუნება და იმპერიული მისწრაფება მკაფიოდ და ნათლად წარმოჩნდა 1921 წლის თებერვალ-მარტში, როდესაც წითელი არმიის ნაწილებმა საქართველოს საზღვრები გადმოლახეს და ჩვენი ქვეყნის ფარგლებში შემოიჭრნენ.

როგორ მოიქცა საქართველოს ხელისუფლება კრიტიკულ სიტუაციაში? რამდენად გაართვა მან თავი ახალ საშიშ გამოწვევას?

საქართველოს პირველი რესპუბლიკის სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას რუსეთის ინტერვენციის პირობებში მოქმედების გამოცდილება უკვე გააჩნდა. მართალია, წინათ, 1919 წლის ზაფხულში აგრესორი სხვა ძალა, სახელდობრ, დენიკინის თეთრგვარდიული მოხალისეთა არმია იყო, მაგრამ ხელისუფლებამ საომარ სიტუაციაში ქვეყნის მართვის გამოცდილება შეიძინა. დენიკინის საფრთხის წინაშე საქართველოს დემოკრატიული

<sup>20</sup> გ. ქიქოძე, თანამედროვეის ჩანაწერები, თბ., 2003, გვ. 18.

<sup>21</sup> გაზ. "კლდე," ბერლინი, 1934 წ., 12, №5-6.

რესპუბლიკის პოლიტიკური მესვეურები არც პანიკას და არც ეიფორიას არ მოუცავს. მთავრობამ სრულად გააცნობიერა საშიშროება და განახორციელა შესაბამისი ზომები. აღსანიშნავია, რომ სამხედრო-სტრატეგიული ღონისძიებების გარდა განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მოსახლეობის სულისკვეთების ამაღლებას, სამშობლოს თავდაცვისათვის ხალხის საბრძოლო შემართების უზრუნველყოფას. ამ მიზნით მთავრობისა და დამფუძნებელი კრების წევრები ხვდებოდნენ საზოგადოების სხვადასხვა წრეების წარმომადგენლებს, განუმარტავდნენ მომენტის სერიოზულობას, მოუწოდებდნენ ერთიანობისა და სიმტკიცისაკენ.<sup>22</sup>

ხელისუფლებას დაბნეულობა არც 1921 წლის ომში გამოუჩენია, სიმტკიცეც შეინარჩუნა და მართვის მეტნაკლები უნარიც. ქვეყნის ხსნისათვის დაგვიანებით, მაგრამ მაინც განახორციელა დამატებითი ღონისძიებები და სხვ. ნ. ჟორდანიამ დეპეშით მიმართა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს გ. ჩიჩერინს, "რას მოითხოვთ ჩვენგან. გვაცნობეთ მიზნები, რისთვისაც დაინწყეთ ომი. შეიძლება უსისხლო შევთანხმდეთ." დეპეშაზე არავის უპასუხია. ასევე უნაყოფო გამოდგა ნოე ჟორდანიას ცდა, უშუალოდ დაკავშირებოდა ლენინსა და ტროცკის.

1921 წლის 16 თებერვალს საქართველოს ხელისუფლებამ გამოაქვეყნა მიმართვა "ყველას, ყველას, ყველას!" მიმართვაში აღნიშნულია: "რუსეთის საბჭოთა მთავრობა იდენს ისტორიაში უმაგალითო ბოროტმოქმედებას. მას შემდეგ, რაც დაარღვია ჩვენთან დადებული ყველა ხელშეკრულება, მან გადანვიტა შეიარაღებული ძალით მოსაპოს ჩვენი თავისუფლება, ჩვენი დამოუკიდებლობა, ჩვენი სუვერენობა!" დამფუძნებელმა კრებამ მთელ ერს მოუწოდა, დაეცვა სამშობლო, გადაერჩინა მისი თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

ხელისუფლების სახელდახელო ძალისხმევას სამხედრო თვალსაზრისით მანამდე დაშვებული შეცდომების გამოსწორება ომის პირობებში აღარ შეეძლო.

<sup>22</sup> გაზ. "სახალხო საქმე, 1919 წ., 5 ივნისი.



გენერალი ილია ოდიშელიძე, რომელიც ნითელი არმიის საქართველოზე თავდასხმის მომენტისათვის დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის მთავარსარდალი იყო, 1921 წლის დამდეგს ხელისუფლებას არწმუნებდა: რუსეთთან ომისთვის დაგვჭირდება 75 ათასიანი მოქმედი ჯარი და ამდენივე რეზერვიო. ნოე რამიშვილმა კი მთავრობას “დაუმტკიცა,” რომ ქვეყნის თავდაცვისათვის 25 ათასი კაცი სრულიად საკმარისია.<sup>23</sup> ალბათ, ამით აიხსნება, რომ 1920 წლის ბოლოს ხელისუფლება დაჰყვა სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის მოთხოვნას და უვადო შვებულებაში დაითხოვა ყველა ჯარისკაცი, რომელმაც სამხედრო სამსახურში ორი წელი და მეტი დრო გაატარა.<sup>24</sup> ეს უადგილო დემობილიზაცია, რომელიც არსებითად საბჭოთა არმიის ინტერვენციამდე ორიოდე თვით ადრე განხორციელდა, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით გაუმართლებელი იყო.

ანგარისგასანევი აგრეთვე სხვა მაღალი რანგის სამხედროთა შენიშვნები, რომელთაგან ქვემოთ რამდენიმეს დავიმოწმებთ. გენერალ გიორგი მაზნიაშვილი გადმოგვცემს: მას შემდეგ, რაც ინფორმაცია მივიღეთ, რომ XI ნითელი არმია საქართველოზე შეტევისათვის ემზადებოდა, სამხედრო სამინისტრომ თბილისის მიდამოებში დროებითი სიმაგრეების მოსაწყობად გეგმა შეიმუშავა და მისი განხორციელებისათვის ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად 300 ათასი ოქროს მანეთის გამოყოფა ითხოვა, მაგრამ მთავრობამ ფულის გაღებაზე უარი განაცხადა.<sup>25</sup> გენერალ ილია ოდიშელიძის სიტყვით, “ჩვენ დავხარჯეთ 1 მილიონი ლირა მსოფლიოში საუკეთესო 10 აეროპლანის (240 კმ. სიჩქარით საათში) შესაძენად, ხოლო ბენზინისათვის ... დაგვენანა რამდენიმე ათასი ლირა”.<sup>26</sup>

“დამფუძნებელი კრება ულუფას იძლეოდა ორმოცდაათი ათასი ჯარისკაცისათვის, მაგრამ ნითელი არმიის

<sup>23</sup> გაზ. “კლდე,” ბერლინი, 1935 წ., №16.

<sup>24</sup> გ. მაზნიაშვილი, მოგონებები, ბათუმი, 1990, გვ. 153.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 150-153.

<sup>26</sup> გაზ. “კლდე,” ბერლინი, 1935 წ., №18.

წინააღმდეგ 1921 წელს მთავრობამ ამის ნახევარიც ვერ გამოიყვანა”.<sup>27</sup>

საქართველოს რეგულარული ჯარისა და გვარდიის საერთო რაოდენობა 1920 წლისათვის 21 ათასს კაცს შეადგენდა (აქ არ იგულისხმება შტაბები, სამმართველოები, უმწყობრო ნაწილები და სადარაჯო ლეგიონები).<sup>28</sup> ქვეყანას შესაძლებლობა გააჩნდა მოწინააღმდეგისათვის 36 ბატალიონი ჯარი და 48 ქვემეხი დაეპირისპირებინა, რეალურად კი ბრძოლის ველზე 12 ბატალიონი და 24 ქვემეხი გამოიყვანა. გენერალ ილია ოდიშელიძის გაანგარიშებით, საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ 1921 წლის ომში წითელი არმიის წინააღმდეგ თავი მოუყარა არა უმეტეს 18 ათას ხიშტს 46 ქვემეხით და 6 ესკადრონს - მტრის 100 ათასი ფეხოსნისა და 5 ათასი ცხენოსნის საპირისპიროდ (აქ არ არის ჩათვლილი თურქეთის 30 ათასიანი ჯარი და 2 ათასი ცხენოსანი). ჩვენი ქვეითი ჯარი ექვსჯერ ნაკლები იყო მტრისაზე, ცხენოსანი კი რვანახევარჯერ. ამასთან, თითო ქვემეხზე მხოლოდ ორი ყუთი ყუმბარა გამოიყო (ერეკლე მეორის დროს, კრწანისის ბრძოლაში 1000 მებრძოლზე 2 ქვემეხი მოდიოდა, 1921 წლის თებერვალ-მარტში კი ორი ქვემეხი 1700 ჯარისკაცზე იყო მიმავრებული).<sup>29</sup>

საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის ომის დაწყებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, კერძოდ 1921 წლის 14 თებერვალს, მთავრობის დადგენილებით გენერალ ილია ოდიშელიძის ნაცვლად მთავარსარდლად გენერალი გიორგი კვინიტაძე დაინიშნა. ომის მიმდინარეობისას მთავარსარდლის შეცვლა ოფიცრებისა და გენერლების მნიშვნელოვან ნაწილს დაუშვებლად მიაჩნდა. გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სიტყვით, “ეს იყო დიდი შეცდომა მთავრობისა”.<sup>30</sup> ვერ მოხერხდა საჭირო ოდენობის იარაღისა და ტყვია-წამლის, ყუმბარების, საავიაციო საწვავის შექენა,

<sup>27</sup> გ. ქიქოძე, თანამედროვეის ჩანაწერები, თბ., 2003, გვ. 21.

<sup>28</sup> გ. მაზნიაშვილი, მოგონებები, ბათუმი, 1990, გვ. 150.

<sup>29</sup> გაზ. “კლდე”, ბერლინი, 1935 წ., № 22-23.

<sup>30</sup> გ. მაზნიაშვილი, მოგონებები, ბათუმი, 1990, გვ. 158.



დაგვიანდა კავალერიის ახალი შენაერთების შედგენა და სხვა.

სხენებული ნაკლოვანებებისა და შეცდომების მიუხედავად, უსამართლობა იქნება ითქვას, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლება არ სარგებლობდა მოსახლეობის მხარდაჭერით. ცნობილია, რომ 1919 წლის თებერვალში გამართულ დამფუძნებელი კრების არჩევნებში ქართულმა სოციალ-დემოკრატია მელექტორატის ხმების 84%-მდე დააგროვა და 130 სადეპუტატო ადგილიდან 109 მანდატი მოიპოვა. ქვეყნის მართვა-გამგეობისას ორი წლის მანძილზე მთავრობის საქმიანობაში გამოვლენილი ხარვეზები, ობიექტური თუ სუბიექტური გარემოებები, უნდა ვიფიქროთ, მმართველ პარტიას მხარდამჭერთა რიცხვს გარკვეულად შეუმცირებდა. ცხოვრების მძიმე პირობები და სხვა სიძნელეები საზოგადოების ნაწილს მთავრობისადმი ნდობას აღარ მატებდა, მაგრამ მოქალაქეთა დიდი უმრავლესობა ლოიალურად იყო განწყობილი საკუთარი ხელისუფლების მიმართ. ამის ნათელსაყოფად საკმარისია აღინიშნოს, რომ საბჭოთა ჯარების ინტერვენციის შედეგად თბილისიდან დევნილი ნოე ჟორდანიას მთავრობის ზურგს უკან ხალხის შურისძიებისა და რისხვის ტალღა არ აზვირთებულა. "არც ერთი შინაგანი გართულება, არც ერთი უბრალო წესიერების დარღვევა საქართველოს ტერიტორიაზე, არც ერთი თოფის გავარდნა საქართველოს მხედრობის ზურგს უკან. ... მხედრობასთან ერთად უკან იხევს დამარცხებული რესპუბლიკის მთავრობა, რომელსაც თვით ფრონტზე და ფრონტის ზურგში მცველები და დარაჯებიც კი არ დასჭირებია. აი, ასეთი სამოქალაქო დისციპლინა და წესიერება დაიცვა მთელმა საქართველომ, ომის დაწყებიდან მის დამთავრებამდე, ფოილო-შაგალის ფრონტიდან დაწყებული ვიდრე შავი ზღვის ნაპირებამდე," წერდა გრიგოლ ლორთქიფანიძე.<sup>31</sup> მეტიც, 1921 წლის თებერვალ-მარტში დედაქალაქის ქუჩებში ბოლშევიკ-ოკუპანტთაგან

<sup>31</sup> გ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, თბ., 1995, გვ. 37.

მალულად სახელდახელოდ შეთხზული ლექსის ასეთ სტრიქონებსაც გაიგონებდით:

“ნატვრა მომცა, ნატვრა მომცა, ნატვრა ამიხდებოდეს, ლენინ-ტროცკი-მახარაძე სახრჩობელას სწვეოდეს, ჩვენი ნოე ჟორდანია ქალაქს დაბრუნდებოდეს...”<sup>32</sup>

უბრალო ადამიანები ერთხანს მართლაც ინარჩუნებდნენ სიმპათიას ძალმომრეობით დამხობილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისადმი, მაგრამ სრულიად საპირისპირო განწყობა შეიმჩნეოდა ზოგიერთ პოლიტიკურ და სამხედრო წრის წარმომადგენელთა შორის.

ნითელი არმიის ნაწილების შემოჭრისთანავე, როდესაც ცხადი გახდა, რომ ქვეყანა მზად არ იყო ომისათვის, ოპოზიციურ პარტიებში მთავრობისადმი უკმაყოფილებამ იმძლავრა. აღსანიშნავია, რომ ასეთივე გულნაკლულობა თვით სოციალ-დემოკრატიული პარტიის შიგნითაც იგრძნობოდა. აღშფოთებას ახლა ისინიც ვეღარ მალავდნენ. ცნობილი ექიმი და პუბლიცისტი ივანე გომართელი, ნევრი სოციალ-დემოკრატიული პარტიისა, სპირიდონ კედიას მიმართავდა: “თუ გვეღირსა თბილისში დაბრუნება, თქვენ ეგენი ისე უნდა დაანგრიოთ, რომ მათი სახსენებელიც აღარ იყოს”.<sup>33</sup>

როგორც გენერალი გიორგი კვინიტაძე იგონებდა, თბილისის დაცვის ბოლო დღეებში დამფუძნებელი კრების დეპუტაციას მთავარსარდლისთვის დიქტატურის გამოცხადების მოთხოვნითაც კი მიუმართავს.<sup>34</sup>

გერონტი ქიქოძე მოგვითხრობს, რომ საომარ ვითარებაში დედაქალაქმა სიმშვიდე და სტაბილურობა შეინარჩუნა. “თბილისის მოსახლეობას არც რაიმე ექსცესები ჩაუდენია, არც პანიკა გამოუშფლავნებია. ყველაზე მეტი დაბნეულობა თვით მთავრობის წევრებს ემჩნეოდა: მინისტრები თავიანთ ადგილებზე არ ისხდნენ, ზოგიერთ

<sup>32</sup> ვ. გურული, ნოე ჟორდანია. პოლიტიკური პორტრეტი, თბ., 1999, გვ. 129.  
<sup>33</sup> ს. ჩიჯავაძე-კეცია, ნასმენ-ნახული, თბ., 2001, გვ. 227.  
<sup>34</sup> გ. კვინიტაძე, მოგონებები, II, თბ., 1999, გვ. 127.

მათგანს სამხედრო ფარაჯა ჩაეცვა, მხარზე თოფი გადაეკიდა და სასახლის წინ დადიოდა”.<sup>35</sup>

1921 წლის 24 თებერვალს მთავარსარდალმა გიორგი კვინიტაძემ ნოე ჟორდანიასთან შეთანხმებით თბილისის დატოვების გადაწყვეტილება მიიღო. ჯარის უკან დახევის პარალელურად ევაკუაცია სახელისუფლებო სტრუქტურებსაც შეეხო.

დედაქალაქიდან გახიზნულმა მთავრობამ და დეპუტატებმა რამდენიმე დღე ქუთაისში დაჰყვეს. აქ გამართული დამფუძნებელი კრების სხდომაზე გამოსული ნოე რამიშვილი ირწმუნებოდა, სამიოდე თვეში ისევ დედაქალაქში ვიქნებითო. სპირიდონ კედიას რამიშვილისთვის მიუგია: “ღმერთმა გვარგუნა ეს ჩვენი დამოუკიდებლობა ისე, რომ თქვენ არამცთუ იბრძოლეთ და სისხლი დაჰღვარეთ ამისათვის, პირიქით, წინააღმდეგნიც კი იყავით; ქვეყნის დასაცავად ჯარი არ შეჰქმენით, პარტიის მცველად კი გვარდია გაიჩინეთ და ახლა ლაპარაკობთ თბილისში დაბრუნებაზედ. სამი და ექვსი თვე კი არა, იქნება ბევრი ასეული თვეებიც გავიდეს, რომ ჩვენი ქვეყნის თავისუფლება ველარ ვნახოთ”.<sup>36</sup>

ქუთაისში მყოფი ხელისუფლება ჯერ კიდევ ოპტიმისტურად იყო განწყობილი, არ კარგავდა იმედს და მოსახლეობასაც სიმხნევისა და აგრესორთან საბრძოლველად. მობილიზებისაკენ მოუწოდებდა. გაზეთ “ერთობის” ინფორმაციით, “მტრის შემოსევამ, თბილისის დაჭერამ, ათასმა უბედურებამ, რაც ჩვენს ქვეყანას თავს დაატყდა, სრულებითაც ვერ შეარყია ჩვენი სახელმწიფო; იმ საშინელმა უროს ცემამ, რომლითაც მტერს უნდოდა დაენგრია ჩვენი სახელმწიფოებრივი შენობა, ვერ მოშალა, ვერ შეარყია ვერც ერთი არსებითი ნაწილი ამ შენობისა.” მთელი მთავრობა, რომელსაც “ჯერ წარბიც არ შეუხრია და რომლის გულში უწინდებურზე მეტად ელვარებს

<sup>35</sup> გ. ქიქოძე, თანამედროვის ჩანაწერები, თბ., 2003, გვ. 47.

<sup>36</sup> ს. ჩიჯავაძე-კედია, ნასმენ-ნახული, თბ., 2001, გვ. 227.

სამშობლოდან მტრის განდევნის ნადილი და იმედი, თავის ალაგას უკლებლივ დგას”.<sup>37</sup>

დამფუძნებელმა კრებამ გამოხატა ურყევი რწმენა, რომ თბილისს ახლო მომავალში დაიბრუნებს და უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს სხდომა კვლავ გაიხსნება სასახლის თეთრ დარბაზში. “მუხანათი მტრის შემოსევის გამო თბილისი დროებით მოსწყდა საქართველოს, ქართველი ერის თავგანწირული ბრძოლა თავდება, რომ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი დაბრუნებულ იქნება თავისუფალ რესპუბლიკის ნიაღში,” აღნიშნულია დამფუძნებელი კრების მონოდებაში ქართველი ხალხისადმი.<sup>38</sup>

სხვადასხვა მხრიდან ნიაღვარივით მომდინარე წითელი არმიის ნაწილების შეჩერება თბილისის დატოვების შემდეგ შეუძლებელი აღმოჩნდა. საქართველოს გამოუვალი მდგომარეობა შეუქმნა კრემლთან უნისონში მყოფმა თურქეთმაც, რომლის ჯარებმა, დახმარების ნაცვლად, ართვინ-არტაანი დაიკავეს და ბათუმის მისაკუთრებაც მოინდომეს. ასეთ ვითარებაში დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ ქუთაისიდან ბათუმისაკენ გადაინაცვლა და ბოლშევიკებთან დაზავება ამჯობინა.

მოლაპარაკება 1921 წლის 17-18 მარტს ქუთაისში გაიმართა. საქართველოს ხელისუფლებას მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე და სამხედრო მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძე წარმოადგენდა, რევკომის რწმუნებული კი მამია ორახელაშვილი იყო. შეხვედრას საბჭოთა რუსეთის სახელით აბელ ენუქიძე უძღვებოდა. მიღწეული შეთანხმების საფუძველზე მხარეებმა შეწყვიტეს საომარი მოქმედება.

ქართული ჯარის შენაერთებმა გიორგი მაზნიაშვილის მეთაურობით წითელი არმიის დაუხმარებლად თურქები ბათუმიდან განდევნეს. ეს იყო საქართველოს

<sup>37</sup> ჩვენი საქმე მართალი საქმეა და მან უნდა გაიმარჯვოს, თბ., 2009., გვ. 8.

<sup>38</sup> ჩვენი საქმე მართალი საქმეა და მან უნდა გაიმარჯვოს, თბ., 2009., გვ. 24-25.

დემოკრატიული რესპუბლიკის დროშით მოპოვებულ  
უკანასკნელი გამარჯვება.

გენერალ გიორგი კვინიტაძის სიტყვით, “რაც უფრო ვუახლოვდებოდით ბათუმს, მით უფრო იზრდებოდა მთავრობისადმი უარყოფითი განწყობილება.” ბათუმში ეს განწყობილება აშკარა მტრულ დამოკიდებულებაში გადაიზარდა: “ჩემთან უამრავი ხალხი მოდიოდა, მათ შორის, პოლიტიკური მოღვაწეებიც, და მეუბნებოდნენ, მთავრობამ ხალხს უღალატა, ქვეყნის თავდაცვაზე არ ზრუნავდაო და ა.შ და ა.შ. ისინი მთავრობის დაპატიმრებას მოითხოვდნენ. ხალხი მოდიოდა და საიდუმლო საუბრის მიზნით აუდიენციას ითხოვდა. მოდიოდნენ ოფიცრებიც, რომლებიც იგივეს დაუფარავად, ხმამაღლა აცხადებდნენ” - იგონებდა მთავარსარდალი.<sup>39</sup> ამასვე მონიშნავს შალვა ამირეჯიბიცი, რომელიც წერდა: “ბათუმში ოფიცერთა ერთ ჯგუფს სურდა მთავრობის დატუსაღება”.<sup>40</sup>

ამ ფაქტის შესახებ, ჩანს, სცოდნიათ ბოლშევიკებსაც. ჯერ კიდევ 1921 წლის აპრილში, საბჭოთა რუსეთის ყოფილი ელჩი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ა. შეინმანი ერთ-ერთ საგაზეთო კორესპონდენციაში მიუთითებდა, რომ “ქართულმა ჯარმა მოითხოვა მთავრობის წევრთა დაჭერა”.<sup>41</sup> შეინმანს პარიზში გამომავალი გაზეთ “თავისუფალი საქართველოს” ფურცლებზე გამოეპასუხა კარლო ჩხეიძე. იგი ზოგადი ფრაზებით შეეცადა უარეყო ხსენებული ბრალდება, აღნიშნავდა: “ჩვენი ჯარისკაცები, ჩვენი შეიარაღებული მუშები და გლეხები მუდამ ერთგულნი იყვნენ სოციალისტური მთავრობის. მაშინაც, როცა მამაცურად ებრძოდნენ ბოლშევიკების ჯარს და მაშინაც, როცა ბათუმიდან ერეკებოდნენ მოსკოვის მოკავშირეებს, ქემალისტებს, რომელთაც უნდოდათ ამ ქალაქის ხელში ჩაგდება”.<sup>42</sup>

<sup>39</sup> გ. კვინიტაძე, მოგონებები, II, თბ., 1999, გვ. 128-129.

<sup>40</sup> ქართული ლიტერატურის მუზეუმი, შ. ამირეჯიბის ფონდი, საქ. 1696033.

<sup>41</sup> ო. ჯანელიძე, 26 მაისიდან 25 თებერვლისაკენ, თბ., 199, გვ. 6.

<sup>42</sup> ო. ჯანელიძე, 26 მაისიდან 25 თებერვლისაკენ, თბ., 1990, გვ. 63.



მოგვიანებით თვით ნოე ჟორდანიაც აღიარებდა, რომ ბათუმში მართლაც გაჩაღდა აგიტაცია ოპოზიციურ პარტიებში: "გამოდინდნენ მომხრედ მთავრობის დაშლის, ან დარჩენის, ბოლშევიკებთან მორიგების და სხვ. იმართებოდა მათი შეერთებული სხდომები, სადაც ესწრებოდნენ აგრეთვე "სხიველები" (სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან გამოყოფილი დამოუკიდებელი პოლიტიკური ჯგუფი პ. საყვარელიძის, მ. ხოჭოლავასა და სხვ. შემადგენლობით, - რ.ჯ.). რადგანაც ჩვენ კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავით ამ აზრების, საიდუმლოდ გადაწყვიტეს ჩვენი დატყვევება. შესდგა საამისო რაზმი, რასაც მეთაურობდა ერთი პირი. ერთ დღეს ვხედავ ვაგონიდან, ვიღაც საეჭვო ცხენოსანთა ბანდა მოგვიახლოვდა და აგვათვალაიერ-ჩაგვათვალაიერა. მხოლოდ ამით დაინტერესებულმა გავიგე სინამდვილე," - წერს მთავრობის მეთაური.<sup>43</sup>

სპირიდონ კედიას მეუღლე, სოფიო ჩიჯავაძე-კედია, რომელიც ასევე მომხრე და თვითმხილველი იყო სოციალ-დემოკრატიული მთავრობის საქართველოში მოღვაწეობის ბოლო დღეებისა, კიდევ უფრო აკონკრეტებს: "ბათუმში სპირიდონთან მოვიდნენ ქართველი მხედრები სუსლიკა ანდრონიკაშვილი, ჩრდილელი, ორი გვარდიელი, სხვების გვარი არ მახსოვს, ესენი აპირებდნენ მთავრობის დატუსაღებას და ზოგიერთის მოსპობასაც კი. სპირიდონმა ეს ხალხი გააჩერა: "ჩვენთვის ტერორი მისაღები არ არის, დაე, წავიდნენ ცოცხლები სადაც უნდათ".<sup>44</sup>

ნოე ჟორდანიას მემუარების საპასუხოდ გამოცემულ ბროშურაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უკანასკნელი მთავარსარდალი გიორგი კვინიტაძე აღნიშნავს: "ჩემთან მოვიდნენ ოფიცრები და პოლიტიკური მოღვაწენი და მკითხეს, როგორ შევხედავ იმას, თუ ისინი დაიჭერენ მთავრობას. ვუპასუხე მოკლედ: გადაივლით ჩემს გვამზე".<sup>45</sup>

<sup>43</sup> ნ. ჟორდანიას, მემუარები, თბ., 1990, გვ. 126.

<sup>44</sup> ს. ჩიჯავაძე-კედია, ნასმენ-ნახული, თბ., 2001, გვ. 229.

<sup>45</sup> გ. კვინიტაძე, ჩემი პასუხი, პარიზი, 1954, გვ. 28.



თავის მოგონებების წიგნში კი მხცოვანი გენერალი დასძენს: “ამის ნებას ვერ მივცემდი, რადგან საკმაოდ პატიოსანი ვიყავი საიმისოდ, რომ არა მხოლოდ არ დამეძვრა მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლა, არამედ თუნდაც გულგრილად მეყურებინა ამგვარი უკანონო აქტისათვის; ვერ მივცემდი მთავრობის დაპატიმრების ნებას მისი ცხოვრების ურთულეს მომენტში, მაშინ, როდესაც იგი თავს ყველასაგან მიტოვებულად თვლიდა. ... ცხოვრების მძიმე მომენტში უარის თქმა იმ ხალხზე, ვისთანაც ბედმა დამაკავშირა, უნამუსობა იქნებოდა”.<sup>46</sup>

როგორც ვნახეთ, ქვეყნის მთავარსარდალმა გიორგი კვინიტაძემ და გავლენიანი პოლიტიკური პარტიის ლიდერმა სპირიდონ კედიამ ჩაშალეს ემიგრაციაში მიმავალი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის შეპყრობის გეგმა. მოგვიანებით, როდესაც პარიზში ს. კედიას ამ ამბის შესახებ ჰკითხეს, მან უპასუხა: “მე რომ ამგვარი რამ ჩამეძინა, იმის ღირსი ვიქნებოდა, რაც მაკედონელმა დარიოსის მკვლელებს უყო, თავები რომ დააყრევინაო.” შენიშვნაზე - “ყოველ შემთხვევაში ჟორდანიას და მისი ჯგუფი ემიგრაციას არ მონამლავდნენო”, - სპირიდონ კედიამ ხაზი გაუსვა: “საქართველოს დაღუპვაში ჟორდანიას იქნებ წილი ედოს, მაგრამ ეს მას შეგნებულად და ღალატით არ ჩაუდენიაო, ხოლო თუ საქართველო ჯერ ვერ განთავისუფლდა, ამაში ჟორდანიას ბრალი ვერ დაედებაო”.<sup>47</sup>

დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ფიზიკური განადგურება ჰუმანური მოტივის გარდა მიუღებელი იყო პოლიტიკური თვალსაზრისითაც. ხელისუფალთა დაპატიმრება არ შეიძლებოდა, რათა ბოლშევიკებს საფუძველი არ ჰქონოდათ მტკიცებისა - მთავრობა ხალხმა ჩამოაგდო (თუმცა ისინი ყოველგვარი საბუთის გარეშეც ირწმუნებოდნენ, საქართველოში მშრომელთა აჯანყება

<sup>46</sup> გ. კვინიტაძე, მოგონებები, II, თბ., 1999, გვ. 129.

<sup>47</sup> მ. ქავთარაძე, სპირიდონ კედია. ბიოგრაფიული ცნობები და ნაკვთები მოლვანისა და კაცის პორტრეტისათვის, ჟურნ. "ივერია," პარიზი, 1979, №21, გვ. 7.



მოსხდა და წითელი არმია ამბოხებული მუშებისა და გლეხების დასახმარებლად შემოვიდაო). განმარტება გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ მთავრობა საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეას განასახიერებდა. იგი ნდობით სარგებლობდა უცხოეთშიც და არა მხოლოდ სოციალისტურ წრეებში. დემოკრატიული მთავრობის უარყოფა ჩანასახშივე ჩაკლავდა ევროპის თანაგრძნობისა და დახმარების მზუფტავ იმედს და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ერს იმთავითვე მოკავშირისა და მხარდამჭერის გარეშე დარჩენას უქადდა.

საგულისხმოდ გვეჩვენება კიდევ ერთი გარემოება, რომელსაც ასევე ანგარიში უნდა გასწეოდა: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურთა ხელში ჩაგდებას ესწრაფვოდა საბჭოთა რუსეთის უმაღლესი ხელისუფლებაც. მიზანი მარტივი და ადვილად მისახვედრი იყო: ბოლშევიკთა აგრესია უკეთ შეინიღებოდა, თუ სოციალ-დემოკრატიული მთავრობა გადადგომის შესახებ ოფიციალურად თვითონვე გამოაცხადებდა და დამფუძნებელი კრებაც თავის უფლებამოსილებას ნებაყოფლობით მოიხსნიდა.

არსებობდა ამ გეგმის განხორციელების ორი გზა: საქართველოს კანონიერ მთავრობასთან გარიგება, ანდა უარის შემთხვევაში - ხელისუფლების შეპყრობა და მისი იძულება.

ლენინმა ორივე სცადა. პროლეტარიატის ბელადის მითითებით, საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა ნოე ჟორდანიას ბათუმში დელეგაცია აახლა მიხაკო წერეთლის, გერონტი ქიქოძის, გიგო ნათაძისა და თედო ლლონტის შემადგენლობით და საქართველოში დარჩენა შესთავაზა (ფრაზა ლენინის ინსტრუქციიდან: "განუზომლად მნიშვნელოვანია მოიძებნოს მისაღები კომპრომისი ჟორდანიას ბლოკთან...").

სერგო ორჯონიკიძე ამ პოლიტიკურ აქციას ქართველი ინტელიგენციის თაოსნობად ასაღებდა, მაგრამ სინამდვილეში იგი რევკომის მოთხოვნით განხორციელდა. ნიშანდობლივია, რომ ბოლშევიკურმა მმართველობამ დაზღვევის ზომასაც მიმართა: იმისათვის, რომ

დელიგირებულნი არ შეერთებოდნენ და თან არ გაჰყოლოდნენ ემიგრირებული სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას, მძევლად იქნა აყვანილი ინტელიგენციის რამდენიმე წარმომადგენელი, მათ შორის შალვა ნუცუბიძე.<sup>48</sup>

მთავრობის თავმჯდომარეს საქართველოში დარჩენა, ოღონდ არა პოლიტიკურ ასპარეზზე, ბოლშევიკების სახელით სერგო ქავთარაძემაც შესთავაზა: "არის მეცნიერების დარგები, სადაც თქვენ სასარგებლო სამუშაო მოგელით. მე არ მესმის, რად უნდა იყოს ასეთი შესაძლებლობა უარსაყოფი. ნუთუ უცხოეთში ცხოვრებას მეტი აზრი აქვს?" - უკითხავს ქავთარაძეს ჟორდანიასთვის სწორედ იმ ღამეს, რომელიც მისთვის უკანასკნელი იყო საქართველოში, რადგან ვაგონიდან, სადაც ეს შევედრა შედგა, "ის პირდაპირ გემზე უნდა გადაბარგებულიყო საზღვარგარეთ დაკარგული ბედის საძებნელად." ს. ქავთარაძე დასძენს: მე გამაკვირვა ჟორდანიას გარეგნობამ. "ეს მაღალი, მოსული და წარმოსადეგი კაცი, ახლა დაპატარავებულად მომეჩვენა, ძალზე გამხდარად, ფერნაკლულად, ბამბასავით თეთრი თმით და წვერით".<sup>49</sup>

ნოე ჟორდანიამ ბოლშევიკთა წინადადება არ მიიღო და დელეგატები უარით გამოისტუმრა. ალბათ, მაშინ იყო, რომ უღობას ებრძანა, თავისი კავალერიით გოდერძის უღელტეხილით სასწრაფოდ ბათუმში გადასულიყო და ხელთ ეგდო დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა.

უღობამ დავალება ვერ შეასრულა. ნ. ჟორდანიამ და მთავრობის სხვა წევრებმა გახიზვნა მოასწრეს და ემიგრაციაში გაემგზავრნენ, სადაც აქტიური ბრძოლა გააჩაღეს დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად. სწორედ ამან ათქმევინა ვ. ლენინს სინანულით: "დავკარგეთ კონსტანტინოპოლს გამგზავრებული მენშევიკები, არცთუ მცირე რაოდენობისა."

ამდენად, გადანყვეტილება, ხელი არ შეეშალათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის

<sup>48</sup> ყარიბი (პ. გელეიშვილი), მეტის ატანა შეუძლებელია, თბ., 1925, გვ. 310.

<sup>49</sup> ს. ქავთარაძე, დღეები პარიზში, ჟურნ. "მნათობი," 1966, №4, გვ. 181.

მთავრობისათვის, წასულიყო ემიგრაციაში, იყო სწორედ  
ყოველმხრივ გამართლებული.

სხვაგვარად ფიქრობდა ნოე ჟორდანიას საქართველოში დარჩენილი არაერთი თანაპარტიელი. მაგალითად, ცნობილი სოციალ-დემოკრატი პეტრე გელეიშვილი გამოდგება. აი, რას წერდა იგი 1925 წელს თბილისში გამოცემულ წიგნში: "საქართველოს ახალი ისტორია პირუთვნელად აღნუსხავს თავის ფურცლებზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ყოველად სამარცხვინო საქმეს, იმ მთავრობისას, რომელიც, მის მაგივრად, რომ დამფუძნებელი კრების სხდომაზე გამოცხადებულიყო, გემბანზე გაიხიზნა და რეიდიდან უყურებდნენ მათ მიერ დანყებული საქართველოს ტრაგედიის უკანასკნელ აქტს".<sup>50</sup>

პ. გელეიშვილის ამ წიგნს აშკარად ეტყობა საბჭოურ-ბოლშევიკური გავლენის დალი. არ არის სწორი, რომ თითქოს საქართველოს მთავრობის წევრები დამფუძნებელი კრებაში არ მივიდნენ და ისე გაიხიზნენ ემიგრაციაში. მას შემდეგ, რაც ჯარმა და მთავრობამ 24 თებერვალს თბილისი დატოვეს, საქართველოს დამფუძნებელი კრების ორი სხდომა ჩატარდა. მათგან ერთი 28 თებერვალს ქუთაისში გაიმართა და მის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. რაც შეეხება ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს უკანასკნელ სდომას, იგი 16 მარტს ბათუმში შედგა. მთავრობა ესწრებოდა როგორც ქუთაისის, ისე ბათუმის სხდომებს. უკანასკნელი სხდომის სტენოგრამა მიკვლეული არ არის, მაგრამ ცნობილია, რომ სწორედ ბათუმის თვითმმართველობის დარბაზში შეკრებილმა საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ, უმკაცრესი კრიტიკის მიუხედავად, მთავრობა ნოე ჟორდანიას მეთაურობით საგანგებო უფლებით აღჭურვა, რათა მას საზღვარგარეთ განეგრძო ბრძოლა ქვეყნის თავისუფლებისათვის. სპეციალური დადგენილობით, მთავრობასთან ერთად სამუშაოდ გაიგზავნა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმიც, როგორც ამ კრების იურიდიული გამომხატულება.

<sup>50</sup> ყარიბი (პ. გელეიშვილი), მეტის ატანა შეუძლებელია, თბ., 1925, გვ. 10.



კიდევ ერთი თანამედროვე ასე გვისურათებს ნლე  
 ჟორდანიას ხელისუფლების საქართველოში ყოფნის ბოლო  
 დღეებს:

ბათუმი სავსე იყო ხალხით. “ლაპარაკობდნენ:

მთავრობაზე - ნავა თუ არ ნავა (უცხოეთში), გაუშვებს  
 ჯარი, თუ დახოცავს ყველას. ამას ლაპარაკობდნენ ჩუმად,  
 სანდო პირებში. საშიში იყო ხმის აწევა.

მენშევიკებზე - დალუპეს ქვეყანა მაგ მამაძაღლებმა.  
 მაგათი დედა. ...

გვარდიაზე - უდიერად იხსენიებდნენ “მაგ ყაჩაღებს.”

არკვევდნენ მთავარსარდლის კვინიტაძის ტაქტიკას -  
 აძაგებდნენ პარტიული კაცები (მენშევიკები), აქებდნენ  
 მოქალაქენი, ქართველები: მაგ რომ არ ყოფილიყო, სულ  
 მოგვეჭრებოდა თავი. ქუჩაზე ყიდდნენ დარცხვენილი გაზეთ  
 “ერთობას”.<sup>51</sup>

ტენდეციურობისაგან მთლად დაზღვეული ვერ არის,  
 მაგრამ ეპოქის სულის შესაგრძნობად საგულისხმოა მწერალ  
 ლევან მეტრეველის 1921 წლის 25 თებერვლით  
 დათარიღებული ჩანაწერი, რომელშიც ვკითხულობთ:  
 “პლენანოვის პროსპექტზე გავლისას უნებლიედ მაგონდება:  
 ხუთი დღის წინეთ აქ თვალი მოვკარ - საბარგო ავტო როგორ  
 მიაქანებდა სადგურისაკენ - ქუთაისში გადასაგზავნად  
 ზოგიერთ მინისტრის ოჯახის მოწყობილობას: მაგიდებს,  
 სკამებს, პირსაბანს და სხვა “ჭირისოფლით” შექნილ  
 ავეჯეულობას.

ეს მეშჩანური წინდახედულება ალბათ გამოწვეული იყო  
 მათი “სტრატეგიული” წინდახედულობით.

ამით ერთხელ კიდევ ცხადად წარმოვიდგინე, თუ რა  
 “დარბაისელი” და “სულგრძელი” ხალხი მართავდა  
 საქართველოს ბედ-იღბალს.

და ეს “მოჭირნახულე” ხალხი ეხლა, ხუთი დღის შემდეგ,  
 თვითონაც უკან მისდევდნენ თავიანთ ოჯახის  
 ბარგიბარხანას”.<sup>52</sup>

<sup>51</sup> ნ. მიწიშვილი, თებერვალი, თბ., 2009, გვ. 18-19.

<sup>52</sup> ლ. მეტრეველი, 25 თებერვალი, თბ., 1931, გვ. 10-11.



საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მთავრობაზე დაახლოებით ამგვარივე პოეტ ნიკოლოზ მინიშვილის შეხედულებაც, რომელიც თავის აზრს სხვადასხვა მოქალაქის მეშვეობით გამოხატავს. დავიმონმოთ ნაწყვეტები მისი წიგნიდან "თებერვალი:"

1921 წლის 18 მარტის სუსხიან დილით მოქალაქეთა შეკრებაზე ბათუმში ერთი ორატორი აცხადებდა: "ისინი, ვისაც დღემდე ენოდებოდა საქართველოს მთავრობა, ვისაც მოჰქონდა თავი ხალხის მესვეურად, მის ბელადათ, ხელმძღვანელად ხალხისა, აღარ არიან დღეს აქ. ... მოხდა ბატონებო სირცხვილი, მაგრამ სირცხვილი უმაღლესი, უნახავი სირცხვილი. .... მთავრობა წავიდა. შეიძლება ვსთქვათ, ... - გაიქცა მთავრობა. ... გაიქცა მოქალაქენო და არც კი მოიხედა უკან. დაივიწყა სინდისი, ნამუსი, ზნეობა და პატიოსნება. და ასე უსახელოდ მიატოვა სამშობლო კერა. ასე უსახელოდ მოსწყდა მშობელ მინას. ... ისინი წავიდნენ, მაგრამ აქ დარჩა საქართველო, ქართველი ხალხი - მშრომელი ხალხი აქ არის. თუ მისი ცრუ მოციქულები წყალში გადაცვივდნენ, ჩვენ გვწამს, - ქართველი ხალხი მათ წყალში არ გადაჰყვება. ეს უნდა იცოდნენ მათ, ვინც დღეს დასტოვა საქართველო. ... მოშორდნენ საქართველოს უღირსი შვილები. დარჩა საქართველო განმენდილი. ... სირცხვილი მოღალატეთ".<sup>53</sup>

ფრაგმენტი სხვა ორატორის სიტყვიდან: "ქართველი ხალხი მიატოვა მისმა მეთაურებმა. ... ქართველი ხალხი მოატყუეს, გააბახეს, გააუპატიურეს, ლეჩაქი მოხადეს მისივე შვილებმა. მათ ჰქვიათ - ქართული მთავრობა. არ გამოჩნდა მათში არც ერთი პატიოსანი ადამიანი, არც ერთი კეთილშობილი მოქალაქე, რომ ჩვენთან მოსულიყო, რომ ეთქვა უბრალო ამბავი მაინც. ნაცვლად ამისა, - გაიპარა ისინი. ... ისინი წავიდნენ: უსირცხვილოდ, უტიფრად. მიატოვეს თავისი მრევლი. შიშველი და მშიერი ჯარი სიცივეში. ... წავიდნენ და წარიტაცეს ქონება და სიმდიდრე ერისა. ... პურიც კი არ დაუტოვეს მშიერ ქალაქს. ძუძუმწოვარ ბავშვებს წაართვეს რძე - თან წარიტანეს

<sup>53</sup> ნ. მინიშვილი, თებერვალი, თბ., 2009, გვ. 36-39.



ევროპაში ნაყიდი რძე. ... მათ საგზლათ ნაილეს ხალხის ქონება, სიმდიდრე და სამკაული".<sup>54</sup> (26, 41-42).

კიდევ ერთი საუბრის შინაარსი იმავე ნიგნიდან: "დასაკლავი არიან ეგ ... (ე.ი. მთავრობის ხალხი), მიგვატოვეს. ... აგვრიეს. მოგვშალეს. მოგვნამლეს. ახსენებდნენ ქრთამს, ლალატს და გაიძვერობას. ახსენებდნენ ჟორდანიას: მას რომ ყველაფერი ეს სცოდნოდა, სხვანაირად იქნებოდა საქმე. ... დავმარცხდით. რატომ ჩვენ? ჩვენ კი არა - ისინი დამარცხდნენ, ვინც გაექცა საქართველოს".<sup>55</sup>

ამგვარი აზრი მართლაც არსებობდა. ცნობილი პოეტისა და პოლიტიკური მოღვაწის შალვა ამირეჯიბის სიტყვით, "სოციალ-დემოკრატიული პარტია დამბაჩის სროლით მოვიდა საქართველოში და ზარბაზნის გრიალზედ დასტოვა იგი. ყველაზე მწარე ამ ტრალიკული ბოლოსი ის იყო, რომ ზარბაზნებს მათი გუშინდელი ამხანაგები ესროდნენ".<sup>56</sup>

სამწუხაროდ, ბევრს სრულად ვერ გაეცნობიერებინა, რომ მოძალადე სამშობლოს ეცილებოდა და რაც ხდებოდა, არ იყო მხოლოდ ბოლშევიზმ-მენშევიზმის ჭიდილი ძალაუფლებისათვის. მაგალითად, ქართველი თვალსაჩინო ემიგრანტი სევერიან ჭირაქაძე მიიჩნევდა, რომ საქართველოში ერთმანეთს დაუპირისპირდა ბოლშევიზმი და სოციალ-დემოკრატია. "ამ ბრძოლაში იმ მხარემ გაიმარჯვა, რომლის მეთაურებს ხელით მარქსიზმის დროშა მოჰქონდათ, გულით კი რუსული იმპერიალიზმი. დამარცხდა ის მხარე, რომლის მეთაურები ეროვნული დროშით იბრძოდნენ, ხოლო გულში მარქსიზმს ატარებდნენ".<sup>57</sup>

სინამდვილეში დამარცხდა არა მხოლოდ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მართველი პოლიტიკური ძალა - სოციალ-დემოკრატია და მისი მთავრობა, რომელიც იძულებული გახდა ემიგრაციაში გაიხიზნულიყო, არამედ

<sup>54</sup> ნ. მინიშვილი, თებერვალი, თბ., 2009, გვ. 41-42.

<sup>55</sup> იქვე, გვ. 51-52.

<sup>56</sup> შ. ამირეჯიბი, ქართული სოციალ-დემოკრატიის კრიზისი, ჟურნ.

"სამშობლო," პარიზი, 1929, №3-4, გვ. 9.

<sup>57</sup> ო. ჯანელიძე, 26 მაისიდან 25 თებერვლისაკენ, თბ., 1990,

გვ. 58.



დამარცხდა სრულიად საქართველოც, რადგან ქვეყანაში საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმისა და ბოლშევიკური დიქტატურის დამყარებით ბოლო მოელო მის ეროვნულ თავისუფლებასა და სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა საბჭოთა რუსეთთან მოსალოდნელი ომისათვის სათანადოდ ვერ მოემზადა. სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას ჯერ კიდევ ჰქონდა დასავლეთის სახელმწიფოთა მხარდაჭერის მოლოდინი და იმის ილუზია, რომ ბოლშევიკური რუსეთი საქართველოზე არ გამოილაშქრებდა.

დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურებმა ვერ შეძლეს ქართველი ერის განწყობა წინააღმდეგობის სულისკვეთებით. მართალია, თბილისიდან უკან დახეული მთავრობისათვის ზურგში ტყვია არავის დაუხლია და საქართველოს მოსახლეობამ ხელისუფლებისადმი ლოიალობა ბოლომდე შეინარჩუნა, მაგრამ ხალხის აბსოლუტურ უმრავლესობას იარაღი არც შემოჭრილი მტრის მოსაგერიებლად შეუმართავს.



ბათუმის საკითხი რუსეთ-თურქეთის  
მოლაპარაკებებსა და

1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულებაში\*

ბათუმისა და მთლიანად აჭარის ბედის გადაწყვეტისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის 1921 წლის გაზაფხულზე მოსკოვში გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომელსაც წინ საფუძვლიანი განხილვა და მოლაპარაკებათა ორი რაუნდი უძღოდა. ნაშრომის ამ ნაწილში შევეცდებით გავარკვიოთ, რა მიზნებს ისახავდნენ ხელშეკრულებაზე ხელმომწერი მხარეები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში და როგორ იქნა მიღწეული რუსეთ-თურქეთის კომპრომისი სხვათა მიწა-წყლის გაყოფის ხარჯზე.

XX საუკუნის 20-იანი წლების დამდეგი რუსეთისა და თურქეთის დაახლოებით აღინიშნა. ხანგრძლივი ურთიერთდაპირისპირებისა და მრავალრიცხოვანი ომების შემდგომ ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობის დათბობა სხვადასხვა გარემოებამ განაპირობა

მათგან უმთავრესი ის იყო, რომ ორივეგან დაემხო იმპერია და ძირეულად შეიცვალა პოლიტიკური რეჟიმი. განსაცდელი თავს ჯერ რუსეთს დაატყდა. 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ არა მხოლოდ სამეფო ტახტი აქცია ისტორიის კუთვნილებად, არამედ იმპერიის რღვევა და მეტროპოლიისაგან მისი განაპირა მხარეების ჩამოშორებაც განაპირობა. დროებითი მთავრობისა და რევოლუციური საბჭოების მმართველობა ხანმოკლე გამოდგა. 1917 წლის ნოემბრიდან რუსეთში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ბოლშევიკებმა რამდენიმეწლიან სამოქალაქო ომში დაძლიეს როგორც შიდა მოწინააღმდეგე ძალები, ასევე მოიგერიეს უცხოეთის ინტერვენცია და შეძლეს ძალაუფლების შენარჩუნება.

\* პირველად დაიბეჭდა ნიგნში „ბრძოლა ბათუმისათვის: 1921 წლის 18-20 მარტი“, თბ., 2011.

ლენინის მთავრობამ ცნობილი ბრესტ-ლიტოვსკის ზავით რუსეთი მსოფლიო ომისაგან გამოთიშა, რამაც გერმანიისა და მისი მოკავშირე ოსმალეთის რამდენადმე გაძლიერება გამოიწვია (ოსმალეთს ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოლქები გადაეცა), მაგრამ საბოლოო წარმატება მაინც ანტანტის სახელმწიფოებს დარჩათ.

გერმანიისა და სამთა კავშირის მარცხმა ოსმალეთის იმპერია და სულთნის ხელისუფლებაც შეინირა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შედეგად თურქეთის სათავეში სრულიად ახალი ძალა — ქემალისტური მოძრაობა მოვიდა, რომელსაც მუსტაფა ქემალი (შემდეგში ათა-თურქი) ხელმძღვანელობდა. 1920 წლის აპრილში ქ. ანკარაში (ანგორა) მოწვეულმა თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ მუსტაფა ქემალი მთავრობის მეთაურად აირჩია.

როგორც ლენინისა და ბოლშევიკების, ისე ქემალისა და თურქეთის ეროვნული კრების წინაშე ლეგიტიმაციისა და საერთაშორისო აღიარების პრობლემა იდგა. არც საბჭოთა და არც ანკარის მთავრობას პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებული სახელმწიფოები კანონიერ ხელისუფლებად არ სცნობდნენ. საერთაშორისო იზოლაციაში მოქცეულმა ძველმა მონინაალმდეგეებმა, რომლებიც მათ გარშემო შეკრული რკალის გარღვევას და დაშლილი იმპერიების აღდგენსაც ესწრაფვოდნენ, საერთო ენა და ინტერესები ერთმანეთში გამონახეს. თურქეთი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის იბრძოდა, ამისათვის საჭირო ფულსა და იარაღს კი რუსეთის გარდა ვერავისგან მიიღებდა. თავის მხრივ, მსოფლიო რევოლუციის იდეით შეპყრობილი ბოლშევიკთა ბელადები, რომლებიც თურქეთს აღმოსავლეთის მიმართულელებით სოციალიზმის გაფართოების მნიშვნელოვან ბაზად განიხილავდნენ, მზად იყვნენ მისთვის დახმარების ხელი გაეწოდათ.

მუსტაფა ქემალის მოწმობით, მას რუსეთის თანადგომის იმედი საბჭოთა არმიის შენაერთების სომხეთისა და საქართველოს საზღვრებთან მოახლოებისას გასჩენია.<sup>1</sup>

<sup>1</sup> С. И. Кузнецова, Установление советско-турецких отношений, М., 1961, гл. 15.

ნითელი არმიის ნაწილები სომხეთში 1920 წლის ნოემბრის მეორე ნახევარში, თურქეთ-სომხეთის მიმდინარეობისას გამოჩნდნენ. თურქი ნაციონალისტების თანამშრომლობა ბოლშევიკურ რუსეთთან კი გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ 1920 წლის გაზაფხულზე დასტურდება. აზერბაიჯანის გასაბჭოებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ს. კიროვი და ს. ორჯონიკიძე ვ. ლენინს მოახსენებდნენ, რომ ბაქოში რევოლუციის სასარგებლოდ ერთობ აქტიური როლი ითამაშეს თურქმა ოფიცრებმა და ასკერებმა, რომელთა რაზმმა მუსავატისტთა მთავრობას გზა შეუკრა და არ მისცა ბაქოდან გაქცევის შესაძლებლობა.<sup>2</sup> ასევე, საბჭოების VIII ყრილობაზე წარსადგენ რსფსრ საგარეო საქმეთა სახლხო კომისარიატის ანგარიშში, რომელიც ამ უწყების მიერ 1919-1920 წლებში გაწეულ მუშაობას წარმოაჩენს, აღნიშნულია: ქემალისტები ჩვენთან კავშირში შემოვიდნენ აზერბაიჯანის მეშვეობით, სადაც მათმა მიმდევარმა ჯგუფმა ხელი შეუწყო გადატრიალებას და ადგილობრივი რევოლუციური მთავრობის მიერ აზერბაიჯანში რუსეთის ნითელი არმიის მიწვევას. პირველი მოსკოვში ჩამოვიდა ცნობილი თურქი მხედრთმთავარი ხალილ-ფაშა, ხოლო შემდეგ თვით მუსტაფა ქემალმა აღგვითქვა, რომ გავლენას იქონიებს აზერბაიჯანის რესპუბლიკაზე, რათა ეს უკანასკნელი შემოვიდეს საბჭოთა სახელმწიფოების წრეში.<sup>3</sup>

დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ 1920 წლის 26 აპრილს მუსტაფა ქემალმა მოსკოვს დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებისა და თურქეთისათვის იარაღით, საბრძოლო მასალებითა და თანხით დახმარების თაობაზე მიმართა.<sup>4</sup> თხოვნა კრემლში ერთ თვეზე მეტი ხნის დაგვიანებით ჩავიდა. ლენინი მაშინვე ყურადღებით გაეცნო მიმართვას. 3 ივნისს რსფსრ საგარეო საქმეთა სახლხო კომისარმა გ. ჩიჩერინმა ქემალს საპასუხო წერილი გაუგზავნა და მას "ევროპელი იმპერიალისტების"

<sup>2</sup> Ю. А. Багиров, Из истории Советско-турецких отношений (1920-1922 гг.), Баку, 1965, გვ. 31.

<sup>3</sup> Документы внешней политики СССР, т.2, М., 1958, გვ. 724-725.

<sup>4</sup> Документы внешней политики СССР, т. 3, М., 1959, გვ. 683.



წინააღმდეგ ბრძოლაში თანადგომას დაპირდა. <sup>მოსკოვი</sup> <sup>საკონსულ</sup>  
 თურქეთს დიპლომატიური და თანამშრომლობის დაუყოვნებლივ დაწყებასაც სთავაზობდა.  
 5

მიჩნულია, რომ წერილების გაცვლა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ორი ქვეყნის დიპლომატიურ თანამშრომლობას, საბჭოთა მთავრობისა და თურქეთის დიდი ეროვნული კრების მიერ ურთიერთ აღიარებასაც ნიშნავდა.<sup>6</sup>

მოსკოვიდან პასუხის მიღებამდე, 1920 წლის 11 მაისს, თურქეთის მისია საგარეო საქმეთა კომისრის ბექირ-სამის ხელმძღვანელობით რუსეთს გაემგზავრა. მისიაში შედიოდნენ: იუსუფ ქემალი, იბრაჰიმ თალი-ბეი, ოსმან-ბეი და გენშტაბის პოდპოლკოვნიკი სეიფი. დელეგაციას ორი ქვეყნის თანამშრომლობის საფუძვლების შემზადება ევალებოდა.

1920 წლის 24 ივლისს თურქეთის დელეგაცია გ. ჩიჩერინმა მიღო. დაიწყო რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკების პირველი რაუნდი - მოსკოვის პირველი კონფერენცია. საბჭოთა მხარეს წარმოადგენდნენ რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი გიორგი ჩიჩერინი, მისი მოადგილე ლევ კარახანი და სხვ.

მოლაპარაკებაზე წამოჭრილ საკითხთა დეტალურად განხილვისა და ხელშეკრულების პროექტის მომზადების მიზნით ჩამოყალიბდა ორი კომისია - პოლიტიკური და სამხედრო.

სამხედრო კომისია თურქეთისათვის ფინანსური დახმარების, სამხედრო ტექნიკის, აღჭურვილობის, სანავისა და საბრძოლო მასალების გამოყოფის შესაძლებლობებს განიხილავდა, ხოლო პოლიტიკური კომისია ძირითადად ტერიტორიული გამიჯვნის პრობლემით იყო დაკავებული. უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკურთან შედარებით უფრო სწრაფად სამხედრო სფეროს

<sup>5</sup> Документы внешней политики СССР, т.2, М., 1958, გვ. 725

<sup>6</sup> С. И. Кузнецова, Установление советско-турецких отношений, М., 1961, გვ. 17.



მიკუთვნიებული საკითხები წყდებოდა. მთავრობისათვის სამხედრო და ფინანსური თაობაზე შეთანხმება იოლად იქნა მიღწეული. რაც შეეხება საზღვრების გამიჯვნას, კონფერენციაზე იგი სერიოზული უთანხმოებისა და დავის საგნად იქცა. იმ მომენტისათვის რუსეთი და თურქეთი ერთმანეთს უშუალოდ არ ესაზღვრებოდნენ, რადგან მათ შორის სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკები – საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი მდებარეობდნენ. ეს რესპუბლიკები (მათ შორის აზერბაიჯანიც მის გასაბჭოებამდე), დე ფაქტო თუ დე იურე აღიარებული იყვნენ მსოფლიოს არაერთი სახელმწიფოს მიერ (საქართველოს დამოუკიდებლობა თვით რსფსრ-მ ცნო 1920 წლის 7 მაისს), არადა მოლაპარაკების ერთ-ერთი მთავარი თემა სასაზღვრო საკითხი იყო. მოსკოვი და ანგორა ისე მსჯელობდნენ საქართველოსა და სომხეთის მიწა-წყლის განაწილებაზე, რომ მათ კანონიერ მეპატრონე ქვეყნებს არაფერს ეკითხებოდნენ.

რუსეთმა პირველი მსოფლიო ომის წინანდელი საზღვრების აღდგენისა და ამ საკითხის ეთნოგრაფიულ საფუძველზე გადაჭრის იდეა წამოაყენა. გ. ჩიჩერინის სიტყვით, უნდა განეხორციელებინათ მოსახლეობის იმგვარი ორმხრივი გადასახლება, რომ საზღვრის ორივე მხარეს შეექმნათ ერთგვაროვანი ეთნოგრაფიული ტერიტორიები.<sup>7</sup> ბექი-სამიმ ამ წინადადებაზე უარი განაცხადა, მან გადაჭრით მოითხოვა ბრესტის საზავო ხელშეკრულებით დადგენილი საზღვრების დაცვა და დიდი ეროვნული კრების მიერ მიღებული ახალი თურქეთის ქარტიის - "ეროვნული აღთქმის" აღიარება. ვერ მიიღო რა გ. ჩიჩერინის თანხმობა, თურქი დიპლომატი ამ საკითხებზე სასაუბროდ, მისივე თხოვნით, ვ. ლენინსაც შეხვდა. ლენინი გარკვეულ კომპრომისზე წავიდა, რამაც შესაძლებელი გახადა მოლაპარაკებათა გაგრძელება და ხელშეკრულების პროექტის შემუშავება.

პრემიულისა და 7 პუნქტისაგან შემდგარ დოკუმენტში ჩვენთვის ამჯერად საინტერესო საკითხს პროექტის მეოთხე

<sup>7</sup> Документы внешней политики СССР, т.2, М., 1958, გვ. 726.



პუნქტი ეხებოდა. ამ პუნქტის შესაბამისად, რუსულ თანხმობას აცხადებდა ეკისრა შუამავლობა თურქეთსა და იმ მოსაზღვრე მესამე სახელმწიფოთა შორის, რომელთა ძალაუფლება ვრცელდებოდა "ეროვნულ აღთქმაში" აღნიშნულ ამა თუ იმ ტერიტორიაზე. თვით "აღთქმაში" კი, რომელიც თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ 1920 წლის 28 იანვარს დაამტკიცა, ჩანერილი იყო: "მუხლი 2. მიუხედავად სამი აღმოსავლური პროვინციის - ყარსის, არტაანისა და ბათუმის წინა პერიოდში თურქეთთან შეერთებისა, ჩვენ თანახმა ვართ, გადავხედოთ ამ გადანყვეტილებას პლებისციტის გზით".<sup>8</sup>

ისტორიოგრაფიაში არსებობს თვალსაზრისი, რომ ხელშეკრულების ხსენებული პუნქტით საბჭოთა მთავრობა აღიარებდა თურქეთის უფლებას ბათუმზე, ყარსსა და არდაგანზე.<sup>9</sup>

ცნობილია, რომ საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის მოსკოვში გაფორმებული 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით ბათუმი და მისი ოლქი საქართველოს განუყოფელ ნაწილად იქნა გამოცხადებული. ამ დროს არდაგანს საქართველოს ხელისუფლება აკონტროლებდა, ბათუმი კი ჯერ ისევ ინგლისელებს ეკავათ, მაგრამ რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკებების მიმდინარეობისას ინგლისმა თავისი სამხედრო კონტიგენტი ბათუმიდან გაიყვანა და ქალაქსა და ოლქზე საქართველოს იურისდიქცია აღდგა. ასეთ რეალობაში კრემლის თუნდაც ირიბი თანხმობა ბათუმისა და არტაანის თურქეთისათვის მიკუთვნებაზე რუსეთის დიპლომატიის ორმაგ სტანდარტს ცხადყოფს (საგულისხმოა ყარსის საკითხიც. მიუხედავად თურქეთისათვის მისი დათმობისა, მოსკოვი ყარსის ოლქს სომხეთის კუთვნილებად ცნობდა იმ სამშვიდობო ხელშეკრულების პროექტის თანახმად, რომელიც საბჭოთა რუსეთსა და სომხეთის შორის

<sup>8</sup> <http://www.ruthenia.ru/sovlit/j/20.html>.

<sup>9</sup> Армянский вопрос. Энциклопедия, Ереван, 1991, გვ. 232.



1920 წლის ოქტომბერში შემუშავდა, თუმცა ხელმოწერილი არ ყოფილა.<sup>10</sup>

1920 წლის 24 აგვისტოს მოსკოვის კონფერენციამ მუშაობა დაასრულა. რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულების პროექტი პარაფირებულ იქნა დელეგაციების ხელმძღვანელების მიერ, მიუხედავად იმისა, რომ მხარეები ვერ შეთანხმდნენ თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვრის შესახებ. როგორც რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის წლიურ ანგარიშში ვკითხულობთ: „პრობლემის კომპრომისული გადაწყვეტის მცდელობას არ მოჰყოლია წარმატება. აღნიშნული და სხვა მიზეზების გამო, რომელთა შორის საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ბექირ-სამის ორჭოფული პოლიტიკაცაა დასახელებული (ანკარის მთავრობის საგარეო საქმეთა უწყების მეთაური უფრო ძველი - სულთნის თურქეთის მმართველი ფენის ერთგული რჩებოდა, რის გამოც ის 1921 წლის გაზაფხულისათვის თანმდებობას ჩამოაშორეს), თურქეთის დიდი ეროვნული კრების მიერ ხელშეკრულება არ იქნა რატიფიცირებული.<sup>11</sup> ამ ამბებთან დაკავშირებით აუცილებლად გასათვალისწინებელია იმ დროის საერთაშორისო ფონიც. ცნობილია, რომ რუსეთ-თურქეთის დაახლოებამ შეაშფოთა ანტანტის სახელმწიფოები (მეტადრე საფრანგეთი), რომლებმაც სცადეს ქემალის გადაბირება მისთვის სევრის ხელშეკრულების გადასინჯვის წინადადებითა და სამხრეთ კავკასიაში გარკვეული კომპენსაციების შეთავაზებით. ანკარისათვის სასურველი ამ დათმობების მიუხედავად, მუსტაფა ქემალი მოერიდა საბჭოთა რუსეთთან დაპირისპირებას, თუმცა ლონდონსა და პარიზთან თანამშრომლობაზე უარი არ უთქვამს.

1920 წლის ნოემბრის ბოლოს თურქეთმა რუსეთს მოლაპარაკებათა გაგრძელება და ახალი კონფერენციის მოწვევა შესთავაზა. კრემლი ამ ინიციატივას კმაყოფილებით შეხვდა. 8 დეკემბერს გ. ჩიჩერინმა თურქეთში თანხმობის

<sup>10</sup> Армянский вопрос. Энциклопедия, Ереван, 1991, გვ. 227.  
<sup>11</sup> А. М. Шамсутудинов, Советско-турецкая дружба в годы освободительной борьбы Турции в 1919-1922 г.г., М., 1960, გვ. 3.



წერილი გაგზავნა, რომელშიც ხაზგასმულად აღნიშნულია კონფერენციის დაუყოვნებლივ დანყების აუცილებლობა.<sup>12</sup> რუსეთ-თურქეთის პირველი კონფერენციის შემდგომ სამხრეთ კავკასიაში ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა. თუ აქამდე მოსკოვის გავლენა რეგიონში მხოლოდ გასაბჭოებულ აზერბაიჯანზე ვრცელდებოდა, ახლა მას სომხეთიც მიმატებოდა. თურქეთთან ომში (1920 წლის სექტემბერი-ნოემბერი) არარატის რესპუბლიკის კატასტროფულმა მარცხმა კრემლს სომხეთში საბჭოთა რეჟიმის დამყარება გაუადვილა. მაგრამ მდგომარეობა აქ კვლავ რთული და დაძაბული რჩებოდა, რადგან თურქებს სომხეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი ოკუპირებული ჰქონდათ. რუსეთისათვის ამ გამონვევის გარდა, არსებითი იყო საქართველოს საკითხის გადაწყვეტაც, რომელიც ასევე თურქეთთან წინასწარ შეთანხმებას და მის ნეიტრალიზებას მოითხოვდა. მით უფრო, რომ თურქებს თვალი ეჭირათ ბათუმზე და იქიდან ინგლისელთა გასვლის შემდეგ არ გამოირიცხებოდა, რაიმე ელონათ მის ხელში ჩასაგდებად. გ. ჩიჩერინი კავკასიის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრს ს. ორჯონიკიძეს ანგორაში ბ. მდივნისათვის გადასაცემად აცნობებდა: თუ თურქები ბათუმზე ალაპარაკდებიან, ბ. მდივანმა არ უნდა დაივიწყოს, რომ ჩვენ ვერ დავეთანხმებით მათ მიერ ბათუმის აღებას და რომ ყველა ტერიტორიული საკითხი გადაწყდება მოსკოვში.<sup>12</sup> იგივეს იმეორებდა რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში საბჭოთა რუსეთის ელჩის ა. შეინმანისადმი გაგზავნილ დეპეშაში, რომელშიც აღნიშნულია: "ბათუმის თურქთა ხელში გადასვლა მიუღებელია".<sup>13</sup>

მოლაპარაკებათა რაუნდის განახლებამდე აღსანიშნავია მხარეთა ორი განსხვავებული მოთხოვნა, რომელთაგან არც ერთი არ დაკმაყოფილდა. თურქები ცდილობდნენ კონფერენციის მოწვევის ადგილად ქალაქი ბაქო შეერჩიათ. არჩევანს იმით ასაბუთებდნენ, რომ ბაქოდან კომუნიკაციები

<sup>12</sup> Документы внешней политики СССР, т. 3, М., 1959, გვ. 379.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 374.



ანგორასთან უფრო სწრაფი და მარტივი იქნებოდა, რაც დელეგაციის ურთიერთობას საკუთარ მთავრობასთან რამდენადმე გააიოლებდა. კრემლიმ წინადადება უარყო მოტივით, რომ "ასეთ შემთხვევაში რუსეთის საგარეო პოლიტიკის ყველა ხელმძღვანელი მოსწყდებოდა თავის სამუშაოს" და კონფერენციის განახლება კვლავ მოსკოვში ისურვა. ჩიჩერინმა თურქებს აღუთქვა: კრემლი ყველაფერს იღონებს, რომ მოსკოვიდან კავშირი ანგორასთან სომხეთის ან ნოვოროსიისკის მეშვეობით უწყვეტად განხორციელდეს.<sup>14</sup> საგულისხმოა, რომ მოსკოვმა ახალ მოლაპარაკებებში აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა მთავრობების წარმომადგენელთა ჩართვა მოინდომა, მაგრამ ეს უკანასკნელი იდეა მიუღებელი აღმოჩნდა თურქეთისათვის, რომელსაც სამხრეთ კავკასიის მიმართ თავისი ცალკე და შორსმიმავალი გეგმები გააჩნდა.

ინტენსიური მიწერ-მოწერის შემდეგ გადაწყდა, რომ რუსეთ-თურქეთის მეორე კონფერენცია მოსკოვში გაიმართებოდა.

1920 წლის 14 დეკემბერს ანკარის სამთავრობო დელეგაცია იუსუფ ქემალის (თურქეთის სახალხო მეურნეობის მინისტრი, დელეგაციის თავმჯდომარე), რიზა ნურის (საზოგადოებრივი განათლების მინისტრი) და გენერალ ალი ფუადის შემადგენლობით რუსეთში გაემგზავრა და 1921 წლის 18 თებერვალს მოსკოვში ჩავიდა.<sup>15</sup> გენერალი ალი ფუად ჯებესოი საბჭოთა რუსეთში თურქეთის ელჩად დაინიშნა. 19 თებერვალს ანგორას რსფსრ სრულუფლებიანი წარმომადგენლის სტატუსით ქართველი ბოლშევიკი ბუდუ მდივანი ეწვია.

კრემლი იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქემალთან შეთანხმებას, რომ მოლაპარაკებათა ახალი რაუნდის დაწყებამდე, თურქეთის დელეგაცია პირადად ლენინმა მიიღო და მის წევრებს რუსეთ-თურქეთის

<sup>14</sup> Документы внешней политики СССР, т. 3, М., 1959, гл. 379, гл. 392.

<sup>15</sup> С. И. Кузнецова, Установление советско-турецких отношений, М., 1961, гл. 42-44.



მეგობრული კავშირის აუცილებლობასა და პერსპექტივაზე ხანგრძლივად ესაუბრა.<sup>16</sup>

ლენინის განსაკუთრებულ დაინტერესებას კონფერენციის მუშაობით ცხადყოფს გ. ჩიჩერინიც, რომელიც წერს: "მაგონდება თურქეთთან მოსკოვის მეორე კონფერენციის დროს ვლადიმერ ილიას ძე ყოველ სალამოს როგორი ყურადღებით გამომკითხავდა ტელეფონზე, თუ რა გაკეთდა დღის განმავლობაში და რა ცხოველი ინტერესით ეკიდებოდა იგი ამ მოლაპარაკებათა ბედს".<sup>17</sup>

კონფერენცია მუშაობას 1921 წლის 26 თებერვალს შეუდგა. საბჭოთა მთავრობას ამჯერად რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ გ. ჩიჩერინთან ერთად ცაკის წევრი ჯ. ქორქმასოვი წარმოადგენდა. დელეგაციების ხელმძღვანელთა მისასალმებელი სიტყვების შემდეგ მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოლაპარაკებათა საფუძვლად მიეღოთ წინა კონფერენციაზე შემუშავებული ხელშეკრულების უკვე პარაფირებული პროექტი, იმ დაშვებით, რომ მასში შეიტანდნენ სათანადო ცვლილებებსა და დამატებებს.

რუსეთ-თურქეთის მოსკოვის მეორე კონფერენციაზე სამი კომისია ჩამოყალიბდა, კერძოდ, პოლიტიკური, იურიდიული და სარედაქციო.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკური რუსეთი მუსტაფა ქემალს 1920 წლიდან სერიოზულ დახმარებას უწევდა და უფრო მეტს სამომავლოდ პირდებოდა, მოლაპარაკება ორი სახელმწიფოს ოფიციალურ დელეგაციებს შორის არც თუ იოლად მიმდინარეობდა და შესამჩნევად გაჭიანურდა. თურქეთის დელეგაცია ხელშეკრულების თითოეული მუხლის გამო კამათობდა, ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალებზე დავობდა და ყოველ წვრილმანს სავაჭროდ ხდიდა.

თურქი დიპლომატები განსაკუთრებით დაინტერესებულნი იყვნენ ბათუმის საკითხით, თუმცა ახლა

<sup>16</sup> В. И. Ленин, Соч. т. 42, გვ. 594.

<sup>17</sup> Чичерин Г. В. Статьи и речи по вопросам международной политики, М., 1961, გვ. 283.



მხოლოდ ბათუმს აღარ სჯერდებოდნენ და, სინა კონფერენციისაგან განსხვავებით, ახალციხესა და ახალქალაქსაც მოითხოვდნენ. ისინი თავიანთ უფლებას აღიშნულ ტერიტორიებზე იმით ასაბუთებდნენ, რომ თითქოს აქაური მოსახლეობა პროთურქული ორიენტაციისა იყო და რომ თურქეთის ჯარების შეყვანა ამ ოლქებში ადგილობრივ მკვიდრთა სურვილს შეესაბამებოდა. ანკარის მთავრობის წარმომადგენლები არგუმენტად იშველიებდნენ იმასაც, რომ რუსეთმა აღიარა ზემოთ ხსენებული თურქეთის "ეროვნული პაქტი".

ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ეს დოკუმენტი ბათუმთან მიმართებაში მკაფიო სიცხადით არ გამოიჩინოდა და მისი საბოლოო კუთვნილების საკითხს (ყარსთან და არდაგანთან ერთად) მომავალ პლენისციისტს უკავშირებდა.

კონფერენციაზე მწვავე დებატები გაიშალა ნახიჭევანისა და გუმრის პრობლემათა ირგვლივაც. თურქეთის დელეგაცია მტკიცედ იდგა თავის პოზიციაზე და ტერიტორიის საკითხში დათმობას არ აპირებდა.

ვიცოდით რა, რომ საბჭოთა მთავრობა მეტისმეტად იყო დაინტერესებული თურქეთთან შეთანხმებით, დავადექით პოლიტიკურ ტაქტიკას, რომელიც ჩიჩერინს აიძულებდა დაპყლოდა ჩვენს პირობებს, აღნიშნავს ალი ფუად ჯებესოი თავის მოგონებებში და დასძენს: მოლაპარაკებებზე მოვახერხეთ შეგვექმნა რამდენიმე კრიზისული მომენტი, რის შედეგადაც საბჭოთა საგარეო სახკომმა ველარ შეძლო თავისი ხაზის ეფექტურად გატარებაო.<sup>18</sup>

კონფერენციის პროცესში რომ სირთულეები მართლაც წარმოიშვა, ამას არც გ. ჩიჩერინი უარყოფდა. 1921 წლის 1 მარტს იგი რკპ(ბ) ცკ-ს მდივანს ნ. კრესტინსკის წერდა: თურქეთთან ურთიერთობამ უკიდურესად სერიოზული, კრიტიკული ხასიათი მიიღო. თურქეთმა შესაძლოა ორიენტაცია სავსებით შეიცვალოს, რისი

<sup>18</sup> Али Фуат Чебесой. Moskova Hatiralan (21/11/1920 — 2/6/1922). «Vatan» Nesriyati. Istanbul, 1955. Vol. II.  
<http://www.genocide.ru/lib/barseghov/responsibility/v2-1/1082-1104.htm>



შედეგებიც უმძიმესად აისახება მთელ ჩვენს პოლიტიკაზე აღმოსავლეთში. თურქეთის დელეგაცია მოითხოვს, რომ მათი "ეროვნული პაქტი" და გუმრის ზავის პირობები უნდა იყოს ხელშეუხებელი. ამასთან, არსებობს საფრთხე, რომ თურქები დღე-დღეზე დაიკავებენ ბათუმს.<sup>19</sup>

ანგორაში საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლის ბუდუ მდივნისადმი გაგზავნილ გ. ჩიჩერინის დეპეშაში, რომელიც იმავე წლის 4 მარტითაა დათარიღებული, ვკითხულობთ: თურქეთის დელეგაცია ბევრს ლაპარაკობს თავის რევოლუციურ მისწრაფებებსა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ ჩვენთან საერთო ინტერესებზე, მაგრამ საქმით უზომო პრეტენზიებს გვიყენებს. "ეროვნული პაქტი" და გუმრის ხელშეკრულება ფაქტობრივად ნიშნავს ბათუმისა და მთელი სომხეთის (ნაწილობრივ აშკარად, ნაწილობრივ ფარულად) თურქეთის ხელში გადასვლას, რაც ჩვენთვის სრულიად მიუღებელია. ახლა მიმდინარეობს ვაჭრობა. ჩვენ მივცემთ ყარსსა და არდაგანს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია გადავცეთ ბათუმი. ბათუმში იქნება საქართველო, ალექსანდროპოლსა და ერევანში - სომხეთი, ხოლო ნახიჭევანი უშუალოდ დამოკიდებული გახდება რუსეთზე.<sup>20</sup>

მოლაპარაკების პროცესში მხარეთა პოზიციები რამდენადმე შეჯერდა, მიუხედავად ამისა, თურქეთის სასაზღვრო ხაზთან დაკავშირებით მაინც რჩებოდა შეხედულებათა სხვადასხვაობა. საბჭოთა დელეგაცია თანახმა იყო ელიარებინა თურქეთის "ეროვნული პაქტი", მაგრამ მოითხოვდა საზღვრის გარკვეულ კორექტირებას, კერძოდ ბათუმის სექტორში. "ყველაზე დიდი დათმობა, რაზეც შეიძლება დათანხმდეს რუსეთის დელეგაცია იქნება ის, რომ სასაზღვრო ხაზი გატარდეს ასე: სარფი, ქედის მთა,

<sup>19</sup> Барсегов Ю.Г. Геноцид армян. Ответственность Турции и обязательства мирового сообщества, том 2, часть 1, М., 2005, გვ. 407.

<sup>20</sup> იქვე, გვ. 411.

შავშეთის ქედი, არტაანის ოლქის ძველი საზღვარი” -  
 აცხადებდა გ. ჩიჩერინი.<sup>21</sup>

თურქები დათანხმდნენ მხოლოდ ათვერსიან ზოლზე ბათუმის ირგვლივ და რკინიგზის გაყოლებაზე ჩრდილოეთით, რაც მათ ხელში ტოვებდა ბათუმიდან ახალციხისაკენ მიმავალ შოსეს. საბჭოთა მხარე ამის წინააღმდეგი იყო და მოითხოვდა, რომ ხსენებული შოსე დარჩენოდა საქართველოს.<sup>22</sup>

ფრაგმენტი საბჭოთა რუსეთში თურქეთის ელჩის ალი ფუად ჯებესოის მოსკოვური მოგონებიდან: თურქეთის დელეგაციის მიერ წამოყენებულ საკითხთა შორის იყო პუნქტი №8: ქალაქსა და ნავსადგურ ბათუმზე კავკასიელთა სასარგებლოდ უარის სანაცვლოდ, განსაზღვრული პირობითა და გარემოებებით, ჩვენ მოვითხოვეთ შემდეგი: გაგრძელდეს საზღვარი ყარსის აღმოსავლეთით მდინარე არაქსის (არაფჩაი) მთელ გაყოლებაზე. ამ გზით ვუზრუნველყოფდით საკუთარ უსაფრთხოებას და იმავდროულად ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაჭერი შემოუერთდებოდა ჩვენს ქვეყანას. ამოცანად ვისახავდით, მიგვეღწია ჩვენი პირობის დაკმაყოფილებისათვის ხელშეკრულების ფარგლებში და მხოლოდ ამის შემდეგ, უკანასკნელ მომენტში, აგველო ხელი ბათუმზე განსაზღვრული პირობით. ამასთან, ყველაფერი ისე უნდა წარმოგვეჩინა, რომ ჩვენ მივდივართ დათმობაზე კავკასიელებთან.<sup>23</sup>

რუსეთ-თურქეთის მოსკოვის მეორე კონფერენციის დაწყებას წინ უძღოდა საბჭოთა რუსეთის თავდასხმა

<sup>21</sup> Э. А. Зогребян, Территориально-разграничительные вопросы на второй Московской Русско-турецкой конференции (февраль – март 1921 г.), в книге - К освещению проблем истории и культуры Кавказской Албании и восточных провинций Армении. Ереван, 1991, გვ. 72.

<sup>22</sup> Али Фуат Себесой. Moskova Hatiralan (21/11/1920 — 2/6/1922). «Vatan» Nesriyati. Istanbul, 1955. Vol. II.

<http://www.genocide.ru/lib/barseghov/responsibility/v2-1/1082-1104.htm>

<sup>23</sup> Али Фуат Себесой. Moskova Hatiralan (21/11/1920 — 2/6/1922). «Vatan» Nesriyati. Istanbul, 1955. Vol. II.

<http://www.genocide.ru/lib/barseghov/responsibility/v2-1/1082-1104.htm>



საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე, ხოლო უშუალოდ მოლაპარაკებათა დაწყებამდე ერთი დღით ადრე, წითელი არმიის ნაწილებმა თბილისი აიღეს და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება გამოაცხადეს.

ბოლშევიკური აგრესიის მოგერიებაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას დახმარება აღუთქვა ანკარის ხელისუფლებამ, რომელმაც სანაცვლოდ არტაანისა და ართვინის ოლქების მისთვის გადაცემა მოითხოვა. შექმნილ კრიტიკულ სიტუაციაში ნოე ჟორდანიას დაეთანხმა ულტიმატუმის ფორმით წამოყენებულ თურქთა ამ წინადადებას, მაგრამ ისე რომ, წერილობით შეთანხმებაზე ხელი არ მოუწერია.<sup>24</sup>

ჟორდანიას თავდაპირველად შიშობდა, თურქებს ბათუმი და ახალციხეც არ დაეკავებინათ, მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ საქართველო ჩრდილოელ მოძალადეს ველარ უმკლავდებოდა, თურქეთში საქართველოს ელჩს სიმონ მდივანს უფლება მისცა ქემალ-ფაშასთან შეთანხმების უფრო კომპრომისული ვარიანტიც განეხილა. საარქივო დოკუმენტის თანახმად, "საქართველოს მთავრობა აძლევს ანკარის მთავრობას შემდეგ წინადადებას: დაუყოვნებლივ მოახდინონ სამხედრო ოკუპაცია ბათუმის ოლქისა და ახალქალაქის მაზრებისა შემდეგი პირობით. ამ ოლქების მთელი სამოქალაქო მმართველობა და სუვერენული უფლება ექნება საქართველოს მთავრობას. ქართული ჯარი დაეხმარება ოსმალეთის ჯარს ამ ოკუპაციის მოხდენაში. ეს მდგომარეობა გაგრძელდება მანამ საბოლოოდ გამოირკვევა საქართველოს და საზოგადოდ პოლიტიკური მდგომარეობა ამიერკავკასიაში."<sup>25</sup>

რამდენიმე დღის შემდეგ ს. მდივანმა ნ. ჟორდანიას აცნობა, რომ თურქებმა წინადადება მიიღეს, მაგრამ "პირობის დაწერა უხერხულად მიაჩნიათ," სიტყვიერად კი სამმა მინისტრმა მთავრობის სახელით და პირადად აღმითქვა რომ, როგორც კი საქართველოს მდგომარეობა

<sup>24</sup> ლ. თოიძე, ბრძოლა ბათუმისათვის, თბ., 2009, გვ. 18-20.

<sup>25</sup> სცსსა, პარვარდის უნივერსიტეტის ფონდის მიკროფირები, საქმ. # 386.

განმტკიცდება, ამ ოლქებიდან დაუყოვნებლივ ჯარს გაიყვანენ.<sup>26</sup>

სინამდვილეში ანკარის ხელისუფლების მისწრაფება სხვა იყო. ჯერ კიდევ 1921 წლის 21 თებერვალს თურქეთის საგარეო საქმეთა უწყების მეთაურმა აჰმედ მუხტარმა დიდი ეროვნული კრების დეპუტატთა წინაშე გამოსვლისას განაცხადა: “მინდა გაცნობოთ, რომ საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, ჩვენ ჯარებს მიეცათ ბათუმის დაკავების ბრძანება. ქალაქის დაკავების შემდეგ იქ ჩატარდება პლებისციტი და თუ მოსახლეობა მოისურვებს, ბათუმი იქნება ჩვენი”.<sup>27</sup>

ცხადია, თურქეთი საკუთარ საქმეს აკეთებდა და საქართველოს ინტერესებზე ნაკლებად ზრუნავდა, მით უფრო, როცა სამხრეთ კავკასიის მინა-წყლის გაყოფაზე პარალელურად კრემლს უთანხმდებოდა.

კონფერენციის მიმდინარეობისას მოსკოვისათვის ცნობილი გახდა, რომ თურქეთის ჯარები საქართველოს ფარგლებში დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თანხმობით შევიდნენ. კრემლის მესვეურები ეჭვმა შეიპყრო, რომ საქართველო ამ ძალას წითელი არმიის წინააღმდეგ გამოიყენებდა. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა რსფსრ-ში თურქეთის ელჩისაგან სასწრაფო განმარტება ითხოვა. ელჩმა ალი ფუადმა ჩიჩერინისათვის წარდგენილ ნოტაში (1921 წლის 28 თებერვალი) უარყო და კატეგორიულად გამორიცხა საქართველოსთან რაიმე სახის შეთანხმება.<sup>28</sup>

გ. ჩიჩერინის ნოტის პასუხად, რომ თურქებმა არტაანი და ართვინი დაიკავეს, ალი ფუადი აღნიშნავდა: ამ ოლქების თურქთა მიერ ოკოპაციის შესახებ ჩემი მთავრობისაგან არანაირი ცნობა არ მიმიღია, მაგრამ თუ დასახელებული ადგილები მართლაც თურქეთის ჯარის ნაწილებმა დაიკავეს, ეს უბრალოდ, განხილულ უნდა იქნას, როგორც ჩვენი

<sup>26</sup> იქვე; ასევე, ლ. თოიძე, ბრძოლა ბათუმისათვის, თბ., 2009, გვ. 27.

<sup>27</sup> Э. А. Зогребян, დასახ. ნაშრომი, გვ. 68.

<sup>28</sup> Барсегов Ю.Г. Геноцид армян. Ответственность Турции и обязательства мирового сообщества, том 2, часть 1, М., 2005, გვ. 412.

“ეროვნული ალტეშიდან” გამომდინარე ბუნებრივი შედეგი მოსაზღვრე სამ სანჯაყთან მიმართებაში. აქვეყნებთ, დასძენდა ელჩი, ეს ოკუპაცია თურქეთის არმიის მიერ იმ ქართველი მუშების მატერიალური დახმარების მნიშვნელობას იძენს, რომლებიც მენშევიკური მთავრობისაგან განთავისუფლებისათვის იბრძვიან.<sup>29</sup>

თავის მხრივ, თურქეთის დიდი ეროვნული კრების მთავრობის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა აჰმედ მუხტარმა 1921 წლის 3 მარტს მიმართა რუს კოლეგას და საქართველოში წითელი არმიის მოქმედებასთან დაკავშირებით საქმეში გარკვევა სთხოვა. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა და საბჭოთა მთავრობის ჯარებით საქართველოში განხორციელებული ოპერაცია ისეთი საკითხებია, რომლებიც თურქეთს უშუალოდ არ ეხება და მათში არც რაიმე ფორმით ჩარევის უფლება გვაქვს. მაგრამ, ვითვალისწინებთ რა ჩვენი აღმოსავლეთის პროვინციების მოსახლეობის განწყობას, ყოველგვარი ხმები საქართველოს მუსულმანების წინააღმდეგ და მათი გადმოსახლება ჩვენს საზღვრებში გამოიწვევს მძაფრ უკმაყოფილებას და ხალხის წარმომადგენელთა თავდასხმებს მთავრობაზე, რომელიც საბჭოთა რუსეთთან დაახლოების პოლიტიკის ერთგულია, აღნიშნავდა აჰმედ მუხტარი. მეორე დღეს გაგზავნილ ახალ ნოტაში კი დასძენდა: ჩვენს მთავრობებს შორის მეგობრობის შენარჩუნების მიზნით და თურქეთისა და წითელ არმიათა შეხლა-შემოხლისათვის ყოველგვარი საბაბის გამოსარიცხად, დაბეჯითებით გთხოვთ, კატეგორიულად უბრძანოთ საქართველოში მოქმედი წითელი არმიის სარდალს არ დაუშვას მისი ნაწილების შესვლა ჩვენს მოსაზღვრე ახალციხესა და ახალქალაქის ოლქებშიო.<sup>30</sup>

მხარეთა ურთიერთპრეტენზიების შედეგად მოსკოვის კონფერენციაზე მოლაპარაკება კიდევ ერთხელ შევიდა ჩიხში. იმის გამო, რომ თურქები არ გადიოდნენ გუმრიდან, გრძელდებოდა ახალციხისა და ბათუმის ოკუპაცია, კრემლში

<sup>29</sup> Документы внешней политики СССР, т. 3, М., 1959, гв. 556.

<sup>30</sup> Документы внешней политики СССР, т. 3, М., 1959, гв. 514-515.



თურქეთისადმი კეთილგანწყობის ატმოსფერო ერთბაშად შეიცვალა. სამხედრო იარაღის მიწოდება შეჩერდა, ტყვეების დაბრუნების საკითხს გულგრილად ეკიდებოდნენ, იგონებს ალი ფუადი.<sup>31</sup> თურქეთის დელეგაციის წევრებმა ხსნა ი. სტალინთან შეხვედრასა და მასთან მოთათბირებაში დაინახეს.

დიდად საგულისხმოა, რომ კონფერენციის წარმატებით დასრულებაში სტალინზე ამყარებდა იმედს ვ. ლენინიც. 9 მარტს მან ბარათი გაუგზავნა გ. ჩიჩერინს, რომელშიც შეშფოთებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ თურქები აჭიანურებდნენ ბათუმის შესახებ შეთანხმების ხელმოწერას, დროს იგებდნენ, სანამ მათი ჯარები ბათუმისაკენ მიემართებოდნენ. ჩვენ არ უნდა მივცეთ მათ ასეთი გაჭიანურების საშუალება - აღნიშნავდა ვ. ლენინი. იგი წინადადებას აძლევდა გ. ჩიჩერინს, რომ ნახევარი საათით შეენყვიტა კონფერენცია და მასთან შესახვედრად გამოსულიყო. "ხოლო სტალინი ამ დროს გულახდილად მოელაპარაკება თურქეთის დელეგაციას, რათა გაირკვეს საქმე და დღესვე მიყვანილი იქნეს ბოლომდე".<sup>32</sup>

ლენინის მითითება შესრულდა. თურქეთის დელეგაციის წევრები მართლაც შეხვდნენ რსფსრ ნაციონალურ საკითხთა სახალხო კომისარს. სტალინმა დაარწმუნა ისინი, რომ ხელშეკრულების დაუდებლობა თურქეთისთვისაც საზიანო იქნებოდა, რადგან იგი მისი ინტერესებიდანაც გამომდინარეობს.<sup>33</sup> თურქები მიხვდნენ, რომ ბათუმისათვის დავას აზრი აღარ ჰქონდა და დათანხმდნენ ხელი აეღოთ მასზე (20, 98). ამასთან, "ხელმძღვანელობდა რა მეზობელ ქვეყანასთან კეთილმეზობლური, მეგობრული ურთიერთობის დამყარების კეთილშობილური მიზნებით, საბჭოთა მთავრობა გარკვეულ დათმობაზე წავიდა".<sup>34</sup>

<sup>31</sup> თანამედროვე უცხოური ისტორიული და ხელოვნებათმცოდნეობის ლიტერატურა (რეფერატების კრებული), თბ., 1980, გვ. 124.

<sup>32</sup> ვ. ი. ლენინი, სხზ. ტ. 45, გვ. 65.

<sup>33</sup> თანამედროვე უცხოური ისტორიული და ხელოვნებათმცოდნეობის ლიტერატურა (რეფერატების კრებული), თბ., 1980, გვ. 121.

<sup>34</sup> ი. დათუნაშვილი, სწული იმპერიის ნანგრევებზე, კრებულში - ოქტომბერი და აღმოსავლეთი, თბ., 1987, გვ. 168.



მოლაპარაკება შეუფერხებლად გაგრძელდა და, უკვე 10 მარტისათვის ყველა ძირითადი საკითხი მხარეთა შორის შეთანხმებულ იქნა. დოკუმენტურად არ ვიცით, რა ალუთქვა სტალინმა თურქებს, მაგრამ ცნობილია, რომ ამ შეხვედრისა და საუბრის შემდეგ მას ასეთი ფრაზა ჩაუწერია: "ჩვენ მაინც უნდა შევინარჩუნოთ ჩვენი ძველი პოზიცია (ფორმალურად), იმავდროულად კი უნდა მივიღოთ ზომები ამიერკავკასიის საზღვრების გასამაგრებლად".<sup>35</sup>

სომხური ისტორიოგრაფია (ი. ბარსეგოვი, ე. ზოგრებიანი) მიიჩნევს, რომ სტალინი თურქებს სომხეთის ტერიტორიის ხარჯზე გაურიგდა. ე. ზოგრებიანი, ეხება რა ამ საკითხს, იმონებს თურქი ისტორიკოსის თევფიკ ბიიკლიოღლუს ცნობას, რომ თითქოს ბათუმის სანაჯვლოდ თურქეთს შესთავაზეს სურამლინის მაზრა.<sup>36</sup>

თუ ეს თვალსაზრისი სწორია, მაშინ სომეხ ავტორებს პრეტენზია უნდა ჰქონდეთ ვ. ლენინთანაც, რომლის გარეშე ვერც ერთი სახალხო კომისარი იმ დროს ასეთი რანგის საკითხებს ვერ წყვეტდა. გამონაკლისი არც სტალინი ყოფილა, რადგან მისი ყველა მოქმედება პროლეტარიატის ბელადთან იყო შეთანხმებული. საილუსტარციოდ შეგვიძლია დავიმონწოთ ბუდუ მდივნის წერილი სერგო ორჯონიკიძისადმი, რომელიც მოსკოვის კონფერენციის დღეებშია გაგზავნილი თურქეთიდან აზერბაიჯანში და ეხება სომხეთის საკითხს. ბ. მდივანი წერს: "კობა (ი. სტალინი, - ო. ჯ.) და ილიჩი (ვ. ლენინი, - ო. ჯ.) ოფიციალური დეპეშით მიმითითებენ, რომ თურქებთან არ შეიძლება დავა ყარსის გამო".<sup>37</sup>

იგივე აზრი კიდევ უფრო კონკრეტულად გამოთქმული აქვს ს. ორჯონიკიძეს. 1921 წლის 11 აპრილს ბაქოს საბჭოს სხდომაზე დასმული შეკითხვის პასუხად, თუ რამ განაპირობა თურქებისათვის ყარსის, არტაანისა და ართვინის დათმობა, ს. ორჯონიკიძემ განმარტა: ჩვენ ანგარიში გავუწიეთ მომხდარ ფაქტს. თურქებს დაშნაკებთან

<sup>35</sup> <http://www.genocide.ru/lib/barseghov/responsibility/v2-1/1262-1296.htm#1263>

<sup>36</sup> Э. А. Зогрбян, დასახ. ნაშრომი, გვ. 70.

<sup>37</sup> Э. А. Зогрбян, დასახ. ნაშრომი, გვ. 77.



ზავის პირობით უკვე დაკავებული ჰქონდათ ეს ოლქები და მოსკოვის მოლაპარაკებაზე გადაჭრით უარი გვითხრეს მათი გადმოცემაზე. კონფლიქტი თურქებთან ამის გამო ჩვენ არ გვინდოდა. კონფლიქტი მხოლოდ ინგლისისა და საფრანგეთისათვის იქნებოდა სახირო.<sup>38</sup>

მას შემდეგ, რაც ტერიტორიულ გამიჯვნაზე მსჯელობა დამთავრდა, გ. ჩიჩერინმა რუსეთის დელეგაციის სახელით განაცხადა: რაკი თურქეთ-ამერკავკასიის საზღვრები დადგინდება, თავისთავად ცხადია, რომ ყველა დაინტერესებულ სახელმწიფოს სუვერენიტეტი თავისი ტერიტორიის ფარგლებში სრულად განხორციელდება და დასადებ ხელშეკრულებებში - ერთის მხრივ თურქეთს, ხოლო მეორეს მხრივ სომხეთსა და საქართველოს შორის ეს სუვერენიტეტი არაფრით იქნება შეზღუდული.<sup>39</sup>

გ. ჩიჩერინის ამ ფრაზამ თურქი დიპლომატების მეტისმეტი დაინტერესება გამოიწვია. ისინი შეეცადნენ, მიეღოთ ამომწურავი პასუხი საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლებისაგან თუ რა მოიაზრებოდა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების სუვერენიტეტში და რა შეიძლებოდა მიეჩნიათ მის დარღვევად: აუცილებელია დავადგინოთ, არიან თუ არა ხსენებული რესპუბლიკები დამოუკიდებელნი თუ ასეთებს არ წარმოადგენენ; საჭიროა განისაზღვროს ისიც, რა უნდა ვიგულისხმოთ ამ დამოუკიდებლობაში, ითხოვდნენ თურქები.<sup>40</sup>

ეს ინტერესი არ იყო შემთხვევითი. თურქ დიპლომატებს კარგად ახსოვდათ რამდენიმე წლის წინანდელი ისტორია, კერძოდ, როგორ აიძულა ოსმალეთმა ახლად შექმნილი აქაური სუსტი სახელმწიფოები 1918 წლის ოქტომბრის დამდეგს ბათუმში დაედოთ მათთვის არახელსაყრელი ზავი და თურქეთისათვის იმაზე მეტი დაეთმოთ, ვიდრე ეს ბრესტის ხელშეკრულებით იყო განსაზღვრული.

არ იყო გამორიცხული იგივე გაემეორებინა ქემალის მთავრობასაც ახლა უკვე საბჭოთა სოციალისტურ

<sup>38</sup> <http://www.armenianhouse.org/caucasian-albania/061-078.html>

<sup>39</sup> Э. А. Зоргеян, დასახ. ნაშრომი, გვ. 72.

<sup>40</sup> <http://www.genocide.ru/lib/barseghov/responsibility/v2-1/1105-1131.htm#1108>



რესპუბლიკებად გამოცხადებული აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის მიმართ. სწორედ ამისა სურვილს უნდა მიაინიშნებდეს თურქთა ზემოაღნიშნული მოთხოვნა, რაზედაც საბჭოთა დელეგაციის პასუხი დიპლომატიური იყო: სუვერენიტეტის პრინციპთა ყველა შესაძლო დარღვევის წინასწარ და თეორიულად გათვალისწინება შეუძლებელია. სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების სუვერენიტეტი თვით ანკარის მთავრობამაც აღიარა. რუსეთი ამ რესპუბლიკებთან წინასწარი შეთანხმების გარეშე ვერ დაადგენს, რა შეიძლება იყოს მათთვის მისაღები და რა არა. ამიტომ უმჯობესი იქნება თუ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დელეგაციებს სათათბიროდ მოსკოვში მოვიწვევთო.

როგორც ვხედავთ, საბჭოთა მხარის მიდგომა არსებითად შეიცვალა. თუ იგი კონფერენციის წინ აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენლების მოლაპარაკებათა პროცესში ჩართვას ესწრაფვოდა, ახლა წინადადება უფრო კომპრომისული გახდა და ამ რესპუბლიკების დელეგაციებთან (რომლებსაც გასაბჭოებული საქართველოც დამატებოდა) თათბირის გამართვის მოთხოვნამდე დავიდა.

თურქეთის მხარემ ამ შეთავაზებაზე უარი განაცხადა. კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ სასურველია ზუსტად ვიცოდეთ, რა ჩაითვლება ხსენებული რესპუბლიკების სუვერენიტეტის შელახვადო და დასძინა, რომ თურქეთი თვითონ გამართავს მოლაპარაკებას მათთან, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან, გადაუჭრელ პრობლემებზე შესათანხმებლად.<sup>41</sup>

გ. ჩიჩერინის პასუხი უკვე კატეგორიული იყო: ხელშეკრულებებში, რომლებსაც თურქეთი ხსენებულ რესპუბლიკებთან დადებს, არ უნდა იყოს დაშვებული სუვერენიტეტის არანაირი შეზღუდვა და რომ თურქეთის ყოველგვარი მცდელობა ამ მიმართულებით, საბჭოთა რუსეთის მიერ აღქმული იქნება როგორც მისი

<sup>41</sup> <http://www.genocide.ru/lib/barseghov/responsibility/v2-1/1105-1131.htm#1108>

სანინალმდეგო ქმედება, ხოლო ეს რესპუბლიკები მიიღებენ საბჭოთა მთავრობის მხარდაჭერას.<sup>42</sup>

სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებთან ცალკე მოლაპარაკებისას რომ თურქები მართლაც მზად იყვნენ, რაღაც დაეთმობინებინათ მათთვის, ამას ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტიც მოწმობს. გ. ჩიჩერინი წერს რკპ(ბ) ცკ-ს 1921 წლის 24 მარტს: თურქეთის დელეგაციამ დაბეჯითებით უარყო ჩვენი წინადადება, როგორც კავკასიის დელეგატებთან ერთობლივი კონფერენციის, ისე აქ, მოსკოვში, თურქეთსა და ამ რესპუბლიკებს შორის ხელშეკრულების დადების თაობაზე. ეტყობა, თურქებს სურთ თბილისში ჩვენი უშუალო მონაწილეობის გარეშე ჰპოვონ რაიმე სარგებელი, რისი მიღწევაც ვერ შეძლეს მოსკოვში. მიმდინარე კონფერენციაზე გამართულ დებატებში ამაზე მათ უკვე გადაგვიკრეს სიტყვა. ცხადია, რომ თბილისში ისინი შეეცდებიან კიდევ რაღაც ნაგველიჯონ.<sup>43</sup>

ამავეს ამტკიცებს გ. ჩიჩერინის 1921 წლის 1 აპრილის წერილიც რკპ (ბ) პოლიტიუროსადმი ქემალისტებთან მოლაპარაკებამდე სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს პოზიციების წინასწარი შეთანხმების აუცილებლობის შესახებ და ლენინის აღნიშვნები ხსენებულ წერილზე: თურქები შეეცდებიან კავკასიის რესპუბლიკებს ცალ-ცალკე გამოწურონ ისეთი რამ, რაც ვერ მიიღეს ჩვენგან, - განმარტავდა საგარეო საქმეთა სახკომი და დასძენდა: ცენტრალურმა კომიტეტმა კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებისაგან კატეგორიულად და გარკვევით უნდა მოითხოვოს, რომ თურქეთთან გასაფორმებელი ხელშეკრულებები მათ წინასწარ წარმოუდგინონ ჩვენს მთავრობას სათანადო თანხმობისათვის.

ლენინს უკანასკნელი ფრაზა ორჯერ გაუხაზავს და ბარათზე მიუწერია. "ამხ. მოლოტოვს! ვფიქრობ ეს უდავოა.

<sup>42</sup> <http://www.genocide.ru/enc/conference2.htm> Московская вторая Русско-турецкая конференция 1921 г.

<sup>43</sup> Барсегов Ю. Геноцид Армян. Ответственность Турции и обязательства мирового сообщества, т. , часть 1, М., 2005, გვ. 476.



გთხოვთ, გამოკითხვის წესით პოლიტიკურს ნევრებმა კენჭი უყაროთ და თუ მიღებული იქნება, მაშინვე მიფრთხილეთ გაუგზავნოთ სამივე რესპუბლიკას”.<sup>44</sup>

რა თქმა უნდა, ეს ასეც მოხდა. მოგვიანებით კი, კრემლის ინსტრუქციის შესაბამისად, სამხრეთ კავკასიის სამივე რესპუბლიკამ თურქეთთან არა ცალ-ცალკე, არამედ საერთო ხელშეკრულება გააფორმა (1921 წლის 13 ოქტომბერი, ყარსი), რომელმაც არსებითად მოსკოვის ხელშეკრულების პუნქტები გაიმეორა.<sup>45</sup>

ჩვენ კი დავუბრუნდეთ ძირითად საკითხს - მოსკოვის მოლაპარაკებებს. 1921 წლის 14 მარტის სხდომაზე მხარეებმა ხელშეკრულების თავ-თავიანთი პროექტები წარადგინეს და მათ დეტალურ განხილვას შეუდგნენ. კონფერენციის დასკვნითი სხდომა 16 მარტს გაიმართა და იგი საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის ძმობისა და მეგობრობის ხელშეკრულების გაფორმებით დასრულდა. ბათუმის საკითხი ხელშეკრულების მეორე მუხლში ამგვარი ფორმულირებით აისახა:

“Турция соглашается уступить Грузии сюзеренитет над портом и городом Батумом и территорией, лежащей к северу от границы, указанной в Статье 1-й нынешнего договора, и составлявшей часть Батумского округа, при условии, что

1) население местностей, указанных в настоящей статье договора, будет пользоваться широкой автономией в административном отношении, обеспечивающей каждой общине ее культурные и религиозные права, и что населению будет предоставлена возможность установить земельный закон, соответствующий его пожеланиям.

2) Турции будет предоставлен свободный транзит всяких товаров, отправляемых в Турцию или из нее, через Батумский порт, беспошлинно, без учинения каких-либо задержек и без обложения их какими бы то ни было сборами, с

<sup>44</sup> იქვე, გვ. 479.

<sup>45</sup> Сборнике действующих договоров, соглашений и конвенций, заключенных СССР. Вып. III, М., 1922.

предоставлением Турции права пользования Батумским портом без взимания за то специальных сборов".<sup>46</sup>

რაც შეეხება არდაგანსა და ართვინს, საქართველოს ეს ორი ისტორიული პროვინცია მოსკოვის ხელშეკრულებამ თურქეთს დაუმკვიდრა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკება და ურთიერთგარიგება ქართველი საზოგადოების ზურგს უკან მიმდინარეობდა, საქართველოს მოსახლეობა მხოლოდ ზედაპირულად იყო ინფორმირებული მოსკოვში მიმდინარე კონფერენციის შესახებ. მას შემდეგ, რაც 25 თებერვალს წითელი არმიის ნაწილებმა თბილისი აიღეს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყურნალ-გაზეთების რედაქციებს დედაქალაქში აღარ დაედგომებოდათ, და მთავრობის მსგავსად, მათაც დასავლეთ საქართველოში გადაინაცვლეს. ომის გამო ექტრემალურ პირობებში მომუშავე ქართული პერიოდული პრესა მასალების სიუხვითა და მრავალფეროვნებით ვეღარ გამოირჩეოდა. გაზეთები "ერთობა", "საქართველო", "სახალხო საქმე" ძირითადად ფრონტებზე შექმნილი მდგომარეობის გაშუქებითა და სამხედრო შტაბიდან მიღებული ოპერატიული ცნობების გამოქვეყნებით იფარგლებოდნენ. ბოლშევიკური გამოცემებისათვის საქართველოს ცალკეულ კუთხეთა ბედ-იღბალზე უფრო აქტუალური და პრიორიტეტული საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნება და კომუნისტური აგიტაცია-პროპაგანდის წარმოება იყო.

ქართულ საბჭოთა პრესაში პირველი ინფორმაცია რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკებათა შესახებ მოკლე დეპეშის სახით გაზეთ "კომუნისტში" 1921 წლის 5 მარტს დაიბეჭდა. 22 მარტის ნომერში გამოქვეყნდა ცნობა, რომ მოსკოვში 16 მარტს ხელი მოეწერა საერთაშორისო იმპერიალიზმთან დაპირისპირებული ორი სახელმწიფოს ძმობისა და მეგობრობის ხელშეკრულებას. თვით ხელშეკრულების ზოგადი შინაარსი "კომუნისტმა" მხოლოდ 23 მარტს გაავრცელა. საგაზეთო პუბლიკაციაში აღნიშნული

<sup>46</sup> Документы внешней политики СССР, т. 3, М., 1959, გვ. 598.



იყო: "ოსმალეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი მტკიცედ არის გარკვეული. ბათომი რჩება საქართველოს პირობით, რომ მას ექნება ადგილობრივი ავტონომია და საკუთარი აგრარული რეჟიმის უფლება. ოსმალეთს ექნება საქონლის თავისუფალი ტრანზიტი ბათომით".<sup>47</sup>

დაბოლოს, გასარკვევი დაგვრჩა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, კერძოდ, შეიცავდა თუ არა საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის 1921 წლის 16 მარტს მოსკოვში გაფორმებული ხელშეკრულება საიდუმლო დამატებებს, რომლებიც არც ხელშეკრულების ტექსტთან ერთად და არც ცალ-ცალკე არ გამოქვეყნებულა?

სომეხი დიპლომატის ლ. ეირამჯიანის აზრით, რომელმაც მოსკოვის ხელშეკრულებას სპეციალური სტატია მიუძღვნა, ხსენებულ დოკუმენტს უნდა ახლდეს გარკვეული სახის დანართი "საიდუმლო ოქმების" ან კონკრეტული დამატების სახით.<sup>48</sup> ავტორი არაფერს ამბობს, თუ რა შინაარსისა შეიძლებოდა ყოფილიყო ეს "დანართი", მაგრამ მოგვეპოვება სხვა მასალაც, რომელიც ამ კუთხით მეტ კონკრეტულ მინიშნებას შეიცავს. ცნობილი ქართველი ემიგრანტი შალვა მალლაკელიძე, იგონებდა რა თავის შეხვედრას დ. ჟლობასთან ბათუმში 1921 წლის მარტში, აღნიშნავდა: ბოლშევიკებს ბათუმი რომ არ დაკარგვოდათ ლენინმა მისი დაკავება დ. ჟლობას დაავალა. როგორც კი წითელი არმიის ნაწილები ხაშურს მიაღწევდნენ, ჟლობა "ბორჯომის გზით ახალციხეში უნდა გაჭრილიყო, გადასულიყო გოდერძის უღელტეხილზე და პირველი ჩასულიყო ბათუმში, იმიტომ რომ ხელშეკრულება აქვს ლენინს თურქეთთან საქართველოს გაყოფაზე, - რომელ ტერიტორიასაც დაიკავებს თურქეთი, მისი იქნება და ჟლობას მიანდო, რომ დაასწროს თურქებს, მაგრამ დიდი თოვლობა იყო და ვერ გადავიდა, თურქებმა დაასწრეს და ბათუმი დაიკავეს. ... მართალი არიან თურქები, ... ჩვენ შეთანხმებული ვიყავით: რომელსაც ჩვენ დავიკავებთ, ჩვენ გვრჩებაო და რომელსაც თქვენ დავიკავებთ, ის თქვენ გრჩებათო. პირდაპირ წერია

<sup>47</sup> გაზ. "კომუნისტი", 1921 წ., 23 მარტი.  
<sup>48</sup> <http://www.yerevan.ru/forum/showthread.php?t=6601>



საიდუმლო მოლაპარაკებაში ლენინსა და ათა-თურქს შორის, რომ "ვსე ზემლი ვ რეზულტატე ვაინი, კოტორიე ბუდუტ ზანიატი ლიბო ჩასტიაში ტურეცკიმი, ლიბო ჩასტიაში სოვეტსკიმი, იმ პრენადლეჟატ ეტი სამიე ზემლი."

შალვა მალლაკელიძის სიტყვით, ჟღობას უთქვამს: "ნიკოგდა ნე პრასტიატ მნე ეტოვოო!" ე.ი. ბათუმი რომ ვერ დავიკავეო. "გლავნოე, პაპაშა ნე პრასტიტ". პაპაშაო ე.ი. ლენინიო. ჟღობასგან გავიგე მე, რომა რუსეთსა და თურქეთს დაუნანილებიათ თურმე საქართველო. ე.ი. საიდუმლო სამხედრო შეთანხმება ყოფილა რუსეთსა და თურქეთს შორის, ინგლისელების დასტურით".<sup>49</sup>

რუსი სამხედრო მეთაური დ. ჟღობა აღიარებს, რომ მოსკოვსა და ანგორას შორის არსებობდა "საიდუმლო სამხედრო შეთანხმება", რომლის თანახმად, რუსეთმა და თურქეთმა საქართველოს ტერიტორიები დაინანილეს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო მოღვაწეს შ. მალლაკელიძეს (იგი 1918-1921 წლებში დანიშნული იყო სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე, მათ შორის თბილისის გენერალ-გუბერნატორადაც) ეჭვი არ შეაქვს ჟღობას ნათქვამის სისწორეში, მიუხედავად იმისა, რომ დამპყრობელი ქვეყნის სამხედრო წარმომადგენლის მეტისმეტი გულახდილობა მთლად სარწმუნოდ არ გამოიყურება. საკითხავია ისიც, ჩვეულებრივი საკავალერიო დივიზიის მეთაურს რამდენად ეცოდინებოდა იმ დონის კონფიდენციალური ინფორმაცია, როგორიც კრემლისა და ანკარის მთავრობის საიდუმლო გარიგებაა, თუნდაც ასეთი შეთანხმება რეალურად არსებულებოდა.

პროფესორი ლევან თოიძე, რომელმაც თავის ნაშრომში შ. მალლაკელიძის ზემოთ მოხმობილი მოგონება გამოიყენა, ვარაუდობდა, რომ ჟღობა მალლაკელიძესთან საუბარში "ძირითადად სიმართლეს ამბობდა". ამასთან, მკვლევარი იმასაც დასძენდა, რომ საკითხის საბოლოოდ გარკვევა სხვადასხვა ქვეყნის, უწინარესად კი რუსეთისა და

<sup>49</sup> ქართველები გერმანული დროშის ქვეშ მეორე მსოფლიო ომში. მასალები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ვიქტორ რცხილაძემ. თბ, 1994, გვ. 88.

თურქეთის არქივებში დაცული მასალის მოძიებით შესაძლებელია.<sup>50</sup>

თვალსაზრისი, რომ საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის მოსკოვში ოფიციალური ხელშეკრულების გაფორმების პარალელურად, საქართველოსთან მიმართებაში, საიდუმლო გარიგებაც შედგა, მართლაც გასაზიარებელია. ამის დოკუმენტური დასაბუთება ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება, თუმცა დამატებითი არგუმენტების მოხმობა შესაძლებელია.

1. თურქი მკვლევარი დოღან ავჯიოღლუ ნაშრომში "ეროვნული მოძრაობის ისტორია," განიხილავს რა მოსკოვის ხელშეკრულებას, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს დოკუმენტის მერვე მუხლზე, რომლის განმარტებისას შენიშნავს: თურქეთის მხარემ იკისრა, რომ ბოლშევიკური საქართველოს ხელისუფლების ჩამოგდების მიზნით, მენშევიკ ქართველებს თურქეთში არავითარი საქმიანობის საშუალებას არ მიეცემოდა.<sup>51</sup>

2. ცნობილია, რომ რუსეთ-თურქეთის მოსკოვის მეორე კონფერენციის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე გ. ჩიჩერინი ესაუბრა ანკარის დელეგაციის მეთაურს იუსუფ ქემალს და მას ოფიციალური მოლაპარაკების ჩარჩოები და გეგმა გააცნო. საბჭოთა დიპლომატს თურქი კოლეგისთვის მიუმართავს: ზოგიერთი გადაწყვეტილება დარჩება საიდუმლოდ, ზოგიერთი აისახება ხელშეკრულების ტექსტში და ამავდროულად, ჩვენ საბოლოოდ მოვილაპარაკებთ დახმარების თაობაზე.<sup>52</sup>

არანაკლებ საგულისშობა შემდეგიც; როცა საქართველოში შემოჭრისა და მისი გასაბჭოებისათვის ემზადებოდა, რუსეთის წინაშე საქართველოს სრული იზოლაციის ამოცანაც იდგა. კრემლმა დიდი ძალისხმევა

<sup>50</sup> ლ. თოიძე, ბრძოლა ბათუმისათვის, თბ., 2009, გვ. 54.

<sup>51</sup> რ. ყაველაშვილი, 1918-1921 წლების საქართველოს ისტორიის თურქული ისტორიოგრაფია, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2002, გვ. 60.

<sup>52</sup> Барсегов Ю.Г. Геноцид армян. Ответственность Турции и обязательства мирового сообщества, том 2, часть 1, М., 2005, გვ. 407.



მოახმარა იმას, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მოსალოდნელ ომში ამ უკანასკნელს გარედან დამხმარე ძალა არ მოშველებოდა. საქართველოს სავარაუდო თანამდგომთა შორის დასავლეთის სახელმწიფოების გარდა უეჭველად თურქეთიც განიხილებოდა. მეტიც, თურქეთს, როგორც საქართველოს უშუალო მეზობელს და რეგიონში საკუთარი ინტერესების მქონე ქვეყანას, უფრო მომეტებული ყურადღებაც უნდა დათმობოდა. ამის თაობაზე ხაზგასმითაა აღნიშნული XI ნითელი არმიის სარდლის გენერალ ა. ჰეკერის საიდუმლო მოხსენებაში კავკასიის რევოლუციური-სამხედრო საბჭოს წევრის ს. ორჯონიკიძისადმი, რომელიც 1920 წლის 18 დეკემბრით თარიღდება. ჰეკერი ირწმუნებოდა: თურქეთთან მოსკოვის ურთიერთობის "წინასწარი მოგვარების გარეშე საშიში იქნება საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის დაწყება", რომ "აუცილებელია შეთანხმება თურქეთის სარდლობასთან" და რომ: "საქართველოს წინააღმდეგ ოპერაციები შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობებში, თუ კიაზიმ ყარაბეჯირის (ქემალისტური თურქეთის) ჯარები დაიცავენ გარკვეულ მეგობრულ ნეიტრალიტეტს".<sup>53</sup>

რუსი გენერლის ეს ლოგიკური შეხედულება მხარდაჭერას ჰპოვებდა რუსეთის უმაღლეს სამხედრო და პოლიტიკურ ხელმძღვანელობაშიც. დანარჩენი კრემლის დიპლომატიის საქმე იყო. შეთანხმება შედგა. თურქეთი, მიუხედავდ იმისა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ამაში დაბეჯითებით არწმუნებდა, რუსეთ-საქართველოს ომში არ ჩაერია. ამ გარემოებამ რუსეთს საქმე საგრძნობლად გაუადვილა. კრემლს საქართველოს წინააღმდეგ მთელი იმ სამხედრო შენაერთების სრულად გამოყენების საშუალება მიეცა, ომში თურქეთის მონაწილეობის შემთხვევაში, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ანკარის ჯარების შესაკავებლად იქნებოდა აუცილებელი. თურქეთმა არათუ მოსკოვისათვის

<sup>53</sup> საქართველო დაპყრობის 60 წელისთავი, პარიზი, 1981, გვ. 389.



აღთქმული ნეიტრალიტეტი შეინარჩუნა, არამედ აქტიურად შეუწყო ხელი რუსეთის ხელახალ დამკვიდრებას სამხრეთ კავკასიაში. ამის სანაცვლოდ მან კრემლის პოლიტიკური ნებით საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიის გარკვეული ნაწილი მიიღო, რომლის ფართობი 23 600 კვადრატულ კილომეტრს, ხოლო მოსახლეობის რაოდენობა 572 ათას სულს შეადგენდა.<sup>54</sup>

ამრიგად, ბათუმის კუთვნილების საკითხი ოფიციალურად საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის 1921 წლის 16 მარტს მოსკოვში გაფორმებული ხელშეკრულებით გაირკვა. ბათუმი და მისი ოლქის ნაწილი, რომელიც თანამედროვე აჭარას მოიცავს, თავისი ღვიძლი სამშობლოს - საქართველოს ფარგლებში დარჩა. ისტორიული სამართლიანობის ძალით ეს ასეც უნდა მომხდარიყო და საქართველოს ამ კუთხის გარდა არდაგან-ართვინიცი უნდა შეერთებოდა, მაგრამ მოსკოვის მოლაპარაკებებზე საკითხი ორი სახელმწიფოს ურთიერთგარიგებამ და პრაგმატულმა შეთანხმებამ გადაჭრა და არა სამართალმა.

---

<sup>54</sup> С. И. Кузнецова, Установление советско-турецких отношении, М., 1961, გვ. 50.

# რუსეთის სამხრეთ კავკასიური ინტერესები და საქართველო\*



*თავისი იმპერიული ამბიციების გამო რუსეთი არის ქვეყანა, რომელიც არ უყვარს არც ერთ მის მეზობელს და მეტიც - ეშინიათ მისი*

*ზბიგნევ ბჟეზინსკი*

რუსეთი, როგორც მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალა, სამხრეთ კავკასიის რეგიონში პირველად XV საუკუნის მეორე ნახევარში გამოჩნდა. ეს იყო დრო, რომელიც მსოფლიო გეოპოლიტიკურ სინამდვილეში არსებითი სიახლეებით აღინიშნა, სახელდობრ: ევროპის ქვეყნების დიდ ნაწილში დასასარულს მიუახლოვდა ერთიანი ეროვნული სახელმწიფოების ფორმირება; 1453 წელს კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ პოლიტიკურ რუკაზე ბიზანტიის ადგილი ოსმალეთის იმპერიამ დაიკავა; ამავე პერიოდში სამხრეთ-დასავლეთ აზიაში ჩამოყალიბებას იწყებს ირანის ყიზილბაშური სახელმწიფო, ხოლო ჩრდილოეთით გაძლიერებისა და აღმავლობის გზას ადგება მონღოლთა ხანგრძლივ ბატონობას თავდაღწეული მოსკოვის რუსეთი.

როგორ შეხვდა ამ ეპოქალურ ცვლილებებს სამხრეთ კავკასია და კერძოდ საქართველო?

თურქ-სელჩუკების, მონღოლ-თათართა და თემურ ლენგის შემოსევების შემდეგ კავკასიონის ქედის სამხრეთით საკუთარი სახელმწიფოებრიობა მხოლოდ საქართველომ შეინარჩუნა. აზერბაიჯანი, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული ჯერაც არ გაჩენილიყო, კავკასიის ალბანეთი ისტორიის კუთვნილება გამხდარიყო, სომხეთსაც არსებობა კარგა ხნის შეწყვეტილი ჰქონდა და მის მიწა-წყალზე მომთაბარე თურქმანი ტომები მომრავლებულიყვნენ. დიდად არც საქართველოს უღბინდა,

\* პირველად დაიბეჭდა კრებულში „საქართველო: დემოკრატიული განვითარების პრობლემები და თანამედროვე გამოწვევები, თბ., 2008.



ერთიანი ქვეყანა ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად და სამცხის საათაბაგოდ დანაწევრებულიყო.

ასეთ პირობებში, ბუნებრივია, ერთიანი საგარეო პოლიტიკა ველარ ინარმოებოდა. ცალკეულ ქართულ სამეფოსა თუ სამთავროს საკუთარი დამოუკიდებელი საგარეო კურსი უნდა გამოემუშაებინა. ირანისა და ოსმალეთის გახშირებულ თავდასხმებისაგან შევიწროებულმა კახეთის სამეფომ მზერა ჩრდილოელი მეზობლისაკენ მიაპყრო და ერთმორწმუნე რუსეთი მხსნელად და მოკავშირედ დაიგულა.

კახეთის ამგვარ არჩევანს ისიც განაპირობებდა, რომ მოსკოვმა ბიზანტიის დაცემის შემდეგ ამ ქვეყნის გერბი, ორთავიანი არწივი - ეკლესიისა და სახელმწიფოს სიმფონიის სიმბოლო - რუსეთში გადაიტანა, თავი ბიზანტიის მემკვიდრედ გამოაცხადა და მესამე რომის ფუნქცია იტვირთა. ეს მესიანისტური მისწრაფება ქრისტიანი ხალხების გაერთიანებასა და მათ მესვეურობას ითვალისწინებდა. საქართველო ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც მოსკოვის მესიანისტური როლი ცნო და აღიარა.<sup>1</sup>

ქართველთა ცნობიერებაში რუსეთი ძლევამოსილ მართლმადიდებელ სახელმწიფოდ აღიქმებოდა, რომელსაც ძალუძდა მუსლიმთა ურდოებით შევიწროებული ქრისტიანი თანამოქმედებისათვის მფარველობის ხელი გაეწვდინა. მაშინ არავის უფიქრია საფრთხეზე, რაც რუსეთის კავკასიურ ორბიტაზე გამოჩენას შეიძლებოდა მოჰყოლოდა.

ფეოდალური საქართველოს უფრო გვიანდელ მესვეურებსაც სრულად ვერ წარმოედგინათ, რომ რუსეთი იმპერია იყო. ხოლო იმპერიის დამოკიდებულებას გარე სამყაროსთან ესქატოლოგია და სარწმუნებრივი მოტივი კი აღარ ასაზრდოებდა, არამედ იგი გეოსტრატეგიულ მიზნებსა და ინტერესებს ეფუძნებოდა; რომ რუსეთი თავის გავლენას სხვა ხალხებსა და ქვეყნებზე ძალადობით ავრცელებდა; იმპერიული სამფლობელოების გაფართოების მიზნით რუსეთის ხელისუფალნი, სამხედრო ექსპანსიის პარალელურად, ფართოდ მიმართავდნენ შანტაჟის,

<sup>1</sup> ნ. ასათიანი, საქართველოს ისტორია, თბ., 2005, გვ. 249.



გადაბირების, მოტყუების, დაშინებისა და სხვა "დიპლომატიურ" ხერხებს, რომლებიც ჯერ კიდევ უცხოეთში ქართული სინამდვილისათვის.

როცა საქართველოს რუსეთთან დაკავშირების საკითხზე ვსაუბრობთ, აუცილებელია ითქვას, რომ ჩვენ წინაპრებს ამ მხრივ ფართო არჩევანის შესაძლებლობა მართლაც არ ჰქონიათ. მათ არაერთხელ მოსინჯეს დასავლეთის სახელმწიფოებთან დაახლოების გზა, მაგრამ, გეოგრაფიული სიშორის გამო, საქართველოს ხმა ევროპას ნაკლებად ნვდებოდა. ქართველი ხალხის ტრაგიკული ბედი ევროპაში მორალურ თანაგრძნობას იწვევდა, ხოლო ამას იქით საქმე აღარ მიდიოდა. საქართველო ვერ მოხვდა დასავლეთის ქვეყნების სერიოზულ ინტერესთა სფეროში. ამიტომაც იქცა ერთმორწმუნე რუსეთი ბოლო იმედად. მაგრამ რუსეთზე ორიენტაცია საქართველოსთვის ცუდსა და უარესს შორის არჩევანი იყო. უარესს, ცხადია, ირანოსმალეთის მაჰმადიანური გარემოცვა წარმოადგენდა, ცუდს - რუსეთი.

ასეა თუ ისე, კავკასიაში (არა მხოლოდ მის სამხრეთ ნაწილში, არამედ ჩრდილოეთშიც) შემოსვლა რუსეთს საქართველომ გაუადვილა, რასაც მავანნი დროდადრო ბოროტად წამოგვაძახებენ კიდევ და არ ითვალისწინებენ, რომ იგი ამას საქართველოს გარემოცვ შეძლებდა, ოღონდ, ალბათ, უფრო გვიან, უფრო ძნელად და მეტი დანაკარგებით.

აქვე, ინტერესმოკლებული არ იქნება ითქვას, რომ განაპირა, მათ შორის სამხრეთ კავკასიის ხალხების ცხოვრებაში რუსეთის როლის შესახებ დიდი ხნის განმავლობაში მცდარი თვალსაზრისი იყო გაბატონებული ბევრ ე. წ. მოკავშირე რესპუბლიკაშიც. საბჭოთა პერიოდის ისტორიოგრაფია კავკასიის რუსეთთან შეერთებას ერთმნიშვნელოვნად პროგრესულ მოვლენად გაიაზრებდა. ახლა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების თანამედროვე ისტორიულ ლიტერატურაში ვითარება სულ სხვაგვარადაა ასახული. ამ კუთხით საყურადღებო მასალას იძლევა ცნობილი ინტერნეტპროექტი სახელწოდებით: "რუსეთი პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების ისტორიის

სახელმძღვანელოებში." იგი ნაუმანის ფონდის დაკვეთით მომზადდა და განხორციელდა 2004 წელს.

თვალსაჩინოებისთვის დავიმონწივით რამდენიმე ნიმუში: მაგალითად, სომხურ სასკოლო და სტუდენტთათვის განკუთვნილ ისტორიის სახელმძღვანელოებში დღეს ვეღარ ამოიკითხავთ, რომ რუსეთი სომხეთისათვის განმათავისუფლებელი და კეთილისმყოფელი სახელმწიფო იყო. იგი წარმოჩენილია, როგორც ძლიერი იმპერია, რომელიც მოქმედებდა საკუთარი მიზნებისა და ინტერესების მისაღწევად: "თესდა რა იმედს ამიერკავკასიის დამონებულ ხალხებში, რუსეთი ამით თავის სამხედრო-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტას იადვილებდაო," დაასკვნიან სომეხი ისტორიკოსები.<sup>2</sup>

აზერბაიჯანულ სახელმძღვანელოებში რუსეთი ხაზგასმით კავკასიის დამპყრობ, კოლონიზატორ ქვეყნადაა სახელდებული.<sup>3</sup> დავძენთ, რომ ზუსტად ასეთივეა ქართული სახელმძღვანელოების ავტორთა პოზიციაც.

რუსეთ-კახეთის თავდაპირველი ურთიერთობა ივანე მესამის ხანაში (1462-1505 წ.წ.) ელჩობათა დონეზე დაზვერვით სტადიას არ გასცდენია. XVI საუკუნის შუა ხანებში, მას შემდეგ რაც ივანე მრისხანემ ვოლგისპირეთი შეიერთა და ყაბარდოც დაიპყრო, მოსკოვი აღარ მალავდა, რომ დაინტერესებული იყო კავკასიის რეგიონში "ხელდებულ-მოკავშირის" მოპოვებით. ნიკო ბერძენიშვილის სიტყვით, ისტორიულმა ვითარებამ "სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ წამოსული მოსკოვის რუსეთისა და მტრული გარემოცვით შევიწროებული კახეთის რეალური საგარეო პოლიტიკური ინტერესები ერთი-მეორეს შეუთანხმა".<sup>4</sup> 1587 წელს კახეთის სამეფოსა და რუსთხელმწიფეს შორის ცნობილი "ფიცის წიგნი" გაფორმდა. ფიცით, მართალია, კახეთის მეფე ალექსანდრემ და მისმა შვილებმა დაიფიცეს, მაგრამ ხელშეკრულება

<sup>2</sup> <http://www.historia.ru/2004/01/bagdasarjan.htm>

<sup>3</sup> <http://www.historia.ru/2004/01/mamedova.htm>

<sup>4</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, V, თბ., 1971, გვ. 236.



ორმხრივი იყო და ვალდებულება რუსეთსაც ეკისრებოდა. იგი მფარველობაში იღებდა კახეთის სამეფოს დედამიწის დაცვის გარანტიად გამოდიოდა. როგორ შეასრულა მან ეს პირობა და უფრო მოგვიანებით ქართლ-კახეთთან გაფორმებული გეორგიევსკის ტრაქტატი, კარგადაა ცნობილი და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას დიდწილად ევროპისა და აზიის სახელმწიფოებთან მისი საზღვაო და სახმელეთო კომუნიკაციების სისტემა, დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელი სავაჭრო-სატრანზიტო ფუნქცია განსაზღვრავდა. ეს, ტერიტორიის თვალსაზრისით, არც თუ დიდი რეგიონი, ყოველ ისტორიულ ეპოქაში ხელსაყრელ სტრატეგიულ პლაცდარმს წარმოადგენდა, რომლის დასაუფლებლად თავგამეტებით იბრძოდნენ მეზობელი თუ შორეული დამპყრობლები.

თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდნენ რუსეთის ხელისუფალნი საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის რეგიონს, კარგად ჩანს თუნდაც იმ ფაქტიდან, რომ ჯერ კიდევ პეტრე I-ის დროს პეტერბურგში შეიქმნა სპეციალური დეპარტამენტი, რომელსაც სამხრეთ კავკასიის სამეფო-სამთავროებთან თუ სახანოებთან ურთიერთობის კოორდინაცია და გაღრმავება ევალებოდა.<sup>5</sup> XIX საუკუნეში, მიუხედავად იმისა, რომ თბილისში საკმაო უფლებებით აღჭურვილი მთავარმართებელი, ხოლო მოგვიანებით უფრო მეტი კომპეტენციის მქონე მეფისნაცვალნი იყვნენ, მეტროპოლის ცენტრში არსებობდა ამიერკავკასიის საქმეთა კომიტეტი (შემდეგში კავკასიის კომიტეტი), რომელშიც საიმპერიო მთავრობის ყველაზე გავლენიანი მინისტრები შედიოდნენ.<sup>6</sup> საბჭოთა დროსაც ე.წ. მოკავშირე რესპუბლიკის ცკ-ს მეორე მდივანი (საქართველოში 1956 წლის 9 მარტის შემდეგ) აუცილებლად რუსი უნდა

<sup>5</sup> <http://lecture.imhonet.ru/element/365237/>  
<sup>6</sup> Лисицина Г. Г. Кавказский комитет – высшее государственное учреждение для управления Кавказом (1845-1882), წიგნში \_ Россия и Кавказ: сквозь два столетия, СПб., 2001, გვ. 154.



ყოფილიყო. კრემლში რეგიონის კურატორ-კორდინატორთა დიდი ჯგუფი საქმიანობდა. თბილისში ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის უზარმაზარი შტაბი, სომხეთში, აზერბაიჯანსა თუ საქართველოში დაზვერვისა და უშიშროების სამსახურების ფართო ქსელი მოქმედებდა და სხვ.

XVIII ასწლეულის დასასრულისათვის რუსეთის მისწრაფება სამხრეთ კავკასიისაკენ ძირითადად სამხედრო-სტრატეგიული ამოცანებით შემოიფარგლებოდა. ცარიზმმა ამ რეგიონში ფეხის მოკიდებისა და გაბატონებისათვის მარტო XIX საუკუნეში ოსმალეთთან 4 და ირანთან 2 ომი გადაიხადა. სამხრეთ კავკასიაში შემოღწევით რუსეთმა კავკასიური ქვეყნის სტატუსი მოიპოვა. ამასთან, იმპერია, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში ზღვა საერთოდ არ გააჩნდა, შავი ზღვის რეგიონის სახელმწიფო ხდებოდა და მნიშვნელოვან პლაცდარმსაც ეუფლებოდა მახლობელ აღმოსავლეთში გასაჭრელად.

სამხრეთ კავკასიის ბუნებრივი სიმდიდრეების ექსპლუატაცია და ეკონომიკური ათვისება, რასაც კოლონიური ხასიათი ჰქონდა, რუსეთის ხელისუფლებამ ცოტა უფრო გვიან, ამ მხარის პოლიტიკური დაპყრობის დასრულების შემდგომ დაიწყო და აღარ შეუჩერებია.

1801 წლიდან მოყოლებული, 1918-1920 წლების გამოკლებით, ვიდრე გასული საუკუნის 90-იანი წლების დამდეგამდე რუსეთი კავკასიის ფაქტობრივი მფლობელი და გამგებელი იყო. ამ მიწა-წყლის დასაპყრობად წარმოებულ ხანგრძლივ სამხედრო ოპერაციებსა და ადგილობრივი ხალხების ანტიკოლონიურ აჯანყებათა ჩახშობას ათასობით რუსი ჯარისკაცის სიცოცხლე შეეწირა. მეფის მთავრობამ რეგიონის ინფრასტრუქტურის შექმნაშიც სოლიდური კაპიტალი დახარჯა და რიგი მასშტაბური პროექტი განახორციელა (რკინიგზა, ბაქო-ბათუმის ნავთობსადენი და სხვ.). უნდა ითქვას, რომ ამ მიმართებით ცოტა რამ არც საბჭოთა პერიოდში გაკეთებულა. რუსეთში ყოველივე ამას დღემდე გულდასამით ითვლიან და ანგარიშობენ. ამასთან, არად დაგიდევენ ხსენებული მოვლენებით გამონვეულ დაპყრობილი მოსახლეობის დიდძალ მსხვერპლს. ანგარიში



არც იმას ენევა, რომ კავკასიური ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს ადგილობრივი შემოსავლები შეადგენდა და მიიჩნევენ, რომ სამხრეთ კავკასია რუსეთის სასიცოცხლო ინტერესების რეგიონია და აქედან ფეხი არ უნდა მოიცივდეს.

ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ჩამოყალიბებული ამგვარი აზრის ალორძინებისა და დამკვიდრებისათვის რუსეთში, შეიძლება ითქვას, მთელი სახელმწიფო მანქანა მუშაობს. ამ საქმეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გარდა, არაეთი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი ემსახურება მათში შექმნილი ნაირგვარი გეოპოლიტიკური თეორიებით. მაგალითად, რუსეთის ფედერაციის მეცნიერებათა აკადემიის სოციალური და ფილოსოფიური კვლევების ყოფილი ხელმძღვანელი ა. პანარინი მიიჩნევს, რომ ევრაზია, მათ შორის, ცხადია, სამხრეთ კავკასიაც, რუსეთის “ბუნებრივი არეალია.” რუსეთი ისტორიულად ასრულებდა ამ ტერიტორიის გამაერთიანებლის როლს და ამყარებდა აქ ცივილიზაციას. ამიტომო, დასძენს პანარინი, რუსეთმა უნდა შეინარჩუნოს იგივე ფუნქცია და იტვირთოს ევრაზიაში განმანათლებლისა და სამოქალაქო უფლებების დამცველის როლი.<sup>7</sup>

რუსეთი რომ დღესაც ვერ ელევა თავის “ცივილიზატორულ” მისიას, კარგად ჩანს ყოფილი პრეზიდენტის ვ. პუტინის ყოველწლიური მიმართვიდან ქვეყნის მოქალაქეებისადმი. 2005 წლის ამგვარი მიმართვის ტექსტში ხაზგასმულია: “ევრაზიის კონტინენტზე უდავოდ უნდა გაგრძელდეს რუსი ერის ცივილიზატორული მისია. მისი მიზანია, რომ ეროვნულ ინტერესებზე გამრავლებული დემოკრატიული ღირებულებანი ამდიდრებდნენ და ამტკიცებდნენ ჩვენს ისტორიულ ერთობას”.<sup>8</sup> თანამედროვე რუსეთში ბევრს კვლავაც სჯერა, რომ სადაც არ უნდა

<sup>7</sup> ე. ურუშაძე, რუსული საგარეო პოლიტიკური აზროვნება პოსტსაბჭოთა პერიოდში, თბ, 2006, გვ. 28.

<sup>8</sup> <http://www.rian.ru/authors/20070122/59469925-nrint.html>

შესულიყვნენ, რუსები ყველგან მხოლოდ “აშენებდნენ და ასწავლიდნენ”.<sup>9</sup>

რუსეთში არა და არ სურთ დაივიწყონ თავისი ყოფილი კოლონია. 2000 წელს მოსკოვში გამოქვეყნდა უნიკალური გამოცემა სახელწოდებით “Кавказ в сердце России,” რომლის წინასიტყვაობა ეკუთვნის არა რომელიმე ცნობილ კავკასიოლოგ მეცნიერს, არამედ იმხანად რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციის სამმართველოს უფროსს სერგეი იასრტყემბსკის.<sup>10</sup> ეს ფაქტი მკაფიოდ ცხადყოფს, რომ ხსენებულ წიგნს უფრო პოლიტიკური დანიშნულება აქვს და არა მეცნიერული.

კავკასიურ ვექტორს თანამედროვე რუსეთის გეოპოლიტიკასა და გეოსტრატეგიაში კვლავაც აქტუალური როლი ენიჭება. “ჩვენი ხალხი სულიერად და ზნეობრივად მდიდარია, ჩვენ გვაქვს სიამაყის საფუძველი. ჩვენ გვაქვს ის, რაც უნდა გვიყვარდეს და რაც უნდა დავიცვათ, რისკენაც უნდა ვისწრაფვოდეთ. ამიტომაც, კავკასიაში ჩვენ უკან არ დავიხევთ,”<sup>11</sup> განაცხადა 2008 წლის 5 ნოემბერს პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა თავის მიმართვაში რუსეთის ფედერალური კრებისადმი.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: რუსეთში შექმნილი არც ერთი გეოპოლიტიკური კონცეფცია არ მიიჩნევს, რომ რუსეთის სტრატეგიას საქართველოში შეესაბამება ერთიანი, ძლიერი და სტაბილური სახელმწიფო. პირიქით, ბევრი საქართველოს ადგილს საერთოდ ვერ ხედავს მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე და აქცენტს მის დაშლადანანევრებაზე აკეთებს, საუბრობს ქვეყნის ფედერალიზაციაზე ან კონფედერაციულ მოწყობაზე, ზოგიც ჩვენი ქვეყნის მინა-წყლის გარკვეულ ნაწილს საქართველოს მეზობელ სახელმწიფოებს სთავაზობს და სხვ.

ცნობილია, რომ სსრ კავშირის რღვევამ სამხრეთ კავკასიაში XX საუკუნის განმავლობაში ჩამოყალიბებული

<sup>9</sup> [http://www.pravozashita.ru/info/arhive/putin\\_2005.shtml](http://www.pravozashita.ru/info/arhive/putin_2005.shtml)

<sup>10</sup> Кавказ в сердце России, М, 2000.

<sup>11</sup> Послание президента РФ Федеральному собранию

<http://www.regnum.ru/news/1079115.html>



გეოპოლიტიკური წონასწორობაც დაარღვია. საქართველოს სომხეთისა და აზერბაიჯანის დამოუკიდებელი სახელმწიფოების აღმოცენება რეგიონში მოსკოვის პოზიციის შესუსტებისა და სამხრეთ კავკასიიდან რუსეთის ნასვლის წინაპირობად იქცა.

საბჭოთა იმპერიის დაშლის, ვ. პუტინის სიტყვებით თუ ვიტყვი, ამ "საუკუნის უდიდესი კატასტროფის" შემდეგ, რუსეთმა "დამცირების" მიმე 10-15 წელი გადაიტანა. შემდეგში, როდესაც "ნავთობდოლარებით" ეკონომიკურად მომძლავრდა და წელში გაიმართა, რუსეთს, როგორც საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრეს, კვლავ გაუჩნდა იმპერიული ამბიციები. სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებთან ურთიერთობა მათზე ხელახალი პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამხედრო გავლენის უპირობო შენარჩუნების მიზნით, სადღეისოდ რუსეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტული მიმართულებაა. მაგრამ, თავისი ნამდვილი მისწრაფება რომ შენიღბოს, კრემლი სამხრეთ კავკასიაში შექმნილ სიტუაციას და ახალ რეალობებს ისე წარმოაჩენს, თითქოს ის რუსეთის ეროვნულ უსაფრთხოებასა და სასიცოცხლო ინტერესებს ემუქრებოდეს.

პოსტსაბჭოურ სინამდვილეში რუსეთის სამხრეთკავკასიურ ინტერესებში ერთგვარი დივერსიფიკაცია შეიმჩნევა. თანამედროვე ეტაპზე შეიძლება ამ ინტერესებიდან ცალკე გამოიყოს ეკონომიკური, გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული შრეები, რომელთა უკან კონკრეტული ძალები, გარკვეული პოლიტიკური, სამხედრო თუ ბიზნეს წრეები დგანან, მაგრამ არა დამოუკიდებლად, არამედ ერთიანი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ფარგლებში.

გეოპოლიტიკის თვალსაზრისით, სამხრეთ კავკასიაზე ეფექტური კონტროლი რუსეთისათვის ჩრდილოეთ კავკასიაში სტაბილურობის შენარჩუნების საგულისხმო საფუძველიცაა. მემბოზე ინგუშებთან და ზოგიერთ სხვა ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკასთან კონფლიქტის შემთხვევაში მოსკოვს თავის გავლენის ქვეშ მყოფი სამხრეთ კავკასია ჭირდება, როგორც ზურგის საყრდენი. ამასთან,



კრემლი დაინტერესებულია იმითაც, რომ სამხრეთ კავკასიაში გაჩაღებული ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები არ გავრცელდეს რუსულ რეგიონებზეც, რაც რუსეთის სახელმწიფოებრივ მთლიანობას სერიოზული საფრთხით დაემუქრებოდა. სამხრეთ კავკასიის ეკონომიკური და კომუნიკაციური ღირებულება ძირითადად აქაური ენერგორესურსების მდიდარ წყაროებს და მათი ტრანსპორტირების ახალი მარშრუტების ამოქმედებას ეფუძნება. გამოანგარიშებულია, რომ კასპიის ზღვის რეგიონი (სამხრეთ კავკასია და ცენტრალურია აზია) შეიცავს მსოფლიო ნავთობის 3-4 და გაზის მარაგების 4-6 %-ს. ეს ციფრები მსოფლიო გლობალურ მარაგებთან შედარებით შთამბეჭდავად ვერ გამოიყურება, მაგრამ იგი არც ისე უმნიშვნელოა. კავკასიური გაზისა და ნავთობისადმი რუსეთის ინტერესს მათი უშალოდ მოხმარების ამოცანა არ განსაზღვრავს. რუსეთი თავადაა გაზისა და ნავთობის უმსხვილესი იმპორტიორი. მარტო ევროკავშირის სახელმწიფოები რუსეთის ენერგორესურსების 25%-ს მოიხმარენ (ვარაუდობენ, რომ ეს მაჩვენებელი 2030 წლისათვის 40%-მდე გაიზრდება). კრემლში ჩინებულად იციან, რომ კასპიისპირა და ცენტრალური აზიის გაზსა და ნავთობს სადღეისოდ დასავლეთისთვის უფრო მტი მნიშვნელობა აქვს და თუ ისინი ევროპაში რუსეთის გვერდის ავლით მოხვდება, მოსკოვის ბერკეტები ევროპაზე ზემოქმედებისათვის საგრძნობლად შესუსტდება. რუსეთი ესწრაფვის დაამყაროს კონტროლი კასპიისპირა ენერგორესურსების ალტერნატიულ მარშრუტებზე, რომლებიც საქართველოზეც გადის და ამით ევროპის ენერგოუზრუნველყოფაში ფაქტობრივ მონოპოლიას მიაღწიოს.

სხვათა შორის, რუსეთ-საქართველო-სომხეთის მოქმედი გაზსადენის საქართველოს მონაკვეთის შესყიდვაც რუსეთს იმისათვის ჭირდება, რომ ირანიდან გაზი ჩრდილოეთის მიმართულებით წაიღოს და დასავლეთ ევროპას თვითონ მიანოდოს. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ რუსეთს ენერგომატარებლების ტრანზიტი უმიზეზოდ არ იზიდავს. მოსკოვი გაზისა და ნავთობის პოლიტიკის იარაღად



გამოყენებითაა დაინტერესებულ, რათა ამ გზით დასავლეთ ევროპის ნაწილზე თავისი გავლენა კიდევ უფრო გაამყაროს. კრემლის ეკონომიკური ინტერესებიდან სამხრეთ კავკასიაში არ უნდა გამოვრიცხოთ აგრეთვე, რომ ეს რეგიონი პერსპექტიული ბაზარია რუსული პროდუქციისა და ტექნოლოგიებისათვის; ენერგორესურსების გარდა მხედველობაშია მისაღები დანარჩენი აქაური წიაღისეული საბადოები და სხვ.

რუსეთის ფედერაციას სამხრეთ კავკასიაში ყველაზე მჭიდრო კავშირი სომხეთთან გააჩნია. სომხეთის სახელმწიფო ერთადერთია ყოფილ ე.წ. მოკავშირე რესპუბლიკებს შორის, რომელიც თავის ტერიტორიაზე რუსული ჯარის ნაწილების ყოფნას დათანხმდა. ჯერ კიდევ ორივე რესპუბლიკის წინა პრეზიდენტების - ვ. პუტინისა და რ. კოჩარანის ხელმოწერით, მოსკოვში გაფორმდა დეკლარაცია XXI საუკუნეში რუსეთსა და სომხეთს შორის სტრატეგიული ურთიერთქმედების შესახებ. კრემლის სტრატეგიული ამოცანები სამხრეთ კავკასიაში და არანაკლებ რთულ დასავლეთ აზიის რეგიონში, სომხეთის, როგორც რუსეთის ერთ-ერთი მთავარი ფორპოსტის როლს ამ სივრცეში კიდევ უფრო აქტუალურს ხდის. ამასთან, მოსკოვ-თეირანის გეოპოლიტიკურ ღერძში ერევანი ავტომატურად რუსეთის ირანთან შემაკავშირებელ დამატებითი სტრატეგიული რგოლის ფუნქციასაც იძენს,<sup>12</sup> რაც რუსეთისათვის სულაც არ არის მეორეხარისხოვანი.

მიუხედავად ორი ქვეყნის თანასწორი და პარტნიორული თანამშრომლობისა, დასამალი არ არის, რომ სომხეთი დიდწილად კრემლზეა დამოკიდებული. სომხეთის ენერგეტიკაზე კონტროლი თანდათან მოსკოვის ხელში გადადის. მიმდინარეობს ირანიდან სომხეთთან დამაკავშირებელი გაზსადენის მშენებლობა, რომლის მთავარი აქციონერი ასევე რუსეთია. რუსეთი ფლობს კონცესიას სომხეთის რკინიგზაზე, ახორციელებს სომხეთის არაერთი სანარმოს მოდერნიზაციის პროექტს და სხვ. საყურადღებოა ისიც, რომ რუსეთის სავაჭრო

<sup>12</sup> А. Дугин, Основы геополитики, <http://www.geopolitika.ru/geop4-7.htm>

ურთიერთობის მოცულობა სომხეთთან უკანასკნელ წლებში 60-70 პროცენტით გაიზარდა.

ყოველივე ეს სომხეთს მეტად ფრთხილ და წინდახედულ პოლიტიკას აიძულებს, მაგრამ ერევანი მაინც ცდილობს არ შემოიფარგლოს მხოლოდ რუსეთის ვექტორით და ეძებს დასავლეთთან დაახლოების გზებსაც. ეს გარემოება რუსეთისათვის ერთობ დამაფიქრებელია, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ თურქეთის ბოლოდროინდელ გააქტიურებასაც, - მხედველობაში გვაქვს ამ ქვეყნის პრეზიდენტის ინიციატივები "კავკასიის სტაბილურობის პაქტი," ასევე "კავკასიაში სტაბილურობისა და თანამშრომლობის პლატფორმა" და სომხეთთან ურთიერთობის ნორმალიზების მიზნით გადადგმული ნაბიჯები, რაც თურქეთის პრეზიდენტის ერევანში ამასწინანდელი სტუმრობით გამოიხატა.

თუ აბდულა გიულის სერჟ სარქისიანთან შეხვედრა კრემლთან ორივე მხარის წინასწარი კონსულტაციების ნაყოფი არ იყო და თურქეთი მოქმედებდა დამოუკიდებლად ან გამოდიოდა როგორც ნატოს წევრი რეგიონული მოთამაშე და "ატლანტიზმის" ქვეყანა, რუსეთს სომხეთისადმი ყურადღების მეტი კონცენტრაცია მართებს, რადგან, როგორც თვით რუსი ექსპერტები აღნიშნავენ, ახლა "რუსეთს უფრო სჭირდება კავკასია, ვიდრე კავკასიას რუსეთი".<sup>13</sup>

აზერბაიჯანის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა უმთავრესად მის ტერიტორიაზე ნავთობისა და გაზის მდიდარი საბადოების არსებობაზეა დამყარებული.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სუვერენულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებული აზერბაიჯანი ა. ელჩიბეის პრეზიდენტობის დროს რუსეთიდან დისტანცირებას და მხოლოდ თურქეთთან დაახლოებას ცდილობდა. იმ წლებში ბაქოს ირანთანაც გაუფუჭდა ურთიერთობა, რომელიც ბოლომდე დღესაც არ არის დაძლეული ("ყოფილი აზერბაიჯანის ტერიტორიების" დაბრუნების მაშინდელი ლოზუნგები თეირანში სეპარატიზმის პროვოკაციულ

<sup>13</sup> <http://lecture.imhonet.ru/element/365237/>



პროპაგანდად აღიქმებოდა. ირანელი პოლიტიკოსები აზერბაიჯანის "ისტორიულ შეცდომას" უწოდებენ მისი ხელისუფლების პოზიციას, რომელიც კასპიის რეგიონში აშშ-ს დაშვებას ითვალისწინებს).<sup>14</sup>

შეიძარა ალიევმა მოახერხა რუსეთთან მორიგება (რუსეთის სამხედრო ბაზებმა დატოვეს აზერბაიჯანი) და დასავლეთთან კონტაქტების გაბმაც. 1997 წელს დაიდო რუსეთ-აზერბაიჯანის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება. ჩრდილოელ მეზობელთან კონფრონტაციის თავიდან აცილებისა და რუსეთთან დაახლოების ტენდენცია აზერბაიჯანის ახლანდელი პრეზიდენტის პოლიტიკურ კურსშიც შეიმჩნევა, პარალელურად იმისა, რომ ბაქო აქტიურად ეძებს დასავლურ ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზებს.

რაც შეეხება საქართველოსთან რუსეთის ურთიერთობას, შეიძლება ითქვას, რომ იგი მთელი პოსტსაბჭოთა პერიოდის განმავლობაში რთულად და დაძაბულად მიმდინარეობდა.

დროის ხსენებულ მონაკვეთში ორივე რესპუბლიკაში უმაღლესი ხელისუფლება რამდენჯერმე შეიცვალა, მაგრამ პრეზიდენტების ცვლამ ამ ქვეყნების ურთიერთობა ვერ მოაწესრიგა. 1994 წელს ბ. ელცინმა და ე. შვეარდნაძემ მიაღწიეს შეთანხმებას, რომლის საფუძველზეც სახელმწიფოთა ლიდერებმა ხელი მოაწერეს "საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას," მაგრამ ეს დოკუმენტი დღემდე რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში რატიფიცირებული არ არის.

რუსეთი, მართალია, აღიარებს საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, მაგრამ მისთვის მიუღებელია იმპერიის ყოფილ კოლონიურ სივრცეში თავისუფალი, სუვერენული და ერთიანი ქართული სახელმწიფოს არსებობა, მით უფრო ამ სახელმწიფოს მკაფიოდ გამოხატული დასავლური ორიენტაციით. ეს

<sup>14</sup> P. Вердиев, Азербайджан: Тактика и стратегия в постсоветский период, <http://kreml.org/opinions/194573813>



რუსეთ-საქართველოს ეროვნულ ინტერესთა შეუსაბამობისა და წინააღმდეგობის ზოგადი ფონია. კრემლის აგრესიული განწყობა საქართველოს მიმართ უფრო კონკრეტულად კი რამდენიმე გარემოებამ განაპირობა. მათ შორის: საქართველოზე გავლით კასპიის ენერგომატარებლების საერთაშორისო პროექტებში თბილისის აქტიური ჩართვა, ევროსაბჭოს 1999 წლის სტამბულის სამიტის შესაბამისად საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის დანყება, საქართველოს მონაწილეობით სუამის ჩამოყალიბება, ამერიკის შეერთებულ შტატებთან დაახლოება და ჩრდილოეთ ატლანტიკურ ალიანსში საქართველოს ინტეგრაციის მცდელობა. ყველა ეს ნაბიჯი საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე გადადგა, მოსკოვმა კი იგი რუსეთის საწინააღმდეგო მოქმედებად აღიქვა.

არ უნდა დაგვაზინყდეს, რომ საქართველოს ამგვარი დისტანცირება დიდი ჩრდილოელი მეზობლისაგან მას შემდეგ დაიწყო, რაც საქართველოს ხელისუფლებამ სცადა "მოსკოვის კეთილგანწყობისა" და რუსეთთან მჭიდრო კავშირის გზით (დსთ-ში შესვლა, ძალოვანი მინისტრების კრემლთან შეთანხმებით დანიშვნა, საქართველოს ეკონომიკაში რუსული სახელმწიფო კაპიტალის თავისუფალი შემოღწევა და სხვ.) აღედგინა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, მაგრამ უშედეგოდ.<sup>15</sup> რუსეთის ფედერაციას, მისი პოლიტიკური ხელისუფლების სურვილისა და ნების შემთხვევაში, შეეძლო ეს უმტკივნეულოდ გაეკეთებინა, რადგან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, აქაური სეპარატისტული ძალებისადმი რუსეთის მხარდაჭერით იყო გამოწვეული, მაგრამ მოსკოვი არ წავიდა ამაზე. მეტიც, კრემლმა აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში თავისი მარიონეტული რეჟიმების შექმნით, რომლებიც სულ ახლახან ცალმხრივად

<sup>15</sup> მ. მაცაბერიძე, რუსეთი და საქართველო პოსტსაბჭოთა პერიოდში: აგრესიის მეტამორფოზები, კრებულში - რუსეთი და საქართველო: აგრესიის გაკვეთილები, თბ., 2008, გვ.78-79.



დამოუკიდებელ სახელმწიფოებადაც აღიარა, საქართველოს ტერიტორიულ დეზინტეგრაციაზე აღიარებული პოლიტიკის და აფხაზი მოსახლეობისათვის რუსული პასპორტების დარიგებით, სოხუმსა თუ ჯავაში დამატებითი სამხედრო ნაწილების შეყვანით, სამხედრო ბაზების შექმნით და სხვ. რუსეთი აძლიერებს საკუთარ გავლენას ამ ტერიტორიებზე და ინვესტს დაძაბულობის ესკალაციას. ამასთან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით რუსეთის მოსახლეობაში ინტენსიური პროპაგანდა წარმოებს საქართველოს სახით მტრის ხატის შესაქმნელად. ბოლო პერიოდის სოციოლოგიური გამოკითხვები მკაფიოდ ცხადყოფს ამ ანტიქართული კამპანიის შედეგებს. კითხვაზე, თუ ვის მიიჩნევენ რუსეთის მონინაალმდეგედ? - რესპოდენტები პირველ ნომრად საქართველოს ასახელებდნენ.<sup>16</sup>

მოსკოვი საქართველოს ადანაშაულებდა ტერორისტების მფარველობაში, რუსეთის სამხედრო ვერტიკალური არღვევდნენ საქართველოს საჰაერო სივრცეს, ბომბებს ყრიდნენ ქართულ სოფლებში, 2000 წელს ამოქმედდა დსთ-ს სივრცეში უპრეცედენტო სავიზო რეჟიმი, რასაც მოსკოვიდან მრავალი ჩვენი თანამემამულის დეპორტაცია, ქართულ პროდუქციაზე ემბარგოს დაწესება, ბოლოს კი სამხედრო თავდასხმა და საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ოკუპაცია მოჰყვა. მართლმადიდებლობის ფაქტორი და "რჯულის ერთობა" ვერც წარსულში და ვერც დღეს ვერ გამოდგა საკმარისი საფუძველი რუსეთ-საქართველოს კეთილი ურთიერთობის ასაგებად, რადგან, თუ ისევ ნიკოლოზ ბარათაშვილს დავესესხებით, მათ შორის "ბუნება სხვადასხვაობდა."

ამჟამად ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობა საერთოდ განწყვეტილია და მდგომარეობა კვლავაც დაძაბული რჩება.

რუსეთის დამკვიდრებას კავკასიის ქედის სამხრეთით ადრე ირანისა და ოსმალეთის ინტერესები ეწინააღმდეგებოდა, რომელთაც ეს მიწა-წყალი შუაზე

<sup>16</sup><http://www.svobodanews.ru/Transcript/2008/08/17/20080817140027850.html>



ჰქონდათ გაყოფილი. რეგიონიდან ირან-ოსმალეთის განდევნის შემდეგ რუსეთს სამხრეთკავკასიაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფაქტობრივად მოცილეს ალარ ჰყოლია, მაგრამ სსრ კავშირის დაშლამ ვითარება აქაც არსებითად შეცვალა. სამხრეთ კავკასია დასვლეთის სერიოზული ინტერესების სფეროში მოექცა. რეგიონში აშშ-ს სახით ახალი დიდი პოლიტიკური აქტორი გამოჩნდა. სწორედ მისი სახელმწიფო ადმინისტრაციის ნებითა და ფინანსური თანადგომით ამოქმედდა ცნობილი ნავთობისა და გაზის ტრანსკავკასიური მაგისტრალები და სხვ.

სამხრეთ კავკასიასა და მის ირგვლივ მიმდინარე მოვლენები დღეს მხოლოდ რეგიონული ჩარჩოებით ალარ განიზომება, იგი უკვე გლობალური პროცესების განუყოფელი ნაწილია და შემთხვევითი არ არის, რომ რეგიონში რუსეთის ქმედებებს აქტიურად უპირისპირდება დასავლეთი. აშშ-სა და ნატოს გარდა სამხრეთ კავკასიით ბოლო დროს ძალუმადაა დაინტერესებული ევროკავშირიც. ამის ნათელსაყოფად, ევროგაერთიანების ცნობილ "სამეზობლო პოლიტიკასა" და აქაურ სამივე რესპუბლიკაში მიმდინარე მის პროექტებზე რომ არაფერი ითქვას, საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც ნ. სარკოზის ძალისხმევა ევროკავშირის ეგიდით 2008 წლის აგვისტოში საქართველოში რუსეთის აგრესიის შესაჩერებლად და სხვა თანამედროვე აქტივობები, რომლებიც დღემდე გრძელდება და ოპტიმისტურად განგვანყოფს.

დაბოლოს: კარგადაა ცნობილი, რომ პეტრე I-დან მოყოლებული, რუსეთი მუდამ ევროპას ბაძავდა, ცდილობდა თვითონაც ევროპა გამხდარიყო, მაგრამ, ფაქტია, რომ იგი ვერ იქცა ევროპად და აქამდე მის უსახურ ეპიგონად რჩება.

საბჭოთა ეპოქაში, მიხედვად იმისა, რომ კომუნიზმს აშენებდნენ, სსრ კავშირის (არსებითად რუსეთის) მთავარ ორიენტირს კაპიტალისტური აშშ წარმოადგენდა. საბჭოთა ხელისუფლებისათვის პრიორიტეტული იყო საყოველთაოდ ცნობილი ლოზუნგი "დავენიოთ და გავუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს." ამ დევნა-მეტოქეობის შედეგი ის იყო, რომ გასული საუკუნის 80-90-იანი წლების მიჯნაზე ეკონომიკურად, პოლიტიკურად თუ იდეოლოგიურად



დასუსტებულმა საბჭოთა იმპერიამ კრახი განიცადა და არსებობა დაასრულა. მაგრამ ამ იმპერიის რესტავრაციას პრეტენზიების მქონე რუსეთს მაინც ამოძრავებს აშშ-თან თავის გატოლების ჟინი და ამბიცია. მას არ სურს შეურიგდეს მხოლოდ რეგიონული სახელმწიფოს ისეთ სტატუსს, როგორცა აქვთ, ვთქვათ, ჩინეთს, ინდოეთს, ირანს, თურქეთს თუ სხვ. და ცდილობს ჰქონდეს მსოფლიო პოლიტიკაში გადამწყვეტი სიტყვის უფლება. რამდენად მოახერხებს იგი თავისი მიზნების რეალიზებას და გახდება თუ არა მსოფლიო კვლავ ორპოლუსიანი, ამას დრო გვიჩვენებს.

## რუსეთის მესამედ მობრუნების მცდელობა საქართველოში\*



საქართველო-რუსეთის ურთიერთობას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ამ ურთიერთობის ხასიათი ამა თუ იმ ეპოქაში განსხვავებული იყო, მაგრამ საუკუნეთა განმავლობაში რუსეთის მიზნები და ინტერესები კავკასიაში თითქმის უცვლელი რჩებოდა. თუ თავდაპირველად სამხრეთ კავკასია რუსეთს სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით იზიდავდა, მოგვიანებით წინა პლანზე რეგიონის დაპყრობისა და ეკონომიკური ათვისების ამოცანა წამოიწია.

რუსეთი, როგორც დამპყრობელი ძალა, ჩვენში XIX საუკუნის დამდეგს შემოვიდა, მაგრამ მისი იმპერიული რეჟიმი საქართველოში ერთბაშად არ დამყარებულა. ჯერ ანექსირებულ იქნა ქართლ-კახეთის სამეფო, რომლის ლიკვიდაცია და რუსულ გუბერნიად ქცევა იმპერატორ ალექსანდრე პირველის 1801 წლის 17 სექტემბერს გამოცემული მანიფესტის საფუძველზე განხორციელდა. 1810 წელს რუსეთმა დაიმორჩილა იმერეთი და თავისი მმართველობა დასავლეთ საქართველოზეც გაავრცელა. ცარიზმმა შედარებით იოლად დაძლია აქაურ მცირე პოლიტიკურ ერთეულთა წინააღმდეგობა და 1828-1864 წლებში გურიის, სამეგრელოს, სვანეთისა და აფხაზეთის სამთავროები ზედიზედ გააუქმა. ასე მოელო ბოლო ქართულ სახელმწიფოებრიობას, ხოლო რუსეთი პირველად დამკვიდრდა საქართველოში.

ირან-ოსმალეთის არაერთგზის დამარცხების შედეგად რუსეთმა ჩამოიშორა კავკასიაში გაბატონების მთავარი მოწინააღმდეგენი და ხანგრძლივად ამ მხარის სრული ბატონ-პატრონი თვითონ შეიქნა. საქართველო მთელ სამხრეთ კავკასიასთან ერთად ინკორპორირებული იყო რუსეთის დიდ ევრაზიულ იმპერიაში და როგორც განაპირა კოლონიური მხარე, მეტროპოლის დემოგრაფიული,

\* პირველად დაიბეჭდა კრებულში: „რუსეთი: რეგიონული კონფლიქტები და სამხედრო ძალის გამოყენება“, თბ., 2008.



ეკონომიკური თუ კულტურული ესპანსიის წარმოადგენდა.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, 1917 წელს რომანოვთა სამეფო ტახტის დამხობამ საქართველოს რუსეთის კოლონიური უღლის გადაგდებისა და ეროვნული თავისუფლების მოპოვების შესაძლებლობა მისცა. ქვეყანამ თავი დაეღწია რუსეთის 117 წლოვანი ბატონობას და 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის აღდგენით, შეწყვეტილი სახელმწიფოებრივი არსებობა განაახლა. 1918-1921 წლებში მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე აღიბეჭდა ქართული სახელმწიფო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახით, რომლის სუვერენიტეტი უცხოეთის 20-მდე ქვეყანამ ცნო და აღიარა. მნიშვნელოვანია, რომ ამათგან ერთ-ერთი საბჭოთა რუსეთი იყო.

საქართველოს პირველმა რესპუბლიკამ რთულ საერთაშორისო ვითარებაში მხოლოდ სამი წელი გაძლო. იგი იმ ხანად დაარსებულ ერთა ლიგაში არ მიიღეს და დასავლეთიდან რეალურ მხარდაჭერას მოკლებული, კვლავ რუსეთის, ამჯერად საბჭოურის, აგრესიის მსხვერპლი გახდა. 1921 წლის თებერვალ-მარტში რუსეთის წითელი არმიის ნაწილებმა ბრძოლით დაამხეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და აქ ბოლშევიკური რევკომის სახით საოკუპაციო ხელისუფლება ჩამოაყალიბეს. ეს იყო რუსეთის მობრუნება და მეორედ შემოსვლა საქართველოში.

კრემლმა გასაბჭოებული, სინამდვილეში ოკუპირებულ-ანექსირებული საქართველო (საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა) ჯერ ავტონომიურ ერთეულებად დაანაწევრა (აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი), მერე ამიერკავკასიის ფედერაციაში, ხოლო მისი მეშვეობით სსრ კავშირად წოდებულ იმპერიაში გააერთიანა. 1936 წელს ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა გაუქმდა. საქართველო, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში დარჩა, როგორც ცალკე მოკავშირე რესპუბლიკა და ასეც იწოდებოდა 1990 წლამდე, ვიდრე მრავალპარტიულ არჩევნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ფრთა



“მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო” გაიმარჯვებდა და კომუნისტების ნაცვლად ქვეყნის მმართველობის საჭეს ჩაიბარებდა. 1991 წლის 9 აპრილს საქართველო კვლავ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა. სსრ კავშირის დაშლის შემდეგ სუვერენულ რესპუბლიკებად ჩამოყალიბდნენ სომხეთი და აზერბაიჯანი.

რუსეთმა სამხრეთ კავკასიაში თავისუფალი სახელმწიფოების წარმოშობა მტკივნეულად განიცადა და ეს მოვლენა საკუთარი პრესტიჟის შელახვად აღიქვა. ადგილობრივი მიწა-წყლის კანონიერი მფლობელი ახალი სახელმწიფოების ფორმირებით მოსკოვის გავლენა აქ მართლაც შესუსტდა. ამასთან, სამხრეთ კავკასიაში მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ცვლილებებიც აღინიშნა, რადგან რეგიონი დასავლეთის სერიოზული ინტერესების სფეროში მოექცა. კასპიისპირა ენერგორესურსებით, საქართველოს სატრანზიტო ფუნქციითა და სხვ. ძალუმად დაინტერესდა აშშ-ი, ასევე ევროკავშირი. დაიგეგმა ტრანსკავკასიური დიდი საერთაშორისო პროექტები, ამოქმედდა ნავთობისა და გაზის ცნობილი მაგისტრალები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე გადის და სხვ.

კრემლის პოლიტიკური ხელისუფლებისათვის განსაკუთრებით მოუთმენელი აღმოჩნდა ქართული სახელმწიფოს მკვეთრად გამობატული დასავლური ორიენტაცია და სწრაფვა ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისაკენ. ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებამ და ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში საქართველოს შესაძლო განევრიანებამ მოსკოვი უკიდურესად ალაშფოთა.

რუსეთი, მართალია, ოფიციალურად აღიარებს საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, მაგრამ მისთვის შინაგანად მიუღებელია იმპერიის ყოფილ კოლონიურ სივრცეში თავისუფალი, სუვერენული და ერთიანი ქართული სახელმწიფოს არსებობა, მით უფრო ამ სახელმწიფოს დემოკრატიული არჩევანი და სურვილი - გახდეს ცივილიზებული მსოფლიოს ნაწილი.

ზოგიერთი რუსეთელი ექსპერტი მიიჩნევს, რომ საქართველოსადმი რუსეთის ამგვარ დამოკიდებულებას



ქართველი ხალხის, მისი ინტელიგენციისა და პოლიტიკური ელიტის ეთნონაციონალიზმი განაპირობებს ქვეყნის თვალსაზრისი სრულიად უსაფუძვლოა. საქართველოში არასოდეს ყოფილა ანტირუსული განწყობა და თუ უკანასკნელ პერიოდში სახელისუფლო წრეებსა და ელექტრო მედიაში შეინიშნება რუსეთის სანინააღმდეგო რიტორიკა, იგი საპასუხო რეაქციაა რუსეთის აგრესიულ ქმედებებზე საქართველოს მიმართ და არა ქართველთა "პოლიტიკური ეთნონაციონალიზმი."

რუსეთის პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველის, აშშ-ი მოქმედი "გლობალური თავისუფლებისა და განვითარების ცენტრის" ექსპერტის ანდრეი ილარიონოვის სიტყვით, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი "მმართველი რეჟიმების შეუთავსებლობაა. ...ქართული პოლიტიკური რეჟიმი მაინც დემოკრატიია. რუსეთში კი არსებობს ავტორიტარული პოლიტიკური რეჟიმი, რომელიც ტოტალიტარიზმში გადასვლის ზღვარზე დგას".<sup>2</sup>

საყოველთაოდ ცნობილია როგორი უკომპრომისობითა და ძალმომრეობით უპირისპირდებოდა რუსეთის იმპერიული რეჟიმი სუვერენიტეტის გზაზე გადადგმულ საქართველოს ყოველ ნაბიჯს, ახშობდა ქართველი ხალხის ბუნებრივ სწრაფვას ეროვნული და სახელმწიფოებრივი თავისუფლებისაკენ.

საქართველოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას რუსეთის ფედერაცია მკვეთრად დაუპირისპირდა გასული საუკუნის 90-იან წლებშიც, რაც აფხაზეთსა თუ ე.წ. სამხრეთ ოსეთში სეპარატიზმის წაქეზება-მხარდაჭერაში, თბილისზე ზემოქმედების სხვა ბერკეტების (ეკონომიკური ბლოკადა, ენერგომატარებლების ფაქტორი და ა.შ.) ამოქმედებაში გამოიხატა. ასე გრძელდებოდა წლების განმავლობაში. 2008 წლის აგვისტოში კი რუსეთის სამხედრო შენაერთები შემოიჭრნენ საქართველოში და მისი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაცია განახორციელეს.

<sup>1</sup> P. Вахитов, Раздел народа, „Литературная газета,“ 2008, 6-11 ноября, № 45.

<sup>2</sup> გაზ. "24 საათი," 2009 წ., 26 იანვარი.



ამასთან, კრემლმა, საერთაშორისო ნორმების სრული დარღვევით ცალმხრივად ცნო და აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტი. დღეისათვის ორივე ამ მემამბოხე რეგიონში რუსეთის ჯარი დგას, რომლის რიცხოვნობა და შეიარაღება სულ უფრო იზრდება. რუსეთი კიდევ ერთხელ, უკვე მესამედ ცდილობს საქართველოში მობრუნებას და აქ დამკვიდრებას.

**არაპროგნოზირებადი რუსეთი და "არავინ ველოდით რუსთაგან ამას".** ბევრი თანამედროვე ქართველი პოლიტიკოსი და ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური კურსის პროგნოზირება შეუძლებელია, რადგან არავინ იცის, როდის და რას მოიმოქმედებს მისი ხელისუფლება. მაგრამ თუ უფრო ღრმად ჩავუკვირდებით რუსეთის წარსულს, განსაკუთრებით კი საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიას, აღმოვაჩინოთ, რომ ჩრდილოელი მეზობლის დამოკიდებულებას ჩვენი ქვეყნისადმი ბოლო ორ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში არსებითი ცვლილება არ განუცდია: რუსეთის პოლიტიკა ქართული სახელმწიფოებრიობის შეზღუდვა-განადგურებას, მასზე ბატონობის დამყარებას, შემდეგ კი ქვეყნის რუსიფიკაციას ითვალისწინებდა.<sup>3</sup> იგივე დარჩა რუსეთის მისწრაფებათა მიზნები და ამოცანები დღესაც. ასევე არ ახალია მათი მიღწევის ფორმები, მეთოდები თუ საშუალებები, მოვლენათა შეფასების კრიტერიუმები და სხვ.

რუსეთის პირველად შემოსვლა საქართველოში, მისი აქ ხელმეორედ გამოჩენა და მესამედ მობრუნების მცდელობა მეტისმეტად წააგავს ერთმანეთს. ქვემოთ განვიხილავთ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის რამდენიმე ეპიზოდს, რომლებიც XIX საუკუნის დამდეგის, 1921 წლის თებერვალ-მარტისა და 2008 წლის აგვისტოს სინამდვილეს ასახავს და თვალწაბლივ დავრწმუნდებით, რომ რუსეთის პოლიტიკაში საქართველოსთან მიმართებით ამოუცნობი თითქმის არაფერი იყო. უნდა ითქვას, რომ სამწუხარო პარალელები

<sup>3</sup> კრებული - რუსეთის აგრესიის გაკვეთილები, წინასიტყვაობა, თბ., 2008, გვ. 5.



მრავლად იძებნება საქართველოს სხვადასხვა რეგიონის პოლიტიკურ მესვეურთა დამოკიდებულებაშიც რუსეთისა და მისი ხელისუფლების მიმართ.

კავკასიის მთავარმართებლად დანიშნულმა გენერალმა პავლე ციციანოვმა 1803 წელს განაცხადა: “ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ რუსეთის ჯარს ის მიწა დაეტოვებინოს, რომელზედაც ფეხი დადგა.” მართლაც, რუსეთი ახერხებდა შეენარჩუნებინა დაპყრობილი ტერიტორიები. იგი იშვიათად კარგავდა ერთხელ ხელში ჩაგდებულ მიწა-წყალს, რადგან ახალი სამფლობელოების პოლიტიკურ ათვისებას თან სდევდა მათი მასშტაბური კოლონიზაცია. რუსეთის მთელი ისტორია კი, როგორც ცნობილი ისტორიკოსი ვ. კლუჩევსკი შენიშნავდა, ეს კოლონიზაციის ისტორიაა.<sup>4</sup> გამოთვლილია, რომ XIX საუკუნის დასაწყისიდან პირველ მსოფლიო ომამდე პერიოდში რუსეთის ცენტრალური ოლქებიდან სამხრეთისაკენ 13 მილიონმა ადამიანმა გადაინაცვლა, ხოლო ციმბირსა და შუა აზიის სტეპებში 5 მილიონამდე კაცი იქნა მიგრირებული.<sup>5</sup>

რუსული ცნობიერებით, მხარე, სადაც ცხოვრობენ რუსები, სადაც ვრცელდება რუსული მართვა-გამგებლობა - უკვე რუსეთია. მნიშვნელობა არა აქვს, ვის ეკუთვნოდა ესა თუ ის მიწა გუშინ, ვინ მკვიდრობდა აქ რუსების მოსვლამდე ან როგორ აღმოჩნდა ეს ტერიტორია მათი იმპერიის ფარგლებში. მთავარია, რომ მათზე რუსეთის ფაქტობრივი იურისდიქცია ვრცელდებოდეს. ყოველი დაპყრობილი სამფლობელო, იქნება იგი უშუალოდ რუსეთის მეზობლად თუ რამდენადმე დაშორებით, რუსულ მიწად იწოდება და წარმოადგენს რუსეთის სახელმწიფოს ნაწილს, მის ერთგვარ “გაგრძელებას”.<sup>6</sup>

იცნობდნენ თუ არა რუსეთის ამ სახელმწიფოებრივ ბუნებას საქართველოში? ერკვეოდნენ თუ არა რუსეთის იმპერიის აგრესიულ ზრახვებში ჩვენი წინაპრები?

<sup>4</sup> Ключевский В. Соч. в девяти томах, т. I, М., 1987, გვ. 50.  
<sup>5</sup> Пайпс Р. Россия при старом режиме, М. 2006, გვ. 30.  
<sup>6</sup> ო. ჯანელიძე, რუსული კოლონიალიზმის არსი, წიგნში - რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბ., 2008, გვ. 500.



მონღოლთა ხანგრძლივ ბატონობას თავდაღწეული რუსეთი ქართველთა თვალთახედვით ძღვევამოსილ მართლმადიდებელ სახელმწიფოდ აღიქმებოდა, რომელსაც შეეძლო მფარველობის ხელი გაეწვდინა მაჰმადიანთა თავდასხმებით შევიწროებული ქრისტიანი თანამოძმეებისათვის. ჩვენს მეფეებსა და დიდებულებს სრულად ვერ გაეაზრებინათ, რომ რუსეთის პოლიტიკას სხვა ხალხებთან მიმართებაში სარწმუნოებრივი ერთობა და ქრისტიანული კაცთმოყვარეობა კი არ განსაზღვრავდა, არამედ საკუთარი იმპერიის მიზნები და გეოსტრატეგიული ინტერესები.

1799 წლის შემოდგომაზე, გეორგიევსკის ტრაქტატის საფუძველზე, თბილისში რუსეთის სამხედრო პოლკის შემოსვლასთან დაკავშირებით ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი გადმოგვცემს: "გონიერთა ქართველთა უხაროდათ რუსთა ჯარისა შემოსვლა, ვითარცა ერთმორწმუნისა ერისაგან ელოდნენ ქვეყნის დაცვასა".<sup>7</sup> ამ მოვლენიდან ახლო ხანში რუსეთის საიმპერატორო კარმა ქართლ-კახეთში მეფობა გააუქმა, ბაგრატიონთა ტახტი მოშალა, აღმოსავლეთ საქართველო დაიპყრო და თავის იმპერიას მიუერთა. ქართველობა მიხვდა, რომ მოატყუეს, "არავინ ველოდით რუსთაგან ამასო," - იძახდნენ,<sup>8</sup> მაგრამ გვიანლა იყო.

ვთქვათ, ერეკლე II-ისა და გიორგი XII-სათვის ნაკლებად იყო ცნობილი რუსეთის იმპერიული მზაკვრობანი, რის გამოც ისინი ვერ ჩანვდნენ ცარიზმის ვერაგ ჩანაფიქრს, ვერ გამოიცნეს მისი ნამდვილი მიზანსწრაფვა და გულწრფელად ეგონათ, რომ რუსეთი არ გატეხდა სიტყვას, პატიოსნად შეასრულებდა 1783 წლის ტრაქტატით ნაკისრ ვალდებულებებს. მაგრამ, როგორ ავხსნათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას ვარაუდი და იმედი, რომ საბჭოთა რუსეთის მესვეური ლენინი საქართველოს მიმართ კეთილმეზობლურ ურთიერთობას აირჩევდა და არა იმპერიალისტურს? რა

<sup>7</sup> პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ., 1978, გვ. 140.  
<sup>8</sup> იქვე, გვ. 180.



ვუნოდოთ საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის თვითდაჯერებულობას, რომ რუსეთის ფედერაცია საქართველოს ტერიტორიაზე აღმოცენებულ სეპარატისტულ რეჟიმებსა და ქართულ სახელმწიფოს შორის პირუთვნელ შუამავლობას გასწევდა და მის მიერვე ინსპირირებულ ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტებს ობიექტურად მოაგვარებდა?

როცა სახეზე იყო წარსულის მწარე გამოცდილება, როცა რუსეთისაგან მრავალჯერ მოტყუებულ ჩვენს ქვეყანას გამოვლილი ჰქონდა არაერთი მძიმე განსაცდელი, ხოლო დღევანდელმა საქართველოს ხელისუფლებამ იცოდა რუსეთის საომარი სამზადისის შესახებ, რას ეფუძნებოდა მისი წარმოდგენა, რომ კრემლის აგრესიას საქართველოს წინააღმდეგ არ ექნებოდა მასშტაბური ხასიათი? რატომ ეგონა თანამედროვე საქართველოს მმართველ პოლიტიკურ ელიტას, რომ სამხედრო მოქმედება არ გასცდებოდა ცხინვალის რეგიონის კონფლიქტურ ზონას? ნუთუ ქართველთა ცნობიერებაში იმდენად ჩაიბეჭდა ორასი წლის წინ გიორგი XII-ის კარის მოძღვრის, ეგნატე იოსელიანის მიერ წარმოთქმული "არავინ ველოდით რუსთაგან ამას," რომ ეს უსაფუძვლო რწმენა აქამდე ძალაშია? რა არის ეს: ისტორიის იგნორირება? გულუბრყვილობა? რეალური პოლიტიკის შეუფასებლობა? ილუზიების ტყვეობა? არაშორსმჭვრეტელობა? თუ ყველაფერი ერთად? ღირს ამაზე დაფიქრება და პასუხის ძიება, მითუფრო, როცა საყოველთაოდ ცნობილია: რუსეთი ვერ ეთხოვება ძველ იმპერიულ ამბიციებს, შეურაცხყოფილია იმით, რომ მის ჯარს მოუწია ოდესღაც დაპყრობილი ტერიტორიის დატოვება და მათ უკან დაბრუნებას ესწრაფვის.

**რუსეთი იგონებს საბაბს და ეძებს მოტივაციას.** უფრო შორს რომ არ წავიდეთ, შემოვიფარგლოთ იმ სამი თარიღით, რომლებიც ზემოთ საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან გამოვყავით: XIX საუკუნის დასაწყისი, 1921 წლის თებერვალ-მარტი და 2008 წლის აგვისტო. ყველა ამ შემთხვევაში რუსეთმა თავის ქმედებას საქართველოს წინააღმდეგ საბაბი პოსტფაქტუმ გამოუძებნა, ანუ ჯერ

აგრესიას მიმართა და მოგვიანებით მის განმარტებასა და გამართლებას შეეცადა.

დღეს აღარავისთვის საიდუმლო არაა, რომ იმპერატორ პავლე I-ის მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთის გუბერნიად გამოცხადების შესახებ ჯერ კიდევ გიორგი XII-ის სიცოცხლეში, 1800 წლის 18 დეკემბერს გამოიცა. ერთ თვეში დოკუმენტი ოფიციალურად გამოაქვეყნეს, ხოლო კიდევ ერთი თვის შემდეგ მანიფესტი თბილისში, სიონისა და ვანქის ეკლესიებში წააიკითხეს და ცალკე ფურცლებზე დაბეჭდილი მოსახლეობაშიც გაავრცელეს. 1801 წლის მარტის დამდეგს პეტერბურგში დაამტკიცეს ქართლ-კახეთის ახალი საგუბერნიო მმართველობის დებულება, რაც ქართული სამეფოს ლიკვიდაციას და ბაგრატიონთა დინასტიის შეწყვეტას ნიშნავდა. ყველაფერი ეს იმდენად უსამართლოდ განხორციელდა, რომ რუსეთის მომდევნო იმპერატორი ალექსანდრე I იძულებული გახდა, თუნდაც დაგვიანებით, რაიმე საბაბი და მოტივაცია გამოეძებნა და უხეში ძალმომრეობა რამდენადმე შეენიღბა. რუსთხელმწიფის დავალებით საქართველოში გენერალი კნორინგი გამოიგზავნა. უკვე ანექსირებული და მიერთებული მხარის – საქართველოს გენერალ-გუბერნატორად დანიშნულ კნორინგს უნდა “გამოერკვია,” რამდენად სიცოცხლისუნარიანი იყო ქართლ-კახეთის სამეფო და შესწევდა თუ არა მას დამოუკიდებლად არსებობის ძალა. აქ მეტად საგულისხმო ის იყო, რომ თავისთვის სასურველი დასკვნა გენერალს თვით ალექსანდრე I-მა უკარნახა.

კნორინგმა დავალება ოპერატიულად შეასრულა და პეტერბურგს ოფიციალურად აახლა “ცნობა”, რომელშიც ეწერა: მაჰმადიანი მტრებისაგან შევიწროებული ქართლ-კახეთის სამეფო სულს ლაფავს და დალუპვის პირასაა. რომ ქართველი ხალხის უსაფრთხოება და მშვიდობიანი ცხოვრების უზრუნველყოფა მხოლოდ რუსეთის იმპერიას ძალუძს და ქართველობა მასთან შეერთებას ესწრაფვის.<sup>9</sup>

<sup>9</sup> О. Джанелидзе, Грузинский вопрос в Петербурге, „Литературная Грузия,” 2003, № 1-3, გვ. 52.



ალექსანდრე I-მა კიდევ ერთი ფარსი გაითამაშა და გადაწყვეტილება ერთპიროვნულად კი არ მიიღო და დადგინდა სახელმწიფო საბჭოს გამოატანინა. იმპერატორის ახალი მანიფესტი მხოლოდ ამის შემდეგ, 1801 წლის 12 სექტემბერს გამოიცა.

პირმოთნეობით აღსავსე მანიფესტით ალექსანდრე I აცხადებდა: “არა ძალთა შემატებისათვის, არა ანგარებისათვის, არა საზღვართა გაფართოებისათვის ქვეყნიერებაზე ისედაც უდიდესი იმპერიისა ვკისრულობთ ჩვენ საქართველოს სამეფოს მმართველობის ტვირთს. მხოლოდ ღირსება, მხოლოდ პატიოსნება და ადამიანობა გვაკისრებენ ჩვენ საღმრთო მოვალეობას, რათა ყური მივაპყროთ ტანჯულთა ვედრებას და მათი ნალველის განსაქარვებლად დავამყაროთ საქართველოში ისეთი მმართველობა, რომელიც შესძლებს მართლმსაჯულების განმტკიცებას, უზრუნველყოფს პირად და ქონებრივ უშიშროებას და კანონით ყველას დაცვას”.<sup>10</sup> ასე შეეცადა პეტერბურგის საიმპერატორო, კარი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების რუსეთის პოლიტიკური ნება ქართველი ხალხის სურვილად გარდაესახა, უსამართლობა, ძალმომრეობა და ბოროტება სათნოებად წარმოეჩინა.

ცარიზმის იმპერიული აგრესიის შესანიღბად რუსულმა ისტორიოგრაფიამ დაამკვიდრა დებულება, რომ საქართველო “ნებაყოფლობით შეუერთდა” რუსეთს, რაც სრული სიყალბე და ფაქტების თავდაყირა დაყენებაა.

რუსეთის თვითმპყრობელ მმართველთა ანალოგიურად მოიქცა ვ. ლენინიც 1921 წელს. მაშინ კი მოქმედება ამგვარად განვითარდა: ბოლშევიკური რუსეთი კარგა ხანს არ ცნობდა საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის 26 მაისს შექმნილ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და მის დამოუკიდებლობას. რუსეთის საბჭოთა ხელისუფლება, მიუხედავად იმისა, რომ ჩაბმული იყო სამოქალაქო ომში და უცხოურ ინტერვენციასაც იგერიებდა, მაინც ახერხებდა, დაეძაბა სიტუაცია საქართველოში, რომელმაც თავი ნეიტრალურ ქვეყნად

<sup>10</sup> ო. ჯანელიძე, საქართველოს ისტორია. XIX საუკუნე, თბ., 2005, გვ. 6.



გამოაცხადა. კრემლი ცდილობდა ხელი შეეშალა საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობითა და თავისუფალი განვითარებისათვის. ქმნიდა და აიარალებდა კომუნისტურ რაზმებს, აწყობდა გლეხთა ბოლშევიკურ ამბოხებებს, აფხაზებსა და შიდა ქართლში კომპაქტურად მოსახლე ოსებს აქეზებდა საქართველოს წინააღმდეგ, ხელს უწყობდა მათ სეპარატისტულ მოძრაობას და სხვ. ყველაფერ ამას ერთი მიზანი გააჩნდა — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობა და რეგიონში რუსეთის შემოსაღწევად საჭირო პირობების შემზადება. ამავე ჭრილში შეიძლება განვიხილოთ საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს I რესპუბლიკასთან 1920 წლის 7 მაისს მოსკოვში დადებული ხელშეკრულებაც. ამ ხელშეკრულებით რსფსრ უპირობოდ ცნობდა და აღიარებდა საქართველოს სუვერენიტეტს, მაგრამ სინამდვილეში მის შესრულებას რომ არ აპირებდა ძალიან მალე საყოველთაოდ გახდა ცნობილი.

მას შემდეგ, რაც სამხრეთ კავკასიის ორი დამოუკიდებელი ქვეყნის — აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების დაპყრობა-გასაბჭოება მოახერხა, რუსეთმა ნითელი არმიის ნაწილები საქართველოსაც შემოუსია. მეზობელი სახელმწიფოს ჯარებმა საქართველოს საზღვრები 1921 წლის 11-12 თებერვალს ღამით გადმოლახეს. 14 თებერვალს სარდლობას უკვე ხელთ ჰქონდა დოკუმენტი ლენინის ხელმოწერით, რომელიც ნებას რთავდა, აეღოთ და დაეკავებინათ თბილისი.

საქმის სამართლებრივ მხარეზე კრემლში თავიდან დიდად არ უზრუნიათ. სამხედრო მოქმედების დაწყებას, მართალია, წინ რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება უსწრებდა, რომელშიც ეწერა “საქართველო საშინლად გათავსედდაო,” მაგრამ ეს გარემოება აგრესიის გასამართლებად საკმარისი საბუთი ვერ იქნებოდა. ამიტომ, 1921 წლის 15 თებერვალს ლენინი საგანგებო დეპუტას უგზავნის XI არმიის ხელმძღვანელობას და უხსნის, რომ დაწყებული საბრძოლო ოპერაციები წარმოაჩინონ, როგორც ლორეს “ნეიტრალური ზონის აჯანყებულთა დაცვა თეთრგვარდიელთა მხრივ მოსალოდნელი



განადგურებისაგან".<sup>11</sup> 16 თებერვალს კი პოლიტიკურულს მითითებითა და XI წითელი არმიის სამხედრო საბჭოს ბრძანებით შულავერში შეიქმნა საქართველოს რევოლუციური კომიტეტი (რევკომი), რომლის სახელითაც მომზადდა და კრემლში გაიგზავნა თხოვნა სამხედრო დახმარების თაობაზე.

მოგვიანებით შეითხზა მითი, რომ "საქართველოს მენშევიკური მთავრობა უღმობელ ექსპლუატაციას უწევდა მუშებსა და გლეხებს." საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ თითქოს მტრული პოზიცია დაიკავა საბჭოთა რუსეთის მიმართ. ვითომც ის "კონტრრევოლუციის ბანაკში გადაბარგდა, მაშინ როდესაც საქართველოს მთელი მშრომელი ხალხის გულისცემა მიმართული იყო ოქტომბრის რევოლუციისაკენ. პროლეტარულ რუსეთს კი არ შეეძლო გაჭირვებაში მიეტოვებინა თავისი კლასობრივი თანამოძმენი".<sup>12</sup> რომ, თითქოს საბჭოთა ჯარები საქართველოში "მენშევიკთა ბატონობისაგან განანამები მუშებისა და გლეხების გასანთავისუფლებლად" შემოვიდნენ და სხვ. სინამდვილეში, 1918-1921 წლების საქართველოში, ეკონომიკური სიძნელეების მიუხედავად, შენდებოდა სამართლებრივ ნორმებზე დაფუძნებული დემოკრატიული სახელმწიფოებრიობა და ქართველი ერი მსოფლიო ცივილიზებულ ერთა შორის იმკვიდრებდა ადგილს. საქართველო ევროპული განვითარების კალაპოტში დგებოდა. მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა დემოკრატიული გზით არჩეული ხელისუფლებისადმი ნდობით იყო გამსჭვალული და ქვეყნის შიგნით რევოლუციური გადატრიალების საფუძველი არ არსებობდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობის მონესრიგებასა და კეთილმეზობლობას ესწრაფვოდა.

საქართველოში საბჭოთა არმიის შემოჭრის ბოლშევიკური ვერსიის და აბსურდული მოტივაციისა იმხანადაც ბევრს არ სჯეროდა. "რუსის ბოლშევიკების

<sup>11</sup> ო. ჯანელიძე, დახვრეტილი თავისუფლება, თბ., 2000, გვ. 50-51.

<sup>12</sup> ო. ჯანელიძე, დახვრეტილი თავისუფლება, თბ., 2000, გვ. 75-76.



ერთადერთი მიზანი ის არის, რომ გაანადგურონ საქართველოს რესპუბლიკა და ისე დაუმორჩილონ დიდ რუსეთს, როგორც ეს ჰქნეს აზერბაიჯანში, სომხეთში და სადაც კი მისულან," წერდა გაზეთი "საქართველო" 1921 წლის თებერვალში.<sup>13</sup> საქართველოს მიმართ რუსეთის დამპყრობლური მისწრაფებანი ამხილა და სააშკარაოზე ფართოდ გამოიტანა უცხოეთში გახიზნულმა ქართულმა პოლიტიკურმა ემიგრაციამ. რუსეთს საერთაშორისო იმიჯი ელახებოდა. აუცილებელი გახდა დამატებითი ზომების მიღება, რომელიც ს. ორჯონიკიძისადმი მიცემულ ინსტრუქციაში ვ. ლენინმა ასე ჩამოაყალიბა: "საჭიროა, რომ საქართველოს რევკომმა დაიწყოს სერიოზული კონტრაგიტაცია, რომელშიც უნდა აღინიშნოს, ჯერ ერთი, რსფსრ-ს მშვიდობისმყოფლური როლი, მეორე - საქართველოს მუშათა და გლეხთა და არმიელთა მასების აქტიური ინიციატივიანი როლი, მასებისა, რომლებმაც დაამხეს საქართველოს ბურჟუაზიული მთავრობა, და, მესამე, აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა მთავრობების როლი, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ... ქართველ აჯანყებულებს თავდაცვის მიზნით, საქართველოს ბურჟუაზიული მთავრობის აგრესიული ნაბიჯების წინააღმდეგ".<sup>14</sup>

საბჭოურმა პროპაგანდამ მოახერხა შეენიღბა ბოლშევიკური რუსეთის სამხედრო შენაერთების თავდასხმა დამოუკიდებელ საქართველოზე და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობა, ქვეყნის ოკუპაცია-ანექსია მის განთავისუფლებად წარმოაჩინა.

ცარისტულ-ლენინური (იგივე იმპერიული) მოქმედების მეთოდოლოგია თითქმის უცვლელად გადმოვიდა რუსეთის ფედერაციის თანამედროვე მესვეურთა არსენალში. პუტინ-მედევედევის პოლიტიკური ლექსიკაც საქართველოს მიმართ ლენინური ტერმინოლოგიითაა გაჯერებული.

თავისი ნამდვილი მისწრაფება რომ დამალოს, კრემლი სამხრეთ კავკასიაში შექმნილ სიტუაციას და ახალ

<sup>13</sup> გაზ. "საქართველო," 1921 წ. 23 თებერვალი.

<sup>14</sup> ვ. ლენინი, თხზ., ტ. 45, გვ. 106.



რეალობებს დღესაც ისე წარმოაჩენს, თითქოს ის რუსეთის ეროვნულ უსაფრთხოებასა და სასიცოცხლო ინტერესებს ემუქრებოდეს. XXI საუკუნეში რუსეთი საქართველოში აღარ ეძებს "კლასობრივ თანამომძიებს," მაგრამ მოიგონა მეზობელი ქვეყნის საშინაო ცხოვრებაში ჩარევის ახალი, არანაკლებ ეფექტური საშუალება: ქართველთაგან დაცლილ აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში აფხაზი, ოსი და სხვა ეროვნების მცხოვრებლებს დაურიგა რუსული პასპორტები და ისინი სრულიად უსაფუძვლოდ და საერთაშორისო ნორმების იგნორირებით რუსეთის მოქალაქეებად გამოაცხადა. 2008 წლის აგვისტოში საქართველოზე თავდასხმის საბაბად რუსეთმა სწორედ ცხინვალის რეგიონში "თავისი" მოქალაქეების დაცვა მოიმიზეზა და ქართული მხარე კონფლიქტის ზონაში მყოფი რუსი სამშვიდობოების წინააღმდეგ განხორციელებულ აგრესიაშიც დაადანაშაულა. სინამდვილეში, როცა საქართველოს წინააღმდეგ მასშტაბურ ომს იწყებდა, რუსეთს სხვა ინტერესი ამოძრავებდა. რუსი სამხედრო და პოლიტიკური ექსპერტის პ. ფელგენგაუერის სიტყვით, "აგვისტოს ომს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საბოლოოდ უნდა გაეთავისუფლებინა ქართული გავლენისა და მოსახლეობისაგან, თბილისი – სააკაშვილისაგან, სამხრეთ კავკასია – ნატოსა და ამერიკელებისაგან".<sup>15</sup> აღსანიშნავია ისიც, რომ კონფლიქტურ ზონებში განლაგებული რუსეთის "სამშვიდობო ძალები" აქ მშვიდობასა და სტაბილურობას კი არ უზრუნველყოფდნენ, არამედ საქართველოს იურისდიქციიდან გამოსულ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეჟიმებს იცავდნენ და აძლიერებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორიტეტულმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა საქართველოსთან მიმართებაში რუსეთი აგრესორად ცნეს, კრემლი უსაფუძვლო ბრალდებებს კვლავ საქართველოს უყენებს. გაღმა გვედავება, რომ გამოღმა შერჩეს. ცდილობს ძალით მიტაცებული საქართველოს მინა-წყალი დაისაკუთროს,

<sup>15</sup> გაზ. "24 საათი," 2009 წ., 4 თებერვალი.



მსოფლიო საზოგადოებრიობა უსამართლობას, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის უკანონოდ აღიარებას შეაგუოს. მაგრამ, განსხვავებით XIX საუკუნის დამდეგისა თუ 1921 წლისაგან, სიმართლესა და სამართლიანობას დღეს უფრო მეტი დამცველი და გულშემატიკივარი ჰყავს. დემოკრატიული სამყარო ახლა უკეთ ხედავს და აღიქვამს რეალობას. ამასთან, მას სათანადო მექანიზმებიც გააჩნია მათ წინააღმდეგ, ვინც აბუჩად იგდებს სხვა ქვეყნის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, საფრთხეს უქმნის მსოფლიო პოლიტიკურ წესრიგს. საქართველოს დასჭირდება დიდი და მიზანმიმართული ძალისხმევა, საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა და გონივრული პოლიტიკა, რათა რუსეთს უკან დახევა აიძულოს და ომში დაკარგული მშვიდობიანი გზით დაიბრუნოს.

**აგრესიის სამზადისი.** ანალიზი, თუ როდის და რა ვითარებაში მიმართავდა რუსეთი ექსპანსიურ ქმედებებს საქართველოს წინააღმდეგ, მკაფიოდ და ნათლად აჩვენებს, რომ კრემლის ყოველ აგრესიულ ნაბიჯს წინ ფართო სამხედრო-პოლიტიკური თუ სხვა სახის სამზადისი უსწრებდა. პირველ რიგში, რუსეთი ზუსტად არჩევდა და არჩევს დროს მიზანში ამოღებულ მსხვერპლზე თავდასასხმელად.

დავინწყოთ XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნით. ეს რუსეთის აქტიური მოქმედებისათვის ხელსაყრელი ხანა იყო როგორც საერთაშორისო თვალსაზრისით, ისე საქართველოში შექმნილი მდგომარეობის მხრივაც. რევოლუციის შემდგომი საფრანგეთის ხელისუფლებაში ნაპოლეონ ბონაპარტეს მოსვლამ ევროპას მრავალი ისეთი საზრუნავი გაუჩინა, რომ მას აღარ ეცალა რუსეთის სამხრეთისაკენ სწრაფვის შესაჩერებლად. რუსეთს მისი აღმოსავლური პოლიტიკის გამო, მართალია, იმ დროისათვის დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა ინგლისთან, მაგრამ რუსულმა დიპლომატიამ მოახერხა სიტუაციის ისე განმუხტვა, რომ საქმე ომამდე არ მისულიყო. რუსეთი ასევე გამოეთიშა მეორე ანტიფრანგულ

კოალიციას და ნაპოლეონთან გარიგების მისაღწევად მოლაპარაკებებს შეუდგა.

1799 წელს პავლე I-მა ხელშეკრულება დადო ოსმალეთთან, რომელიც ამ უკანასკნელის ძალისხმევას რუსეთის სამხრეთ კავკასიაში შემოღწევის საწინააღმდეგოდ ერთგვარად ზღუდავდა და ანელებდა. ამასთან, სულთნის ხელისუფლებას დაკარგული ჰქონდა ძველი ძლიერება და, როგორც შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა, ეკონომიკური და პოლიტიკური დაქვეითების გზაზე დამდგარ ოსმალეთს აღარც შეეძლო აღეკვეთა რუსეთის ექსპანსია ამ რეგიონში.

აღმოსავლეთ საქართველოში რომანოვთა იმპერიის მთავარი მეტოქე ირანი, რომელსაც რუსეთთან დასაპირისპირებლად ფარულად ხელს ინგლისიც უწყობდა, ალა მაჰმად-ხანის სიკვდილის შემდეგ დაპყრობილ კავკასიურ სამფლობელოებს წინანდელი ძალმოსილებით ვეღარ აკონტროლებდა. ასე რომ, გარკვეული დროის განმავლობაში, რუსეთს ხელ-ფეხი გახსნილი ჰქონდა თავის ჩანაფიქრის განსახორციელებლად.

ამავე პერიოდში ვითარება არასტაბილური იყო ქართლ-კახეთის სამეფოშიც. ერეკლე II-ის მიერ ტახტის მემკვიდრეობის წესის შეცვლამ, სწეული გიორგი XII-ის მეფობაში უფლისწულები სამკვდრო-სასიცოცხლოდ წაჰკიდა ერთმანეთს, რამაც ისედაც შინა ფეოდალური შუღლითა თუ გარეშე მტერთა თავდასხმებით ქანცგანყვეტილი ქვეყანა კიდევ უფრო დაასუსტა.

საერთაშორისო ასპარეზზე წინააღმდეგობასმოკლებულმა რუსეთის სახელმწიფომ ძლიერის უფლებით მიიტაცა პატარა და სუსტი ქვეყნის მიწა-წყალი, მოშალა ოდინდელი სუვერენული სამეფო და ქართლ-კახეთი საკუთარი იმპერიის ნაწილად - გუბერნიად აქცია.

საბჭოთა რუსეთის გამოლაშქრებას საქართველოს დასაპყრობად 1921 წელსაც წინ ყოველმხრივი მზადება უძღოდა. 1920 წლის ბოლოსთვის წითელმა არმიამ, რომელიც თავის რიგებში 5,5 მილიონ მებრძოლს ითვლიდა, ძირითადად დაასრულა სამოქალაქო ომი და ქვეყნის



ფარგლებიდან უცხოელი იტერვენტებიც განდევნა, ბოლშევიკებმა ხელისუფლება შეინარჩუნეს და ცარიზმისდროინდელი იმპერიის აღდგენას შეუდგნენ. 1920 წელსვე რუსეთმა განახორციელა აზერბაიჯანისა და სომხეთის ოკუპაცია, გააუქმა აქაური დამოუკიდებელი სახელმწიფოები და შექმნა კრემლისადმი დაქვემდებარებული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები. დღის წესრიგში დაისვა საქართველოს საკითხიც, რადგან საქართველოს გარეშე რუსეთს გაუძნელდებოდა ჩრდილოეთ კავკასიის, სომხეთისა და აზერბაიჯანის შენარჩუნება, ბაქოდან ნავთობის გატანა და მით უფრო აღმოსავლეთში შეღწევა, საითაც მიმართული იყო პროლეტარული რევოლუციის ვექტორი.

საქართველოს საზღვრების გასწვრივ წითელი არმიის ნაწილების დაჯგუფების პარალელურად, მოსკოვმა საგანგებოდ იზრუნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო იზოლაციის მისაღწევად. რუსეთმა ინგლისის მთავრობასთან წარმატებული მოლაპარაკებების შედეგად მასთან სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმა. ლოიდ ჯორჯმა ოფიციალურად განაცხადა, რომ სამხრეთ კავკასია აღარ შედის დიდი ბრიტანეთის ინტერესებში. ინგლისის ამგვარი პოზიცია ხსენებულ რეგიონში სამოქმედოდ რუსეთისათვის კარტ-ბლანშის მიცემას ნიშნავდა.

აუცილებელია ითქვას ისიც, რომ პირველი მსოფლიო ომის შემდგომ სახელმწიფოთა შორის კეთილგანწყობის დასამყარებლად, საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების განსამტკიცებლად შექმნილმა საერთაშორისო ორგანიზაცია ერთა ლიგამ საქართველოს უარი უთხრა წევრად მიღებაზე. უარის მიზეზად ის დასახელდა, რომ გარე აგრესიის შემთხვევაში ერთა ლიგა ვერ შეძლებდა ევროპის განაპირა რთულ რეგიონში მდებარე ქართული სახელმწიფოს დაცვას.

კრემლმა გაითვალისწინა ოსმალეთის ფაქტორიც, მხარი დაუჭირა ახლად წარმოშობილ ანგორის მთავრობას და მისთვის საქართველოს გარკვეული ტერიტორიის დათმობის სანაცვლოდ ქემალ ათა თურქი ნეიტრალიტეტზე დაითანხმა.



როცა საერთაშორისო ვითარება თავის სასარგებლოდ შემოაბრუნა, რუსეთი აღარ დაელოდა საქართველოს "შიგნიდან აფეთქებას" და მარტოდ დარჩენილი ქვეყნის წინააღმდეგ ერთდროულად რამდენიმე არმია დაძრა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაეცა, განხორციელდა საქართველოს სრული ოკუპაცია-ანექსია. სოციალისტურ რესპუბლიკად სახელდებული საქართველო 1922 წელს საბჭოთა იმპერიაში გააერთიანეს.

XX საუკუნის 90-იან წლებში საქართველომ კიდევ ერთხელ აღიდგინა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი. თავისუფლების გზაზე ხელახლა დამდგარ ქვეყანასთან ანგარიშის გასასწორებლად რუსეთი არანაკლები მონდომებით ემზადებოდა, ვიდრე წინა ორ შემთხვევაში. ახლად დამოუკიდებლობა გამოცხადებულ ქართულ სახელმწიფოს რუსეთმა ჯერ ანტიქართული ძალები აუმხედრა, აფხაზეთსა და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები გააღვივა, ხსენებულ რეგიონებში სეპარატისტული რეჟიმები ჩამოაყალიბა და მერე ისინი საქართველოზე შეტევის პლაცდარმად გამოიყენა. ჩანაფიქრის განხორციელება რომ გაადვილებოდა, რუსეთმა არ აღკვეთა, პირიქით, ხელიც შეუწყო კონფლიქტურ რეგიონებში ქართველი მოსახლეობის ეთნიკურ წმენდას, რაც დადასტურებულია ეუთოს ბუდაპეშტისა (1996 წ.) და ლისაბონის (1999 წ.) სამიტების დასკვნითი აქტებითა და გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციით (2000 წ. 15 მაისი). ამასთან, რუსეთის ფედერაციის ე.წ. სამშვიდობო ძალები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რეალურად იყო საოკუპაციო ჯარი, რომელიც პერიოდულად დამატებითი შენაერთებითა და საბრძოლო ტექნიკით ივსებოდა.

2008 წლის აგვისტოში საქართველოში რუსეთის მხრიდან საფუძვლიანად მომზადებული ინტერვენცია განხორციელდა. სახმელეთო ნაწილების პარალელურად საქართველოში შემოიჭრნენ რუსეთის საზღვაო და საჰაერო შენაერთებიც. სამხედრო ძალების შეტევის გეოგრაფია, ოპერაციაში მონაწილე დაჯგუფებათა და ტექნიკის სიმრავლე ცხადყოფდა, რომ საქართველოს წინააღმდეგ



ფართომასშტაბიანი შეტევა რუსეთში კარგა ხანის წინ იგეგმებოდა. 2008 წლის დეკემბერში რუსეთის პრეზიდენტმა, დ. მედვედევმა სატელევიზიო ინტერვიუში დაადასტურა, რომ მისი ქვეყანა საქართველოსთან ომისთვის მართლაც წინასწარ ემზადებოდა.

საბრძოლო მოქმედებებში 40 ათასზე მეტ რუს სამხედრო მოსამსახურეს ორი ქართული ბრიგადა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცრაზმი უპირისპირდებოდა. ქართულ სამხედრო ძალაზე მრავალჯერ აღმატებულ რუსეთის არმიას არ გასჭირვებია მისი ძლევა და საქართველოს მიწა-წყლის ოკუპაცია. რუსეთის ტანკები გასცდნენ ცხინვალის კონფლიქტურ ზონას, ქალაქ გორში შევიდნენ და თბილისისაკენ მიმავალი გზატკეცილი დაიკავეს. დასავლეთ საქართველოში შემოჭრილი ნაწილები ფოთის ნავსადგურს, ქალაქ სენაკსა და სხვ. დაუფლნენ. დაიბომბა არა მხოლოდ სამხედრო, არამედ მშვიდობიანი ობიექტები, მათ შორის საცხოვრებელი კორპუსები. დიდი იყო მსხვერპლი. რამდენიმე ათეული ათასი ქართველი იძულებული გახდა საკუთარი სახლ-კარი მიეტოვებინა, რომლებიც ოსმა სეპარატისტებმა ჯერ პირწმინდად გაძარცვეს, მერე კი ცეცხლს მისცეს და ნაცარ-ტუტად აქციეს.

შექმნილი ვითარებით ისარგებლეს აფხაზმა სეპარატისტებმა, რომლებაც კოდორი დაიკავეს და მალალმთიანი ხეობიდან ქართველი მოსახლეობა გამოაძევეს. ქვეყანას კოდორის ხეობისა და შიდა ქართლის სოფლებიდან ლტოლვილთა ახალი დიდი ტალღა შეემატა. საქართველო რუსეთის ჯარების სრული ოკუპაციისაგან ევროკავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იხსნეს.

აღვნიშნავთ რა ყოველივე ამას, აუცილებელია შევეხოთ ერთ საკითხსაც. ბოლო დროს საქართველოს ხელისუფლებას არცთუ იშვიათად ბრალს დებენ მილიტარისტული კურსის არჩევაში, რომ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონის სეპარატისტულ რეჟიმებთან დამოკიდებულებაში მან სამშვიდობო მოლაპარაკებების ნაცვლად უპირატესობა ძალისმიერ მეთოდებს მიაანიჭა. რა შეიძლება ითქვას ამასთან დაკავშირებით?

ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების ცალკეულ წარმომადგენელთა გამოსვლებში მართლაც შეინიშნებოდა სამხედრო რიტორიკა, თუმცა პარალელურად დასავლეთის ცალკეული სახელმწიფოების, ეუთოსა თუ ევროკავშირის მონაწილეობით რეგიონში სამშვიდობო გეგმებიც მუშავდებოდა. მაგალითად, 2008 წლის ივლისის შუა რიცხვებში თბილისსა და სოხუმს სპეციალურად ეწვია გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფრანკ ვალტერ შტაინმაიერი, მაგრამ მისი თვალსაზრისი აფხაზურმა მხარემ არ გაიზიარა. აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება უარყოფდა აგრეთვე კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებულ საქართველოს პრეზიდენტის კონკრეტულ წინადადებებს. თბილისთან სამშვიდობო მოლაპარაკებების განახლებისაგან თავს იკავებდა ცხინვალის მარიონეტული რეჟიმიც. სოხუმსა და ცხინვალში დაიმედებულნი იყვნენ რუსეთის განცხადებებით, რომ კოსოვოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარება პრეცედენტი იქნებოდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკებისთვისაც.

პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარებას ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვერაფერს მატებდა რუსეთის ე.წ. შუამავლობა. ასეთ ვითარებაში ოფიციალური თბილისი არ გამორიცხავდა შესაძლებლობას, რომ გაჭიანურებული კონფლიქტები ძალისმიერი მეთოდებით გადაეჭრა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა სამხედრო ჩარევით აღედგინა.

რაც შეეხება საქართველოს მილიტარიზაციას: 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდგომ ქვეყნის ბიუჯეტის უფრო გონივრული განაწილება, სამხედრო ხარჯების ზრდის ნაცვლად თანხის, ვთქვათ, განათლების, ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის სფეროთა მიმართულებით აკუმულირება რომ უმჯობესი იქნებოდა, თითქოს სადავო არ არის. მაგრამ, ვფიქრობთ, არაფერია გასაკვირი იმაშიც, რომ ტერიტორიებდაკარგული ქვეყანა ზრუნავდეს თავისი სამხედრო მდგომარეობისა და თავდაცვისუნარიანობის გასაუმჯობესებლად. სამწუხარო ისაა, რომ ამ მიმართებით ჯერ კიდევ სერიოზული ხარვეზები არსებობს და ეს



აღინიშნა კიდევ აგვისტოს ომის შემდგომ საგანგებოდ შექმნილ რუსეთის სამხედრო აგრესიისა და სხვა ქვეყნების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის დასკვნაში. აქვე დავსძენთ შემდეგსაც: საქართველოს ხელისუფლების შეცდომად უფრო ის უნდა მივიჩნიოთ, რომ მან სათანადოდ ვერ წარმართა ეროვნული უშიშროების პოლიტიკა, სრულად ვერ გაითვალისწინა რუსეთის ფაქტორი, ნაკლებად გაუნია ანგარიში ამ ქვეყნიდან მომდინარე გამოწვევას და ვერ შეძლო ქვეყნისთვის აეცილებინა მასშტაბური ავანტიურა, რომელმაც სავალალო შედეგები გამოიწვია.



რუსეთის აგრესია საქართველოში ეკონომიკური  
2008 წლის აგვისტოში\* ზიზლიძეთაძე

სსრ კავშირის დაშლამ და მის ნანგრევებზე დამოუკიდებელი სახელმწიფოების აღმოცენებამ სამხრეთ კავკასიის რეგიონში ვითარება ძირეულად შეცვალა. XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე თავისუფალი საქართველო მსოფლიო სტრატეგიული ინტერესების სფეროში მოექცა. მან, როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელმა რგოლმა, საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში ახალი გეოპოლიტიკური ფუნქცია შეიძინა. მაგრამ ქვეყანა იმავდროულად გლობალური თუ რეგიონული მასშტაბის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვ. ინტერესთა ურთიერქმედებისა და წინააღმდეგობის ასპარეზად იქცა. საქართველოს საგარეო პოლიტიკური ვექტორი, განსაკუთრებით “ვარდების რევოლუციის” შემდეგ, დასავლეთისკენ მიიმართა. ამას თვალნათლივ ცხადყოფს ქართველი ხალხის დემოკრატიული არჩევანი და ლტოლვა ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისაკენ. თავის მხრივ დასავლეთიც, პირველ რიგში აშშ, ნატო თუ ევროკავშირი საქართველოს სურვილს, გახდეს ცივილიზაციური სამყაროს სრულუფლებიანი წევრი, გაგებითა და თანადგომით ეკიდება.

ქართული სახელმწიფოს აშკარა დასავლური ორიენტაცია რუსეთის კავკასიურ გეოპოლიტიკურ მისწრაფებებთან შეუსაბამო აღმოჩნდა. რუსეთს ეს რეგიონი კვლავ თავისი უპირობო გავლენის ზონად მიაჩნია და აქ სხვა ძალების გამოჩენას ვერ ურიგდება. კრემლი ცდილობს ხელი შეუშალოს საქართველოს შესვლას ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში და ამ მიზნით მოხერხებულად იყენებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არსებულ ე.წ. “გაყინულ კონფლიქტებს.”

\* პირველად დაიბეჭდა წიგნში: ო. ჯანელიძე, საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბ., 2009.



როგორც ერთ, ისე მეორე რეგიონში წლების განმავლობაში სამშვიდობო მისიით იდგნენ სამხედრო ნაწილები, ხოლო კრემლს კონფლიქტების მოგვარებაში მედიატორის როლი ჰქონდა მიკუთვნებული. რუსეთი ვერ ასრულებდა პატიოსანი შუამავლის ფუნქციას, რადგან ერთმნიშვნელოვნად მხარს უჭერდა სეპარატისტულ რეჟიმებს. ასეთ ვითარებაში კონფლიქტის ზონები თანდათანობით იცლებოდა მოსახლეობისაგან, დარჩენილ მკვიდრთა უფლებები კი ფეხქვეშ ითელებოდა. ხორციელდებოდა ქართველების დევნა ეთნიკური ნიშნით. ხშირი იყო ადამიანების გატაცების, გამოძალვის, კონტრაბანდის შემთხვევები და სხვ. აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი კრიმინალურ ანკლავებად ყალიბდებოდნენ. ამას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ კონფლიქტურ ზონებში რუსეთიდან უკონტროლოდ შეჰქონდათ დიდძალი იარაღი.

საერთაშორისო თანამეგობრობა ყოველივეს საქმის კურსში იყო. ვითარების შესაცვლელად საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა რუსი "ცისფერბერეტნიანი" საერთაშორისო სამშვიდობო ძალებით ჩაენაცვლებინა, მაგრამ ეს მის შესაძლებლობებს აღემატებოდა.

თავის მხრივ, აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში გავლენის გაძლიერების მიზნით პრაქტიკულ ნაბიჯებს დგამდა რუსეთის ხელისუფლებაც. კრემლის მესვეურებმა ადგილობრივ ოს და აფხაზ მოსახლეობას რუსული პასპორტები დაურიგეს და ამ გზით საქართველოს მცხოვრებნი რუსეთის მოქალაქეებად გამოაცხადეს. ბოლო წლებში რეგიონში საკვანძო თანამდებობებზე რუსეთის სამხედრო და სამოქალაქო ოფიციალური პირები ინიშნებოდნენ. 2006 წელს რუსეთმა ცხინვალის მახლობლად უკანონოდ ააშენა სამხედრო ბაზა, რომელიც გათვალისწინებული იყო 2500 ჯარისკაცზე და სხვ.

კრემლი ასევე ცალმხრივად და უკანონოდ ზრდიდა თავის სამხედრო ძალებს აფხაზეთშიც, საქართველოს თანხმობის გარეშე შეჰყავდა იქ დამატებითი ნაწილები, მათ შორის სადესანტო, მოიერიშე შენაერთები და მძიმე ტექნიკა.



საქართველოს სუვერენიტეტის უხეში შელახვა იყო პრეზიდენტი ვ. პუტინის 2008 წლის 16 აპრილის ბრძანებულება, რომლის თანახმადაც, რუსეთი, თბილისის გვერდის ავლით, პირდაპირ კავშირს ამყარებდა და თანამშრომლობას იწყებდა სეპარატისტულ რეჟიმებთან. მალე სიტყვას საქმეც მოჰყვა. დაზიანებული რკინიგზის მაგისტრალისა და ინფრასტრუქტურის აღსადგენად აფხაზეთში რუსეთის სარკინიგზო ჯარის ნაწილი გაიგზავნა. რუსეთის პოლიტიკური ელიტა ამ ნაბიჯს “ჰუმანიტარულ აქციად” ასაღებდა, მაგრამ მას არაფერი ჰქონია საერთო სამშვიდობო პროცესთან. პირიქით, იგი დაძაბულობის ახალ ესკალაციას განაპირობებდა.

აღსანიშნავია, რომ ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც დასავლეთის ცალკეული სახელმწიფოები, ეუთო თუ ევროკავშირი რეგიონში სამშვიდობო გეგმის ახალი ინიციატივებით გამოდიოდნენ. მაგალითად, 2008 წლის ივლისის შუა რიცხვებში თბილისსა და სოხუმს სპეციალურად ეწვია გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფრანკ ვალტერ შტაინმაიერი, მაგრამ მისი თვალსაზრისი აფხაზეთში მხარემ არ გაიზიარა.<sup>1</sup> აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება, რომელსაც არაფრის შეცვლა არ სურდა, უარყოფდა აგრეთვე კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებულ საქართველოს პრეზიდენტის კონკრეტულ წინადადებებს. თბილისთან სამშვიდობო მოლაპარაკებების განახლებისაგან თავს იკავებდა ცხინვალის მარიონეტული რეჟიმიც. სოხუმსა და ცხინვალში დაიმედებულნი იყვნენ რუსეთის განცხადებებით, რომ კოსოვოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარება პრეცედენტი იქნებოდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკებისთვისაც.

კრემლი ძალის ამკარა დემონსტრაციას განაგრძობდა. რუსულმა სამხედრო თვითმფრინავებმა არაერთხელ პროვოკაციულად დაარღვიეს საქართველოს საჰაერო სივრცე. 2008 წლის ივლისის მეორე ნახევარში რუსეთმა საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის სიახლოვეს დაიწყო

<sup>1</sup> <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/1558628.html>



ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნები სახელმწიფოებრივ  
 "კავკასია 2008," რომელსაც 8 ათასი ჯარისკაცი და 700  
 ერთეული სამხედრო ტექნიკა მონაწილეობდა. ამ წვრთნების  
 მიზნად აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში "მშვიდობის  
 იძულებით დამყარების სპეციალური ოპერაციებისთვის"  
 მზადება სახელდება. წვრთნები 2 აგვისტოს დასრულდა,  
 მაგრამ საჯარისო ფორმირებები თავიანთ მუდმივი  
 დისლოკაციის ადგილებში აღარ დაუბრუნებიათ. ამის  
 პარალელურად, რუსეთის მასობრივი ინფორმაციის  
 საშუალებებით გაძლიერდა ანტიქართული კამპანია.  
 საქართველოს სახით მოსახლეობაში მტრის ხატის  
 შესაქმნელად განსაკუთრებით აქტიურობდნენ რუსეთის  
 ფედერაციის სახელმწიფო სატელევიზიო მაუწყებლობები.  
 შედეგი მკაფიოდ და ნათლად აისახა სოლიდურ  
 სოციოლოგიურ გამოკითხვებში. რესპოდენტებმა რუსეთის  
 მთავარ მონინალმდეგეთა შორის პირველ ნომრად  
 საქართველო მიიჩნიეს.

საზოგადოებრივი აზრის ამგვარი განწყობა რუსეთის  
 პოლიტიკურ ხელისუფლებას საქართველოს წინააღმდეგ  
 დაგეგმილი აგრესიის განხორციელებისთვის ჭირდებოდა.

2008 წლის ზაფხულში მდგომარეობა იმდენად დაიძაბა,  
 რომ ბევრი ექსპერტი რუსეთსა და საქართველოს შორის  
 მოსალოდნელ კონფლიქტზე ალაპარაკდა.

საქართველოში რუსეთის წინააღმდეგ საომარ  
 მოქმედებას, ცხადია, არავინ გეგმავდა, მაგრამ ქვეყნის  
 უმაღლესი ხელისუფლების ცალკეულ წარმომადგენელთა  
 საჯარო განცხადებები მიანიშნებდა, რომ თუ  
 გაჭიანურებული კონფლიქტები მშვიდობიანი გზით ვერ  
 მოგვარდებოდა, თბილისს ძალა შესწევდა ისინი ძალისმიერი  
 მეთოდებით გადაეჭრა და ქვეყნის ტერიტორიული  
 მთლიანობა სამხედრო ჩარევით აღედგინა.

საქართველოში შემოსაჭრელად საბაბის მომლოდინე  
 კრემლი ცდილობდა მახე დაეგო მ. სააკაშვილის  
 ხელისუფლებისათვის და იგი პროვოკაციაზე წამოეგო. ამ  
 მიზნით გამოყენებულ იქნა ცხინვალის მარიონეტული  
 რეჟიმი.



რუსი სამშვიდობოების სრული უმოქმედობის ვითარებაში, მათ მიერ კონტროლირებადი კონფლიქტური ზონიდან ოსმა სეპარატისტებმა არტილერიითა და სხვა იარაღით ცეცხლი გაუხსნეს ცხინვალის მიმდებარე ქართულ სოფლებს. ინტენსიური დაბომბვის შედეგად დაიღუპნენ მშვიდობიანი მცხოვრებლები.

საკუთარი მოქალაქეების დაცვის მიზნით საქართველოს მთავრობამ გადანყვიტა ცხინვალზე სამხედრო გზით დაემყარებინა კონტროლი.

მოსკოვმა საქართველოს საზღვრებს წინასწარ მოყენებული 58-ე არმია როკის გვირაბით კონფლიქტის რეგიონში შემოიყვანა. სახმელეთო ნაწილების გარდა საქართველოში შემოიჭრნენ ასევე საზღვაო და საჰაერო შენაერთები. სამხედრო ძალების შეტევის გეოგრაფია, ოპერაციაში მონაწილე დაჯგუფებათა და ტექნიკის სიმრავლე ცხადყოფდა, რომ საქართველოს წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი შეტევა რუსეთში კარგა ხანის წინ იგეგმებოდა. 2008 წლის დეკემბერში რუსეთის პრეზიდენტმა დ. მედვედევმა სატელევიზიო ინტერვიუში დაადასტურა, რომ მისი ქვეყანა საქართველოსთან ომისთვის მართლაც წინასწარ ემზაებოდა.

ქართულ სამხედრო ძალაზე მრავალჯერ აღმატიებულ რუსეთის არმიას არ გასჭირვებია მისი ძლევა და საქართველოს მინა-წყლის ოკუპაცია. რუსეთის ტანკები გასცდნენ ცხინვალის კონფლიქტურ ზონას, ქალაქ გორში შევიდნენ და თბილისისაკენ მიმავალი გზატკეცილი დაიკავეს. დასავლეთ საქართველოში შემოჭრილი ნაწილები ფოთის ნავსადგურს, ქალაქ სენაკსა და სხვ. დაუფლნენ. დაიბომბა არა მხოლოდ სამხედრო, არამედ მშვიდობიანი ობიექტები, მათ შორის საცხოვრებელი კორპუსები. დიდი იყო მსხვერპლი. საქართველო სრული ოკუპაციისაგან ევროკავშირმა და აშშ-მ იხსნეს.

დიდად გაისარჯა საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი, რომელიც იმ ხანად ევროკავშირის თავმჯდომარეც იყო. ნ. სარკოზის მოლაპარაკებები მოსკოვში დ. მედვედევთან და თბილისში მ. სააკაშვილთან, რაც აისახა "მედვედევ-სარკოზის ექვსპუნქტიან



შეთანხმებაში," საფუძვლად დაედო ცეცხლის შეწყვეტას. რუსეთმა დაკავებული ტერიტორიებიდან ჯარის ნაწილებს გაყვანა ივალდებულა,

დასავლეთის ზენოლით ომი შეწყდა, მაგრამ რუსეთის პრეზიდენტმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკების აღიარების გადაწყვეტილებმა მიიღო, რაც სახელმწიფო სათათბირომაც დაადასტურა. საქართველომ რუსეთის ფედერაციასთან დიპლომატიური ურთიერთობა განყვიტა.

სამხედრო მოქმედებები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე 8-12 აგვისტოს მიმდინარეობდა, რუსეთის ოფიციალურმა წრეებმა "მშვიდობის იძულებად," "საქართველოს დასჯად" და სხვ. მონათლეს. სინამდვილეში, საქართველოში განხორციელებული რუსეთის ინტერვენცია დასავლეთის, მეტადრე საქართველოს მთავარი პარტნიორი ქვეყნის - აშშ-ს ერთგვარ გამონწევასაც წარმოადგენდა.

საერთაშორისო თანამეგობრობის რეაქცია მყისიერი იყო. მან ხმა აღიმალლა საქართველოს დასაცავად, დაგმო რუსეთის აგრესია და კრემლის მიერ სეპარატისტული რეჟიმების ცნობა-აღიარება. 2008 წლის აგვისტოს დღეებში საქართველოს მხარდასაჭერად თბილისში ჩამოვიდნენ პოლონეთის, უკრაინის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის პრეზიდენტები - ლეხ კაჩინსკი, ვიქტორ იუშჩენკო, ვალდას ადამკუსი, ვალდის ზატლერსი, თომას ჰენრიკ ილვესი, გერმანიის კანცლერი ანგელა მერკერი, აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისა, ნატოს, ეუთოსა და ევროკავშირის მაღალი თანამდებობის პირები, მრავალი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი და სხვ.

ევროკავშირმა საქართველოში ოპერატიულად გამოგზავნა 300-მდე დამკვირვებელი. ისინი საქართველოდან რუსეთის ჯარის გაყვანის პროცესს დააკვირდებიან. აგვისტოს მოვლენების შემდეგ კრიზისიდან გამოსვლის გზების მოსაძებნად და კავკასიაში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით გაეროს, ეუთოსა და ევროკავშირის თავმჯდომარეობით ფენევაში დაიწყო მოლაპარაკებები საქართველოს, რუსეთსა და აშშ-ს შორის.



დასავლეთის ქვეყნების მიერ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის პარალელურად, ევროკავშირის ინიციატივით შეიქმნა აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი საერთაშორისო კომისია (თავმჯდომარე - გაეროს გენერალური მდივნის ყოფილი პირადი წარმომადგენელი საქართველოში ჰეიდი ტალიავინი. კომისიის ვრცელი დასკვნა გამოქვეყნებულია).

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომმა სამხრეთ კავკასიაში მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ძვრები გამოიწვია. საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას სერიოზული საფრთხე შეექმნა. ეჭვქვეშ დადგა ქვეყნის საერთაშორისო სატრანზიტო ფუნქცია, მისი საიმედოობა და უსაფრთხოება. რუსეთის სამხედრო შენაერთები ჯერაც რჩებიან კონფლიქტის ზონებს მიღმა ოკუპირებულ პუნქტებში (კოდორის ხეობა, ახალგორი, სოფელი პერევი). მოსკოვმა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში დამატებითი საჯარისო შენაერთები შეიყვანა და მათთვის სამხედრო ბაზების მშენებლობას შეუდგა საქართველოს უარი ეთქვა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში განევრიანების სამოქმედო გეგმაზე (MAP) და სხვ.

ბოლო პერიოდში მდგომარეობა ნელნელა იცვლება. 2008 წლის სექტემბერში გაფორმდა ნატო-საქართველოს კომისიის (NGC) შექმნა, აშშ აპირებს ხელი მოაწეროს საქართველოსთან სტრატეგიული თანამშრომლობის ხელშეკრულებას და სხვ. ყოველივე ეს განამტკიცებს რწმენას, რომ დასავლეთი, განსხვავებით 1921 წლისაგან, ამჯერად საქართველოს მართო არ დატოვებს, რაც ქართველ ხალხს მომავლისადმი ოპტიმისტურად განაწყობს.

ის, რაც რუსეთსა და საქართველოს შორის 2008 წლის აგვისტოში ჩვენს მიწა-წყალზე მოხდა, ყველაზე ზედაპირული განმარტებითაც კი, ომი იყო. ერთი სახელმწიფოს სამხედრო შენაერთების შეიარაღებული შეჭრა მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე უკვე ომია და მნიშვნელობა არა აქვს, რამდენ ხანს გაგრძელდა საბრძოლო მოქმედებები და არმიის რა კონტიგენტი მონაწილეობდა მასში.

რატომ გვჭირდება მსჯელობა ესოდენ ელემენტარულ საკითხზე და იმის მტკიცება, რომ ორჯერ ორი ნამდვილად ოთხია?

2008 წლის ზაფხულის დღეებში რუსეთის ინტერვენცია საქართველოს ფარგლებში რუსეთის ფედერაციის საინფორმაციო საშუალებებმა იმთავითვე "აგვისტოს მოვლენებად" მონათლეს. ამ ტერმინს დღემდე ხშირად იმეორებს ბევრი პოლიტიკოსი, ექსპერტი თუ ჟურნალისტი. ამასთან, გაჩნდა სხვა დასახელებებიც, კერძოდ: "მშვიდობის იძულება", "საქართველოს დასჯა", "კავკასიური კონფლიქტი" და სხვ. არც ერთი მათგანი რეალობას ადექვატურად არ ასახავს. ვინ და რისთვის ცდილობს მომხდარის ისე წარმოჩენას, რომ თვით დაინტერესებული ადამიანებიც კი მოვლენის არსში ნაკლებად გაერკვნენ?

პირველ რიგში ვთქვათ საქართველოზე. შარშანდელი აგვისტოს რეალობის შენიღბვა საქართველოს ინტერესებში ნამდვილად არ შედის. რამდენადაც მცდარი არ უნდა იყოს საქართველოს ხელისუფლების გადანყვეტილება, რომ ცხინვალის ურჩი სეპარატისტული რეჟიმის თავგასულობა და მისი მხრიდან მომდინარე საფრთხე სამხედრო ჩარევით აღეკვეთა, მას აქვს ახსნა. ე.წ. სამხრეთ ოსეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია და მსოფლიო საზოგადოებრიობა საქართველოს სუვერენიტეტს, ისე როგორც აფხაზეთზე, ამ რეგიონზეც უპირობოდ ცნობს და

\* პირველად დაიბეჭდა გაზეთში: „24 საათი“, 2009 წ., 7 აგვისტო



ალიარებს. ამდენად, საქართველოს შეიარაღებული ძალები მოქმედებდნენ საკუთარ ტერიტორიაზე, ისინი არ შეჭრილან სხვა ქვეყნის ფარგლებში და არ დაურღვევიათ სახელმწიფოთა შორის არსებული საერთაშორისო ურთიერთობათა ნორმები.

ქართული მხარე არ მალავს, რომ იგი დაუპირისპირდა კოკოითის რეჟიმს, როგორც დესტაბილიზაციისა და მშვიდობიანი ცხოვრებისათვის მუდმივი საფრთხის წყაროს კონფლიქტურ ზონასა და მიმდებარე დასახლებებში. საქართველომ თავისი არმია მეამბოხე რეგიონის სეპარატისტული ძალებისაგან გასაწმენდად გამოიყენა. ქართული ჯარი შევიდა თვითგამოცხადებულ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში და ადგილობრივი რეჟიმის დასაყრდენი შეიარაღებული ფორმირებები უკიდურესად შეავიწროვა. შეიძლება იდავო ამ ნაბიჯის ჰუმანიტარულ ასპექტებზე, სამხედროთა მოქმედებებში აღმოაჩინო ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები და სხვ. მაგრამ საქართველოს ხელისუფლება არ გამოსულა კონსტიტუციის ფარგლებიდან.

საერთაშორისო თანამეგობრობამ მ. სააკაშვილის ეს არჩევანი არ მოიწონა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ყველამ ერთხმად დაგმო რუსეთის მოქმედება, რომელიც აგრესიად, ინტერვენციად, საქართველოს ფარგლებში სამხედრო შეჭრად შეაფასა.

ომის ნამდვილი არსის, მისი ჭეშმარიტი მიზნების დაფარვით დაინტერესებული რუსეთის ფედერაციაა, რომელიც მსგავს ქცევაში ადრეც არაერთხელაა შემჩნეული. "საქართველოს ხელმძღვანელობამ ... იდიოტური ავანტიურა წამოიწყო. სხვა არაფერი დაგვრჩენოდა, გარდა იმისა, რომ გვეპასუხა ამ უტიფარი, აბსოლუტურად თავხედური გამოხტომისათვის," ასე ახსნა რუსეთის პრეზიდენტმა 2008 წლის აგვისტოში საქართველოში განხორციელებული აგრესია.<sup>1</sup> მაგრამ ახლა აღარავისთვის საიდუმლო არაა, რომ რუსეთი საქართველოსთან ომს კარგა ხანია გეგმავდა და საამისოდ მიზანმიმართულ ძალისხმევას ეწეოდა. ამას

<sup>1</sup> <http://ru.wikipedia.org/wiki>



მონაწილეობს არა მხოლოდ ვ. პუტინის ადრინდელი საჯარო განცხადება, რომ "у нас есть домашние заготовки" და მდებარეობს სატელევიზიო ინტერვიუ 2008 წლის 25 დეკემბერს, რომელშიც დაადასტურა, რომ მისი ქვეყანა საქართველოსთან ომისთვის მართლაც წინასწარ ემზადებოდა, არამედ სხვა მრავალი უტყუარი ფაქტიც, რომელიც მკითხველისთვის კარგადაა ცნობილი.

რუსეთის პრეზიდენტის ყოფილმა მრჩეველმა ა. ილარიონოვმა გამოაქვეყნა მეტად საყურადღებო ინფორმაცია, რომელსაც მოკლედ დავიმონებ: უშუალოდ ომის წინ, 2008 წლის 3 აგვისტოს შედგა რუსეთის ძალოვან უწყებათა უმაღლესი დონის ხელმძღვანელი პირების თათბირი, რომელზეც მიიღეს გადაწყვეტილება სამხედრო მოქმედების დაწყების შესახებ. იმავე დღეს რუსეთის ფედერაციის სამხედრო ძალებში გამოცხადდა მობილიზაცია; 4 აგვისტოს კონფლიქტის რაიონში ჩავიდნენ რუსეთის სამედიცინო და კავშირგაბმულობის სამხედრო ქვედანაყოფები, რეგიონში ქალი ჟურნალისტები შეცვლილ იქნენ მამაკაცი ჟურნალისტებით; 7 აგვისტოს, არაუგვიანეს 13.30 საათისა, გაიცა ბრძანება რუსეთის შეიარაღებული სამხედრო ძალების საომარ მდგომარეობაში მოყვანის თაობაზე.<sup>2</sup>

ასეთ რეალობაში, საქართველოს საზღვრებს წინასწარ მოყენებული 58-ე არმია 2008 წლის 7-8 აგვისტოს ღამით მოსკოვმა როკის გვირაბით კონფლიქტის ზონაში შემოიყვანა. სახმელეთო ნაწილების პარალელურად საქართველოში შემოიჭრნენ რუსეთის საზღვაო და საჰაერო შენაერთებიც. საქართველო ჩათრეული აღმოჩნდა საომარ ავანტიურაში.

როგორც ირკვევა, ამ ომისთვის საქართველოს შესაბამისი თადარიგი არ დაუჭერია (რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის დასკვნაში აღნიშნულია:

<sup>2</sup> <http://aillarionov.livejournal.com/70169.html>



“მიუხედავად მყარი სადაზვერვო მონაცემებისა, საქართველოს ხელისუფლება არ ელოდა და არ იყო მზად ისეთი მასშტაბის აგრესიისათვის, რომელიც 2008 წლის აგვისტოში განხორციელდა”.<sup>3</sup>

მართალია, ვარდების რევოლუციის შემდგომ ქვეყნის ბიუჯეტში ასიგნებები სამხედრო ხარჯებისათვის შესამჩნევად გაიზარდა, შეიარაღებულ ძალებში გატარდა საფუძვლიანი რეფორმა, დაიწყო ნატოს სტანდარტებთან მიახლოებული, მოქნილი, განვრთნილი და დისციპლინებული არმიის ფორმირება, მოეწყო თანამედროვე ტიპის რამდენიმე სამხედრო ბაზა, ნაწილობრივ განახლდა შეიარაღება, ოფიცერთა რიგებს შეემატა დასავლეთში განსწავლული კადრები, ნატოს ხელშეწყობით განხორციელდა “წვრთნისა და აღჭურვის” სპეციალური პროგრამა და სხვა, მაგრამ ყველა ეს ღონისძიება მიმართული იყო ზოგადად ქართული სახელმწიფოს უსაფრთხოების, მისი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისაკენ და არა სხვათა წინააღმდეგ ომის წარმოებისათვის.

მაინც რა მოხდა სინამდვილეში, ვინ და რისთვის დაიწყო ომი?

ომის სამართალში, სამხედრო ლექსიკონებსა და ენციკლოპედიებში არ მოიძებნება ზუსტი დეფინიცია, თუ რას ნიშნავს ომის დაწყება. არ არის განმარტებული, იგი უშუალოდ სამხედრო მოქმედების გაჩაღება, მისი ოფიციალურად გამოცხადებაა თუ სხვა რამ. ზოგადი აზრით, ომის დასაწყისად მიჩნეულია ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების შეჭრა და თავდასხმა მეორე სახელმწიფოზე.

საქართველო რომ რუსეთს თავს არ დასხმია, ეს სადავო არ უნდა იყოს. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომი თავიდან ბოლომდე საქართველოს მიწა-წყალზე მიმდინარეობდა და მას იოტისოდენა შეხებაც არ ჰქონია რუსეთის ტერიტორიასთან. აქედან ცხადია, რომ

<sup>3</sup> [http://www.parliament.ge/site2/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=1329&info\\_id=22127](http://www.parliament.ge/site2/index.php?lang_id=GEO&sec_id=1329&info_id=22127)



თავდამსხმელი ანუ აგრესორი მხარე რუსეთის ფედერაციაში რუსეთის სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ნაწილებში ფართომასშტაბიანი ინტერვენცია და შეტევითი ოპერაციები განახორციელეს სუვერენული საქართველოს ფარგლებში, შორს გასცდნენ თუნდაც კონფლიქტურ რეგიონებს, სადაც მანამდე განლაგებული იყო რუსეთის ე.წ. სამშვიდობო კონტიგენტი და ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი დღემდე მიტაცებული აქვთ.

თავისი ნამდვილი მისწრაფება რომ დამალოს, კრემლი პოსტსაბჭოთა პერიოდში სამხრეთ კავკასიაში შექმნილ სიტუაციას და ახალ რეალობებს ისე წარმოაჩენს, თითქოს ის რუსეთის ეროვნულ უსაფრთხოებასა და სასიცოცხლო ინტერესებს ემუქრებოდეს. 2008 წლის აგვისტოში საქართველოზე თავდასხმის საბაზად რუსეთმა ცხინვალის რეგიონში "თავისი" მოქალაქეების დაცვა მოიმიზეზა და ქართული მხარე კონფლიქტის ზონაში მყოფი რუსი სამშვიდობოების წინააღმდეგ განხორციელებულ აგრესიაშიც დაადანაშაულა. სინამდვილეში, როცა საქართველოს წინააღმდეგ მასშტაბურ ომს იწყებდა, რუსეთს სხვა ინტერესი ამოძრავებდა. რუსი სამხედრო და პოლიტიკური ექსპერტის პ. ფელგენგაუერის სიტყვით, "აგვისტოს ომს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საბოლოოდ უნდა გაეთავისუფლებინა ქართული გავლენისა და მოსახლეობისაგან, თბილისი – სააკაშვილისაგან, სამხრეთ კავკასია - ნატოსა და ამერიკელებისაგან".<sup>4</sup> თუ საქართველოს წინააღმდეგ ომში დასახული რუსეთის ეს ამოცანა მართლაც ზუსტია, კრემლმა იგი, მიუხედავად სამხედრო წარმატებისა, მხოლოდ ნაწილობრივ შეასრულა. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი მანამდეც კარგა ხნის განმავლობაში საქართველოს ფაქტობრივ იურისდიქციას არ ექვემდებარებოდნენ. რა თქმა უნდა, ქართული გავლენა სოხუმსა და ცხინვალზე ომის შემდგომ კიდევ უფრო შესუსტდა და ორივე რეგიონი ქართული მოსახლეობისაგან არსებითად გაიწმინდა, მაგრამ ეს არ არის რუსეთის პროგრამა მაქსიმუმი.

<sup>4</sup> გაზ. "24 საათი," 2009 წ., 4 თებერვალი.



ქართული სახელმწიფო არსებობას განაგრძობს და მის სათავეში კვლავ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაა. არც ნატოს აუღია საბოლოოდ ხელი სამხრეთ კავკასიაზე და რეგიონში თავისი ინტერესების ერთგული რჩება ამერიკის შეერთებული შტატებიც. ამდენად, რუსეთის აგრესიის საფრთხე დღის წესრიგიდან არ მოხსნილა.

საქართველოს მხარდამჭერი აშშ-ს მკვეთრი პოზიციის გამო, რაც კიდევ ერთხელ მკაფიოდ გაცხადდა ამ ქვეყნის ვიცეპრეზიდენტის ჯონ ბაიდენის უკრაინასა და საქართველოში ვიზიტის დღეებში, ომის განახლების საფრთხე მნიშვნელოვნად შემცირდა, იკლო რუსეთის მხრიდან ახლო მომავალში საქართველოზე ხელახალი თავდასხმის საშიშროებამ, თუმცა საქართველოს წინააღმდეგ მომართული პროვოკაციული მოქმედებები არ აღკვეთილა. მშვიდი ცხოვრების საფუძველს ნაკლებად იძლევა ის გარემოებაც, რომ საქართველოს მინა-წყლის მეხუთედი აგრესორ ქვეყანას აქვს ოკუპირებული. რუსეთის ფედერაციამ, მართალია, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტი საერთაშორისო ნორმების უგულვებელყოფით აღიარა, რასაც საერთაშორისო თანამეგობა არ უერთდება და გმობს, მაგრამ კრემლმა ეს "დამოუკიდებელი ქვეყნები" თავის სატელიტად გაიხადა და ორივეგან რუსული ჯარებისთვის სამხედრო ბაზების მშენებლობას შეუდგა. სიტუაცია ერთობ მძიმე, მაგრამ არც მთლად უიმედოა. თუ საქართველო წარმატებით გააგრძელებს დემოკრატიული განვითარების კურსს და საქმით დაამტკიცებს მის შეუქცევადობას, განსხვავებით 1921 წლისაგან, დასავლური სამყარო ჩვენს ქვეყანას რუსეთის პირისპირ მართო არ დატოვებს, რაც ოპტიმიზმის საფუძველს ქმნის და იმედიანად განგვანყობს.

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი და  
ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი\* 

საბჭოთა იმპერიის დაშლის, ვარშავის ხელშეკრულების გაუქმებისა და “ცივი ომის” დამთავრების შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ კოლექტიური უსაფრთხოების ისეთი ორგანიზაცია, როგორც ჩრდილო ატლანტიკური ალიანსია, აქტუალობას დაკარგავდა, რადგან ის უმთავრესი ფაქტორები და გარემოებები, რომლებმაც თავის დროზე ნატოს შექმნა განაპირობეს, ფაქტობრივად აღარ არსებობენ. ამგვარი მოლოდინის საპირისპიროდ, ალიანსის როლი და მნიშვნელობა საერთაშორისო ურთიერთობთა ახალ სისტემაში ოდნავადაც არ დაკნინებულა. საქმე უფრო პირიქითაა. სამუელ ჰანტიგტონის სიტყვით, “ცივი ომის დასრულებით ნატოს ერთი მთავარი და მკაფიო ამოცანა გაუჩნდა: უზრუნველყოს თავისი არსებობა და არ დაუშვას ცენტრალურ ევროპაში რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო კონტროლი”.<sup>1</sup> ამასთან, ნატოს წესდების შესაბამისად, ეს ორგანიზაცია გარდა იმისა, რომ თავისი წევრი სახელმწიფოების თავისუფლება და უსაფრთხოება უნდა უზრუნველყოს პოლიტიკური თუ სამხედრო საშუალებებით, მონოდებულია იყოს დემოკრატიის, პიროვნების თავისუფლების, სამართლის უზენაესობისა და სხვა დემოკრატიული ღირებულებების მთელ ევროატლანტიკურ რეგიონში გავრცელების გარანტი. ამასთან, თანამედროვე ეტაპზე ახალ შეცვლილ რეალობაში გაჩენილი გამოწვევები, ახალი რისკ-ფაქტორები და საფრთხეები, ნატოს საჭიროებას კიდევ მეტად გამოკვეთენ. ისეთი ტრანსნაციონალური, გლობალური საფრთხეები, როგორცაა ტერორიზმი, ეთნო და პოლიტიკური კონფლიქტები, კიბერშეტევები, ორგანიზებული დანაშაული და სხვ. განსხვავებულ მიდგომებს, ფართო საერთაშორისო მონიტორინგს, კონტროლსა და ოპერატიულ რეაგირებას

\* ნაკითხულია მოხსენებად სამეცნიერო კონფერენციაზე 2009 წელს. იბეჭდება პირველად.

<sup>1</sup> С. Хантінгтон, Столкновение цивилизаций, М., 2006, გვ. 247.



საჭიროებს. ამის ყველაზე ეფექტური საშუალებები და მექანიზმები სადღეისოდ სწორედ ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსს გააჩნია. შემთხვევითი არაა, რომ სტაბილური და მშვიდობიანი განვითარების მომხრე მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება დიდწილად ნატოს საქმიანობისაკენაა მიმართული. ეს საერთაშორისო სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია თავიანთი უსაფრთხოების მთავარ გარანტიად მიაჩნიათ როგორც ევროპაში, ისე აშშ-სა და სხვა რეგიონებში. ნატოსთან ინტეგრაციას განსაკუთრებულ იმედებს უკავშირებს საქართველოც.

ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსთან დაახლოების იდეა ქართულ სინამდვილეში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს, ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პერიოდში წარმოიშვა. ერთ-ერთმა პირველმა ეს აზრი ხალხმრავალ მიტინგზე ირაკლი წერეთელმა გაახმოვანა. საზოგადოების რეაქცია იმხანად არაერთგვაროვანი იყო. უმრავლესობამ წერეთლის თვალსაზრისი უტოპიად აღიქვა, რადგან საბჭოთა ტოტალიტარულ რეჟიმს ჯერ ბოლომდე ყავლი არ გასვლოდა და მოვლენათა ამგვარი განვითარება ძნელად წარმოსადგენი გახლდათ.

მალე საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა, მაგრამ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას ნატოსადმი განსაკუთრებული ინტერესი და მიდრეკილება არ გამოუხატავს.

საქართველო თავისი ადგილმდებარეობის გამო ბუფერული ქვეყანაა. ბუფერული ფუნქციის მქონე, პატარა სახელმწიფოს სუვერენიტეტსა თუ ტერიტორიულ მთლიანობას მუდამ ხიფათი და რისკი ემუქრება. ქვეყნის მესვეურთ ბალანსირებული, კეთილმეზობლურ და მეგობრულ ურთიერთობებზე დაფუძნებული პოლიტიკური სტრატეგიის იმგვარი მექანიზმი უნდა შეემუშავებინათ, რომელიც მის მშვიდობიან და სტაბილურ განვითარებას უზრუნველყოფდა.

ე. შვეარდნაძის საგარეო კურსიც აქეთკენ იყო მიმართული. იგი გარკვეულ ანგარიშს უწევდა ძლიერ და



აგრესიულ მეზობელ რუსეთს, მაგრამ გამოხატავდა ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრირების მისწრაფებასაც.

ჩვენი ქვეყნის პირველი კონტაქტები ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსთან XX საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანებიდან დაიწყო. ნატოს ხელშეწყობით საქართველოში განხორციელდა "წვრთნისა და აღჭურვის" სპეციალური პროგრამა, რომელიც ქართული არმიის ნატოს სტანდარტებთან მიახლოებას ემსახურება. საქართველო ჩაერთო პროგრამაში "პარტნიორობა მშვიდობისთვის" და გახდა ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს ერთ-ერთი დამფუძნებელი. საქართველოს შეიარაღებული ძალები მონაწილეობენ როგორც ნატოს სამხედრო წვრთნებში, ისე სამშვიდობო ოპერაციებში (კოსოვო, ერაყი) და სხვ. ამით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველომ ოფიციალურად "დააკაკუნა ნატოს კარზე".

2002 წლის ნოემბერში პრალაში ევროატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს უმაღლესი დონის შეხვედრაზე, რომელსაც წინ უძღვოდა ნატო-ს სამიტი, პრეზიდენტმა ე. შევარდნაძემ უმაღლესი ტრიბუნიდან განაცხადა, რომ საქართველოს სურს გახდეს ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის წევრი. ნატო დადებითად გამოეხმაურა ამ სურვილს, რისი გამოხატულებაც იყო 2003 წლის დასაწყისში საქართველოსთვის ნატო-სთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (IPAP) შედგენა. ამ გეგმის ძირითადი მიზანი საქართველოში დემოკრატიული განვითარების ხელშეწყობა, რეფორმების კურსის განხორციელებაში მხარდაჭერა იყო.

ვარდების რევოლუციის შემდეგ ხელისუფლებაში მოსულმა პოლიტიკურმა გუნდმა საქართველოს ნატო-ში ინტეგრაცია პრიორიტეტულ მიზნად და ქვეყნის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მთავარ ამოცანად დასახა.

2004 წლის 29 ოქტომბერს ჩრდილო-ატლანტიკურმა საბჭომ მხარი დაუჭირა საქართველოს IPAP-ს. სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ვალდებულებებს, რომელიც შეეხება საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას, კონფლიქტების დარეგულირებას, ასევე შეიცავს მოთხოვნას, რომ



ქვეყნებმა, რომლებიც ნატო-ში გაწევრებას ესწრაფვიან, თავდაცვის სფეროს დასაფინანსებლად მთლიანი შიდა პროდუქტის არანაკლებ 2 პროცენტი უნდა გამოყოფონ. საქართველოს ხელისუფლებამ 2004 წლიდან სახელმწიფოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემების განვითარება ქვეყნის უპირველეს პრიორიტეტად განსაზღვრა. ეს გადაწყვეტილება მკაფიოდ აისახა თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტზეც, რომელიც წლიდან წლამდე იზრდებოდა და შეადგენდა: (მლნ. ლარი): 2004 წელს — 173,9; 2005 წელს — 368,9; 2006 წელს — 684,9; 2007 წელს — 1 494,5, ხოლო 2008 წელს — 1 545,2.

ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში საქართველოს ინტეგრაციის პროცესი არ არის მიმართული არც ერთი სახელმწიფოს წინააღმდეგ, მაგრამ კრემლის მესვეურთა მიერ იგი აღიქმება როგორც საფრთხე რუსეთის ეროვნული ინტერესებისათვის. მოსკოვი იძულებული გახდა შეგუებოდა ნატოს გაფართოებას აღმოსავლეთის მიმართულებით, მაგრამ იგი კატეგორიული წინააღმდეგობას უწევს ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში უკრაინისა და საქართველოს მიღებას.

აღსანიშნავია, რომ საქართველო რუსეთის მტერ ქვეყნად ჯერ კიდევ 2007 წელს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებულ ქვეყნის საგარეო პოლიტიკის კონცეფციაში იქნა გამოცხადებული. ხელისუფლების კონტროლით მომუშავე მედიასაშუალებებმა ეს აზრი რუსეთის მოსახლეობაშიც მყარად დაამკვიდრეს.

ამასთან, ჯერ კიდევ კოსოვოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღიარებამდე მოსკოვი საქვეყნოდ აცხადებდა, რომ კოსოვოს პრეცედენტი რუსეთს ხელ-ფეხს გაუხსნიდა ელიარებინა პოსტ-საბჭოთა სივრცეში არსებული, მათ შორის საქართველოს იურისდიქციიდან გამოსული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტი. მიუხედავად ამისა, ჩრდილო ატლანტიკური ალიანსისა და საქართველოს თანამშრომლობა აღმავლობით გრძელდებოდა.



2006 წლის სექტემბრიდან ნატო-მ და საქართველომ დაამყარეს "ინტენსიური დიალოგის" (ID) რეჟიმის თაობაზე ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის ოფიციალურმა განცხადებამ, რომელიც გამოხატავდა ალიანსის წევრობისაკენ საქართველოს სწრაფვის მხარდაჭერას და ასევე, ამერიკელი კონგრესმენების შესაბამისმა საკანონმდებლო ინიციატივამ, სერიოზული იმედები ჩაუსახა ჩვენს ხალხს, რომ ნატო-ში საქართველოს წევრობა – რეალური და ახლო მომავლის პერსპექტივაა", აღნიშნავდა ივლიანე ხაინდრავა 2006 წ. 10 ოქტომბერს თბილისში გამართულ ერთ-ერთ საერთაშორისო კონფერენციაზე ნაკითხულ მოხსენებაში.<sup>2</sup>

საქართველოს როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენლები გამუდმებით აცხადებდნენ, რომ 2006 წელს საქართველო დაიწყებდა ინტენსიური დიალოგის შემდგომ ეტაპს - წევრობის სამოქმედო გეგმის - MAP-ის შესრულებას, 2008 წელს კი გახდებოდა ნატო-ს წევრი. ნატო-ელი მოხელეები, მათ შორის შეფასების მისიის წევრები არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, მთელ ქართულ საზოგადოებას აფრთხილებდნენ, რომ შემდგომი ინტეგრაციის გზაზე რაიმე თარიღებისა და ვადების დასახელება ეწინააღმდეგება ნატო-ს პრაქტიკას და ეს არც ქვეყნის შიგნით ნატო-ს მხარდამჭერ განწყობებს მოუტანდა სიკეთეს. იგივეზე მიუთითებდა ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის გენერალური მდივანი პიერ ლელუში თავის 2006 წლის მოხსენებაში საქართველოს შესახებ, როდესაც აღნიშნავდა, რომ გადაჭარბებულმა მოლოდინმა, შესაძლოა, მოსახლეობაში შექმნას იმედგაცრუება.

ნატოში ახალი ქვეყნის ინტეგრაციის ერთი პირობა ბოლო დრომდე კანდიდატი სახელმწიფოს ხელისუფლების განაცხადი იყო, რომ მის ქვეყანას სურს ჩრდილოეთ ატლანტიკურ ალიანსში განწევრება. ხელისუფლების

<sup>2</sup> <http://www.republicans.ge/myuploads/sagazeto%20publikaciebi/NATO-Oct06-present.pdf>

პოლიტიკური ნება თუ სურვილი მთელი ქვეყნის  
გადაწყვეტილებად აღიქმებოდა.

2009 წლის დეკემბერში გამართულ ბრიუსელის  
მინისტერიალზე ოფიციალურად გაცხადდა იმ ცვლილების  
შესახებ, რომელიც ხსენებულ პუნქტს შეეხება. ახალი  
მოთხოვნით, ნატოში შესვლის მსურველი კანდიდატი  
ქვეყნის ხელისუფლების ნებასთან ერთად  
გათვალისწინებული იქნება ამ ქვეყნის მოსახლეობის აზრიც.  
ცნობილია, რომ საქართველოს პარლამენტმა 2007 წლის 13  
მარტს ერთხმად მოიწონა გადაწყვეტილება საქართველოს  
ნატო-ში გაწევრიანების შესახებ. ამასთან, საქართველოში  
2008 წლის იანვარში ამ საკითხზე ასევე ჩატარდა  
პლემბისციტი. მისი შედეგებით, ნატოში ინტეგრაციას  
საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობა - 72,5% უჭერს  
მხარს.

ნატოში ახალი წევრის მიღება-არმიღების საკითხს  
ალიანსის წევრი სახელმწიფოები წყვეტენ, მაგრამ თავად ამ  
გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენას მრავალი გარემოება  
ახდენს. მათ შორის სულაც არ არის უკანასკნელი რუსეთის  
ფედერაციის დამოკიდებულება ნატოს აღმოსავლეთით  
გაფართოების საკითხისადმი.

რუსეთის ფედერაცია ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსთან  
უკვე კარგა ხანია თანამშრომლობს. ამ თანამშრომლობის  
შედეგად მიღწეულია შეთანხმებები სტრატეგიული  
შეტევითი შეიარაღების, ავღანეთის პრობლემებისა და  
მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე, მაგრამ  
არსებობს ჯერჯერობით დაუძლეველი საკითხიც, რომელიც  
ჩვენთვის ამჯერად ყველაზე არსებითია. ეს არის ის, რომ  
ნატო და რუსეთი ვერ ახერხებენ კონსენსუსს  
საქართველოსთან დაკავშირებით.

აქვე დავძენ, რომ რუსეთის უარყოფითი პოზიციის  
გარდა, საქართველოს ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსთან  
შემდგომი დაახლოების ხელისშემშლელ ფაქტორებს შორის  
მოუგვარებელი კონფლიქტები და ქვეყანაში დემოკრატიის  
დაბალი ხარისხი მიიჩნევა.

როგორც ცნობილია, 2008 წელს საქართველომ MAP-ი  
ვერ მიიღო. შეიძლება ითქვას, რომ ნატოს ბუქარესტის



სამიტზე საქართველოსთვის მაპ-ის მიცემაზე ნათქვამი უარი კრემლმა დასავლეთის მხრიდან ვერთავიან კარტბლანშად აღიქვა და ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ დესტრუქციული მოქმედებები გაააქტიურა.

ცნობილია, რომ რუსეთს საქართველოს თავის "პრივილეგირებული ინტერესების ზონად" მიაჩნია და ყოველ საშუალებას იყენებს რეგიონში გავლენის შესანარჩუნებლად. აქეთკენ იყო მიმართული რუსეთის სამხედრო აგრესიაც საქართველოში 2008 წლის აგვისტოში.

ამ ფართოდ გახმაურებული ომის დეტალებზე ამჯერად არ შევჩერდები და ყურადღებას გავამახვილებ ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის რეაქციაზე რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებული აგრესიის დღეებში. ნატო-ში რუსეთის მუდმივი წარმომადგენლის ს. რაგოზინის განცხადებით, კონფლიქტთან დაკავშირებით, ნატოს პოზიცია გულგრილი და ნეიტრალურია, იგი მხოლოდ ინფორმაციას კრებს, მაგრამ ალიანსის ნეიტრალიტეტი მის უმოქმედობას როდი ნიშნავდა.

ნატო რუსეთ-საქართველოს ფართომასშტაბიან კონფლიქტს პირველად 2008 წლის 8 აგვისტოს გამოეხმაურა, როცა ალიანსის გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰოოპ სხეფერმა დაპირისპირებულ მხარეებს საბრძოლო მოქმედებათა დაუყოვნებელი შეწყვეტისა და მშვიდობიანი მოლაპარაკებებისაკენ მოუწოდა.<sup>3</sup>

9 აგვისტოს სხეფერმა განაცხადა, რომ ალიანსს არ გააჩნია მანდატი პირდაპირ ჩაერიოს დაწყებულ კონფლიქტში.<sup>4</sup> ჩრდილო ატლანტიკურმა ორგანიზაციამ უყურადღებოდ დატოვა აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატის, რესპუბლიკელი სენატორის ჯონ მაკკეინის მიმართვა, დაუყოვნებლივ მოენვიათ ნატოს საბჭოს სხდომა, რათა შეეფასებინათ საქართველოს უსაფრთხოების მდგომარეობა და განეხილათ ზომები, რომლებიც ხელს შეუწყობდა ვითარების სტაბილიზაციას. მაგრამ 2009 წლის 10 აგვისტოს ალიანსის ხელმძღვანელის გამოსვლას უკვე

<sup>3</sup> <http://lenta.ru/news/2008/08/08/jaan/>

<sup>4</sup> <http://www.rian.ru/world/20080809/150223077.html>



შეფასებითი ხასიათი ჰქონდა. სხეფერის სიტყვით, „რუსეთმა დაარღვია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და კონფლიქტის მსვლელობისას სამხრეთ ოსეთში გამოიყენა “ზედმეტი (გადაჭარბებული) სამხედრო ძალა.“ ამასთან გენერალურმა მდივანმა რუსეთსა და საქართველოს კიდევ ერთხელ მოუწოდა ცეცხლის შეწყვეტისაკენ.

2008 წლის აგვისტოში საქართველოს მხარდასაჭერად თბილისში ჩამოსული ევროპის 5 ქვეყნის პრეზიდენტთაგან 4 ნატოს წევრი სახელმწიფოს ლიდერი იყო, მაგრამ ეს არ ნიშნავდა, რომ რუსეთის აგრესიას საქართველოში ფარად ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი აღუდგა. საქართველოს ხელისუფლება რუსეთის ინტერვენციის შეჩერებასა და ომის შემდგომი დარეგულირების პროცესში გადამწყვეტ როლს ევროკავშირისა და აშშ-ს ძალისხმევას ანიჭებს.<sup>5</sup>

მართლაც, საბრძოლო მოქმედებები მხოლოდ მას შემდეგ შეწყდა, რაც ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ 12 აგვისტოს რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევთან შეთანხმებას მიაღწია.

უნდა აღინიშნოს, რომ ცეცხლის შეწყვეტისა და საომარი ოპერაციების დასრულების შემდეგაც საქართველო არ დარჩენილა ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის ყურადღების მიღმა.

2009 წლის 15 აგვისტოს იაპ დე ჰოოპ სხეფერი ალიანსის დიდ დელეგაციასთან ერთად საქართველოს ესტუმრა. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოსვლისას მან განაცხადა, რომ ნატო საქართველოს არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმითაც დაუდგება გვერდში, რომ ალიანსი გაუნევეს დახმარებას საქართველოს, რათა მან სწრაფად დააღწიოს თავი იმ რთულ სიტუაციას, რომელშიც ჩავარდა მიმდინარე წლის აგვისტოს მოვლენების შედეგად. კონკრეტულად, ორგანიზაციას განზრახული აქვს ხელი შეუწყოს საქართველოს ომის შედეგების დაძლევისა და არმიის რეფორმირებაში.

<sup>5</sup> საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია

<http://www.polity.ge/georgia/politics/1068-saqartvelos-sagareo-strategia.html>



ალიანსის სახელით, სხეფერმა დაადგინა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი პატივისცემა ქვეყნის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. გამოსატყობა რა ნატოს პოზიცია, გენერალურმა მდივანმა კიდევ ერთხელ დაგმო რუსეთის პოზიცია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების გამო, მოუწოდა მოსკოვს “ამ მცდარი გადანყვეტილების შეცვლისაკენ” და დასძინა, რომ ალიანსი გადახედავს რუსეთის ფედერაციასთან თავის ურთიერთობას. სხეფერის სიტყვით, ნატოს წევრი ყველა ქვეყანა დარწმუნებულია, რომ საქართველოს იხილავენ ალიანსის რიგებში და რომ ამ ორგანიზაციის კარი საქართველოსთვის კვლავ ღიაა. გენერალურმა მდივანმა ხაზგასმით აღნიშნა შემდეგიც: საქართველოსთვის მხარდაჭერა არ ნიშნავს, რომ ალიანსმა ზურგი აქციოს და კარი მიუხუროს რუსეთს. ეს არ შედის ნატოს ინტერესებში. რუსეთის დასჯა არ იქნება სწორი გზა, მაგრამ მოსკოვმა უნდა გაიგოს, რომ თავისი მოქმედებით იგი თვითონვე ექცევა საერთაშორისო იზოლაციაში.<sup>6</sup>

ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის ურთიერთობის გადახედვა რუსეთთან იმით გამოიხატა, რომ შეჩერდა ნატო-რუსეთის საბჭოს მუშაობა, რომელიც 2002 წლის ნოემბრიდან წარმოებდა. აქვე დავძენ, რომ ეს შეჩერება ხანგრძლივი არ გამოდგა და 2009 წლის დეკემბერში საბჭოს სხდომებში კვლავ განახლდა.

2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომს შედეგად რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაცია მოჰყვა. საქართველომ რუსეთის ფედერაციასთან დიპლომატიური ურთიერთობები განწყვიტა. თავის მხრივ, კრემლმა აღიარა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელობა და ამ “სახელმწიფოებთან” სამხედრო და პოლიტიკური კავშირები გააბა.

ომმა საგრძნობლად გააუარესა უსაფრთხოების გარემო არა მარტო საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში, არამედ შავი ზღვის რეგიონშიც.

<sup>6</sup> <http://www.kommersant.ru/doc-y.aspx?DocsID=1027021>



მიუხედავად ამისა, ომმა ვერ შეაფერხა საქართველოს ნატოსთან შემდგომი დაახლოების პროცესი. 2009 წლის 19 აგვისტოს მოენყო ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა, რომელზეც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ნატო-საქართველოს მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ. კომისია ოფიციალურად იმავე წლის 15 სექტემბერს ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის საბჭოს სხდომაზე დაფუძნდა. დოკუმენტს ნატო-საქართველოს თანამშრომლობის ამ ახალი სტრუქტურის ჩამოყალიბების თაობაზე ხელი მოაწერეს ნატოს გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰოოპ სხეფერმა და საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ გურგენიძემ. კომისიის ძირითადი მიზნებია ნატოსა და საქართველოს შორის პოლიტიკური დიალოგის გაღრმავება და იმ რეფორმების განხორციელებაში თანადგომა, რომელიც საქართველომ ნატოში განწევრებისათვის იკისრა.<sup>7</sup>

საქართველოს ხელისუფლება მიიჩნევს, რომ ნატო-საქართველოს კომისიის დანიშნულება ქვეყნის ნატოში ინტეგრაციის ხელშეწყობაა.<sup>8</sup>

თანამშრომლობის ფარგლებში შეიქმნა ყოველწლიური ეროვნული პროგრამა, რომელმაც შეცვალა მანამდე ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსთან საქართველოს ურთიერთობის ჩარჩო დოკუმენტად მიჩნეული IPAP-ის გეგმა.

ნატო მონიტორინგს ახორციელებს და პერიოდულად აჯამებს იმ პროგრამის მიმდინარეობის შედეგებს. 2009 წლის 4 დეკემბერს ნატო-საქართველოს კომისიის შეხვედრაზე საქართველოს მუშაობა ჩრდილო ატლანტიკურ ორგანიზაციაში განწევრებისათვის აღებულ ვალდებულებათა შესრულების კუთხით დადებითად შეფასდა.

რუსეთ-საქართველოს ომმა რამდენადმე გაართულა ნატოსა და რუსეთის ურთიერთობები და მასში დროებითი

<sup>7</sup> <http://www.nato.int/docu/other/ru/updates/2008/09-september/r0915c.html> ასევე, <http://www.nato.int/docu/pr/2008/p08-115e.html>  
<sup>8</sup> <http://www.polity.ge/georgia/politics/1068-saqartvelos-sagareo-strategia.html>



კორექტივი შეიტანა. როგორც აღინიშნა, ომის გამო შეჩერდა ჩრდილო ატლანტიკური ალიანსისა და რუსეთის საბჭოსა მუშაობა. შეჩერდა ასევე ნატო-რუსეთის ყველა ერთობლივი პროექტის მოქმედება. მაგრამ გავიდა სულ რაღაც ერთი წელი და სიტუაცია იცვლება. ალიანსმა რუსეთის მთლიან გარიყვას მაინც მასთან კავშირების შენარჩუნება ამჯობინა, ხოლო ნატოსა და რუსეთის საერთო ინტერესების არსებობამ მხარეთა თანამშრომლობის აღდგენა განაპირობა. 2009 წლის დეკემბრიდან განახლდა ნატო-რუსეთის საბჭოს სხდომებიც, ამავე პერიოდში რუსეთს ეწვია ალიანსის ახალი გენერალური მდივანი ანდერს ფონ რასმუსენი. “ჩვენ გვაქვს საერთო გამოწვევები და ინტერესები, ხოლო ავღანეთი თანამშრომლობის საკვანძო მომენტია”, განაცხადა მან მოსკოვში ვიზიტისას.<sup>9</sup> შეეხო რა საქართველოსთან რუსეთის ფედერაციის დამოკიდებულების საკითხს, ალიანსის ხელმძღვანელმა აღნიშნა: “მოსკოვს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება სრულად ჯერ კიდევ არ შეუსრულებია” და სთხოვა რუსეთს, დატოვოს საქართველოს ტერიტორია.<sup>10</sup> აღსანიშნავია ისიც, რომ ნატო არ უჭერს მხარს დიმიტრი მედვედევის ინიციატივას ევროპის უსაფრთხოების “ახალი არქიტექტურის” შექმნის შესახებ, არ სურს მასზე ხელმოწერა, მაგრამ თანხმობას აცხადებს, რომ ეუთოს ფორმატით ჩაერთვება მის განხილვაში.

ალიანსის თანამშრომლობა საქართველოსთან გრძელდება, რისი დასტურიცაა 2009 წლის დეკემბრის დამდეგს გაიმართული ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა. აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთთან მიმართებაში ნატოს ტონი რამდენადმე შერბილდა, თუმცა ალიანსის წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრები კვლავ მოუწოდებენ რუსეთს, გააუქმოს საქართველოს რეგიონების - აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების გადანყვეტილება. ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის 28 სახელმწიფო ადასტურებს, რომ

<sup>9</sup> ვაზ. “24 საათი”, 2009 წ., 18 დეკემბერი.

<sup>10</sup> <http://presa.ge/index.php?text=news&i=11428>



კვლავაც ახორციელებს ამ ორი სეპარატისტული რეგიონის არალიარების პოლიტიკას და მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ქვეყნის სუვერენიტეტს. ამასთანავე ნატო მოუწოდებს რუსეთს, შეასრულოს ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება და არ გადადგას არანაირი ნაბიჯი, რომელიც საფრთხეს შეუქმნის საქართველოს უსაფრთხოებას. ალიანსი ასევე მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას უზრუნველყოს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მონიტორების აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე შესვლა. მაგრამ მოსკოვის დამოკიდებულება ამ საკითხებისადმი ჯერჯერობით არ იცვლება.

კრემლის პოლიტიკოსები კვლავ დაუინებით იმეორებენ, რომ ნატოს სიმპათიები და სოლიდარობა ოფიციალურ თბილისთან საქართველოს სამხედრო პოტენციალის აღდგენას ემსახურება და რეგიონში ახალი ავანტიურის საფრთხეს აძლიერებს.

რუსეთის მმართველი ელიტის აზრი კიდევ ერთხელ გამოხატა დუმის დეპუტატმა სერგეი მარკოვმა. საინფორმაციო სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენის" კორესპონდენტის კითხვაზე, თუ როდის დამთავრდება ომი კავკასიაში, მარკოვმა უპასუხა: "კავკასიაში ომები დამთავრდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ რეგიონში რუსეთის სრული და განუყოფელი დომინირება დამყარდება".<sup>11</sup>

უცვლელია საქართველოს ხელისუფლების პოზიციაც. იგი დაბეჯითებით აყენებს ქვეყნის იმ ტერიტორიების დეოკუპაციის მოთხოვნას, რომლებიც დღემდე რუსეთის ფედერაციის ჯარის ნაწილებს უკანონოდ უჭირავთ.

საქართველოს ოფიციალურ აზრს გამოხატავდა ჩვენი ქვეყნის საგარეო უწყების მიერ აგვისტოს ომის შემდგომ შემუშავებულ საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია, რომელიც გათვლილი იყო 2009-2012 წლებზე. მასში ვკითხულობთ: "რუსეთის სამხედრო აგრესია საქართველოს წინააღმდეგ ემსახურებოდა კრემლის იმ

<sup>11</sup> გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 2009 წ., 9 დეკემბერი.



პოლიტიკური კურსის განხორციელებას, რომელიც მიმართულია ქართული სახელმწიფოს დასუსტებისა და ძალისმიერი გზით საქართველოს რუსეთის ე.წ. პრივილეგირებული ინტერესების ზონაში მოქცევისაკენ.

რუსეთის მხრიდან საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლური პრინციპების - ქვეყნის დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობისა და თავისუფალი არჩევანის შემთხვევაში, საქართველო მზად არის მასთან ურთიერთობის ნორმალიზებისათვის. მხოლოდ და მხოლოდ ამ პრინციპებზე დაყრდნობით არის შესაძლებელი ორ ქვეყანას შორის ურთიერთხელსაყრელი და თანასწორუფლებიანი ურთიერთობის განვითარება".<sup>12</sup>

2009 წლის ივლისში რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ რუსეთი და საქართველო ურთიერთობას "ოდესმე" აღადგენენ იმ "ახალ რეალობაზე" დაყრდნობით, რომელიც წარმოიშვა აგვისტოს ომის შემდეგ. ეს რეალობა კი ისაა, რომ რუსეთის ფედერაციას ოკუპირებული აქვს საქართველოს მიწა-წყლის თითქმის მეხუთედი, ხოლო აფხაზეთი და ე.წ სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოები არიან. საქართველო არ აპირებს შეეგუოს ამგვარ სინამდვილეს და იმედოვნებს, რომ მდგომარეობის გამოსწორებას საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით შეძლებს. ოპტიმიზმს ის გარემოება განაპირობებს, რომ საქართველო როგორც საერთაშორისო თანამეგობრობის წევრი, ჩართულია ნატოს უსაფრთხოების პოლიტიკაში, მონაწილეობს რეგონული და გლობალური უსაფრთხოების ფორმატებში, საკუთარი წვლილი შეაქვს თანამედროვე მშვიდობიან საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის ჩამოყალიბებაში, მსოფლიო უსაფრთხოების, სტაბილურობისა თუ კეთილდღეობის განმტკიცებაში.

ყოველივე ამასთან ერთად, ანგარიშგასაწევია რიგი ავტორიტეტული ექსპერტის აზრი, რომ ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის კოლექტიური თავდაცვის სისტემა არათუ ამ სისტემის შესაძლო (სავარაუდო) წევრის უსაფრთხოებასა და ტერიტორიულ მთლიანობას ვერ

<sup>12</sup> <http://www.polity.ge/georgia/politics/1068-saqartvelos-sagareo-strategia.html>



უზრუნველყოფს, არამედ ნატო თვით ორგანიზაციის მოქმედი წევრის ინტერესების დასაცავდაც კი შეიძლება რომში არ ჩაებას და ისეთ ქვეყნებს, როგორებიც ბალტიისა და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები არიან, თავდაცვისა და უსაფრთხოების დამატებით გარანტიებზე ზრუნვა მართებთ.

საყურადღებოდ გვეჩვენება ქართველი ექსპერტის შალვა ფიჩხაძის თვალსაზრისი, რომელიც გამოხატულია მის სტატიაში “ნატო-საქართველო: მოლოდინი, რეალობა, პერსპექტივა”. პუბლიკაციაში ნათქვამია: “2008 წლის აგვისტოს მოვლენებმა აჩვენა, რომ მოსახლეობაში გადაჭარბებული მოლოდინისა და მისი მუდმივად არასწორი ინფორმირებულობის გამო იმის შესახებ, თუ რა არის ნატო, შესაძლოა გაჩნდეს დასავლეთის, და კერძოდ ალიანსის მიმართ იმედგაცრუების გრძნობა და განწყობა, რომ მათ მიგვატოვეს”.<sup>13</sup>

ამ ფონზე იტერესმოკლებული არ უნდა იყოს, შეიცვალა თუ არა საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება ჩრდილო ატლანტიკური ალიანსისადმი რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ. ქვემოთ გავეცნობით იმ სოციალური კვლევის შედეგებს, რომელიც 2009 წლის აპრილში ბიზნეს კონსალტინგის ჯგუფმა ჩაატარა.

შემთხვევითი მეთოდით გამოიკითხა 1800 რესპონდენტი, მათ შორის თურქეთთან მოსაზღვრე რაიონებში - 400, ცხინვალის მოსაზღვრე რაიონებში - 300, სომეხი ეროვნებით დასახლებულ ადგილებში - 200, აზერბაიჯანლებით დასახლებულ ადგილებში - 200. თბილისში გამოკითხულთა რიცხვი შეადგენდა 450 კაცს, ხოლო დანარჩენ ქალაქებში (ქუთაისი, ბათუმი, ზუგდიდი, ფოთი, გორი, რუსთავი) -250 კაცს.

კვლევის შედეგების თანახმად, საზოგადოების დიდი ნაწილის წარმოდგენა ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსზე ზედაპირულია. გამოკითხული მოსახლეობის 49 %-მა არ იცის როგორ იმიფრება ნატოს-ს აბრევიატურა, თუმცა,

<sup>13</sup>[http://www.fes.ge/rus/images/Fes\\_Files/Pulications08files/krizisi%202008%20geo.pdf](http://www.fes.ge/rus/images/Fes_Files/Pulications08files/krizisi%202008%20geo.pdf)



ნატოსადმი ნდობის ხარისხი ფაქტობრივად იგივე დარჩა, როგორც იყო 2008 წლის აგვისტოს ომამდელ პერიოდში ორგანიზაციაში საქართველოს ინტეგრაციას მხარს უჭერს 73,3%. 52,6% მიიჩნევს, რომ რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ჩვენი ქვეყნის ნატო-ში განეწევა უფრო მეტად მნიშვნელოვანია.

გამოკითხულთა 7,9 პროცენტის წარმოდგენით, ნატო-ში ინტეგრაციის შედეგად საქართველოსათვის არაფერი შეიცვლება.

საქართველო-რუსეთის დამოკიდებულების შესახებ გამოკითხული მოსახლეობის 16%-ს ჰგონია, რომ საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის შემდეგ რუსეთი უფრო აგრესიულ პოლიტიკას გაატარებს ჩვენი ქვეყნის მიმართ. 28%-ის აზრით კი - რუსეთი შეასუსტებს აგრესიულ პოლიტიკას.

საინტერესოა პასუხები კითხვაზე: "რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის არჩევა, რომლის წევრიც შეიძლება იყოს საქართველო, რომელს აირჩევდით?" 46,1%-მა უპასუხა, რომ აირჩევდა დსთ-ს (ამ მაჩვენებელმა თბილისში შეადგინა 2,9%). ნატო-ს დაუჭირა მხარი 12,3%-მა (თბილისში - 44,9%), ხოლო ევროკავშირი ამჯობინა 15,4%-მა (თბილისში - 27,8%).

საყურადღებოა ასევე, რომ გამოკითხულთა 33%-ის (თბილისში - 46,4) აზრით, ნატოში საქართველოს ინტეგრაციას ხელს უშლის რუსეთის წინააღმდეგობა. 27,9% (თბილისში 30%) საჭიროდ მიიჩნევს, რომ ნატოში განეწევის დასაჩქარებლად საჭიროა დიალოგის გამართვა რუსეთის ფედერაციასთან.<sup>14</sup>

დიალოგი სახელმწიფოსთან, რომელიც სხვა ქვეყნის ტერიტორიის ოკუპაციას ნორმალურ და დასაშვებ მოვლენად მიიჩნევს, მასთან დიპლომატიური ურთიერთობა განყვეტილი გაქვს და ხელისუფლებათა დონეზე ნდობის ხარისხი თითქმის ნულის ტოლია, მარტივი არ არის. მართალია, ყენევაში გრძელდება საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევით ორგანიზებული

<sup>14</sup> www.natoinfo.ge



შეხვედრები, რომელზეც მოლაპარაკებები მიმდინარეობს ფორმულით 3+3 - სამი სახელმწიფო დელეგაციისა საქართველო, რუსეთი და აშშ და სამი საერთაშორისო ორგანიზაცია: ევროკავშირი, გაერო და ეუთო, მაგრამ რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად შექმნილი სიტუაციის შესაცვლელად ამ მოლაპარაკებათა ნაყოფი დღემდე უმნიშვნელოა. რაც შეეხება პირდაპირ დიალოგს, ამის სურვილს ჯერჯერობით არც რუსეთის ფედერაციისა და არც საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა არ გამოხატავს.



## ისტორიის აქტუალიზაცია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პოსტსაბჭოთა პერიოდში

წარსულში ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის შედეგები არცთუ იშვიათად აწმყოში მათი თანაცხოვრების ხასიათზეც რელიეფურად აისახება. უფრო მეტად ეს უშუალო მეზობელ ან გეოგრაფიულად ახლომდებარე სახელმწიფოებზე ითქმის. ასეთთა რიცხვშია საქართველო და რუსეთი, რომელთა ურთიერთკავშირის ისტორია სათავეს საუკუნეთა სიღრმეში იღებს.

პირველწყაროთა მონმობით, ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული საქართველოს პოლიტიკური ვექტორი დასავლეთისაკენ იყო მიმართული. რომის იმპერიის ორად გაყოფის შემდეგ, ხანგრძლივი დროის განმავლობაში საქართველოს დასავლური ჰორიზონტი არსებითად ბიზანტიით შემოიფარგლებოდა, თუმცა იგი ცივილიზაციურად და პოლიტიკურადაც ევროპის ნაწილს წარმოადგენდა.

მომდევნო ხანის ისტორიულმა ბედუკუღმართობამ საქართველო მოსწყვიტა განვითარების ბუნებრივ ორბიტას და ევროპულ სივრცეს დააშორა. XV-XVI საუკუნეებიდან, მას შემდეგ რაც ირან-ოსმალეთის აგრესიულ გარემოცვაში მოქცევამ ქართველი ერის თვითმყოფადობას, განსაკუთრებით მის სარწმუნოებრივ საფუძველს - ქრისტიანობას სერიოზული საფრთხე შეუქმნა, საქართველომ მოკავშირისა და მფარველის ძიება ჩრდილოეთით - მართლმადიდებელ რუსეთში დაიწყო. ქართველები ერთმორწმუნე რუსეთში ხედავდნენ იმედს და რეალურ ძალას, რომელსაც მძიმე განსაცდელში მათი დაცვა და გადარჩენა შეეძლო.

ამავე პერიოდში სამხრეთ კავკასიის რეგიონისადმი ინტერესი რუსეთის სახელმწიფოშიც გამოიკვეთა. რუსეთმა პირველი კონტაქტები ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის შედეგად წარმოშობილ კახეთის სამეფოსთან

\* პირველად დაიბეჭდა ჟურნალში „ანალები“, თბ., 2013, № 9.



დაამყარა. XVI საუკუნის 80-იან წლებში კახეთ-რუსეთის ურთიერთობა მათ შორის "ფიცის წიგნის" გაფორმებითა და კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლით აღინიშნა. ორი საუკუნის შემდეგ, 1783 წელს კი რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთს შორის ცნობილი გეორგიევსკის ტრაქტატიც დაიდო.

ქართველთა მოლოდინი არ გამართლდა. რუსეთმა ხელშეკრულების პირობები არ შეასრულა. მან ერთმორწმუნე ხალხის დაცვისა და მფარველობის ნაცვლად მოშალა ქართლ-კახეთის სამეფო, გააუქმა ბაგრატიონთა ტახტი და გუბერნიად გარდაქმნილი აღმოსავლეთ საქართველო საკუთარი იმპერიის ნაწილად გამოაცხადა. მომდევნო ათწლეულებში დასავლეთ საქართველოც დაპყრობათა გზით რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა.

ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმების გარდა, ცარიზმმა არც ადგილობრივი სამოციქულო ეკლესია დაინდო, რომელსაც ავტოკეფალია წარსტაცა და იგი რუსეთის სინოდს დაუქვემდებარა.

პატარა და სუსტ ქვეყანაზე უხეში ძალმომრეობის ხსენებული ფაქტები ჯერ კიდევ ცარიზმის ოფიციალურმა ისტორიოგრაფიამ გააყალბა. ბაგრატიონთა ლეგიტიმური დინასტიის ხელისუფლებისაგან ჩამოცილება და ქართული სახელმწიფოებრიობის ლიკვიდაცია, ისევე როგორც საქართველოს რომანოვთა იმპერიაში ინკორპორაცია არა ანექსიად, არამედ რუსეთთან საქართველოს ნებაყოფლობით შეერთებად მოინათლა.

საბჭოთა საისტორიო მეცნიერებაში საქართველოს ინკორპორაციასთან დაკავშირებით უკრიტიკოდ იყო გაზიარებული სტალინური თვალსაზრისი ე. წ. მცირე ბოროტების შესახებ. ეს დირექტიული დებულება ასე გამოითქმოდა: XIX საუკუნის დამდეგს რუსეთის მიერ ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმება იყო ბოროტება, მაგრამ ნაკლები ბოროტება მაჰმადიანური აგრესიისა და



ქართველი ხალხის ფიზიკური გადაშენების საფრთხეებს შედარებით.<sup>1</sup>

გასული საუკუნის 80-იან წლებში გაჩნდა ახალი მცდარი თვალსაზრისი ამ ბოროტების საერთოდ უარყოფისა და საქართველოს რუსეთთან შეერთების მხოლოდ სიკეთედ აღიარების თაობაზე.

იმპერიულ მარწუხებში ჩავარდნილ ქართველ ერს გარუსებისა და სრული ასიმილაციის საფრთხე დაემუქრა. ქართული ენა ყველა სახელმწიფო ინსტიტუციიდან, მათ შორის სკოლიდანაც განიდევნა, ეკლესიებში წირვა-ლოცვა სლავურ ენაზე გადაიყვანეს, სრულიად იგნორირებული იყო ადგილობრივი მოსახლეობის უფლებები, რუსული ადმინისტრაცია მიმართავდა მხარის დემოგრაფიულ ექსპანსიას, ეკონომიურ დაკაბალებას და სხვ.

ქართველი ხალხი არ შერიგებია საკუთარი იდენტობის საფუძველთა ხელყოფას, მან კოლონიურ რეჟიმს იმთავითვე საპროტესტო მოძრაობა - შეთქმულებები და აჯანყებები დაუპირისპირა. ერთი თანამედროვის სიტყვით, XIX საუკუნის პირველი ნახევარი იყო დრო, როდესაც "თითქმის მთელ საქართველოს ... გატენილ თოფებზე ეძინა", იგი თავგამეტებით იბრძოდა ეროვნული თავისუფლებისათვის, მაგრამ ეს ბრძოლა არასოდეს გადაზრდილა რუსეთისა და რუსი ხალხის სიძულვილში.

ამავე საუკუნის 40-იანი წლებიდან მეფის მთავრობამ შიშველი ძალმომრეობის კურსი რამდენადმე შეარბილა, ქართულ არისტოკრაციას სამხედრო და სახელმწიფო იერარქიაში დანიინაურების საშუალება მისცა და ამით იმპერიისადმი მისი ლოიალობის მიღწევას შეეცადა. საქართველოში განმათავისუფლებელი მოძრაობა რამდენადმე დაცხრა, თუმცა ბოლომდე არ აღმოფხვრილა. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ახლა უპირატესობა მშვიდობიანი წინააღმდეგობის ფორმებს მიენიჭა.

<sup>1</sup> Якунин А. О применении понятия «наименьшее зло» в оценке присоединения к России нерусских народностей, Вопросы истории; 1951, N 11, გვ. 56.



ცარიზმმა ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ წარმოებული ომებით, რომლებშიც რუსთა მხარდამხარა ქართველთა მრავალრიცხოვანი სახალხო ლაშქარიც მონაწილეობდა, ორივე ეს მეტოქე კავკასიიდან გააძევა და იმპერიის საზღვრები მათ მიერ მიტაცებული აქაური სამფლობელოების ხარჯზეც გააფართოვა. კავკასიის რეგიონის დასაუფლებლად რუსეთის იმპერიამ მეტად დიდი მსხვერპლი გაიღო. დ. ვედენევის გამოანგარიშებით, 1801-1885 წლების განმავლობაში რუსეთმა ირანის, ოსმალეთის, სამხრეთ თუ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან დაპირისპირებაში არანაკლებ 77 ათასი ადამიანი დაკარგა ბრძოლის ველზე დაღუპულთა, მოკლულთა, ტყვედ ჩავარდნილთა თუ ავადმყოფობით გარდაცვლლილთა სახით.<sup>2</sup> ყოველივე ამის გათვალისწინებით, ასევე მხარის გეოსტრატეგიული, ეკონომიკური თუ პოლიტიკური მნიშვნელობის გამო, ცარიზმი იმპერიასთან კავკასიის შერწყმას განსაკუთრებული გულმოდგინებით ეკიდებოდა.

რუსეთის საუკუნოვან კოლონიურ უღელს საქართველომ თავი მხოლოდ თვითმპყრობელობის დამხობისა და ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალების შემდგომ დააღწია და ეროვნული სახელმწიფოებრიობა აღიდგინა. 1918 წლის 26 მაისიდან მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაც იყო აღბეჭდილი. სამხრეთ კავკასიის ამ პატარა ქვეყნის სუვერენიტეტი მაშინ ორ ათეულზე მეტმა დიდმა და მცირე სახელმწიფომ, მათ შორის საბჭოთა რუსეთმაც აღიარა. მიუხედავად ამისა, თავისუფლების გზაზე გამოსულ საქართველოს ევროპის პოლიტიკურმა მესვეურებმა უარი უთხრეს ერთა ლიგაში მიღებაზე და იგი ამ საერთაშორისო უნივერსალური ორგანიზაციის მიღმა დატოვეს. ერთა ლიგის წევრობას შეეძლო საქართველო დაეცვა გარე აგრესიისაგან და მისი დამოუკიდებლობა უზრუნველყო, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. საქართველო მარტო დარჩა ბოლშევიკური რუსეთის პირისპირ, რომელმაც 1921 წლის

<sup>2</sup> Д. Веденеев, 77 тысяч, журнал Родина, 2012, 8.

[http://www.istrodina.com/rodina\\_articul.php3?id=122&n=7](http://www.istrodina.com/rodina_articul.php3?id=122&n=7)



თებერვალ-მარტში იგი თავსმოხვეულ ომში დაამარცხდა მის სახელმწიფოებრივ განვითარებასაც ბოლო მოუღო.

კრემლმა გასაბჭოებული, სინამდვილეში ოკუპირებულ-ანექსირებული საქართველო (საქართველოს საჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა) ჯერ ავტონომიურ ერთეულებად დაანანევრა (აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი), მერე ამიერკავკასიის ფედერაციაში, ხოლო მისი მეშვეობით სსრ კავშირად ნოდებულ იმპერიაში გააერთიანა. 1936 წელს ამიერკავკასიის ფედერაცია გაუქმდა, საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში დარჩა როგორც ცალკე მოკავშირე რესპუბლიკა და ამგვარად ინოდებოდა 1990 წლამდე, ვიდრე ქვეყანაში კომუნისტური მმართველობა ეროვნული ხელისუფლებით შეიცვლებოდა. ამ ხნის განმავლობაში ქართველმა ხალხმა საბჭოეთში სოციალიზმის მშენებლობის ექსპერიმენტის ყველა შედეგი სრულად განიცადა, მათ შორის მასობრივი რეპრესიებიც. იმათ გარდა, ვინც ემიგრაციაში გაასწრო ან ანტისაბჭოთა გამოსვლებში მონაწილეობისათვის სიცოცხლეს გამოასალმეს, 12 ათასი ქართველი გულაგის საკონცენტრაციო ბანაკებში გამოამწყვდიეს. მეორე მსოფლიო ომში განვეული საქართველოს 700 ათასი მებრძოლიდან ყოველი მესამე დაიღუპა ან უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

ასეთია რუსეთ-საქართველოს თითქმის ორასწლიანი თანაცხოვრების ისტორია უზოგადეს შტრიხებში. ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ ამ თანაცხოვრებას საქართველოსათვის გარკვეული პოზიტივიც ახლდა. მართალია რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, მაგარამ მაინც, XIX საუკუნეში შესაძლებელი გახდა საქართველოს ტერიტორიული გამთლიანება, აღიკვეთა ლეკთა გამუდმებული თავდასხმები, შეწყდა ტყვის სყიდვა და ბოლო მოეღო ფეოდალურ შინაომებს. გაიზარდა მოსახლეობის რიცხვი და განმტკიცდა კავშირი ქვეყნის ცალკეულ კუთხეებს შორის. მომდევნო საუკუნეში, საბჭოთა ტოტალიტარიზმის პირობებშიც კი, საქართველო ერთგვარ სოციალურ და ეკონომიკურ წინსვლას განიცდიდა,



აღმავლობის გზას ადგა ქართული კულტურა, ხელოვნება, მეცნიერება, სპორტი და სხვ. თუმცა ეს მიღწევები ვერც გადასწონიდა მთავარს - წართმეულ თავისუფლებას. სწორედ ამიტომ, ქართველი ხალხი გაურბოდა იმპერიულ რეჟიმს და, როგორც ცნობილია, ორჯერ - 1918 და 1991 წლებში მისგან თავდახსნა მოახერხა.

კომუნისტური იდეოლოგიით გაყენებული ისტორიოგრაფია საბჭოურ სინამდვილეში მოვლენებს თავის რეალურ სახელს ვერ დაარქმევდა და არც დაურქმევია. პირიქით, ხელისუფალთა ნების შესაბამისად, საბჭოთა ისტორიკოსებმა წარსული მათთვის სასურველ პოლიტიკურ ყაიდაზე გამართეს. რუსეთის სახელმწიფოსათვის საჩოთირო ფაქტები მიაფუჩჩეს ანდა შეალამაზეს და სიცრუის გარსში გახვიეს. მათ ყოფნიდათ სითამამე, სხვა ქვეყნის დაპყრობისათვის მისი განთავისუფლება ეწოდებინათ, ბოროტება სიკეთედ გაესაღებინათ, რუსეთის აგრესია დაეფარათ და ძალადობა სათნოებად წარმოეჩინათ. ასე იყო საქართველოსთან მიმართებაშიც.

ისტორიის ფალსიფიცირების მეთოდი საბჭოთა ხელისუფლებამ დიდწილად მეფის რუსეთისაგან იმემკვიდრა. ქართველი პოეტის ტიცვიან ტაბიძის სიტყვით რომ ვთქვათ, "არსად ისე არ დამსგავსებია ისტორია ზღაპარს, როგორც რუსეთში".

ცნობილი რუსი ისტორიკოს იური აფანასიევი თავის წიგნში "Опасная Россия" შენიშნავს, რომ კარამზინის დროიდან რუსეთი ცხოვრობს "გამოგონილი წარსულით". ჯერ კიდევ 1987 წლის აპრილში, მოსკოვში გამართულ ისტორიკოსთა და მწერალთა სამეცნიერო კონფერენციაზე ი. აფანასიევმა თავისსავე კითხვაზე - რას წარმოადგენს ჩვენი თანამედროვე ისტორიული ცოდნა? - უპასუხა: არ არის მსოფლიოში ისეთი ფალსიფიცირებული ისტორიის მქონე არც ერთი ქვეყანა, როგორიც ჩვენია. საბჭოთა რეჟიმს ისტორია სჭირდებოდა არა მეცნიერებად, არამედ პროპაგანდის მსახურად, რეჟიმის მიერ ჩადენილ დანაშაულებათა გასამართლებლად.<sup>3</sup>

<sup>3</sup> О чем говорят и пишут историки, М., 1988, გვ. 56.



ამიტომაც იყო, რომ რუსეთის უმაღლესი ხელისუფლებას წარმომადგენლები სიმართლეს საქართველოში რუსეთის წარსული ურთიერთობის შესახებ საბჭოთა რეჟიმის აღსასრულამდე მალავდნენ ან შეგნებულად აყალბებდნენ. საილუსტრაციოდ ქვემოთ მოყვანილი ფაქტიც გამოდგება.

1990 წლის 1 სექტემბერს მოსკოვში საქართველოსა და რუსეთს შორის ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება დაიდო. ხელშეკრულების ხელმოწერის დროს, მაშინ რუსეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ბორის ელცინმა განაცხადა: "მთელი თავიანთი ერთობლივი ისტორიის მანძილზე ... რუსეთსა და საქართველოს არასოდეს უომიათ ერთმანეთთან, არ ჰქონიათ დავა საზღვრების გამო, არაფერი ჰქონიათ გასაყოფი".<sup>4</sup> ეს თვალსაზრისი მცდარია, არ ასახავს რეალობას და წარსულის მხოლოდ კონიუნქტურულ ინტერპრეტაციას წარმოადგენს.

საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდგომ ფართო გავრცელება ჰპოვეს ისტორიის განსხვავებულმა ვერსიებმა. მარქსისტულ იდეოლოგიას თავდაღწეული ისტორიული ნარატივი გასული საუკუნის 90-იან წლებში ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში ეთნონაციონალიზმის რელსებზე იქნა გადაყვანილი. ამასთან, თუ კომუნისტურ პერიოდში ისტორია "იდეოლოგიურად ანგაჟირებული" დარგი იყო, ახლა იგი "პოლიტიკური ანგაჟირების" მსხვერპლად იქცა. ისტორიული ფაქტებისა თუ მოვლენების თვითნებური განმარტებები პოლიტიკაშიც მომძლავრდა, რაც, მაქს ვებერის სიტყვით, სრულიადაც არ ნიშნავს "პოლიტიკის გამეცნიერებას ან პოლიტიკის სციენტეიფიკაციას". ეს უფრო წარსულის პოლიტიზაცია, ისტორიით მანიპულირება და მისი ინსტრუმენტალიზაციაა,<sup>5</sup> რასაც მეტწილად პოლიტიკური ინტერესი და მოტივაცია განაპირობებს.

თანამედროვე საქართველოსაგან განსხვავებით, ისტორიისადმი ამგვარი მიდგომა უფრო რუსეთში შეინიშნება. წარსულთან მიმართებას იქ დღესაც დიდწილად

<sup>4</sup> გაზ. "კომუნისტი, 1990 წ., 3 სექტემბერი.

<sup>5</sup> <http://www.politizdat.ru/review/82/>

პოლიტიკა და სახელმწიფოს მესვეურთა განსაზღვრავს.

ისტორია რუსეთის ფედერაციაში სულ უფრო და უფრო პოლიტიკური ინტერესების მძევალი, მისი მსახური ხდება. თუ მეფისდროინდელი რუსეთი პოლიტიკის იარაღად სკოლას, ეკლესიას, კოლონიზაციას, ეკონომიკურ ბერკეტებსა და სხვ. იყენებდა, თანამედროვე რუსეთში ამ არსენალს ისტორიაც დაემატა.

პოსტსაბჭოთა პერიოდის რუსეთის უმაღლეს ხელისუფალთა საჯარო გამოსვლებსა თუ პოლიტიკურ ნარატივში დიდი ადგილი ეთმობა ისტორიით მანიპულაციას, მათ შორის საქართველო-რუსეთის ურთიერთობის, საქართველოს ისტორიული კუთხეების - აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის წარსულთან დაკავშირებით.

ისტორიის ინსტრუმენტალიზაცია, როგორც გეოპოლიტიკური სტრატეგიის ნაწილი, თანამედროვე რუსეთში სახელმწიფო პოლიტიკის რანგშია აყვანილი. ამით უნდა აიხსნას, რომ ისტორიის პრობლემატიკა ისეთ პოლიტიკურ დოკუმენტშიც კი აისახა, როგორიც “რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კონცეფციაა”. დოკუმენტის ტექსტი შეიცავს მონოდებას, რომ “არ დავუშვათ ისტორიული თემის პრაქტიკული პოლიტიკის ინსტრუმენტად ქცევა”.<sup>6</sup>

ისტორიულ თემათა პოლიტიზაციის წინააღმდეგ მოქმედება ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანადა აქვს დასახული რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს. სამინისტროს კოლეგიამ 2008 წლის მარტში აუცილებლად მიიჩნია თავის საზღვარგარეთულ დანებებულებათა ძალისხმევის გააქტიურება და ამ მიმართულებით საქმიანობისათვის უფრო “სისტემური და შემტევი ხასიათის” მიცემა.<sup>7</sup>

არანაკლებ საყურადღებოა, რომ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროში არსებობს ისტორიულ-დოკუმენტური დეპარტამენტი, რომელიც ინტერნეტ-

<sup>6</sup> <http://президент.рф/acts/785>

<sup>7</sup> <http://narodinfo.ru/news/print/46245.html>



ტექნოლოგიის გამოყენებით ავრცელებს ისტორიის კონიუნქტურულ ვერსიებს, მათ შორის საქართველოს ისტორიის შესახებაც. მაგალითად, სამინისტროს ვებგვერდზე საერთო სათაურით „О роли России в поддержании политического равновесия в Европе“ განთავსებულია ნარკვევი „საქართველო“.<sup>8</sup> იგი ეხება რუსულ-ქართული ურთიერთობის მონაკვეთს XVIII საუკუნის 60-იანი წლებიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე და წარმოაჩენს ორი ქვეყნის დაახლოების პერიპეტიებს გეორგიევსკის ტრაქტატის წინა პერიოდიდან საქართველოს რუსეთის იმპერიაში ინკორპორირებამდე.

ნარკვევში საგანგებოდაა გამოტოვებული იმპერატორ პავლე I-ის 1800 წლის 18 დეკემბრის მანიფესტი, რომელსაც ხელი ჯერ კიდევ გიორგი XII-ის სიცოცხლეში მოენერა და ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის გუბერნიად გამოცხადებას ითვალისწინებდა.<sup>9</sup> ინტერნეტმასალაში არაფერია ნათქვამი პეტერბურგში მყოფი ქართული ელჩობის, დავით თუ იულონ ბაგრატიონების ძალისხმევაზე ტახტისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის შესანარჩუნებლად და აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთება „ქართველთა თხოვნის დაკმაყოფილებად“ სახელდებული.

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, რომელსაც მხოლოდ ერთი აბზაცი ეთმობა, საუბარია არა მის ანექსიაზე, არამედ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ეტაპობრივ შესვლაზე.

საარქივო დოკუმენტებით უხვად გაჯერებული ნარკვევი, ერთი შეხედვით, აკადემიური ნაშრომის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ სინამდვილეში, ეს არის პოლიტიკური ტექსტი, საქართველოს რუსეთთან დაკავშირება-შეერთების რუსული პოლიტიკური მოდელი.

ხსენებული ტექსტში ჩამოყალიბებულ დებულებას ხშირად იმეორებენ რუსეთის უმაღლესი პოლიტიკური

<sup>8</sup> <http://www.mid.ru/ns-arch.nsf/iddvidbul>  
<sup>9</sup> П. Бутков. Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год, кн. II, СПб, 1869, გვ. 278.



ხელისუფლების წარმომადგენლები. მაგალითად, 2008 წლის 28 აგვისტოს, სატელევიზიო კომპანია "სი-ენ-ენ"-ის სათვალის მიცემულ ინტერვიუში ვლადიმერ პუტინი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის პრობლემებსაც შეეხო და მასზე საუბრისას განაცხადა: ყველა კავკასიური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი თავის დროზე რუსეთის შემადგენლობაში ნებაყოფილებით შევიდა. მათგან პირველი იყო ოსეთი, რომელიც თითქოს XVIII საუკუნეში ერთიან პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა, ჩრდილოეთი და სამხრეთ ოსეთი ერთ სახელმწიფოს შეადგენდა და იგი რუსეთს 1745-1747 წლებში შეუერთდა. 1801 წელს რუსეთის შემადგენლობაში საკუთარი ნებით შევიდა საქართველოც, რომელიც შევიწროებული იყო ოსმალეთის იმპერიის მიერ.<sup>10</sup>

ცოტა უფრო ადრე, 2006 წლის 25 ოქტომბერს, რუსეთის მოსახლეობისათვის გამართულ ტელეხილში, ვ. პუტინმა ღია ეთერში კიდევ ერთი ისტორიული ფაქტის პოლიტიკური ინტერპრეტაცია სცადა და აღნიშნა: 1801 წელს, როდესაც საქართველო რუსეთს შეუერთდა, არც აფხაზეთი და არც სამხრეთ ოსეთი არ შედიოდნენ საქართველოს შემადგენლობაში.<sup>11</sup>

პირველად ე. წ. "ნებაყოფლობით შეერთებას" შევეხები. საყოველთაოდ ცნობილია, რომ XV საუკუნის ბოლოდან მოყოლებული ქართველი მეფე-მთავრები რუსეთთან დაახლოებასა და მისგან მფარველობას ინტენსიურად ესწრაფვოდნენ. შემორჩენილია მათი მრავალი წერილობითი თხოვნა, რომელიც ელჩებს მოსკოვისა თუ სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო კარზე საქართველოდან სხვადასხვა დროს ჩააქონდათ. საპასუხო წერილებში რუსთხელმწიფეები სიტყვიერ დაპირებას არ იშურებდნენ, მაგრამ მატერიალური და სამხედრო დახმარების თვალსაზრისით სიძუნწეს იჩენდნენ.<sup>12</sup>

<sup>10</sup> <http://www.polemics.ru/articles/?articleID=12234&hideText=0&itemPage=1>

<sup>11</sup> გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 2006 წ. 27 ოქტომბერი.

<sup>12</sup> О. Маркова, Россия, Закавказье и международные отношения в конце XVIII века, М., 1966, გვ. 310.



რუსეთზე შეუქცევადმა ორიენტაციამ საქართველოს ყველა მეზობელი ქვეყანა მის წინააღმდეგ განსაყუთრებით განაწყენდა ირანი, რომელმაც 1795 წელს შური თბილისის აოხრებით იძია. რუსეთი მხოლოდ ამის შემდეგ გამოესარჩლა თავის მფარველობაში მყოფ ქართლ-კახეთს, მაგრამ 1796 წელს ტახტზე ასულმა ახალმა იმპერატორმა პავლე I-მა ირანის წინააღმდეგ დაწყებული ლაშქრობა მოშალა და ჯარი უკანვე გაიწვია. საქართველო გარეშე აგრესიისაგან კვლავ დაუცველი დარჩა.

გიორგი XII-ის მმართველობის პერიოდში (1798-1800 წ.წ.) სიტუაცია აღმოსავლეთ საქართველოში კიდევ უფრო დაიძაბა. უკიდურესად გართულებულმა საშინაო და საგარეო ვითარებამ, პოლიტიკური თვალსაზრისით სუსტ და ფიზიკურად სნეულ მეფეს ქართლ-კახეთის რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში გადაცემაზე ფიქრი აღუძრა. გეორგიევსკის ტრაქტატით განსზღვრული მფარველობა-მოკავშირეობის ნაცვლად, რუსეთისათვის მეტ დათმობასა და საკუთარი უფლებამოსილების შეზღუდვას, გიორგი XII-ის გათვლით, ერთმორწმუნე ქვეყნისაგან დახმარება უფრო რეალური უნდა გაეხადა.<sup>13</sup> საკუთარი ქვეყნის გადასარჩენად სწორედ რეალური დახმარების მიღება და არა სამეფოს გაუქმება ამოძრავებდა ქართველ მეფეს, როდესაც 1800 წლის სექტემბერში ელჩების ხელით პავლე I-ს ე.წ. სათხოვარი პუნქტების სახელწოდებით ცნობილი ნოტა გაუგზავნა.

გიორგი XII-ის მთავარი თხოვნა იყო, რომ რუსეთს საქართველო სამუდამო მფარველობაში მიეღო, ხოლო საქართველოს ტახტი, აგრეთვე სამუდამოდ, გიორგის შთამომავლობის ხელში დარჩენილიყო.<sup>14</sup> (14, 287). ნოტა არ გულისხმობდა მეფის უფლებაზე ხელის აღებას და არც რუსეთის იმპერიასთან უპირობო შეერთებას. ეს თავის დროზე მკაფიოდ გამოთქვა რუსმა ისტორიკოსმა, აკადემიკოსმა ნ. დუბროვინმა. მისი სიტყვით, გიორგი XII

<sup>13</sup> З. Авалов, Присоединение Грузии к России, СПб., 1901, გვ. 192.

<sup>14</sup> А. Цагарели, Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся до Грузии, т. II, вып. II, СПб., 1902.



ცდილობდა რუსეთის ჯარითა და ფინანსებით ესარგებლა და არც მეფობის უპირატესობა დაეკარგა.<sup>15</sup>

ქართველი მეფის ნოტაში ფორმულირებული წინადადება “სამუდამოდ მიიღოს რუსეთის მფარველობა” საიმპერატორო კარმა ისეთი შინაარსით აღიქვა, როგორც თვითონ სჭირდებოდა: თითქოს ქართლ-კახეთი იმპერიის შემადგენლობაში შესვლას უბრალო ტერიტორიის სახით, ყოველგვარი იურიდიული სტატუსისა და უფლებრივი მდგომარეობის გარეშე ითხოვდა.<sup>16</sup>

ქართველი ელჩების მიერ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში წარდგენილი ნოტა, რომელიც თავდაპირველად ექვსი პუნქტისაგან შედგებოდა, პეტერბურგში საფუძვლიანად განიხილეს. დოკუმენტის ძირითად დებულებათა განვრცობისა და ტექსტის რედაქტირების შედეგად რუსმა დიპლომატებმა 16 პუნქტის შემცველი იმგვარი “სათხოვარი პუნქტები” შეიმუშავეს,<sup>17</sup> რომლის შინაარსს რუსეთის მფლობელობისათვის აღმოსავლეთ საქართველოში კანონიერი საფუძველი უნდა შეექმნა.

ე.წ. სათხოვარ პუნქტებს არ ჰქონია მეფის ხელმოწერა. ნოტა 1800 წლის 17 ნოემბერს ჯერ აპრობირებულ იქნა იმპერატორ პავლე I-ის მიერ, შემდეგ კი გამოიგზავნა თბილისში, რათა იგი გიორგი XII-საც დაედასტურებინა. თუ ტექსტს ქართლ-კახეთის მონარქიც მოიწონებდა და მასზე ოფიციალურად ხელს მოაწერდა, ასეთ შემთხვევაში იგი იურიდიულ ძალას შეიძენდა. ამასთან, ამ დოკუმენტის საფუძველზე უნდა მომზადებულიყო და გაეფორმებინათ ახალი ორმხრივი ხელშეკრულებაც.<sup>18</sup>

<sup>15</sup> Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе, т. 3, СПб., 1886, გვ. 239; ასევე, М. Хелтушливили, Мвступление Грузии в состав Российской империи, кутаиси, 1901, გვ. 35.

<sup>16</sup> О. Джanelidze, Завоевание или добровольное сосдинение? წიგნი - Некоторые вопросы грузино-русских взаимоотношений в современной историографии, Тб., 2011, გვ. 176.

<sup>17</sup> А. Цагарели, დასახ. წიგნი, გვ. XXXVII

<sup>18</sup> П. Бутков. დასახ. წიგნი, გვ. 463; ასევე, З. Авалов, Присоединение Грузии к России, СПб., 1901, გვ. 187.



1800 წლის 18 დეკემბერს, პავლე I-მა, აღარ დაუცავდა რა საქართველოდან ელჩების დაბრუნებას, ჯერ კიდევ გიორგი XII-ის სიცოცხლეში, ხელი მოაწერა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთთან შეერთების მანიფესტს. დოკუმენტს ერთხანს საიდუმლოდ ინახავდნენ, თუმცა კავკასიის სამხედრო ხაზის უფროსს გენერალ კ. კნორინგს იგი მაშინვე გაუგზავნეს და მოქმედების სათანადო ინსტრუქციაც დაუსახეს. გენერალს მანიფესტი მეფე გიორგის გარდაცვალებისთანავე უნდა გამოექვეყნებინა, სხვა შემთხვევაში კი იგი პეტერბურგიდან ახალ განკარგულებას უნდა დალოდებოდა.<sup>19</sup> მიღებული დავალების შესაბამისად, კნორინგმა გიორგის სიკვდილის შემდეგ სამეფო ტახტზე ასვლის უფლება აღარავის მისცა.<sup>20</sup>

პავლე I-ის მანიფესტი პეტერბურგში ოფიციალურად მომდევნო თვეში გამოქვეყნდა,<sup>21</sup> ქართველ ხალხს კი მისი შინაარსი უფრო მოგვიანებით, - 1801 წლის თებერვალში გააცნეს.

ჯერ კიდევ რომანოვთა ზეობის პერიოდში თბილისში რუსულ ენაზე გამოცემულ არქეოგრაფიული კომისიის აქტებში დაცულია არაერთი დოკუმენტი, რომლებიც ცხადყოფენ, რომ რუსეთის საიმპერიო ხელისუფლებამ ქართული სამეფოს ლიკვიდაცია თვითნებურად განახორციელა და ქართლ-კახეთის სამეფო სამხედრო ძალით დაიპყრო. ხსენებულ მასალებზე დაყრდნობით ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარი 1800 წლის ბოლოს საქართველოში განვითარებულ მოვლენას სახელმწიფო გადატრიალების კვალიფიკაციასაც კი აძლევს.<sup>22</sup>

<sup>19</sup> Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе, т. 3, СПб., 1886, გვ. 342-343.

<sup>20</sup> АКАК, I, გვ. 177-178.

<sup>21</sup> Н. Дубровин, დასახ. წიგნი, გვ. 355.

<sup>22</sup> ი. კვესელავა, სახელმწიფო გადატრიალების პერიპეტეიები აღმოსავლეთ საქართველოში (XIX საუკუნის დასაწყისი), ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბ., 2011, 1 (9), გვ. 371-373; ასევე, დ. შველიძე, ე. ასტახიშვილი, გიორგი მეთორმეტის კაპიტულანტური პოლიტიკის მიზეზები და შედეგები (1798-1801 წ.წ.), ჟურნალი "ანალები", 2012, № 8, გვ. 228.



მეტი თვალსაჩინოებისათვის, რამდენიმე დოკუმენტს ხსენებული გამოცემიდან ქვემოთ დავიმოწმებ. 1799 წლის შემოდგომის მიწურულს, გეორგიევსკის ტრაქტატის საფუძველზე, თბილისში რუსეთის არმიის ორი ბატალიონი შემოვიდა. ჯართან ერთად, რომელსაც წინ გენერალი ლაზარევი მოუძღოდა, საქართველოში რუსეთის მინისტრინარმომადგენელი გენერალი კოვალენსკიც გამოიგზავნა. რუსმა გენერლებმა გულუბრყვილოდ მიმნდობი ქართველი მეფე თავიანთი გავლენის ქვეშ მოაქციეს. მათვე სრული კონტროლი დაამყარეს სატახტო ქალაქზე - თბილისის ქუჩებში საგუშაგოები განალაგეს და ყარაული განანესეს. აღსანიშნავია, რომ რუს ჯარისკაცთა ყარაული მეფის სასახლესთანაც მორიგეობდა.<sup>23</sup> კოვალენსკი და ლაზარევი თვითნებურად არ მოქმედებდნენ, ისინი თავიანთი ხელისუფლების საიდუმლო ინსტრუქციის შესაბამისად იქცეოდნენ, რომელიც მათგან თვით მეფეზეც კი განუწყვეტელი თვალყურის დევნებას მოითხოვდა.<sup>24</sup>

ლაზარევი იმდენად გულმოდგინედ ასრულებდა დავალებას, რომ გიორგი XII-ს სასთუმალთან მჯდომი ლამეებსაც კი უთენებდა სულთმობრძავ მონარქს.<sup>25</sup> მიზანი ის იყო, რომ არ გამოპარვოდათ მეფის გარდაცვალება, რასაც მყისიერად ტახტზე მემკვიდრის ასვლა მოჰყვებოდა. ამას კი შეიძლებოდა რუსეთის გეგმები საქართველოში საერთოდ ჩაეშალა.

დადსტურებული ფაქტია, რომ გენერალმა ლაზარევმა სწრაფი რეაგირებიტა და სამხედრო რაზმების გამოყენებით აღკვეთა როგორც დავით გიორგის ძის, ისე იულონ ერეკლეს ძის გამეფების მცდელობა.<sup>26</sup>

იმპერატორის მითითებით, 1800 წლის დეკემბერში კნორინგმა და ლაზარევმა უზრუნველყვეს კავკასიის ხაზიდან საქართველოში არტილერიით აღჭურვილი

<sup>23</sup> AKAK, I, გვ. 101, 105, 108.

<sup>24</sup> იქვე, გვ. 94.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 187.

<sup>26</sup> იქვე, გვ. 187; ასევე, ო. ჯანელიძე, საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბ., 2009, გვ. 3.



დამატებითი რაზმების გადმოყვანა. მალე ქართლ-კახეთის ტერიტორია 10 ათას რუს ჯარისკაცს შეეპყონდა. ოკუპირებული,<sup>27</sup> თუმცა პავლე I ვერ მოესწრო თავისი განზრახვის სრულად განხორციელებას. 1801 წლის 11 მარტს იგი შეთქმულების მსხვერპლი გახდა.

ახალმა იმპერატორმა ალექსანდრე I-მა ისე, რომ პავლე I-ის 1800 წლის 18 დეკემბრის მანიფესტი არ გაუუქმებია, საქართველოს საკითხი კვლავ განსჯის საგნად აქცია და მისი განხილვა სახელმწიფო საბჭოს დაავალა.<sup>28</sup>

სახელმწიფო საბჭო არ დაინტერესებულა იმ ვალდებულებებით, რომლებიც რუსეთს ქართლ-კახეთის მიმართ ჰქონდა ნაკისრი 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატით და 1799 წლის მისი განახლებული რედაქციით. აღარავის გახსენებია არც ორმხრივი ხელშეკრულების იდეაც. საკითხი ასე იდგა: “ან საქართველოს მიტოვება ბედის ანაბარად ან მისი სრული ინკორპორაცია”. საბჭოს მხოლოდ ზოგიერთი წევრი ასაბუთებდა, რომ იმპერიის ინტერესებიდან გამომდინარე, უფრო ხელსაყრელი იქნებოდა საქართველოს მფარველობაში შენარჩუნება და არა მისი შემოერთება.

სახელმწიფო საბჭომ თავის 1801 წლის 8 აგვისტოს სხდომაზე ქართლ-კახეთის სამეფოს ლიკვიდაციისა და მისი რუსეთთან შეერთების გადაწყვეტილება მიიღო. “იმპერიის ღირსება, ჩვენი საზღვრების დაცვა თურქების მხრივ თუ მთიელთა თავდასხმებისაგან და ყველა სხვა სარგებლობანი რუსეთისათვის, დიდი ხნიდან აიძულებდა მთავრობას ეფიქრა ამ ამბებზე და მიელო ეს გადაწყვეტილება”, ნათქვამია ალექსანდრე I-ის საიდუმლო რესკრიპტში გენერალ კნორინგისადმი.<sup>29</sup>

ამრიგად, საქართველო რუსეთის შემადგენლობაში ურთიერთშეთანხმების გზითა და ნებაყოფლობით არ შესულა. საქართველოს საკითხი გადაწყდა “ძლიერის

<sup>27</sup> П. Бутков, დასახ. წიგნი, გვ. 466.

<sup>28</sup> Архив Государственного Совета, т. III, СПб, 1878, გვ. 1191.

<sup>29</sup> О. Джанелидзе. Грузинский вопрос в Петербурге. Литературная Грузия, 2003, № 1-3, გვ. 49-50.



უფლებით” და როგორც ზურაბ ავალიშვილი წერს „მარტოვი ანექსიით“.<sup>30</sup>

რუსი ისტორიკოსი ო. მარკოვას სიტყვით, საქართველოს რუსეთთან შეერთება არსებითად ანექსია იყო, თუმცა “ნებაყოფლობითობად” გარდასახული.<sup>31</sup>

ახლა გავარკვიოთ, როდის მოექცა ოსეთი რუსეთის იმპერიის მფლობელობაში, იყო თუ არა ოსეთი ერთიანი იმდროს და შედიოდა თუ არა “სამხრეთ ოსეთი” საქართველოს შემადგენლობაში, როცა ეს უკანასკნელი რუსეთმა თავის გუბერნიად გარდაქმნა.

ვ. პუტინის ზემოთ მოყვანილ განცხადებამდე სამი წლით ადრე, 2004 წლის 10 ივლისს, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბირომ თავის პლენარულ სხდომაზე მიიღო განცხადება, რომელშიც საგანგებოდ ჩაწერა: ოსეთი რუსეთის შემადგენლობაში ნებაყოფლობით შევიდა 1774 წელს, როგორც ერთიანი ოსეთი და არა როგორც სამხრეთი და ჩრდილოეთ ოსეთი.<sup>32</sup>

ჩრდილოეთ ოსეთის - ალანიის რესპუბლიკის ოფიციალურ საიტზე განთავსებულ ინფორმაციაში რუსეთთან ჩრდილოეთ ოსეთის ნებაყოფლობით შეერთების თარიღად 1784 წელია მითითებული და არაფერი ნათქვამი სამხრეთ ოსეთზე.<sup>33</sup> ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ექსპრეზიდენტის ოფიციალურ ვებგვერდზე კი ვკითხულობთ: 1774 წელს ოსები, 1801 წელს კი აღმოსავლეთ საქართველო შევიდნენ რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში.<sup>34</sup>

საბჭოთა პერიოდში ერთ-ერთ ყველაზე სოლიდურ აკადემიურ სამეცნიერო გამოცემად, მათ შორის ისტორიის სფეროშიც, ენციკლოპედია მიიჩნეოდა, რომელიც

<sup>30</sup> З. Авалов, Присоединение Грузии к России, СПб., 1901, გვ. 187.

<sup>31</sup> О. Маркова, Присоединение Грузии к России в 1801 году, Историк-марксист, 1940, №3, გვ. 91.

<sup>32</sup> <http://www.materick.ru/index.php?section=analitics&bulid=85&bulsectionid=7471>

<sup>33</sup> <http://rso-a.ru/about/detail.php?ID=1641>

<sup>34</sup> <http://www.ex-presidentrso.ru/republic/history.php>



ისტორიოგრაფიის თანადროულ მიღწევებს სრულად ასახავდა. ვნახოთ, რა წერია ენციკლოპედიებში, ჩვენთვის საინტერესო საკითხზე:

მონღოლთა შემოსევების შემდეგ ოსებმა კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებზე 4 მსხვილი საზოგადოება ჩამოაყალიბეს: დიგორის, ალაგირის, ქურთათისა და თაგაურის. სამხრეთ კალთებზე კი მრავალი წვრილი ერთეული, რომლებიც ქართველი ფეოდალების ხელქვეით ცხოვრობდნენ. ჩრდილოეთ ოსეთი რუსეთს XVIII საუკუნის ბოლოს შეუერთდა.<sup>35</sup>

დასავლეთის რაიონის ოსები დაახლოებით XVI საუკუნიდან მოქცეულნი იყვნენ ყაბარდოელი ფეოდალების ქვეშევრდომობაში.<sup>36</sup>

ყაბარდოს მფლობელობაში იმყოფებოდა ყველა მეზობელი მთიელი ტომი - ინგუშები, ოსები, აბაზინები. ... ყაბარდოელები ფლობდნენ ყველა გზას, რომელიც კავკასიონის მთავარი ქედის გადასასვლელებს უკავშირდებოდა.<sup>37</sup>

დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის ბოლო გამოცემის მე-14 ტომში განთავსებულია სტატია "ქუჩუკ-კაინარჯის ზავი". მასში ჩართულ რუკაზე, რომელიც ზავის შესაბამისად განხორციელებულ ტერიტორიულ ცვლილებებს ასახავს, წერია: "ოსეთი რუსეთის სამფლობელო გახდა ყაბარდოზე დამოკიდებულების ძალით", საკუთრივ "ოსეთის" ადგილმდებარეობა კი ჩრდილოეთ კავკასიაშია მითითებული.<sup>38</sup>

მაშასადამე, საბჭოთა პერიოდის ენციკლოპედიების მონაცემებით, XVIII საუკუნის მეორე ნახევრისათვის, "ოსეთი" როგორც ერთიანი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული

<sup>35</sup> Советская историческая энциклопедия, 10, М., 1969, გვ. 642; ასევე, Большая Советская энциклопедия, 23, М., 1976, გვ. 151.

<sup>36</sup> Советская историческая энциклопедия, 12, М., 1969, გვ. 674.

<sup>37</sup> Энциклопедический словарь, т. XIII А, СПб., 1894. Издатели Ф. Брокгауз и И. Ефрон, გვ. 78; ასევე, Большая Советская энциклопедия, 23, М., 1976, გვ. 151.

<sup>38</sup> Большая Советская энциклопедия, 14, М., 1973, გვ. 79.



ერთეული ან გეოგრაფიული ცნება, არსად მოიხსენიება, ლაპარაკია, ერთის მხრივ, ყაბარდოელთა ქვეშევრდომობის საზოგადოებებზე ჩრდილოეთ კავკასიაში და, მეორეს მხრივ, კავკასიის სამხრეთ კალთებზე არსებულ ოსურ დასახლებებზე, რომლებიც ქართველ ფეოდალებს ექვემდებარებოდნენ.

რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში ამა თუ იმ ტერიტორიის შესვლის თარიღის დასადგენად მნიშვნელოვანი დოკუმენტური წყაროა რუს მეფეთა და იმპერატორთა ტიტულატურა. დადასტურებულია, რომ რუს ხელმწიფეთა სრული სამეფო ტიტული (“დიდი ტიტული”) შეიცავდა მეფეთა მფლობელობაში მყოფი მიწების თანმიმდევრობით ჩამონათვალს.<sup>39</sup>

როგორც ცნობილია, XVI საუკუნის 50-იანი წლებიდან, ივანე IV-ის ჩერქეზეთის მთავრის ასულზე დაქორწინების გზით, ყაბარდო რუსეთის ხელდებული ქვეყანა გახდა. ამის შედეგად, ივანეს მემკვიდრის, თევდორე ივანისძის ტიტულში (1584-1598) გაჩნდა ფორმულირება: “Государь ... Кабардинския земли Черкесских и Горских князей~ (34, 123; 35, CVII-CVIII; 36). აქედან მოყოლებული პეტრე III-ის ჩათვლით (1761-1762) სამეფო ტიტული არსებითად აღარ შეცვლილა. ეკატერინე II-ის (1762-1796) დროს რუსეთს შეუერთდა ყირიმის სახანო, კურლანდიის, სემიგალიისა და პილტენსკის სამფლობელოები, რის გამოც იმპერატორის ტიტულს დაემატა ჩამონათვალი: “Царица Херсона Таврическаго и княгиня Курландская и Семигальская”.<sup>40</sup>

ეკატერინეს ტიტულში აღარ აისახა 1774 წლის ქუჩუკ-კაინარჯის ზავით რუსეთისათვის ყაბარდოს გადაცემის ფაქტი, რადგან ყაბარდოს მიწების მფლობელად, როგორც ვნახეთ, თავი ჯერ კიდევ თევდორე ივანისძემ გამოაცხადა.

<sup>39</sup> История царского титула в России, [http://funnypolitology.ucoz.com/publ/stranicy\\_istorii/istorija\\_carskogo\\_titula\\_v\\_rossii/17-1-0-673](http://funnypolitology.ucoz.com/publ/stranicy_istorii/istorija_carskogo_titula_v_rossii/17-1-0-673)

<sup>40</sup> А. Лакиер, История титула государей России, журнал Министерства народного просвещения, часть 56, СПб., 1847, гз. 151.



ამგვარად, რუსეთის მეფეთა და იმპერატორთა ტიტულში "ოსეთი" არ ფიგურირებს, რისი ახსნაც მეტადვე ძიებულია. რუსეთთან შეერთების დროისათვის ოსებს რაიმე სახის ცალკე ადმინისტრაციული ერთეული არ გააჩნდათ. როგორც აღვნიშნე, ოსური თემები (საზოგადოებები) ჩრდილოეთ კავკასიაში ყაბარდოს მფლობელობაში იყო მოქცეული, ხოლო კავკასიონის ქედის სამხრეთით, ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე დასახლებული ოსები, ხიზნის სტატუსით, ქართველ თავადების მორჩილებდნენ.<sup>41</sup>

მაშ, რა გადავიდა რუსეთის იმპერიის მფლობელობაში ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულებით? მეტი სიცხადისათვის მოკლედ თვით ქუჩუკ-კაინარჯის საზავო პირობებსაც გავეცნოთ.

1768 წლიდან მიმდინარე რუსეთ-თურქეთის ომი 1774 წლის 10 ივლისს, ბულგარულ სოფელ ქუჩუკ-კაინარჯში დადებული სამშვიდობო ხელშეკრულებით დასრულდა. ზავის პუნქტების შესაბამისად, ოსმალეთის იმპერიას ჩამოცილდა ყირიმის სახანო, რომელიც დამოუკიდებელ ერთეულად გამოცხადდა. რუსეთს მიუერთდა შავი ზღვის სანაპიროს ნაწილი ციხე-სიმაგრეებით: ქერჩი, ენიყალე და კინბურნი, რუსეთის მფლობელობაში დარჩა დიდი და მცირე ყაბარდო. მოლდოვასა და ვალახეთს მიეცათ ავტონომია და ეს სამთავროები რუსეთის მფარველობაში გადავიდნენ.<sup>42</sup> ხელშეკრულებაში არავითარ ოსეთი, არც ერთიანი და არც გაყოფილი, არც ჩრდილოეთი და არც სამხრეთი, ნახსენები არ არის. აქედან გამომდინარე, უნდა გავიზიაროთ ცნობილი ისტორიკოსის ე. დრუჟინინას ზემოთ მოყვანილი დასკვნა, რომ "ოსეთი რუსეთის სამფლობელო ყაბარდოზე დამოკიდებულების ძალით გახდა".

რუსი და ოსი ისტორიკოსები ნ. კიპიანინა, მ. ბლიევი და ვ. დეგოევი თავიანთ კოლექტიურ მონოგრაფიაში მიუთითებენ: აღმოსავლეთ ოსეთი (თაგაური) რუსეთის შემადგენლობაში

<sup>41</sup> АКАК, I, გვ. 581; 585.

<sup>42</sup> Дружинина Е. И., Кючук-Кайнарджийский мир 1774 (его подготовка и заключение), М., 1955, გვ. 349-360.



შევიდა 1770 წელს, ქურთათისა და ალაგორის საზოგადოებები რუსეთს შეუერთდნენ 1774 წელს, ზოლდის დიგორის თემმა რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო 1781 წელს, რითაც დასრულდა ამ კუთხის შეერთება რუსეთთან, "რაც არ ყოფილა ერთდროული აქტი". ავტორები რუსეთთან ოსეთის შეერთების თარიღად მაინც 1774 წელს მიიჩნევენ, რადგან, მათი სიტყვით: სწორედ ამ დროიდან განიხილავდა რუსეთის მთავრობა ოსეთს, როგორც რუსეთის შემადგენლობაში მყოფ რაიონს.<sup>43</sup> მონოგრაფიაში, განსხვავებით ვ. პუტინის ციტატებისაგან, არაფერია ნათქვამი ერთიან ოსურ სახელმწიფოზე, რომელიც თითქოს სამხრეთ ოსეთსაც აერთიანებდა და რუსეთს მასთან ერთად შეუერთდა.

კავკასიის ქედის სამხრეთ კალთებზე ოსური სოფლები XVII საუკუნიდან გაჩნდა. ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოს მხარეს მიგრირებულ ოსთა განსახლების არეალი XVIII საუკუნის 70-იანი წლებისათვის ისტორიული შიდა ქართლის მთიან ნაწილს მოიცავდა,<sup>44</sup> მომდევნო ხანებში კი უფრო სამხრეთითაც ჩამოინია. ეს ტერიტორია, რომელიც განუყოფლად ჯერ ერთიანი საქართველოს, შემდეგ ქართლის და ბოლოს ქართლ-კახეთის სამეფოში შედიოდა და რომლის საფუძველზე კომუნისტურმა ხელისუფლებამ 1922 წელს ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ჩამოაყალიბა, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში 1801 წლიდან - აღმოსავლეთ საქართველოს სხვა მიწა-წყალთან ერთად მოექცა. ამის საილუსტრაციო სხვა უამრავ პირველწყაროს გარდა, არსებობს 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატზე თანდართული აღმოსავლეთ საქართველოს, ასევე კავკასიის რუკები, რომლებიც რუსეთის სახელმწიფო არქივებშია დაცული. ამ რუკებზე საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი კავკასიის ქედის გასწვრივ გადის, ისე რომ შიდა ქართლის

<sup>43</sup> Киняпина Н.С., Блиев М.М., Дегоев В.В. Кавказ и Средняя Азия во внешней политике России. Вторая половина XVIII - 80-е гг. XIX в. М., 1984, გვ. 43-44.

<sup>44</sup> Р.Топчишвили – Осетины в Грузии: миф и реальность, Тб., 2009, გვ. 39; 69; 128-130.



ტერიტორია ქართლ-კახეთის სამეფოს შემადგენლობაშია დაფიქსირებული.<sup>45</sup>

მდინარეების არაგვისა და ლიახვის მცხოვრები ოსები ქართველი თავადების - ერისთავების, მარაბლებისა და ფავლენიშვილების ქვეშევრდომები იყვნენ.<sup>46</sup> მოიპოვება საარქივო დოკუმენტური მასალაც, საიდანაც მკაფიოდ ჩანს, რომ ამ მდინარეების ხეობათა ოსურ და ქართულ-ოსურ სოფლებში ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ს, ლეკთა შემოსევების მოსაგერიებლად, ე.წ. სამდეგროები (სოფლის მცხოვრებთა სახელდახელო შეიარაღებული რაზმები) ჰქონდა შექმნილი, რომლებსაც თავადები ხელმძღვანელობდნენ.<sup>47</sup> ამასთან, ერეკლე II-ის მიერ გაცემულ არაერთ საბუთში საქართველოში მცხოვრები ოსები "ჩვენ ოსებად" მოიხსენიებიან.<sup>48</sup>

რუსულ წყაროებში დაცულია ცნობები, რომლებიც მოწმობენ, რომ შიდა ქართლის ოსებით დასახლებული მინაწყალი ძველთაგანვე ქართველ მეფეებს ეკუთვნოდათ,<sup>49</sup> ცალკეულ ხეობას ქსნის ერისთავები ეპატრონებოდნენ<sup>50</sup> და რომ აქაურ სოფლებს ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის დროსაც ქართველი მოურავები განაგებდნენ.<sup>51</sup>

რუსეთის იმპერიაში საქართველოს ინკორპორირების შემდგომ ეს ტერიტორია, მისი ჩრდილოეთი პროვინცია

<sup>45</sup> <http://abkhazeti.info/news/1223171368.php> ასევე, Открытое письмо премьер-министру Российской Федерации В. Путину, ჟურნ. "ანალები", 2008, № 3, გვ. 28.

<sup>46</sup> В. Чудинов, Окончательное покорение осетин, Кавказский Сборник, т. XIII, Тифлис, 1899, გვ. 13-18; 53.

<sup>47</sup> საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. HD, საბ. 13714. ციტირებულია ნიგნიდან - ი. ალიმბარაშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს თავდაცვითი სისტემა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 2008.

<sup>48</sup> [http://expertclub.ge/portal/cnid\\_4982/alias\\_Expertclub/lang\\_ka-GE/tabid\\_2546/default.aspx](http://expertclub.ge/portal/cnid_4982/alias_Expertclub/lang_ka-GE/tabid_2546/default.aspx)

<sup>49</sup> АКАК, I, გვ. 582.

<sup>50</sup> АКАК, т. VII, გვ. 377; 384.

<sup>51</sup> АКАК, I, გვ. 194-195.



დვალეთითურთ, რომლის მოსახლეობა რუსებს დიდხანს წინააღმდეგობას უწევდა და მხოლოდ სამხედრო ძალით იქნა დამორჩილებული,<sup>52</sup> ერთხანს საქართველოს, შემდეგ იმერეთის გუბერნიაში შედიოდა, ბოლოს კი თბილისის გუბერნიის გორის მაზრის ნაწილს შეადგენდა. 1858 წელს კავკასიის მეფისნაცვლის ალექსანდრ ბარიატინსკის განკარგულებით, დვალეთი (რუსული სახელწოდებით - ნარის უბანი) ოსეთის სამხედრო ოკრუგს შეუერთეს.<sup>53</sup> (რაც შეეხება შიდა ქართლის დანარჩენ ოსურ სოფლებს, ისინი კვლავ თბილისის გუბერნიის შემადგენლობაში დარჩნენ.

მეფის რუსეთის გენერლების (სტრეკალოვი, რენენკამპფი და სხვ.) ჩანაწერებით ამგვარი საყურადღებო სურათიც იკვეთება, კერძოდ: ჩრდილოელ ოსებს სამხრეთით მცხოვრებ თავიანთი თანამეტომეებთან იმდენად განწყვეტილი ჰქონიათ კონტაქტი და ისე გაუცხოებულან მათგან, რომ წინათ ორივესათვის მშობლიურ ოსურ ენაზე XIX საუკუნისათვის თურმე ურთიერთობაც კი უჭირდათ.<sup>54</sup>

სახელწოდება "სამხრეთ ოსეთი" ხელოვნური ტერმინია და იგი რუსმა სამხედრო და სამოქალაქო მოხელეებმა XIX საუკუნეში დაამკვიდრეს. მანამდე არ მოიპოვება, არანაირი საბუთი, რომელიც დაამტკიცებდა, რომ შიდა ქართლის მთიანეთი ოსეთად იწოდებოდა.<sup>55</sup>

ახლა რაც შეეხება აფხაზეთს. საისტორიო მეცნიერებაში ბოლო დრომდე გაზიარებული იყო თვალსაზრისი, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია, ყოველთვის საერთო ქართული ეთნოკულტურული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სივრცის ორგანული ნაწილი იყო. აკადემიკოს მ. ლორთქიფანიძის სიტყვით, ეს კუთხე მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ქართულ ისტორიულ-

<sup>52</sup> იქვე, გვ. 585; 588.

<sup>53</sup> З. Иваненко, Гражданское управление Закавказьем. Тифлис, 1873, გვ 450-451..

<sup>54</sup> В. Чудинов, დასახ. წიგნი, გვ. 20; 76-77.

<sup>55</sup> რ. მეტრეველი, აღუვსებელი სანყაული, ანუ ამაოება ამაოთა, <http://burusi.wordpress.com/2010/03/08/roin-metreveli/>



პოლიტიკურ სამყაროს განეკუთვნებოდა.<sup>56</sup> აფხაზეთი სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ტერიტორიას მოიცავდა, მაგრამ ყოველთვის, XX საუკუნის 90-იან წლებამდე, ქართული მოსახლეობა აქ მუდამ აღემატებოდა აფხაზურს.

უძველესი დროიდან აფხაზეთი კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. შემდეგ, როგორც სამთავრო, იგი კოლხეთის მემკვიდრე ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. VI საუკუნიდან, როცა ეგრისის სამეფო დასუსტდა, აფხაზეთი ბიზანტიის მფლობელობაში მოექცა და მისი მთავრები (არქონტები) ბიზანტიის იმპერატორის ვასალები იყვნენ. VIII საუკუნის 80-იან წლებში ეგრისი და აფხაზეთი ერთ პოლიტიკურ ერთეულად გაერთიანდა. იმავე საუკუნის ბოლოს ლეონ აფხაზთა მთავარი ბიზანტიის ვასალობისაგან განთავისუფლდა და თავი მეფედ გამოაცხადა ("სახელიდვა მეფე აფხაზთა"). სომეხი ისტორიკოსი იოანე დრასხანაკერტელი ამ სახელმწიფოს "ეგრისს" უწოდებს, მის მეფეს - "ეგრისის მეფეს", ხოლო მცხოვრებთ - "ეგრისელებს".<sup>57</sup>

აფხაზთა სამეფო ქართული (დასავლურქართული) სახელმწიფო იყო, რაც დადასტურებულია ამ ტერიტორიაზე მიკვლეული მრავალი არქეოლოგიური მასალით, ქართული არქიტექტურული ძეგლით, ტოპონიმიკითა თუ ეპიგრაფიკით. ქართველ მეცნიერთა (ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, ...) მიერ უდავოდ აღიარებული ეს დებულება ცნობილმა რუსმა ისტორიკოსებმა ა. ნოვოსელცევმა,<sup>58</sup> ლ. გუმბილოვმა<sup>59</sup> და სხვ. გაიზიარეს.<sup>60</sup>

<sup>56</sup> <http://abkhazeti.info/news/1223171368.php>

<sup>57</sup> ივანეს დრასხანაკერტცი, სომხეთის ისტორია, სომხური ტექსტი, ქართული თარგმანი და კომენტარები ე. ცაგარეიშვილისა, თბ., 1965, გვ. 38; 109; 119.

<sup>58</sup> Константин Багрянородный. «Об управлении империей». Греческий текст, перевод, комментарии. Под ред. Г. Г. Литаврина, А. П. Новосельцева. М., 1989, комментарий 17 к главе 42, в соавторстве с М. В. Бибиковым, гв. 401.

[http://oldru.narod.ru/biblio/kb\\_k30\\_43.htm#42](http://oldru.narod.ru/biblio/kb_k30_43.htm#42)



ბიზანტიისაგან თავდაღწევის შემდეგ აფხაზთა ცნება "აფხაზეთის" მნიშვნელობა კიდევ უფრო გაფართოვდა. ახლა უკვე ნიშნავდა დასავლეთ საქართველოს, დასავლელ ქართველს, საკუთრივ აფხაზსაც და საკუთრივ აფხაზეთსაც. საქართველოს გაერთიანების დროიდან (X საუკუნე) ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებში "აფხაზეთი" და "აფხაზი", როგორც წესი, ზოგადად "საქართველოს" და "ქართველის" აღსანიშნავად გამოიყენება.<sup>61</sup> შემთხვევითი არ არის, რომ ერთიანი საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში პირველ ადგილზე იდგა "მეფე აფხაზთა" და იგი საქართველოს დაშლამდე (XV საუკუნის ბოლო) ამგვარადვე დარჩა.

როცა ერთიანი ქართული სახელმწიფო რამდენიმე ნაწილად დანაწევრდა, აფხაზეთი იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში იმყოფებოდა. მომდევნო პერიოდში ქვეყნის ფეოდალური დაშლის პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდა და საკუთრივ იმერეთის სამეფოში გურიის, სამეგრელოსა და სვანეთის სამთავროები აღმოცენდა. აფხაზეთს სამეგრელოს (ოდიშის) მთავარი დაეპატრონა, მაგრამ XVII საუკუნეში თავადმა შერვაშიძეებმა ამ კუთხის ცალკე სამთავროდ ჩამოყალიბება მოახრხეს. თუმცა მათ არასოდეს დავინწყებიათ, რომ აფხაზეთი "აშლილობის უამამდე დადიანის სამფლობელოს ნაწილი იყო და მასვე ემორჩილებოდა".<sup>62</sup>

იმერეთის მეფე სოლომონ II-ე (1784-1810) ცდილობდა გაეერთიანებინა დასავლეთ საქართველო, რომელიც იურიდიულად მისი სამფლობელო იყო. სოლომონი თავს "ქვემოისა ივერიისა და სხუათა მეფეს" უწოდებდა, მაგრამ რეალურად იგი სამეგრელოსა და აფხაზეთს ვეღარ აკონტროლებდა. აქაური მმართველები იმერეთის მეფის უზენაესობას არ სცნობდნენ, მას უპირისპირდებოდნენ და ერთმანეთსაც ტერიტორიებს ეცილებოდნენ.

<sup>59</sup> <http://gumilevica.kulichki.net/HE2/he2103.htm>

<sup>60</sup> <http://iberiana2.wordpress.com/abkhazia/papaskiri/>

<sup>61</sup> შ. ლორთქიფანიძე, აფხაზები და აფხაზეთი, თბ., 1990, გვ. 17.

<sup>62</sup> AKAK, т. II, გვ. 536.



XIX საუკუნის დასაწყისში აფხაზეთი ფაქტობრივად არც ქართლ-კახეთისა და არც იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში აღარ შედიოდა. აფხაზეთს იმ დროს ნომინალურად მისი მთავრები - შარვაშიძეები განაგებდნენ, თუმცა სამთავრო ოსმალეთის მფლობელობაში იმყოფებოდა, როგორც ერთ-ერთი დაპყრობილი პროვინცია. თურქ-ოსმალთა ხელისუფლება აფხაზეთა გამუსლიმებისა და ქართველთაგან გათიშვის პროცესს ახორციელებდა. ამის მიუხედავად, სამთავროს დანარჩენ საქართველოსთან კავშირი არ გაუწყვეტია. აფხაზეთში ოფიციალური ენა კვლავ ქართული იყო, რის დასტურად ისიც გამოდგება, რომ ადგილობრივი მთავრები რუსეთის იმპერატორს ქვეშევრდომობაში შესვლას ქართულ ენაზე დანერილი წერილებით თხოვდნენ.

კავკასიის რუსულმა ადმინისტრაციამ კარგად იცოდა, რომ ვიდრე აფხაზეთს ოსმალეთი მიიტაცებდა, ეს კუთხე საქართველოს პროვინცია იყო,<sup>63</sup> და ამ გარემოებას კიდევაც იყენებდა თურქეთთან დიპლომატიურ ურთიერთობაში.

1810 წელს აფხაზეთის მთავრმა გიორგი (საფარ ბეგ) შერვაშიძემ რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო, მაგრამ აფხაზები დიდხანს არ მორჩილებდნენ იმპერიის ხელისუფალთ, სძულდათ რუსები და არ წყვეტდნენ მათ მტრობას. კავკასიის მთავრამართებელი გრაფი პასკევიჩი აღნიშნავდა: ჩვენს ფიქტიურ მმართველობას აფხაზეთში იმდენი სირთულე ახლდა თან, რომ არაერთხელ დაისვა საკითხი მისი თურქებისათვის დაბრუნების შესახებო.<sup>64</sup>

რუსული მმართველობა აფხაზეთში სრულად მხოლოდ მას შემდეგ დამყარდა, რაც 1864 წელს ცარიზმმა მთელი კავკასიის დაპყრობა წარმატებით დაასრულა. გაუქმებულ აფხაზეთის სამთავროს, რომელიც ქუთაისის გუბერნიაში ერთიანდებოდა, ჯერ სოხუმის სამხედრო განყოფილება, 1883 წლიდან კი სოხუმის ოლქი უწოდეს. რუსეთის მძიმე

<sup>63</sup> АКАК, т. II, გვ. 463.

<sup>64</sup> Утверждение наше в Абхазии, Кавказский Сборник, т. XIII, Тифлис, 1899, გვ. 124-128.



კოლონიური პოლიტიკის შედეგად, 1866 და 1877 წლებში ათეულობით ათასი ადგილობრივი მცხოვრები იძულებული გახდა აფხაზეთიდან ოსმალეთში გადასახლებულიყო, რაც ისტორიაში მუხაჯირობის სახელით დამკვიდრდა. ადგილზე დარჩენილი აფხაზები "დამნაშავე ხალხად" გამოაცხადეს.<sup>65</sup>

რუსეთის ხელისუფლება აქტიურად წარმართავდა საქართველოდან აფხაზეთის ჩამოშორების პროცესს. 1903 წელს მეფის მთავრობამ გაგრისა და ბზიფის რაიონები ქუთაისის გუბერნიიდან გამოყო და შავი ზღვის გუბერნიას მიანერა, მაგრამ ქართველი და აფხაზი ხალხების სრული გათიშვა ვერ შეძლო. როდესაც 1917 წელს რუსეთში მონარქია დაემხო, სოხუმში აღმოცენებული ადგილობრივი ხელისუფლება ჯერ რუსეთის დროებითი მთავრობის რწმუნებულ ორგანოს - ოზაკომს დაექვემდებარა, ხოლო შემდეგ ამიერკავკასიის კომისარიატისა და სეიმის იურისდიქციაში მოექცა.

1918 წლის 26 მაისს საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიდგინა და დემოკრატიული რესპუბლიკა ჩამოაყალიბა. სოხუმის ოლქი, რომელსაც მისი ნამდვილი სახელი აფხაზეთი დაუბრუნდა, ავტონომიის სტატუსით, ამ რესპუბლიკის ნაწილი იყო. შეთანხმება თავიდან აფხაზთა სახალხო საბჭოსა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმდა, 1919 წლის 20 მარტს კი აფხაზეთის სახალხო საბჭომ მიიღო "აქტი აფხაზეთის ავტონომიის შესახებ", რომლის პირველ მუხლში აღნიშნული იყო: "აფხაზეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც მისი ავტონომიური ერთეული". აქტი საქართველოს უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ - დამფუძნებელმა კრებამ მოიწონა და დაამტკიცა.<sup>66</sup> საყურადღებოა ასევე, რომ 1920 წლის 7 მაისს. მოსკოვის ხელშეკრულებით, ყოფილმა

<sup>65</sup> О. Бражба, С. Лакоба, История Абхазии, Сухум, 2006, გვ. 256; 259.

<sup>66</sup> N. Asatiani, O. Janelidze, Hystori of Georgia, Tbilisi, 2009, გვ. 306-308.



მეტროპოლიამ - რუსეთმა აფხაზეთი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილად ცნო.

როგორც ვნახეთ, საქართველოს და მისი ცალკეული კუთხეების რუსეთის იმპერიასთან დაკავშირების ვირტუალური სურათი, რომელსაც კრემლის პოლიტიკური ხელმძღვანელობა და რუსული ისტორიოგრაფია წარმოაჩენს, ძირეულად განსხვავდება იმ სინამდვილისაგან, რაც ისტორიამ შემოგვინახა. შეუიარაღებელი თვალითაც აქ მკაფიოდ მოსჩანს წარსულით მანიპულირება და ისტორიის ინსტრუმენტალიზაცია.

რუსეთ-საქართველოს, ამ მეზობელ სახელმწიფოთა შორის ისტორიის აქტუალიზაციის საკითხი ისტორიისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართების ჭრილშია გასააზრებელი, რადგან ისტორიის პოლიტიკურ ინტერპრეტაციას, როგორც წესი, პოლიტიკური საფუძველი აქვს. ეს აზრი ამერიკელმა მეკლეეარმა ნ. ჰოლკომბიმ (Artur N. Holcombe) ჯერ კიდევ 1936 წელს გამოთქვა.<sup>68</sup>

შემთხვევითი არ არის, რომ საქართველო-რუსეთის წარსული ურთიერთობები პოსტსაბჭოთა პერიოდში ძირითადად პოლიტიკურ დისკურსში განიხილება. ისტორიულ ნარატივში ხშირად ყურადღება აქცენტირებულია არა ფაქტების მეცნიერულ ანალიზზე, არამედ მათ კონიუქტურულ ინტერპრეტაციაზე, რაც თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებაში ინდოქტრინაციად აღინერება.<sup>69</sup>

ცნობილია, რომ ამათუიმ ქვეყნის პოლიტიკური ელიტა, რომელსაც გარდასულ დროში სადღეისოდ მისთვის სასურველი წარსულის ხატი არ მოეპოვება, ისტორიის სოციალურ კონსტრუირებას მიმართავს. მისი მიზანია

<sup>67</sup> Оккупация и фактическая аннексия Грузии. О политической и правовой оценке нарушения договора между Грузией и Советской Россией от 7 мая 1920 года. Документы и материалы. Тб., 1990, გვ. 75-83.

<sup>68</sup> Holcombe, N. A. The political interpretation of history, The American Political Science Review, # 1, ibid 6, vol. XXXI accessed. <http://www.istor.org/stable/1948039>

<sup>69</sup> <http://pioss.net/blog/terms/734.html>



შთააგონოს საზოგადოებას ახალი მითოლოგიები და  
შეხედულებები და დაარწმუნოს მათ სისწორეში. ზინზინოთეკა  
წარსულით მანიპულირებასა და ისტორიის  
პოლიტიზაციას, როგორც დავინახეთ, უფრო რუსეთში  
მიმართავენ. სამაგიეროდ, პოსტსაბჭოთა პერიოდის  
საქართველოში ახალი დატვირთვა შეიძინა ე. წ.  
“მეხსიერების პოლიტიკამ”, რისი მკაფიო გამოხატულებაცაა  
კომემორაცია - ოკუპაციის მუზეუმის გახსნა თბილისში,  
დიდების მონუმენტის აღება ქუთაისში, 1921 წლის 25  
თებერვლის ოკუპაციის დღედ გამოცხადება და მის  
აღსანიშნავად სპეციალური გაკვეთილები სკოლებში,  
საჯარო ლექციები და სხვ.

მიუხედავად ამისა, საქართველოში ისტორიის  
მკვლევართ გარანტირებული აქვთ ინტელექტუალური  
თავისუფლება და სამეცნიერო მუშაობაში ჩაურევლობა.

K299.395  
37  
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ  
ԶՈՅՔՈՐԹՈՅՑՅՑ

